

114 /
1931/3

114 /
1931/3
ՀԱՅԿԵՐԱՆ
ԳՐԱԳՐԱՐԱՆ

ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

1-2

90

4 9 3 4

ათლეტიკურით ყველა ეწყობისა, შიშობილი!

საქართველოს
საზღვრის დაცვა

114/3

მნათობი

90

სრულიად საქართველოს საშჩითა მწერლების ექვეყნების ყოველთვიური
საზღვრის დაცვა-პალიტიკური და მსაფრთხო-ლიტერატურული თრგანო

7905

№ 1-2

ი ა ნ ვ ა რ ი

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

წელიწადი მწვე

ს ა ხ ე ლ მ ვ ი ზ ო ბ ა ე ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

თბილისი 1931 წ.



ჰოლოგრაფტრესტის 1-ლი
სტაშხა

შპს № 343, ტირ. № 1500,
შთავლ. № 810.

რედაქციის მისამართი: თფილისი, შაჩაბელის ქ. № 13
ხელოვნების სასახლე, ტელ. № 1-35
კანტორის მისამართი: თფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდიკატორი.

პოეტის სიტყვა

საქართველოს განსაზღვრების ათი წლის თავზე

ჩემ შიშიმე ლექსებს, შიშიმეთ ნაამბობს
 ეგებ არა აქვს სიმძლავრე რკინის
 შავრამ თუ ვისერი

სივრცეს გააპობს.

ასწევს სიმძიმეს სტრიქონის კბილით
 და საზეიმო სიმძაფრით კივის.
 ათი წლის ეპოსს—ეპოსს სავერველს,
 შეკეთებული ჩაუვა და მიდის
 მას სწამს

ხუთწლედით უდვანთ საძირკველს
 ცხოვრებას, კაცს და ახალ სინდისს.
 ათი წლის მუხლში ჩაიმტვრა ფიქრი
 უცნობი წვეთი არ ჩარჩა ხერხეშიც.
 ეს ორთქლმავალიც ცეცხლია რომ მიჰქრის
 სოციალისტურათ გაწვრთნილი ხენვის.

და ეს მიდორიც გამწლილი შორით
 მიჯნავს არ ეკვრის—დაიძრა მყარი.
 მთელი სოფელი ქალაქთან სწორი
 სოციალისტური სოფელი არის.
 დრომ გარდაგვემნა და გვისროლა წინ
 გვასწავლა გზა და შევსწორდით გრძნობით.

ახლა უკვე აქ საზრისით წვიმს
 და მისდევს გეგმებს შრომაში ცნობილს.
 მგონის გონებაზე, იყავი ბასრი
 აფეთქდი სიტყვით, გაფანტე სქეში...
 ვით ოქტომბერში ნასროლი აზრი
 და თებერვალში გამსკდარი ჩვენში.
 დიდო დროებაზე, მე შენ გამზარდე
 შემასწორე და დამიმყენ სისხლზე.



ბევრჯერ მამური გალანძღვაც მკადრე
 ბევრჯერ დამცი და ბევრჯერაც მიხსენ.
 მომავალ ხანას ლექსო აუხსენ
 ჩვენი ხმა—მუშის ბრძოლებსაც ნიშნავს
 და ჩემო სიტყვავ, ხუთ-წლედის მუხლზე
 შემდგარი ხარ და ლოზუნგათ ქვინავ.
 დე მოლაღატე გვეწოდოს ლექსო
 თუ ბრძოლების დროს დავქუმდეთ წუთით
 და ყელში ლექვა ნეშათ დავგვსოს
 თუ ჩვენ არ დავცეთ განცდები ცუდი.
 მაშ ლექსო დაჰკარ... არ გექნეს შიში
 გაგიძლებს ხმა და მოყვეი რიგებს,
 დღეს საზეიმოთ დასძახებ ყივიანს
 გადი ხალხში და დაშორდი წიგნებს.
 თებერვლის ღამეც... ზამთრის სისხლიდან
 თბილი ქურქი ხომ იდგებს ყრიდა
 რევოლიუცია ჩვენ გზას გვიხსნიდა
 და შრაპნელები სკდებოდენ კლდიდან;
 და დროშა შექმნა მუშამ სისხლიდან.
 დღეს ასეთ სისხლში ჩემი სისხლი სჩქეფს
 და მასის ძარღვი... სხეულებს არღვევს;
 მესროდენ მე ცოცხსა და ქეებს,
 მესროდენ მე წარსულის ზრახვებს.
 ჩვენ გადაელახეთ ს... თოვლის ვერცხლში
 და არ დაემარცხდით არჩეულ გზიდან,
 შენც ჩემო ლექსო ნაშობო ცეცხლში
 მებრძოლი კლასის წევრობა გინდა.
 ეს იყო წინეთ... წავიდა მგზავრი.
 უცხო მხარეში დასცხო ნალარა
 უცხო მხარეში შებერდა მგზავრი
 და თოვლათ ეტყა წვერი ქალარა.
 საქართველოში წამოდგა გმირი,
 და უცხოეთში გახედა მასაც.
 მოხუცმა მგზავრმა არ იცნო გმირი;
 ეს გმირი იყო ამდგარი მასსა,
 ჩვენ დავრჩით მასთან, მას შევეზარდეთ.
 შევექმნით ყოფა—ფოლადის სიბრძნით
 და ჩემი ლექსიც ათი წლის თავზე
 სოციალისტურათ გაწრთენილი იბრძვის.

საგმობთა საქართველო

შხით შოოქვილა დღეს ცის სევადი
და გადმოგეყურებს ფირუზის კარვად,
რადგან ზეიმობს მიწა—ტევადი:
იღვრება ღვინო ლალად და ქარვადი...

ქორწილი არის? ვინა ზის სიძედ?
მას დედოფალიც ვინ უზის ქალად?
სჩქედს შოძრაობა ათი წლის სიგრძედ,
მილიონიან შემოქმედ ძალად!..

ათი, ცამეტი, ათჯერ ცამეტიც
შოძრავი წელი, მოქმედი ხელი,
წევა, მიღწევა, გარდანამეტიც,
თუ გამარჯვება, აურაცხელი!..

აი, ვინა ზის სიძედ, დედოფლად
და მაყრიონად გვერდს ვინ უმშვენებს!..
ეგ მეც ვიღვრები ამ ღვინოში ოფლად
და სისხლად სისხლში ვერევი ჩვენებს!..

მაგრამ ვინ შეჰკრა ეს მაყრიონი?
ან ვინ გაშალა დამტევი სეფა?
შერიქიფა მტკვარი, რიონი...
ღვინოც—ეგ წყლიდან ცეცხლების კრეფა!

რამდენი ნიშა-ხარი დაუკლავი?
ან რამდენ ცხვრისგან შემდგარი ფარა?
ლახტი მცხეთაში ისე დაუკრავთ,
რომ იქ, გელათში მტფერი ამდგარა!..

თარგმანი
გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

ნუ შეშინდებით! იქ მიწას ბურღვენ,
რომ ცეცხლით მორწყონ უტები ღამე;
კაცთ-მოქმედებას მიღწევით ჰთუღვენ,
და ჯერ უნახვე ცხოვრებას სდგამენ!..

გაუხედავ იქით: გეგუთს, აჯამეთს
და ახალ ყოფას ადევნილ სოფლებს,
სადაც ტრაქტორი ტორეთ აჯამებს
წარსულში მშრომელ გლეხობის ოფლებს;

აჯამებს, რათა გადაუხადოს!.,
თვით მოდის, როგორც ვალ-დადებული,
ნორჩი ცხოვრება რომ გაიხარდოს,
კოლმეტიურად დაბადებული!..

უკვე ივსება რიონის კალა
ინდუსტრიალურ კომბინატებით,
სადაც ყვეუბი სიმინდის ჩალა
იღვა უთაო გულ-ამბატებით,

და წლითი წლამდე საცოხნი მკადის
პატრონი მაინც იყო ნატრული,
სადაც დღეს ძლევეთ ტრაქტორი დადის
და მიწა ვღია მკერდ-დაფატრული!..

სისხლი არ დასდის, ოფლად არ სდნება,
თუმცა ბრძოლა კი გრგვინავს შედგარი:
ეს—ძველი მიდის! ეს—ძველი კედება!
მოდის ახალი, ცერზე შემდგარი!..

მოდის და მოაქვს ძლევის დიდება,
რადგან შეჯიბრი წაიგო ძველმა,
და მტკვრის წყალს ცეცხლი თუ ვკიდება,
მზედ გადიფინა რიონის ველმა!..

შემკეთებელ კარხანაში— სტალინის სახელობისა

ჩვენი დღეები, ჩვენი სიმღერა!
ვერ იმღერებდა სხვა საუკუნე.
ჩვენს პაერშია გაზარებული,
ჩვენში გზგუნებს...

ხორკლიანია,
და ყველა ხმებზე მართალი არი,
მას ვერ იმღერებს
ნიაფიკაცი
და ვერც ტველმანი ადამიანი.

მოპქრის, მოპქივის შარაგზებიდან,
ქურა, დაზგიდან, მალარობით.
პქივის ქუჩიდან, მოედნებიდან—
პირცეცხლიანი მახარობელი!

პქივის ზვავიდან, მაღალ ვოლტიდან
და ყველგან მისი ნაბუტრებია,
გაანადგურებს,—
ვისაც ზელები დაუკრეფია!

და ამ ხმის მღერის აქაფებულსა

— მუშა,

— მქედელი,

— მწყემსი,

— მეთევზე:—

დამკარ დამკვრელო, გადამიყვანე
განუწყვეტელზე!

დამკარ!

— უკივის გრდემლი ჩაქუნსა,

ჩარხი—მარჯვენას:

არც ერთი წვეთი ნაპერწყალისა

არ შეინახო გადასარჩენათ!



დამყარ!

— იძახის შწირი ეწერი,
შწვენე ჭაობი ხავსის რტოება,—
ნაყოფით უნდა გადავიხალოთ
ათას წლოვანი გამარტოება!

დამყარ!

— იძახის ძროხის ჯიქანი,
ბალში ნამყენი, სკიდან ფუტკარი,
დამყარ!

— გრიალებს ოქროს ბუღობი,—
გაჩეხეთ ჩემი ნასაბუღრალი!

დამყარ!

— ყივიან წყალტებილები,
ნალში, მალარო, მთები მალალი
და დედამიწის ერთს მიეჭესედზედ
ისმის ჭახანი...

დამყარ დამკვრელო!

დამაკვრევიწე,

შენს ქარიშხალთან ტყუბათ ვიარო;
ლექსი ელევაში გამოხვეული,—
ბეჭის ფრთებიდან შემაზრიალოს!

პოეტო მუდამ ცოცხალი არი,
მას უფრო ადრე ესმის გუგუნო.

დამყარ!

მომაცხე ცეცხლი ცეხიდან,—
ამ საუკუნის!

მერკვილაძის ღები

ნ. მიწიშვილს

(ახალი ვარიანტი)

ამოვიდა კვართ
მთვარე ზემო მზრიდან,
მოიქარგა მტკვარი...
ქარი კვლავ შესა თხრიდა,—
ქუჩა პგაუდა მტარვალს...
მომენატრა კერა
როცა ხამის შარვალს
დედა მიკვრავდა,
როცა თბილ ბუმბულში
ჩამაწვენდა კოცნით,—
ვინახავდი გულში
სიზმრათ ნახულ კოცონს
და მეგონა მაშინ
მთვარე ვერცხლის თეფში,
შორით მაშინებდა
დათოვილი მთები
როგორც თეთრ ნაბდებში
მერკვილაძის ღები.

მახარებდა ადრე
ჭრელი ბლუზა ჩითის.
მზეში მობინადრეს
გული მქონდა ჩიტის,
და მერჩია შაქარს
ცივი ჭადი პრასით.
თმა მიგავდა ჯაგარს
ახლად მონაპარსი.
უკითხულობდი კიდევ

არსენაზე წიგნებს
 და ვენახის კიდეს
 ვაძოვებდი თიკნებს,
 მაგრამ როს ჩაფრებმა
 მკლავი ბეერს გაუხმო,—
 ფშანში კვლავ ჩაფრენილს
 ქეებს ვესროდი ყანჩას
 და ვნატრობდი უხმოთ:
 უღვაშებს და ხანჯალს.

სურვილს მიდაგავდა
 სუნი შემწვარ ტარნის.
 ნამდვილ აქლემს ჰგავდა
 ჩრდილი ძველი მარნის.
 ძალს ეძინა ვანზე
 და კრუხს თავის ფრთებთან,
 დედა იყო ბანზე
 სტუმრათ მოსულ დებთან.
 შინ ვიყავი ძნელად—
 იღვა შხის თაკარა
 და დებს საკაცნელად
 ვერვინ მიშაკარა.
 ვუცქეროდი შორით
 მათ ღიმილს და იერს:
 როგორც მტრედი ორი
 უსხდნენ დედას ხნიერს.
 ტანი მჭონდათ ალვის,
 ხორბლისფერი სახე.
 იგონებდენ კრძალვით
 ლექსებს მათ შესახებ
 და მღეროდენ მერე
 ამ შაირებს სოფლად.
 ბევრმა მოსიმღერემ
 ღზინში დაუნდობლად
 გულში გაიტარა
 მათი ტრფობით დანა,
 ბევრს კი კვლავ გიტარა
 მჭონდა დების ტანათ.

ასე მიდიოდა
 დღეები და წელი.



იღვა ჩვენი ოდა
 სვეტებ შონაცელი
 და ეკოდა ბურჯათ
 ცხენის თაფი შარგილს,
 ბიბინებდა ლურჯათ
 ყანა განამარგლი.
 იღვრებოდა ოფლი
 სოფლად, შთის არეზე,
 როგორც ცრემლი ობლის
 დედის სამარეზე, —
 ჯანს ხმარობდენ ქარბათ
 და წყდებოდენ ჯაფით,
 დუშმანი ვით შარბათს
 სვამდა შთ სისხლს ჩაფით.
 სხეები ფლობდენ ურმებს
 საესეს ბარაქათი.
 მაგრამ, როცა, თურმე
 გაწყდა არაქათი
 და ხალხს ჯვარზე ნაცვამს
 შოგრია ცოფი:
 დებმა ბავშვის ნაცვლად
 დაიკავეს თოფი,
 გაპყვენ ძმის კვალს ურჩად
 და ბილიკებს ტყიანს,
 ვერვინ გადაურჩა
 შთ გასროლილ ტყვიას.

ბეინავს. ვარსკვლავები
 ვაშლებივით წყდება.
 ვერაგ შტრის მკლავებით
 ქარი შთებს აწყდება.
 მოსჩანს ცა უნდობლად
 შოგებულნი კიქით.
 ძალლი ყმუის ობლად
 სადღაც, ხევის იქით.
 და, მიპყვება ცალფათ
 კვალი ლობეს, ეზოს.
 ვინმე დაღვრის აღბათ
 ცრემლებს უმიზეზოს.

ოდნავ ჩადგა ქარი,
 ისე სძინავს სოფელს.

თარგმანი
გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

უცებ ჩვენს მეზობელს
 შეუმტერიეს კარი
 და გაეარდა ტყვია,
 გაჩნდა მების ალი:
 ჩაფრებს შეტყვევით
 მერკვილადის კვალი.
 ებრძვის მუხანათებს
 ფრთებშესხმული რაზმი.
 მთვარე ძლიერ ანათებს
 მღვრიე აიაზმით.
 მართო დები ქობში
 ჩაესაფრენ ჩაფრებს
 და ტყვიების კობში
 ქსოვენ ცეცხლის აფრებს.
 მაგრამ მტრების ურდოს
 გზები სურს დაბურდოს,
 რომ შებოჭოს რაზმი
 უცხოთ მონაკაზმი...
 დადგა ქამი ქუში.—
 და, დაესო დანა
 მძაფრად აფრასიონს,
 (თითქო მოხდა გუშინ,—
 ასე დანათოდა
 მთვარე კავკასიონს)
 მოკვდა ზეარაკივით.
 ხმები საარაკო
 გაცდა სოფლის კიდეს
 და როს წაუკიდეს
 ცეცხლი მტერ-მოყვარეს,
 დებმა გადმოღვარეს
 ცრემლი ვით სპეკალი...
 ვინ აჯობა რაინდს!?
 ბაეშს ვერ გაბერკვია,
 მაგრამ მსურდა მაინც
 ვინმეს მოვეკალი
 რიგორც მერკვილაძე.

ჩემოლიუსიონური საქართველო

ხმამალლა,
 ხმამალლა,
 ხმამალლა
 ისმოდეს გმირული მოტივი
 ეს ათი წელია! ეს გახლავთ
 რევოლუცია, ისტორიის ლოკომოტივი.
 თუ საქართველო, ასეულ წლობით
 მზორგავი
 კავის, სახნისის ბაზისიდან წინ გაეშურა
 რეკონსტრუქციის ფართო გზაზე — დასცა
 ბორკილი
 სოციალისტურ ინდუსტრიის ნიადაგს
 მიჰყვა
 თუჯი, ნახშირი და ფოლადი
 ამოაქვს გულით,
 და სახელმწიფოს მესაქე კლასს
 აბარებს იგი,
 კოლექტივების ენერჯიას და ნებისყოფას!
 დაჰკარით! ასტუხეთ გრიალი
 ხმამალლა,
 ხმამალლა,
 ხმამალლა!
 ჩვენ დაეფუძნეთ კოლექტივი,
 მსოფლიო მთელი —
 ერთ უძლიერეს კოლექტივად
 უნდა შევიქნათ.
 რამდენიც დღეა, გვყავდა და გვყავს
 იმდენი მტერი
 მაგრამ ჩვენ ვიბრძვით თვედადებით
 გარედ და შიგნით!
 არყის სმისა და ქარისაგან
 ჩახლენილმა ხმამ
 როგორ გველურად მიიფარა
 სახეს ნილაზი!
 ღიმილით ღარიბს შესთავაზა
 გლუხს გაზაფხულზე
 საუკეთესო სათესური,
 კარგი მარცვალი.
 გლუხი, რომელიც გაჰყურებდა
 თავის მწიერ მინდორს
 გულდაწყვეტილი თვალებით რომ
 სჭერებდა მობოლას,
 მობოლა კიდევ კმაყოფილი
 მოავლებდა თვალს
 თავის უსიეროდ გაშლილ მინდვრებს.
 თავის ხოდაბუნს.
 აჰა, ხვალ დილით საბჭოების
 არჩევნებია!
 ეხლა ნილაზი მიდის სტუმრად
 სხვა ღარიბ გლუხთან
 უზარმაზარი ჯიბით იღებს
 უკეთეს ვაშლებს,
 და ღარიბისას დაუმოსველს
 ბავშვებს თავაზობს.
 ვალერსება მათ, გულში ღრმად
 დაუარულ ზიზლით,
 მამას პიირდება შემწეობას,
 იცოდებს, ოხრავს.
 არჩევნების დროს ის მათ შორის
 სეირნობს, ხუმრობს.
 და არჩევნებშიც მოუტანეს
 მას სიბარული

ის იირჩიეს საბჭოს წევრად,
 მან გაიმარჯვა!
 ღარიბ გლეხების ორ ათეულს
 დიდი ხანია,
 რაც ენატრება კოლექტივად
 ჩამოყალიბდეს.
 დახმარებისთვის საბჭოს წევრთან
 მივიდნენ ერთად.
 მან არ ურჩია: სულ მთლიანად
 დავინგრევეითო!
 მაშინ გლეხები თავდახრბილი
 უკმაყოფილო
 უიმედობის და სიბრაზის
 დაღით საზეზე
 თავის სახლებში ბრუნდებთან
 უკოლექტივოდ.
 იგრძნო ნილაბმა და სისწრაფით
 მიხი-მოხია
 დაანაწილა თვის მდიდარი
 ადგილ-მამული
 მკედარ სულთა შორის და უმწყო
 მშრომელის სახით
 ვაძვრა კვლავ ცოცხლად დაარსებულ
 კოლექტივში
 დაიწყო მისი შიგნიდან ღრღნა,
 ხანამ არ გახრწნა...
 გამარჯვებული, უღარიბეს
 გლეხის მოწმობით
 შეიჭრა შემდეგ მეურნეთა
 საღაროს წევრად;
 შეიძრა მაშინ, ამოძრავდა
 თესლეულობა,
 და ტრაქტორები, ტრიერები,
 გუთნები, ფული
 დაიძრა წითელ ნილაბისკენ
 ბობოლა გლეხთან.
 მისი მინდვრები და ბაღები
 კვლავ ააყვავა.
 ღარიბიკ და კოლმეურნეც
 გაშეშდენ უცებ.
 უკმაყოფილოდ აგუგუნდა

და ახმაურდა
 ეტყინული
 კოლმეურნეთა, საშუალებების
 ახალი რივი:
 საქმე არ მოდის, ხელს არ გვიწყდის
 თვით ჩვენივე შიამო!
 ზურგი ვაქციოთ კოლექტივებს,
 წავიდეთ: ჩვენთვის!
 ერთი წამი და ის ნილაბიკ
 ებლა იქვეა:
 აღიზიანებს და იმავე ღროს
 თითქო ამშვიდებს.
 და ძლიერდება ვაჟულანგვები,
 მუშკორთა დევნა,
 რევოლიუციონერს პატიოსანს,
 სდევს უნდობლობა,
 ორმოცდაათი ნილაბიდან
 გადასახადებს
 იხდის ორმოცი.
 დიდი ნაწილი სიმდიდრისა
 დაფარულია.
 მოჯარდა წითელ ნილაბების
 მთელი არმია.
 მან გადასწყვიტა და დაიძრა
 ქარხნებისაკენ.
 გამოაცხადა
 პურის ვაფიკვა.
 მაშინ კი, ისიკ აგუგუნდა
 თვითონ გიგანტი—
 მუშათა კლასი...
 კოლექტივი კი ჩვენს სოფლებში
 იზრდება, მძლავრობს.
 შრომა ედება სიხარულით
 გაცხარებული
 შავი ზღვის ნისლის შესადარად
 გაფენილ ყანას.
 რევოლიუციონერ შინაარსით,
 შემოჭმედებით,
 დიდის მაშტაბით უნათლესი
 და თვალსაჩინო.
 ხარისხობრივი მაჩვენებლით
 უღიადესი!



როს უნებურად შეადარებ
შენ ამნაირ დღეს
დღეს გუშინდელს და გუშინწინდელს,
მაშინ მიხედები
რა უდიდესი გარდატეხის
გავიდა წელი.
ეს თესვა, ეს მკა, კავშირია
მშენებლობასთან.
მის ძალღონესთან, ტვინთან, კუნთთან,
და იმის სისხლთან.
ამ დაუნდობელს და კლანობრივ
შეტაკებაში
ახალს და ახალს სიმაგრეებს
იპყრობს მშრომელი.
მშრომელი მასის უდიდესი
შხარის დაჭერით
ისპობა ბნელი ნიღაბები
და ჰალოები.
ასეთ დღეებით სულ წინდაწინ
მიღის სოფელი
სოციალისტურ გავრთებით,
რათა დამკვიდრეს
მიწა საერთო და საერთო
შრომა მიწაზე!
ჰა, მოახლოვდა მოსავალის
აქრეფის ხანი.
ეს ფიცხელი დრო, შემოდგომა
მოგვიახლოვდა,
ჰეი, დაეწყეთ მოსავალის
დროზე აღება.
უკლებლივა და თავის დროზე
მოვლა-შენახვა.
აბა, ვით იყო, ვნახით
თესვა ნაყოფიერი.
როგორ ეუბნებდით მუშაობის
საქირო ტემპებს?
გავაცხოველოთ მუშაობა!
უნდა მივიდეთ
ყოველ სოფლამდე და კომლამდე —
კოლექტივამდე,
დაბლობებში და მთავორებში

იქუხე, შრომავე!
მოღის საქირო ინვენტარში
სწვდება ბელლები? ბიზნესში
იქედებიან საწყობები?
სახელოსნოებს
ქალაქებიდან ეხმარება
აქ მუშა ხელი?
აგრონიომები? მანქანების
შემკეთებლები?
ჰეი, ფიცხელი დრო, —
ფიცხელი დრო მოგვიახლოვდა!
რომ ფიცხელი დრო
მოგვიახლოვდა,
კოლექტივში, ქალაქის მახლობლად,
მას გრძობს ჩვენებაანთ ნიკა.
ის აზრიანი კაცია.
მას ყოველდღე აჭებს გაზეთი
„კოლექტივიზაცია“.
სხვებთან ერთად ბაღში ცისმარე დღე
ტრიალებს ჩვენებაანთ ნიკა:
ფიცხელი დრო მოსულა,
ჰარიკა, ჰარიკა!
კოლექტივში არის ნიკა
მიიარე, მიიარე
კოლექტივში ვაშლებია
და ატმები მსხმოიარე.
უამრავი კომში უდგა
უამრავი ბროწეული,
ყველაფერი ბლომიდაა
მოსაწვევი, მოწეული.
მაგრამ...
გატყდა მოსვენება
გულში გაჩნდა რაღაც კენესა,
ყველაფერი აერია
სამად უმზერს მაღლა მზესა.
მუხა —
ცაცხვად ეჩვენება,
ბზა —
ჰგონია წიფელი —
არ ასვენებს ეს ბობოლა,
ეს ნიღაბი წითელი.



საქართველოს
საზოგადოებრივი

ცხვირი უგავს შშიერ არწივს,
წარბ-წამწამი ეშმაკს უგავს,
თვალეზში რომ აღმურია
ზღვასა და ხმელეთს გადაბუგავს.
ის ხან წყნარზე წყნარია,
ხანაც უდიერია,
საერთოდ კი ყოველთვის.
კოლექტივის მტერია.
ძლიერ საგონებელშია
ჩავარდნილი ჩვენი ნიკა
ამ ბოზოლას, ამ სისხლის მსმელს
ვერ მიუდგა აგრე რიგად!
ამასობაში მზეც ვადინარა
სალამო მშვიდი, სალამო ნელი
გორის მიდამოს გადაეფინა
და ტირიფონის დაფარა ველი.
— გადაუძახე ცხვარსაც, შო, და
ხევეში ვალაღე!—
სადღაც მთერალის მოისმოდა
პარი-არაღე!
ღრუბელს ყელად მოელვარე
გადაუქანდა,
თსუთმეტი დღის ბადრი წივარე
სოფლის დუქანთან.
ნელმა შუქმა ტყე-ეზოზე
ნამი მოლილი,
იქვე ნიკა მზარ-თეძოზე
წამოწოლილა.
ხედავს: ცაზე შუქთ გემია,
და ეღვარებს როგორც ძივი,
მუუდროებს მისცემია,
წარსკვლავების კოლექტივი.
აქა-იქ კი, წესვენებით
და სიმშვიდით ეწყაოფილი
მიმოცურავს ღრუბელთ გროვა,
არტელეზად დაყოფილი.
ერთ ადგილს ვეღარ ისვენებს ნიკა,
გადაიარა შარა ნაგები,
გზაზე მიმავალს დაფიქრებითა
შემოცხვივინენ ამბანაგები:
„რამ მოგაწყინა,

პატარა ნიკა,
რა ქვეყნის ფიქრი მარტინეზში
გაწუხებს ნიკა, ბიზნისისა
ეხლა თეატრში
წაეიდეთ ნიკა,
ძიელ საკირო
კრებაა იქა“.
გარშემო წყნარი არის მიდამო
ქუჩები მშვიდი, სახლებიც კობტა;
მიდიან. განვლეს მიდამო ქობთა,
ეხლა გაიმზობთ
რაც იმ დღეს მოხდა.
ეხლა თეატრში ზის ნიკა.
და ხალხიც მეტად ბევრია.
მუჯღუგუნსა სცემს
თომიანთ გიგა:
„ნიკა! ეპენდე!
შენი ფერია!“
ის არის ნიკამ არ შეიშინია,
ვითომდა ისე,
არაფერია!
თეატრს ვინ სჩივის?
ისევე ხედავს,
მუქი, ბრწყყვილა
ვით შავი ჭიქა
თვალთ დაუბნელდა,
გაცეცდა ნიკა—
ისე არ მოსწონს
და ეზიზღება
მას ეს ბოზოლა,
წითელი ნილაბი.
თაებრუ ესხმის, ვეღარ არჩევს
რა რარიგად სწერია,
თეთრი შავად ეჩვენება,
შავი თეთრის ფერია.
თეატრი ხომ
არ არის ყანა
არც ველებმის ფარჩები.
მაგრამ ერთი ბოზოლა ზის,
ასში გამოსარჩევი.
გაუღიმა შანაც ნიკას,

შორიდან რომ დაინახა.
 ნიკა ამბობს თავის გულში:
 ჩემო თავო, მოკვდი რაღა!
 ვაბედა და, რაჯი არ-რას
 გრძობდა ერთი ზიზლის გარდა.
 ისევე მისკენ მიიწია,
 ჯერ აღრევა კიდევ ფარდა.
 მისი მისვლა,
 ჩვენს ბობოლას
 რა თქმა უნდა, არ იამა;
 „რაზე ფიქრობ ჩვენი ნიკა,
 რა ფიქრები გაწევს დარდათ?
 მის მაგივრად პასუხს აძლევს
 თვით ბობოლა, კუშტად მდგარი;
 „მწუხარე და დარდიანი
 ეხლა ჩვენში ვინ არ არი?
 არყის სმის და ქარისგან
 ჩახლეჩილი ხმით
 ეს ბობოლა გლეხი
 აბურჭვინილი თმით—
 ფულს ჯიბეში ჰყრის.
 სულში —
 წვიმა სცრის,
 ნისლიანი, ბნელი წვიმა,
 გიორგობისთვის...
 შემდეგ ისევ იმეორებს
 გარეგნულად წყნარზე-წყნარი:
 „მწუხარე და დარდიანი
 ეხლა ჩვენში ვინ არ არი“?
 არყის სმისა და ქარისგან
 ხმა-ჩახლეჩილი,
 უქულო და გულზე პერანგ-
 გადაგლეჯილი—
 მარიფათით
 ჭორებს ჰყიდის,
 აქაც მოდის,
 იქაც მიდის
 დააქვს გულში დაგროვილი
 თივა, ლენჯყო და ნაღეკი
 მოღრუბლული დღის ამიდის
 ეგლისება სულში ლექი.

ფურ. „მნათობი“ № 1-2.

არყის სმისა და ქარისგან
 ჩახლეჩილი ხმით
 იგი ამბობს: გარეგნული
ხელოვნობა
 „დარდი რაა,
 თქვენ ქვეყნისა სთქვით“!
 — მაინც რაა საგლოვარი“?
 ჰკითხავს ნიკა დაუმცხრალი.
 იწყებდება იგი გლეხი,
 „ჩვენს დროს დაუდგესო თვალში
 მაიგონეს კოლექტივი
 ბავშობაა, არა მჯერა,
 სამ ძმასაც ვერ შეუქმნია
 გაუყოფლად ერთი კერა.
 რანაირად შესძლებს ასი,
 და ორასი? ვერა, ვერა!
 დაილუბოს, დაიკარგოს
 ამნაირი ბედისწერა!
 სოფელს ღმერთი დაავიწყდა,
 ეკლესიას არ აქვს სხივი,
 უთანხმობას ხალხი მიაქვს,
 ვით მდინარეს მიაქვს ტივი,
 ღმერთსაც ხალხი დაავიწყდა
 ამას ვამბობ, ამას ვჩივი,
 რანაირად გაიხარებს
 ამნაირი კოლექტივი“?
 ნიკას პირზე
 ღიმი მოსდის
 მოკლე პასუხს
 აძლევს მშვიდი:
 „ნახე ჩვენი კოლექტივი,
 თუ გასურს ნახო მაგალითი“.
 — რა, ნიკა-ჯან
 რა მაგითი?
 — საქმე დაყენებული გვაქვს
 ერთობ კარგად. სჩანს დღე-ღლითი“...
 გლეხი შევახედ იმეორებს:
 — რა, ნიკაჯან,
 რა მაგითი?
 ლოცვა არ გრწამს, მარხვა არ გრწამს,
 მღვდელს არ მისცეთ გროში ფარა,
 ცარიელი ყბედობაა,

5067



და სიტყვები წარა-მარა
საში ძროხა მევე მინდა,
სამისათვის ის არ კმარა.
უკუღმართი დრო დაგვიდგა
და დაფრუდე? — არა, არა!
ნიკა სწრაფად აენტება:
— რა ხმაღს იქნევ, ვისთვის გინდა?
ღმერთიც გადაგდებულა,
და იმისი სული წმინდა.
სხვანაირი ველმინდორი,
და ყანები აბიბინდა,
გამარჯვება ღარიბისა
ერთობ კარგად დაგვირგვინდა
(სხვების თვალთ)
მოხვდა რივად;
ყოჩაღ, ნიკა!
ყოჩაღ, ნიკა!
ნიკამ გული გაიმეგრა,
და მაგარი სიტყვაც დაჰკრა:
„ვებრძვიტ რიყეს, ვებრძვიტ ეწერს,
გარდაუვალს ვანგრევთ მესერს,
ისე ჰქონდა მესერს ძალა
როგორც ციხის შესამე სერს.
ესეც სოფელს, ესეც ქალაქს,
ესეც თქვენა და ესეც ერს
სუ ასე სჯის კოლექტივი,
და ლენინიც სუ ესე სწერს!
აბა ნახე ტყე და ქალა
მისი ძნები, მისი ჩალა.
წინად ძალა თქვენი იყო,
ეხლა ჩვენი არის ძალა.
ლობის ძალაც დიდი იყო,
წნელში წნელი გაიყალა,
გაძვრებოდა მხოლოდ შუქი
და ნამკეცა ლობემძვრალა.
თქვენ ამბობდით: რას დააკლებს
ლობეს ძალის ყეფა ავი,
ძალლიც კი იცავდა ლობეს,
როცა ღამე იყო შავი
შენც რომ ჩამოგიკიდნია
შენს მესერზე ცხენის თავი—

ლობეს თვალი არ ეცესო?
თვით სოფელს კი გასქვანდა
ნიკას სხვებიც მიეშველნენ
— რამდენ ბოროტს და სულ-მდაბილს,
მოსვენება არა ჰქონდა,
რა ნახავდა ლობეს დაბაღს!
ნიკა უფრო გულს მოეცა
გამოუდგა ლობის ამბავს:
— იყო ბრძოლა ლობის გამო,
არა ერთხელ ლობის სარი
ტრიალებდა იარაღად
სასტიკი და ამეზარი.
თქრიალებდა სისხლის ღვარი.
იდგა გლოვა, იდგა ზარი
სასტიკ მიწვე-მოწვევაში
ხმაურობდა ჯარზე-ჯარი.
ორლობიდან ორლობემდე
იგერებდა ძალას-ძალა:
„ჩემი კერძო საკუთრება,
ნუ გგონიათ ილა-ალა!
ისევე ნუგზარ ერისთვიდან
ჩემი იყო ტყე და ქალა“.
არყის სმისა და ქარისგან
ჩახლეჩილი ხმა,
ამბობს: „ლობეს ნუ დასციინს
ჩემი ძველი ყმა.
შენ იმ ლობეს ნუ დასციინი,
ნუ გგონია ლობე ჩხირის,
ლობესა და ლობეს შუა
ხშირად ბევრი ლორი ჰყვირის.
უნდოდა კი რომ ეგემა,
გემო სიმინდის ზვირის,
მაგრამ ლობე მუხისაა
და უღელიც მუხის ძირის“.
იქვე მყოფმა ერთმა გლეხის
ქალმა სიტყვა ჩაუმატა:
— ისევე ლობე?
ვითომ რათა?
ზობოლებს სისხლი მაინც
რომ არასღროს იკარგება?
ბევრს სურს კოლექტივში შესვლა



შაგრამ ეს არ ევარგება.
სწორედ კი აჯობებს მათი
აძეგება, აბარგება,
ამოსუნთქვა ვერ მოასწრონ
და ვერც დალაპარაკება.
მაშინ იმ ღორის ამბავიც
სხვაფერ შემოიქარგება
შაგრამ არ გვაქვს თქვენი შიში,
სთქვი, რაც გინდა! კი გაქვს ნება!
არყის სმისა და ქარისგან
ჩახლენილი ხმა
გულმოსული მიმართავს ქალს:
— ვითომ რა გსურს თქვა?
ვითომ რა გსურს გამოხატო
სიტყვისა და სიტყვის შუა?
კარგად ვიცი, შენ რაც გინდა,
შაგრამ ვინ სთქვა ქალის კეჟა?
მისი კეჟა, ნათქვამია,
ჭათის ტვინის ტოლა თუა
რა გამოვა იმისაგან,
როცა თმებმა გააბრუა?
ქალი გამოსადეგია
მხოლოდ როგორც საყვარელი
ერთი მაინც უნდა გყავდეს
თუ მეორეს აღარ ელი.
თუ ტირილი წამოგიწყოს
პირზე დააფარე ხელი,
უთხარი თუ რა გატირებს
არა გიშავს არაფერი,
ქალაქს წავალ, წამოგიღო
საჩუქრების წყება მთელი
დამიჯერე, ნუ ხარ ეგრე
კეჟა მოკლე და თმა გრძელი.
ტირი—როცა ბედი გიწევს,
ხარობ—როცა გიკებნს გველი;
ქალი ქმარის მონა იყოს,
ოჯახს არ გაუშვას ხელი
პური აცხოს, კეჟაბი რეცხოს
რიგზე ეწყოს ყველაფერი.
შენ კი აგერ, ამ თეატრში
წამოსულხარ და რას მღერი.

— უკაცრავად ძლიერ თქვენთან,
მიახალა წამსვე ქალს
ქალი ეხლა სხვა გზას ადგას.
ის მომავალს მემისალმა.
იგი საზოგადოების
ერთგულია მშრომელი,
ბოსტანი თუ დასტოვა,
გახდა მიწისმზომელი.
ეხლა—საბჭოს წევრია,
კოლექტივიშიც ვარგია,
ყველგან თავმჯდომარეა,
ყველგან ამხანაგია.
თქვენ ტყვილა გაიძახოდით
ქალი კეჟა სუსტიარა,
მისი თმების სიაჯარგე
ვის არ გამოუტდიაო*.
ეხლა ნიკამ ჩაახველა:
„ქალს რას ერჩი? მე მოთხარი!
მღვდელსაცა და ბოზოლსაც,
ქილოფშიც კი იცნობს ყველა.
ვიცი, ჩვენთან გინდა მოსვლა,
ხუმრობაში ნელა-ნელა,
კოლექტივიში ამნაირი
კაცი მოხვდეს, როგორ, ბნელა?
არყის სმისა და ქარისგან
ჩახლენილი ხმა
იღიმება:
„გახსოვს მოჯამაგირობა
ნიკა, გახსოვს, საიკრე.
შენ ხომ ჩემი, კარგა ხანი
იყავ მოჯამაგირე?
სული მოჯამაგირისა,
ვიცი, სულ სხვა დროა ახლა
მალე სულით დაეცემი,
მალე ცხვირს აიწეე მალლა.
რა უუთხრა მე დროებისა,
შენ რომ გავამამაძალლა.
ბოგანობა მოჯამაგირა,
ჩემს მამულში ჩაგასახლა.
როგორც ამ ხეს, ისე შენცა
არ გცხვენინან არაფერის

თითქო თვითონ გააშენე
 ეს ბალეტი მშვენიერი
 გზაზე არეინ არ გიხედება,
 არხეინად მიიმღერი.
 ჰაი, ჰაი, რა დრო დადგა,
 დროო ძველი კახაბერისა
 არყის სმისა და ქარისგან
 ჩახლეჩილი ხმა განაგრძობს:
 „შენისთანა ცხენს შეისვი
 ცხენიდანაც გადმოგაგდებს,
 ჩემი მოჯამაგირე რომ
 თავის ბატონს არად მაგდებს?
 შენ ქვეყანა გააშენო?
 ისემც ღმერთი ამოგაგდებს
 მონა მონად გაჩენილა
 იგი ვინ სთქვა ამხანაგად.
 თუ საომრად გამოდგება,
 გაუტყე ჯორთ ბანაკად.
 თუ მერე თავს გაუვიდა
 სითეთრესაც აქცევს ლაქად,
 წყეულ იყოს მისი ბნელი
 მოსულა სოფლად და ქალაქად.
 ამხანაგად შენთან კი არ
 ერთმანეთს ვერ ურიგდება
 ერთ შეკამანდს ვერ გაიყოფს,
 არ აქვს ერთი ყურიგდება,
 რომ ვახედო თქვენს კოლექტივს,
 ერთობ გული მოგიკედება,
 თქვენი ყანა და მიდამო,
 მოუკლებლად ლება, ხმება.
 ნიკა ამბობს: ხუმრობ, შენა
 ატარტალე კიდევ ენა...
 ვინ გადასწვა ჩვენი თივა,
 შავი დღე ვინ გაგვიტენა?
 მიპასუხე, აქ რო დგეხარ,
 ნამყენი ვინ აგვიჩება?
 სიცოცხლეში არ მინახავს
 შენისთანა მანე გლეხი
 მხარზე ნაჯახს რომ გაიდებ
 სხვაფრივ გადაგცდება ფეხი.
 იმ ფეხსაც არ აუჩქარებ

თუნდ დაგიცეს თავზე მებე
 თორე ეხლა აქ რა გინდა
 რისთვის არ დაიღვი კეხი?
 გონებიდან არ ვშორდება
 ძველი ყანა და ფარეხი?
 ჯანდაბამდის ვზი გქონიათ
 აი მტკვარი და არაგვი
 დაინახე აგერ ფაქტი
 და ის ააღაპარავე.
 უღვეველი მითი დენა
 ერთხელ დაიღვარა რა-კი
 არის მხოლოდ კოლექტივის
 უხვი განძი და მარაგი.
 რა ესმოდათ მათ ღარიბის
 და ჩაგრულთა ბრძოლა—კენესა?
 ზოგის აზრით ხალხს თუ იხსნის
 მხოლოდ წირვა, მხოლოდ მესსა,
 თუ მორწმუნე აზიარა,
 და ემთხვია კარის ბჭესა,
 ის აღსდგება, როგორც ქრისტე
 აღსდგა მესამესა დღესა.
 ამნაირი ქადაგებით
 ხომ გამოდის პაპი რომის.
 ყველამ იცის განზრახვები
 იმ სულმყარლის და ქვემპრომის.
 ვითომ ქრისტეს მოციქული,
 ნაშთი ჯვაროსანთა ტომის
 ეს ზეიზერ წაწ მენდილი,
 მნატვრელია ახალ ომისა.
 ამის მსმენი, იქვე ახლო
 იღვა მღვდელი, ყოველად ფლიდი-
 მან კრძალულად და ნაწყენად
 დაიგმინა: „ჰაი გიდი!
 ჩემის თვალით დაეინახე,
 სიონის რომ მოსწყდა ზარი,
 მიწა ისე ჩაიხნიქა,
 როგორც დევის ნამუხლარი.
 ხმა გამოსცა გაბზარული,
 საბოლოო, ცივი, მკვდარი,
 ეპ, ბევრი რამ მასთან ერთად,
 იყო მხოლოდ, აღარ არი!“



ნიკა: „ბევრი შენისთანა
შე არ ვიცი როგორ ბედავს,
ახალ დროის გამარჯვებებს
ხედავს, მაგრამ ვეღარ ხედავს
ლამით აღებს ეკლესიას,
რასაც დღისით გადაჭკეტავს.
ნეიტრალურ ზონაზეა:
კიდევ ხედავს და ვერც ხედავს“.

იქვე სულით ლაჩარი
იღვა ძველი ვაკარი.
როცა მშრომელს ლამობდა,
იგი ბრძულად ამბობდა:
„შე არ ვიტყვი
რამეს სხვას,
სასწაულზე
იმან სთქვას
ვინაც გადაურჩება
ათას-ცხრაას—
ოცდა-რვას“.
ის დრო არ დადგა დღემდე
და ის ამბობდა შემდეგ:
„შე ვიტყვი და
აი რას:
ეს ქვეყანა
იმან ხრას
ვინაც გადაურჩება
ათას-ცხრაას—
ოცდა-ცხრაას!“

აი, ერთი წლის შემდეგ
ის იმეორებს დღემდე:
„არაფრის თქმა
არა მწიდას,
დაუმადლოს
იმან ხატს,
ვინაც გადაურჩება
ათასცხრაას ოცდაათს“!
ოცდაათიც გავიდა,
იგი იწყებს თავიდან:
—გადამრია ნანახმა,

თუმცა არ ვარ თანახმა..

ნიკა: —ახალ საქართველოს
შენ არა ხარ თანახმა?
ბრმასაც კი შეუძლია
მისი წინსვლის დანახვა!
—შე არ ვიტყვი
რამეს სხვას..
სასწაულზე
იმან სთქვას
ვინაც გადაურჩება.
ცხრაას-თერთმეტ-სამოცრვას“!

ეუბნება ნიკა მას:
—შენ ნუ იტყვი რამეს სხვას
ვერ დაამრობ სიტყვით ზღვას.
ვისაც რა სურს, ისა სთქვას
წინაქვილმა კი ფქვას და ფქვას“!

არცის სმისა და ქარისგან
ჩახლეჩილი ხმა
მთლად დაიბნა, აირია.
ვერაფერი სთქვა.
სასიკვდილო ერუანტელი
უვლის ტანში მწარე შიშით,
თეატრში არ წამოსულა
ის ამნაირ ანგარიშით,
მას კი სურდა აქ გართობა,
მაინც ბობოლაა ჯიშით.
იქვე იღვა აზნაური
ჩამომხმარი, ფერშეკრთალი
ეხლაც სახლში უკიდია,
მოკაუჭებულნი ხმალი,
ვახტანგ მეფის კანონებზე
ფიქრობს გული მიმავალი.
ენაცა აქვს იმნაირი,
როდის ჰქონდა ენას ძვალი?
საქართველოს ხერხემალი,
საქართველო ჭედმაღალი!
ეს სურდა მას გაეგონა,
აქ კი აურ-ზაურია:

მოსცხე თავად-აზნაურებს,
მღვდლებსაც აურ-დაურზე!
ბობოლაც და აზნაურიც
ამ ქირში ვინ შეათრია?
—დალუპულა საქართველო
თუ რომ ესეც თეატრია!
აგერ კიდევ ნიკა ამბობს:
„შორს არაა ის დრო როსაც,
არა მარტო სოფლის საზღვრებს,
საზღვრებს წაველით მსოფლიოსას!
საზღვრები დიდი ღობეა
მუდამ გეჭიროს თვალებური,
ლოზუნგი მისი დანგრევის
მასიურია, ხალხური!

აქ ბობოლას მოეჩვენა—
იძრა მიწა, გასკდა ქურა
წამოვარდა და სისწრაფით
კარებისკენ მიაშურა,
ვაჭარს მიჰყვა კრუხის პალო,
კრუხის პალოს აზნაური,
აზნაურის შემდეგ მირბის
ანაფორა საცნაური.
მოცხრილეს[და უკან მისდევს,
ხალხის ხარხარი და მეზი,
ამის შემდეგ მათ თეატრში
აღარ შეუცდება ფეხი.

მხარი მხარს, მხარი მხარს,
კოლექტივო, მხარი მხარს,
აბა ჰე, აბა ჰე!
აბა მივსცეთ მხარი მხარს!

აწ ნიკას თავს დაეანებებ
ის მომავალის სხივია
რეკოლიუციონურ ვაგებით.
შენ დამრჩი ერთი ზმანება.
თქვენშიდაც კოლექტივია
ნოყიერ ნიადაგებით.
მაგრამ არა ის მერანი,
ეპოქა გულუშიშარი,

არა სიმბოლო მძლეობის,
შენს სახლში ჰყვავის გერანის
როგორც უდავო ნიშანი
მეშანურ კეთილდღეობის;
ჩვენ ვიბრძვით—იქცეს ტყე-ფელი
ინდუსტრიალურ ბაღებად,
გზად იქცეს მიწა ვერანი,
შენთან კი შეუღვევილი
ისევე გულწასაღებად
ჰყვავის და ჰყვავის გერანი.
გერანი—როგორც გერანი!
როგორც გავლილი ანბანი,
წიგნშიც ფერადი ზონარი.
იგი დრო მოუსვენარი,
ის სუმბურული ამბავი
აწ შწარედ მოსაგონარი.
მარხადენ პოეტს წერეთელს.
დრო იყო და თავადების
სახეს ჩნდა: „იგი ჩვენია.
შეენება იმერეთისა, ჩვენის მზის,
გულის ნადების
და განზრახვების გენია“!
აჰა, თქვენია! იმ ავტორს
ხალხი აცხადებს მამადა
ვინც ბევრჯელ მისცა თაკარა.
ის ხალხი, ვის ოცნებაა—
ღვინო, ქალები, ჰამა და
ჩაემა-დახურვა, ბაქარა!
ქირისუფლობდენ: დაეკარგეთ,
ვაი, რა მზეო, რა განძი!
და გლოვის რთავდათ შავები.
გონებაში კი ავ-კარგად,
თასი გადაღის და ყანწი,
ძალღები, მოურავები.
მუდამ რო ეს მუქთაბორა,
ეხვია პოეტს იმნაირს
ვის მსგავსად ხდიდენ ტიტანთა,
რისთვის კარი არ დახურა?
როგორ იტანდა იმ ჰაერს?
მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერ იტანდა!
აჰა, ეს ეზოც. შევედით.



სვეტებს გადაჰკრავს იერი
 მრავალი ნასასხლარის.
 ერთი ღვას თეთრი ღვევივით.
 სხვა სახლიდან კი ცბიერი
 სუნი გამოდის მალღარის.
 სღვას მზარეული ჯერისა,
 თეთრი ქუდით და საფარით,
 ხის ტოტებს სჭრადენ გლეხები.
 აქ ბატონყმობა ჯერ ისევ
 არ იყო ძველი ზღაპარი —
 სხვა ზღაპრებს მე არ ვეხები!
 როს ფეოდალმა ძლიერმა
 ეს საძირკველი ჩაჰყარა,
 სძარცვა გლეხობა და ვიდრე
 იცოცხლა — იბედნიერა.
 გარდაიცვალა ქაღარა
 და დარჩა მსგავსი შემკვიდრე.
 ბოლოს მოვიდა მწერალი,
 როგორღაც შთამამავალი,
 ასცდა წინაპართ ლიანდაგს;
 მან მოიტანა ლექსები
 და კარგი შუქი მრავალი,
 მისცა ამ ბოროტ ნიადაგს.
 შეედიოთ შიგნით. გულს ადევს
 პოეტის ცხედიარს ჯვარი და
 მას კრძალვით ეამბორება
 პრული და ფერად-ფერადი,
 ხალხი შიგნიდან, გარიდან,
 აწ გადასული ცხოვრება.
 მოხდაო უბედურება!
 რა ჯამაათი! რა ჯარი!
 რა მზა ვაი და უია.
 როგორი მდინდურება,
 სიდან მოსული ვაჭარი,
 რა ყალბი ალილუია!
 დაცინეა! შეურაცხყოფა!
 მართლაც რომ ნამეტანია!
 არ შემძლია. გავრბივარ!
 და ჰიათურის მთათ წყობას,
 იმ შავ-ქიას, რაცა ხანია,
 ვავეურებ თითქო ხარბი ვარ.

უცებ მოვკარი ძირს თვალს,
 იქ სად ტყეა თუ ვეწინააღმდეგები
 რომ ვერ ამხნევედა ვერაუნი
 იღვა სამასი წლის ქალი.
 მის გვერდით შენ დაგინახე
 ხელში სახსოვარ გერანით.
 შემდეგ შენ იღექ ცერებზე,
 გერანიც სცემდა გრძობაზე,
 როს მალალ სიტყვებს ისმენდი.
 ლომურზე, უდარებელზე,
 პოეტის გარეგნობაზე
 ყბედობდა ინტელიგენტი.
 იყოო გვარი ზე კაცის,
 რუბენსის, სენატორისა,
 ან დინასტიურ მფლობელის,
 მღერალი იყო ეგა ცის,
 სახება ღმერთთა სწორისა,
 სხივი მზის მანათობელის*.
 ეს იყო მაშინ, გარეშე!
 მაგრამ მაშინდელ მგლოვართა
 დღეს არ სჩანს გამჭვირვალე ცა.
 დღე სწრაფი, დრო ანგარიშის
 შეუბრალებლად მოვარდა
 და ყველაფერი დაღეწა.
 თავი გაგართვით თქვენ, მარა,
 გერანისებურ აღმებით
 სხვა მოდის ბაში-ბუზუკი —
 თავის დახწევა არ კმარა.
 რკინით და ცეცხლის კალმებით
 უნდა ამოვწვათ ბუწუკი!
 ასწი ელექტრო-სანთელი,
 რამდენი სამუშევარი
 გვაქვს კიდევ შესათავებო!
 ბორბლების კორიანტელი,
 გვეძახის: „აბა, მღევარი!
 დაიკაპიწეთ მკლავები!“
 სანამ ახალის შენებას,
 ვერც კი მოასწრებ ვადათქმის,
 ისეთი ტემპით ვუღდებით —
 დაჰკარი როგორც ჩვენებას,
 მტრის ყოველ ფეხის ვადადგმას,

მძლეთ! თორემ დავითუთებებით!
 კარხანა ვაოგნებულა!
 ჩვენ ჩაქსოვილი ვართ ხმაში.
 ყოველ მახვილზე-მახვილი!
 სცემს ურო და შეგნებულად
 ნანგარიშვე დარტყმაში
 ხუთწლედის ისმის ძახილი.
 ეხლანდელ პოეტს, მასა გვწევს
 რომ ლექსი ცეცხლის შფენელი
 დაკვრის სიმაგრეს უძლებდეს.

დარტყმას დარტყმაზე თანა სდევს,
 სწორი და შეუცდენეღბა
 ხმა: „ნაწილი ვარ ხუთწლედის;
 არა საბრალო გერანი,
 როგორც უდაო ნიშანი
 შეშჩანურ კეთილდღეობის—
 არამედ ცეცხლის მერანი,
 ეპოქა გულუშიშარი,
 ეპოქა მძლეთა-მძლეობის“!

ძირს სიჟინდის რესპუბლიკა

ამბობენ: ღარიბები ყველაზე ადრე იღვიძებენო;

ჩვენს მიყრუებულ სოფელს ღარიბები არ აკლია, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ მწარე სიზმრებში არიან, როცა ყველაზე შეძლებული მოსახლე, ერემო პიტახია, საცვლებისაშინა გამოადის ორსართულიან სახლის აივანზე და საგანთიადო სიჩქურეში მთელ სოფელზე ისმის მისი ხველება. ნამძინარევე სახეს ცივი წყლით გამოათხიზლებს და მზრუნველობით მიმოიხედავს ეზოში, ლობეში წაფერდილ სარს გაასწორებს, დანამულ მიწაზე დაგდებულ უღელს ურემზე შემოდებს, მცირე ხნით იფუსფუსებს და შებრუნდება სახლში. შიშველ ფეხებზე კალოშებს წამოიგებს, ნაბადს მოიხურავს და ფლასტუნით, ხშირი მთქნარებით გამოსწვეს დუქნისაკენ. წყნარათ გააღებს დარბაზს, გამოიტანს დუქნიდან უშველებელ კალათებს, ქუინტი ყველის ბარჭაშებს, წამოწვება საჩხის ქვეშ და უცდის მახლობელ სოფლებიდან დაბაში საბაზროთ მიმავალ გლეხების ჩამოვლას.

მაღე მძინარე გზატკეცილს შეაშფოთებს გოკების ქყვირილი, ქათმების კრიახი, იხვების მსუქანი ვაი-ვაი და ბონდზე გამოჩნდებიან გოდრებით, კალათებით დატვირთული გლეხები. ისინი რაც უნდა ადრე ადგენ, ერემო ყოველთვის დაასწრებს მათ და მისი თითები ერთ ქათამსაც არ გაატარებს გაუსინჯავათ—მომბილო, ორი ქათმის გულისთვის ოცი ვერსი უნდა გააკეთო იქითაქეთ; ჩემზე მეტს არც იქ მოგცემენ. მარტო ის რათ გიღირს, აგერ შენი სახლის ყურესთან რომ დაგიკლი ხელს და მთელ დღეს არ მოკლები. სახლკარი ხომ არ დაგწვია: ოჯახში საჭმე არაფერი გაქვს?!—გამომართვი, ნუ ჯიუტობ!

ჯერ მორიგებულიც არაა გამყიდველთან, რომ ფულს გულის ჯიბეში ჩაუჩრის და მზრუნველობით დაუმატებს.

— შენთვის გეტუნები თორემ შე რა! ასე გიქნია ქუთაისშიც წასულხარ; შე რა დამაკლდება. ჩემი ფეხებით კი არ დადიხარ!—მანეთიანი საქონელი რომ ათშაურათ შეაძლიონ, მაინც იდავეებს და იჯანჯლებს. ყოველი დაკლებული შაური ისე ახარებს თითქო გზაში პოულობდეს.

•••

— რაა კაცო ეს, ძმარი დამალეენე!—ერემოს დუქანში იშვიათად გამოიკლები ჭიჭა რომ მუშტარმა საყვედური არ დააყოლოს.

— როგორ გეკადრება ბატონო!

ერემო გამურულ წინსაფარზე შეიწმინდავს ხელებს, საჩქაროა მუშტრის ღვინოს დასახამს, მოსვამს და დაფიქრდება. თითქო ერთი ყველაფერს ვერ მიუხედაო, ერთბაშით გადაპკრავს და წყრომით მიუბრუნდება მუშტრისკენ.

— რამ შეაწუხა ბიჭო ეს ცოლიკოფრია? თავლიათ დატოვებდი მოცას? შე მამაძაღლო; დაგელიათ თვალებში სინათლე:

მეკიმ იცის: ღვინის ბოცებს საცობი კი არა, თავიც რომ გადაუგლისო, მაინც არაფერი ეშველება: ღვინო მაშინაც მოძმარებული იყო როცა ჩაახსეს; მაგრამ მეკის ისიც ახსოვს რომ პატრონის გაბალნული მკლავები ბათიანიან მუშტებით ბოლოვდება. სიტყვა რომ შეუბრუნოს და თავი იმართლოს, ეს მუშტები სრულიად არასასიამოვნოთ გაიჯირითებენ მის ზურგზე. ამიტომ იგი ყოველთვის მორიდებით წამოადგამს ნაბიჯს წინ და დამნაშავესაგით გაჩერდება:

— ჩემ ღუქანს იმისთანა მდგომარეობა აქვს, თხლევ რომ ჩავახსა ბოთლებში, გასაფალი მაინც ექნება!— ფიქრობს ერემო და მართალიც არის.

მისი ღუქანი ერთად ერთია გზატკეცილზე. კარგი ვაქრობისათვის ამას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საქონლის ხარისხს. აღიანიდან ვახშომამდე ქვეითები, ცხენოსნები, ურბები, დილიენები და ეტლები მდინარესაგით გაუთავებლად ხმაურობენ გზატკეცილზე. მდინარე უხილოსთან თავს იყრან შორულ სოფლებიდან წამოსული შირაგზები, ბილიკები და აქ უერთდებიან დიდ გზას. ერემო პიტახიმ სწორეთ ამ მოხერხებულ იდგილზე წამოჭიმა სანიკიტრო. მის ღუქანს ვერც ერთი მგზავრი ვერ აცდება. ზოგი კი გამარჯობას დაუტოვებს. ზოგი კი, ვისაც კი გამარჯობის ვარდა, კაი მინეთიანებიც ეგულება ჯიბეში, ორი ჩაის კიჭას გადაპკრავს და დილიენის მოლოდინში ხშირფოთლოვან მუხის ჩრდილში წამოწყდება. მეეტლები უხილოსთან ასვენებენ ცხენებს. მგზავრები ისაუხმებენ. თითო-ოროლა კიჭას გადაპკრავენ და განაგრძობენ გზას. ზოგიერთებს თითო-ოროლა კიჭა ქეიფის მადასაც გაუხსნის. მოლზე ჩამწყკრივებენ ჩარქვიანებს და პავლიკა შეარღნეს მოითხოვენ. ვაი იმ მედილიენეს, რომელიც მაშინ ცხენებს შეაბამს და მგზავრებს დააჩქარებს.

— მეტი ვამიგე, რომელია ეს, ყელის გამოჭრას რომ მიპირებს!

იყვირებს ერემო, მაგრამ ბიჭზე უწინ თვითონვე გამოვარდება გარეთ და თვალებით ისე შეუბღვერს აჩქარებულ მედილიენეს რომ მიწასთან გაასწორებს:

— მოიწი, აქეთ მოიწი; ტუტუტო სამი წუთი კადევ რომ დააყენო მაგ შენი გატყაფლი ბედაურები, ღმერთი გიწყენს?! მაინც და მაინც ახლა რო გაუბი სახლი ხომ არ გეწყვის შე ოჯახპკროს! შენ იცი; ჩემი მიმდურება თუ გარგებს, ვნახოთ... მრავალმნიშვნელობით გააფრთხილებს ერემო; როცა ურჩი მედილიენე ქალაქიდან გამობრუნდება, მიკიტანი დინჯათ შეიპატიეებს ღუქანში; გულჯიბიდან ნიკელის პატარა გასაღებს ამოაძვრენს და ავი ღინცილით მიარგებს დამლის უჯრას. ვისაც იმ უჯრაში მოთავსებულ დაეთართან ერთხელ მაინც ქონია საქმე, იგი მაშინვე წამოადგება და მკლავში წაეტანება მიკიტანს.

— ე კაცო გაუშვი ხელი მა დაეთარს. ვილაც გადამთიელისთვის როგორ მოგინდურებ! შენ რომ არ იყო ერემო, ამ გზაზე სიარული ისე გაგვიკირდებოდა, როგორც დაუტკედელ ცხენს. კარგი, პო, ანგარიშის გასწორებას მერცე მოვასწრებო!



ერემო კარგა ხანს იჯიუტებს, იპირჭუშებს და მოღბუბებს.

— ბიჭო ჭამათ რომ დაჯდებიან, რალა მაშინ აღრიადებენ! კანსაკსად ვი-
რივით! აღროვე ცოტა იმ პატიოსან ხალხს.

— თვითონ ისინი მარჯარებენ;

— კითხვა იცი, წაიკითხე აქ რა სწერია. ძაო ნისია რა სვინდისია; მაგ-
რამ შენ ვინ მოგცა სინდისი. შენს გარდა ვის ვაძლეე ნისიათ თივას და სიმინდს!
მადლობის მაგიერია?!

— როგორ იმასავით მალე ვაფიცდები ერემო—

დაედროჯება შედილიყნე;

— აბლა მიპატიებია; უწემოთ ცხენი არ გაუბა თორემ—ერემო დაემუჭ-
რება ნიკელის პატარა ვასალებით.

შერიგდებიან.

* *

— ერემოს სიცოცხლე!

— ვაგიმარჯოს.

ერემომ მტრულათ გადახედა გიორგი ჯიშკარიანს.

— გუშინ ჩემი ბიჭის პირით შემოგიტვალე—მორიდებით დაიწყო ღუქანში
შემოსულმა.

— ვიცი, ვიცი—ერემომ გულმდსულათ გადაჰკრა ბუზებს წინსაფარი.

— ბავში რომ მომიკედეს და კუბოს ფული ვერ ვიშოვო—გაღლეტილ პი-
ტახიას მაინც არ მივადგებო—ვისი სიტყვებია ჩემო გიორგი ეს.

— რასაც გამწარებული კაცი იტყვის, რა შენი ყურების საკადრისია ერე-
მო; არ ვარგა დამახსოვრება!

— კიდევ აქეთ მაროგებ ჭკუას! ხელი მოგიმართე, გაჭივრებიდან დაგიხსენი,
შენ კი მომდექი და... ცოცხალს ვინ ჩივა, მკედარიც არ დამიტოვე უხსენებლათ,
—ულმერთო სარგებელი მიაქვსო—მე, ბიძი, ჩემი ანგარიშები მაქვს. არ მოგწონს?
გზა მშვიდობისა. შენ შენთვის, მე ჩემთვის.

— ბოდიში მომიხდია—დაისაწყლა თავი გიორგიმ.

— რათ მინდა შენი ბოდიში! გამაძღვს, ჩამაცმევს თუ რა? ვაეკაცი უნდა
იყო, ვაეკაცი, სიტყვის პატრონი! გუშინ 20 თუმანი გადასახადი მომაყვრეს
შუბლზე. რით გადავიხადო, შენი ბოდიშით? არა მაქვს, არა; თავი დამანებეთ!
დაჯდა. თითები საანგარიშო ჩოთქზე შეათამაშა.

— ამასწინ კრებიდან რომ გამაგდეთ, თქვენ არ იყავით! შავსიელი ხარო;
მკედარი ხარო; კარგი ბატონო, მკედარი ვიყო; დამაყენეთ ჩემთვის. მკედარს
მაინც რატომ მაწუხებთ?! არა, თქვენ ასე იძახით. მკედარი ხარ, მაგრამ გადა-
სახადი მაინც უნდა გადაიხადოვო! სადაური კანონია, ვინ შეადგინა მე იმის...

ერემოს თანდათან მოსდიოდა ბრაზი, ლაპარაკში თითი ისე მაგრად გაჰ-
კრა ჩოთქს, რომ მავთულის თავი გამოვარდა და მარცვლები ხმაურით გაგორ-
და იატაკზე. ამან უფრო გააბრაზა.

— ვის არა აქვს ხმა. მე არა მაქვს—და ერემომ ლეარძლიანათ ჩაუკრიმან-
ქულა—თქვენ რომ კრებებზე ხმა გაქვთ, ის თქვენთვის დამიღორცეთ. მე კი ამის-
თანა ნუ მომიშალოს ლმერთმა.

გარედან ცხენების თქარათქური და დილიჩნის რახრახი მოისმა.

— გახედო.

ლომის ზელვაში გართული მეტი წამოვარდა.

— იმისთანა ხასიათზეა შაურსაც ვერ გაავლებინებს კაცი—გაიფიქრა
გიორგიმ.

მთელი ქვეყნის მევახშეებისაგან ერემო მხოლოდ მით განსხვავდება, რომ
იგი გაჭივრებულს არასდროს არ გამოისტუმრებს ზელცარიელად.

— გაჭივრებული სარგებელსაც არ დაიშურებს და ყმათაც გაგზიდება—
ფიქრობდა მდღუქნე და თავის უტყუარი გრძნობით არასდროს არ ცდებოდა
მოვალებების შერჩევაში.

გიორგის ცოლი ყავდა შიშიე ავადმყოფი.

— საშველი არ მომცა დედაკაცმა: ქუთაისში წამიყვანე; ხეჩინოვმა ერთი
რომ შემხედოს, მეტი არ მინდა, ვითომ თავიც არ მტყენია—ისე მოვიხედავო—
ორი თუმანი მეყოფა მოსაეღულათ. თავნი თავნათ იყოს და ნაიღდგომებს მათ-
რახებივით გოჭებს მოგიყვან: ორივე ცოლქმარი სიკვდილამდე შენი მლოცველი
ვიქნებით.

— მაგისთვის ნუ გაცდები გიორგი; ჩემი დალოცვა ის იქნება, შენ თუ შენ
სიტყვას არ დაივიწყებ და შეხსენება არ დაგჭირდება. ფულისთვის საღამოს
გამოიარე—

— კომერატციასთან გაჩერდა—შორიდანვე დაიძახა მექიმ.

— რომელია!

— გალაქტოა.

ერემო სახტად დარჩა.

ორი კვირის წინად ვალმა წითელი სასადილო გახსნა სამაზრო ალმას-
კომში.

— ორ დღეში გაკოტრდებიან—დედიმისიშვილია გაბედავს და ვალმა
გაჩერდება რომელიმე დილიჩანი—იკინოდა ერემო.. მაგრამ გამოიწინა გაბედუ-
ლი მდილიჩენე და ერთ არამშენიერ დღეს წითელ სასადილოსთან გადმოსხა
შეზაერები.

— ვინ მიუყვანა მაგ მამაძაღლებს ჩემი მუშტრები! ვინ მილატა!—გაც-
ხარდა ერემო. დაუხვდა მოლაღატეს, ჩარევა გაუხსნა და უსაყვედურა:

— შე დალოცვილო, გამოიღმა რომ გამოიხვიდე, ფეხები ხომ არ დატყდება
ცხენებს; გამოიწიე ორი საყენი აქეთ. პირდაპირ კომერატციას კარზე რომ მიაგ-
დებ დილიჩანს, ლერძი გაგიფუჭდა, დიშლა გაგიტყდა, რა მოხდა?

— ამ ლეჩნის მადლი გამიწყარეს თუ ჩემით მექნეს; იმ დღეს კომერატციას
გამგის ნაცნობები მომყავდა და ძალით გამაჩერეს იქ.

— ყოველ დღე იქ ჩერდები და რა ვიცი! როგორ დავიჯერო: ყოველთვის
გამგის ნაცნობები დაგყავს?! ამდენხანს აღარ გამიღია ბატონო!

ნაღვლიანათ შენიშნა ერემომ. ლენით და რამდენიმე ტომსიკა ქერით მო-
ლაღატე შედილიენეების გული მოიგო. დამშვიდებული იყო, მაგრამ მდღეს ყვე-
ლაზე სანდო გალაქტომ წყალგალმა დააყენა დილიციანი.

— ჩამივიარდები ხელში. ერემო პიტახია ისე არ წახდება, შენს ოხთში არ
ამოვიდეს... მაცადე, მაცადე!
იმუქრებოდა იგი.

* *

მალე დაშოშმინდა. რამდენიმე უზურგო სკამი ერთმანეთზე მიაწყო და
წამოწევა:— პაწახანს თვალს მოვატყუებ, მანამდე გადირბინე ბარანბასთან. სალა-
ნოთი მნახოს.

შეტი გავიდა, მაგრამ ჩპარა უკანვე შემობრუნდა და შემოუძღვა ნადია-
კენარს, რომელიც თუნუქის უშველებელ ფურცელს მოათრევდა ზურგით.

— მოიტანა,

სთქვა შეტიმ და ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა ნადიაკენარის ტვირთს.

— დაგიხატე, რა დაგიხატე; შხის ჩასელამდე რომ უყურო არ მოგწყინ-
დებამ! აქაქანდა ნადიაკენარი და ფურცელი ისეთი სიფრთხილით მიადგა კედელს,
თითქო თუნუქის ნაცვლათ მინა ეჭირა ხელში.

ქელი აბრა დიდხანია გამობუნდა. აედარმა ნახევრათ ჩამორცხა წარწყ-
რა. ერემომ გადასწყვიტა მისი შეკეთება მაგრამ როგორღაც მიივიწყდა და ვინ
იცის კვლავ როდის გაახსენდებოდა, რომ გასულ კვირას თავისი ვაყის, კოწიას,
წერილი არ მიეღო.

მ ა მ ა ჩ ე მ ი !

მთელი გაზაფხულის მზადებამ ტყუილა იმასავით ჩამიარა. რატომ?
გამოცდები ვერ დაიჭირე? შემეკითხები შენ; გამოცდები ფრიაღზე ჩავა-
ბარე გეუბნები მე, მაგრამ ინტრიგები მომიწყვეს. სოფლიდან ვილანაც გამცა.
პედაგოგიურ ტექნიკუმში ცნობა მოვიდა. კოწია პიტახია მიკიტნის და შვე-
სიელის შეილიაო. გამატარეს წმენდაში და კუდამოძებული მიმბაძანეს
სკოლიდან. ხომ ვაიღე ახლა როგორ ვილუბები შენი გულისთვის. შენ კი
რალაც ხუთ თუმანს მიგზავნი თვეში და იმასაც იმადლები. დატრიალდი
მანდ. აღმასკომის თავმჯდომარე შენი კაი ნაცნობია. როგორმე მოახერხე
და იმისთანა ქალღი გამოართვი, ვითომ მე და შენ ვაყრილი ვართ, რომ
მე ცალკე ვცხოვრობ და შენს კმაყოფაზე არ ვიძყოფები. ამასთან ერთად
გეუბნები მე, სახარჯო ფულიც გამომიგზავნე. ყველაფერს ორ დღეში ვე-
ლი. ვივესკაზე რო გიწერია ვაშანშალებული ასოებით „პიტახიას სამიცი-
ტნო“-ვო, შენი ხელით რატომ ლესავ ჩემ დასაკლავ დანას! გეუბნები მე;
მაგასაც მოუხერხე რამე. გამოცვალე ან სულ მოაშორე მაქაურობას!

შენი მოსიყვარულე შეილი

კოწია

ქუთეისიდან.

— ბიჭოს! — წამოიძახა ერემომ როცა წერილი წაიკითხა და ენა დაეშალა. მის თაყვანსმირებზე თუ საჭმე. ამისთანა პატარა საჭმეზე რაღაცეა გამაშობლებს! იმდენი პატივი კი მიცია მისთვის.

დაფაცურდა. ფორმალურათ შეიღს გაეყარა. შესაფერი ქაღალდები იშოვა. რამდენიმე თუმანიც ზედ დაადო და სანდო კაცის ხელით გაუგზავნა კოწიას.

იმვე საღამოს დაიბარა ნადიაკენარი ლადიმერა და აბრა შეუკვეთა.

გელესიის დახურვის შემდეგ ლადიმერამ მხატვრობით და პოეტობით გაითქვა სახელი. აღიღებდა მიცვალებულთა სურათებს და ქვეშ ისეთ გულდასაწვავ ლექსს უწერდა, რომ ჯერ თვითონ დაიწყებდა ქვითინს, მერე მისი ცრემლებს დანახვაზე ჭირისუფლებიც ატირდებოდნენ.

— როგორ მოგწონს, სასადილო „წითელი სამოთხე“; კომუნისტურ მთავრობას რომ შეეფერება, სწორეთ იმისთანა სახელი მოვიგონე.

ნადიაკენარი ეშმაკურათ იღიმება, აბრას ხან მიუახლოვდება, ხან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიწევს და შორიდან მიუტუტავს თვალებს, მოუთმენლათ უტრიალებს გარშემო, აკვირდება ერემოს და ფიქრობს: — სთქვი რალა შე მამაცხონებულო მოგწონს თუ არა?!

— წი.თე.ლი. სამო.თხე —

ერემომ კმაყოფილი სახით დამარცხდა წარწერა. მერე ერთბაშით გადაიკითხა; ალაგ-ალაგ სქლათ დადებულ ბზინვარე საღებავს თითები გადაუსვა და — რალაქა მადლი ქე გაქვს მა ხელებში, მაგრამ მეძვირე ხარ, მეძვირე! — აბრა მოიწონა.

უჯრა გამოაღო და ფულის თვლა დაიწყო რომ უტბათ მექიმ, თითქო ცხენს ერეკებაო, ხმამაღლა დაიწროწუნა. აბრასთან ჩაიჩოქა. გულდაკმით დააკვირდა სურათს. უკან დაიხია და შეეკადა თავის ტანისათვის ისეთივე მდგომარეობა მიეცა, როგორიც ქონდა აბრაზე დახატულ ჩაქუჩიან მუშას.

მეტი წაბარბაცდა. ამ გარემოებამ იგი ნათლათ დაარწმუნა თავის იჭვებში.

— სწორათ ვერ დაუხატავს; როგორც ვიფესკაზეა გამოყვანილი, ისე თავის დღეში ვერ გაიწერება კაცი. მაშინვე წაიქცევა. — გაიფიქრა მან.

ერთბელ კიდევ გადაიხნიქა, დაიგრიხა, ჩაიკეცა, მაგრამ ვერ მოახერხა ჩაქუჩიან მუშასავით დადგომა, გაიღიმა და მოკრძალებით წასჩურჩულა ნადიაკენარს:

— ამა ისე დადგე, როგორც ვე შენი დახატული კაცი ღვას!

სიცილი რომ არ ავიარდნიოდა, პირი დამუწეა, მაგრამ ვერ შეიკავა და მისმა რახრახმა დღუქანი შეარყია.

ლადიმერამაც კარგათ იცოდა რომ ჩაქუჩიანი მუშა მრუდეთ და არა ბუნებრივით გამოვიდა. ძალიან სასაცილოთ იდგა აბრაზე, მაგრამ რამდენი არ ეწვალა, მდგომარეობა მიინც ვერ შეუცვალა. გაუბარდა რომ ერემომ ვერ შეამჩნია მისი ხელის უხეირობა და გულისფანცქალით მისჩერებოდა მიკიტნის თითებზე დასათვალათ გადაკეცილ მანეთიანებს.

მეჭის მომართვამ შეაშფოთა. ერემომ თვალი შეისწორო ბიჭის გრეხვას და პირველათ გაბრაზდა, უნდოდა ეყვირნა შაგრამ სიბრაზე მალე, შემდეგ იმ სიბრაღელთ, რომელსაც ჩვენში ჭკუანაკლებ ადამიანის დანაშაულებს უწოდებენ.

— რას მაიმუნობ, დაგავიწყდა რაც დაგავალე!

მეჭი გაჩუმდა. გადახედა აბრას, მერე ნაღიაკვანარს გაუსწორა თვალი და წყნარად გავიდა.

დუქანში დარბინილებმა თვალი გააყოლეს. ერემომ მხრები აიჩეჩა.

— რომ შეხედო, დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ იფიქრებ რამეს! ხანდახან კი წამოთარს რაღაცა და... ხომ დაინახე ახლა, რას იგრიხებოდა ამ ვიფესკასთან!

— უჭრის, უჭრის!—გაიცინა ლადიმერამ:—ხრიკუნია ტყუილა დაარქვეს? მიკიტანმა ღვინო დაასხა.

— ობოლია, სამადლოთ ვინახავ, მაგ რომ საქმის გამკეთებელი არაა, ამას ყველა ზედაეს, მიირთვი.

დიდი ქიქა მის გაუწოდა, პატარა თავისთვის გაიგსო.

* * *

ბარის მოქალაქეებს ჭკუანაკლებათ მიიხნდათ მეჭი. გაიმბობთ საიდან ან როგორ გავრცელდა ასეთი აზრი. რას იტყვიოთ, შფიდლება არც კი დაეთანხმეთ ბარის პარტიოსან მოქალაქეებს.

* * *

ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ.

მაშინ ჩვენ სოფელში საბჭოთა ხელისუფლება მყარდებოდა. მეჭის ტანში კი მეხუთმეტე წელი.

მთელ სოფელში მეჭი ერთად-ერთი არსება იყო, რომელიც არ ავინებდა თავის გამწენს.

ბევრს ამუშავებდენ!

სხვა ვინ იყო გულზე ხელდაკრეფილი.

საქმელი აკლდა!

ვის ქონდა მუღმივით.

რა უყოთ რომ მის ზურგზე ხშირათ მოძრაობენ პატრონის ბათმანიანი მუშტები!

ბარის მოქალაქეებს შეილების ცემატყევა ეგზომ საჭიროთ და აუცილებლათ მიიხნიათ, როგორც შათი მონათულა და გაზრდა.

თავის ტოლებსაგან მეჭი მხოლოთ შით განირჩეოდა რომ უფრო ჩუმი და მორიდებული იყო. მისი ტოლები ხშირათ იცინოდენ, თამაშობდენ. მას კი მხოლოთ მაშინ გაუნათლებოდა სახე, როცა ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილი, ყოველთვის სუფთად ჩაცმული და მიუჯირბელი თალიკო დაუძახებდა სათამაშოთ. ყოველთვის მშვიდი და აუღელვებელი მეჭი დაფეთებულივით მოწყდებოდა ადგილიდან და... საყვარელო ბიჭო! მუხის ტოტზე საქანელას გამოპკიდებდა,

თოქზე კრამიტის ნატებს გადებლი და ტუჩებმოკუმულ, მუდამ რალაცხე უკმაყოფილო ჯალიშვილს თავდავიწყებით აქანაებდლი: შენ ამას თუშეშეშეშე შენხდი; შენ თავის დღეში არ დამჯდარხარ იმ საქანელახე; შენ აზრახსტაჩა მსტესტლია რომ ეს შესადლებელი იყო; შენ მხოლოთ ღელავდი მაშინ... ახლა, ამ წუთში ოლონდ ერემო. ნუ დამიძახებს, ნუ მომაშორებს... მაგრამ რას ვამბობ! გადაუხვიე. შენ და სიყვარული?! არა შექი, შენ ეგ არ შეგეძლო, შენ მხოლოთ ვიხაროდა მასთან თამაში. ბედნიერი იყავი; შენ არ იცოდი რას ნიშნავდა ეგ სიტყვა, მაგრამ ზამთარში, შუალამით, ფეხშიშველა რომ წასულიყავ ტყეში შეშის მოსატანათ, შენ გეგონებოდა რომ ტუჩებმოკუმულმა, მუდამ რალაცხე უკმაყოფილო თალიკომ საქანელას გადმოკიდება დაგავალა, შენ ასე გეგონებოდა, არ შეგკვივდებოდა და მხოლოთ ამიტომ ვერ გასტება შენი ხუთმეტი წელი აუტანელმა შრომამ, სიმშლიმა, სიცივემ.

ნეტავი შენ.

* * *

კვირა დღეა. მინდორზე ცაცხვების ქვეშ სოფლის ბიჭებმა ჭიდაობა გამართეს. იწვევენ, ეჯიბრებიან, ედავებიან ერთმანეთს და მათ აღგზნებას უფრო აძლიერებს განიერ ჩრდილში საყურებლათ მოკალათებული უფროსები.

- კვანტი გამოკარი,
- ე, ბიჭო სარმა,
- მეგვერდული,
- კისრული,

ვაჰკივიან ვენბამორეული ბიჭები. ეხვევიან აქოშინებულ მეტოქეებს. ირზევენ ახალ ფალავანებს.

— ხაჯომიას წამქევი ჩვენ სოფელში არ დაიარება!—წამოიძახა ერთმა, როცა ხაჯომიამ უკანასკნელი მეტოქე, თალიკოს ძმა, მიშიკოც კუნძივით დააგდო მოლზე.

ჭრიამული. ყვირილი.

- არაა სწორი, წელქვევით ხელას წატანება არ შეიძლება!
- დაიძახა პირხმელა ბიჭმა.
- სწორია თუ არა, აქ დადგამტიციებ, შემოდი წრეში! — შეუბღვირა გამარჯვებულმა ხაჯომიამ.

— ჩემთან რა გინდა, მე კი არ ვყვიროდი!

წაიბუტბუტა პირხმელმა და სადლაც გაძვრა.

— ვის გინდათ კიდევ;—იძახის გაამაყებული ხაჯომია.

ჭიდაობის მსურველი არ აღმოჩნდა. ხაჯომიას გული მიეცა. ტრაბახი დაიწყო.

— ხუთი ხო დავაკოტრიალე; ახლა ცალი ხელით გამოვალ, თუ გინდათ ორი მოდით ერთად.

ბიჭები ხმაურობენ: — ნუ გეშინია, გადი!—აქებებენ ერთიმეორეს: ვილაც ხელის კვრით მიავდეს ხაჯომიასთან; იქნებ თვითონ მას მოუვიდეს გული და ხელი წაატანოსო,— მაგრამ ყოველგვარი ცდა უნაყოფოთ დამთავრდა.

ხაჯოშია მამლაყინწობს და უფროსების გასაგონათ იძახის:

— ორი დამეტაკეთ, ორი! დედა არ მომიკედეს, მარჯვენა ხელი აქვს მოკლე-
ხმარ.

ბიჭები დარწმუნებულნი არიან: ორი მოქიდავე აუცილებლათ დაამარცხებს ხაჯომიას. რა არის აქ მოსულოდნელი და გასაოცარი?! ამიტომ ორის გასვლა ერთის წინააღმდეგ არაფერს არ აინტერესებს.

თალიკო თავიდანვე ადევნებდა თვალს ჭიდაობას, პირველათ ხაჯომიას მხარე ეჭირა, მაგრამ მიშკოს წაქცევის შემდეგ, თავი დამცირებულათ იგრძნო, ხაჯომიას გულდილობამ ცეცხლმოკიდებულებით აუწევა სახე. ახლა ყველაზე მეტად მას ენატრებოდა მისი დამარცხება.

— შეშინდენ, ორმაც ვერ გაბედა...

ჩაილაპარაკა ზიზლით. იქვე ლობის ძირში ჩაკეცილი მეჭი დაინახა.

— გლაზა, დაიმაღლე!— ისეთი კილოთი დააბალა თავზე, თითქო მეჭი იყო იმის მიზეზი, რომ ხაჯომიას ბეჭები ვერ დაადებინეს მიწაზე. მახლობლათ არაფერ იყო და თალიკომ მასზე ამოიყარა ჯავრი.

— გლაზა,

გაიშეორა, აპირებდა სიტყვის გაგრძელებას... უცბათ გახევედა, თითქო მოსულოდნელმა სანახაობამ მოსტაცა თვალი.

მეჭი მიდიოდა ცაცხებისკენ. პირველათ ვერ გააჩნია, ვის გუფთვნოდა თალიკოს სიტყვები; მაგრამ როცა აღანძულ სახეს თვალი შეაფლო, ყველაფერს მიხედა და ანგარიში მიუცემლათ წამოხტა.

— აქ რას დავდებულბარ, ვერ მატუბ რთგორ მინდა დაფინახო მიწაზე ხაჯომიას ბეჭები!— ამოიკითხა მეჭიმ თალიკოს სახეზე. გული დაწყდა:— რატომ აქამდე ვერ მოვიანარეო.

მოაზრება ადვილი იყო. შესრულება— ძნელი. ჯერ ერთი, მეჭიმ არ იცოდა ჭიდაობა. თავის დღეში არ შეზნია არაფერს. მეორეც ის... აი ახლა იგი მიდის საჭიდაოთ მაგრამ არ იცას, როგორ გამოიწვიოს მეტოქე, როგორ მოიქცეს, ისეთი რა უთხრას რომ მან სასაცილოთ არ აიგდოს მისი გამოწვევა; ანგარიში გაუწიოს.

ჯგუფს რომ მათახლოვდა გული გამალეებით უცემდა, თითქო ერთბაშათ, ერთ წამში აპირებდა ასი წლის მოვალეობის შესრულებას.

უკან მოიხედა, თალიკო ლობესთან არ იყო. ერთბაშათ მოეშვა. იმ ძალად და ჭარბაგობამ, რომელმაც უცბათ ამოავსო მისი სხეული, ახლა თავი იზინა და მთლიანათ გადმოიდგარა. ეგ იყო წამით. თალიკო მაშინვე დაინახა, იგი გამოქცეულიყო ეზოდან და უფროსებს შორის მოერთხა ფები. ისეთი გაკვირვებული სახე ჭონდა, თითქო მეჭის ნაცვლათ მას წინ ძალდი იდგა, რომელიც აღამიანურ ენაზე აპირებდა დალაპარაკებას.

მეჭი შევიდა წრეში და უხერხულათ გაჩერდა. ყველაზე მეტათ ხელემა შეაწეხა. არ იცოდა სად წაელო, როგორ დაეჭირა, მისი ხელები გაკემას უბირებდენ მას. ამიტომ შედგა და მკლავების დაკაპიწება დაიწყო.

— ხაეშია, შორიხლო დადები; ისე გიყურებს, საცაა ^{ფესქვე ამოვი-}
დებს!—დაიძახა პირხმელმა.

მოხდა ის, რაც ყველაზე უფრო ამფოდებდა მექის. ^{მსკლმქმსმსმსმსი.}
მეტი არ დაიბნა. იგივე გრძნობდა რომ ამ წუთში მართლაც და ძალიან სა-
საცილო იყო; გრძნობდა იმსაც რომ ხარხარის შეჩერება და ბიჭების თანა-
გრძნობის მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა მისთვის, თუ ახლავე არ დაიწყებდა
მოქმედებას.

რამდენიმე ნაბიჯი სწრაფად წადგა წინ.

— შენ რაღა გინდა!—უყვირა ხაეშიამ.

პასუხის ნაცვლად, მეტი ორივე ხელებით დასწვდა მას ქამარში. მოხიდა,
შეანჯღრია და უბიძგა. ხაეშიამ წაიფორხილა. რამდენიმე წამით გამოურ-
კველად იდგა. არ იცოდა რით ებასუხა მექის თავდასხმაზე; მუშტით თუ სიცი-
ლით. ბიჭები გაინაბენ. მათ წრეში სასაცილო და უწნო მეტი კი არა, ვილაც
სხვა, უცნობი იდგა. ისინი დაიმორჩილა მექის ღონეში.

ხაეშია მიუახლოვდა.

ჩხუბი გინდა?

— კიდაობა, უნდა კიდაობა.

მეჭიმ შიხხედა. ყვიროდა თალიკო.

— უჰ!—მეჭიმ სული ამოითქვა. აქამდე წყალს მიქონდა და ეს ორი სი-
ტყვა ნაპირიდან გამოწვეული ტოტი იყო. ხელი მოავლო და შეისვენა.

— კიდაობა მინდა,—გაიმეორა მან.

ხაეშიამ აღმაცერად გადახედა და სწრაფად შეუტია.

ღონიერი, მაგრამ კიდაობაში გამოუცდელი მეტი ხელის დაველებისთანავე
წამოაჩოქა ხაეშიამ. უკან გადაგდება ვერ მოახერხა და მარჯვედ გაშორდა.
გვერდულად მიუახლოვდა, სწრაფად გაიმართა და ხელები ზევით შეაგდო. მე-
ჭიმ კისრის დასაცავად ხელები შეაგება, ხაეშია იმ წამსვე მოიხარა და წელში
შეუვარდა, მეტოქე მიწას ააშორა, ველარ გადახნიქი და ხელიდან გაავდო. მო-
ტყუებული მეტი დაბარბაცდა, ახლა კი მისი ჯერი დადგა. როგორც პირველათ,
ორივე ხელი ქამარში წაავლო, იდაყვები ფერდებზე მიიკრა რომ ხაეშია წელ-
ში არ შეძრომოდა და მძიმეთ შეარყია. დაქერილი ხაეშია აწრიალდა, გვერ-
დით გახტომა მოინდომა, მაგრამ ამაოთ. მეჭიმ უფრო მაგრათ ჩაბლუჯა.

ხაეშია ბტის, წრიალებს, იკლავება. რყევისაგან ბრუ ესხმის. მექის უპი-
რატესობა ნათლათ სჩანს. ერთი გვერდული, ერთი მაგარი კვანტი და გულამო-
ვარდნილად ხაეშია შოთი ბურივით გაეკვრება მიწას, მაგრამ მეჭიმ არ იცის
ხერხი, მოუჭნელია. როგორც ხეს, მისდგომია თავის მაღალ მეტოქეს და გულ-
დასმით არყევს. არავის არ შეეძლო წინასწარ ეთქვა როგორ დაბოლოვდებოდა
კიდაობა.

უცბათ ხაეშია ერთბაშად ჩაეკრა მექის. იმავე წუთში ერთმა მათგანმა
მწარეთ დაიღრიალა. ეს იყო მეტი.



გაბორაკტებულმა ხატომიამ მხარზე უკბინა. არავის არ შეუნიშნავს. მექის კი, არც მაშინ და არც შემდეგ ვაუზბელია თავის წაქცევის მძებრის წაქცევის... რადგან კბენა და მექის გაშხლოთვა ერთი იყო. ტყვილით შეწრუნეს მის ბიჭვამილი ხელი მოაქალა ხატომიას და ნაკებზე მოისვა.

განთავისუფლებულმა მეტოქემ იშოვა დრო და გულშეუხებელი მეტი კისრულით ვადმოიღო.

ყველაფერი აირია. ბიჭები ხმურით და ქვიცილით შემოეხვივნენ გამარჯვებულს.

იმ ღამით მექის არ დაუძინია. ეგდო ჩალაზე და ელოდა გათენებას. როცა მამლებმა მეორეთ იყიველს, გულიდან მოეშვა ის სიმძიმე რომელიც მთელი ღამის განმავლობაში აწუხებდა მას.

— საცაა მესამეთაც იყიველებენ და გათენდება!

მამლები კი დაუსრულებლად ყიოდნენ. მგონი მეთათევერაც იყიველს, მაგრამ მაინც არ თენდებოდა. მეტი კვლავ შეწუხდა.

რატომღაც მოაგონდა დახუნდარას მოყოლილი ზღაპარი დედაბრისა და მამლის შესახებ. მამალი თურმე უღროთ ყიოდა და ატყუებდა დედაბერს. ხან ადრე ავდებდა ლოგინიდან, ხან კიდევ დაავიანებდა ადგომას. დედაბერს მოსვლია გული და მატყუარა მამალი დაუკლავს.

— ესენიც დასაკლავია.

გაფიქრა მექიმ. ყველა მამალი დახოცილად წარმოიდგინა. შეკრთა. სმენათ ვადაიტკა. მამლები ყიოდნენ. ვაუხარდა რომ მის გარშემო ცოცხალ არსებათა ხმები ისმოდა. მათი ყიელი უმსუბუქებდა მას საშინელ მარტოობის გრძობას. ეს ხმები უვნებლად ხდიდა მის გარშემო ღამის წყვილად, რომელიც აშინებდა მას თავის მძაფრი იდუმალებით.

— მე რომ დედაბრის ადგილას ვყოფილიყავ, მამალს არ დავკლავდი! — წაიჩურჩულა. შებრუნდა.

წამოვიდა წვიმა. მძიმე წვეთები ახვარდა ჩალაზე. თენდებოდა.

მექის ეძინა.

ნაწვიმარი დილა. ჩაწვეებული სატურისის ქალა ხანძართ გადაბუგულს ჰგავს. ჭადრებზე უსიამოვნოთ ყრანტალებენ ყვავები. ლეხმურას ტყეში მიბობლავს ნისლი. ერთბაშად შესვლის ვერ ახერხებს და ნაპირ-ნაპირ მიიზღაზნება დაგორგალებული. მეტი დგას საჩების ქვეშ და გასცქერის თვალების მომჭრელ სითეთრით მოლიფლივე ტყემლებს, რომლებიც ანათებენ და ამზიარულებენ ურჩხსა და ფერებით ღარიბ დილას. ჩვენ სოფელში მრავალია ღამაში ადგილი, მაგრამ ვერც ერთი ისე რიგად ვერ ხიბლავს მექის, როგორც ეს ტყემლები, — გაზაფხულის პირველი სიცილი, პირველი ამოსუნთქვა. იგი გაცქერის ბავშვებს, რომლებიც არყვევენ აკვავილებულ ხეს და ტივიან.

— დედილო, თოლი მოდის, თოლი!

და ეს ყივილი: ეს ფაფუკი ყვავილები ახარებს, ალაღობს ჩქარა ამოძრავებს მის სისხლს. იგი ძლივს იმორჩილებს თავის ხეშტეტს, წყნარ მომელიც ეძახის და იწვევს მას სათანაშოთ, სასიმღეროთ, სამზიარულოთ.

ერთბაშად მეტი ადგილიდან მოწყდა. გზატკეცილი გადაჭრა და ეზოდან გამოსულ ხაჯომიას დაუხვდა. ხაჯომიამ მეტის დანახვაზე სულელურად გაიცინა და მისვლის უმაღ დაახალა.

— დაგიშვი თუ არა ყირამალა გუშინ!

გვერდი შეუხვია. მეტი წინ გადაუდგა.

— დამეკიდე, — თხზრა მან რაღაც უცხო, მისი წლებისთვის სრულიად შეუფერებელი სიძინჯით და სიმკაცრით.

— ერთხელ ხომ დაგალავაზე, კიდევ გინდა?

— ხო, კიდევ. — თავისუფლად მიუვო და თვალი გაუსწორა. შენიშნა: მისმა თხოვნამ ხაჯომია ხუმრობის გუნებაზე დააყენა. ხმა დაურბილდა, დაუსველდა.

— თუ ძმა ხარ... დამეკიდე; გუშინ მომატყუე, ვერ წამაქცევი! დამეკიდე უდიდესი ვედრება ისმოდა მის სიტყვებში.

— რას ჩამაცვიდი! გიჟი ხომ არ გადაგრყლავაზე წუხელ?

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა? ორივეს გაფიცება, დამეკიდე. ყველაფერს შეგისრულე. რაც ღორჯოს და კიბოს დავიკერ, ყველას შენ მოგიტანბუდეებს გახწავლი, ტურის ხეთანგს გაგიკეთებ. ნუ გამაწბილებ... —

— თუ არ მინდა, მოძალე ხარ! — წასვლა დააპირა.

მეტი აქარდა, აღუღდა.

— ნუ წახვალ, მომიცადე; — სახლისკენ გაძქუსლა. ორიოდ წუთში უკანვე მოიბრინა. უბიდან ყურებდაცვეტილი კურდღელი ამოაძვრინა.

— გუშინწინ დავიკერე ბოსტანში; შენი იყოს, გაჩუქება, ოღონდ დამეკიდე. უბრალოთ მომიკიდე ხელი.

ხაჯომია შეაფიქრა მეტის დაჯინებამ.

— ისე მიყურებს, რამეს მოწყვეს! — შეშინდა. მოტრიალდა და ეზოში შევარდა.

— დამეკი... დე... ე... — დაიღრიალა მეტიმ და დაედგენა. ხაჯომია აივანზე გაჩერდა, დაეღროჯა და ოთახში შეიჭრა.

— ნუ გეშინია, არაფერს გიზამ, გამოდრ, დანენახვე.

ხელში ძლივს იმაგრებს დამფრთხალ კურდღელს.

ხაჯომია ფანჯარას მოადგა. ემანქება, ეღრიჯება და აჯავრებს აივანთან უწყვით დარჩენილ ბიქს. შემდეგ მიიშალა.

— ნუ გეშინია, შენი ჭირიმე, თუ ძმა ხარ, გამოდრ.

ყვიროდა მეტი. იდგა. ელოდა.

ხაჯომიას ჭკანებაც არ ისმოდა.

თავყირა დაკიდებულმა კურდღელმა იგრძნო რომ მისი დამკერი თითები შესუსტდა. მოიკუმშა, მერე ღონივრად გაიწია და მიწაზე ისკუბა. თეთრმა ფაფუკმა სხეულმა ერთხელ კიდევ გაიელვა მოლზე და გაძქრა.

სახლიდან გამოსულმა ხაეშიას დედამ დაინახა რომ მათ უზომოდ დიდ ვი-
ლაც და შწარეთ ქეთინებდა.



წინათ მექის ამწნეედენ, როგორც ამწნეედენ შარაზე ნიშავალ ძალს. არა-
ვინ არ კითხულობს ძალის სახელს, მის მშობლებს, რა აწუხებს ან რა ახარებს.
ამ შემთხვევის შემდეგ კი მექის სახელი ყოველ მოქალაქის ენაზე ჩამოაჯდა.

გაუკვირდათ, თითქოს მექის თავისი ხუთმეტრი წელი სადღაც ერთბაშად
ნაშოენი ან ვისმესგან მოპარული ჰქონდა. არაეის ახსოვდა, ეს წლები რამდენი
კრემლით და წვალეებით იყო შეგროვილი.

ბარის მოქალაქეებს არ შეეძლოთ გულგრილათ შეხვედროდენ მექის საქ-
ციელს. ამიტომ აიღეს იგი და ჯერ სოფლის ყბაში ჩაადეს: ჰორებით გარეც-
ხეს, მერე ყველა სასწორით აწონეს, ყველა ადლით გახომეს, მაგრამ ისეთი
საზომი ვერ გამოიხატეს, რომელიც მექის მიუდგებოდა. იგი ვერ ჩაეტია სოფ-
ლის ყბაში.

— ლენია, ჰქუანაკლებია...

ღელავდენ სოფელ ბარის ჰქვიანი და პატოსანი მოქალაქენი.

ვილაპაც სთქვა:

— დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოიხატე.

გამონახეს დედაც, მამაც და ერთბაშით დამწვიდდენ. დარწმუნდენ რომ ასეთ
მშობლებს არ შეიძლებოდა უკეთესი შეილი დარჩენოდა მიწის ხემით.

— კურდღელიც რომ გაუშვია!

— რას ამბობ!

— კი ბატონო, კი, ნამდვილათ დამთხვეულია. თვალეშიც რომ იმხირება!

— ჯერ სიარული გაუსინჯე როგორი აქეს!

— ხრიკუნაო რომ იტყვიან, მაგაზე ყოფილა გამოჭრილი, — დაასცნა ბარ-
ნაბა საგანელიძემ.

ეს სიტყვა ეუცხოვათ, მისი მნიშვნელობა არ ესმოდათ, მაგრამ როცა დაი-
ნახეს რომ სიტყვა „ხრიკუნა“ ყველაზე მდიდარ და მასასადამე ყველაზე ჰქვიან
კაცის, ბარნაბა საგანელიძის პარტიდან ამოვიდა, ყველამ დაიჯერა რომ მექის-
თანა თვალეების, სიარულის, ბეჭების და წებლის პატრონს სახელათ აუცილებ-
ლათ „ხრიკუნა“ უნდა რჩეოდა.

იმ დღიდან მექიმ საჩუღამოთ დაეარგა თავისი სახელი, სახელი რომლის
დაძახებაც ერთხელაც ვერ მოასწრო დედა მისმა, ისე ამოხდა სული.

...შენი ჰირი მიმაქეს ბიჭუნია—წაიჭურჩული მან, როცა მის ფეხებთან
ახლდაბადებულმა დაიქნა: დედა წამოიწია, ხელები ჰაერში შეაპოტინა,
თითქო შეილი უნდოდა ჩაეკრა, მაგრამ უღონოთ ჩამოუტყვიდა და მეორეთ აღარ
აუწვია.

დედამ დანაპირი ვერ შეასრულა. მექის ჰირი ვერ წაიღო. შავი ღღეები
ვერ ააცილა.



ბრიკნა!
 იცით რას ნიშნავს ჩვენ სოფელში ზედმეტი სახელი?
 იგი მისამართია, რომელზედაც ყველას შეუძლია დამამკირებელ ოხუნჯო-
 ბის გაგზავნა.

იგი საერთოხობელაა, რომლითაც გაკაპსებულნი დედები აჩერებენ მტირალა
 ბავშვებს... ავირ ბრიკუნია მოდის და ყურებს მოგჭრისო.

იგი ერთად ერთი განუყოფელი სახეა, რომელთან შედარება ყველაზე
 დიდ შეურაცყოფათ ითვლება... როგორ ბრიკუნისავით ირჯებო.

როცა სოფელმა ლაპარაკით და შიოქმა-მოქშით გული მოიჯერა, მეტი
 როგორც უფარვისი ნიეთი, დაეიწყების მტყერთან ყუთში ჩაადგეს. რამდენიმე
 დამცინავი სიტყვის ჩასაგდებათ თუ ჩაიხედავდენ შიგ.

მეტიც ვაფრბოდა ყველას. არ ეკარებოდა ტოლებს და რალაც ჩემი, ცხო-
 ველური სევდა უღრღნიდა გულს.

იგი გრძობდა: მას დასცინოდენ არა მითომ რომ აწყენია, ან მტრათ მოე-
 კიდა ვისმეს, არამედ მას თელიდენ ისეთ არსებათ, რომელმაც ადამიანის სახე
 რალაცა შემთხვევის წყალობით მიიღო.

არავის ახსოვდა მისი თვლების გამომეტყველება და თმის ფერი, არას-
 დროს არ შეუწინვევით მის სახეზე რაიმე ცვლილება; ბარელების წარმოდგენაში
 მეტი თანდათან გამოვიდა თავის სხეულიდან, დაკარგა ფორმები და ორფეხზე
 შემდგარ უცნაურ მოწყობილებას დაემსგავსა, ისიც კი ვერ შენიშნეს რომ მეტი
 გაიზარდა, დაეაყვაცდა; ახლა აფრამეტი შეუსრულდა და შეუძლია ბონდთან ჩა-
 ვარდნილი ურემი ბეჭით ასწიოს.

ერემოს სახლში მეტი მთლიან დაეიწყებულ იყო. პატრონი ყოველ დღე ხე-
 დავდა მას, მაგრამ რომ გვეთხათ მისთვის, რამდენი სული ყავდა ოჯახში, მეტი
 ყოველთვის გამოჩნებოდა სათვალავში.

გაუქმებულ ეკლესიას მრისხანეთ შემოსევით ქვრამენძის და კურკანტელას
 ბუჩქები. დაუდგენლობით ატეხილ შამშში აქა-იქ თეთრათ გამოკრთიან ლოდები.
 მალალ კადრებზე ყვავები ჩხავიან. მარტში ეკლესიის რიკულებიან აივანზე მო-
 დიან შეყვარებული კატები და ბავშვებით ტირიან.

ეზო გაუდაბურდა, გატყვედა. ტურები აქედან მოიპარებინ სოფელში კათ-
 მების მოსატაცებლათ. ეზოს გვერდით ყარებე მიდგმულ ფიცრულში ცხოვრობს
 ყველაზე მზიარული მოქალაქე დახუნდარა.

ქვიჯასავით ჩასკვნილი ტანით და არაჩვეულებრივით გრძელი ხელებით, ბან-
 ჯგვლიანი სახით და ძალზე განვითარებული ქვედა ყბით—დახუნდარა ძალიან
 გავს ადამიანების უახლოეს წინაპრებს. მის მახინჯ შეხედულებას მხოლოთ კეთილი
 და ალერსიანი თვლები არბილებს.

უდარდელი კაცია დახუნდარა. რასაც იშოვის, იმ დღესვე ერემოს დუქანში
 გამოუყვანს წირვას.



ორმოც წელს ისე მოუყარა თავი რომ ერთი შემოღობილი ხას ძირიც ვერ გაიჩინა. ჭირივით ეჯავრება ერთ ადგილზე მუშაობა. ღრმადსავე სკვარს იოლი და შემთხვევითი სამუშაო. ხან ჭალაქში შეშით დატვირთულ ურემს გააყოლებენ, ხან შესეამენ ცხენზე და ექიმის მოსაყვანათ გაგზავნიან, ხან რთველში დაუძახებენ; ხანდახან პატახიას დილიეთანიც დაყავს. მოკვდება ვინმე და საფლავი აუცილებლათ მან უნდა გათხაროს. ყველგან შინაურია და ყველას ჭირისუფალია. საქმელი არ აკლია და ღვინის ფულსაც ხშირათ შოულობს.

როცა შემოაკლდება, მოადგება აღმასკომს და იმდენს იქაქანებს, ვიდრე დახმარებას არ მიიღებს.

აღმასკოში ერთხანს ეხმარებოდა. სათესლე სიმინდიც ბევრჯერ მისცა, მაგრამ დახუნდარამ ყოველთვის გაყიდა და ფული ერემოს დუქანში დაამღერა. აღმასკომში სიარულს მოუხშირა, მაგრამ მის მუქთახორობას სახლვარი დაუდეს და ერთხელ ხელცარიელი გამოისტუმრეს.

— ადამიანო, სანამდე გინდა ასე იცხოვრო? ხვალინდელ დღეზეც იფიქრე, გარკვეულ გზას დაადექი! უთბრა თავმჯდომარემ.

გაცხარებულმა დახუნდარამ იმ საღამოს გაიღწეა ერემოს დუქანში, მობარბაცდა აღმასკომთან და მისმა ღრიალმა მთელი უბანი შეჰყარა.

— ბალშენიკო უუ...ლარიზისთვის გათენდაო რომ იძახი, ვის ატყუებ, ვის! არ გათენებულა, არა! სიმშლით მკლავით, ერთი ბათმანი სიმინდი არ გემეტებათ ჩემთვის, ტარასია ხაზარაძეც, გარეთ გამოდი! ხალხნო, შემოგვხედეთ, რითი მუკობია ტარასია, ჩინოენიკივით რომ გამოჰიმულა მიქელაძის სავარძელში. მე არა ვარ ღარიბი? მე არ მინდა ჰამა? პასუხი გამეცი, ბალშენიკო!

იმუქრებოდა. ბოყინებდა და ძლიერ დგებოდა ფეხზე. დახუნდარა დაიპოშინეს და სახლში წაიყვანეს, უკეთ—წაიღეს. მეორე დღეს არაფერი ასრაგვდა. როცა შეახსენეს, შერცხვა და ორი დღე არ გამოჩენილა აღმასკომთან.

დახუნდარას „ფილოსოფოსობა“ დააწყებია საფლავების თხრამ. ერთხელ კინალამ დაეთანხმა იმ ფილოსოფოსებს, რომლებსაც სიცოცხლე ერთი მუქა მიწით მიანჩნიათ, მაგრამ როცა გადახედა ეკლესიის ეზოში დაფენილ საფლავებს, გაუხარდა:

— მე რა მიჭირს, ამით იკითხონ თორემ მე მიწის ზემოთ მაინც ვარ.

დახუნდარა საესებით იყენებდა ამ უპირატესობას. ნალველს და მწუხარებას ხელს არასდროს არ ჩამოართმევდა. კვერცხივით მთელი და საესე გული ქონდა. სოფლის ცხოვრება მისთვის მდინარეა. იგი ზის ნაპირზე და გულგრილათ უცქერის მის ღვინას.

— ხან დაიწმინდება, ხან აიშლრევა; ჩემთვის სულერთია, ვისაც უნდა იმან იტყოს თავი.

დახუნდარას ცხოვრება საესეა ათასნაირი შემთხვევით და თავგადასავალით. ერთი რომელიც მან თვითონ მომიტხო, ღრმად დაამახსოვრდა. დახუნდარა მარწმუნებდა რომ ეს ამბავი „პირდაპირ მისწრება იქნებოდა „პოვეტისათვის“.

— ამაზე უფრო სასაცილოს ვერაფერს მოიგონებ, თუ კაცია ბარ, გამოითქვი სახელი, დამიწერე ორი სიტყვა:— მთხოვდა დაეინებით. შევიპირდი და ვიჩქარი შევასრულო.

ერქენუში
გინგულიძისა

* * *

შენშევიკების დროს გზატკეცილზე ძარცვაგლეჯი გახშირდა. ლებენურას ტყესთან ყანალები უხვდებოდნენ დილიცნებს და უკანასკნელ ტანსაცმელსაც კი აძრობდნენ მგზავრებს. გაზაფხულზე მოჰკლეს და გაძარცვეს ცხენით შიშავალი უცხო მგზავრი. მოკლულს ქალაქში ჭირისუფლები არ აღმოუჩნდა. ჩამოვიდა გამოძიებელი, საჩქაროდ შეადგინა ოქმი და ისე გაბრუნდა რომ ერობის წევრებისათვის არაფერი უთქვამს მოკლულის მოშავალი ბედის შესახებ. ერობამ გადასწყვიტა იქვე დაემარხა. დახუნდარამ ჩამოიტანა ბარი და წერაქვა, მინდორზე ამოიღო პატარა ორმო და უცხო მგზავრს, ვინ იცის საიდან ვადამოხვეწილს, ჩვენი სოფლის მიწა გადაეყარა.

მისი საფლავი დიდხანია დაფიწვებული იყო რომ შარშან აღმასკომთან ქალაქელი ეტლი მოგრიადდა, ეტლში ორი ქალი და ორი მამაკაცი იჯდა. ქალები უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ. ერთი ხნეირი იყო და შავები ეცვა. მამაკაცები აღმასკომში შევიდნენ. მცირე ხნის შემდეგ აღმასკომიდან გამოვიდა თავმჯდომარე ტუჩა დიშინაი და აფრინა მილიციონერი დახუნდარას მოსანახავად. იგი მოიყვანეს და ეტლთან მოგროვილ გლეხებს ესმოდათ მისი და ტუჩას საუბარი.

— როგორ არ ვახსოვს, ბიჭო შენ არ დამარხებ?

— ეუბნებოდა ტუჩა თვალგადაკვეთილ დახუნდარას:

დახუნდარამ კეთა მოიქექა:

— შეხიერება მალატობს, დაეპერდი ვაჟო! რა ვიცი, რამდენი კაცისთვის გამოთხრია საფლავი! დალაგებით მითხარი.

— მოიცა, მოიცა;— ჩაერია ჯიბუტი მარგველამე. დაფაქრდა. ქვეშ-ქვეშ ამოხედა დახუნდარას და ეშმაკურად ვაუცინა:— დიდი წყალდიდობა რომ იყო მაშინ, არა? კაცო, ის მაინც არ ვახსოვს, ვის გახადე ხავერდის ტუფურკა?

დახუნდარა მოიღუშა. ქურდულად გადახედა შორიახლო მდგომ ქალაქლებს.

სოფელში დადიოდა ხმა. დახუნდარამ ხავერდის ტუფურკა გააძრო მკედარს და ისე წაავლო მიწაში.

დახუნდარა გაცხარებით უარყოფდა:— გული კი დამწყდა. მაგრამ ამისთანა პატარა საქმეზე სულის წაწყმედა არ ღირდა.

დახუნდარას შესხიერება არ საჭიროებდა ამისთანა წვრილმანების მოგონებას. იგი მაშინვე მიხედა ვისზედაც ელაპარაკებოდნენ. კარგათ ჩაცმული ჭირისუფლები რომ დაინახა, გადასწყვიტა:

— სანამ ერთი ორათ არ გადამიხდიან ხუთი წლის ვალს, არაფერსაც არ გავიხსენებ. მეყო რაც ერობამ მამუშავა მუქთათ; ფრთხილად, ჩემო დახუნდარა; მაშინ დაგიბრძოყვეს? ახლა ენას თუ არ გაავრძელებ, ორმაგათ აინაზღაურებ ყველაფერს.

სიტყვა ბანზე იუგლო.

— ესენი ვინ არიან?

— კირისუფლებია, ბერძნები ყოფილან: ის მკედარის სიტყვით მისი პარკის საყიდლოთ ჩამოსულიყო მაზრაში. მასაქეთ ეძებენ და ეძებენ კირისუფლები. ახლა შეუტყვიათ მისი გზა-კვალი.

— აქ თუ დამარხვს, როგორ მოაკვლევდენ? ჩვენ სოფელში ამის მეტით არ ჩამოსულან! რა უნდათ, წაისვენებენ?

— არა, ნახავენ, იტირებენ, საფლავს მოუვლიან, სხვა რა უნდა ქნან, ხომ ვერ გააცოცხლებენ!

მოხერხებულმა გლეხმა იმდენხანს იჯანჯლი და იფორხილა ვიდრე არ გაიგო რომ ძველი და ახალი სამსახურისთვის ორ ჩერვონეცს მიიღებდა კირისუფლებიდან.

— ასე გეოქვით თავიდანვე თქვე დალოცვილებო; ის კი არა, თვალაბეული რომ შევიშვა სასაფლაოზე, შეუცდომლათ გეტყვი, ვინ სად მარხია!

წაიბურღლუნა და ეტლის კოფოზე აფოფდა.

ეტლი დაიძრა.

— მალე მივალთ?

რუსულად იკითხა მელოტმა მამაკაცმა. ცხვირზე წარამარა ისწორებდა ოქროს პატარა სათვალევებს და ყურადღებით ათვალეირებდა გზატკეცილს.

— აგერ, მალლობი რომ მოსჩანს, იმას გაეკილდებით და იქვეა, — ხელით ანიშნა დახუნდარამ.

მალლობს ჩაუარეს, ეტლი შირახრახებს.

— არ მივედიო?

— ცოტას კიდევ წავიწევთ და...

დახუნდარა დაბნეულათ შეიშმუშნა.

ცოტაც წაიწიეს, ნახევარი ვერსიც მიაკოლეს...

დახუნდარას ეშმაკი შეუჯდა ტანში და ცმუტვა დაიწყო, დაუგრძელებია კისერი, გამწარებით აცეცებს თვალებს და ზუტბუტებს:

— მგონია, მართლა არ მახსენდება სად ჩავაგდე...

ეტლი მიჰქრის.

კარგათ ჩაცმული კირისუფლები საუბრობენ. ხნიერი ქალი მარათი იგრილებს სიციხს.

დახუნდარა მოუსვენრად წრიალებს კოფოზე: წამოიწევა, გაიხედავს მარჯვნივ, იმ წუთშივე მარცხნივ მიტრიალდება; ისევ მარჯვნივ... ქორის თვალებით ზვერავს ტრიალ მინდვრებს. ერთხელ უკანაც კი მოიხედა.

ეშმაკმა წაიღოს, არამც თუ საფლაოის ადგილი, დახუნდარას ისიც კი არ ახსოვს, გზატკეცილის რომელ მხარეზე დამარხა ბერძენი.

— მივედიო? — ესმის უკნიდან მოუთმენელი ხმა.

რა უპასუხოს?!

წინ მოშორებით ნიგვზის ზე გამოწნდა:

— იმ სეს რომ გაუსწორდებით, — დაიწყო და აღარ დაითავა.

...ის კი მახსოვს, სადაც იგი დაემარხე, მაშინ ახლო-მახლო ერთი ბუჩქიც არ იყო ამხელა ხე ასე უცბათ საიდან გაჩნდებოდა! ჯვარი მანძილზე მანძილზე დამედო, ჭვა დაედო ჩემ გულს. მაგრამ რა ვიციოდი თუ მოაქრისაა? აქტივებ შარი და ეგ არის. სადაც მინდორზე საფლავია, მე კი არა, ეშმაკი ვერ მიავსებს.

წორით რიონის თეთრი ზოლი გამოკრთა.

— ვაჟო აქ რა გვინდა, რამსიშორებზე წამოვსულვართ! დავიღუბე, დამეკარგა ჩერვონცები;

დახუნდარა დარწმუნდა: ეტლი კარგა ხანია გამოცდა იმ ადგილს, სადაც ბერძენი უნდა ყოფილიყო დასაფლავებული.

ძალიან ეცოდნა ბერძენი; რა აქვს საწინააღმდეგო რომ მისმა მშობლებმა რამოდენიმე დაგვიანებული ცრემლი დააწვეთოს მიეიწყებულ სამარეს.

მაგრამ... ჭვა დამედო, ერთი პატარა პალო მანძილზე დამეკრძო! მივაგებდი, სად ჯანდაბაში მიიჭარო, ნელა გარკვე, ეგება რაზე მოვიფიქრო:

ბუბუტებს განადგურებული დახუნდარა.

— სანამღე ვივლით ასე, რაშია საქმე!

წყრომით ამოსძახა სათვალეზიანმა. მუჯღუტუნ წაჰკრა.

— ხომ არ დაგეძინა?

— ვთქვაა? გავაშხილო რომ დამივიწყდა! ჩემი პირით როგორ გამოეტყველ! ხომ დამეკარგა ორი ჩერვონცი, აშკარად დაიკარგა. მერე ასე უბრალოთ დაიკარგოს! ხომ არ წაასვენებენ?! ივარგე დახუნდარა, მკედარმა არ მოგატყუოს ცოცხალი კაცი.

რალაც აზრმა გაუელვა. გარშემო მიმოიხედა და თოფნაკრავივით წამოიჭრა.

— დააყე, ბიჭო, დააყე. СТОИ!

დაულრიალა შეეტლეს და სადავე ღონივრად დაქანა.

— მივედიო, აგერ ბატონო თქვენი მკედარი.

ისეთი სახით წამოიძახა, თითქო თვითონ მიცვალბულს წააწყდაო.

კოფოდან ჩამოხტა. თხრილზე გადასტა და მწვანე ბეჭობს შემოუფარა. ბეჭობიდან მინდორზე რამდენიმე ნაბიჯი გადათვალა და მზრუნველობით დაიკრძა ერთ ადგილს:

— აქ განისვენებს საწყალი:

„საფლავზე“ დაყრილი ქვები აკრიფა, გასწმინდა და ამოიხარა:

— ძალიან ქვიანი ნიადაგია უსილოს გამოღმა. მთელი დღე მოუნდი ამ ერთი საფლავის გათხრას; მე მარტო ვიყავი ბატონო; სხვას ერთი ბარიც არ დაუკრავს.

მამაკაცებმა ქალები გადმოიყვანეს თხრილზე და მოშორებით გაჩერდნენ. ხნიერმა ქალმა საფლავზე დაიჩოქა. ატირდა. ქალიშვილი დაადგა თავზე და დამშვიდება დაუწყო. კმაყოფილი დახუნდარა ბეჭობთან იდგა მოკრძალებით და ფიქრობდა.

— ნეტავი მაცოდინა, ამ ხნიერ დედაკაცს რომ უთხრა ახლა, — აქ არ მარხია შენი მკედარი-თქო, რას იზამს, მანძილზე იტირებს!



მარტინული

ვისაც ჩენი სოფლის გზატკეცილზე უმგზავრია, იგი მალევე დაბრუნდება მეტეხე კილომეტრზე ქვის მაღალ ბოძს. ეგ ის ადგილია სადაც დახუნდარამ ცხარე ცრემლით ატირა ქალაქიდან ჩამოსული ჭირისუფალი.

მეორე დღეს ყველაზე დიდი სანატრელი შეისრულა და ყველა დღესასწაული ერთად გაითენა. ბოზოხის ქუდი იყიდა. საღამოს პავლიკა შეარღნე გაიგდო წინ და მთელი დამე ატარა შუკებში. არღანი ღრიალებდა. დახუნდარა სიმღერით მისდევდა უკან.

დახუნდარა ქეიფობს.

თვალებს უფსებს მეზობლებს.

მეზობლებს ესმოდათ მისი სიმღერა. ზოგი დასცინოდა, ზოგსაც შურდა მისი მზიარულება, მაგრამ ყველანი ასე ლაპარაკობდნენ:

— ხვალ ცივი ჰადი მოენატრება; ისევ ჩემ კარს მონახავს.

პიტახიას დილიდანვე სიარულის დროს დახუნდარა დაუახლოვდა მექის. იგი ყოველთვის გულთბილათ ხედებოდა მას და ეტყობოდა როგორც აზნახს. მეტი მალე შეეთვისა დახუნდარას, და ხშირათ დადიოდა მასთან.

სხვათაგან, აქამდე გამოუცდელი სიხარული გაეცებდა დახუნდარას, როცა საღამოობით მეტი დახედებოდა ფიცრულში.

მას ახარებდა მისი ჭერის ქვეშ მეორე ადამიანის არსებობა. ხანდახან მასში ილიძებდა სევდა ოჯახზე, შვილებზე, რომ მას არაფერ არ გააჩნდა ამ ქვეყნად და იგი როგორც უცხო ისე შემოდიოდა თავის სადგომში. ამ წუთიერმა გრძობებმა შეაყვარა მას მეტი. იგი ძვირფას არსებათ გადაიტყა მისთვის და დიდი ხნის უნახავ შეილივით შეშხაროდა მის მოსვლას.

ქვეყანაზე რამდენი რამეა საოცარი და სანდუკარი!

სატურისას ქალაში, მაღალ ბალახებში წაქცეული მეტი თვალებს მიიბჯენდა ცას და თხუნელასავით ძვრებოდა და ფუთფუთებდა საკუთარ ფიქრებში.

გასულ კვირას საყდრიდან ჯვარი ჩამოაგდეს. ხელით ვერ მოხსნეს. ხაკომიამ ფეხი ვერ მოაკიდა გუმბათზე, თოკი ესროლეს ქვევიდან. გამოსდეს ჯვარს და დაქაჩეს. ჯვარი მძიმე-მძიმედ მოიღუნა, მოტყდა და ხმაურით ჩამოცურდა გუმბათზე.

მაგრამ ყველაზე საკვირველი მისთვის ის იყო, რომ გუმბათ პირველად დაეხსრო გასვენებას, რომელსაც მამა ტირიფო არ მიუძღოდა წინ.

გასვენებას არ ეკრა ის დღესასწაულებრივი ელფერი, რომელსაც წინათ მას მამა ტირიფოს ბჭვრიალა ოღარი, ლადიმერას მოწყენილი გალობა და საცეცხლურის ჯაჭვების ნელი ჩხრიალი, საკმეელის ურჩხი სურნელება და საეკლესიო ბაირალების ლაპლაპი აძლევდა. მისვენებდნენ უზრალათ, აღმასკომის დროშით. მექის თვალში სამგლოვიარო პროცესია ძალზე მოსაწყენი და უფერო იყო. თუმცა ის გაურკვეველი შიში და მოკრძალება, რომელსაც მას გასვენების გარეგნული მხარე გვრიდა წინათ, ახლა არ უგრძნია და გაუხარდა კიდევ.

გასვენება უღვდლოთ!

ქვეყანაზე რამდენი რამეა საოცარი და სანუკვარი! ამ კაცმა ვარსკვლავიდან დაწყებული და ამ უბრალო გასვენებში დათმობული, დაფარულია საიდუმლოების სქელი საბურველით.

ვინ გამოარკვევს, ვინ გამოგზნაურება ხრიკუნთა გულისთქმას!

ერემოსგან გინების მეტი არიფერი ესმის. იგი ყველას აგინებს: ლმერთს, ვარსკვლავს და ეკლესიის ჯვარის ჩამომგდებს. ხალხი არასოდეს არ გამოილევად დაქანში, მაგრამ მეტი რომ ვისმის გამოვლამბარაკოს, ერემო დატუქსავს: — უფროსების წინ არ უნდა ვაგისწროს ენამ. პირში ნუ უფარდება ყველას!

პატრონმა ისე დაგეშა ბიჭი რომ მთლად გადააჩვიდა ლამბარაკს. ამიტომ მეტი ყოველთვის დაზუნდარასთან ატარებს თავისუფალ დროს.

აღონზე ძროხებს გარეჯავს საბალახით; დუქანში შეშას ჩამოიტანს, დუმელს გააჩაღებს, ქეაბებს გაამხადებს და ვენახში სამუშაოთ ან ყანაში დღიურად მომუშავე კაცის მისახმარებლათ მიდის. შეიძლით როცა გზატკეცილზე დილი-ენების მოძრაობა დაიწყება, ბრუნდება დუქანში და ემსახურება მუშტრებს. შებინდებისას საქონელს დააბინავეებს და ქურჭელს რეცხავს. ამასობაში კარგი ღამე ჩამოვა მაგრამ მისი სამუშაო დღე კიდევ არ თავდება. მუშტრები შუა ღამემდე შეყვებიან ჩარეკიანებს. ხანდახან ათენებენ კიდევ, როგორც იქნება ერემო დაკეტავს დუქანს. მეტი თავისუფალია. შეუძლია მიხედოს თავის სურვილებს, თუ ამის შემდეგ კიდევ შეჩვენება ფიქრის, მოქმედების და რისიმე სურვილის უნარი.

კედარივით გავგდება დახლზე.

სასთუმლის ამოდებასაც ვერ მოასწრებს უმაღლ ჩაფინება. ხანდახან გამოერევა ბედნიერი საღამო და აღრე განთავისუფლდება. მეტი შაშინვე ფიცრულში განდება.

ერთხელ ღამეც გაათია იქ, მაგრამ ვაი ასეთ გათენებას. შუა ღამით ვილაც შემოლამებული მგზავრი მიადგა დუქანს. ბევრი აკაკუნა, იძახა და როცა კარი არავინ გაუღო, წაყვიდა და ერემო გააღვიდა.

— ბიჭი არაა დუქანში?

— იმდენი ვარახუნე, შიგნით რომ იყოს, მძინარე კი არა, მკედარიც ვაი-გონებდა.

მიკიტანმა ჩაიკცა. დუქანი გააღო და მისმა ყვირილმა დილით დასაკლავი ქათმებზე გამოაღვიდა.

— როგორ გამოიბედა დუქნის მიტოვება; თავის დღეში არ უქნია ეს: მაცოდინა, სადა ხარ ახლა და რა უნდა ლმერთს! მაღლი ისაა, ამ ცხელ გულზე მომცა შენი გაჩეჩილი თავი; ხელამდე გადამიარს და რაღაი.

ერემოს იქვი უსაფუძელო გამოდგა. მისი ცხელი გული დილით უფრო გაცხელდა და მეტი ძლივს გამოართვეს ხელიდან.

— არ დაგინახო დუქნიდან ფეხვადგმული; წახვალ, კიდევ წახვალ — და ქუთხეში ჩაეცილ მექის ქვებივით აცვივოდა მუშტრები.

მექიმ შესწყვიტა ფიცრულში სიარული, მაგრამ უმეგობროთ მალე მოიწყინა. როცა პატრონი სოფელში არ იყო, შეარჩევედა მოხერხებულ დროს და გა-



იპარებოდა, წამოწებოდა ტახტზე და მისი გონების მალეღებებზე დასრულებული აღყას შემოარტყამდა დახუნდარას.

დახუნდარას უჯერდა რომ ეს ტანტალა ბიჭი ასე რიგად იყო მოწყურებული ყველაფრის ცოდნას.

— დამთხვეული იმ ყოფილა, ვინც შენ დამთხვეული დაგარტყა.

ფიქრობდა იგი და შთელი თავის ცოდნის მარაგით ცდილობდა მისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

დახუნდარა ატეისტი იყო.

— ვაგო, სადაა ღმერთი?! დავით და კოსტანტინე რომ წამოაპორწიალეს მოწამეთიდან დროგებით, თუ რამე ძალა ჰქონდა, ვერ გამოიჩინა მაშინ! თურმე ბერებმა სანთლის თავები გააკეთეს და გვატყუებდნენ; ირც ამ ბალშენიკებს ვენდობი ყველაფერში, მაგრამ ის კი ჩემი თვალით ვნახე.

დახუნდარა დაუზოგველად ანადგურებდა ღმერთს და მის მიწიერ ნათესავეებს:

— გასიებულ ტირიფოს ათასჯერ დაველრიტე — დიაცნად მაქურთხეთქო; ყურიც არ მათხოვა, თავის მოყვარე ლადიმერას კი ერთ კვირაში გაუჩარხა საქმე.

— ღმერთი არ მწამსო, რომ იძახი! — გაიკვირვა მექიშ.

— მამა უტეხონდა, ლადიმერას კი წამდა, აი! ღმერთი კი არა, ვაგო, მუქთად ჰამა უჯვარდა, მუქთად. ამაზე ვინ მამაძალი იტყოდა უარს. ჰაი დედისა, მაგისთანა აღვილა და მომგებიანი ხელობა, მეორე არ იყო ამ ქვეყანაზე, რას აკეთებდა! დაათრედა ტირიფოს ხურჯინს, ხანდახან შტერაფით დააღებდა ჰირს და ბუტბუტებდა, ვითომ ვვალობა!

საბრალო დახუნდარა; ღმერთი არა სწამდა, მაგრამ ზოგჯერ მეტი ისეთ რამეს შეეცდებოდა — აღარ იცოდა რა ეპასუხნა. იბნეოდა. მაშინ ღმერთს კი არა, ეწმაკებსაც მოიშველიებდა თავის დასატყუენად. მას სიამოვნებდა რომ იგი განათლებულ და ჰქვიან კაცად მიაჩნდა მექის. ყოველთვის ცდილობდა: არ ჩაქრილიყო და დამაჯერებელი პასუხი გაეცა.

დახუნდარას თუ ოდესმე დახმარებია ღმერთი, ეგ მხოლოდ მეგობართან საუბრის დროს. რასაც მეციურიულად ვერ გაარკვევდა, მის წარმოშობას ღმერთს მიაწერდა და თავის ავტორიტეტს შეინარჩუნებდა.

ასტრონომიის კურსების გავლის დროს დახუნდარას არ დასჭირებია ღმერთი, მაგრამ როცა ადამიანის გენეტიკას შეეხო, უღმერთოდ ძალიან გაუქირდა.

— ადამიანი მიმწინიდან გაჩნდა, — იკონებდა დახუნდარა სადღაც ყურმოკრულ, ნახევრად მიფიწყებულ და შემდეგ მისივე გონებით შევსებულ და შეკეთებულ ამბავს. თვითონ დახუნდარა ისე ძალიან გავდა მაიმუნს, რომ ეს დებულება უდავოდ უნდა მიეღო მექის, მაგრამ იგი მაინც იტვიანობდა.

— მაიმუნიდან როგორი?

დახუნდარა წამოყვდა. მექის კუდუსუნის ძვალზე შეესვა ხელი და ჩაიხეხინა:

— ნახე, აი საიდან მტკიცდება, რომ ჩვენ წინაღობაში ვართ. მაშინ ხეებზე ეცოცავედით და ამიტომ, ამ ადგილას, აა, ამხელა კული ვიწვევთ, რომელიც ჩამოვყავით და ადამიანობა დაევიწყეთ, კული თანდათან დაევიწყება. ახლა მარტო ეს დაგვრჩა.

მეტიმ ხელი მოსვია კულუსუნზე და შინაარსი ცნობის მოყვარეობით ჰკითხა:

— ხელახლა რომ გაიხარდოს!

— ნწ—გააქნია თავი უფროსმა:—აწი არ გვეჭირდება. ბუნებას კანონი ეგეთია — რაც საქმე არაა, იგი ვერ გაიხარებს.

ჩამოვარდნილი სიჩუმე მეტიმ დაარღვია.

— მაიმუნნი ვილამ გააჩინა?!

— თავდაპირველად — დახუნდარამ ნელნელა, მზრუნველობით შეახვია თუთუნნი.

— თავდაპირველად ქვეყანაზე მარტო ერთი ბაწაწკინტელა სულიერი იყო: ლიფსიტა გინახავს? იმხელა, იმრავლა, იმრავლა და ბოლოს ისე გამრავლდნენ რომ მიწაზე ვერ მოთავსდნენ; ნაწილი ფრინველად გადაიქცა და ცაში აფრინდა. ზოგიც ტყეში გაიქრა მხეცად და წაღებრა. ზოგიც წყალში ჩაფიდა; წყალში თევზებია. ჩვენი წინაპრები კი ხეზე ასულან, მაიმუნობა მოწონებიათ, გაიგვა ვაჟო!?

თამბაქოს მოუყიდა და სიამოვნებით გააბოლა.

— ი ლიფსიტა საიდან გაჩნდა, — ჩასდია მეტიმ.

— მატერიალ გააჩინა: ამისთანა მატერიალ კი არა, — დახუნდარამ ხალათის კალთა მოსრისა თითებით.

— აბა როგორია!

— ის მატერია, — დახუნდარა დაფიქრდა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოიგონა, როგორი იყო ის მატერია, ლიფსიტა რომ გააჩინა.

მეტი კი ისე მოუთმენლად მისჩერებოდა თვალეში დაყოვნება შეუძლებელი იყო.

— მაგ არაა ვაჟო შენი საქმე; ყველაფერი ერთ დღეში გინდა გაიგო!

გაჯაერდა იგი, მაგრამ შენიშნა თუ არა მოსაუბრის სახეზე უნდობელი ღიმილი, წამოდგა და თითქო თვითონ მოსწრებოდა მატერიის გაჩენას, ისე დარწმუნებულად ჩაილაპარაკა:

— მატერია ღმერთმა გააჩინა: მის მეტს არავის უნახავს.

ფიქრულში ბეუტაედა ჰრავი. ფარალალა კედლებზე თამაშობენ ჩრდილები. ტახტზე იწეა მეტი და უსმენდა მეგობარს, რომელიც მზიარულად ატარტალებდა ენას და ამფოთებდა სადღაც ინგლისის მიწაზე დარვინის მოსვენებულ ძელებს.

ლივლივებს უხიდო. კარგი თვალი ბონდიდან ლორწოქიდეულ ქვეშეშე-ამჩნევს მის ფსკერზე. ხინდახან ჩქარი მდინარება პატარა ტალღებს წამოქოჩო-რავს უროკო ზედაპირზე. შეახლის ერთმანეთს და გაპრიალებულ წინწყლებს მზიარულთ მიადანტავს სივრცეს.

ერთი შეხედვით უწყინარი მდინარეა. კვიცაჲ ვერ წააჭრებენს მტელესს, მაგრამ ერთი მაგარი წვიმა კატიწვერაზე... და უხილო უწყინარად დაეცა. აყალო მიწით შეღებულ ტალღებს ააზაფიებს, ააყვირებს და მოასკდება მალაღნაპირებს. ვადმოქცევს ვერ მოახერხებს და თავგამეტებით დაქანება თავად, მოღრიალებს და მოაჭროლებს ლეხმურას ტყიდან გამოტაცებულ შორებს, ახალგაზდა ნაძვებს, სატურხას ქალაზე აკრფილ კუნძებს და ბოკონებს, ზოგჯერ უშველებელ ურთხმელასაც ჩამოატარებს. მრავალშტოება ხე ვიწრო კალაპოტში ვერ გამოეტევა, გამოვირდება და ერთ კუნძსაც არ გამოატანს მდინარის გაყოფებულ ტალღებს. ნადავლის დაჭვრით განრისხებული უხილო მოუთმენლად შეუტევს ნაპირებს, გამოხრავს, ჩამოაქცევს მიწას და ურთხმელასთან დიდძალი რაოდენობით დაგორავილ შორებს და კუნძებს საშინელი ჭახანით მიაჩეკავს ხილს.

შემდეგ... წინდახედული ბარელები დარბიან ნაპირებზე და გრძელი კაუკიანი ჭოკებით იჭერენ განადგურებულ ხიდის ძელებს და ფიცრებს.

ყოველწლიურად ახალ ხიდს აგებენ. ყოველ გაზაფხულზე მოეარდება წყალი და როგორც ცხენი—უნაგირს, გაიტაცებს ხიდს.

თავგაბეზრებულმა ბარელებმა შარშან უკანასკნელად სცადეს უხილოს დასადავება. იმისისხო ძელები გამოხიდეს ლეხმურადან—ორი კაცი ვერ შემოწვდებოდა. ნაპირებზე ქვის კედელი ამოუშენეს. ძელები რკინის პალოებზე მიიბეს ჯაჭვებით. ყოველგვარი საშუალება იხმარეს—ეს უკანასკნელი ხიდი წინაპრებზე დღევრძელი ყოფილიყო. გაზაფხულზე ისიც დაითრია უხიდომ.

ბარელებმა ბრძოლა წაგებულად ჩასთვალეს.

საქციითოდ მდინარეზე ჩელტის ხიდი გაიბეს. ურმები, დილიენები და ეტლები ფონით მიმოდიოდნენ. მდინარის ადიდებისას ურმების და ეტლების მიმოსვლა წყდებოდა. მოგზაურობდნენ დილიენები. ოარივე მზრიდან მოადგებოდნენ მდინარეს, შეცვლიდნენ მგზავრებს და უკანვე გაბრუნდებოდნენ. ბარელებმა სხვა რომ ვერაფერი მოუხერხეს მდინარეს, სახელი გამოუცვალეს და უხილო შეარქვეს: ... ხე კი არა, მაგ უჯიშოს რკინაც ვერ გაუძლებს.

ხმურობს უხილო. დასიცხული საქონელი მოწყენილათ იცოხნება ზვინების ჩრდილში. ფონის ამოსავალზე ვილაცის ურემი ჩავარდნია ლაფში. მუქრმის გინება იქაურობას იკლებს.

მექიმ იცნო ბარნაბა სავანელიძის მოჯამაგირე, მოხუცი იულო.

— მარცხენა თვალი დაუჭი, მიშველე, ჰო, მარცხენა.

უყვირის მოხუცი მუხლამდე ტლაპოში ჩამდვარ მურუმეს. შებრუნებულ სახრეს გამეტებით უტყლაშუნებს არაქათამოლეულ საქონელს. ხარები გაიწევენ ჩლიქებით მიწას ჩამოხვეტენ, და ისევ დადგებიან. სულს მოიბრუნებენ, დაიგრძელებენ კისერს და ენას მოუსოპენ მახლობელ ბუჩქებს.

— ჭამა ხომ არ გაიწედათ! თქვენი... ჰოუ იშ... არ დაგადგათ საშველი, უნდა ვადმოვეცალო.

მაგრამ ჯერ არასდროს არ მიუღია ისეთი წყენა, როგორც ვუშინ. მერე ვისგან! თალიკოსაგან, რომელიც მექის თვალში გულკეთილად მისწერებდა იყო.

ერთხელ მექი შემთხვევით წამოადგა თავზე მობანავე თალიკოს, რომელიც გახურებულ სილაზე იწვია და თბებოდა. ის თავშეუკავებლად შიიზიდა ქალიშვილის შიშველმა ტანმა, მაგრამ დასძლია თავს და სწრაფად მოშორდა. მის შემდეგ დაიწყებდა თუ არა თალიკოზე ფიქრს, მისდა უნებურად ის ყოველთვის იმსახით ეხატებოდა, როგორც მდინარეზე ნახა. რამდენი ეცადა—შიშველი არ წარმოედგინა, მაგრამ ამაოდ; დახუჭვდა თუ არა თვალებს, იმ წუთშივე თალიკოს თეთრი ტანი გამოარღვევდა ტანსაცმელს და სილაზე გაიფლავებდა.

მექის სწყინდა, აშფოთებდა რომ ასე უსირცხვოდ და უხეზად ფიქრობდა მასზე, რომელიც მას ჩვეულებრივ ადამიანისათვის ბელშეუხებელ არსებათ მიაჩნდა. ის გრძობდა რომ ჩადიოდა რალაც ცუდს, უღირს საქციელს. მას უმძიმდა წერტილებოდა იმ აზრს რომ თალიკოზეც შეიძლებოდა იმგვარათ ფიქრი, როგორც სხვა ქალიშვილებზე.

და გუშინ, მან, ვისაც ასე ელოლიავებოდა მექის ფიქრები, ყველაზე მწარედ უტყინა მას.

სალამოხანს ცაცხვებთან ბურთის სათამაშოდ მოგროვდენ ახალგაზრდები.

— ხაეონია, ქალები ცალკე ვიქნებით, შეგვეჯიბრეთ!—დაიძახა თალიკომ და ამხანაგები მოკრიბა. მექი ნამორზე იჯდა, გულდაწვევით უცქერდა თამაშს.

— ხრიკუნია, ბურთი!—

იმახდენ მოთამაშეები, როცა ბურთი თხრილში, ან ვინმეს ეხოში გადაეარღებოდა. მექი მირბოდა, ჯერ ერთხელ-ორხელ თვითონ გაეთამაშებოდა ბურთს და მერე შემოაგდებდა წრეში.

— რას მაიმუნობ, —ჯავრობდენ ბიჭები.

თამაში გათავდა. გახურებული, გაწითლებული, თმაგაშლილი თალიკო ჩამოჯდა მაგრამ მაშინვე წამოვარდა. ვერ ისვენებდა. ნამეტანი კმაყოფილებით და მღელვარებით დაწვევტილად იციროდა. მას კიდევ უნდოდა სირბილი, მძიარულება.

— ვინ დამიჭერს, ვინ!— შეჰკივლა და გაქუსლა. დარაიის განიერმა კაბამ შუილით ჩაუჭროლა მექია. იგი ისე წამოხტა თითქო იმ კაბაზე ყოფილიყოს მიბმული. მისმა უშველებელმა მოუქნელმა ტანმა ფრთები შეისხა.

სხვა დროს დიდხანს იყოყმანებდა: სხვები რას იტყვიან ამხელა კაცი რომ აკუნტრუშებული დამინახონო...

მაგრამ ახლა თალიკო ისე მიშხიდველად მიჰქროდა, ბიჭებმაც ისე გადამღებათ დასტყვიელს და გამოენთენ, რომ თავი ვერ შეიმავრა. თვითონაც არ იცოდა, რათ უნდა დაწვოდა თალიკოს. ეგ სურვილი მოულოდნელად, გაზაფხულის თქეშევით გაბმაურდა მის გულში და შეუკრელი, მოუდგომავი სიეული ისე სასაცილო და უსწორო ნახტომებით მიჰქონდა მინდორზე, გვეგონებოდათ აქლემი მირბისო.

ვარდენამ, რომელიც უკან ჩამორჩა მექის, მის დანახვასზე მუცელზე მჯექი ბელი და მიწაზე გადაკოტრილდა.

— მოკვდო, მიშველეთ; მეყოფა ამდენი სიცილი, გამაჩერეთ! შეხედეთ როგორ მირბის ეს საიქიოს პარაოზი!—

მექი დაწინაურდა. მის და თალიკო შორის მანძილი თანდათან მოკლდებოდა. ზურგიდან კიჟინა და ფეშების თქართქარი ესმის.

— ჰაიტ— ჩადაც გაურკვეველი ბგერა გამოსცა და შთელი ძალით დაიქიმა.

თალიკომ თავი მოაბრუნა, როგორც ვინ გამოუსწრო ყველას. დააკვირდა დაწინაურებულს და თანდათან შეანელა სირბილი. მერე ერთბაშად შედგა. თვალზე გაბრწყინებული მექი უახლოვდებოდა.

თალიკომ სახე მოწკურა:

— შენ ვინ შეგვხვწა რომ მომხდევ; რა შენი ტოლი მნახე!

მექის ტკივილმა მოუგრია სახე. თითქოს მოულოდნელად კედელს დაეჯახა. იგრანო რომ ზედმეტი იყო.

გუშინ მექიმ პირველად მიხვდა რომ მის და თალიკოს შორის, ყრუ, გარდაუვალი კედელი იდგა. ეს კედელი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ წინათ, ბავშვობის დროს იგი არიყო ასე შალალი და შესამჩნევი. ახლა კი დარწმუნდა რომ წლებთან ერთად ეს კედელიც გაიზარდა, რომ ბავშურ სათამაშოებთან ერთად თალიკოს დაავიწყდა მისი ბავშვობის შეგობარიც. დაავიწყდა ის ვინც ასე გატაცებით არწყევდა მას საქანელაზე და ეთამაშებოდა ქვასალობიას.

თალიკო დაქალდა. მისი უკეთესი მეორე არ გამოდიოდა ცაცხვების ქვეშ. ახლა იგი ქვასალობიას თვალებით ეთამაშებოდა წიკზე შემართულ ბიჭებს.

გუშინდელ შემთხვევაში მექი თავის თავს ამტყუნებდა: — ალბათ მე მოვიქაცი ცუდათ; სხვასავით კარგი რომ ვიყო, მაშინ თალიკო არ გაჯავრდებოდა რომ დავედევნე. გადასწყვიტა მან და ადვილად შეურიგდა თავის-დამციარებას. ის ხშირად ფიქრობდა როგორ დაეშახურებია თალიკოს შადლობა.

ხანდახან ნატრობდა კიდევ რომ თალიკო აღიდებულ უხიდოს მოეტაცა. ბედნიერების ერთნატივლი დაუფლიდა ტანში, როცა წარმოიდგენდა თუ როგორი თავგანწირვით გადაეარდებოდა წყალში მის გადასარჩენად.

ნატრობდა: მგლები დასზმოდა ბარნაბას და თვითონ ახლო ყოფილიყო სადმე, ან ცეცხლი წაქიდებოდა მათ სახლს, ეძებდა ისეთ შემთხვევას, სადაც დაუშრტიკებდა თალიკოს რომ მზათ არის სიცოცხლე გასწიროს მისთვის და ყველა მათთვის ვინც მას უყვარს.

იგი ელოდა ასეთ შემთხვევას. იგი ოცნებობდა მისზე.

რთველის მოახლოვებამ ბევრი სამუშაო მიიყარა მის ისედაც მოუსვენარ ხელებს. იგი ახლა იშვიათად ხედავდა თალიკოს.

როცა ბარნაბასთან ვაგზავნიან, ტკბილ-მწარე სიხარულით მოეთენთება სხეული—თითქო საცაა ჭიშკარი გაიღება და მშვენიერი თალიკო მის ღონიერ კლავებში მოექცევა. თალიკოს ნაცვლად ეზოდან გამოეარდება უშველებელი ჭოფაკი და შეეყარებულ მოჯამაგირეს ძუნძულით გამოაბრუნებს უკან. მექი

ბოგირამდე გაიტყუებს ძალს და როცა დარწმუნდება, მოწმედ არაფერს არის, მოზრდილი ქვით გაუმასპინძლდება უნამუსო ცხოველს.

იჩქარის მექი. ბილიკზე გრილა. ბურჭებში მარდი ჭინჭრსა და მესკი-ლიები ფრთხილდებენ. გაიხანჩაბა ჩიკემა. მექიმ გააყურა. მოამზადა ქვა. დეხის ხმით დამფრთხალი ფრინველი აიშალა და ქვასავით მიძიმეთ ჩაეარდა ვენახში:

— რა მსუქანია! — გაუხარდა მექის.

ბურჭნარი შეთხვლდა. შორიდან იელვა საგანელიძის სახლის სახურავმა.

მექი აჩქარდა. უცბათ ბურჭებიდან ნაცნობი ხმა მოესმა. ტოტები გადასწია. ბურჭებს შორის გამოკრთა ორი შიშველი ტანი. მექიმ ორივე იცნო. ერთი ჯიბუტი მარგველძის შვილი იყო — სოლიკო. მეორე ხაგომია.

ქვემოთ, რიყზე მობანავე ბიჭები სხედან, სვანური ჭუღისნაირად შეგვრილი ცაცხვის ფოთლები ახურავთ და გახურებულ სილაზე თბებიან.

— ესენი რათ ამოსულან აქ! თვალეზი ბურჭებში შემალულ ბიჭებზე გადაიტანა და ერთბაშად მიხვდა. ისინი ზურგშექცევით ისხდნენ. ფეხები ფართოდ გაეშალათ და ხელმარუშობით იქცევდნენ თავს. უწმაწური სიტყვებით ნატრობდნენ გოგოებს და საზიზღრად, არაბუნებრივად იცინოდნენ. მექიმ ზიზღით მოარიდა თვალი, მაგრამ თალიკოს სახელი გაიგონა და გახევედა. ყური მიუგდო.

სოლიკო — მაშ აკოცებ სცენაზე! მართლა აკოცებ?

ხაგომია — არა, უხატობ. ისე ჩაებლუჯნი... (აქ ხაგომიამ ისეთი გამოთქმა იხმარა, რომ მექი შეინძრა და კინაღამ თავი გასცა) ბიჭო სოფელში პირველი არტისტი ვარ, ვოველთვის მთავარ გმირებს ვთამაშობ; ახლა ვინ ოხერი დაჯერდებოდა ამ ერცახე როლს რომ ჩემი ანგარიშები არ მქონდეს. თალიკოსთან მიწევს კოცნა! გაზაფხულიდან დავსდევ, დრამწერშიაც მისთვის მივიღე.

სოლიკო — თუ გავიგო მამამისმა.

ხაგომია — ფეხი არ მომჭამოს მა კულაკმა; მადლობა უნდა მითხრას რომ მის ქალს სცენაზე ვათამაშებ. არსად წამოგცდეს; თალიკოს რომ ყურში ჩაეწვეთოს, სათოფედ არ მოგვეკარება. რეპეტიციაზე ხელიც არ მომაკიდია. ყოფას უტირებ! ასე რომ გადაუწვევ თავს... ზედ დავაკედები. ერცახე როლი მაქვს მაგრამ ბაჯალ-ლოა, ბაჯალლო.

მექი არ სუნთქავდა. ბიჭები კაიხანია ყირამალით გადაეშვენ წყალში. ის კი გარეგებული იდგა. ბურჭებიდან გამოცურებული სიტყვები ცეცხლის ენებივით ეხვეოდა მის სახეს, ყურებს, ხელებს, ეკიდებოდა და უდაგავდა ყველაფერს.

— თალიკოს შერცხვენას უპირებს, ბინძური ტუჩებით გალოშნის! მერე ვინ! ზნედაცემული ხაგომია. ის ხაგომია, რომელიც ყოველდღე დასცინის და შეურაცყოფს მას. მისგან ყველაფერი მოსალოდნელია...

მექი გამოერკვა. მოურიდებლად გაარღვია მხეღვრტაყი ტოტები და გზა შეიმოკლა.

— გავაფრთხილებ... გავაფრთხილებ... არ ითამაშოს, ხაგომიას ერიდოს! ხმაურობდა მისი მკერდი.

საგანელიძის თეორ მესერთან სკოლიდან მომავალი ბავშვები შექუჩულა. უცინიან ტოტუბდამიშებულ ქლიავს. კენწეროზე მხიარულად კრჩინებს სასლიკოს უნცროსი და ცაცა და გემრიელ ნაყოფს ყენწით აქანებს.

— ვის გინდა.— აღიზიანებს ბავშვებს.

— მე.— მე.— მე.— ერთხმად ხმაურობენ ქვევით.

— თხლე, თხლე, თხლე.—

კისკისებს ცაცა და ნერწყვიმორეულ ტოლებს კურკებს აყრის.

— მამა შინ არის?— ასძახა მექიმ.

— ტყეშია.

— დედა?

— დედა და თალიკო სატირალში წავიდენ.

მექიმ უნუგემოთ მოავლო თვალი ეზოს და გულდაწყვეტით, როგორც მატარებლზე დაგვიანებული, გამობრუნდა უკან.

* * *

ბარელები უთენია შეესიენ ჭალას. სიმიდს ტეხენ. გოგო-ბიჭები თხრილებში გადაგორებულ კვახებს აგროვებენ. თვალეზდასწყებული მოხუცები ჩრდილებში სხედან. ფურჩქნიან ტაროებს. დატვირთული ძარიანი ურმები ნელა მიჰრიალებენ უხილოსკენ.

ბონდთან მწყემსი ბიჭები ბანაობენ, ხარშავენ სიმიდს, კვახს და მხიარულად ლაზლანდარობენ. კრიკინების გაუთავებელი, გულისმომწყვლელი ჭახჭახი აყრუებს ჭალას.

— დოფინა უუ. უუ...— წამოხტა ერთი.

— უ-უ-უ მოდო, მო-ო-დი— დასწყვილეს სხევებმაც.

ბონდზე მიშავალი გოგო გაჩერდა.

— რა გინდათ უსირცხვილეებო.

— რალაცას გახარებთ.

— სამაგიერო?— დაჰკივლა დოფინამ და ბონდიდან ჩამოხტა.

— სამაგიეროთ ტირიფოს გაცინე,

— ჯერ მითხარით.

ბიჭებმა რალაცა მოილაპარაკეს და გადასძახეს:

— ახალი ცირკული მოსულა, კომკავშირში შეიძლება თორმეტი წლიანი ძღაბების მიღებაო...

— იჭით დამეკარგეთ, თქვენი მოსატყუებელი სახლში გეყოლებათ!

პრტყელი ჭვა შერჩია და წყალზე გაასრიალა.

* * *

ბიჭები მთელი გაზაფხული ატყუებდენ დოფინას ამისთანა „ცირკულებით“. გახარებული გოგო გაიქცეოდა ყანაში და მონახავდა კომკავშირის უჯრედის მდივანს— ბაქუას!

— ხო მოვიდა „ცირკული“! აწი მაინც ჩამითრიეთ კომკავშირში.



— გატყუებენ დოფინა, მაგისტანა ცირკული შუბლზე მიიკრანს! მოიკადე, ასაკი შეგისრულდება და მივიღებთ.

— დედა ნუ მომიკვდება, გვიან მომნათლეს თორემ ახლა ცამეტი წლის ვიქნებოდი. ერთი წლის ვიყავი როცა მომნათლეს.

ელრიჯებოდა დოფინა, იჭმეტდა კისერს და იწმენდა აცრემლებულ თვალებს.

— არ შეიძლება გოგო, შენი გულისთვის დავამახინჯო კომკავშირის ხაზი?! უჯავრდებოდა ბაჭუა.

გუშინ დოფინას სანაქებოდ დაგრებილი ტუა და ერთად ერთი ანკესი მოსტაცა უხილოს წვერამ. დღეს მისი ნახატებიანი წიგნი მთლიანად იმსხვერპლა პატარა ქეთინოს ცელქა ხელებმა. მაგრამ დოფინას ვერაფერი დაალონებს. მარტო იმის მოგონება რომ მალე ცამეტი შეუსრულდება და კომკავშირში მიიღებენ, ყოველგვარ წუხილს ავიწყებს; სიხარული აგერ ჰა..... ყელამდე გააცეცხს და დელესავით გადმოუარს სახეზე. სოფელში ყველამ იცის რა ასულდგმულებს მას და ყველანი თავისებურად იყენებენ ამ ცოდნას.

კომკავშირის უჯრედის სასწრაფო კრებაა მოსაწვევი? ტენხიკურ მდივანს, გარდენას სიარული ეხარება. დაუძახებს დოფინას.

— კომკავშირში ჩამითრიეთო რომ იძახი, ჯერ უნდა გამოგცადო, უნდა გავიგო, ემორჩილები თუ არა დისციპლინას; აბა გაფრინდი ეხლავე და ბიჭები მორაკე..

და დოფინაც ემორჩილება დისციპლინას. გაფრინდება თემშარაზე და ღრი-ანცელით მოედება ღობეებს.

— ონისიმე უ-უ-უ.

— კოსტიას ბიჭო. უ.

— გამოიარე შე დაფეხვილო, ქარი ხომ არ ჩავიდგა მუხლებში—გაკაპასდება, როცა გამოძახებული ბიჭი ნელი ლასლასით გამოსწევს მისკენ.

ქალადიდში ნამუშევარმა ნაფეტვარიძემ რამდენიმე მანეთი და მეგრული-სიმღერის კილოკავი ჩამოიტანა სოფელში. მთვრალი დაბორილობდა შუკებში და დღინებდა:

„ოუ ჩელა სიხრჩელა

ოვა, ოვა, ოვა, ვა.

რასაც შეგამ ის შეგრძება

ოვა, ოვა, ოვა, ვა.

მანეთიანების გამოლევის შემდეგ სიმღერაც დაავიწყდა.

დოფინას საჯვარელი სიმღერა ეს კილოკავია. მის მარტივ ბგერებს ადვილად უფარდებდა თავის საქმიანობის და თამაშის რიტმს.

... ოუ ჩელა—მიიმღერის დოფინა და ხმას იმის მიხედვით იცვლის და იმა-ღლებს, თუ რაზე დაჰკრავს შიშველ ფეხს. როცა წვეტიან ქვას წამოჰკრავს,— უცბად დაკოკლდება და ბრაზიანათ აცვირდება: ოვა, ოვა, ოვა, ვა. სიტყვიერ მასალას თვითონვე იგონებს. მიდის და მიიმღერის: ახლა კაკოს დაუძახებ ოვა-ოვა და სხ.

დოფინას უპარტიო მოქალაქენი აძლევენ დავალებებს.

— სალამოს ჩამოირბინე ჩვენსა, ყაჭის ამოღებაში მომეხმარე!

— გოგო ერთი შეივრბინე ჩემთან, ბავშვი დაეტოვებ და მომეხმარე! — არაფერი მოეწიოს.

— შენს გაზრდას ერთი გადაირბინე ილიკოსთან. სასხლავი გამოართვი.

ხშირად ეს ვადასარბენ-ვადმოსარბენი არც ისე მოკლეა, მაგრამ იგი ხალისიანად ეგზავნება ყველას. მხოლოდ ერთხელ სათევზაოთ იქაროდა და ჯიბუტი ვააწბილა.

— დაიზარე ბიძი! შენ ვერ გამოდგები კომკავშირში.

ეხუმრა ჯიბუტში. დოფინა ვაწითლდა და ჯიბუტის მისულიც არ ეგონა, რომ პასუხი მოუტანა.

— სიმართლეს ვიძახით, ბაჭუამ გვითხრა!

ბიჭები დამაჯერებლად ლაპარაკობდნენ. დოფინა შეყაყმანდა.

— დაიფიცეთ! — ორმა-სამმა დაიფიცა მაგრამ დოფინამ შეაწერა: — თქვენ არა, თქვენი ფიცი არ მწამს!

წყნარად გაჩერებული ბუხუტი ამოიჩია.

— ბუხუტში დაიფიცოს.

— დედა მომიყვდეს, — დაიწყო სანდო ბიჭმა, მაგრამ დოფინამ დასკვივლა და წყალწალბულივით შეაქნია ხელი.

— რკინას ხელი გაუშვი, რკინას!

ბუხუტი ძალიან ცდილობდა, დაფიცების დროს ქამრის ბალთაზე მოეკიდა ხელი შეუმწინველად, მაგრამ ეშმაკ დოფინას რა გამოეპარება.

— მატყუებთ არა?!

— ჩვენ დავიფიცებთ, ჩვენ;

პატარა მწყემსები თივნიან, აქვხებენ ბუხუტიას, მაგრამ მან შორს დაიჭირა თავი. რკინაზე თითმიუდებლად ვერ გაბედა ტყუილზე დაფიცება: — გამართლდებაო. — მაშინ დოფინას ანკესი დაპირდნენ. გოგო დათანხმდა.

— გამიწყალეთ გული.

წაიბუზღუნა მან და ბიჭების ტანსაცმელს დასწვდა. კაბის ქვეშ, მუცელზე ბალიშისოდენა შეკვრა დაიმავრა. ოღარივით გასცვნილი შარვლის ტოტები კისერზე გადაიცვა, თვალები ვადანაბა, ლოყები გამოხერხა და ლოყებიდან მკერდამდე ხელის გული ჩამოიტარა — ვითომ წვერზე.

— უფალო აჭურთხე, — ხმა დაიბოხა. ორათ მოკეცილი ქამარი საცეცხლურით გააქანა და ფარულად, როგორც ტირიფომ იცოდა, საჯდომი მოიფხანა. იგი შეუდარებლად აჯავრებდა მღვდელს და სიცილით აგვიებდა ბიჭებს.

— ის როგორ იყო ხელზე რომ უკბინე! ახორბოცდნენ ბიჭები.

— ერთი ანკესისათვის აქ ხომ არ დავალამებ! მომეცი, შეჩქარება.

ბიჭები ეგრე ადვილად არ შეეღწოდნენ დოფინას. მის მრავალფეროვან რეპერტუართან ყველაზე ცნობილი და მზიარული იყო ის ნომერი, რომელსაც ახლა დაეინებით მოითხოვდა რიყე.

მარშან დოფინა ერთი თვით ადრე შეუდგა საიდგომო მზადებას, საგანგებოდ შერჩეული კვერცი დაკირა და ორი კვირით ბუბრეს დაეკრია. შაბათ საღამოს ჩამოიღო, გულდასმით შედგა, დაკირვის ნიშნები კრისტალურად და მოუთმენლად ელოდა გათენებას.

დღილით წირვაზე წაიყვანა დედამ. ეკლესია ჯერ კიდევ ჯვარწუტებელი იყო მაშინ. უსმენს დოფინა ტირიფოს ლაღს და გული უსივდება. არასდროს ასე გაჭიანურებულათ არ მოჩვენებია წირვა, როგორც ახლა. როცა ტირიფომ ხალხის კურთხევა დაიწყო, დოფინამ გაპარვა დააპირა, მაგრამ დედამ ჩასქიდა ხელი და შეუერთდა საკურთხეველთან გაბაწრულ მლოცველებს.

„ქრისტე აღსდგა“!

„ქეშარიტად,—მოხუცები განგებ უწევდენ ხმას სასერიოთ მოსულ ახალგაზრდების გასაგონათ და ამაყად მიდიოდენ გასაელისაკენ. დოფინომ არ იცოდა მაშა ტირიფოს ჩვეულება. არ იცოდა რომ მღვდელი კვერცხებს უცვლიდა ხელზე სამთხვევად მისულ მლოცველებს. მთელი უბედურებაც ამაში იყო. დოფინა აჩქარებულად მიუახლოვდა ტირიფოს, როგორც დედამ ასწავლა პირჯვარი გადაისახა და ტუჩები წინ-და-წინ მოაშადა საკოცნელიდ. სწორედ ამ დროს ტირიფომ მარცხენა ხელის გაწაფული მოძრაობით გამოუცვალა კვერცი. დოფინამ მოფიქრებაც ვერ მოასწრო—მის ხელში ისე სწრაფად გაჩნდა სხვა კვერცი. კატასავით მიახტა ტირიფოს.

— სად მიგაქვს ჩემი მოჩხუბარი კვერცი. მომეცი, ჩემი!—ისე აჰყვირდა, გეგონებოდათ ეკლესიაში გოჭს კლავენო.

მღვდელი დაიბნა. ჩუმი წყრომით იშორებდა გოგოს, რომელიც ჩაფრენოდან თითებში, ეწეოდა პირისაკენ და გახელებით უკრეკდა კბილებს. ახალგაზრდები მორიდებით ფრუტუნებდნენ. ერთი მაგარი ხარხარი ოცდაათ ალდგომას ერჩიათ. ვაწითლებულმა, შერცხვნილმა მღვდელმა კვერცი მაშინვე დაუბრუნა. გულის მოსაგებად ორი სხვაც გაუწოდა, მაგრამ მოჩხუბარი კვერცხის პატრონმა უქმებად შეაქცია ზურგი:

— ვის ატყუებდი, ვის! დაკირული კვერცი მოგეწონა? ვერ მოგართვი:— პირქუშად წაიძახა. კალიასავით ისკუპა საკურთხეველიდან და გაპქრა.

ახლა კი თავის შეკავება მართლაც დანაშაული იყო. და ახალგაზრდებმაც ისე თავგამებრებით დააღეს პირი რომ მახლობელი სანთლები ჩაპქრა. ამ შემთხვევას ბრწყინვალეთ ასახიერებდა დოფინა და რიყის ბიჭებმაც ვიდრე სურვილი არ დაიკმაყოფილეს არ მოეშვენ.

დოფინამ ანკესი მოითხოვა.

ანკესის პატრონმა უარი თქვა.—მარტო ჩემთვის ხომ არ წარმოგდგენია! სხვებიც იცინოდენ, რაღა მაინცადამაინც მე მთხოვე?!—ერთი სიტყვით დოფინა ყინვაზე გააცურეს ჩვეულებრივით და შედეგიც ჩვეულებრივი იყო. იგი გავიდა ბონდზე და ჩასაფრდა სიმინდებში. მცირე ხნის შემდეგ რიყეზე სეტყვასავით წამოვიდა კენჭები. რიყედან უპასუხეს და სროლა გაჩაღდა. მალე ბიჭებში ვილაცამ იყვირა და კოჭზე მოისევა ხელი.

— ეგეც თქვენ, აწი გეყოფათ!

ბეჭობზე გაიღვია ვარდისფერმა ჩითის კაბამ და გაპქრა.



— სად დაიქარგე?—დატუქსა დედამ.

ლოფინამ აუხსნა დაგვიანების მიზეზი.

— ი ხუცესმა რომ თვალი შეგასწროს, ხომ ვადამიცა მთელი ოჯახი. რატომ მიშვრები შეილო ამას!

— აბა, მინადორაც კი ვადაცა ქაშვეთის ხატზე, მაგრამ ქვა კარგათ.

— სუ შე გასაციებელი; ვის გამოემგვანა, ნამდვილი ქალბიჟია!—მართამ ჟუანასქელი სიტყვები თავისთვის ჩაილაპარაკა და სიმინდით სავსე გოდორა კრუსუნით შეიღვა შარზე. ლოფინა აწრიალდა. ვერ სიმინდის ტეხა დაიწყო, მერე ლობიოს მიყო ხელი, მაგრამ გული ვერაფერს დაუდო. გულნაკლულათ გადახედა ხანას, თითქოს მუშაობას დიდათ მოწადინებულია მაგრამ შესაფერი საქმე ვერ იშოვა და სწყინსო. დედის თვალის ასაქცევად შორიხლო ფუსფუსებდა. მერე შეუმჩნევლად ჩალის ზვინებისაკენ გაისეირნა, დაჰკრა ფეხი და მუშობლის ყანაში გადაეფარდა.

— გოგო სადა ხარ—მოიკითხა დედამ—კიდევ გამებარა; მე რომ უთხრა კომის მოსახელ წყალს არ მომიტანს. სხვამ რომ დაუქახოს თონხაშიც მოებმარება—ჩაილაპარაკა აღერსიანათ.

* * *

მართას ოჯახში ექვსი წევრი იყო: ცოლ-ქმარი, სამი შვილი და სიმშილი. მართას ქმარს, ზინობე გორდაძეს ქვეყნის ზრახვის გარდა არაფერი შეეძლო. როცა მსოფლიო ომის თვალეზმა ჩვენს სოფელშიაც ჩამოანათა, სხვა რჩეულ ბიჭებთან ერთად ზინობეც აარჩია ავსტრიის ფრონტზე დასაკლავად. ზინობემ ბალახებიდან შემზადებული წამალი დალია და გულის ფრიალი აიტეხა.

— არ გიშველის; ძუა გაიყარე წვივში. დროებით გაგიფუჭებს ფეხს, სამაგიეროთ წარბსაც არ შეარბნევენ ისე დაგიწუნებენ—ურჩია ექიმბაშმა ფარნამ.

ზინობემ დაიჯერა. გაიყარა ძუა. წვივზე დაჩირქებული იარა საექიმო შემოწმებამდე რომ არ მოშუშებოდა, თხილის ოდენათ დამრგვალებულ სანთელს იღებდა ზედ. სასაკლავოს კი გადაურჩა, მაგრამ უბედურება ის იყო—ფეხში შემოწმების შემდეგაც არ ისურვა მორჩენა. ზინობეს თემის ყველა ექიმბაშები და მარჩიელები დაასიეს. მართამ ყველაფერი გაყიდა. მისი ბედელი ჯიბუტი მარგველაძემ დაიღვა ეზოში. ძროხა ერეშო პიტახიამ დაახურდავა ვერცხლის მანეთებზე. ექიმბაშებმა უფრო დაიჩქარეს ფეხის გაფუჭება. დაეარდა მგელმუხლა ზინობე.

მართა ხარივით მუშაობდა. შეუბრალებელმა წლებმა ნაოჭებით ვიდუხნა სახე. მიდიოდენ წლები, მიდიოდა სიცოცხლე, მის კარზე კი განუწყვეტლივ აკაჟუნებდა გაჭირება.

საქართველოს გასაბჭოება მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა სატურის ნოყიერ ქალაში მიუშომეს მიწა და მიქელაძისეულ ტყიდან შეშის გამოტანის ნება მისცეს.

— რა მოხდა? — გაიკვირვა მართამ: — ლარიბებმა გავიმარჯვეთ უთხრეს, მართამ მადლობა გადაუხადა ღმერთს და გახარებული დაბრუნდა ქუჩაში. მარბობდნენ სინინდით, თესლით; ორხელ უფასოთ მოუჭრეს ზემს, უჭრედან გამოწვდილმა ხელმა სული მოათქმევია მის ოჯახს. წელს ჭიორას ზეგნები კომკავშირელებმა დაუთესეს. ჭალა ბარნაბა საგანელიძეს მისცა საზიაროთ.

იმავე საღამოს მოზიარემ ერემოს დუქანთან ციებით გაყვითლებული ნაფეტვარიძე გააჩერა. ახედ-დახედა მის კონკილებს რის გამო ნაფეტვარიძე ისე ფრთხილად ჯდებოდა სკამზე, როგორც ბუფალით შეწუხებული ავადმყოფი. ეშინოდა, დაჯდომის დროს დამდნარი შარვალი უაღგილო ალაგას არ გაიფხირა და სარკვეველი არ გამოიჩინდესო. ბარნაბამ გაკვირვებით ახედ-დახედა მის კონკილებს და გულშემატკივრობით ჰკითხა:

— ასე რამ დაგაგლახაჲ შე საწყალო! ხიდზე მაინც დავდგებოდი, ერთი ხალათის საფასურს მოაგროვებდი.

— ვინ რას მომიცებს, ხიდზეც ჩემისთანები დადიან! — სევდანარევი ღიმილით მიუგო მან.

ბარნაბამ ღვინო მოითხოვა.

— რატომ გამოიქეცი სამეგრელოდან. ჯერ შიშველ კანს დაიფარავდი და უსაქმოდ ყოილს ზამთარშიც მოასწრებდი.

— მუშაობას ვინ მიმაძალი გაეცევა, რომ არ იყო?!

ჭიკა გაავსო. სინათლეზე გახედა: — ვენაცვალე შენს დამწურავ ფეხებს — წამოიძახა და ერთბაშად გადაჰკრა. დახლს არც კი დახედა, ისე მოძებნა დასაყოლებელი. ერთ ლუქმას მეორეც მიიყოლა და მადიანათ შეუღდა ჭამას.

— ქელებში ხარ! — უყვირა ერემომ და თეფში გამოაცალა: იცის ნაფეტვარიძის ჩვეულება, როცა ღვინოზე მიიპატიჟებენ, იშოვის დროს და ერთ ჭიქას ათ ლუქმას მაინც დააყოლებს. თუ დროზე არ მიუწერეს, ლაზათიანად დააძღება ჭინძის წვენიში ჩადებულ ტყვირპს და მშრალად დათლილ ენას.

— ახლა რას აპირებ, ასე გინდა იარო?

— დღიურ ქირაზე დაედივარ. დარში კიდევ ვშოულობდი ცოტა რამეს. ახლა კი ცამაც მიჯინა და ჩამოიქცა. ერთი არ გამოიხედა მზემ.

— მეცოდები ბიჭო. ჩემი მეზობელი ხარ, წახდენილს რომ გხედავ გული ორად მეყოფა. თუ სადმე არ აპირებ, აღდგომამდე ჩემთან იმუშავე.

— იცოცხლე! — წამოიძახა სამუშაოს შოვნით და ღვინით გახარებულმა ნაფეტვარიძემ.

დუქანის უკანა ოთახში გავიდნენ.

— ერემო, ერთწამს მოიცალე, პირობა დაგვიწერე.

ნაფეტვარიძე დაყურებდა ქალაღს, რომელზედაც ერემოს გამოუცდელ ხელს მძიმედ მიყავდა კალამი. ბარნაბა კარნახობდა. ხან შეჭერდებოდა და თავისთვის ანგარიშობდა.

— ახლა აპრილის დამლევია, მაისი, ივანობისთვე... ენკენისთვე. დაწერე. მწიფობისთვემდე თვეში შვიდი მანეთი და ხარჯი. მერე თუ მუყაითობას გამოიჩენს, თვეში ხუთი მანეთი მოემატოს; საახალწლოთ ერთი ახალი ბლუზა შარვალი...

პირობა დაწერეს. ნაფეტვარიძემ სამი ჯგერა დაუსვა. ერთში შეამოწმა. ბარნაბამ ოთხად დაკეცა და საქილეში ჩაიჩრა.

მცირეხანს კიდევ ილაპარაკეს და ბარნაბა წისასულელად მატყუნს: *მატყუნს მატყუნს*
ნაფეტვარიძემ შეაჩერა:

— რა გინდა?

ნაფეტვარიძე ყოყმანობდა. ეტყობოდა სათქმელი ქონდა, მაგრამ მორიდების თუ სხვა რამის გამო, ვერაფერი სთქვა და ხამათ იყურებოდა.

— ფული გპირდება?

— არა, ამასწინად კრებაზე გამოგვიცხადეს; პირობა აღმასკომში უნდა შეამოწმოთ—დამნაშავესავეთ ძლივს ამოღებთ მან.

ბარნაბას გაეცინა:

— ესეც არ იყო, —საქილეზე ანიშნა:—მე და შენ ისეც ვენდობით ერთმანეთს; აღმასკომს ჩვენთან რა ხელი აქვს! აბა თუ ასეა, ჯამაგირიც აღმასკომმა გაძლიოს.

— კი მაგრამ... ნაფეტვარიძემ მორჩილებით გაიღიმა. მისი ღიმილი ლაპარაკობდა:—არ ვიცოდი თუ გეწყინებოდა, თორემ ხმასაც არ ამოვიღებდი, უნებურად წამომცდარი.

— რა, მაგრამ!—ბარნაბამ თვალებით გამოსცადა.—ჯერ ყანაში თოხი არ დაგეკრავს, ახლავე კანონებით მელაპარაკები! მიწამ კანონები არ იცის. შარშან გაზაფხულზე ლეჩხუმელი მოვიყვანე ქუთაისიდან. გვალეები იდგა, სხვები უთენია გადიოდნენ ყანაში, იქნება დანაშაულზე ორი ფარცხის გავლება მაინც მოვახსწროთო; ჩემი ლეჩხუმელი კი შესთან ერთად დგებოდა. სანამ ჩაიცვამდა და კარში გამოეტეოდა, მიწა ვაშრებოდა! მიწა ისეა, სახლს რომ ცეცხლი წაეკიდება; დროზე უნდა მიუხსწრო. ძილიც უნდა გატეხო და ქამაც უნდა დაივიწყო. რვა საათი ვიმუშავებ და მერე თავისუფალი ვარო; არა ლეჩხუმელო!—უთხარი მე; ნახევარ დღეს მთელი დღის თავისუფლება სჯობია მეტეი და გზა დაულოცე. სად მიწა და სად რვა საათი; თუ ამას ფიქრობ, ბარემ ეხლავე მითხარი შე დალოცვილო.

ბარნაბამ რბილი, დაჯერებული, მაძლარი კაცის დამახასიათებელი—ოდნავ დამკინავე ლაპარაკი იცოდა. მისი შემთხარი ხმა გულწრფელად მოეჩვენებოდა კაცს, მაგრამ ნაფეტვარიძემ იცოდა, რამდენი სიმკაცრე იყო ამ სიტბოში. იცოდა თუ როგორ ამუშავებდა ის მოჯამაგირეებს.

ბარნაბას სიტყვებმა შეაშფოთა. გაზაფხულზე ტყიბულის მალაროებში აპირებდა მოწყობას:—მცირეოდენი სახარჯო ფული და ერთი ნახმარი ფარაჯა თუ ვერ ვიშოვე, ასე ტიტლიკანა როგორ დავიმრე. დღიურ ქირაზე სიარულით ვერაფერს გამოვჩები; მერე ზამთარიც მოაწვეს და მოლად დამატქმებს—ფიქრობდა იგი და ცდილობდა მუდმივი ადგილი ეშოვა გაზაფხულამდე. მთელი საათი უმტკიცა ბარნაბას თავის ერთგულება და მუყაითობა.

— ამიტომ ვთქვი, თორემ ისე არც მე ვარ კანონების წინააღმდეგ. აღმასკომში რა, ორი ნაბიჯის გადაგმა კი არ შეზარება; წავედეთ—უთხრა დამშვიდებული ბარნაბამ.



საქართველოს სსრ

აღმასკომის თავმჯდომარე გოროზი ტუჩა დაწინიანი იმეჯათუძე მოც-
ლილი. ყოველთვის ცხენზე იჯდა ან ეძინა. ძილი დილიდან საღამომდე არ
მოსწყინდებოდა და გასაგებნიც იყო. ისეთი მშვენიერი ხვრინვით ირთობდა თავს
რომ კაცის ყური უკეთეს ვერას გაიგონებდა. იწყებდა წელი რიტმიული ქშენით,
თანდათან გადადიოდა ხრიალში, მერე მოუმატებდა ორთქლს და ისე დასტვენ-
და, შეჭკვილებდა თითქო მატარებელი დაიძრაო.

გაღვიძებისას ერთს კი გადაჭყვილებდა თვალბდაკუსულ მილიციონერს,
ხინთობიძეს.

— ბიჭო ცხენი შეუკაზე შენს მთავრობას— და გაჭკრებოდა:

ყოველთვის საღლაც საჩქაროდ წასასვლელ კაცის ლაპარაკი და მოძრაობა
ჭკონდა. მუდამ იჩქარის, მუდამ საჭმელებით შემფოთებული სახე, მაგრამ დანამ-
ღვილებით ვერაფერ იტყოდა, საღ მიდიოდა ან რას აკეთებდა.

ახლაც დაბაში იჩქაროდა. ძლივს უსმენდა გიორგი ჯიშვარიანს. გიორგი
აღელვებულია. თავმჯდომარის უყურადღებობა უფრო აღელვებს და გაუწყობ-
ლად ხრიალებს.

— აღმასკომო, სამართალი აღმომიჩინე, სამართალი; თორემ მითქვამს და
არ ვიცი... მისმა მოჭმედებამ სისხლი ამიდულა ტვინში.

გიორგი საღვარზე ეღავება ჯიბუტი მარგველაძეს: მის ეზოს ერთი ქცევა
უნაყოფო ფერდობი ეკრა. სამი წლის წინათ ეს ფერდობი მარგველაძემ დაი-
საკუთრა და შემოლობა. ეკლის გაშენებას აპირებდა.

შვილი დასცინოდა:

— მაშაჩემო ხედავი რა ხედავია, იგიც არ ვაჩერდება მაგ ხრიოკზე
რომ შეუშვა. რათ უნდა ლობე, რატომ აკლავ თავს!

— ეხ, რა იცი შვილო შენ, რა იცი! ჯავრობდა ჯიბუტი:— ლობე მარტო
იმიტომ დააწესეს რომ საქონელი არ შემოვიდეს? არ იცი შვილო არა; რაა
უსახელო კაცი? არაფერი. შემოულობავი მიწაც ვგრევა; ლობე აქვს, სჩანს პატ-
ტონიც ყავს! ეფხ, რა იცი...

ფერდოფს ეგეთი მშვენიერი მესერი შემოაელო— მის საფასურს ათწელი-
წადში ვერ აინაზღაურებდა.

ორი წლის შემდეგ მოსაზღვრე მეზობლებს შორის ისეთი მტრობა ჩამო-
ვად— არაფრით არ ზოგავდნენ ერთმანეთს. ჯიბუტის ქათამი რომ გიორგის ეზო-
ში გადაფრენლიყო, პატრონმა უკვე იცოდა გაუფრთხილებელი ფრინველი ფეხ-
შოტეხილი ან ფრთაჩამოგდებული დაბრუნდებოდა უკან.

უდანაშაულო ქათამებმა, გოჭებმა და ძროხებმა არ იცოდნენ— მათ ღვენი-
დნენ და ასახიჩრებდნენ მხოლოდ მისთვის რომ ჯიბუტი მარგველაძე წელიწადში
სამჯერ აარღვედა ლობეს და ერთი მტკაველით გადასწევდა გიორგის ეზოში.
გიორგიმ მხოლოდ მაშინ გაიგო ჯიბუტის მტაკებლობა, როცა ატმის ხე, ხუთი
წელი რომ მის მიწაზე იდგა, ერთ მშვენიერ დღეს მეზობლის ეზოში დაინახა.

დაიწყო საღობეთშორისო ომი.

როცა მესერთან რომელიმე ოჯახის წევრი გამოჩნდებოდა, იმ წამსვე მეორე მხრიდან ტყვიამფრქვევივით აკაკანდებოდა ვინმე და გაჩაღებოდა ტყვეების სროლა. შერე აქოშინებული მამაკაცებიც გამოვარდებოდნენ და მისწრაფებულნი იყვნენ ლამოს უღრენდენ ერთმანეთს.

გიორგიმ ღრუნით და მუჭარით რომ ვერაფერი გააწყო, აღმასკომს მიმართა:

— მიწის მოპარვას არ შევარჩენ. საღ გავიანილა, წელიწადში ათჯერ აშლო და აკეთო ლობე! აღმასკომო მითქვამს, მომაშორეთ; მარგველადის წერას ნუ გამზდით!

— ამხანაგო, რამდენჯერ უნდა გითხრა! ნუ ხარ შეუგნებელი ელემენტი. შენ ერთს ლაპარაკობ; მას კიდევ მეორე ექნება სათქმელი. მარტო შენს სიტყვებს დაუჯერო! მობრძანდით ორივემ ერთად, დაგაყენთ აგერ ლამაზათ და გავასამართლებთ. აბა სხვანაირად როგორ გინდათ? ერკაიას ხომ არ დავნიშნავ თქვენნი გულისათვის! ხო და ასე ქენით—უთხრა ტუჩამ და გამოვიდა.

ბარნაბამ შეაჩერა.

ტუჩამ ამოიხარა და საწყლად მიუბრუნდა ნაფეტვარიძეს.

— მოიწი აქეთ, მოიწი. არ გრცხვენია ბიჭო! შენი პირობა ვარჩიო ახლა თუ სოფელს უპატრონო. რომელი ექნა, მითხარი. შენ რომ აქ მოგიჯდე, ვინ ჩამოიტანოს სესხი, ვინ ირბინოს დაბაში, მაგისტვის მაცდენ! ბარნაბასთან რა ფორმალისტობა გინდა; ისი თუშანი ასესხე თუ რა! შენ კი არა, ჩვენ რომ მთავრობა ვართ, ჩვენ ვენდობით შავას სიტყვიერათ.

— მეც ეგ არ უთხარი!—დაუკრიჭა კბილები ბარნაბამ.

— ხო და ასე ქენით.

კიბეზე კიდევ დაუხედა ვილაც.

— ე კაცო, როცა თავისუფალი ვარ, მაშინ დამიჭიროე სადმე; ახლა რომ მომადექი, აქამდე საღ იყავი! აბა დაერჩები და შენ წადი ჩემს მაგიერად მახრავი. გაიტან იმ საკითხებს რაც მე თავში მაქვს? არა? აბა რატომ მაჩერებ ბიძი; ხო და ასე ქენი.

— ხან ასე ამბობენ, ხან ისე! წაილაპარაკა ნაფეტვარიძემ და თვალი გააყოლა ჩქარი თხარით მისეველ ცხენს.

* * *

ჩრდილები მოკლდებოდა, როცა ბარნაბა ლებეზურას ტყიდან გამობრუნდა. ქიორას ზეგნების ძირში ხეხილის ბაღია. სამი მხრიდან დაბალი ყორე აკრავს, ალაგ ალაგ ჩამონგრეული და სურამოსილი. მეოთხე მხრით უხიდობდე გრძელდება. ბაღში ყორეს გასწვრივ გაშენებულია დაფნის ბუჩქები. შემდეგ იწყება ვაშლის, მსხალის, ქლიავის და ატმის დაუსრულებელი რიგები.

ორი წლის წინათ ეს ბაღი ბარნაბას ეკუთვნოდა.

შემოდგომაზე როცა მწიფე ნაყოფის სიმძიმით აქრიანებული ტოტები დაბალ დაიბრებოდნენ და სინოყვირისათვის მადლობას მიუძღვნიდნენ მიწას, ბაღის კიშკართან გაჩერდებოდა ქუთაისელი ებრაელი შალომა.

გაძვალტყავებულ ცხენს (მისი ნეკნები ერთვერსზე დაითვლებოდა) კიშკარზე მიიბამდა. ძალღებისათვის საგულდაგულოთ შეარჩევდა ჯიშს და მოკლე ცანცარა ნაბიჯებით შემოირბენდა ბალში. თუ ბარნაბაზე უძრავ ძაღლები იღლებდნენ შალომას სუნს, ვიი მაშინ კეხით და სიციხით გამომწვარ ებრაელის ბარდაყებს. დარბოდა შალომა, იგეირებდა ძაღლებს და ერთი უკეხი სიტყვა არ წამოცდებოდა მათ მისამართზე. აღერსიანათ უსტვენდა, უყვავებდა, ყველას ინგლისურ სახელებს უძახოდა და არ იშურებდა თავის საალერსო ლექსიკონს, ოღონდაც ისინი უფრო არ გაანჩხლებულიყვნენ და არ დაებრდღვნათ მისი სხეული, შარავზებზე ტანტალში ჩამომხმარი და დასუსტებული.

სამაგიეროთ შეეფარებოდა თუ არა ბალის პატრონს, შეუბღვერდა ქოფაკებს და მათრახის ქნევით წააქეზებდა.

— ახლო მოდი, ახლო, შე წუპაკო, შე ტურის არჩივო! შენ ასე, შენ ისე... როგორ ხარო, როგორ გიკითხოთო, როგორ მშვიდობით თქვენი კირიმი!—ათასჯერ მოიკითხავდა ბარნაბას.

— ისე, შენგან მოძულებული;—ეტყოდა ბარნაბა და გაჩუმდებოდა. მან იცოდა რომ შალომა საპიროებისდამიხედვით ზესაც კი მიმართდა მოსაკითხი სიტყვებით. იცოდა ქუთაისელ ებრაელის პირწავარდნილი ჩვეულება, რომლის შემწეობით იგი ყველგან იზინაურებდა თავს, შინაურულათვე ჩარხავდა საქმეს და ამარტივებდა ვაქრობია რთულ დიპლომატიას.

დაუნებთან ჩამოჯდებოდნენ.

გულამოქცეული შალომა დაწინარდება, წითელი ბაღდათით ოფლს მოიწმენდს და იტყვის:

— აგერ გალაქტონთან ვიყავი, ცხენს ვევაქრები; შენთან შემოვიარე, შენმა მზემ ისე მიხარია შენი ნახვა, როგორც ჩემი ცოლ-შვილის.

როგორც ყოველი პირფერი, ლაპარაკის დროს შალომა გაურბის მოსაუბრის თვალებს; ერთხელაც არ გაუსწორებს სახეს და შიშით, სიხარბით დაფეთებულ მზერას სივრცეში ატრიალებს.

— გამადლობთ ჩემო შალომ რომ გამიხსენე; რა ამბავია ქუთაისის?

ბარნაბას ქალაქის ამბავი ისე არ აინტერესებს ახლა, როგორც შალომას გალაქტოს ცხენი. ერთხანს ისაუბრებენ ასე ორივესთვის სურვილმოკლებულ ამბების შესახებ; გაურბიან მათი შეხვედრის ნამდვილ საგანს.

შეიდველი ფიჭობს:—ბარნაბას არ უნდა ეგონოს რომ ქალაქიდან მისი ბალის გულისთვის ჩამოვედი; ისე მოვაჩვენებ თავს, ვითომ შემთხვევით შემოვიარე; ხილი არ მინდა მაგრამ... თუ ვინიციბაა ფასებში მოვრიგდით...

გამეიდველის თვალები კი ლაპარაკობს:—მესმის ჩემო კარგო, შენი გულის ფრიალი; შენ რომ სასწავლებლად მიდიოდი, შე იქედან ნასწავლი ვბრუნდებოდი:

სხედან, ლაპარაკობენ და უცდიან ვის უწინ გამოილევია მოთმინება.

შალომ დაიღლება ლოდინით და ფრთხილად მოსინჯავს ნიადაგს.

— ყველაფერს დაეკარგა გასავალი; შენმა მზემ, უწინ ჩენი ებრაელობა „ხასტავაზე“ დახედებოდა გლეხეაცობას. იქვე დაუტლიდა ხელებს. დღესა, დღე-

სა „ხასტავაზე“ ვინ წავა! სახლშიც რომ მიუტანო, გარეთაც არ გავიშვებდი. ხილეთულობას სათოვედ არ ეკარებინან. ახლა შინაურ ფრინველებზეც კარგად უნდა იცნობოდნენ. ხეებზეა დიდი მოთხოვნალება. გაკეთდენ იცკა და ხაიმო. ორი ცხენით დადიოდნენ, მესამე უყდიდათ, მეოთხესაც აპირებენო!

წუხს შალომა, შლის ხელებს და წარამირა იფერთხავს წვერებს.

მისი თაღლითობა მოთმინებიდან გამოიყვანს ბარნაბას.

— მართალი ხარ შალომა, ვაკირდა ცხოვრება; მართლა იცკაზე გამახსენდა; თუ ნახო, უთხარი, რას შვრები, რატომ კარგავ ბეს; დანარჩენიც ჩამაბარე და გავათაოდ საქმეთო.

შალომა შეხტება:

— რისი ბე?!
—

— ამას წინათ ხეხილზე მომირიგდა, ბე დამიტოვია;

შალომა გაგიჟდება. საფქვევ-გამოღეულ წისქვილივით აბიზინდება.

— ბარნაბა, არ ეკადრება შენს მოწიფულობას! მე დამპირდი, მე დამპირდი, ახლა დრო მიშოენე და პირი მიშალე, თავი შეიქცხინე! იკადრე, იკადრე, ნაფურთხის ალოკვა?! ჩემი ფული არ ფულობს, ნომერი აკლია თუ რა არის! მაგას მოველოდი შენგან!

ცხადია ბარნაბას არაეისგან არ მიუღია ბე, არც შალომა ყოფილა დაიმედებული რაიმე პირობით; მაგრამ ეს ორი ტყული ისე აუცილებელია, როგორც მდინარისათვის კალაპოტი.

ყოველი ხის ყურადღებით დათვალიერების და კარგახანს ვაქრობის შემდეგ, ისინი მორიგდებიან და კმაყოფილი დაშორდებიან ერთმანეთს. შალომა აფორთხდება ცხენზე და წასვლამდე ასჯერ მანაც გააფრთხილებს ბარნაბას:

— ქვა არ ესროლოს ბავშვებმა, ღამლამობით ძაღლები აუშვი;

ყოველ შემოდგომაზე მოდიოდა შალომა და მიჰქონდა ხილი ურმით, ცხენით და სხვისი შვრებით.

ერთხელ კი შალომას მაგიერ მოვიდა ვიღაც სხვა და მთლად წაიღო ბალი; წაიღო ისე რომ ერთხელაც არ შეეპყრებია ბარნაბას, გროშიც არ მიუცია მისთვის.

ამ დღიდან ბარნაბას შეჯავრდა სოფელი, შეჯავრდა მეზობლები, რომლებიც მის ბაღში და მინდვრებში ძველებურად ღვრიდენ ოფლს, მაგრამ არ აესებდენ მის ბელებს. როცა იმ უბედურ დღეებს მოიგონებდა, მის ხსოვნაში წამოდგებოდა ტარასი ხაზარაძე და აცხცახდებოდა სიბრაზით.

ბარნაბა საგანელიძე კომუნისმის მომხრეა. ყოველ კრებაზე, ყოველ ოჯახში, ყოველ კაცთან ესალმება და იწონებს კომუნისტური მიზნებს. იგი თავგამოდებით აგინებს და ებრაძვის მათ, ვინც ამ მიზნებს შრუდვით ანხორცილებს, ლენინის სიტყვებს პირუკუღმა ატარებს და ხელს უშლის კომუნისტურ წყობილობის განმტკიცებას. მაგრამ საქმე ისაა რომ მის კომუნისმის მტრებად თვითონ კომუნისტები მაინცა. იგი მომხრეა კომუნისმის—კომუნისტების გამოკ-

ლებით. რა თქმა უნდა, ბარნაბას თავისი "თეორიები" დუქნების მსგავსად კოდ ჰქონდა; თორემ ისე ვანა არ იცის, რომ კომუნისტების სტრუქტურა შეიძლება კომუნისმი? მაგრამ მან ისიც მშვენიერად იცის— ყველაფერი რომ აგინოს და ათახსიროს, მაშინ მის სიტყვებს წონა და გავლენა დაეკარგება გლეხობაში. ამიტომ იგი გულშემატკივრობის ნიღაბს იფარებს.

— კომუნისტური პოვრამა კარგია, მაგრამ ჩვენი სოფლის კომუნისტები ვერ ასრულებენ კარგად— წუხს იგი და სკდილობს იქვიანობის წყალი შეუყენოს ტარასი ხაზარაძის ავტორიტეტს.

კომუნისმი ჯერ შორსა; მის მოსვლამდე ათასი ტურა დაიკვილებს და ათი თაობა გამოიკვლება.

რაც შეეხება კომუნისტს, ცოცხალ ადამიანს, რომელიც ლაპარაკობს, დადის, მოქმედობს, ებრძვის და ვანადგურებას უქადის ბარნაბას, — იგი ათასჯერ უფრო საშიშარია და საშინელი; ამიტომ საგანგებოდ იცავს კომუნისმს და ებრძვის კომუნისტებს. აღსანიშნავია ისიც რომ ბარნაბას როდი ეზიზღება ყველა კომუნისტი; მგალითად ტუჩა დაშნიანს ყოველთვის უტერდა მხარს; ბარნაბა რომ შეესიელი არ იყოს, დღეში ათჯერ მისცემდა ხმას აღმასკომის თავმჯდომარეს; სამაგიეროთ ტარასი ხაზარაძის დანახვაც კი ისე გააზრზოლებს, თითქო გველი შეუცოცდა ზურგზე.

ტარასი ხაზარაძის ხელი ყველაზე მაგრად არყვეს მის ფუძეს.

ბარნაბას გამჭირავს თვალებს და გამახვილებულ სმენას, არც ერთი ახალი მოვლენა არ გამოეპარება სოფელში. იგი დარწმუნებულია რომ ყველაფერი რაც ხაზარაძის მეთაურობით კეთდება, მისთვის არ იქნება სასარგებლო და სასიხარულო. ამიტომ მთელი ძალღონით ეწინააღმდეგება მის ყოველ წამოწყებას.

მისი გამბროტება ერთხელ იქამდე მივიდა რომ ხიდის აგებასაც კი შეუშალა ხელი.

სხვებზე მეტად, ბარნაბას ავიწროებს უხილობა. წისქვილი და ყანა წყალგაღმა აქვს. მაგრამ რახან ხიდის აგება ტარასიმ წამოიწყა, თავისი თავიც მოიძულა.

ტარასი დიდ აგიტაციას ეწეოდა სოფელში:

— ხომ ხედავთ, მდინარემ არ დაიმაგრა ჩვენი ხელებით მოხლაფორთეზული ხიდები. ტენიკის პლანებით რომ გავაკეთოთ, გაზაფხულის ყველა წყლებიც ვერაფერს დააკლებს. თვითდაბეგვრა გავატაროთ, მთავრობა ტენიკებს დაგვასვენს. ამოვდოთ ლავამი იმ გადარეულ უხიდოს, — ურჩედა ბარელებს და ერთხელ გზის ტენიკიც ჩამოიყვანა ქალაქიდან.

თვითდაბეგვრამ გლეხები შეაყოყმანა. გორდაძეების უბანმა, რომელიც უხილობით ყველაზე მეტად იყო გაწვალებული, მხარი დაუჭირა ტარასის; მაგრამ ბარნაბას ჩავონებით ზოგიერთებმა უკან დაიხიეს და როცა ხიდზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ჩუმდებოდნენ, თითქო არ ესმოდათ.

— ავიღოთ ეს ფული და ბარემ ახლავე გადაეყაროთ წყალში; შრომას რაღაღა უმატებთ! უხილო დაწყველილი მდინარეა, ხიდს არ მოითმენს; ტყვიანმა ხალხმა ტყუილად კი არ შეარქვა უხილო!

ჩაჩინებდა ბარნაბა ცრუმორწმუნე დედაკაცებს; მამაკაცებს კი აჭებდა: — ნუ აჩქარდებით; ჩვენი გაჭირვება მთავრობას მოვახსენებთ, უხერხულთ არ დაგვტოვებს. თქვენ კი ამდენი ფული და შრომა შეგენახებათ; ჩვენთვის ყოველი გროში მილიონად ღირს, მთავრობას კი რა მოაკლდება? არაფერი!

გლეხებში უთავბოლო ბჭობა და შითქმა-მოთქმა გამოიწვია და შეაფერხა თვითდაბეგვრის ჩატარება; ამასობაში ზამთარიც მოვიდა. სოფელი მოუჯდა თბილ კერას და ვიღას ახსოვდა ხიდი.

ბარელი მოქალაქე გადახედავდა დაუძღვრებულ მდინარეს და ჩაიცინებდა: — ამ ერცახე წყალს ტენიკის პლანები რათ უნდაო.

ბარნაბა მზესაც კი შეაფურთხებდა რომ იგი ხაზარაძის ხელით ყოფილ იყო ცახე ატანილი.

* * *

ბაღის ჩამორთმევის შემდეგ ბარნაბა ერთი კვირა არ გადმოსულა ეზოდან, ერთხელ ლობეს ასწორებდა.

შარაზე ტარასიმ ჩამოიარა.

ბარნაბას გახედვაც არ უნდოდა მისკენ, მაგრამ როცა ტარასი ლობეს გასწორდა, იგი ვაიმართა და იმ გრძნობის ძალით, რომლითაც დამარცხებული მტერი გამარჯვებულთან ზავის ჩამოგდებას ცდილობს, — მიესალმა მას.

ამ საღამოთ მას უნდოდა ეთქვა: — ჩვენ მტრები ვიყავით; შენ უფრო მეტი მახარალე, მაგრამ მე სულგრძელი ვარ; დავეიფიწყოთ რაც მოხდა ჩვენ შორის და შევრიგდეთ.

ტარასიმ ხმა არ გასცა.

— შეგარცხვინა ღმერთმა; კაცი რომ გამარჯვებას არ გეტყვის, იგი ტყეში უნდა დარბოდეს! ნადირია.

დასტეკა საგანელიძემ.

ტარასი მობრუნდა.

— ოცდაათი წელია ამ გზაზე დავდივარ, ახლა დამინახე გამარჯობას რომ მეუბნები! აქამდე ხომ არ გახსოვდი?!

და ტარასიმ ისე ყრუდ, ჩაიცინა რომ ბარნაბას ტანში გაახრზოლა. მის ყრუ სიცილში მან საშინელი გარკვეულობით იგრძნო მტერი, შეურთებელი მტერი რომელიც ისე წაგახრჩობს — წამითაც არ დაფიქრდება.

ეს გრძნობა უფრო გაამძაფრა დამცირების და თავმოყვარეობის შეღახვის შეგნებამ.

ბარნაბას დღესაც ყურში უწივის მისი ყრუ სიცილი. მის მოგონებაზე ველური, ძნელად მოსათოკი მძვინვარება ახმაურდება მის შკერდში და იხრჩობა ბოღლით. ასე მძვინვარებდა ალბათ ქვის ხანის ადამიანი, რომელსაც ქურდულად ცეცხლი ჩაუჭრო მტერმა, ცეცხლი, რომლის გაჩენის საიღუმლოება მან არ იცოდა, მაგრამ რომელიც იყო მისი ბედნიერების და მოსვენების უზრუნველყოფელი.

დროგამოშვებით მოტყდება ბარნაბა. მის ორმოცწლიან გულს გამოეღევა შხამი და იგი მზათაა შეურიგდეს სინამდვილეს, მაგრამ რა წამს გაახსენდება

ბალი, ნაყოფით დაყურსული, თავდახრილი ტოტები, სინოყვირისთვის მიწის რომ უძღვნიდნენ მადლობას, მისი შინაგანი ხმა დაჟინებით გააფრთხილებდა და ნებდებდა: ვინც ეს ბალი ჩამოგირთვია, იგი შენი მოსისხლეა... *მისი ხმა*

იგი ემორჩილება ამ ხმას და მის ტანში კვლავ აფუხვუხდება კოცონი შეურეგებლობის.

* * *

ფიჭვებში გაცხუნებულ ბარნაბას ხმაური შემოესმა.

მოიხედა. თხები მიდგომოდნენ სუსტად დაურდულებულ ჭიშკარს და გაძრომას აპირებდნენ.

— მთლად გაფეკქნიან აბლად ამოყრილ ნამყენს, — გაიფიქრა მან.

ბარნაბა ილოლავებდა ბალის დაბრუნების იმედს. ამიტომ თხების დანახვაზე მასში გაიღვიძა შეპატრონის გრძნობამ და ჭიშკარის მიხურვა დააპირა. უცბათ მზრუნველობით გაწვდილი ხელი გაუნერდა. დაფიქრდა. მიმოიხედა. სწრაფათ მიუახლოვდა ჭიშკარს და დახურვის ნაცვლად ფართოდ გამოალო.

თხები მხიარული პეტელით შეჯირითდნენ ბალში.

ყოფილმა შეპატრონემ ავკაცურად ჩაიკიკინა და გაშორდა ბალს.

— კი გაშარჯობა!

სიმინდებიდან ურემი გამოჭრიალდა. დახუნდარა მოუძღოდა.

— რალა კი ჩემო ძმაო; ამ ბალთან რომ ჩავივლი, ფეხები აღარ მომყვება, თვალი მიბნელდება.

— რას იზამ, უნდა შეეჩვიო; სახარება მარტო შენ თავზე ხომ არ წაუკითხავს მგელს. ედიშერ მიქელაძე სულიდან ხორცამდე გასცალეს, მაგრამ ქეიფი და დროს ტარება მაინც არ მოიშალა.

— ეხ — ამოიოხრა ბარნაბამ: — ედიშერმა მამა-პაპის დანატოვარი დაკარგა. მუქათათ ნაშოვი ჩამოართვეს. მე კი ჩემი შრომით შეძენილი, ჩემი ოფლით მორწყული წამართვეს. წაიღონ. მე იგი მკლავს რომ არც მე შემარგეს, ვერც თვითონ მოიხმარეს. მაგ უნიფობები ყველაფერს სპობენ და ანიავებენ. შეხედეთ! — ბარნაბამ თხები დაანახა.

— ესაა სიკეთე, ესაა კომუნისტობა! ამისთანა მამული მეორე არ იყო უხილოს დაყოლებახე. რას დაამსგავსეს! ასე იყო ჩემს ხელში? საქონელს აბალახებენ შიგ. აბლა თხებიც შეუწვიათ. ხომ შემუსრეს ყველაფერი. ამის მნახველს, გული რომ არ მოეწვას, მკედარი უნდა იყოს!

— მოვლა არ ვიცი, მოვლა, — დეთანხმა დახუნდარა.

— მერე და შენ კაცი არა ხარ? თუ სხვაზე ნაკლები ხარ სოფელში! ამოიღე ხმა. თქვენ მაინც ისარგებლეთ. მე ჩამაბარეთ ამ ბალის მოვლა და ჯანდაბას ჩემი შრომა. ერთი ვაშლიც არ მინდა. მთელი მოსავალი თქვენი იყოს. დარაჯათ დამყენეთ! თხებისგან მაინც მოემწყესავ, ბარჯგების შეყენებას მაინც არ დავიზარებ.

დახუნდარა ფიქრდა თხებს, რომლებსაც წინა ფეხები კაცის სიმაღლეზე შეეტანათ ორი წლის ნამყენზე და გულმოდგინედ ხერიკავდნენ ტოტებს.

ბალის გაპარტახების მაგალითი თვალწინ იყო და იგი ყველაფერში ეთანხმებოდა ბარნაბას. ყოფილი მეპატრონე კარგა ხანს ღვარძლუჭობდა და მკვლის დროს ისიც დაუშატა რომ ღვინის დასაწურავით მასაც დაეცა და მასაც კაპასაც მისცემდა და ჭეპასაც ათხოვებდა.

— კარგი მოწვე ვიშოვე — ხელ მთელ სოფელს პირზე ეკერება ნამჭენის განადგურების ამბავი, — ჩაილაპარაკა მან და თვალი გააყოლა დახუნდარას, რომელიც ჭიარი მოქცეული ნაბიჯებით შედიოდა ბალში თხების გამოსარეკათ.

კმაყოფილი ბარნაბა მჩატეთ მიაბრჯებდა გორდაძის ყანისკენ.

მას ბავშობიდანვე ერთი ბინძური ჩვეულება ქონდა.

ჯერ კიდევ ცხრა წლისაც არ იყო, როცა პირველად მოიწამლა ამ ჩვეულების სიტკბოთი.

ბარნაბას მამა რაღაც საყვირველი უნდობლობით ეპყრობოდა მოჯამაგირებს. მიუხედავად იმისა რომ მისი მოჯამაგირე მხოლოდ მაშინ არ მუშაობდა, როცა ეძინა, მას მუდამ დაუქმებულათ ეჩვენებოდა ის. მოსვენება ეკარგებოდა თუ მოჯამაგირე მისი უშუალო მეთვალყურეობის გარეშე იყო: — ზარმაცობსო... და აი, როცა ბარნაბა წამოიზარდა, მოჯამაგირეების ზედამხედველობა მიანდო.

— გადააკითხე იმ ობრებს, შემატყობინე როგორ მუშაობენ; — ავალბდა შეილს. რამდენიმე გადაკითხვის შემდეგ, ბარნაბას ისე მოეწონა ეს ხელობა რომ თანსანიირი ხერხი და ეშმაკობა მოიგონა მის გასალრმაველათ.

ყანაში მომუშავე მოჯამაგირეებს ფრთხილათ, შეუშინებლათ, ხანდახან მუცელზე ხოხეთით ეპარებოდა. რომელიმე შათვანი ოქულის შესაწმენდათ რომ შეჩერებულყო, ბარნაბა თვალგაბრწყინებულ მოიბრუნდა იმამსთან და ერთი ასად გაადიდებდა ნახულს, ბოროტად გაასმენდა ყველას. ისე ატარტალებდა ენას რომ ახლო მესობლები გველისწიწილას ეძახდნენ.

პატარა ბარნაბა გაიწვრთნა და ისე შეუყვარდა დასმენა რომ შემდეგ, როგორც კარგათ დაგვეილ მეტებარს, არ სჭიროდა უფროსების წაქეზება. დამოუკიდებლათ ნადირობდა. ამ ნადირობაში მას იზიდავდა არა ის, რის გამოც იგი დაგვეს მამამ ე. ი. სარკებლობის მოტანა; მას ხიბლავდა ნადირობის გარეგნული მხარე, ჩემათ მიპარვა და იმის გრძობა რომ მისი ეშინოდათ მასზე უფროსებს.

ბარნაბას არაფერი არ ეწყინებოდა ისე, როგორც ბუჯითად მომუშავე მოჯამაგირის დანახვა. ეს ართმევდა მას უდიდეს სიამოვნებას — მისი დასმენის შესაძლებლობას.

მოვიდა წლემი და წაიყვანა მამა.

მოვიდა რევოლიუცია და წაიღო ბალი.

დარწინილ ჭონებას მრისხანეთ შემოესია საგადასახადო ფურცლები; ევ ბოროტი ჩვეულება კი ვერაფერმა ვერ შეურყია. მოჯამაგირეს ყოველთვის შეუშინებლათ წამოადგება თავზე და თოსზე დაყრდნობილი რომ შესწროს, ჩაიხითხითებს თავისი რბილი, დამკინავე ხმით:

— აგერ, ბიჭო, ჩრდილში წამოწევი. აქ ჯობია. მზე არ მოგეკარება მუნთან სახეზე. ჭამის დროს რატომ არ გაჩერდები შე მუტრუკო; დიახ, შენმა ღვთის გაწყრომამ, ახლა ზარმაცობა დამიწყე ჩემ ყანაში; ევ და მკალი!



ოსია ნაფეტვარიძე კარგი მუსიკოსი იყო.

ბარნაბამ შორიდანვე შეამოწმა მოკრილი ეანა და კმაყოფილება გამოთქვა მისი გასაგონათ არასდროს არ მოიწონებდა ნამუსევეარს;

— მოუწონებ—გაზარმაცდება; დაუწუნებ—ზედმეტათ თუ გაანძრევს ხელს, თორემ აღარ მოუკლებს;—ფიქრობდა იგი.

ნამუსევარი ახლაც დაიწუნა.

— ამსივრძე ღეროს რომ ტოვებ, ქვალა ხომ არ გაგვადომია ვჭერდებში! დაიკუნებ და უფრო დაბლა მიატყრი:—უკმეხათ დაახალა მოჯამაგირეს.

ნაფეტვარიძემ მოიხარა და პატრონის გასაჯავრებლათ სიმინდამ მთლად ძირში მიიჭრა. სასხლავმა წყრილი გამოსცა.

— ქვას ურტყამ შე ჩერჩეტო! ცოტა ზევით ასწი ხელი;

— სად, ააქ?—ოსიამ არწინზე გადაჭრა სიმინდი და ცხვირწინ შეუფრიალა.

— ასე ბიჭო, ასე!—პატრონმა სასხლავი გამოსტაცა. სიმინდს შემოუქნია, მაგრამ სიბრაზისგან დააცილა და კინალამ მუხლზე შემოიკრა;

ოსიამ ეშმაკურათ ჩაიცინა:

— მასე?

— ფლი,—გააფურთხა ბარნაბამ და სასხლავი მიუგდო:—მომეცი ჩემი! ახალუბის კალთები აიკეცა, თავი ბალდადით გაიკრა და ხმაამოულებლივ შეუდგა მუშაობას.

შემე უკანასკნელი სისასტიკით გაღმობედა ქალას, ნელინელ აკრიფა ჩრდილები და მერე ერთბაშათ ჩაეშვა საყორნიას გადაღმა. დაიძრა ნიავი. შეირჩა ფოთოლი, აშრიალდა სიმინდი და ქალაში აგრილდა. შებინდებამდე ორიოდ ნაბიჯი დარჩა. გლეხებმა გააცხოველეს მუშაობა. მკაფიოთ ისმის სასხლავების ჩახაჩხები, ტაროების ტაკანი, ურმების ნალელიანი ღირღიტი და თავშეკავებული გადაძახილი.

ურმების ჭეჭე მიძინებულმა მოხუცებმაც გაიღვიძეს და გორბივით დახვავებულ ტაროებს მიუჯდნენ. დოფინა სიმინდის რჩევაში ეხმარება მოხუცებს.

— ბაბუ, კენტი ტარო თუ შემხვდა, ჩემია;

ლაპარაკობს ის და მომცრო, რძიან ტაროებს კალთაში იყრის.

ბაბუა ჯაერობს:

— გოგო, ნუ დაკბინე ყველა ტარო; ვერ ხედავ, კენჭითი მაგარი კაკლები აქვს?!

დოფინას პატარა ტარო არ აკმაყოფილებს და ხშირათ დიდსაც ვააფლებს კბილს.

... ნეტავი გაისათ მიანც მორჩებოდეს მამა; მაშინ ყველაფერს მოეწვედით. დოფინა გაძღება მოლისფერი საზამთროების, ყვითელი ნესებების და ფერადი კვანძების სუნით. ხამრის გაუთავებელ ლამეებში დაიწყებდა მუსა—კვანძების ხარშვას, ლადარში კართოფილს შეახვევდა...

— ჩაიფარე კაბა შე გისახეთქო! რამ გაავაშტერა! გამოგინენია ყველაფერი და აყურებინებ ბიჭებს; ნამუსი დაკარგე?!

ღედაკაცმა ოცნებაში შესულ დოფინას ტარო ესროლა.

ლოდინა გაწითლდა:

— რას მიყურებენ შერე!— მიუვო მკვახეთ.

ერყნუნული

მისულიქმნი

მთებიდან სწრაფთა ეშვებოდა ბინდი. ავსებდა ჭალას, აერთებდა ცასა და მიწას და პირველყოფილ სახეს უბრუნებდა სამყაროს. ვიღაც სიმღერა წამოიწყო. ჯერ გაუბედავთ, მერე გაშალა, დაიქუხა. დაწმენდილმა ბგერებმა გაიქროლა ჭალაზე და საღდაც სიბნელეში ჩაიშხვრა, არავინ არ ხედავდა ამ მომღერალს, მაგრამ ყველამ იცოდა რომ მან უკვე მოათავა მუშაობა. ახლა ურემს აბამს, ან გულღმა დაგდებულა ზვინზე და ისვენებს. საიშოთ უუუვის დაღლილი შრები.

მიჩერებია ცას.

ღირს.

სატურიას ჭალაზე ყველაზე კარგი ვარსკვლავები კაშკაშებენ.

* * *

კომკავშირის უჯრედი გულმოდგინეთ შეუდგა გიორგობის წინააღმდეგ მზადებას. დღეობის წინა ღამით თითქმის მთელი მოსახლეობა აიყრებოდა სოფლიდან და შეუდგებოდა კატისწვერას გორებს, საღაც წმიდა გიორგის ეკლესია იდგა, მიდიოდა ყველა: მლოცველი და შეპირებული; მოქეიფე და სხვისი ქეიფის ყურების მოყვარული; მდიდარი და ღატაკი; მყიდველი და გამყიდველი; მიყვდათ შეწირული ცხვარი და დასაკლავი მოხვერი; მიქონდათ საესე ტკი და თავის სიგრძე სანთლები; მძიმე ხურჯინები და თავის წონა იმედები.

მიდიოდენ როგორც მეგობრები და ბრუნდებოდენ მოსისხლე მტრებათ. გიორგობაზე მუშტი და კრივი აუცილებელია როგორც დათრობა. ხანდახან კეტებსაც გამოაძრობდენ ეკლესიის ღობეს და გაიმართებოდა საწინელი ჩახაჩხი. გიორგობაზე სამხიარულოთ და საქეიფოთ უფრო მიდიოდენ, ვიდრე სალოცავათ. ამიტომ ხალხი ბლომათ ეტანებოდა ამ დღეობას. დაბიდან ჩამოირბენდენ მეწერილმანე ებრაელები, დინჯათ მოაბოტებდენ მეზურნეები და მეარღნეები. ყველაზე გვიან ეკლესიის ეზოში ამაყათ შემოიძღვრებდენ დაბაში განთქმული მოქეიფენი.

ხალხი რომ სოფელში გაეჩერებიათ, კომკავშირის უჯრედმა დიდი წარმოდგენა-სალამო მოაწყო, ვახშით და სეირნობით. სკოლის ეზო ფერადი ქალაღდის ფარნებით და ბაირაღებით მორთეს; დაბიდან ჩამოაყვანეს ზურნა და მისმა ქეიფინმა მთელი ახალგაზრდობა მოხიბლა, აშკარა გახდა რომ დროს გატარება სოფელშიაც შეიძლებოდა; ახალგაზრდებს აქა-იქ უფროსებმაც მიბაძეს, ერთბაშად ღობესთან იყურულტეს, იქვრიტეს და მერე ეზოშიაც ჩამოვიდენ. როცა მამხალეებმა მხლილით შეარღვია სიბნელე და ვარსკვლავების წვიმა წამოვიდა, მთელ სოფელზე უზარმაზარ ჭადარივით გაიშრიალა მხიარულებამ. ბარელები აყიენდენ და თავისთავად ითამაშდენ ფეხები. დაუკრეს ზურნა. ახმაურდა ჩაღის კოცონზე გაფიცებული დაირა და გაიშალა წრე. ყელიან წაღებში გამოწყვებლმა ხაყოშიამ ქორივით ჩამოუქროლა სახეალეწილ ქალიშვილებს. თვალებით თალიკო მონახა, მიუთამაშა, ცალფეხზე შეტრიალდა და ხანჯალივით გაუყარა მხერა.



თალიკომ ერთხელ კი შეაქნია ეჩინიანთ თავი და მერე თანაბრათ, როგორც ნაფი, შემოცურდა წრეში. მალაქუსლებიან ფეხსაცმელებზე, შექმნილი პატარა ძლები თავდაპირველად უკრავენ ტაშს და ჰორიკანობენ. მაგარი, მძინარი სიმღერა ცეცხლს უკიდებს მოთამაშეებს. ეზო გაივსო და მხოლოდ რამდენიმე ფარდაგიანი ურემი გავიდა სოფლიდან. ნაშუაღამევს კიდევ შეიკაზმა ხუთიოდე ცხენი და ეგ იყო სულ—გიორგობაზე ლამის მთევლები.

უჯრედის მდივანი ბაქუა ცას ეწეოდა სიხარულით. აჩქარებდა წარმოდგენის დაწყებას. ეზომ როგორც იყო დიდი გაკვირებით მოისმინა ორსაათიანი ანტირელიგიური მოხსენება და ახლა მოუთმენლად ელოდა ფარდის გახსნას ბნელ კუნძულებში გაფანტული ახალგაზრდები გახურებულ მიწერმოწერაში იყვნენ. საღამო-წარმოდგენის უცვლელი ფოსტალიონი, დოფინა, ციბრუტცივით ტრიალებს ეზოში. მკლავზე ნაქურჩალიდან დაწნული კალათი. მკერდზე უშველებელი წარწერა: „უოჩტა“.

— გადაეცი № 17-ს, № 43-ს №-ს პასუხი საჩქაროთ...

ისმის მოუთმენელი ძახილი. დარბის ფოსტალიონი და არიგებს მბუუტავ სანათების შუქზე ვაივავლახით დაჯღაბნილ წერილებს.

სხვა გასართობებთან შედარებით, დოფინას წარმოება გაცილებით მეტ მოგებას იძლევა. ამის მიზეზია პატარა ფოსტალიონის გამჭირიანობა. ჯერ ერთი, არ იღებს უკონვერტო წერილებს, კონვერტებს კი თვითონ ყიდის. ვახუთის ქალღებებიდან აკეთებს. მეორეც—მას არ მიაქვს იმ კლიენტის წერილი, რომელსაც გულზე მის მიერ გაყიდული ნომერი არ ექნება. იყო შემთხვევა, როცა ბიკებმა მოატყუეს ენერგიული ფოსტალიონი და ყალბი ნომრები გაიკრეს გულზე დოფინა მიხვდა მათ ეშმაკობას და ყველანი საყბოთ აიღო.

— კისრით რომ ჩამოგვიდონ, თქვენი ჯიბიდან გახვრეტილი გროშიც არ ვადმოვარდება. ამ კაი-კაი ვოვოებს კი სიყვარულს უხსნიდ და მხეს და მთვარეს პირღებითო.

დოფინამ ფოსტის იდეოლოგიური მხარეც გამოასწორა. წერილს ჯერ თვითონ კითხულობს. მერე მიაქვს დანიშნულებისამებრ.

— გლახა არაფერი ეწეროს შიგ, თორემ აქავე დავხვე!—წინდაწინვე აფრთხილებს ყველას.

მოხსენება დიდხანია ვათავდა. წარმოდგენის დაწყებას არაფერი ეშველა. თითქო განგებ ყველაფერი ახლა იკარგებოდა.

პირველად სუფრა დაიკარგა. პირველ მოქმედებაში თავადის წვეულება იყო. სცენაზე მაგიდა გამოათრის, შემოიტანეს საინები, ბოთლები...

— სუფრა სადაა. ახლა აქ იყო, ვინ წაიღო!—ყვირის ვაცეცხლებული ბაქუა. სახეზე წურწურით ჩამოსდის ოფლი. რეპეტიციები, სკამების თრევა, ბაი-რალების გამოკრა და გაკიდება, ყოველ უბრალო წერილმანზე სირბილი და ღელვა... ეშინია არაფერი არ დაფიწყდეს არაფერი არ გამორჩეს, უჯრედის სახელი არ შეარცხენოს...

დაიღალა. მისი დაღლილობა უფრო ამ შიშით იყო გამოწვეული, ვიდრე სკამების თრევით და სცენის ხარაჩოების კეთებით.

— რა უშვავს, უსუფროდ გაშალოთ მაგიდა; ახლა სუფრა კი არა, გამოსაცვალ პერანგიც არ გააწიოთ თავადებს!— დაიძახა ვარდენამ *მარქენეშვილი*

— ამხანაგო, — დინჯათ გაუსწორა ბაქუამ — პირველი მოქმედებას ჩვეულებრივ-ციამდე ხდებდა; მაშინ თავადები ბურჯუაზიულად ცხოვრობდნენ.

სუფრა იზოვეს. ვილაქას ფარდაგი დაეგდო ზედ. სცენა მოაწყვეს. მოთამაშეებს დაუძახეს და ფარდის გაწვევას აპარებდნენ, რომ ვარდენას ჩიბუხი ჩაუვარდა პირდაღებულ იატაკში. ცალი ხელით ცუდათ მიმაგრებული წვერი დაიშვარა, მეორე ხერხელში ჩაყო და ფათური დაიწყო.

— რას გვანერგებ! უჩიბუხოთ ვადი, შენი... — დაუბრიალა თავლები ბაქუამ.

— უსუფროდ თუ არ შეიძლება, უჩიბუხოთ როგორ იქნება! — უკმაყოფილოდ წაიბუტბუტა მან და გავიდა.

ფარდა გასწიეს. ეზოში გაშლილი ხალხი ხმაურით და ხორხოციით მოაწყდა სკამებს. დალაგდნენ. სულგატერენილი ელოდნენ თამაშის დაწყებას, მაგრამ არც ერთი მოთამაშე ხმას არ იღებდა.

— დაიწყეთ, ილაპარაკეთ — ნელი ხმით შესძახა ბაქუამ.

სცენაზე ისეთი სიჩუმეა, თითქო ცარიელი იყოს. ბაქუამ შეიქვრიტა.

თავადი და მისი სტუმრები მოსხდომიან მაგიდას, სულელურად შესცქერიან ერთმანეთს და ძლიერს იმაგრებენ სიცილს. ზერე ბაქუამ დაინახა, როგორ წამოდგნენ ისინი და ფრუსტრებით მოადგნენ გამოსავალს. ხალხში სტენა და ჩოჩქოლი ატყდა. დაბნეულმა ბაქუამ სიტყვის ამოღებაც ვერ მოახერხა. დარწმუნდა — მოთამაშეები გაგიჟდნენ.

— როგორ ბედავენ სცენის დატოვებას, რამ დაუბათ ენა; ხომ ჩამივდეს საღამო! და ცოფიანივით ეძვერა კულისებში გამომავალ ბიჭებს.

— სუფლიორი არაა ბუტკაში! — წასჩურჩულა ერთმა.

ბაქუა მოკრილ ხესავით დაეცა ფარდაზე. სიბრაზიდან ცრემლები მოადგა. ფარდა დახურეს, ვარდენამ წვერი მოისხნა და სუფლიორის საძებრად გავარდა. თავისუფალი ბიჭებიც მიყვეს.

— ახლა აქ იყო, სოფოსთან გამატანა წერილი! — დასწყვილა დოფინამ და მეტებარით შეძვრა ფანჯატურში. ერთი წაში და... აქ არის აქ — მოისმა მისი კვილი.

მოსეირნე ბარელებმა დაინახეს; რამდენიმე ახალგაზრდამ თავშეკავებული გინებით და წყრომით მიწიდან კუნძივით აიღეს ვილაქ და გააქანეს.

ეშმაკმა წაიღოს, რალა მაშინ მოეკიდა სუფლიორს მიჯნურობის ცეცხლი, როცა მექის დავიანება იყო საქირო.

მან გვიან გაინთავისუფლა თავი და გულგახეთქილი გამოიქცა სკოლისაკენ. სწორეთ იმ დროს მოვიდა, როცა ბიჭები სუფლიორს ეძებდნენ.

— ხრიკუნია გეძახის; მამაშენს გამოუგზავნია; — უთხრეს თალიკოს, რომელიც სცენაზე გასვლის მოლოდინში, ტრიალებდა სარკის წინ და ათასნაირად იკეთებდა სახეს.

— რა ჯანდაბა უნდა! — კარებში გამოჰყო თავი.



მეტი კი ამ დროს მიდგომოდა ფიცრულს და მორიდებდას — დახუ, ა, დახუ.

მეტის თავგადასავალია მეგობრის ყურამდეც მიალწია. წარმოდგენის შემდეგ, ლეინოს დაეძალა. სამი ჩარევა ჩაუშვა მოუკუპრავში (დახუნდარა ასე ეძახოდა თავის მუცელს) და ბარბაცით გამოსწია შინ. გზის შესამოკლებლად ეკლესიის ეზო გადმოსჭრა. ვიღრე ბინას მიალწევდა, წარამბრა ედებოდა საფლავის ლოდებს და ეცემოდა. აღვებოდა, დააკვირებოდა საფლავს; თუ გამოიცილობდა ვისი იყო, ხმაამოღლებლივ გადააბიჯებდა ლოდს. თუ ვერა და... დაადგებოდა თავზე:— შენი აქ შემომტანის ღედა— დაუწყებდა ერთსართულიან იმერულ გინებას.

სადგომში ერთხანს იწრიალა. მერე ტახტზე წამოწვა და აღიღინდა. ლეინო საამოთ უღიტინებდა თავში და უმიხეზო სიცილს გვრიდა.

კუთხეში მივდებულმა ბარბა მოაგონა რომ ხელისთვის საფლავი უნდა გაეთხარა.

— სიგრილვა. ახლა მუშაობა ცხონებაა.

წამოდგა. გარედან ძახილი გაიგონა. დამშვიდებით, თითქო ელოდა ვისმეს, გამოალო კარი და გამოეხმაურა.

— მე ვარ.

— ვაჟო, ყოჩაღ—თბილად მიეგება მეგობარს. სადგომში შებრუნდა. ბარბა და წერაქვა გამოიტანა.

— გეძინება? არა, ყოჩაღ! არც მე გეძინება. ცოტა ჩავესხი—მოკეცილი ხელისგული ტუჩებთან მიიტანა და ქინქილასავით ალიკოცდა:—ცოტახანს წავიმუშაოთ.

მიმალული მთვარე ისევ გამოცურდა სამრეკლოს თავზე და ყოველ ხეს და ყოველ ბუჩქს, ყველაფერს, რაც მიწიდან იყო ამორებული, თანტასტიური ჩრდილები გაუწვა. დაცვარული ფოთლები და ბალახები მოსირბულოვით გაბრწყინდნენ.

— შევისვენოთ,—სთქვა დახუნდარამ მცირეხნის მუშაობის შემდეგ. საფლავის პირზე ჩამოჯდა და მხიარულად დაატრიალა ენა, რომელიც ისე ვერ ითმენდა უქმად ყოფნას, როგორც მისი პატრონი უღვინობას.

— ვაჟო, პირველათ როდის ჩავითქვა მამაშენმა. მოიცა, მამაშენის ქორწილში მასრად ვიყავი. მეორე დღეს მტაცეს ხელი და საოდათად წამიყვანეს, ცამეტი, თოთხმეტი, ჩვიდმეტი... თერამეტი წელი შეგსრულებია მეტი მამაშენოვიჩ. არა. ცხრა თვე რომ მუცელში იყავი, ის არ ითვლება. გამოვაცლოთ ჩვიდმეტი წელი და სამი თვე. ადრეა. ადრე დაგიწყია ვაჟო!

— რა დამიწყია!

— მე რომ პირველათ ქალის ბარბაყებს შეუსვი ხელი, სალდათობა გათავებული მქონდა,—გააგრძელა მეგობარმა პასუხის ნაცვლად:—გემრიელი გოგო

კი მოგესლია თვალში. ხო, ხო, ხო, ისეა გაბუნტულებული, თითო რომ მიაკარო, გასკდება.—უნებინად რობროზობდა დახუნდარა და განცემტრულს მექის ეშმაკურად უჭუტავდა თვალებს.

მექიმ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა, ვის ეკუთვნოდა მეგობრის გადაკრული სიტყვები.

— ბარნაბამ რომ გაიგოს, წელს გაგიორვეს, გაგებულაც ექნება. არაფერია, ერთ ვალახვათ კი ღირს იმისთანა გოგოსთან ბლლადუნნი. ჩვიდმეტე წლისა და სამი თვის! ძალიან სულწასული ყოფილხარ, ვაჟო.

ფერთხით დასველებულ ხელებს ასაესაფებს. წერაქვას აიღებს, მაგრამ ისევ ჯდება და მზიარულად ხეიხინებს:—მიდი, გაწელე და გამოწელე კვახჭირის გარმონივით...

ბარნაბას ხსენებამ მექი გამოარკვია, მიხვდა რომ მეგობრის სიტყვებს რალაც კავშირი ჰქონდა მის წუხანდელ საქციელთან... მაგრამ რა კავშირი, რაში გამოიჩინა სულწასულობა?!

და ერთი აზრი შეუბრალებლად, როგორც ხანძარი, ერთბაშად მოეკიდა მის გონებას. დასწვა, გაანადგურა ყველა ის კეთილი და ერთგული აზრები, რომლებსაც აქამდე ლოთი კაცის ბოღვად მიაჩნდათ დახუნდარას გადაკრული ლაპარაკი.

იყვია მექიმ:

— დახუ ვინ გაიხრა, რას ამბობ!

— რასა და... მან გაიმეორა, რასაც ლაპარაკობდა სოფლის ენა.

— სად შეუსვი ხელი? წელქვევით თუ წელზევით, ხო, ხო, ხო...

დახუნდარას რობროზმა სიბნელე აიკლო და შეაშფოთა მიძინებული ძაღლები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ რომ ასე გვიან, არამც თუ პატიოსანი კაცი, ქურდიც არ იქნებოდა ფეხზე.

შთვრალმა ქვითინი გაიგონა.

— დახუ, შენც სხვებს აყვევი? შენაც გჯერა, რომ მე... მე... რათ მითხარი ეს, ხმა მოსხლტა და ყელშივე ჩაშვავდა.

მექის გულწრფელმა და მორჩილმა საყვედურმა მეგობარი გამოაფხიზლა:—აღბათ რცხენია რომ უწესოთ მოიქცა.—გაიფიქრა დახუნდარამ. დაამშვიდა—რა მოხდა მერე, შენ წლებში სისხლი მაჭარივით დღულს. ჭალი შენ კი არა, ეშმაკს შეაცდენს:

ქვითინი გაძლიერდა.

ბაერში ტკბილი და ძილისმომგვრელი სითბო ჩამოდგა. ლამე გაჩუმდა. ღამის ფრინველების ყვირილი, მწერების ყრიალი, ბუჩქების გამოუტნობი ფაჩუნნი და ძაღლების შორეული ყეფა, მრავალფეროვანი ხმიანობა, რითაც ასე მდიდარია შემოდგომის ღამე, მიწყდა და ბუნებაში მძაფრი დღეილი გამეფდა. მდინარეშიც კი შეანელა ხმაური, თითქო წყალი მოაკლდა ერთბაშად.

მაგრამ აგერ მცენარეებმა სუნთქვის მოუხშირა, შეიშმუნა გატყვებული ეზო. დახუნდარას შესცივდა და რიყრატის მოახლოება იგრძნო.



საქართველოს
წიგნების კავშირი

— გეძინება? წავიდეთ. ცვარია, გაცივდები.

მეტიმ შიშით ასწია თავი.

— დაბუ, მამაჩემი გახსოვს?

— როგორც გუშინდელი დღე.

— მე კი არ მახსოვს. სულ ვფიქრობ, როგორი იყო. მახსოვს მისი ხელე-
ბი, კისერი. ამიყენდა და შემისვამდა. მაგრამ სახე ვერ გავიხსენე, სახე! ეს მა-
წუხებს. ვის გავდა ნეტავი? სახე რომ არ მახსოვს, ასე მგონია, არასდროს არ
მყოლია მამა.

— როგორ არ გყავდა სულელი! დედაშენი ღვთისმშობელი კი არ იყო!
შენ ამხელა იყავი, როცა მამაშენი ყანაში წაედიოდა, უკან მისდევდი: ბაბაია
მალე დაბრუნდიო.

— ბაბაია... ასე უძახოდი?

— ხო. ის მობრუნდებოდა და გაკოცებდა.

მეტი დაფიქრდა.

— მის შემდეგ არავის არ უკოცნია ჩემთვის. — გულდაწყვეტით წაიჭურ-
ჩულა და მუხლებში ჩარგო თავი.

მისმა ხმამ აამღვრია მეგობარი.

— კოცნა რა ჩვენი საქმეა, რას გვიშველის! კოცნა დედაკაცების ხელო-
ბაა... კოცნა...

დახუნდარა დაიბნა. გული აუჩუყდა. მოიხარა. მეტის უხერხულად მოხვეა
ხელი და შუბლზე აკოცა.

— გვიშველის? რას გვიშველის! — დარცხვენით წაიბუტბუტა მან და იი-
რალეების შეგროვება დაიწყო.

ამ ღამემ უფრო გაამტკიცა მათი მეგობრობა.

მეორე დღეს მეტიმ ყველაფერი უამბო:

— კარგი მინდოდა მისთვის. მან კი არც მომისმინა. ვარგეთ გამავდო—
ნალელიანად დაბოლავა თავის მოთხოვნა. გულმისანდოთ დაპარაკობდა, მაგ-
რამ დახუნდარამ მაინც ვერ შეიკავა ღიმილი.

— ვინ დაგვალა ვეგო! რა გასაქმებდა; შენ რა გენაღვლება, ბარნაბას
გოგო ხაჯომიამ ლოწნოს!

— მაშ ვინ ინალვლოს! — მხურვალეთ წამოიძახა მეტიმ.

ამ წამოძახილმა დახუნდარა დააფიქრა. თვალები მიჭუტა და მრავალ-
მნიშვნელობით ჩაიჭნია თავი.

— ეპეი, ჩემო ძმაო; როგორც ვატყობ, — სიტყვა გააქიანურა და მხერა
ვაუსწორა. ერთბაშად დაახალა:

— გულში ჩაგივაძიდა? გამოტყდი. ფიცი მწამს და ბოლო მაყვირებს. რა
გაწითლებს! გიყვარს?

აღვლევებულმა მეტიმ რალაც წაიბუტბუტა. ვაუხარდა რომ მეგობარი მიუხ-
ვდა გულისთქმას.

გაჩუყდენ. დახუნდარა გრძნობდა რომ ახლა მეგობრისათვის საჭირო იყო სიყვარულის საკითხების გარკვევა.

— მე რომ სალდათად წამიყვანეს, — დაიწყო. დაუქრძნა წინაშე

სოფელმა იცოდა, როცა დახუნდარა ასე დაიწყებდა რაიმე ამბავის მოყოლის, შავ ერთი სიტყვაც არ გამოერეოდა მართალი. ამას მეტიც გრძნობდა, მაგრამ ახლა ისეთ მდგომარეობაში იყო რომ მისთვის სულ ერთი იყო ტყუილი და მართალი, ოღონდაც მეგობარს რამე ეთქვა მის მიღწევებულ საგანზე.

— მე რომ სალდათად წამიყვანეს — ბეჯითად განაგრო დახუნდარამ: — უძილობა დამჩემდა. შეყვარებული დავტოვე სოფელში. მძინავს ყაზარმაში და უცბად ვიღვიძებ. ვგაყურებ. ასე მგონია ესაა გაიღება კარი და ჩემი ნესტანდარეჯანი შემოვა. ვიჩქმეტ ხელზე, მეტყინება. მაშასადამე არ მძინავს! მისი ფეხის ხმა კი ისე ცხადათ მესმის, რომ ვერ ვისვენებ და ვშფოთავ. შენც ასე გეზარებთა? ღამდამობით თალიკოს ფეხის ხმა გესმის?! მაშინ უეჭველად გიყვარს, უძიველად.

დახუნდარას შემთბარმა ხმამ მეტი მოხიბლა.

— ფეხის ხმა სრ მესმის, მაგრამ როცა დავინახავ, იმ დღეს ისე ვმუშაობ, დალლა რაა, არ ვიცი.

სახე უბრწყინავს. ხმაში დარცხვენა ეტყობა. მეგობრის ბოლო სიტყვები გულში ჩაიჩა. ვერ მოითმინა და გულუბრყვილობით კითხა:

— მაინცადამაინც უნდა გამეღვიძოს ღამით?

დახუნდარამ დაამშვიდა: მე ნამეტანი სიყვარულით მომდიოდა უძილობა. ეს არც ვარგა. შენი სიყვარული ზომიერია და ასეც უნდაო.

ბედნიერი მეტი მოელი საღამო ტკბილათ ემასლაათებოდა მეგობარს. მესამე — მეოთხე საღამოც ასევე გაატარეს.

დახუნდარა ამხნევედა მექის გარდაქმნას.

მძიმე შრომით დადაღული სახე სიხარულმა ჩამოურეცხა. იგი თითქო შეურიგდა თავის ბედს, ბოროტ ენებს და ერემოს მუშტებს.

მას გაუღვივდა იმის ატანა, რაც წინად გამოუთქმელ ტკივილებს ჰგვირდა. როცა ერემო მუშტს მოუღერებდა, წინდაწინვე როგორც წინათ, არ გააზრზოლებდა ტანში: — ახლა აქ დამარტყამს და მეტყინებამო — როცა შუალამით ნავიანებ მგზავრისათვის ლოგინის გასაშალად წამოაგდებდენ, არ ოხრავდა როგორც წინათ და ზედმეტი ყორჩილებით ასრულებდა ყველაფერს. ის ორიოდე ცრემლი და მოწყრული გამოხედვა, რომლითაც იგი დროგამოშვებით მანც იცხადებდა პროტესტს უსამართლო მოპყრობის წინააღმდეგ, ახლა სალდაც გაჰქრა და სიყვარულმა სავსებით გააბასიურა ძისი სახე.

მშვიერ კლჭზე ზრუნვის ნაცვლად მიდიოდა ფიცრულში, წამოწევებოდა ტახტზე და ისეთი კოლოთი იტყოდა: — თალიკო ხომ კი მიყვარსო, თითქო ამ სიყვარულით სამაგიეროს უხდიდა ქვეყანას.

მეგობრის ასეთი განწყობილება არ მოსწონდა დახუნდარას.

მას უყვარდა მეტი. სიყვარულს კი როგორც მოგესხენებათ, ერთი ცული მზარე აქვს. იგი ხშირად ავიწყებს ადამიანს სიყვარულ არსების ნაკლოვანებებს.

დახუნდარასაც ასე ემართებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი დაარწმუნებული იყო რომ შეკის გატაცებას ნიადაგი არ ქონდა.

დღეს დილით შეკიმ შემთხვევით შემოირბინა მასთან და უფროები გამოუტედა თალიკოს ქებით. უფროსმა შეგობარმა ველარ მოითმინა მისი ყბედობა და ეძვერა:

- მომავალში რას აპირებ ვაჟო! ლიტონი სიტყვებით ფონს ვერ გახვალ.
- ცოლად... შევირთავ, — მძინეთ ამოაბრუნა სიტყვა. თვალი მოაჩიდა.
- ეის, ვაჟო, ეის! აღათიას ცხვირმოუხოცელ გოგოს?
- არა. თალიკოს... მოუჭრა ყინიანათ.

დახუნდარა გაჯავრდა.

— რისი იმედით! ლოცვით თუ ჭურთხევით. ერთი საჩენსე ადგილი არ გაგაჩნია, ერთი ჭირიანი მამალი არ გიყვიეს ლობეზე და ცოლის თხოვაზე ფიქრობ. ჯერ შენი ჭერი დაიხურე თავზე, დედაცავე მერე იფიქრე. ხანდახან შეიძლება ცივი ჭადი და პრასიკ მოგენატროს, მაგრამ შენი კერიიდან კვამლი რომ ამოვა, დასახლდაო იტყვიან. ფასი დავედება. მტერს თვალი დავესება, მოყვარეს გაუხარდება. სხვის კარზე ჩამომტნარს ქალს ვინ მისცემს!

შეკი გულამღვრელი გაშორდა შეგობარს. დახუნდარას პირით მწარე სინამდვილე უყვიროდა მას, მაგრამ ახალგაზრდობა რის ახალგაზრდობაა, თუ ყოველთვის ნაბიჯს გაზომავ და ერთ ჰაეროვან კოშკსაც არ ააგებ. მგეტიც იმ წლებში იყო, როცა მყერდის მარცხენა ნაწილი არ ემორჩილება გონებას. მისი ქარმაგი ოცნება ისე ვერ ითმუნდა სინამდვილეს, როგორც გაუხედნავი ვაყა ხელის შეკარებას.

დახუნდარამ გარკვეულობა შეიტანა მის შეგნებაში.

— კერიიდან კვამლი რომ ამოვა. სოფელი იტყვის, დასახლდაო.

შარაზე ჩაყოლებულ გზოებს გადახედა. მარცხნივ ისლით დახურულ ქობის წინ პატარა ბიჭი ზის. საკაზმს ნაყავს. ქვიჯაში ხმინათ ეცემა ქვისანაყი. ღია კარიდან ცეცხლის ტრკტალი ისმის და ახალგაზრდა ქალი მოსწანს — ეცემა იღებს.

— ბაბას მე წაუღებ სამხარს, — ლაპარაკობს ბიჭი. დედის შემოჩნევლად ქვიჯადან ნიგვზის დაუჩქველ ნატებებს კრეფს და ყლაპავს. ქალი გაბოდის გარეთ.

— ნეშო მომიტანე, ცომი მომჩა და ლადარში ჩავაგდებ.

ბიჭი მირბის.

მეტი დააღბო ამ ათასჯერ ნახულმა და ჩვეულებრივმა სურათმა, მან წარმოიდგინა ის ბაბა, რომელიც ახლა გამგელებული მუშაობს და სამხარს ელის. უცბად მის ადგილზე თავისი თავი დასვა და გული აუჩუყდა. აი ის კიდეც დაიღალა. თოხზე დაეყრდნო და გასცქერის ქალას. საცაა გამოჩნდება თალიკოს ნაცნობი თავსაფარი. ცალხელში კალათი. ცალშიც — ნაჭურჩალათი თავდაცმული დოქი, წყაროს წყლით. პატარა ბიჭი უკან მოსდევს და ეხევეება: დოქს მე წამოვიღებ. — დედა არ აძლევს: — გატეხავ. მე სამიწემ, ღვინო ვერ უშოვე იმ კაცს. ცივი წყალიც აღარ მიუტანო! რას მეტყვის?... იმ კაცს... რამდენი სიყვარული და გულითადობა გამოსკვივის ამ სიტყვაში

გამოერკვა. ამოიხარა.

— ერთი ჭირიანი მამალი არ გიყვიეს ღობეზე და ციხის კარიდან ფიქრობ—წარმოუდგა დახუნდარას გაჯაერებული სახე.

— რამ გავაზტერა ხრიყუნია. უხსენებელმა ხომ არ მოგტაცა თვალი! ზურგიან ნაფეტვარიძე წამოდგა.

— მოდახარ?

მეტი ხმამოუღებელიე გაპყვა. შარაზე ტალახია, ნაფეტვარიძე გვერდზე უხტება ტლაპოს. ხანდახან ნახტომი გაუმტყუნდება და შეიგიინებს. მიდიან ზემით. ბოგირთან დაშორდენ. წასვლის წინ მექიმ ჰკითხა:

— მიწას ყველას აძლევენ ახლა?

— რამდენიც გინდა. ეს, რით დავამუშავო თორემ—სატურიაში მომიზომავდენ ნორმას. რატომ იკითხე?

— ისე...

არასდროს ისე ნათლად და მიმზიდველად არ ეჩვენებოდა მექის თავის მომავალი, როგორც მაშინ, როცა უზომოდ განცდიფრებულ დახუნდარას ერცახე შეეკრა შეაჩეა ხელში და შორცხვად უთხრა:

— ამაში ორი მანეთი და სამი აბაზია, მიწას მომცემენ. ორ სამთარს კიდევ დავრჩები ერემოსთან. შაურს შაურზე დავადებ, რასაც ვიშოვი ყველაფერს შენ მოგაბარებ. ხომ მიიბარებ? გუშინ პარასკეობაზე თუთხმეტ თუმნად გაყიდულა საუღლე მოზერები.

ხუთმეტი თუმნის ჩსენებაზე დახუნდარამ თვალები მიკუტა და სიტყვები დამარცვლა.

— ვაჟო, იცი, ამისთანა რამდენია თუთხმეტ თუმანში?—შეკრა ხელისგუზე შეათამაშა.

— ბევრია? იყოს. ორ წელიწადში ხომ მოგავაროვებ? მოზერებს ვიყიდი, ცალკე დავსახლებები და...

გაჩუმდა. საიდუმლო აღარ გაამხილა. დახუნდარა მიხვდა რა ასულდგმულებდა მეგობარს:—ბაწარს თუ ჩააბამ არ ვიცი, ისე შენ თალიკოს ვერ გადმოიყვან ეზოდან—უნდოდა ეთქვა, მაგრამ იფიქრა:—გული გაუტყდება. იმ გოგონაზე რომ თვალი ექნება, ხალისიანათ იმუშავენს. რამეს მოავაროვებს და ერთ გზას დაადგება!—გადაწყვეტილება მოუწონა. წააქეზა და ყოველნაირი დახმარება აღუთქვა.

მექის გონება ფულმა დაიპყრო. სახალწლოდ დახუნდარას ყოველთვის ჩამოკონდა მისთვის ყურბანის წაღები და წითელი ხალათი. წელს კი მთელ სოფელში მეტი ერთადერთი ახალგაზრდა იყო, რომელსაც ამ ბედნიერ დღეს ახალი არაფერი ეცვა.

— ჩემი ახალ წელიწადი მაშინ გათენდება, მოზერებს რომ ვიყიდი—ჯიუტობდა ის და მანეთიც არ გაიმეტა დასახარჯათ.

გასაოკარი რიგიანობით ავროვებდა ფულს. იმ გროშებს, რომლებსაც მას საჩუქარივით აძლევდა ერემო, უკლებლად მოარბენიებდა მეგობრის ფიცრულში და საგანგებოთ შეკერილ ტომსიკაში უშვებდა.

ხანდახან მეგობრები დაჯდებოდნენ, ტომისიკას ტახტზე დაჯდებოდნენ, ფულებს ნიშნის მიხედვით დააწყობდნენ და შეუდგებოდნენ ფულს. ადრეველიდენ ერხელ, ორხელ, შემდეგ ხელახლა დაიწყებდნენ, თითქო დარწმუნებული იყვნენ, რომ წინა დათვლაზე ანგარიში შეეშალათ, თორემ ნამდვილად თანხა უფრო მეტი იყო. უნდა გენახათ როგორი სასოებით და მინდობით ათვლიერებდა მეჭი ახლად მოჭრილ ბონებს, ისე უცქერდა მათ, როგორც დამბლადაკრული მართლმორწმუნე — ხატს. სჯეროდა მათი სასწაულმოქმედების.

მოიჯერებდა გულს, გაისუყებდა თვალებს. ფულებს სათითაოდ ჩაუშვებდა ტომსიკაში. შემდეგ თავმოკრულ ტომსიკას ისეთი მზრუნველობით გაუსინჯავდა სიმძიმეს, თითქო ხელისგულზე ლითონი კი არა, საკუთარი გული უძევს და ეშინია არ დაიმხვრესო.

მეგრდგაგანიერებული დაბრუნდებოდა შინ.

* * *

ყოველ პარასკევს გაღმელების მოედანზე დიდი ბაზრობა ეწყობა. ერთხელ დიდი ხეყნის შემდეგ მექიმ გაინთავისუფლა თავი და უთენია გავიდა წყალგალმა, ერთი მოხვეერიც არ გაუშვია რომ არ შევაჭრებოდა. გაუსინჯავდა კისერს, ბაყვებში ხელს ამოუსვამდა და დიდხანს ეფერებოდა. თუ გამაყიდველს გულკეთილობას შეამჩნევდა, მორიდებით გამოჰკითხავდა: — რამდენი წლისაა, როგორი ზნე აქვს, როდის უნდა გაიხედნოს.

— მეიდველი ხარ პიძი?

— არა, ისე.

— აბა სოღევარივით რომ დადიხარ ამ ბაზარში და ყველას ევაჭრები, ენა გეკაყვება? — მოუჭრა ერთმა.

ეს ხეტიალი, მოხერების ფერება და გამყიდველებთან საღბარი შინგან კმაყოფილებამ აძლევდა მექის. ამით მას თითქო გაუღვივდა და გაუმტკიცდა თავის ოცნების განხორციელების შესაძლებლობა. ის გარემოება რომ გამყიდველებს ესაუბრა, ბევრი ახალი ვაიგო და გამოცდილება შეიძინა, — სიხარულს და პარმაგობას ჰგვრიდა მას. იგი უკვე გრძნობდა თავის თავში დამოუკიდებლობის ჩანასახებს. ამ გრძნობამ სიამაყე შემატა, ზნეობრივად აამალა იგი და საკუთარი თავი ისე შეაყვარა — შხათ იყო მუშტიც ენხარა მისი ადამიანური ღირსების დასაცავად.

მექის წვერი წამოეხარდა. რბილი წაბლისფერი ბალანი სიმინდის ფოჩივით ეკიდა სახეზე. იგი ღირსეულად ატარებდა თავის სიმწიფის მოწმობას, მაგრამ ბიჭები ყოველთვის უკივივნებდნენ.

— ხრიკუნია სადა ხარ, დალაქი გეძებს!

— ბიჭო გაიკრიჭე. ორი გირვანკა მატყლი გამოვა, წინდები მოიქსოვე!

მექი ნაძალადევად გაუღიმებდა აბეზარ ბიჭებს. ისინიც ჩუმდებოდნენ — არ სწყინსო, — ფიჭობდნენ. დღემდე მისი თავდაცვის საშუალება ეს ღიმილი იყო, რომელიც ყურებამდე ჩაუხვევდა ტუჩებს და სულელურ გამომეტყველებას აძლევდა მას.

როცა შუადღით ბაზრობიდან დაბრუნდა, ბიჭებმა ჩვეულებრივად შეიყინეს ბონდთან, მაგრამ შექი ახლა ისე მოილუშა, თითქო პირველად დაეცინა. იუკადრისა, არ მოითმინა და სწვდა ქინჩი მახლობელს.

— ვაიი, — აღრიალდა ბიჭი.

— კიდევ დამიძახებ?

— გამიშვი.

— დამიძახებ? — ყურის ბიბილო შეუსრისა და არ გაუშვა, ვიდრე პირობა არ გამოართვა.

— ბიძია, აწი არც შე დაგიძახებ. ხომ არ ამიწვევ ყურებს? მორჩილებით უთხრა მეორემ.

— შენ კი ხარ. — მოეფერა ბიძიას წოდებით ნასიამოვნები მექი. მზიარულათ დასრიალდა ფერდობზე და რიყზე ჩაეიდა. ცივმა წყალმა და გაბურჯულმა სილამ ტკბილად მოთენთა. ტანმა ძილი მოთხოვა. გულალმა გაწვა და მაშინვე ჩაეძინა.

* * *

ტარასი ხაზარადის ოჯახი აივანზე ვახშობს. სანათს ღამის პეპლებს ლაშქარი შემოსევია. ღინიანთ ეხეთქებიან ცხელ შუშას. ფრთებდათუთქულნი საინებზე ცვივიან.

სიბნელეში კიბესთან ბავშვები ჩურჩულობენ. კეციდან ქათმის ფილტვი მოუპარავთ და გაყოფაზე დაეობენ.

— ტარასი — დაიძახეს ჭიშკართან.

— ვინ არის?

— ბაქუა ვარ, ერთწამს გამოშვდე.

ტარასიმ ღომით გათხიზნილი თითები პაიკებზე შეისეა და წამოდგა. ბუგლიამ მზიარულად გააცილა პატრონი. ჩქარა უკანვე მოიბრინა და მოვახშმევებს წკუტუნით აცნობა: — აქ ვარ არ დამივიწყოთ.

ბაქუა აღელვებულია.

— ზარმაკები, გაუტანლები. მეწყერი გაღმელების მიწაზე ჩამოვიდა და თავიც გაღმელებმა იტეხონო; ასე გამომისტუმრა ცაცხეების უბანმა. ჯიუტობენ! მეწყერმა გზატკეცილი ჩამოაქცია წყალგალმა და გაღმელები ჩაეცტა. ორი დღის წინათ მათ დასახმარებლათ ბარელებმა შაბათობის მოწყობა დაადგინეს. დანიშნული დღე რომ მოახლოვდა, ნახევარ სოფელს „გადაუდებელი საქმე“ გამოუჩნდა და შაბათობას ჩაშლა ელოდა. დღეს ბაქუა ადრე დაბრუნდა ყანიდან. ჯგუფების შედგენა დაიწყო. ცაცხეების უბანში თაღლითობდენ. ზოგი სატირალში აპირებდა წასვლას, ზოგმა თქვა, შეშა უნდა წავილო ქალაქშიო: გაბადაძეს წუხელ ფშანებში უემური აპყოლოდა და ამტვრევდა. ათასნაირ მიზეზს ასახელებდენ რომ ხვალ შაბათობაზე მონაწილეობა აეცდინათ.

— ერთმანეთს წახედეს. ვისიც იმედი მქონდა, ახლა იმანაც კირეეულობა დაიწყო. გაბადაძემ მთელი უბანი აიყოლა. ჩაგვეშლებ! — წუწუენებს ბაქუა.

— შენ დანარჩენ უბნებს მიხედვ. ცაცხვების უბანს მე გამოვიყენებ. /დაამ-
შვიდა ტარასიმ.

მეორე დღეს ბაქუამ ალიონზე წამოყარა კომკავშირელები და ცაცხვების უბანს ჩამოეყვანა. ძლივს უჯეროდა თვალებს, როცა დაინახა რომ გაბადაძე, ჯიბუტი მარგველაძე, დახუნდარა, ე. ი. ისინი რომელნიც წუხელ გადაქრით უარყოფდნენ შაბათობაზე გამოსვლას, ახლა გამგელებულები დარბოდნენ თემშარაზე, აპქარებდნენ მეზობლებს და იძლეოდნენ განკარგულებებს.

ყველაზე მეტად დახუნდარა ხმაურობდა. ეზოდან პატრონების დასკითხვად გამოკონდა წერაქვები, თოხები, წალღები. ყველას ეხმარებოდა. მოაგორებდა ხელის ჯაგებს და მხიარულად ოხუნჯობდა. მერე სადღაც გაპქრა. მცირე ხნის შემდეგ ამაყად მოაბიჯებდა და მოაფრიალებდა აღმასკომის დროშას. ახლა კი იუჟადრისეს ბარელებმა მისი უფროსობა და აყაყინდნენ.

— რას კენტრუშობ უშობელივით შე მატრაკვეცავ! ვინ დაგაყენა ჩვენს უფროსათ? შიამახეს და სიცილი დაყარეს.

თითქმის მთელი სოფელი მოგროვდა ცაცხვებთან. მზე ჯერ კიდევ ლეხემურას კენწეროებს არ მოჰკიდებოდა, ბარელები ხორხოციით და არეული ნაბიჯებით დაემყენ უხილავ დაღმართზე.

ტარასის ბაქუა წაეპოტინა სახელოზე.

— რა ამბავია! — გახარებული თვალებით ხალხზე ანიშნა. ტარასიმ ჩუმ-ჩუმად გაიღიმა.

— ჯადო გაუკეთე. წუხელ სათითაოდ ჩამოუარე ჯიუტებს და ზარმაცებს და ათეულების ხელმძღვანელობა დაეკისრე. შევესახელე: აღმასკომმა თქვენ ამოგირჩიათ, თქვენ მოგანდოთ შაბათობის ჩატარება და, აბა, თქვენ იცით — თავი არ შეირცხვინოთ-მეთქი. ჩვენებურ კაცს თავის გამოჩენა და უფროსობა უყვარს-ნახე, როგორ დაფაცურდნენ!

* * *

პირველ შეხვედრისთანავე ტარასის სახე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო უწინაც გინახავთ სადმე. სად? ვერ იგონებთ. ფიქრებით დაღვრემილი, ყოველთვის რაღაცაზე მზრუნველი, სამკუთხიანი სახე სწრაფად იზიდავს და იახლოვებს ადამიანს.

იციანის უხმოდ, თითქო დასცინის ვისმეს. სამაგიეროდ ლაპარაკობს საშინლად ხმა მაღლა. მოსაუბრეს ისე უყვარის, როგორც ყურნაკლებს. ყოველთვის რამდენიმე კაცი ახვევია. არაფერს იცის, როდის არის მარტოდ. იგი ხანდახან არც კი ახსოვთ, მაგრამ გამოჩნდება თუ არა მოედანზე — დუქნების საიხის ქვეშ ან აღმასკომის კიბესთან უსაქმოდ დაყრილი გლეხები, თითქო მას ელოდნენ, სწრაფად, საჯდომებზე ხელების ფართხუნით წამოიშლებიან და შეაჩერებენ.

ტარასი პირწავარდნილი იმერელია, მაგრამ ლაპარაკზე უფრო მოსმენა უყვარს. გლეხს კი ძალიან სიამოვნებს როცა მას უსმენ. ამიტომ ტარასი უყვართ. მასთან არასდროს არ გამოეღევათ საქმე და სათქმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაბათელები გორდაძეების უბანს გაუსწორდნენ. როცა იმერელი გლეხი თავის ეზოს ხნავს, ეგ მისი საშინელი სიღარიბის და უმიწობის მაჩვენებელია. მთელ სოფელში ეზოებს მხოლოდ გორდაძეების უბანში თესავენ.

სიმინდი მოჭრილია. აქა იქ საქონელი კვრიხავს ნაჩალარს. ერთთვლიანი ისლით დახურული ქოხები თავის უმწეო და უხალისო შებუდულებით მუდამ აწუთობდა ტარასის. ახლაც, როცა ამ გაბარტახებულ კარმიდამოებს ვადახედა ნაცნობი სევდა შემოაწვა. ამ სევდას სირცხვილნარევი წყენის გრძობაც შეეპარა. მის მოაგონდა კრებები, მისი რიხიანი სიტყვები და მოწოდება—და უცბად, ერთი წუთით აიშრიზა: ეუცხოვა, დაირცხვინა ის რიხიც და ის მოწოდებაც.

— ამ უბანში ერთი მოსახლეც არაა, რომ გაზაფხულამდე მიჰყვეს წლის მოსავალი. რა მივეციან მათ?! ბევრს ვლაპარაკობთ და ცოტას ვაკეთებთ.

ტარასი შეაწუხა უნებურათ მიღებულმა დასკვნამ და შედგა. მან სათითაოდ მოიგონა რაც სამი წლის განმავლობაში ვაკეთდა სოფელში.

... აგერ ზინობე, ილიკო გორდაძე, გიორგი; მიწები მივეციან, ვადასხადიდან გავანააფისუფლეთ, ყველწლიურად ვეხმარებით. ახლა სკოლა, კოოპერატიული დუქანი, ახლა რამდენია დაწყებული და განხრახული... უბრალო წვრილმანიც არ დაიფიჭვა, ყველაფერი ცოცხლად იღადგინა, შეკრიბა, შეადგა და ისე თავისუფლად ამოისუნთქა, თითქო დაღლილი იყო და დასასვენებლად ჩამოყდა.

— კარგი მუშაობა ჩავატარეთ. ძალას არ ვიშურებთ, წლებზე ფეხს ვიდგამთ რომ წამოვაყენოთ წაქეცილი სოფელი, ვარდავექმნათ ჩვენი ძალღუერი ცხოვრება...

იგი დიდხანს ჰვრეტდა გონებაში დახატულ სურათს. უცბად მას მოაგონდა ტუჩა დაშინანი და ამ ნათელ სურათზე ტალახით დაეცა აღმასკომის თავმჯდომარის სახე. ტარასის მოაგონდა რომ ტუჩას დაუდევრობამ შეაფერხა წისქვილის აგება. საამისოდ გადადებულ თანხიდან ცხენი იყადა აღმასკომისათვის. ნაწილისც სესხად გასცა და სოფელი ისევ ბარნაბას ხელში დარჩა. წელს საგანგლოძემ ვაადიდა მინდი. ახლა სამ გირვანქას იღებდა ფუთზე. იყო შემთხვევა როცა გლეხებს გამოუყვალა კარგი სიმინდი და პეპლიანი დაუფჭვა.

ტუჩას მოქმედების შესახებ მან აცნობა სამხარო აღმასკომს.

— აქამდე რად დააგვიანეს პასუხი! უნდა მივაკითხო. მუშაობა წინ არის, წინ,—წამოიძახა მან და აჩქარდა ამხანაგების დასაწყევად.

* * *

უხიდოსთან ბარელები შექუჩდნენ. ბონდზე რიგრიგობით უნდა გასულიყვნენ.

— ორ-ორი. ორ-ორი; ყველას არ გაუძღუმს, ნუ ჩქარობთ!—ყვირის დახუნდარა და თვითონ ყველაზე მარდათ ამუშავებს მკლავებს რომ პირველად გაძვრეს.

მოწორებით ჯიბუტი მარჯველადე ზის და ცხარედ ედავება ბაქუს და ილიკო ვორდაძეს.

— დოდო მიქელაძე რატომ გამოტოვეთ შვე სიაში? **გვერდები** უნდა შეგეტანათ.

— რატომ კაცო!

— აზნაური, ლოთი, უსაქმო. ასეთი იყო და ასეთივე დარბა. სხვა რა გინდათ? ყვირის ჯიბუტი ურზი ხმით.

— მეერე:— ილიკო ენა-დაბმულია. მისი გაჭიანურებული ლაპარაკით თავ-გაბეზრებულმა ჯიბუტმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა. ამიტომ ილიკო ახლა ერიდება გრძელ წინადადებებს და მოკლე სიტყვებით ერევა კაიბთში.

— მეერე, — გააჯავრა ჯიბუტი: — მერე ის რომ —ათასჯერ მითქვამს, ბარნაბა საგანელიძე თუ ხმაჩამოსართმევი, იგი მთლად უნდა გადავასახლოთ აქედან.

ჯიბუტი ცხარობს. ჭკვირს რომ ბაქუს და ილიკოს სადავით მიანჩნით ასე ნათელი ჭეშმარიტება.

— დოდოს ერთი გაქეჩილი ჩოხისა და აზნაურის გვარის გარდა, არაფერი გააჩნია. ამჟამად არაფერს უშეივებს საბჭოთა ხელისუფლებას და გულში რაც უნდა ის იფიქროს. ბარნაბა კი კაპიტალისტური კლასია, კულაკია. ჩვენთვის, პროლეტარული მასებისათვის, ერთი კულაკი უფრო საშიშია, ვიდრე ასი იმისთანა თავპარიანი აზნაური — ლაპარაკობს ბაქუა.

— კაპიტალისტური, დიახ! — დასკვივლა ილიკომ. დიდიხანია ცდილობდა ამ სიტყვის მოგონებას. ბაქუამ რომ თქვა, გაუხარდა და გამარჯვებულებით გადახედა ჯიბუტის.

— არაფერი რომ არ გააჩნია სწორეთ ხმაც იმიტომ უნდა ჩამოერთვას! ის რა კაცია ვინაც ვერაფერი ვერ შეიძინა?! შრომა არ უყვარს, შრომა. თოხი რომ თოხია, ერთხელაც არ დაუკრავს მიწაზე. ბარნაბა გლეხია. რას ვერჩით! იშრომა და შეიძინა. ჩვენი მტერი ეგ არის. კაცის მოკლეა რა სანატრულია; იმ მიქელაძეს კი, საქმე რომ მივიდეს, სამ ვერსზე არ დავაცდენ ტყვიას! — სიავით გამოცოცხლებული თვალები ჩამოატარა და წამოდგა.

— დოდო მიქელაძე არც ჩვენ გვიყვარს, მაგრამ ეპოლათაციას არ ეწვევა. კონტრ-რევოლიუცია მოახდინა? არა მოუხდენია. — უმტკიცებს ბაქუა, მაგრამ ჯიბუტი არც უსმენს.

— მაშ ასე გამოდის, მშრომელ კაცს ცოცხლად მარხავთ, აზნაურებს კი ხელს აფარებთ! კაი პოგრამა გქონიათ.

— ბარნაბა მშრომელი კი არა, წუღურბელაა. პარტიამ რომ ხაზი ჩაგვახარა, ლაპარაკით სწორად უნდა ვაეცტაროთ სოფელში, — როგორც იქნა ამოღება ილიკომ. როცა მას ძალიან გაუჭირდება სიტყვის ვატება, სახე ისე მოეჭკევა, გეგონებათ რაღაცა უხარია და უხმოდ იცინისო. რაც უფრო მეტად ემუქრება ვისმეს, სახეც უფრო უცინის. მისი გამომეტყველება არასდროს არ ეხამება მისი სიტყვების შინაარსს. ამიტომ მის ლაპარაკს დამარწმუნებლობა აქლია.

— რას იღრიჯები! შეუძერი იმ გატყუალ მიქელაძეს და იყავი.

ვიდრე ილიკო სამაგიეროს უპასუხებდა, ჯიბუტი მოტრიალდა და აქარე-
ბით შევიდა დაცარიელებულ ბონდზე.

... ჯიბუტი როგორ ენდობა იმ ხელისუფლებას, რომელსაც გლეხი მარ-
ნაბა საგანელიძე კაცობიდან გამოჰყავს. ამ აზნაურს კი იცოდებს! იგი უსმენს
თავის სისხლის ხმას და გრძობს: არაუროს მქონე აზნაურს უფრო ადვილად
გაიშეტებს, ვიდრე მდიდარ ბარნაბას.

საგანელიძის კარგად მოწყობილ მეურნეობაში გლეხის მარადიულ ლტოლ-
ვის განხორციელებას ხედავს. მას ბარნაბა საგანელიძე ყოველი გლეხის ზვალეთ
მიაჩნია. ღარიბს რა გამოიყვანს სილატაკიდან, თუ არა ის გზა, რომელიც ბარ-
ნაბამ გაიფარა! მას კი ეუბნენმან: ღარიბისთვის ბარნაბა უფრო დიდი მტერია,
ვიდრე ასი თავჭარიანი აზნაური...

პირიქით. ჯიბუტი გრძობს რომ მომჭირნე და მეყვათ ბარნაბასთან მას
რალაც მტკიცე და ნათესაური აახლოვებს. მისთვის გაუგებარია ტარასის, ილი-
კოს და ბაჭუას მოქმედება. ბარნაბასთანა ვლტებს ავიწროებენ, ვასაქანს არ
აძლევენ... ჯიბუტის გონებაში ირყევა იმედის ბოძები, რომელზედაც დამატრე-
ბულია მისი ხელისნდელი დღე. იგი იცავს ბარნაბას არა როგორც ადამიანს,
პიროვნებას, არამედ მასში ხედავს და ამართლებს იმ მისწრაფებას, რომელიც
მისივე ცხოვრების დედაზრსაც შეადგენს. მას ერთიდაიმავე დროს შურს და
ახარებს ბარნაბას ჯიშინი ძროხები, ღონიერი ხარები, სათოხი. მანქანა და
სავსე ბეღელი.

შურს რომ ყველაფერი ეგ სხვას ეკუთვნის.

ახარებს, რადგანაც იმედი აქვს რომ ოდესმე მის ყურებასაც დაატკბობს
ამდენივე საქონლის ბლავილი, მის თვალგებასაც გამოაძლებს საესე ბეღელი, რომ
ოდესმე სათოხი მანქანით იგიც დაუბნელებს მეზობლებს თვალს.

ახლა კი საესეებით დადასტურდა მისი პირვანდელი იქნები. მას თითქო უკრძა-
ლავენ ამ იმედის ქონებას. ბარნაბას ხმის ჩანორთმევაში იგი ამჩნევს მისი მისწ-
რაფების გამაფრთხილებელ და შემკვეცავ ნიშნებს. იგი წუხს. ეს იმედი მისი
სისხლია, რომელიც მშიერმა წინაპრებმა გადმოსცა მას, მათ მიერ გაუთელავ
გზების დასაძლევიად. ახლა ეს ღარები აშალეს და მან არ იცის, რა გააკეთოს
ხვალ. დღემდე გარკვეული ქონდა ცხოვრების გზა. დღეს კი ეს გზა გადაჭრილად
ჩქვენება.

— ვნახოთ, ვნახოთ!— ამოიხზრა მან.

— ჯიბუტი— დაუძახა რიყედან ტარასი:— ურმები შენ ჩაიბარე. თიი კაცი
დატოვე ქვების მოსაგროვებლად. არ გააცდინოთ. მერე რომ იცით თავის მართ-
ლება, ურმები იგვიანებდნენო— ეგ არ იყოს. ყოველ მეზავრობაზე ვინმე გამოა-
ყოლე.

— ვითომ რაო! თაოსნობა შენ მეტს არავის შეუძლია!— პირქუშათ ესროლა
ჯიბუტის.

— რა გაფთქქებს ამხანავო! საერთოდ ვამბობ.

— თვალბში მე მიყურებ და რა ვიცი!

— მზეთუნახავი ხომ არახარ შე დალოცვილო; რას იმადლები.

ჯიბუტის ყველაფერს ერჩია მაგრად წაღაბრაყება, მაგრამ ტარასი მოშორდა. გაბორატებული ჯიბუტი მოუთმენლად იწიწკნის წაქცეულულაშს. ჩხუბის ხასიათზეა და მიზნს ეძებს.

დახუნდარა ჯიბუტის ურემს ტვირთავს. დამზადებული ქვა აღრე ჩამოსულმა შეურამებმა აკრიფეს. დახუნდარას შორს უხდება სიარული. ამოიდებს ილიებში ორ სამ ქვას და ზანტად მოიზლანება. რიყედან ყველა ურეში ამოვიდა. დახუნდარა კი ისევ კრუსუნ-კრუსუნით ეხიდება ქვებს.

— რა ენაღვლება ჩემი საქონელი; აყრის და აყრის. გაავსებს ამ სიმაღლე ფარდებს და წელს გაუთრეფს ხარებს.

ჯიბუტი გაცხარდა. ურეში ფარდიანი იყო. შორიდან ვერ შენიშნა რომ დახუნდარას ოციოდე ქვაც არ დაეგდო ჯერ. ჩავარდა რიყეზე და მისმა ღრი-ალმა შორს წასული ბარელები მოახედა.

— არ გეკოდება საქონელი შენ მართლა საქონელო, კინკრებში მოგდებულო?! ბარემ აიღე ქვა და მოკალი, დახოცე, თქვენი დედა... რაღა თქვენ დაგახოცინოთ; მე დაეხოცავ, მე, თუ ჩემი არაფერი გენაღვლებათ!

მოზრდილი ქვა გამეტებით ესროლა ხარებს. ქვის დანახეზე დახუნდარამ უგანა.

— სად მირბიხარ; რაა ეს?!—ურემს გადახედა. შეამჩნია—ნახევრად ცარიელი იყო და შერცხვა. მაგრამ არ დაიშნა და ხმაურზე მოსულ ილიკოს დააცვიღრა:

— ეს ლენჩი ვინ დასეა ჩემ ურემზე. ერთი საათია უკურებ და ურეში ვერ დატვირთა. მერე ესაა სიკეთე?—ხარებს ტაბიკები გაუსინჯა:—უკანალი მოსვლია. საქონელი იხრჩობა. ის ვერ მოიფიქრა, ორი ქვა დაეგდო წინ.

... როდის იყო ჯიბუტი მარგველადე ასე ძალიან წუხდა საქვეყნო საქმეზე!—ფიქრობდა დახუნდარა. მალლობზე იდგა და გინებას უკანვე უბრუნებდა:—ვინაა საქონელი? საქონლის ხმა მესმის! ვინაა კინკრებში მოგდებული? მისი ხმა მესმის... და ასე შემდეგ. როცა გული მოიჯერა, ჯიბუტის ურეში ილიკოს შეუცვალა და წასვლისას უშველებელ ქვას წაეპოტინა.

— მოგიტანო?—გასძახა დამშვიდებულ ჯიბუტის და ხარებზე ანიშნა. ჯიბუტიმ აღმაცერად გახედა. ილიკომ ვაიციანა.

— რათ უნდა მაგხელა ლოდი.

— ხარების დახოცვა მინდაო. მისთანა პატარა ქვით, საღამომდე ვერას განხედა. ეს კი კამენს წააქცევს. მოგიტანო? არა დაგამადლი.

— წადი, წადი;—ზიზლით მიახალა ჯიბუტიმ.

— ძალიან აღერლილია დღეს. ყველას კბენს!—გაიფიქრა ილიკომ.

გაღმელებს მეშაობა დაეწყოთ. ბარელებს მხიარული კიკინით შეხედენ. არ მოელოდენ. მათი სიხარული გაორკეცდა, როცა გაიგეს რომ უკან ოცი ურეში ქვა მოდიოდა. ათეულებს სამუშაო გაუნაწილეს. სამი ათეული და ხუთი ურეში ტარასიმ წაიყვანა ლებემურას ტყეში სარების სამახევათ და წნელის გამოსატანად.

ცხელი დღე იწყებოდა. ტარასის ათეულეებმა სწრაფად გაიარეს ხუთი კილომეტრი და ჩრდილოეთიდან შევიდნენ ტყეში. აქ ეგულებოდნენ ვეწრონი წაბლი და თხმელა.

გრილმა, ნესტიანმა ტყემ ყველა გამოაფხიზლა. დაავიწყდათ დალილობა და ტყეში ჭარმაგათ ახმაურდნენ ნაჯახები და წაღებები. ხანში შესული გლეხები ჩუმად მუშაობდნენ, მხოლოდ ხანდახან როცა კუნძიან ადგილს შეხედებდნენ, ნაჯახის დაკვრას თან აყოლებდნენ მაგარ ამოძახილებს. ახალგაზრდები უფრო მეტს ხმაურობდნენ ვიდრე აკეთებდნენ. ხაქოშია პირველად გულმოდგინეთ ჭრიდა წნელს. შემდეგ თანდათან დაწინაურდა და ხეებში მიიმალა. ერთხანს შორიდან ყრუთ ისმოდა მისი ნაჯახის კაკუნი. მერე მიწყდა.

ბაქუა და ვარდენა შეუმჩნეველად მიეპარნენ. ხაქოშია წაბლის ქვეშ იჯდა. გაფენილ ხალათზე დაჩქვრილი ბუჯიანი ნაყოფი ეყარა. ფრთხილად არჩევდა და ჭამდა.

— შეგრცხვეს! ახალგაზრდა ხარ და დებერტირობ. მოხუცები გჯობიან! ჯავრობდა ბაქუა. მისი საზეიმო დინჯი კილო სიცილს გვრიდა ხაქოშიას:

— დაეილილე; რა მოხდა!

— როგორ არ დაილღებოდი. ამდენი წაბლის გარჩევა ხუმრობა კი არაა! ვასცინა ვარდენამ.

სარების სამახევად მიაციენეს. ამხანაგები წარაშარა აჯავრებდნენ.

— როგორ იყო, შუაგულ ტყეში—არსენა ყაჩაღივით რომ გაშალე სუფრა? წაგამწარეს ქეიფი?

ხაქოშია იბღვირებოდა.

ათეულეები შარდად მუშაობდნენ. შუადღემდე სამი ურემი გაისტუმრეს და საუზმით დაჯდნენ.

— ტარასი, ჩვენმა უჯრედმა შეფობა აიღო შენზე. წერა-კითხვა უნდა გასწავლოთ.

ტარასიმ ურწმუნოთ გადახედა წაქცეულ ხეზე ვადამჯდარ ბაქუას. უხმოდ ჩაიციინა.

— მე უნდა მასწავლოთ?!

— შენა, მაშ! ფული შეეაგროვეთ და წიგნიც გიყიდეთ.

ტარასი უსწავლელია. მამამისს არ უნდოდა ისე ჩასულიყო სამარეში რომ შეიღს ორი ანაბანის ამოღება არ ესწავლა. ღარიბმა გლეხმა ღარიბების საყოველთაო გულუბრყვილო ეშმაკობა იხმარა და ვაკე სოფლის განათლებულ პიროვნებას მონათვლია... თავის ნათლულს კითხვას ასწავლის და კაცად გამოიყვანსო...

ამ ბედნიერ დღიდან მრავალი უბედური დღე გავიდა. ერთ გაზაფხულზე მამამ ორი კვერცხმოწყებული ვარია და ერთი ყვინჩილა ბიჭი ტარასი მიუყვანა განათლებულ ნათლიას.

— ცოტა ენაც გაუტეხე და ოჯახშიც მოიხმარე— თხოვა მამამ.

ნათლიამ ენა არა და—წელი კი გაუტეხა ყვინჩილა ბიჭს. წიგნის მაგიერ ორფუთიანი კოყა მისცა ხელში და ქვაბების სახეხად მიაცუნა. მათი წელი იწანწალა ტარასიმ ნათესაეების კარზე. რამდენიმე ოჯახი გამოიკვალა. ერთხელ დაბაც მოატარა მამამ. ყველგან პირდებოდენ, მაგრამ ყველამ მეორე დღესვე სამზარეულოში შეაგდო და მოსამსახურეთ გაიხადა. გამწარებულმა, იმედ-გაცრუებულმა მამამ შინ ჩამოიყვანა ვაჟი და გვერდში ამოიყენა.

— ლარაბის წიგნი ეს ყოფილა!—ამოიოხრა მან და ხელში ოყიანი თოხი მიიჩნია. მას აქეთ შრავალმა წელში ჩაიარა, მთავრობაც ბევრჯერ გამოიკვალა და დღეს...

გული აუჩუყდა. მოაგონდა წუტხო კარებზე გაცვეთილი ახალგაზრდობა, მოკრძალებული მამა, ილღიებში ვარიები ამოუჩრია... დამნაშავესავეთ ბურღღუნებს: „ცოტა ენაც გაუტეხე და ოჯახშიც მოიხმარე“...

ქორივით წამოიშალა.

— მასწავლეთ, მისი დედის სულიც არ იყოს! მაგასაც მოუგრეს კისერს.

და ხელი ისე მაგრად დაჰკრა ბაჭუას მხარზე რომ იგი შეიშმუნა.

— აი, შენ, ზეო თავო! რა დღეს მოვესწარიო. რას მიშვრებით თქვე ოხრებო! თავიდან მაწყებინებთ ცხოვრებას, ახალგაზრდობას მიბრუნებთ?! დავიბრუნოთ, მისი დედის სული არ იყოს—დაიგუგუნა ტარასიმ და ბაჭუას გაუკვირდა რომ ამისთანა ჩია კაცს უშველებელი ხმა ჰქონდა.

— დავიწყოთ:—გადასძახა გლეხებს და ნაჯახი შემართა.

ტყე ახმაურდა.

* * *

საცოლე ბიჭები და გასათხოვარი ქალიშვილები ყოველთვის მოუთმენლად ელოდენ რთველის აღებას. გაჩაღდება გაზაფხულზე შეყვარებულ ახალგაზრდების ქორწილი. სოფელი გამოეფინება ცაცხვების ქვეშ. ვისაც სასურველი პატარძლის სახელის შოვნა სურს, მან ჯერ აქ ცაცხვებთან უნდა გამოიჩინოს მიწიბდევლობა და სილაშაზე. აქ უნდა მოიწონონ მისი საქციელი და მიხვრა-მოხვრა. აქ, ჯარობაზე დაირის გრიალის ქვეშ ახალგაზრდები იყვარებენ ერთმანეთს და მზიარულობენ. მათი გიჟური აღტაცება მხოლოდ ხანგადასულ, კუკლასავით მოკაზმულ საპატარძლოებს არ მოსწონთ. იმაყად ჭაჩავენ წარბებს და ვესლიანთ ცურჩულებიან მოხუცებს:

— ი გოგო როგორ შეიშვება პატიოსან ოჯახში! თხასავით ხტუნავს. ვერ იქნება ბეჩა კაი მეოჯახე, ვერა...

სალამობით ქალაქიდან ბრუნდებიან შეზარბოშებული გლეხები და კრელი თავსაფარებით, საკაბე ჩითებით და იფუფისიანი ქურკლეულობით ახარებენ ცოლშვილს.

ოქტომბრის თბილ ცის ქვეშ დადის მსუყე შემოდგომა. რამდენიმე დღით აძღებს და აბედნიერებს ლატაკ სოფელს.

ბარელებს არ გაუშვარდლდათ წლებანდელი მოლოდინი. ასეთი მკლე შემოდგომა დიდი ხანია არ უნახავს სოფელს. მოუსაველობა კიდევ არაფერი. სო-

ფელში განდა პარტახტიანი სახადი და ეპიდემიით გადიქცა. ზოგიერთი ოჯახი საავადმყოფოს ვაჟდა. საშინელმა სენმა ყველა წაქცია. ქართველებმა წაქცელად ჭელეხი იზარტებოდა. სადღეგრძელო შესანდობარმა შესცვალას სოფლის სატყეო დახმარების პუნქტში ორიოდ შუშა იოდი, ქინაქინის ფხვნილი და ერთი ლითი ფერშალი იყო. ფერშალმა კომპარისის დადების და მაჯის გამოთვლის მეტი არაფერი იყოდა. ტარასიმ და ტუჩამ მთელი აღმასკომი და კომკავშირი ფეხზე დააყენეს. უპატრონო ოჯახებს კომკავშირული ქალები მიუჩინეს მომვლელებათ. მაზრიდან ორი ექიმი ჩამოიყვანეს, გადამდებ სენით შეპყრობილი ავადმყოფები სკოლაში მოათავსეს. ტარასი მოურიდებლად შედიოდა ავადმყოფებთან და მისი მზრუნველი ხელი და გამამხნეველი სიტყვა მალამოსავით ედებოდა სოფელს.

ილიკო გორდაძის ეზოდან ორი პატარა კუმო გამოიტანეს. მიწიან ქობში, ჩერებში გახვეულ ილიკოსაც მალე მოიკითხავდა ის, ვინც ასე უდროოდ დააცარიელა მისი ოჯახი რომ ტარასის თავის სახლში არ გადმოეყვანა ავადმყოფი. თავზე ადგა. ლამეებს უთვებდა და როცა ავადმყოფს გამოკეთებდა დაეწყო მხოლოდ მაშინ ვიხნადა ტანისამოსი დასაძინებლათ. მისი სიხარული უსაზღვრო იყო.

ერთმა შემთხვევამ სამუდამოთ ჩაამწარა ეს სიხარული.

ილიკო მუდამ მოწყვნილი იყო. ტარასი ყოველმხრივ ცდილობდა მის გართობას.

ერთ საღამოს ავადმყოფის შესატყვევით თავის პატარა ქალ-ვაჟს დაუძახა. თითონ დაირაზე უკრავდა. ბავშვები ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ამბობდნენ ლექსებს და ოინბაზობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

სუფთა, უღარდელმა ხმებმა ოთახი გაათბო და გაამზიარულა. ავადმყოფი ერთხანს იღიმებოდა. მერე ერთბაშით სახე ჩაუქრა, მოიღრუბლა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— რაატომ გადამარჩინე! — წაიჭურჭულა.

ტარასის გული აჟღეროდა მისმა თვალებმა. მიხვდა თავის წინდაუხედლობას. იგრძნო რომ ბავშვების ხმებმა ილიკოს მოაგონა ორი პატარა კუმო, რომლებიც მან სასაფლაომდეც ვერ მიაცილა.

ბავშვები საჩქაროდ გაიყვანა.

ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ტარასიმ ვერ დაივიწყა ილიკოს მუნჯი და იმავ დროს ენაზე უფრო მეტყველი თვალები, რომლებმაც მაშინ სასტიკი საყვედური გამოუცხადეს სიცოცხლეს. ტარასიმ წარმოიდგინა დამგლოვიარებული ოჯახები — და თითქო შერცხვა, ეწყინა რომ მის სახლში ყველანი ჯანსაღათ იყვნენ. იგი თითქო დამნაშავეთ გრძნობდა თავს რომ საერთო უბედურება აცილდა მის კარებს. მთელი ძალღონით, გასაოცარი თავგამტეხებით ებრძოდა ამ უბედურებას, ეხმარებოდა ბარელებს რომ ამით გამოეყვიდა არარსებული დანაშაული.

— ცოდვამ გვიწვია, ცოდვამ. სარწმუნოება დავკარგეთ, ხატი დავივიწყეთ და დავგასაჯა უფალმა, ღირსი არა ვარ მისი ხსენების, მისი სახელის ჭირიმე: — ყმუოდა დუქნებთან ექიმბაში ფარნა. ცდილობდა ხელი მოეთბო სიცხით დანაკვერჩხლებულ ავადმყოფების სხეულზე, მაგრამ არსად მიიკარეს.

— ფარნა, დიპლომათი დობტურები თავზე გვიდგია. შენ მოდულელებულ ქის წყალს როგორ დავალევიანებ ავადმყოფს—უთხრა ჯიბუტიმეჩურეკა—ექიმბაშ-მა დახმარება შესთავაზა.

— სახადით შეპყრობილს წამალი რას უშველის! გამოლოცვა, უნდა ადამიანო, გამოლოცვა.

— გამოლოცვა? რა მენაღვლება, გამოულოცე: ისე კი არაფერი დაალევიანო, —დაეთანხმა ჯიბუტი.

როცა ექიმების დახმარებით ჯიბუტის ვატი მომჯობინდა, ფარნამ მთელი სოფელი შეპყარა:—ავადმყოფს მე გამოულოცე ტანიდან სნეულება და მისთვის მოიკეთაო.

ტუჩა დაშინანმა დაიბარა ფარნა და გაახსენა სოფლის დადგენილება, რომელიც უკრძალავდა მას ექიმბაშობას.

— თავს ნუ ივდებ ყაზახო. მე ცეცხლი ვარ, ხომ იცი! ნუ შეტუმრები ცეცხლს! ისე ამოვიწვივ მაგ პროვაცკიულ ენას, შენს თავსაც ვეღარ გამოულოცავ. კინწურაშვილო, —ჯასძახა მილიციონერს:—რამდენი კაცია კუტუსკაში? „კუტუსკა“ კინწურაშვილის ოთახი იყო, კანცელარიის დაბლა, პატიმარი მაზრაში გაგზავნამდე იქ ათევედა ღამეს. წამოწვებოდა განიერათ კინწურაშვილის ტახტზე და ამოუშვებდა ხრინვას: კინწურაშვილი კი ჩამოჯდებოდა კართან, აგინებდა დედას და არკვევდა შემდეგ პრობლემას:—ვინ უფრო ისჯებოდა, იგი თუ პატიმარი: მას ხერინავს, მე კი თხასავით ვაქნევ თავს...

— ერთი, —უპასუხა კინწურაშვილმა.

— გაიგონე?—მიუბრუნდა ტუჩა ექიმბაშს:—ის კაცი მარტო ყოფილა, მოიწყენდა. ხომ არ გინდა გაამზიარულო შენი ლოცვებით. შე ქოფაკო, მთელი ქვეყნის ექიმები დავისიე სოფელს. შენ კი მაინც შენებურათ წირავ? ახლა მიპატიებია. ენას კბილი დააჭირე და გასწი.

მაღალი, ოდნავ მოზრილი, ნამგალივით წვეტიანი ცხვირი. მწვანე, ავი თვალები. ტუჩების ნაცვლად ორი უფერო, ნიკაპამდე ჩამოხეული ხაზი. ტუჩების მოყვანილობა ლორჯოს ლაყვანებს მიუგავს. ზემო ტუჩს, რომელიც უშუალოდ მიკერია ნესტოებს, ვერ წვდება ქვემო ტუჩი. ამიტომ ფარნას პირი მუდამ გაღებული აქვს და ვისაც მისი შეხედვა არწვეხიზდება, სამუდამოთ დაამახსოვდება ტანგისფერი, თავწატიხილი კბილები, ალაგ-ალაგ შავათ ღალარენილი ცარიელი ადგილები. ბავშვებში შინწარეგ სიძულვილს იწვევს მისი ჩუმი, მიმპარავი სიარული, საიდუმლო ლაპარაკი, მისი ტანისამოსი, რომელსაც წამლები-სა და საშარის სუნი ასდის.

— ნაესია—ლაპარაკობს დოფინა: დილით რომ უხმა გულზე შეგხვდეს, მთელ დღეს დაგაუქმებს. დაცდილი მაქვს.

როგორც კი დაინახავს ექიმბაშს, მაშინვე ქვას დააფურობებს და გადააბრუნებს.

უფროსები საფრთხობელას ეძახიან. როცა სოფელში საექიმო დახმარების პუნქტი მოაწყვეს, ილიკო გორდაძემ პირდაპირ ხალხში უთხრა:

— აწი მაინც არ ექნება გასაქალი შენს წამლებს. ძმობას გავიწყვე, საქმეს გიშოვი. კურდღლებმა სულ გადამიჭამეს კომპოსტო. მოჭარქნანძრანი დღე იტყუდე ჩემს ბოსტანში. შევარცხვინე იმისთანა საფრთხობელს, რომელიც შენზე მეტად დააშინებს იმ წყეულებს.—

დაცინება, აბუჩათ ადგება უფრო ამბროტებდა მას და გულში იმდენი შხამი ქონდა, მთელ სოფელს ეყოფოდა მოსაწამლავათ.

ოქტომბერი მიიწურა. დამარცხებული ეპიდემია გორდაძეების უბანში კიდევ ცდილობდა გამავრებას; დროზე მიუსწრეს და ორი თვის შემდეგ სოფელს გამოკოცხლება დაეტყო თბილმა დღეებმა გარეთ გამოაფინა ხალხი.

კომკავშირელებმა წარმოდგენაც გამოართეს, მაგრამ შევებში ჩაცმული დედაკაცები იმდენათ შიშიე შთაბეჭდილებას ახდენდენ, მათი ხარი ისე გულმოსაკლავათ გაისმოდა სოფელში რომ სხალისოთ არაეის გული არ მიიწვედა. სოფელში ჯერ კიდევ იდგა სამგლოვიარი პროცესიების სუნი. ვინც მგლოვიარეთ არ იყო, ისიც პატივს სცემდა სხვის მწუხარებას და ერიდებოდა მზიარულებას. ამიტომ ძალიან ეუცხოვათ ბარვლ მოქალაქეებს, როცა ერთ საღამოს სიმღერა და არღნის ღრიალი გაიგონეს.

— სადაა ნეტაეი?

— ერემოსთან. კოწია ჩამოსულა ამხანაგებით.

— უსირცხვილო. ორი დღე მოეთმინათ. ცრემლი მაინც შეშრობოდა სოფელს!

ქუთაისში კოწია პიტახია არაფერს აკეთებდა გარდა იმისა რომ პაპანება სიციხეში ბალის კიდზე იდგა და ფეხბრებოდა ამხანაგებს:

— აბა თუ გამოიცილობ. დაუკვირდი. ლიფი აცვია თუ არა ამ ქალიშვილს.

ვინც სამჯერ ვერ გამოიციობდა, ის წაგებული იყო და იმ საღამოს ყველანი მის ხარჯზე ქვიდობდენ. ერთ დღეს კოწიას აუტყდენ ამხანაგები.

— ბიჭო რთველია, მოდი ერთი ღაზათიანათ წავექვიფოთ მამაშენის მამელში.

— ახლა რომ მივადგე რას იტყვის?!

— უთხარი, სასწავლებელი დავამთავრე, მაყარიჩი უნდა გადავიხადოთქო. როგორც იქნა, დაიყოლიეს და მეორე დღეს სოფელში გაემგზავრენ.

ერემო დაფაცურდა. ისეთი სუფრა გაუშალა „სტუდენტებს“ რომ ქორწილი გეგონებოდათ. ერთი კი შეეჭვდა:—ოქტომბერში როდის იყო სასწავლებელს ამთავრებდნო, მაგრამ კოწიას ამხანაგებმა დაამშვიდეს.

— სასწრაფოდ გამოგვიშვებს. ზაფხულამდე პრაქტიკაზე ვიგზავნებით...

— იცოდე, —დაუმატა კოწიამ:—უნივერსიტეტში იანვრამდე უნდა შევიტანო საბუთები. თუ სიღარიბის მოწმობა არ მექნა, არ მიმიღებენ. აბა შენ იცი, შენებურათ.

— გეცდები,— უთხრა ერემომ და ვახშაშზე აღმასკომის თავმჯდომარე ტუჩა დიშნაიანი დაბატია.

ტუჩა ყოყმანობდა.

— სოფლის მერიდება. სხვა ღროს კიდევ პო, მაგრამ ახლა სხვანაირათ გაიგებენ.

— ვინ რას იტყვის! ცეკვა და სიმღერა არ იქნება. ისე, შინაურათ ვი-
ჭუჭუჭებით,— უთხრა ერემომ.

მაგრამ როცა სუფრაზე მიხუთე ყანწი ჩამოატარეს, სტუდენტებს საღერ-
ლელი აეშალათ.

— კრინით ვიტყვი ბატონო, კრინით! — მთვრალი ხმით მოითხოვა
ყოწიამ.

კრინით დაიწყო და ისეთი მძლავრი გუგუნით დაამთავრეს რომ ოთახი
შეირყა. მიექვსე ყანწმა ტუჩაც აამღერა.

არჯევანიძის ბაღში
ვიწეე შეშინა.
აღმასხანის ქალიშვილი
მკლავზე მეწვინა.

იწყებს ყალბი ტენორით და ღვინით გაბრწყინებულ თვალებს არ აშო-
რებს თალიკოს, რომელსაც გაცხარებით ეჩურჩულება ყოწია. თალიკო გაპრან-
ჭულათ კისკისებს. ყოწიას ჩურჩულში სასაცილო არაფერია, მაგრამ ერთხელ
თალიკოს ყურში ჩააწვეთეს, სიცილი ძალიან გიხდებოდა. მის შემდეგ გამარჯ-
ვებაც რომ გეტქვათ, იგი ისი გულიანათ გაიციინებდა, თითქო დიდათ ენამახვილ
კაცს ესაუბრებოდა.

აღმასხანის ქალიშვილი
მკლავზე მეწვინა

მღერის ტუჩა. ხმას არავინ აყოლებს და ერემო ჯავრობს. ეჩურჩულება
შვილს.

— ბიჭო ასიამოვნეთ ი კაცი, რომ წამოიწყოს, ხმა მიეცით. სიმღერა ვი-
ციო გონია და ნუ შეარცხენეთ, აყევით. მოწმობა ხო გინდა!

მეშიდე ყანწზე ტუჩამ ისე შეატრიალა ფეხები რომ ერემომ მაშინვე შე-
ატყო, ცეკვა უნდოდა.

გამოვიდა სამშარეულოში და მეტი აფრინა დუქანში არღნის მოსა-
ტანათ.

არღნმა სუფრა გააგება. ტუჩამ ისეთი ხშირი ბუქნი დააყარა რომ ბოთლებმა
მაგიდაზე მთვრალეებით დაიწყეს რწევა. სათამაშოთ თალიკო გამოწვია. ტუჩას
ყოწია შეეცილა. ყოწიას მისი ამხანაგი ლეჩხუმელი, მუშნა გელოვანი.

— თამადა— ყვირის ბარნაბა საგანელიძე:— ღვინო მასვით. ნუ მომკალით
წყურვილით. გეყოფათ. ყური წაიღო მაგ არღანმა.

სმა გაგრძელდა.

— ბატონო ტუჩა—ბარნაბა ცდილობს დაწყებული აზრის დაშთავრებას, მაგრამ ხმაურში არაფერი ისმის, ყველა ლაპარაკობს. ტუჩასთან ^{განმარტობა, ხე-}ლისგული ტუჩებთან მოკცა და ყურში ჩისძახა.

— ბატონო ტუჩა—

ტუჩა უხასიათოდ ახრამუნებს ძველებს და ქურდულათ ზეერას თაღიკოს მუხლებს. ქალიშვილს კაბა ოდნავით აკეცია და...—სულ შიშველი ქალი არაფერია, მაგრამ ასე, ორი თითის დადებამზე რომ გამოუჩინდება ხორცი, პირდაპირ თვალეებს მოგჭრის.

ფიქრობდა იგი და თვალეები გადმოცევენაზე ქონდა.

— იმას მოგახსენებდი, ვერ გავიგეთ ამ სოფელში ვინაა ჩვენი მთავრობა, ვინაა უფროსი! აღმასკომი თუ ტარასიას უჯრედი. შენი ნათქვამა სიტყვა ბატონო, ყველაფერი უთქმელათ და საუკეთესოთ გვესმის, ცეცხლში გამოგყვებით. ამ ტარასიას კი ვერაფერი გაუგეთ! ბატონო, მე თუ შენზე მეტი სისხლი ჩაეაქციე შრომაში, ამისთვის უნდა ამიჯანყო სოფელი?! მტერი ხარო. მტერი რომ ვიყვე და კულტურას არ ვაფასებდე, ხუთ თუმანსაც არ შევწირავდი ეკლესიაში კლუბის მოსაწყობათ. ვინ დამავალა! არავინ. ავიღე და ჩემით ჩავაბარე კომისიას.

— ასეც უნდა, ასეც. ძალიან ყაზახი ხარ.—მოუწონა ტუჩამ.

ბარნაბამ ახლო მიუჩოჩდა და განავრძო.

— ჩემოდენა გადასახადს ვინ იხდის. მომაქვს თუ არა სარგებლობა? მომაქვს. მთავრობას ფული ასესხეთო, გვითხრეს. ვასესხე. ხელი მოუმართე. ხელეებს თუ შემიკრავთ, მთავრობაც იზარალებს და არც მე ვიქნები მადლიერი. ჩვენ ბატონო, აღმასკომს ემშობობით. შენა ხარ ჩვენი მთავრობა და შენ გემორჩილებით სწორეთ. უჯრედი არ გვინდა, არა! ერცახე სოფელში ორი მთავრობა არ გამიგონია ჯერ!

უცებ ბარნაბამ შენიშნა ტუჩას თვალეების მიმართულება. პირველათ გულზე მოხვდა რომ ტუჩას ბილწი და მსუნავი გამოხედვის საგანი მისი ქალიშვილს უმწეო მუხლები იყო.

ერთბაშით მთავრობის კაცი, გოროზი ტუჩა დაშინიანი დამცირდა დაპატარავდა მის თვალში. იგი იმდენათ შეძავდა რომ ხელიც კი მოაცილა მის მხარს, რომელიც ამდენხანს ხიდივით იყო გადაებული მათ შორის მეგობრული განწყობილების ნიშნათ. მამას უნდოდა რაიმე სიტყვით ან მოძრაობით გამოეხატა თავისი წყრომა, მაგრამ მოულოდნელმა ბედნიერმა აზრმა დასძლია მის თამოყვარებას.

— მოგწონს? შენ უფლება გაქვს, მე ქონება. ქონება და უფლება რომ შევეართოთ, ხე... ხე.—დაწყვეტილათ ჩაიციხა და თვალი გაუყარა.

— ძალიან გოგოა—დარბია ტუჩამ ყურძნის წვევით შეხურებული თავი.

— ახლანდელ გასლიქინებულ ძღაბებს კი არ გავს, ბიჭებთან ხუნტრუცში რომ ამოუღიეთ სული. დარბაისელი ოჯახის შვილია. სიტყვა-პასუხიც იცის და ოჯახობაც.

ახალგაზრდებმა „ტოლუმბაშო ჩანჩალა“ წამოიწყეს და ბარნაბასთან გართულ ტუჩას თავისი მოვალეობა მოაგონეს.

— შეილო, — ედავება მოვრალი ერემო კოწიას: — ცხონებულე მამაჩემი იტყოდა: ეზოდან რომ გადახვალ, უკან ისე არ უნდა შემობრუნდეს: ერთი ფიჩხი არ შემოიტანოვო. მის სიტყვებს რომ არ გაეულოდი და შენსავეთ თავალებული მეგლო, ახლა ლამის გასათევი ჭერიც არ შექნებოდა.

— მოკლეთ, მამაჩემო მოკლეთ!

— შე მამაძალო, რატომ შენ არ იწერები მოკლეთ. შენ სიგრძე წერილს რომ მიგზავნი, ფულიო, სტამბა კი არ მიდგია სახლში. რვა კლასი ხომ გაათავე? ახლა რვა კლასს რომ შეეფერება, იმისთანა სამსახური იშოვე და თავი მაინც დაიკმაყოფილე.

ღვინის სმამ შუალამედვ გასტანა. ტუჩა ზანტათ ატრიალებს ამღვრულ თავლებს და წასვლას აპირებს. ერემომ უკვე მოასწრო მასთან მოლაპარაკება და აღარ შეპატივებია. მისი წასვლა ახლა სასურველაც იყო. რაც არ უნდა იყოს, ტუჩა კომუნისტია და მისი აქ ყოფნა პატარა უბერხულობას მაინც იწვევდა სტუმრებში.

ტუჩას წასვლის შემდეგ სუფრა უფრო გამზიარულდა. ღვინომ ისინიც მალე მოტება. უაზროთ აქანებდნენ თავებს და თვლემდნენ. ბარნაბა მთელი თავისი მჭერმეტყველობით ცდილობდა სუფრის გამოცოცხლებას.

— კოწო, შენი პატროსანი ამზანაგების მიცვალებულებს არ წაუქციოთ პიქა?! ასე გავათავოთ სუფრა?

— ჯან, — დაიბოყინა კოწიამ.

— შენი ჯანი და შენი პატრონიც. თქვენ მართლა სტუნდენტბო, ასე რამ გავასავათო. დედაკაცების სუფრაზე უნდა იჯდეთ. ვაჟაკებთან რა გინდათ!

ბარნაბა დარწმუნდა რომ ახლა „სტუნდენტები“ არამც თუ სულოს საცხონებელს, გაცოცხლებულ მიცვალებულებსაც არ უსურვებდნენ დღეგრძელობას. უკმაყოფილოდ წამოდგა, მეორე ოთახში ბალიშებზე მიძინებული თალიკო გააღვიძა და გამოემშვიდობა მასპინძლებს.

ექიმბაშ ფარნას აივნდიან ბელის გულივით მოსჩანს ტარასის ეზო. ამიტომ მან ყველაზე ადრე შეამჩნია რომ ხაზარაძესთან თითქმის ყოველდღე დადიოდა რამდენიმე გლეხი. წამოწვებოდნენ მოლზე და საუბრობდნენ. მათი საუბარი ხანდახან ვახშობამდე გასტანდა. ერთბელ ფარნამ კიდევ მიაყურა. გარკვეულად ვერაფერი გაიგო. ეზოში სულ-ერთი და იგივე პირები იყრიდნენ თავს და ეს აფიქრებდა ფარნას: — აქ რალაც ამბავია! გრძობდა ის და იდაგებოდა ცნობის-მოყვარეობის ტაფაზე.

აღმათ მთელ ქვეყანაზე არსად ისეთი პატივისცემით და სიხარულით არ ხვდებიან ახლა ამბავს, როგორც ფარნას ოჯახში. დაისვაშენ ენაზე და საღამომდე ისე შეასხვადფერებენ, ისე მორთავენ და მოკაზმვენ რომ მერე თითონვე უკვიროთ: — ეს რა გვესმისო! ჭორის გავრცელებას კაცი ვერ დასწრებს ფარნასს. პირველად მან უნდა გააკვიროს სოფელი. იგი ვაფაციკლებით ადევნებდა თვალს ტარასის საიღუმლო კრებებს და მოსვენება ვერაგებოდა.

ნოემბერში აცივდა. კრებები სამხარეულო ფაცხაში გადაიტანეს, ღია კარიდან შეუცუცხლეთ განათებული სახეები გამოკრთოდნენ. ვერა შირაძის წინაშე წარსწავლა და ერთ საღამოს გიორგი ჯიშკარიანი გააჩერა დუქნებისა და გარეგნული საიდუმლოდ გაიღიმა და არაფერი უთხრა. ფარნა დარწმუნდა რომ იქ, სამხარეულო ფაცხაში რაღაც საშინელი საქმე მზადდებოდა.

* * *

— სადაც ათი და ოცი კაცია, იქ რისი უნდა მეშინოდეს! ტარასი არაფერში არ შემცდარა ჯერ; რაღა მაინცდამაინც ახლა შეცდება და დაგვლუპავს! — ფიქრობდა გიორგი და იმედინათ უსმენდა ტარასის, რომელმაც ოქტომბრის დამდეგს რამდენიმე გლეხი შეკრიბა და მოლაპარაკებას აწარმოებდა არტელის მოწყობის შესახებ.

... ნათქვამია, გლეხი და ვაჭირვება ტყულები არიანო. არტელი დააშორებს ამ ტყულებს და გლეხს ბარაქასთან დაამოძილებს. მარტოხელა, კავიანი გლეხი ბუნების სათამაშოა. თავის დღეში ვერ გაეჭყევა სიღარიბეს.

უსმენდა გიორგი და ეთანხმებოდა: — კარგი ნათქვამია, მართლაც რომ ბუნების სათამაშო ვართ. ხან გაგვადლებს, ხან დაგვამშვეს. როგორც მოესურვება.

უსმენდა გიორგი და აგონდებოდა გაზაფხულის პირველი დღეები. გვალვები იყო. საღამომით კატიწვერაზე გადმოიპარებოდნენ ღრუბლები, გაჩერდებოდნენ სოფლის თავზე და გიორგი მზიარულად გადასჭახებდა ნემოხელს.

— არ დაგვივიწყა კატიწვერამ. აქეთაც გადმოყარა ღრუბლები. ამაღამ რომ დასცხოს, ხვალ, ღმერთო შენით... მაგრამ კატისწვერას არ ახსოვდა რომ ბარის გაქვავებულ მინდვრებს დაღობა სჭიროდა. შეღამით, სწორეთ იმ დროს როცა გიორგის ტყბილათ ეძინა და სიზმარში წვიმის შუილი ესმოდა, კატისწვერადან დასტვენდა ქარი და მოასუფთავებდა ცას.

— ორი წვეთი მაინც გაეშეტებია! ლაპარაკობდა დილით გულშემოყრილი გიორგი. ზენა გვიანდებოდა. აქა-იქ გამოვიდნენ საწეშაოთ. სახნისმა პირი ვერ მოიკიდა. თოხი ისე წყრიალებდა გამამარ მიწაზე, თითქო ქვას ზედებოდა.

გიორგი ცალხარიანია. ილიკოსაც ცალი ხარი ყავდა და ისინი ერთად ხნავდნენ თავიანთ ყანებს. წელს გვალვების გამო ზენა გვიან დაიწვეს. ერთი უღელი ხარი ვერ გაწვდა ორ მეურნეს და ქიორას ზეგნები დაუთესავი დარჩათ.

... ვანა გიორგიმ არ იცის რომ გლეხის ოჯახს თოხი და ცალი ხარი ვერ დაიხსნის სიმშლის მზლოტავი ხელიდან? ვანა ის ვერ ამჩნევს რომ საჭიროა რაღაც ახალი, სხვანაირი ცხოვრების მოწყობა? მისი ბნელი და უხალისო ორმოცდაათი წელი — გვალვებთან, წყალდიდობასთან, ქიორას ველურ ნიადაგთან ბრძოლებში მოქანცული წლები, ხმას აძლევს ცხოვრების გარდაქმნას — მაგრამ როგორ?

ათიოდე კაცი ორი თვის განმავლობაში არჩევდა, ბჭობდა, კამათობდა, მაგრამ სიტყვიდან საქმეზე გადასვლას მაინც ვერ ბედავდნენ. მათ შორის დღესაც იგივე შინძილია, რაც პირველათ შეკრებიდა დროს იყო.

გიორგი ჯიშკარიანი საზეიმოთ ფიცს დებდა ყოველ კრებაზე, რომ არ უღალატებდა საერთო საქმეს, მაგრამ როცა სახლში დაბრუნდებოდა, თავის ყოველდღიურ საქმიანობას შეუდგებოდა, როცა გადახედავდა კარშიდამოს და მრავალრიცხოვან ოჯახს, მაშინვე იგრძნობდა რომ ატარდა, რომ ჯერ მისთვის ბუნდოვანია ზოგიერთი საკითხი. სახლში მას ავიწყლებოდა ტარასი ხაზარაძის საბუთები ერთობლივ ცხოვრების უპირატესობის შესახებ. მისი ფიქრები ცალმხრივით ვითარდებოდა და იწვევდა იქვეებს.

იგი ცდილობს დაწმუნდეს რომ ეს ახალი არ ემუქრება, არ შეავიწროებს მის პირად ინტერესებს. მას უნდა ყოველი საკითხი ისევე გარკვეული და ნაცნობი იყოს, როგორც ხარი, როგორც ბედელი, როგორც მისი ეხთა. როცა ამას ვერ შესძლებს, როცა პასუხს ვერ იპოვის, მაშინ იგი გულის შიგნიდან ეწინააღმდეგება კოლექტივს; დაყინებით, თითქო განგებ ჩხრეკს და ეძებს უარყოფით მხარეებს.

— უბრალო თვალთ მანც შემახედა როგორ მუშაობენ, როგორ ცხოვრობენ! ფიქრობს იგი და ვერ ბედავს იმ საქმეში ჩაბმას, რომელიც არამც თუ მას, არავის არ უნახავს სოფელში.

— რა თქმა უნდა, ერთად მუშაობამ ბარაქა იცის... და იგონებდა იმ დროს, როცა ძმებთან გაუყოფელი იყო...— ასე თუ ისე სულს მაინც შივთარველით. გავიყავით და სულ უკუღმა წავიდა ჩემი საქმე. გაყოფამ ისე დამალალატინა, გახურებულ მუშაობაში კაცს რომ ცალი ხარი გამოუხსნა უღლიდან. მამისეული დიდი სახლი ფიცარ-ფიცარ გავინაწილეთ და ზეირიანი ფაცბაც ვერ მოვლობე. ერთი ხარი მერგო. ათი გაზაფხულია ოფელი არ შემშრობია ტანზე. უღლათ მაინც ვერ გავხადე. ისევე ჩემსავით ცალხარიანებთან დავდივარ საამხანაგოთ. სხვებთან სირბილს, ძმებთან ყოფნა არ მიჩვენოდა! ერთი სისხლის და ხორცის ვართ. რაღას ვეყრებოდი?

გიორგიმ გაიხსენა, რატომ გაეყარა ძმებს: უმცროსმა ზარმაკობა დაიწყო. ძმებმა მერძილია შეარქვეს. როცა თვალს შოაშორებდენ, როგორც ცხენი თავლისკენ, მირბოდა ჩრდილში და გორაობდა.

— ჩვენი იმედი გაქვს, მიტომ გეზარება ხელის განძრევა;— ეუბნებოდა გიორგი. ამ ნიადაგზე მათ შორის უკმაყოფილება გახშირდა და ერთად ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ისინი გაიყვნენ.

— სამი ძმა ვერ მოვრიგდით; არტელში კი ათი და ოცი ოჯახი რომ ვიქნებით, მთლათ დაჯვამთ ერთმანეთს: მერძილიები აქაც განდებიან. ჩემ წილს მაინც მომცემნო, იტყვის და განზე დაიწყებს სიარულს. ესეც არ იყოს, კაცი ზარმაკია ბუნებით. უჭირს— მიტომ მუშაობს. ერთ საათში გინდა ათჯერ დაჰკრავ თოხს და გინდა ასჯერ. სელებს არ გავაჩერებ და ვინ შემატყობს ზარმაკობას! სხვისი იმედი რომ ექნება, თავს არ შეიწყუბებს. ჩვენ ხალხს კარგათ ვიცნობ. როცა მარტოა, იცის როს გარედან დასახმარებლად არავინ არ გამოუწვევს სელს. იძულებულია წილებზე დაიდგას ფეხი და ისე არჩინოს ოჯახი. საერთო საქმეში კი ლღეტვას დაიწყებს... ასეთი იქვები ხშირათ აფორიატებდა გიორგის თავს. ერთხელ კიდევ გადასწყვიტა ჩამოშორებოდა ტარასის ჯგუფს, მაგრამ მეორე დღეს



დანიშნულმა დრომ რომ მოაღწია, შინ ვერ გაძლო და სამხარეულულ ფაქტში გაჩნდა. სიღარიბე და გაჭირვება მისდაუნებურათ დევნიდა მას, რესპუბლიკის დაპყრობის ტრაქტორზე, სადაც მასსავეთ ღარიბები უკეთესი ცხოვრების მოწყობას ფიქრობდნენ. გიორგის გონება ყოველ დღე ნახულობდა რამე წინააღმდეგობას და შეუსაბამობას. რა გინდ დაჯერებული არ წამოსულიყო კრებიდან, მეორე დღეს ახალ ახალი იტყვებით შეშფოთებული თავი მიქონდა ფაქტში.

ტარასი ხაზარაძე ორი თვის განმავლობაში ებრძოდა მის იტყვებს. უმტკიცებდა რომ ზარმაცებს ტრაქტორი გამოასწორებდა:—ტრაქტორი იმისთანა ფახაფუხის მაშინაა, ორ დღეში გადმოაბრუნებს ჩვენ მიწებს. ჩრდილი თუ ტრაქტორი:—ჩვენ ასე დავსვამთ საკითხს. გლები ვერ გაეჭკევა მაშინას, არ უღალატებს თავის თავს...

გიორგის არ ენახა ტრაქტორი. ტრაქტორზე ჟურო ტარასის ჯეროდა.

— ვაგლახათ არაფერს წამოიწყებს. ერთიც ვნახოთ და ჩვენს ქალაში მართლა აფახფუხდა ის ტრაქტორი. ხომ დავიღუბე, არტელის გარეშე რომ რომ დავრჩე?—ამის შიში მკიდროთ აკავშირებდა მას ტარასის ჯგუფთან.

ხშირათ ეკამათებოდა ტარასის და უხაროდა როცა თითონ გამტყუნდებოდა. ის მაშინ ამჩნევდა თავის იტყვების უსაფუძვლობას და ემატებოდა რწმენა, მოვლენებს წინ უსწრებდა და ზოგჯერ ისეთ საკითხს წამოჭრიდა, ნათეტვარიძე სიცილით იხრჩობოდა.

— კაცო, ჯერ ერთი კაკალიც არ ჩაგვიგდია მიწაში. რა დროს ეგ არის!—უთხრა მან, როცა გიორგიმ ჭირნახულის განაწილებაზე ჩამოაგდო სიტყვა. გიორგის აზრით, ჭირნახულის განაწილება მუშახელის მიხედვით—არ გამოხატავდა ყველას ინტერესებს. ყველაში მხოლოდ თავის თავს გულისხმობდა და ამიტომ სასტიკათ ილაშქრებდა ხსენებული წესის წინააღმდეგ.

— ჩემი მაგალითი ავიღოთ. რვა სული სარჩენი მყავს. მუშახელი კი მართო ერთი ვარ. ახლა მეორე წევრიც ავიღოთ. ნათეტვარიძე, ბევრს რომ იღრიჯება. იგი ერთია, ცოლი არ აწუხებს და ბავში არ უტირის, ჭირნახული რომ მუშახელზე ვანაწილოთ, ორივე თანასწორათ მივიღებთ. ერთი კაცი ახლა ვერ ვწვდები ჩემ ოჯახს, მაშინ როგორღა დავკამყოფილებ! ნათეტვარიძეს კი ყველაფერი თავსაყარათ ექნება. სადაა თანასწორობა?! ყველამ ვიმუშაოთ და ჭირნახულიც იმის მიხედვით გავინაწილოთ, ვის ოჯახში რამდენი მკამელია.

— მაშინ არტელი კი არ უნდა დავირქვათ, ამასწინათ რომ კომუნა გავარჩიეთ—იმის წესდებაზე უნდა შევდგეთ—უთხრა ტარასი.

— კომუნა არ მინდა. ასე არ შეიძლება, რომ კომუნიდან ამოვარჩიოთ რაც კარგი წესდებაა და არტელში განვასორციელოთ?!

— არ შეიძლება, მიუგო ტარასი.

ყოველი ახალი საკითხის წამოჭრა უკვე ათასჯერ თქმულის და გადაწყვეტილის გადასინჯვას იწვევდა. ყველაფერზე ხელახლა ბჭობდნენ, ყველაფერს ხელახლა არჩევდნენ და კრებებს დასასრული არ უჩანდა.

ნოემბერში ფაქტას ჯიბუტი მარგველაძე შეემატა. რა საქმეც არ უნდა დაწყებულყო სოფელში იგი ყველგან ერეოდა; ყველაფერს გამოიკითხავდა და

მერე იმის მიხედვით მოქმედებდა, თუ რამდენათ ხედავდა მასში პირად სარგებლობას. უბრალო კრებასაც არ გამოტოვებდა. ხუთი კაცი რომ იქნებოდა, უსწრაფესად გულგრილათ ვერ აუხვევდა გვერდს.

იგი ყველაზე ადრე გაიგებდა მთავრობის ახალ დადგენილებას, კოოპერატივში ფართლის მოტანას, სესხის აღების ვადას და სხე... მეტებარივით ყნოსვით მიაგნებდა ახალი საქმის კვალს და არ მოეშვებოდა, ვიდრე არ გამოარკვევდა მის ღირებულებას. ფარნასაგან გაიგო კრებების შესახებ და მაშინვე ფაცხაში მოიბრინა.

— სახალხო საქმეს თუ აწყობთ, მე რათ გამომტოვებ!— უსაყვედურა ტარასის. იჯდა კრებებზე და ყოველ სიტყვას გულდასმით უსმენდა.

ჯიბუტის მოსვლა ყველას გაუხარდა:

— მაგარი გლეხია, მისი შემოსვლა გაამტკიცებს ჩვენ არტელს. სოფელში გავლენა აქვს და სხვებსაც აიყულებს!— ფიქრობდა ნაფეტვარიძე.

მის ციებიან სახეზე გაზაფხული გაიშალა რაც ფაცხაში დაიწყო სიარული. ძალიან უყვარდა რომ ზოგიერთები ყოყმანობდნენ.

— ტარასი!— ჭელოზინებდა ყოველ კრებაზე!— ოღონდაც ბარნაბას მომავლად და მე ვიმუშავებ ყველას მაგიერ, მე! რა გადავაჯდები ჩვენ ტრახტორს და ჩამოუჭროლებ ჭიშკართან, თვალებს დავთხრი.

ჯიბუტი ამრეზილათ უცქერდა ნაფეტვარიძის სიხარულს. აკვირდებოდა ილიკო გორდაძეს, აკვირდებოდა სარდიონ ჯიშურაშვილს, რომელსაც როცა რამეს შეეკითხებოდნენ ისე ზანტად დალუქავდა სიტყვებს, თითქოს უგემო საქმელი ელო პირში.

— მე რა ვიცი. უსწავლელი კაცი ვარ. ერთი ხარი ქე მიყიდა ფილიფე მხარაძემ. ახლა ტრახტორს თუ გამომიგზავნის, ამას რა აჯობებს! სხვა რა ვიცი: ხომ გითხარით ყველაფერზე თანახმა ვართქვა.

ჯიბუტი აკვირდებოდა ანაღაზრდა ბაქუსს, რომელიც ყოველ დღე აცხობდა რეზოლიუციებს, აკვირდებოდა ყველას და ფიქრობდა:

— რატომ არ იქნებით თანახმა, რა! მე თქვენ გეტყვით და უღლათ ხარები არ შემოიყვანოთ არტელში. თითზე დასახვევი ძიფიც არ გაგაჩნიათ სახლში. დაჯდებით ამ სხვის შემოტანილ ქონებაზე და იფარფაშებით. ასე თუა, გაეყიდი ჩემ საქონელს დე თქვენსავეთ ტიტლიკანა შემოვალ...

* *

ნაფეტვარიძე საშვერ ზედიზედ დააკლდა კრებას:

— რატომ არ მოდიხარ ოსია?— ჰკითხა ტარასიმ.

— არ მიშვებენ.

— ვინ გაკავენს კაცი!

— ვინ იქნება! ბარნაბა. თუ კიდევ არ შიშული იქ სიარულს, დავითხოვო... ორ-ცეცხლში ვარ. თქვენთანაც მინდა, სულით და გულით მინდა, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი. ამ ზამთარს მაინც ვერ მოვშორდები, კეტიც რომ დამარტყას. არტელი გაზაფხულზე დაიწყებს მუშაობას. მანამდე სად წავეიდე, ვის მივაღდე რომ დამითხოვოს.

— ბიჭო, შენ რომ ვერც მონდომებულაო გხედავდენ, სხვებსაც ეძლიოდა გული, ერთი კაი მუგუზალი რომ გამოაცალიო კერას, უშენსადაც დაგვაცლდება.

უკლებთან თავმოყრილი ნაოკები ტუჩებამდე ჩამოგრძელდა. ჩაყვითლებულმა კბილებმა ოდნავ იელვა და ნაფეტვარიძემ გაიგონა ტარასის ყრუ, უსიამოვნო სიტყვი.

— არტელი იქნება. დამიჩემებია და იქნება. მგლებს არტელი გაუმწარებს მადას. იმ კლანკებს მივაპროთ და წავეართმევთ მოჯამაგირებს. სად მიწაში ჩაძვრებიან მაშინ, სად!—თქვა ტარასიმ აუჩქარებლათქმამალლა, თითქო უნდოდა მისივე სიტყვების გაგონება.

* *

კომუჯრედი ვალმელების სლველში იყო. ტუჩა იშვიათად ესწრებოდა კრებებს. არტელის შესახებ ტარასისგან გაიგო და იწყინა.

— შე არ უნდა ვიცოდე რა ხდება ჩემ სოფელში?! არ უნდა ვიცოდე რას აკეთებ?!—უთხრა ტარასის. იგი ვერ ინტლებდა იმ გარემოებას, რომ ტარასიმ მის დაუკითხავათ დაიწყო მუშაობა.

— ჩემ ადგილზე უნდა დაჯდომა და გლებებს იმადლიერებს--ტუჩა მხოლოდ ამით ხსნიდა ტარასის მოქმედებას:—აბა რატომ წამოიწყო ამისთანა თავსატეხი საქმე! აუცილებელი რომ იყოს, მაზრა გამოგზავნიდა მოწერილობას. ჯერ არავითარი ქალაქი არ მიმიღია, ამას კი რა ახლაფორთებს აჭ, თუ ეშმაკობა არ უდევს გულში.

ტარასიმ ვაზხსენა რომ იგი ჯერ კიდევ რთველის აღებამდე ელაპარაკებოდა ტუჩას ამ საქმის შესახებ, რომ ტუჩა გულაგდებით შეხვდა მის წინადადებას და კრებაზეც არ მოვიდა.

ტუჩამ უკლებათ უპასუხა:

ისინი მაგრათ წალაპარაკებულნი დაშორდენ ერთმანეთს.

— მასთან უკმაყოფილება არ ვარგა. ღრუ კაცია, რამეს მიხინკლებს!—იფიქრა ტუჩამ და ხანდახან შემოიხედავდა ფაცხაში.

კრებები ნოემბრის ბოლომდე გაგრძელდა. ყველა გრძნობდა რომ ყველაფერი ითქვა, გაირჩა, გადაწყდა და საჭირო იყო საქმეზე გადასვლა. კვირას უკანასკნელათ უნდა შეკრებილიყვნენ პირობაზე ხელის მოსაწერათ.

* *

— ა, კაცო, ეს ატამი ჩემი ხელით დარგულია. ხუთი წელი ჩემსას იდგა; ახლა ფეხი გამოიბა და თვითონ გადახტა ამხელა ლობეზე! ატამო, რა გეწყინა ჩემგან, რომ გამეჭკივი?! აბა ვის ვკითხო, ვის! ჯიბუტის რომ ვკითხო, ჩემიაო, იძახის.

გიორგი ცოფიანივით დარბოდა მესერთან, იქნედა სარების დასაჩეხათ წამოღებულ წალდს და უცვიროდა შუამავლათ დაძახებულ კაცებს, რომლებშიც ტარასიც ერი.

— კაცო თუ ჩვენ დაგვიძახებ, გეაკალე, გავიგოთ რაშია საქმე. — წყნარებდნენ შუამავლები. საზღვარი დაათვალიერეს, მოდავე გლახეები წყნარებდნენ დაუძახეს, გამოჰკითხეს და მარგველაძესთან გადავიდნენ მოსაძახებლად ტარასი დარჩა და გიორგი წამოიყვანა.

— საქმეს ნუ გაამწვავებთ. ორივე მეზობლები არტელში შემოდინებართ. ამ ღობეს მთლათ ავშლით და შენჩემობია უნდა მოისპოს. თქვენ რომ ახლა ორი მტკაველი მიწისთვის იდამთ, სოფელი დაგვიცინებს. ნურც შუამავლებს გააცდენ ამდენი ლაპარაკით და სიარულით: — ცდილობდა ტარასი გიორგის დაჯერებას, მაგრამ იგი მაინც თავისას გაიძახოდა:

— სიცოცხლე მომიწამლა, სიცოცხლე! არ შევარჩენ. სადაც მის რამეს წავეწევი, ცოცხალს არ გაუშვებ.

შუამავლებს დაავიანდათ. ტარასი აჩქარდა.

— მაგვიანდება. გაღმა უნდა გავიდე. ხვალ აუცილებლათ მოდი. ერთბელ კიდევ შევიკრიბოთ და მოვრჩეთ! — დაუბარა წასვლის წინ.

— მოსვლით მოვალ... გააქიანურა გიორგი.

ტარასიმ კილოზე შეატყო რომ მან ყველაფერი არ თქვა — და რაც თქვა, ის არ იყო მთავარი.

— რაო, ხომ არ გადაგიტყვამს!

— არა... ეს ოხერი, მე თვითონ არ ვიცი რაღაც... გაურკვევლით ჩაილაპარაკა.

უქანასკნელ ხანში ეს რაღაც ხშირათ აშფოთებდა მას.

ეს რაღაც სწორეთ მაშინ აგვეიატა გიორგის, როცა მისთვის გარკვეული და ნათელი გახდა ყველა ის კითხვები, რომელიც დღემდე იტყებდა... დაეწყით, იქნება გვეშველოს რაზე, დაეწყით! იგი ისე გაუბედავით იმეორებდა ამ სიტყვას, თითქო არ ეთანხმებოდა მას. ეს რაღაც უბეებს უბორკავდა გიორგის. იგი მის ქოხში, ეზოში, მის ყოველ მოქმედებაში იყო, ყოველ წუთში გრძნობდა მას, მაგრამ სიტყვით ვერ გამოეთქვა და არეულათ უყურებდა ტარასის.

— რას ქვია რაღაც — ამ უბრალო, უაზრო სიტყვამ ქალარა გლეხის გულის ყველაზე ბნელ კუნჭულში ჩაახედა ტარასის — რას ქვია რაღაც — წყნარათ გაიმეორა მან და მესერზე ანიშნა: — ამ რაღაცამ იყო რომ ორი კარგი მეზობელი მოსინხლეთ გაგხადათ. ეს რაღაც ძველია, გიორგი, ძველი! ყერძო ცხოვრებას მიჩვეული ხარ და ღობიდან გადმოსვლა გეძნელება. კარგი ცხოვრება ხომ გინდა მიაფუროთხე, მიაფუროთხე იმ მამაპაპურ რაღაცას და თვალი გაახილე, ახალ გზაზე გამოდი...

— ვიცი, ვიცი! ეგ ისე, სიტყვამ მოიტანა — წაიდუღუნა მან და წალდი ნამორზე დაარჭო.

ფიქრებში წასული გიორგი ვერ ამჩნევს რომ ჩამქრალ ყალიონს აპლიკუნებს. დროგამოშვებით კბილებს შეუშვებს, გააფურთხებს და ისე მოუჭერს. კარებთან ფეხაკრეფით დადის ნოემბრის ღამე დაჯულისმოწყველლათ აკრიალებს

ფიცრებს, ქოხში ისმის ბავშვების მწველი და თანაბარი სუნთქვა. უმცროსი გოგო ძილში ტუჩებს ტლოშის, თითქო ძუძუს სწოვს. საფეხეშივე ვერღეს უჭრინავს. დაკრილულ კარადაში თავი ფხატუნობს.

გიორგი დაწყვეტილათ ფიქრობს. მის თავში ყველაფერი ერთად ირევა. არტელი, ტარასი, საზღვარი, მისი დარჯული ატამი, სიღარიბე; ფიქრებზე მიუჩვეველი თავი დაიღალა, დამძინდა და მოსვენებას ითხოვს, მაგრამ გიორგის არ უნდა ძილი.

ცოლი შეიშმუნა, გაიმართა და მისმა თბილმა, კუნთებიანმა ფეხებმა ტახტის პირზე მიახვეტა ქმარი. გიორგიმ ფეხი დაუჭირა და ფრთხილათ შეაღვიძა

— რა დაგემართა კაცო!—დაუღრინა ცოლმა.

— გაიღვიძე, გაიღვიძე! სალაპარაკო მაქვს;

— ხვალ ვერ მოესწრები! რა ჯანდაბა გავაბსენდა ამ შუალამით!

— გაიღვიძე, ფიქრებმა წამიღო...

ქმრის აღერსიანმა კილომ ცოლი გააკვირვა. ასე თბილათ, თხოვნით თავის დღეში არ მოუშართავს იგი ყოველთვის უბრძანებდა.

აღაშინის ხმაზე თავი გაისუსა. გააყურა, იატაკს ხომ არ აკრავუნებს ფრთხილი ნაბიჯი ან რაიმე საეჭვო ხმაური თუ ისმისო. პატრონები წყნარათ საუბრობენ. თავი დაშვებდა და კვლავ აამუშავა მკრედი კბილები.

— ნუ შეიწალე კაცო! პირობა კი არა, ახლო არ გაეკარო შავ უღმერთოს. დაგიბრვიყვეს ბერიკაცი. რა იცი რაზე ვაწერიებს ხელს. ტკბილი სიტყვით ჩავითრევს რამე ოხრობაში და მერე საშველს არ მოგცემს. ხატი არ დაინდო და შენ დაგინდობს! ჩვენი წუთისოფელი ასე მოეკამეთ; ახლა ამ სიბერეში ავყაროთ ფუძე! ბევრია თუ ცოტა, რაც გვაქვს, ჩვენი სახელი მაინც ქვია.

ცოლმა სულის ერთი მოთქმით გადასწყვიტა ის, რაზედაც ქმარი ორი კვირა იმტვრევდა თავს. ცოლი თანდათან გაიტაცა ლაპარაკმა და ბოლოს ისე გაკაპასდა, თითქო გადასახლებით ემუქრებოდა ვინმე. გიორგი სდუმდა. ცოლმა მისი სწიშე თანხმობათ გაიგო და უფრო გათამამდა.

— რაცხა ორ ლუკმას ვიშოვით, სხვას მაინც არ დაეკითხებით, ვაკამოთ თუ არა ბავშვებს. სხვისი საზიარო, ოქროც არ მინდა.

გიორგი ყურადღებით უსმენს. იგი გრძნობს, ცოლი მართალია ნაწილობრივ, მაგრამ ჯიუტობის ეშმაკი შეუჯდა ტანში. რაც უფრო მეტათ კაპასობს ცოლი და კდილობს გული აუგდოს არტელზე, მით უფრო მძლავრათ ეზრდება ცოლისადმი წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. მან აღრევე იცოდა რას იტყოდა ცოლი, მაგრამ სიჩუმე ვერ აიტანა. უნდოდა ლაპარაკი, უნდოდა ახლავე, ერთბაშათ ეთქვა ყველაფერი, რაც მან ორი თვის განმავლობაში გაიგო და შეითვისა. უნდოდა ეშოვა მოწინააღმდეგე... კამათი, დავა რომ ერთხელ კიდევ გამოეცადა თავისი თავი. ცოლის თავდასხმა კიდევ გაუხარდა. თავის გულში უზაკველათ დასცინოდა მას, რომელსაც მისი აზრით არტელის არაფერი არ გავებოდა და უბედობდა მხოლოდ. გიორგის უნდოდა ვინმე დაერწმუნებია მასში რაშიდაც ვერ თითონ არ იყო საბოლოოთ დარწმუნებული. ქვეშ-ქვეშ ილიმეობდა და ფიქრობდა ისეთ პასუხის მოგონებას რომ ერთის დაკერით მოესპო

ცოლი. არ უნდოდა გაგონილ აზრების განმეორება. ცდილობდა თითონვე მოეფიქრა რაღაც საშინელი და უღმობელი.

— დედაკაცო, რას ქვია სხვისი საზიარო! კერძო ცხოვრებასსამსახურული ხარ და ღობიდან ვადმოსვლა გეძნელება. კარგი ცხოვრება ხომ გინდა? მიაფურთხე, მიაფურთხე იმ მამა-პაპურ რაღაცას და თვალი გაახილე, ახალ გზაზე გამოდი.

მისდაუნებურათ გიორგიმ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, რაც ამ საღამოს ვაიგონა ტარასისგან.

— კაცო რა მითხარი ეს! ჩემ მიცვალბულ მშობლებს მივაფურთხო და ტარასიას ულოკო ფეხები!—აპილბილდა ჭალი.

გიორგიმ გამომწვევით უპასუხა და კამათი გაჩაღდა. თავის ფხაქუნა მიწადა. შეიძლება გაიჭკა, ყოველ შემთხვევაში კიდევ რომ დარჩენილიყო, ახლა ცოლქმარი ისე ხმამაღლა და არეულათ დაობდნენ, რომ ფხაქუნა კი არა, საკუთარი სიტყვებიც არ ესმოდათ.

გიორგი განგებ აკაპასებდა ცოლს. ჯერ საეჭვოთ დაუსვამდა კითხვას და როცა გახარებული ცოლი ეტყუადა—თუ ასე შე რაღათ შედავებოო,—ღმიღით მიუგებდა. ასე როდია, განგებ გითხარი, ახლავე აგისხნი—და იმეორებდა იმ საბუთებს რომლითაც უწინ ტარასი აჭობდა მის იქვებს. ფაცხაში სიარულს თავისი ნაყოფი გამოეღო. მისდა შეუმჩნეელათ გიორგი ისე მიწიღველათ და იმედინათ ლაპარაკობდა არტელზე, ერთობით შრომაზე—ეგ რომ სხვას ეთქვა, იქვენულათ გაიღიმებდა. კამათში თანდათან მოსდიოდა ახალი აზრები და ისე დაჯერებულათ უცინოდა ცოლს რომ უკანასკნელმა აღარ დაზოგა ქმარი და ყვილაზე საშინელი სიტყვა იხმარა:

— აბა რატომ აგინებდი სხვას! ნამდვილი ბალშენიკი და ურწმუნო შენ ყოფილხარ!—უთხრა და თვალებით გაანადგურა.

— ვარ, რატომაც არა ვარ, ვითომ.—მოულოდნელად დაეთანხმა გიორგი. ... ყურმა მომატყუა თუ მართლა შეიშალა!—გაუფელვა ცოლს. სახე მოეტკა და საწყლათ დაიკნავლა.

— რა თქვი კაცო, რა ვარო!

— რა და ბალშენიკი. მალე კომუნისტიც ვიქნები და ეკლესიაში მოხსენებასაც გავაკეთებ.

ცოლმა ერთი კი გადახედა სიბრაღულით და საბანში გაეხვია... ღმერთო ნუ დასჯი, ვააბრიყვეს, ჩააგონეს და რას რომაეს, თვითონვე არ ესმის, მიუტყვე...

— ამდენიხანია ასე ვშრომობ და არაფერი გამოვიდა. ახლა ის არტელიც ვსინჯოთ.—წინარად, მეგობრულად მიმართა ცოლს და თვითონაც საბანქვეშ შეძგრა.

— იქით მიიწი, ნუ მაკარებ შენ მუნიახ ფეხებს—დაუღრინა ცოლმა.

საერთო გაჭივრებამ და ახალ ცხოვრებაზე ფიქრმა, ხშირმა შეხვედრებმა და გულწრფელმა საუბრებმა ათიოდე გლეხი მჭიდროთ შეადგულა ერთმანეთს. მათ შორის ისეთი ნდობის და სიახლოვის გრძნობა გამოისკვნა, როგორც შეთქ-

მულეებში. ისინი გრძობდნენ რომ დიდს, უჩვეულო საქმეს მოჰკიდეს ხელი და სოფელში უალრესად დინჯათ ეკირათ თავი. პირობა დასდეს, რა ტყველს მოწყობაზედ სიტყვაც არ გამოეტანათ ფაცხიდან. ფარნას დაყრბაღო მხეშაქდა ის გარემოება, რომ ისინი თითქმის ყოველთვის ერთად დადიოდნენ, დიდ მითქმამოთქმის იწყებდა სოფელში, მაგრამ დაბეჯითებით არავინ არაფერი იცოდა და ბარელები დაჭიმული ელოდნენ ფაცხის საიდუმლოების გამოაშვარაგებას.

ვეირა სალამოს ყველაზე ადრე ბაქუამ მოიბრინა და შინ გამზადებულნი პირობა წაუყითხა ტარასის.

— ნამეტანი გრძელია. ცისა და ბარისას რომ წერ, მაგას ვინ გაიგებს! ყველა მოვა და ერთად შევადგინოთ;—დაუწუნა ტარასიმ.

ზოცუნცულდა სარდიონ ჯიმშერაშვილი. ტანათ მჩატეა, სიტყვის დაძვრა კი ისე ენელება, როგორც იმის წარმოდგენა თუ როგორია ტრაქტორი და ყოველ დღე ეცითება ტარასის—ავტომობილს რით გაესო...

მოვიდა ჯიშვარიანი და მთელი ფაცხა აიკლო ატამზე წუწუნით და ჩივილით. ვენახიდან ჩუმად შემოიპარა ილიკო. მოვიდნენ სხვებიც. ყველაზე გვიან ტუჩამ და ჯიბუტიმ შემოაღეს ტიშვარი.

დალაგდნენ. ჯიბუტიც დაჯდა მაგრამ როცა ბაქუა საწერათ მოემზადა, მაშინვე წამოიღვა, უკანასკნელათ კიდევ გადახედა ილიკოს, სარდიონას, სხვებს რომლებსაც თითზე გადასახვევი ძაფიც არ გააჩნდათ სახლში და...

— ტარასი, ერთწამს—პატარა საქმე მიქვს,—გარეთ გავიდა. ტარასი გააყვი-

— რა უნდა მეთქვა,—დაიწყო არეულათ.—მაგალითად არ შეიძლება, ჩვენ რომ ცოტა შეძლებული გლებები ვართ, ჩვენთვის ცალკე შევადგინოთ არტელი! ტრაქტორს მოგვცემენ?

— სადაა ამდენი ტრაქტორი! ჩვენგან რატომ მიდიხარ?

— არა... ეგ ისე, სიტყვაზე გითხარი,—გააწყვეტინა ჯიბუტიმ.—მიტომ განოგინებ. ამ წუთში ბიჭმა მოიბრინა გალმიდან. ჩემი ძმა უკანასკნელ დღეში ყოფილა. უნდა გაეიქცე. დიდათ მეხათრება შენი, მაგრამ დარჩენა არ შემიძლია. რაც არ უნდა იყოს ძმა და ხომ გაგიგონია, ძმა მისთვის—შავი დღისთვის! სხვანაირად ნუ გაიგებ.

ჯიბუტი საცოდავით მოიკრუნხა. ტარასი გრძობდა რომ იგი წვალდებოდა წასთან ლაპარაკით, დგომით, სიახლოვით... გაიძვერა, იმდენი კაცობაც არა აქვს, მართალი თქვას, ყალბაბანდობს. ვინ აძალბებს!—ერთის წამით იგი ისე შედაგდა რომ უნდოდა უკადრისი სიტყვა ესროლა. წუთიერი გრძობა დაინორჩილა და რბილათ გამოეთხოვა.

ფაცხაში რომ შებრუნდა, სახე რვა წველიმა თვალმა გაუხვრიტა:

ნიღბედავით იმისა რომ ჯიბუტის წასვლას შეიძლებოდა ცუდი ვაგუნა მოეხდინა ამზანაგებზე, ტარასიმ არ გაიმეორა სიცრუე, რომელიც ჯიბუტიმ მოიმჩინა და ხელი ჩაიქნია მხოლოთ.

— წავიდა.

— მაგას რა უკირს, რატომ მოიცილდა!—ამოიოხრა ჯიშვარიანმა.

— წავიდეს. მალე შემოგვეხვეწება, მიმიღეთო. წამოიქცა და არავინ გამოეხანურა. ყველანი მძიმეთ და უხერხულათ სდუმდნენ. **განმარტობა**

— რალას უცდით! დაეწყით!—ტარასიმ ლაპარაკი დაიწყო.—თითოულ მათგანს ასჯერ გაეგონა რასაც ახლა ლაპარაკობდა, მაგრამ ტარასი გრძნობდა რომ ამ წუთში საჭირო იყო გამამხნეებელი სიტყვა. თუ გინდ უბრალო ხმაურიც, რომ დარღვეულიყო ეს მშლოტავი დუმილი და კრება განეგრძობო. მის შემდეგ ყველა ალაპარაკდა, ერთად, არეულად, ყოველი მათგანი ცდილობდა ადრე დაეტკლა ბოლმა და ეგინებია ჯიბუტი. თანდათან საქმიან კილოზე გადავიდნენ და პირობის შედგენა დაიწყეს. ყოველ სიტყვას, აზრს შენიშვნას გულდასმით უყვირდებოდნენ, სინჯავდნენ, თითქო ხარებს ყიდულობდნენ. ბაქუამ რვეულიდან ხუთჯერ ამოხია ფურცელი, ხუთჯერ გაავსო და ხუთჯერვე დაახვეიეს. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ—შეთანხმდნენ და ბაქუამ სწრაფად გადაათეთრა პირობა. ხელშეორეთ წაიკითხა.

პირველი მუხლი: ჩვენ ქვემოზე ამისა ხელის მომწერნი ვაარსებთ არტელს „კომუნიზმის საშეფოს“ და ფიცსა ედებთ რომ თუ რომელიმემ გვიღალატა, მოლაღატეს გამოეცხადოს ბოიკოტი ჩამოერთვას ქონება, გაირიცხოს არტელიდან.

მუხლი მეორე: ვინც იმმოღალატეს გამარჯობა უთხრას, კაცობა შეურაცხეს.

მუხლი მესამე. თუ ვინცობაა ჩვენ არტელში მერდილიები გაჩნდნენ, მიეცეს პირველად გაფრთხილება, მეორეთ—კედლის გახეთში დაიხატოს კომიქურათ (ეს წინადადება ბაქუამ შემოიტანა და ყველას მოეწონა) და თუ ამის შემდეგ არ გამოსწორდება, გაირიცხოს.

მუხლი მეოთხე: ტრაქტორის ჩამოყვანა დავეალოს ამხანაგ ტარასი ბაზარაძეს და იგივე იქმნას არჩეული ჩვენი არტელის თავმჯდომარეთ.

მუხლი მეხუთე: გაუმარჯოს ჩვენ არტელს და კომუნიზმს.

დიდი უთანხმოება გამოიწვია გიორგი ჯიშკარიანის წინადადებაში.

... ვინაიდან ჩვენ არტელში ღარიბები ბლომათაა, ხარები კი ნაკლებია, ამიტომ ეთხოვოს მთავრობას ნება დაგვართოს რომ არტელში შემოვიყვანოთ ერთი კულაკი.

გიორგის მხარი დაუჭირა ტუჩამ. კეკელი და მუყათი გლეხი ტულაში უშეფრიძე ყოყმანობდა. დანარჩენები წინააღმდეგ წავიდნენ. ტარასიმ საფუტელიანათ გადმოუღავა გიორგის თუ რატომ არ შეიძლებოდა კულაკის დაშვება არტელში.

გიორგი შეესიტყვა.

— ასე ხომ შეიძლება, — შემოვიტყუოთ; მერე უშაროთ რამე, გაგრიცხოთ და ქონება ჩვენ დაეიტოვოთ. მტერია და ჩვენც უმტროთ!

— სწორად რომ ვთქვათ, ჩვენ სოფელში არც ქება ნამდვილი კულაკი ყველა გავაღარბეთ და საიდან იქნება... ლაპარაკობდა ტუჩა:

— ასე იცის კულაკების სუფრანზე თამადაობამ. აუცილებლათ, ბიუროზე უნდა გამოვიძახოთ—ფიქრობდა ტარასი და მშვიდობიანათ ცდილობდა ტუჩას დარწმუნებას, მაგრამ იგი უფრო მომძლავრდა.

— ყველაზე არ ვამბობ. ვინც უფრო შეგნებულა, ის შეგარჩიოთ. ბარნაბას მოქმედება ფრიად მოსაწონია. ჩვენ აღშენებლობას ძალიან ეხმარება ხუთი თუ-მანი კლუბს შემოსწირა. — გუშინ შაბათა, სამკითხველოს მე გაქვთ წერილებსო, იმისთანა გავლენიანმა კაცმა რომ არტელში მოსვლა იკადროს, ვის რა ექნება საწინააღმდეგო! თუ რამე მოიტანს, თორემ თქვენსას არაფერს წაიღებს!

ახლა უკვე ველარ მოითმინა ტარასიმ და ცუცხლი გამოკვესა თვალებით.

— ეგებ შიტომ გალარბდენ რომ ყოველდღე შენ გაპტივებენ ვახშათ. შენ რომ ბარნაბა ერთი ვერსიდან მოგიხდის ქუდს და ანგელოსივით გაგიცი-ნებს, შიტომ ზომ არ უძახი შეგნებულს...

ტუჩამ წარბები აქაჩა და ხელი შეაქნია, მაგრამ ტარასის მტკიცე და მბრძანებელმა კილომ შეაჩერა.

— რატომ ილიკოს არ პატივებენ! რატომ სარდიონას არ ეუბნებიან გა-მარჯობას! გიორგი ჯიშკარიანო, ვის მიუყვანე შენი გოკები სარკებელში. იყო თუ არა მანეთზე ათი შაურის ანგარიში. პა ივანე, რამდენი წელიწადი კრუსუ-ნობდი ვიგო ხინთიბიძის ყანაში?

— იმდენი წელიწადი შენ გაიხარე ტარასი...

მკაცრით, აუღელვებლათ მოყავდა მაგალითები. მისი სიტყვები მათრახივით სტვენდა ტუჩას ამრეზილ სახეზე. უცბათ თითქო რაღაც გაახსენდაო, შედგა და წყრომით გადახედა აშხანაგებს.

— შე რათ მალაპარაკებთ! განა თქვენ არ იცით, ვისი ოფლით გასუქდენ, ვის ამარბენ ტყავს?! ხუთი თუმანი შემოსწირაო—ის ხუთი თუმანი ცხვრის ქურქია მგლის ტანზე. ამით უნდა ჩვენიანათ მოგვაჩვენოს თავი და შემოგვეპა-როს; ხუთ თუმანში ხუთ წყება კანს აგვაცლის ზურგზე. ორმაგათ აინაზლაუ-რებს. სადაა ნაფეტვარიძე, რატომ არ არის ახლა ჩვენთან!?

— აქა ვარ, აქ!—

ფართოდ გამოღებულმა კარმა სიცივე მიახვეტა ფაცხაში მყოფ მამაკაცებს და ქრაჭი ჩააჭრო. ზღურბლზე ნაფეტვარიძე ქოშინებდა.

— როგორ, საიდან!— ერთხმათ შესძახეს. ვილამაც ქრაქს მოუკიდა და კა-რი მოხურა.

— დამითხოვა მეგ სულსაღღმა! გაზაფხული და ზაფხული ჩემ კისერზე გა-დაიტანა. რთველი მომათავებია და ახლა დამითხოვა. აწი სამუშაოც კოტა მეტ-ნებოდა და გარიგების თანახმად ჯამაგირიც უნდა მოემატებია. შეიდ მანეთად ახლო არ ვაგეკარებოდი რომ შემოდგომიდან მომაცტებას არ დამპირებოდა. მო-მატყუა. სწორეთ ახლა ამიტება შარი და გამაგდო. ასე უნამუსოთ მტერს არ მოექცევა კაცი. ცუცხლს გაუჩენ, ცუცხლს და საციმბიროთ გავიხდი საქმეს. მა-გის სახლზე თუ ხელი არ მოვითბე, ისე არ დავდგები; ენახოთ!

გამხდარ, ციებიან სახეს შთლად დაჰკარგოდა ფერი. ცუცხლით შეფუფქულ ბოკონს ვავდა.

უკანასკნელ წლებში ბარნაბამ წესათ შემოიღო შემოდგომიდან მოჯამაგი-რის დათხოვა.

მუშა-ბელის დღიურათ დაქირავება შედარებით ძვირათ უჯდებოდა. ამიტომ კაცს გაზაფხულზე აიყვანდა ერთი წლის ვადით. რთველს მართებებს შემდეგ, გამოუძებნიდა რაიმე მიზეზს და მოიშორებდა.

... სულელი ხომ არ ვარ ზამთარში ვარჩინო და ჯამაგირიკ გაუდიდო — ფიქრობდა ის და საშველს არ აძლევდა ნაფეტვარიძეს. ყოველ წუთს მიზეზიანობდა, კირვეულობდა და ყველაფერი პირუტულმა ეჩვენებოდა.

— სხვა რაღა გინდათ — ლელავდა ნაფეტვარიძე — გუშინ ბელლიდან სიმინდი ჩამოშქონდა ვოდროთ. კიბე ჩამიტყდა და კინალამ კისერი მოვითებე. დამადგა თავზე და ლმერთი ამაცალა. ყველაფერს განგებ მიმტერეო. ხმაც არ დამიძრავს. სხვა რომ ვერაფერი მომიხერხა, ამ საღამოს ტახის დახრჩობა დამაბრალა. წუხელ მე და იულომ ერთად დავადევით ულელი. დილით ფეხებგაფშეკილი ვნახეთ ბოსტანში. ალბათ ღობეში რომ ძვრებოდა, ულელი დავიწროვდა და მოგუდა — განგებ შეაბი ვიწროთ, ჩემი დაქცევა გინდაო. ამიკრა ბარგი...

— შეგნებული კულაკია, მივიღოთ, რას იტყვი გიორგი? — გაიცინა ტარასიმ და ტუჩას გადახედა.

— ბარნაბა არ მყოლია სახეში. მე საერთოთ ვიკითხე, თუ შეიძლებათქო.

— არც ერთი არ გვინდა, არა — მოუჭრა უშვერიძემ. — კუზიანს მხოლოდ საშირე გაასწორებს.

— შე გაეასწორებ, — ოსიამ მუშტი მოუღერა კარებს.

ბარნაბას მოქმედება არაეისტევის არ იყო მოზღოლდენლი: ამაზე მშარეკ ეგვიანთ მისგან, მაგრამ ახლა როცა არტელზე, მომავალზე, ახალ ცხოვრებაზე ლაპარაკის გაფლენის ქვეშ იყვნენ, ასჯერ განცდილმა და გაგონილმა ამბაემა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა; თითქო პირველად დაინახეს ბარნაბას მახინჯი და ვაუტანელი სახე.

— არ გვინდა კულაკი, უმისოთაც გავძლებთ!

— გაგვიძებ ტარასი, დედას უტირებთ ყველას — ახმაურდა ფაცხა.

— დაგვიანდა, პირობა მოვითავოთ. შენ საქმეს კი ხვალ გამოვარკვევ. იმისთანა დღეს დაეაყენებ, ტახი კი არა, თავიკ დაავიწყდეს. — თქვა ტუჩამ გაუბედავთ, თითქო თავის გულწრფელობაში თვითონვე ეპარებოდა იჭვი. ყოველი კაცის გამოხედვაში დაცინვა და უნდობლობა ერეებოდა. უნდოდა მალე მოშორებოდა აქაურობას. კრების დატოვება ვერ ვაბედა: — მე რომ წაფიდე ესენი აქ ჩემ გინებაში გაათევენ ღამეს! — ეშინოდა მას და მოუთიენლად ელოდა კრების დაშლას.

— ნუ გეშინია ოსია, სიმშლით არ მოგკლავთ, დიწყნარდი — ტარასი მიუბრუნდა ნაფეტვარიძეს, რომელიც ლაღართან მოიკეცა და მესამეჯერ ყვებოდა ტახის დახრჩობის ამბავს:

— განვაგრძოთ ამხანაგებო! ვის აქვს სათქმელი.

— არავის!

— გვეყო რაც ვილაპარაკეთ!

— აბა ბაჭუა, ერთი ამ ტახის ჯალათსაც წაუყითხე ქალაქიდან და ხელიც მოვაწეროთ.

ნკირე ხნის შემდეგ ტარასი მიუჯდა უზურგო სკამს. ბაჭუამ კრაქი მიუნათა—და შეფი ჩუმი სიხარულით დაყურებდა ტარასის ხელს, რომელსაც რვეულის ფურცელზე მონდომებით გამოჰყავდა თავის გვარი—პირველად თავის სიცოცხლეში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.



განათილის წიგნი

გაგრძელება *)

XVII

მ. რ. საშხაძე

მატარებელი კიაყელასავით მიცოცავდა აზერბეიჯანის ტრამაილზე.
უკან დარჩა: შამქორი, ქარი, ნამქერი, გაწირული მკვდრები და სისალის
ღვარი.

შამქორის ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა ტფილისისკენ მიმავალ მგზა-
ვრებზე, მაგრამ ყველაზე ერთნაირი კი არაა!

კორნელის მოქონდა შამქორს დადენილ სისხლის ღვარიდან სასოწარკვე-
თა. გუნება გაუცუდდა და საშინელი სიზმრები სტანჯავდნენ. სიზმარში მხედვე-
და ყელგამოჭრილ, თვალდათხრილ და დასახიჩრებულ კაცთა გვაგებებს. ერთად-
ერთი ნათელი წერტილი იყო მოგონება ნინოზე.

სანდრო არავითარ სინიდიისს ქენჯნას არ განიცდიდა. იგი მოუთმუნლად
ელოდა ტფილისში ჩასვლისთანავე დეტრაბახნა ომში მიღებულ მონაწილეობით.

სამედრო სამსახურში და ომში წარუშლელი დადი დაიწინა კორნელის
სულიერ წყობას: კორნელი პირისპირ შეხედა მასებს, პიროვნულ—ვიწრო ნაკლ-
ქიდან ნიგვზის კაქარივით გამოვარდა, აბრეშუმის ქვის მიერ მოქსოვილ პარ-
კიდან პატარა პეპელივით გამოფრინდა, მაგრამ ამ დიდმა ქვეყანამ დააფრთხო
და შამქორის ცეცხლმა ფრთები შეუტრუსა. ამდენხანს ისტორიული ამბები
და ომები კორნელის მეფეთა და გმირთა კიდილათ მიაჩნდა. გოლიათი
მხედარის, გმირის და მეფის გვერდით ხალხი, ჯარისკაცი პატარა ტიკინებს
უფრო ემსგავსებოდნენ. ასეთი გეზით მუშაობდა მანამდე ისტორიკოსი, მხატვა-
რი და მწერალიც. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ კორნელი უმაღლეს სასწავ-
ლებელში შევიდა, მაგრამ აქაც სათვალეზიანი, მოხუცი პროფესორი დაუბედა
და ისიც ზემოაღნიშნული გაგებით აშუქებდა ისტორიულ ფაქტებს.

სულ სხვაა ვანო მახათაძე! იგი სამი წლით სჯობნის კორნელის და ეარ-
გად ახსოვს თვითმპყრობელობასთან ხალხის ბრძოლა, 1905 წელი, გაფიცული
მამა და მუშები. ვანო სამოქალაქო სასწავლებელში ყოფნის დროიდანვე იწყებს
მუშაობას სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. მისი მოხუცი მამა მუშაა,
დასახიჩრებულთა ორთითა ხელით ჰყრის და აწყობს კალაპოტში ასოებს. წელ-
ზედ ფეხს იდგამს, მაგრამ მაშინდელი ჯამაგირი რა საარსებო წყაროს მისცემ-
და? ვანოს გარდა მას კიდევ ოთხი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავს. რა ქნას? რით

*) იხილეთ „მნათობი“ № 12—1980 წ.

გამოკვების ცოლშვილი? ქალაქს გარედ, იორის ქუჩის პატარა მოსახლეობის ცოლშვილი შემოსხდომია. ცეცხლის შუქზე ვანო ჭკითხულობს მარქსისტულ ლიტერატურას და მშიერსავით ყლაპავს წიგნის ფურცლებს. ვანომ კარგად იცის ესლა საზოგადოებრივი განვითარების კანონები, მაგრამ არსებული საზოგადოება საშუალებას არ აძლევს დაამთავროს სკოლა. გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის მამას სტამბიდან ითხოვენ. იწყება სიმშვილ-წყურვილი და გაჭირვება. მდიდართა მიმართ ვანო ბავშვობიდანვე საშინელის ზიზღითა და შურით იმსჯელებდა. უსახსრობის გამო მალე სკოლას თავს ანებებს, სასულე ორკესტრში შედის, კლორენტზე უკრავს, ცოტაოდენ თანხას აგროვებს და თანაც სიმწიფის მოწივების მისაღებად ემზადება. მიზანსაც აღწევს, მაგრამ ამავე დროს იძულებული ხდება მოიხადოს სამხედრო ბეგარა. მის სუსტ ფილტვებს სამხედრო ექიმები არ აქეყვენ ყურადღებას. 1916 წელს ვანოს რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო სკოლაში გადააქვს თვითბურთობის წინააღმდეგ მიმართული მუშაობა. ორიოდე თვის შემდეგ ახლად გამოცხვარ პრაპორშჩიკს, ოფიცერს ვანო მახათაძეს აგზავნიან დასავლეთ ფრონტზე. მისი თაოსნობით ერთ-ერთ პოლკში ეწყობა ფარული მუშაობა. ამ ხნობით იგი უკვე მომზადებული და საქმიან შეგნებული ბოლშევიკია.

იმპერიალისტური ომსა და კაპიტალისტური ქვეყნების შტაყებლობას ფარდა აებდა. ეს ფარდის ახდა და ყველაზე ძლიერი პროტესტი ეკუთვნოდა ლენინს. იგი ყველაზე უფრო საჭირო, საყვარელ და გენიოს პიროვნებათ მიიჩნია ვანო მახათაძემაც. ლენინი და რევოლუცია, ლენინი და კომუნისმი მისთვის სინონიმად იქცა. ვანო ტრიალებდა რევოლუციის ქარცეცხლში, უშუალო მონაწილეობას იღებდა ზამთრის სასახლის აღებაში პიტერის მუშებთან, მეზღვაურებთან და ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებთან ერთად. იგი გახდა მოწივე ადამიანთა გულის იმედებით აღვსებისა, სამოქალაქო ომის დროს ამხანაგებთან ერთად გამარჯვების სიბარული უგრძნია და ბრძოლაში დაღუპულთათვის გლოვა განუცდიდა. ესმოდა მასების აღტკინება, რომელთაც სურდათ შემოეხსნათ დედაქალაქისთვის მონობის ბორკილები და რკინის სალტები! აჟი, ასეც ჰხატავდნენ მაშინდელ პლაკატებს: მუშა ამსხვრევს დედაქალაქის გარშემო შემორტყმულ ბორკილებს ჩაქუჩით; შიშველ მკლავებზე მოსწანან ფოლადივით მაგარი კუნთები და თოკივით დაზიდული ძარღვები!

რევოლუციამ ჩაუნერგა ვანოს გულში ენტუზიაზმი, ძალღონე და ბრძოლის სურვილი, მაგრამ ამ წყვეულ შამქორიდან ესლა მიაქვს მოგონება დაღუპულ ამხანაგებზე, რომელიც გახურებული შანთივით ეხება მის გულს: „საბრალე ბორის ბელაგორსკი და პეტია ლაპატინი!—პეტია ლაპატინი თუ პეტო ნატროშვილი? ჰტიჭობდა ვანო—ისინი იყვნენ თავისუფლების მოტრფაელ მებრძოლები! აზნაგებო, თქვენნი სახე, თავგანწირვა, მისწრაფება და წმინდა ზრახვები წინ გაგვიძღვება ჩვენ სიკვდილამდე“.

ასეთ ფიქრებში იყო გართული ვანო მახათაძე და მკერდის ჯიბით მოქონდა კრუგლოვის მიერ პეტია ლაპატინის დედის, მარინესადმი მიწერილი ბარათი.

საქართველო
საზოგადოებრივი

მატარებელი უახლოვდება ტფილისს.

სწორ მიმდგომებსა და ველზე გორაკებმა ტალღასავით გადაიბრინეს. კორნელიმ დაინახა ბრამი, ოღრო-ოღრო ადგილები, ამოზორცილი მიდამო და ერთმანეთზე მიყრილი მთები.

მე-303 ვერსზე დარჩნენ უკანასკნელი ეშელონები...

მატარებელი უახლოვდებოდა წელის ზღავენით ტფილისის მთებს.

უცნაურად ევლინებოდნენ კორნელის მთები: პრეისტორიულ ცხოველთა მსგავსად—გველეშაპისა და იხტიოზავრის უზარმაზარ ჩონჩხივით განარაობულან დედამიწაზე. ჯერ გამოჩნდა რიკივით გრძელი მისი კუდი, ერთმანეთზე მიყრილი პატარა მალეები და მოჩრები. შემდეგ კუდი გამსხვილდა, გაიზარდა, გათავდა და გველეშაპმა კორნელის თითქოს გაეა უჩვენა, ბოლოს კი—გოლიათი, რუხი ტანიც. მამადავითი მისი კუზიანი ზურგის ხერხემალია, დაღარული გვერდები კი—უზორცო ნეკნები. ნეკნებს შორის გაჩენილან შავი თხრილები, ხევეები და ნაპრალები. მთას თავზე დაჰყარნატალებდნენ ყვავთა და ყორანთა სეაენი.

გამოჩნდა კრწახისი, ორთაქალა, ძველი ტფილისი.

ღრუბლის ცივ დოღბანდში გაბვეული მზის მღვრიე, სუსხიანი თვალი ჩაკიდა ქედების მიღმა და მოვარდისფრო ცას აეტუნუნე ჩალამებული მთები.

კორნელი, სანდრო და ვანო მახათაძე ჩამოვიდნენ ტფილისში 13 იანვარს ღამით, დიდის ვაივაგლახის შემდეგ.

ორთქლმავალმა ძლავს მიიტანა სადგურამდე ჩონოდეები; სუნთქვა შესწყვიტა—თითქოს სული აღმოხდაო და საუკუნოდ განისვენა ღიანდაგზე რვეოლუციის შემდეგ უპატრონოთ მიტოვებულ უამრავ ჩონოდეებსა და ორთქლმავალის გვერდით.

სადგურის ბაქანი თითქმის ცარიელი იყო, დარბაზი კი დეზერტირებითა და ნაძირალებით სავსე. ეს ადგილი მათი დეპეშათა სააგენტოა, კლუბი და გაცივებული სხეულის გასათბობი ბინაც. უსაქმო ხალხი სწყევდა თუთუნს, ლაყბობდა და ყუაყუნებდა პოლიტიკისა და შამქორის შესახებ. კორნელის და სანდროს ნაცნობები შეეყარნენ. ქუჩის საღაზანებმა შამქორის გასტრალიორებს წრე შემოაგლეს. ვანო მახათაძე გაქრა სადგურზე ჩამოსვლისთანავე. ინტერვიუს შემდეგ არტილერისტები ცხელი ჩაით შეხურდნენ და ქალაქში გავიდნენ.

ქალაქში არ მუშაობდა არც ერთი ეტლი და ტრამვაი. თოფით, ხმალით, რევოლვერით, მაზარით და ჩანთით დატვირთულმა გასტროლიორებმა ქვეითად გასწიეს შინ. ირგვლივ გამეფებული იყო ბნელეთი, სიჩუმე და მუუდროება. ეს გარემოება ძალზე უკვირდათ ომიდან მოსულთ. თოფ-ზარბაზნების გრიალის შემდეგ ქვეყანა ისედაც დაყრუებული ჰკონია ადამიანს და ეხლა ეს მკედარი ქალაქი და შორეული მთების მუუდროება უფრო ამაფრებს მას, სანთელი ბეჭტავდა აქა-იქ, მაგრამ პლუხანოვის გამზირზე, საშხედრო სასწავლებელთან კორნელიმ და სანდრომ ჯარისკაცები დაინახეს. ალაყაფის კარებთან იდგა გუნდი და იმღეროდა. ისმოდა გურული კრიმანტული და სიცილ-ხარხარი (გურულების

ცხოველმყოფელობა, დაუცხრომელი და მჭეთარე ბუნება მთელ სამართლებრივ კოდექსში (გურულების კრიმინალური ოქსამურის და ბნელეთის კრიმინალური კოდექსის) კი აღიქვამდა მკვდარ ქალაქის და ჩაბნელებულ მთების მყუდროებას.

კორნელი უკეთეს გუნებაზე დადგა. სასტუმრო „ნოე“-ს რესტორანში, სადაც ასე უყვარდა ჭეიფი შტამ-როტმისტრს აფხაზავის ცხოვრება ჩვეულებისამებრ მიმდინარეობდა: ვრიალებდა ისევ ორკესტრი და როიალზე დამკვრელი გოგონა კეტიც ახალ საყვარელს გაიჩინს (თუ უკვე გაჩენილი არ ჰყავს?) ასეა მოწყობილი ეს ქვეყანა:

„რა ვარჯიშან თვისი ყვაილი გააბნოს დაამკვნაროსა,
იგი წაეა და სხეა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

კორნელი და სანდრო ვერის ხიდზე გავიდნენ. ქარი ჰკიოდა და ზუზუნებდა ტელეგრაფის მავთულუბში ავსულთა მანგებს. მავთულუბმა შეასრულეს თავისი გამყიდველი მოვალეობა ეშელონების წინაშე. ეხლა ალბათ საფრთხობელასავით ხელგაწვდილი სვეტები ბოროტი კივილით გასძახიან ერთმანეთს ახალ უბედურებას. ქალაქში, მტკვარში და ხევებში შავი და ბნელი ღამე ჩაწოლილა. კორნელი შეჩერდა.

— არა სჩანს ფიქრის გორა, საბურთალო და ჩვენი ბრიგადის ყაზარმები!—უთხრა მას სანდრომ. კორნელმა გააზნა ხიდიდან მტკვარს. მდინარეში იცქირებოდნენ აქა-იქ, ბურუსში ვაბვეული, ბრმა სანაპირო სანთლები ეშმა და აღის საბედისწერო თვალისით. ვერის პარკისკენ წავიდა ოთხი შეიარაღებული ჯარისკაცი. ისინი მალე ჩაყალბა ღამის წყვდიადმა.

— შაქრო ვერელისა და კოლკა ჩერნას ბიჭები თუ არიან?!—სთქვა სანდრომ.

— ეაი იმ მგზავრის ბრალი ვინც ამ გზით გაივლის?—უპასუხა კორნელმა. არტილერისტებმა გაიარეს ვერის დაღმართი და შეშის მოედნიდან, მალაღი კიბით ყორღანოვის ქუჩაზე ავიდნენ. ბარგი-ბარხანა: თოფი, ჩანთები მოიხსნეს და ყორეზე ჩამოსხდნენ.

— შიძიეა ეს ობერი!—სთქვა კორნელმა. ოფლი ღვარღვარად ჩამოსდიოდა. სანდრომ თუთუნე გააწყო. კორნელი გასცქეროდა უსინათლო და ჩალამებულ ქალაქს:

— რა სიწმიეა და მყუდროება?—უკვირდა ომიდან მოსულ არტილერისტს. მაგრამ ეს იყო მყუდროება ქარიშხლის წინ! ნაშუალამეეს ასტყდებოდა თოვების ქექა-ქუბილი: თითქოს ქუჩებზე სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართაო და მხოლოდ ვარიერათისას შესწყდებოდა თოვის სროლა და ბრბოების თარეში. დილით: ისევ რიგები მალაზიებთან, სურსათ-სანოვავის უქონლობა, სიმშლი-წყურვილი, ხალხის დაუსრულებელი წამება, ჯახირი და ასე დაღამებამდე, ხოლო დაღამებისთანავე ქალაქი რჩებოდა სრულიად ცარიელი და უსინათლო. არ მუშობდნენ დაწესებულებანი, თეატრები, კინო. ჰყეტავდნენ მალაზიებს და დარაბებს—თითქოს ტფილისი მონღოლებმა და არაბებმა დაარბიესო.

კორნელი გასცქეროდა ყორღანოვის ქუჩიდან ასეთ მკვდარ ქალაქს. სანდრო სწორედ ამ ყორღანოვის ქუჩაზე, ქვრივი ქალის ანნა ერისთავის ბინაზე

სახეობადა. ეს ყორე კორნელის და სანდროს საყვარელი ადგილია. ზმირად იყრიდნენ აქ თავს: კორნელი, სანდრო, გრიგოლ მეგრელი, მკვლევარი მელიქი და სხვანი. იყო თუთუნის წიგვა, კამათი, ლაზლანდარობა, საცხადებელი მშობლები კი ზვიტრობდნენ: ქალაქში შეიღებები გვეზრდებიანო! უწმაწურ ქუჩურ სიტყვებისა, ზაირობისა და ლაყბობის შემდეგ გრიგოლი ერთბაშად მოიწყენდა, ყორეზე გულაღმა დაწვებოდა და დაუწყებდა ცქერას ვარსკვლავებით მოკედელ ცას. ირგვლივ ისმოდა ამხანაგების ლაპარაკი, სიცილ-ხარხარი, მაგრამ გრიგოლი მას ეხლა ყურს არ ათხოვებდა: საკუთარ სამყაროში გადასული ყმაწვილი ბუტ-ბუტებდა ოსკარ უაღლის, არტურ რემბოს, ბოდლერის ლექსებს და მისი თვალები ბრწყინავდნენ ცაზედ ანთებულ ვარსკვლავებით. იგი იყო უცნაური და უთვისტომო ყმა. ამ ბოლო დროს ხელი მიჰყო ლათობას და ქუჩის ქალებს. უზინაობის გამო ღამეს ხან ქალაქის ბაღში და ხანაც სასაფლაოზე ათევს. მაგრამ ეს არ მოუწონა მეგობარმა პეტრე ცხომელიძემ და თავის ოთახში გადააბარგა. ამ დღიდან პეტრეს ოთახი საშინელ სანახაობას წარმოადგენდა: თითქოს დაარბიესო. იატაკზე ეყარა ქალაღი, გაშლილი წიგნები, პაპიროსის ნაწმყარი. ლოგინი იყო დაულაგებელი, მაგიდაზე წიგნები, რვეულები, პური და ლეინის ბოთლები ერთმანეთში არეული. ყოველივე ეს აშკარად გამოხატავდა გრიგოლ მეგრელიშვილის აფორიაქებულ სულსა და დაუდუღებელ ბუნების კიდილსა და შფოთს. შემოქმედების პირველი ერთნატილი უკვე ნაცნობი იყო მისთვის. სასულიერო სემინარიაში მოსწავლე ამხანაგმა ლეო ქორიძემ ერთხელ მას სახარება და ბიბლია ათხოვა. იგი წაასვე პოულობს ბიბლიაში საინტერესო ჰიუფეტს და აქვე პეტრე ცხომელიძის, კორნელის, სანდროს და კუკურის თანადასწრებით სწერს პოემას: „გალაათიდე“, რომლის შინაარსი შემდეგია: ურიასტანის მხედართმთავარი გამარჯვებული ბრუნდება ბრძოლის ველიდან და თანახმად თავისი აღთქმისა უნდა შესწიროს ღმერთს—იელოვას ის, ვინც პირველი დაუჭვდება მას ქალაქის კარიბჭეებთან. ეს არის მისი უმშვენიერესი და ჯერ კიდევ კდემამოსილი ასული. სამი საათის შემდეგ გრიგოლი უკითხავს პოემას ამხანაგებს და განცვიფრებაში მოჰყავს ისინი.

ასეთივე ძლიერი იყო დედის გარდაცვალების გამო დაწერილი მისი ლექსი. ამ ლექსში აღწერილია ღამე; ღრუბლები მიჰქრიან ცაზე და ხანდახან თუ გამოაჩენენ სისხლში გაღვარულ მთვარეს; უბერავს ქარი; ალვის ხეები შიშით ცახცახებენ; შორს გაჰკივის ჭოტი და ოთახში კედება დედა. სურათები ამ ლექსში ბაირონის ზეგავლენით არიან დაწერილნი, განსაკუთრებით „ჩაღდ პაროდლისა“.

კორნელის მოაგონდა განჯაში დარჩენილი ამხანაგი გრიგოლ მეგრელი-შვილი და ყორღანოვის ქუჩის ყორესთან გატარებული საღამოები. გრიგოლი იყო სევდით შეპყრობილი ახალგაზრდა. ეს ყორღანოვის ქუჩა შეიქნა მისთვის საგოდებელი ადგილი—„ყურღანი“. ამ ქუჩაზე უყვარდათ სეირნობა აგრეთვე ქუჩის ქალებსაც, რომელთა კომანდირი და უსტამაში იყო გრიგოლი. ის კარგად იცნობს მათ და ამ „ღამის პეპლებით“ გატაცებამ დააწერინა ლექსი „როსკიპი“. ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ის აღარებს „მადონას“, დილაშდ რჩე-

მა მეგობარ პოეტთან, უკანასკნელი აღძრავს ქალში ზნეობრივ ქრეზნას და საზოგადოების მიერ განწირული პოეტი და ქალი შეიყვარებენ ერთმანეთს. სტირიან და აფრქვევენ სულიერ განწმენდის ცრემლებს. დილით ქალი პედავს ახალგაზრდა, ხეჟუჟა თმიან პოეტს, რომელსაც სძინავს ბავშვის სუფთა და უმანკო ძილით. ქალს მთელი თავისი წარსული მძიმე ლოდათ აწევბა გულზე და „სასოწარკვეთილი მადონა“ თავს იხზობს ლოგინის ღერძზე პოეტის ჰალსტუხით. რა საშინელი სტრიქონები არ იყო მიმობნეული ამ ლექსში, რომლის შესახებ პლატონ ცრუვამ აღტაცებული რეცენზია დასწერა და მით ხელი შეუწყო ახალგაზრდა პოეტის უფსკრულში გადაჩეხას. ასეთი ავადმყოფური პანგები გრიგოლ მეგრელიშვილს შეთვისებული ჰქონდა რეაქციის პირში შეილის, სიმბოლისტურ სკოლისგან. ეს სკოლა ახშობდა აღმადრენას, ბრძოლის უნარს; გულს სასოწარკვეთა და უიმედობა ისადგურებდა. ამგვარ განწყობილების დროს გრიგოლი ლენინოში და ქალებში ეძებდა თავდავიწყებას, ან კიდევ ტლანქი ლექსებისა და უწმაწური ენამახვილობის ნიღბ ქვეშ. ყოველივე ამის გამო მასთან ხშირად ნახვდით ქალაქის ნაძირალებს და მალე საბრალო ყმაწვილს ცუდი სახელი გაუვარდა. ეს გარემოება კიდევ უფრო ამხედრებდა მას მაშინდელ საზოგადოების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ამხედრება სრულიად არ ჰკავდა ენო მახათაძის ამხედრებას. ენო მახათაძე იბრძოდა საზოგადოების მოწინავე და ჯანსაღ კლასთან ერთად, ხოლო გრიგოლ მეგრელიშვილი და მისი ამხანაგები ეფლებოდნენ ავადმყოფ და სწეულ საზოგადოების ჭიობში. არსებითად ეს იყო ორი, ერთიმეორეს საწინააღმდეგო სამყარო!

კორნელის მოაგონდა გრიგოლ მეგრელიშვილი, შამქორი და განჯა. ძველი დრო, უდარდელი ცხოვრება და ყმაწვილკაცობა გაათავდა. მოვიდნენ წლები საესე ქარიშხალით, ბრძოლა-ჭიდილით და ხანძრებით.

არტილერიის ტემბა კვლავ გადიკიდეს თოფი და ჩანთა. ყორღანოვის ქუჩას და საყვარელ ყორეს მოშორდნენ. ზემელის აფთიაქთან დაემშვიდობენ ერთმანეთს.

— ხელ დილით გამოიარე! — უთბრა კორნელიმ სანდროს.

— დილით აბანოში უნდა წაივდე. წვირემ შემქამა. თერთმეტ საათამდე მიკადე!

— კარგი.

— ვაი, შენს ტყავს, რა გოგონა დაგიხვდება შინ?

კორნელიმ დაიხვდა ჩექმებზე, ტალახში ამოსვრილ მზარის კალთებზე და გაილიმა:

— რასა ვგევარ?

სანდრომ მზარზე ხელი შემოჰკრა და გზა დაულოცა. არაქათვამოცლილი ყმაწვილები დაადგნენ თავთავიანთ გზას.

საკვირელია: ამ წუთის შემდეგ შამქორის ამბები თითქოს წარსულმა შთანთქმა. კორნელის წინ აღიბართა მხოლოდ ნინოს სახე და როდესაც გრიგოლ-ლოვის ქუჩას მიადწია, გულმა ზარივით შემოჰკრა. „როგორ შემხვდება ნინო? წინა კარებიდან შევიდე თუ ალაყაფის? ღმერთო დიდებულო, ლაშის გაგ-

ჯეს ეს გული!"—ჰფიქრობდა კორნელი და ფეხაკრეფით მიდიოდა შინისკენ. ალყაფის კარებთან ორი ადამიანის ლანდი შენიშნა. სანთელის ბრწყინვალე ცნობა. კორნელი ახლოს მივიდა კარებთან. ქალებმა შესწყვეტეს საუბარი და შეშინებული უცქერდნენ თავითფეხამდე შეიარაღებულ ჯარისკაცს, კორნელიმ იცნო მრეცხავი ქალი მარინე ნატროშვილი.

— მარინე, თქვენა ხართ?

— შე ვარ გეთაყვა... აა, კორნელი! საიდან?—გაისწორა თავშალი მარინემ.

— ოშიდან!

— იესო მაცხოვარო, შენ შეგვიწყალე! როდის მიატოვებს ხალხი ერთმანეთის ქლეტას? კარგია, ცოცხალი დარჩენილხართ! საბრალო დედა თქვენმა კია, ალმათ, არაფერი იცის!

— მაშ, ვინ უნდა გიცავდეთ თქვენ, თუ არა ჩვენ?!

— რათ გვინდა ჩვენ, შეილო, სიცოცხლე თუ თქვენ არ გვეყოლებით?

— სად არის, მარინე, თქვენი, პეტო?

— ხუთი წუთის წინ ვანო მახათაძე იყო ჩემთან...

— რას ამბობთ? ჩვენ ერთად ჩამოვედით...

— აი, ეს წერილი გადმომცა... დაიბანეთ, გასუფთავდით, დაისვენეთ და მერე წამოკითხეთ, შეილო!—შეეხვეწა მარინე.

— კარგი, რა გითხრათ ვანომ?

— პეტო ავად გახდა და განჯაში დავტოვეო.

— რატომ მე არ შემხვდა განჯაში?

— რა ვიცი, შეილო! საავადმყოფოში მოვთავსეთო, მითხრა... ისეთი დაღვრემილი და მწუხარე სახე ჰქონდა ვანოს, რომ ვიცი კარგი არაფერია ჩემს თავზე.

— ნუ გეშინიათ, პეტო გოლიათია!—დააიმედა კორნელიმ და წასვლა დააპირა, მაგრამ მარინემ უპასუხა:

— ტიფი ავია, შეილო!

— რა იცით, ტიფი სჭირს თუ არა?

— ფჩხილიც კი არასოდეს წამოსტკივებია. მაშ საავადმყოფოში რა უნდოდა პეტოს?—სთქვა მარინემ და თავშალის ტოტით ცრემლი მოიწმინდა.

— წინდაწინვე გულისხმეთქა და ტირილი ვის გაუფონია, შე ქალო?—არ მოუწონა მწუხარე მარინეს მეზობელ ქალმა. კორნელიმ უხერხულად ჩასთვალა ასეთ მდგომარეობაში მყოფ დედის მიტოვება და შენიშნა:

— ასე არ ვარგა, მარინე! ნუ გეშინია!

— რა ვიცი, რა ვიცი შეილო. ცუდი დროებაა;—ამოიოხრა მარინემ და ხელგულდაკრეფით გაჰხედა მოღრუბლულ ცას. ქუჩაზე არავინ იყო კორნელისა და ორი ქალის მეტი. კორნელიმაც უნებლიედ გაჰხედა ცას. ჰფიქრობდა: „ებლა რომ გამოვემშვიდობო მარინეს, მგონი უხერხული არ იქნება!“ ჩამოვარდა სიჩუმე. მაღლა ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავიც კი გადუღლაპავს შავ ღრუბლებს. ქალაქში იდგა დაგუბული ჰაერი, თითქოს კუმბოს მაგრათ დააქედეს სახურავიო.

კორნელი გაბყვა წამიერ განცდას. ბრძოლიდან მოსულ ჯარისკაცს ძაღვს აოცებდა ქალაქში გამეფებული სამარისებური სიჩუმე:

— ამ შთების იქედ, რუსეთში სამოქალაქო ომია, რევოლუცია და ხანძარი... ფრონტებზე კარიშხალისებური ცეცხლი და ზარბაზანთა გრაილი... აქ კი ყველაფერი მომკვდარა...

— ვაი, ჩვენს უბედურ დღეს!—ამოიხრა ისევ მარინემ.

სამსართულიან და ჩუქურთმებით მორთულ სახლიდან კორნელის შემოესმა როილის ხმა, ისეთი შორეული და სამგლოვიარო, როგორც ხმა სამარიდან. ყოველ ასეთს სახლში ჭვითინებდა ეხლა სისხლნაკლული და სასოწარკვეთილი ვერტინსკი:

...„Где вы теперь...
Кто вам целует пальцы?“

კორნელიმ იკითხა:

— სად უკრავენ?

— გენერალი გილევიჩის ბინაზე!—უპასუხა მარინემ.

— ჰო, ეს მისი ქალი ზინა იმღერის ვერტინსკის რომანსს!—სთქვა კორნელიმ.

ასეთ ნახსა და გულსიმკვლელ სიმღერებში ისმოდა ისტორიის მიერ განწირული ხალხის უიმედობა, გლოვა, ტირილი და მოგონება „ბედნიერ დღეთა“, რომლებიც აღარ მობრუნდებიან...

ეზოში ძაღლმა ყეფა ასტეხა.

— ჩვენები შინ არიან?—ჭვითხა მარინეს კორნელიმ.

— შინ არიან, შვილო!—უპასუხა მარინემ და გულდათოტუტულმა დედამ თვალი გააყოლა ეზოში შესულ ჯარისკაცს. მან არ იცოდა, თუ მის წინ იდგა იმ ბრძოლის მონაწილე, რომელშიაც დაიღუპა მისი ერთადერთი შვილი, პეტრო ნატროშვილი, ფრონტზე პეტია ლაპატინათ მონათლული...

ძაღლმა ყეფას მოუხშირა.

— როია!—დაუძახა მას ჯარისკაცმა. ესტატე მაჩაბელის პოინტერმა იცნო კორნელი, ყეფა შესწყვეტა, მიჭრილი კუდის რიკი გააქანა, დაიგრიხა, დაიშანჭა, შეახტა და ნიკაპზე ენა მოუსკვა, შემდეგ გზა გადაუჭრა, ცალი ფეხი ასწია—მოძი დაასველა და კიბეზე შლიგინით ავარდა, თითქოს კორნელის შიკრიკი ყოფილიყვეს.

XXIII

რ მ ღ ა ძ ც ი ა შ ი

ვანო მახათაძემ ჩააბარა მარინეს კრუგლოვის წერილი და შემდეგ რედაქციაში გასწია, სადაც რამოდენიმე პასუხისმგებელი ამხანაგი დაუხვდა: მოხუცი ფარნაოზ საღარაძე, სერგო ქათამაძე, ბესო ალაფიძე და სხვა. ვანოს გარს-შემოებვიენენ და შამქორის ამბებს ეკითხებოდნენ. აღსტაფა, შამქორსა და ვანო-ჯაში მომხდარი ეშლონების გაყლეტა უდიდეს აღშფოთებას იწვევდა.

— ამხანაგებო, შამქორის შემდეგ ბრძოლა ჩენსა და ამიერკავკასიის მთავრობის შორის კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს!—სთქვა ფარნაოზ სალარაძემ ჩაფიქრებულის სახით, რომელსაც გრძელი წაბლიანებული წვეწოლავაში ამშვენებდა.

— ამიერკავკასიის მთავრობამ იარაღის ჩხარუნი დაიწყო და იგი სწორედ ამავე იარაღმა უნდა დაამხოს!—განაცხადა შუახნის კაცმა, სერგო ქათამაძემ. მას ეცვა ნაცრისფერი პიდჟაკი და დაკუმუჭნილი კეპი.

— შერე და რათ უნდა ამიერკავკასიის მთავრობას, თქვენის აზრით, იარაღი? იარაღი საჭიროა მისთვის არა მარტო საზღვრებზე მომდგარ ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ. არამედ რევოლუციონურ მოძრაობის ჩასაქრობად!—სთქვა ალაიძემ.

— ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს შეაქვთ სოფლად და ქალაქად ბოლშევიკური იდეები. მიწის საკითხი ჯერ კიდევ არ არის სრულებით გადაჭრილი. მემამულეებისათვის ხელრ არავის უხლია... სახალხო მოძრაობა დღითიდღე იზრდება მთელს ამიერკავკასიაში...

— ამ მოძრაობას მთავრობა ანარქიას უწოდებს და დეზერტირების საქმედ ასაღებს!—შენიშნა ორჭოფი ღიმილით მოხუცს, ფარნაოზ სალარაძეს ვანო მახათაძემ.

— ამ მოძრაობას ღრმა მიზეზები აქვს; მთავრობას არც ერთი სოციალური რეფორმა არ გაუტარებია. მუშებისა და გლეხების ინტერესები დაუჭიკოფილებელია. უკმაყოფილო ელემენტები სოფლად და ქალაქად მოითხოვენ სამუქოთა ხელისუფლების დამკვიდრებას და რუსეთთან მჭიდრო კავშირის აღდგენას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ უკმაყოფილებით. უნდა მარტავდა ამხანაგებს მოხუცი ბელადი ფარნაოზ სალარაძე.

ვანო მახათაძე პლელაგდა, სტამბის გვერდით მოთავსებულ პატარა ოთახში რომელიც რედაქციის, ბოლშევიკების კლუბსა და კომიტეტსაც წარმოადგენდა, საცხე იყო. მახათაძემ ჩამოიწია მაზარის გახევებული საყელო, მაგიდას ხელებით დაეყრდნო და თავი წინ წასწია. მაზარის საყელო ისევ მიეზჯინა მის გამხდარ კისერს და ბიის წნელებით დაგრებილი ძარღვი ისევ სისხლით აღევსო და გაშავდა. თვალები ბნელეთიდან მაცქერალ კატასავით ანათებდნენ. მახათაძემ დაიწყო:

— ამახედ უფრო ხელსაყრელი პირობები ძალაუფლების ხელში ჩაგდებასათვის წარმოუდგენელია!

მაგიდას ირგვლივ იდგნენ მუშები. ისინი აღშფოთებული იყვნენ შამქორის ამბებით, ბოლშევიკთა ვახეთების რედაქციის დარბევით და ზოგიერთ ამხანაგთა დატუსაღებით. ამათ გულში იყო პროტესტი. ისმოდა მქუხარე სიტყვები და ბრძოლისკენ მოწოდება. აქ, უფროს ამხანაგების გვერდით, ვანო მახათაძესაც პირველი ადგილი ეჭირა. ვანომ წინადადება მისცა ამხანაგებს მიეღოთ ეხლავე გადაწყვეტილება რათა ეშელონებს გაელაშქრათ ტფილისზე ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობის დასამხობად. ხმები ორად გაიყო. ვანოს მიემხრო ფარნაოზიც, მაგრამ შემდეგ ასეთი ნაბიჯი არც ბოლშევიკების საოლქო

კომიტეტმა მოიწონა, ენაიდან, კომიტეტის აზრით, ფრონტიდან შინ მიმავალი რუსეთის არმიის ნაწილები დიდის ხნით ვერ დარჩებოდნენ შავიყვანებისაში — ეშელონები კვლავ განაგრძობდნენ ბაქოსა და რუსეთისკენ მიმდინარე სვლას.

ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდა. უჯრედებში ტრიალებდა ოქტომბრის რევოლუციის დიადი სული. უჯრედები ჭავდა სკას, სადაც სწარმოებს ფუტკართა ფუსფუსი და დაუსრულებელი შრომა. აქ ეყრებოდა საფუძველი ამერკავკასიის მთავრობის დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას.

გაზეთის რედაქციაში ენაო მახათაძემ დასწერა მოწინავე წერილი, სადაც აშკარა ბრალდებას უყენებდა ამერკავკასიის მთავრობას შამქორში მომხდარ უბედურობების გამო.

შენდეგ ენომ განუცხადა ფარნაოხს, სერგოს და ბესოს პეტია ლაპატიონის, ანუ პეტო ნატროშვილის შესახებ, რომ შამქორში დაღუპული ბოლშევიკის დედა, მარინე არის მოხუცი, გაკვივრებული, სნეული, და რომ საჭიროა აღმოუჩინოთ მას მატერიალური დახმარება. ეს განცხადება ერთხმად ხქნა მიღებული. მიუხედავად უდიდეს საქმეებისა, ენო მახათაძეს ერთი წუთითაც კი არ დავიწყენია თავისი ამბანაგი, ან კი რა დაავიწყებდა? ორთავე სიღარიბეში და გაკვივრებანში აღზრდილი იყვნენ.

XIX.

კახათი

შორე დღეს ენო მახათაძე შეხვდა გამზირზე ესტატე მაჩაბელსა და კორნელის. მას ისევ გასვრილი მაზარა ეცვა, ხოლო კორნელის ლამაზად შეკერილი-ოფიცირის მაზარა, შვეკოს ჩექმები და შავი ხავერდის ყალშიანი წათელი მაუდის ქუდი ეხურა. ესტატეს ეცვა ძვირფასი დრამის პალტო და კრაველის საყულო აეწია. „შამქორის ვასტრალიორი! რა არხეინად დაბრძანდება ქალაქში, თითქოს მის მიერ გასროლილ ყუმბარებს არც ერთი კაცი არ მოეკლას?“ — გაიფიქრა ენომ და სხვათა შორის უთხრა:

— დანადგილებით გავიგე, რომ ეშელონებთან შეტაკების დროს შამქორში მოუკლავთ პეტო ნატროშვილი, როგორ აჯობებს არ ვიცი; დედა მისს — მარინეს უთხრათ თუ არა?

— სანამდის უნდა დაუმალოთ? მე ასეთ შემთხვევებში მომხრე ვარ თქმისა! — უპასუხა ესტატემ.

— შენ წუხელ ყოფილხარ მასთან და ბარათი გადაგიცია. ვილაც კრუგლოვი სწერს განჯიდან მარინეს, რომ პეტია ანთებით არის ავად და ცუდ ამბავს ყოველ წუთს ელოდეთო. კონვერტში ფულიც იყო... — უთხრა მოულოდნელად კორნელიმ.

ენო დაიბნა და ლაპარაკის საგანი შესცვალა:

— იპერილისტურ ხმს გადაურჩა და აი, აქ მოკლეს. — სთქვა მან.

— სამოქალაქო ომი ყოველთვის უფრო სასტიკია! — შენიშნა ესტატემ.

— თქვენ არა გაქვთ ნამდვილი წარმოდგენა იმპერიალისტური ომის შესახებ.—უთხრა ვანო მახათაძემ ესტატეს. ესტატემ თავით ფეხები დაჯდოდა ვანოს, „ლაწირაკი“, გაიფიქრა მან და განაცხადა:

— რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ თქვენ გაქვთ წარმოდგენა მის შესახებ?

— იმიტომ რომ თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა!—უპასუხა ვანომ. მახათაძემ მიიხედ-მოიხედა. ვამზირზე უამრავი ხალხი სეირნობდა. ისევ სჭარბოდნენ სამხედრო პირები, ჯარისკაცები. აქა-იქ ისევ იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად მოქალაქენი და ყოველ ხის ქვეშ პოლიტიკურ საკითხებზე დიობდნენ. ესლა მსოფლიო საკითხებიც ქუჩაზე წყდებოდა. ისევ გამოჩნდა პლატონ ცრუაფა, არგეთის მონასტრის მოძღვარის შვილი თავზედ დაკოსებული კატელოკით, სტეკით, ხელთათმანით და სახის მრისხანე შეტყეველებით. ის მიდიოდა სამართებელივით აღუსილი, თითქოს ქვეყანას ემდურის და საომრად იწვევსო. პლატონმა დაინახა ესტატე, დიმილით შეტება ბავე და საჩქაროდ მივიდა მასთან. ცოტა ხნის საუბარის შემდეგ ესტატემ ისევ მიჰმართა ვანოს:

— თქვენ მაინც არ მითხარით თუ რით სჯობია სამოქალაქო ომი იმპერიალისტურ ომს?

ვანომ ძარღვიანი სიტყვები შეარჩია და ესტატეს ირონიულ შეკითხვაზე ასეთი პასუხი ვასცა:

— იმპერიალისტური ომი კაპიტალისტური ქვეყნების საშუალებად და სერხი მსოფლიო ბაზრის დასაპყრობად. ყუმბარით და ტყვიით ანადგურებენ ერთმანეთს ჯარისკაცის ტანსაცმელში გადაცმული მილიონი მუშები და გლეხები. ადამიანთა წიხსს ჰლეკავს ღმირიანი დინგით ჯავშნიანი მანქანა—ტანკა.—პლატონს მოეწონა ომის ასეთი მხატვრული გადმოცემა და ვანოს დააკვირდა. ვანო განაკრძობდა:

— როდესაც ამოწურულ იქნა სამხედრო შეიარაღების ჯოჯოხეთური საშუალებანი, დასაველეთის ფრონტზე გაჩნდნენ უცნაური მეომრები ზურგზე კურტანივით აკიდული ბალონებით, მეცნიერება და ტექნიკა გამოდის ომის მსახურად. რა არ გამოიგონეს? ქიმიკა აწვდის ომს ადამიანთა გამანადგურებელ ვაზებს: ბრომარს, ეტილეტოს, იპრიტს... და ვინ იცის კიდევ რეებს არ გამოიგონებენ თუ არ დაეაძვრეთ მხამიანი ეშვები იმ გველეშაპს, რომელსაც იმპერიალიზმი ეწოდება?

„ხე-ხე—გაიფიქრა ესტატემ.—ეს პირწავარდნილი ბოლშევიკი ყოფილა!“

— თქვენ გეცინებათ?—ბრაზობდა მახათაძე.

— თქვენ უცნაური და საშინელი სურათი დახატეთ!—შენიშნა პლატონმა.

— მე შემოძლია ათასჯერ უფრო საშინელი სურათი დაგხატო.—უპასუხა ვანომ. პლატონმა მოინდომა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, ვანოს სიტყვა წაართვა, აღარ აცალა:

— მართლაც საშინელია ქიმიური ომი—დაიწყო თვალების ბრიალით პლატონმა—მიწიდან დგებიან თვალდაკუსული და გულშეშარავი ნიღაბებით შეიარაღებული ადამიანები. ისინი: ანთხევენ ცეცხლს. ბალონებიდან იწველება: ყვი-

თელი, მწვანე და იისფერი მყარი გაზი, როგორც აფრიკის შემბნარდენ, ვად-
მომბტარი, ფაფარაყრილი, თვალბრაზიანი ათასი ვეფი და კლამრეწველი
წარღუნის ხმა: სკდება შრაპნელი, კაცნებენ ტყვიამფრქვევლები, გრიანებენ
თოფები და ზარბაზნები. დამე ანათებენ: მაშხალები და პროექტორები. განუწ-
ვეტელი კანანადაა. გუგუნებს, ირბევა დედამიწა და ფრონტზე თავშეყრილი
ნილიონიანი მასა: ცოცხალი ორგანიზმი!—პლატონმა გაათავა. განზე გაიხედა და
ხელის ელგვანტურ მოძრაობით გაისწორა კატელოკი.

— რა წარმტაცი სურათია?!—დაიძახა კორნელიმ. ვანოს გაუკვირდა და
დატყდა:

— ნუთუ წარმტაცი სურათია ომი შენთვის, სამჭორის შემდეგ? ვაშა, ბა-
რაქალა შენს კაცობას! წარმტაცი სურათი კი არა, ომი უდიდესი სიმხეცეა და
ველურობა!

პლატონი დაეხმარა კორნელის:

— მართალია, მაგრამ რას იზამ? ეს სიმხეცე და ველურობა ბუნებრივია
ადამიანისთვის!

— როგორ?—შეეკითხა ვანო.

— იგი თანდაყოლილი თვისებაა!

— არაფერი არ არის ადამიანში თანდაყოლილი! ყველაფერი ამ ქვეყნად
იკვლება პირობების მიხედვით. თუკი ომის დროს ადამიანში იმარჯვებს მართ-
ლადაც თავდაცვისა და ერთმანეთის განადგურების ინსტინქტი, ეს სიმხეცე და
ველურობა ადამიანის თანდაყოლილი და ბუნებრივი თვისება როდია!

— საჭიროა ერთი დარტყმა—იყვირა პლატონმა—და, ვით წიწილა კვერ-
ცხის ნაჭუჭიდან, ადამიანიც ასე გამოდის მალაკულტურის ჩარჩოებიდან და
რჩება ამ ქვეყნად პირველყოფილი თვისი სახით და თვისებით!

— ეს შეცდომაა. ცხოველი ან თუნდ ფრინველი, მისი თვისებები, ბუდე
და ყოფაცხოვრება ისეთივეა დღესაც, როგორც ათასი წლების წინ, მაგრამ ადა-
მიანი, მისი გონება, ყოფა-ცხოვრება სომ იცვლება დროთა განმავლობაში?

— არა.—მოუჭრა პლატონმა ისე რომ არცკი შეურბევია დაჭინთული სა-
ხის კუნთი და ბაგე.—იცვლება მხოლოდ მატერიალური კულტურა. ძირითადი
თვისება ადამიანისა მაინც უცვლელი რჩება! მით უმეტეს თქვენ ომის შესახებ
მედაგზოდით.—უპასუხა ვანოს პლატონმა.

— როგორ?

— არსებობისთვის თუ ვიპობოდით უხსოვარს დროში კბილებით, ფიჩი-
ლებით, ჭეითა და ბიგებით, ეხლა ტყვიებით, ზარბაზნებით, დრედნოუტებით,
წყალქვეშა-ნაევებით და აეროპლანებით განადგურებთ ერთმანეთს. ამ მხრივ ადა-
მიანი მის მიერვე შექმნილი კულტურის მონაა და შესაძლოა მსხვერპლიც. ამი-
ტომ არის საჭირო დაბრუნება შიწასთან. ეს დაბრუნება პიროვნებისთვის არის
შეტად ძნელი და ტრალედით სავსე, მაგრამ იგი მაინც აუცილებელია. სწორედ
აქ არის ბედისწერა!

— ასე იყო, ასე არის და ასეც იქნება!—დაუმოწმა ოკროპარს ესტატემ.
კორნელი სულგანაბული უსმენდა პლატონის სიბრძნეს.

— უკანასკნელი თქვენი სიტყვები მეტისმეტად მაგონებენ მე ჩემი პოლკის მღვდელის ტიმოთეს საყვედურს!—სთქვა ღიმილით ვინმე.

— მაინც?

— მე მიყვარდა მისი გაბრაზება—დაიწყო მახათაძემ—მისი ზღაპრების გაბათილება! თუ ღმერთმა შექმნა მართლაც ადამიანი, ეტყუადი მას, თავისი სახისა და ხატის მსგავსად, ხოლო გამოჩენილ ბიოლოგებისა და ზოოლოგების გამოკვლევის მიხედვით, მრავალ ათას წელთა წინ ადამიანი ჰგავდა მაიმუნს. მაშინ იმ ადამიანის ღმერთიც მაიმუნი უფილა მეთქი. იგი საშინლად ბრაზობდა, მემუქრებოდა პოლკიდან დათხოვნით და დორბლმორეული ყვიროდა: შეორე მცნებაში თქმულია: ნუ შექმნით კერპებს, ნურც იმის გამოხატულებას, რაიც არის ზევით: ცაზე; ქვევით: მიწაზე, მიწის ქვეშ: წყალსა და წყლის ქვეშ! ჩვენ კი ეს მცნება დავივიწყეთ, დაემახინჯეთ და ადამიანის გონება და კულტურა გაეზადეთ კერპად: ზევით, ცაზე ავაფრინეთ აეროპლანები; მიწა გაეთხარეთ გვირაბებით; წყალსა და წყლის ქვეშ კი—გემები, დრედნოუტები და წყალქვეშა ნავები ჩაუშვიეთ... შერე რა გამოვიდა უოველივე აქედანო?—ბრაზობდა მღვდელი ტიმოთე და პასუხსაც თითონვე იძლეოდა: გამოვიდა ის, რომ ადამიანი გახდა მისივე გონების საშუალებით შექმნილ კერპებისა და კულტურის მონა და, აი, ეხლა ქრისტეს მცნებიდან განდგომილი და ძალმოშრობის გზაზე მდგარი კაკობრიობა სცურავს ამიტომაც თავის საკეთიარ სისხლში! მსჯელობა თქვენი და მღვდელი ტიმოთესი, როგორც ხედავთ, იგივეა. ვასაკვირიც არ არის. თუ არ ეცდები, მგონი თქვენც სასულიერო სემინარია გაქვთ დასრულებული!

უკანასკნელი შენიშვნა საშინლად ეწყინა პლატონს.

— შერე რა? იგი განათლებული მღვდელი უფილა!

— სასულიერო აკადემია აქვს დასრულებული!

— აი, ხომ ხედავთ?!

— მე ვხედავ ორთავე თქვენს უმეცრებას. ორთავე თქვენ ადამიანის გონებისა, მეცნიერებისა და კულტურის წინააღმდეგ ილაშქრებთ, მაშინ როდესაც ადამიანის გონებისა, მეცნიერებისა და ნივთიერი კულტურის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ უნდა იბრძოდეთ!

— არა მწყინს თქვენი სიტყვა „უმეცრება“, ვინაიდან მაშინ უმეცრება უფილა მთელი თანამედროვე კაკობრიობის ისტორია და პოლიტიკა, ეგ ომები და სისხლის ღვრაც.

— საქმეც ეგ არის. თქვენ იზიარებთ იმ უმეცრებას. ჩვენ კი ადამიანთათვის სასარგებლო და ჯანსაღ გონებიდან გამომდინარე პოლიტიკას ვიცავთ...

— ვინ თქვენ?

— მუშათა კლასი.

— რა უნდა ვაკეთოს მან?

— იგი მოსპობს ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ ქვეყანას, სადაც გამეფებულია ქიშპობა და მტრობა, ადამიანის მიერ ადამიანების გაყვლეფა, ძლიერი სახელმწიფოს მიერ სუსტის დამონება, იმპერიალისტური ომები და ხისხლის ღვრა და ნაცვლად ამისა დაამყარებს შრომის საფუძველზე აგებულ ჯანსაღ საზოგადოებას...



— მაინც?

— სოციალიზმს და კომუნისმს!

???— ესტატე მანაბელმა გადინხარხარა...

ასეთი იყო ვანო მახათაძის რწმენა და აწ ველარავეითარი ძალა ველარ შე-
 აცვლებინდა მას ამ შეხედულებას.

ვანოს წასვლის შემდეგ ესტატე მანაბელმა ისევ დაასკვნა, რომ მახათაძე სა-
 შიში, გაუსწორებელი და პირწყავარდნილი ბოლშევიკი არისო.

პლატონი სწუხდა, რომ იკადრა მასთან კამათი.

კორნელის ძალზედ ეწყინა პეტო ნატროშვილის სიკვდილი, მაგრამ დღეს
 ნინოობაა, ესტატე მანაბელის ბინაზე საზეიმო სამზადისი სწარმოებს და მრეცხავი
 ქალის შეილი პეტო ველას გაახსენდება?!

XX

დედა და შვილი

ვანომ გაიარა ალექსანდრეს ბალი, მდათოვის კუნძული და ვორონცის
 ხიდე. ალაფიძე ინახულა და შემდეგ ისევ ალექსანდრეს ბალისკენ წამოვიდა.
 გზაში გადასწყვეტა ევლოკიას ნახვა და ყველაფრის თქმა.

იანვრის ცივი ქარი უბერავდა. ალვის ხეები უმწეოდ იხრებოდნენ სამ-
 ხრეთ-ჩრდილოეთისკენ, თავს იჭინებდნენ და წამიერ მომწყდარი ყვავ-ყორნები,
 კვლავ თავზედ აფრინდებოდნენ და არ ეშვებოდნენ იმათ მწვერვალებს. ვანომ
 მოაქცია ყურადღება ყვავთა ასეთ ეინიანობას. მტკვარის ნაპირთან ტორტმანგ-
 დნენ უნიჩბო ტივები. ცოტა მოშორებით ერთმანეთზედ მიყრილი და ქვარტ-
 ლით გამურული ღარიბთა პატარა სახლები ჩარახმულან. ისინი უფრო ჰგავდ-
 ნენ ქოხებს. ეზოს ღობეზე მრეცხავ ქალს გადაუვიდნია თეთრეული. სარის წვერზე
 საზეიმო დროშასავით ფრიალებდა ბავშვის პერანგი. ვანოს მოაგონდა ევლოკია
 და მისი შეილი პეტია. შორეული მთის ქედები შავად ჩამობურულან. ძერასა-
 ვით გაშლილ ღრუბლებს მირეკავდა ქარი. ღრუბლები იშლებოდნენ, კვლავ
 იგუნდებოდნენ, სხვადასხვა სახეს იღებდნენ, და ეხლა თმაგაშლილი ქალებივით
 მიჰქროდნენ. ვანოს კივილის ხმა შემოესმა. მაზარის საყულო ასწია, ვორონ-
 ცოვის ხიდე გაიბინა და ჩქარის ნაშჯით მიაშურა ალექსანდრეს ბალს. (უდი
 ამბავი უნდა მიუტანოს ვანომ პეტიას დედას.

კრუგლოვის წერილის შემდეგ ძილი არ გააკარებია მარინეს თვალებს.
 ქარი ამტკრევედა ღამით ალაყაფის კარებს და დედა კი ჰფიქრობდა: ესეც
 არის შემოვა ჩემთან პეტოს ამხანაგი და ჩემი შეილის გარდაცვალების ამბავს
 მომიტანსო. მოხუცის სახე კიდევ უფრო დამიანჭა, მოშლილი სახის კუნთები ვე-
 ლარ დამიავრა. ყბა ჩამოუვარდა და სახის უმწეო მეტყველებით შორითო ტი-
 რილი... მამლებმა შესამედ იყვილეს... ღამე გადავიდა. მარინემ ტანთ ჩაიცვა.
 რკინის ფერში ცეცხლი შეანთო და იქვე დაბაღ სკამზედ ჩამოჯდა. კუზიან მო-
 ხუცივით მოიღუნა, გამხდარ მუხლების თავებზე ქარებით სახსრებში დასიყვ-
 ბული თითები და სახეცვლილი ხელები დაალავა. გულზედ მოწოლილ ვაების-

მარკინული

გან მუნჯათ და ნელინელ ირხეოდა და ასე მისჩერებოდა, ანთებულ თვალებს. იატაკზე დგას ტაშტი, ლახანი, კასრა და სარწყულე. კუთხეში უზომოდ ბევრი სარეცხი ჰყრია, ამდენს რა ამორეცხავს? მაგრამ განა მარინეს მისთვის სცალია ეხლა? შრომით დაკოვრილი, ცხელ წყალში მოხარშული და აედამყოფი ხელები თითქოს სამუდამოთ დაცვენილან მუხლის თავებზე. სამუდამოთ გაშტერებულან ორთქლითა და ბოლით ამომწვარი, მარლი—თეთრი თვალები. ნეტავ რას ჰხედავენ ეს თვალეზი ფეხის კარებზე ამოჭრილ და ანთებულ ხვრელებში? ამ თვალებს აგონდებათ პეტო, როდესაც ის ჯერ კიდევ სულ პატარა იყო. დილით ააყენებდა ბავშვს, ჩააცმევდა საყვარელ პირისახეს დაბანდა, ცხვირის გამოსუფთავების დროს ახირებულად მოუჭერდა თითებს, ბავში შეპკივლებდა ელდნაქრავივით გადაადგებდა თავს უკან, სტიროდა და გადიჩიჩინებდა, მაგრამ მარინეს თავისი უნდა გაეტანა: მანამდე არ მოეშვებოდა ბავშვს, სანამ სავსებით არ გამოუსუფთავებდა ცხვირის ღრუებს. სამაგიეროთ დეარტახნის შემდეგ მუხლებზე დაისვამდა რძეში თეთრ პურს ჩააბუფუფებდა და შოშიასავით აღებულ პირში კოვზით უდებდა და ფერებოდა. ეუდს ამინდში თავზე ღაზლის შალს მოახვევდა, პატარა ტანს მაგრად გაუკრავდა, ტოტების წვერს უკან გაუსკვნიდა, ბელურას კუდივით დაჰკიდებდა და ტიპკორასავით მუცელ გაბეროლი ბავში პეტია ასე დარბოდა ეზოში, დატანტალებდა.

— პეტო, ხელი არ მოკიდო... პეტო გცემ... პეტო აქ მოდი...— ისმოდა დიდიდან საღამომდე მარინეს ძახილი.

შემდეგ პეტია გაიხარდა, დედამ სკოლაში შეიყვანა...

სკოლის შემდეგ საშხედრო სამსახური... და აი, ეხლა ტანჯვით, ჯახირით აღზრდილი ვაჟაკი და ერთადერთი იმედი უნდა დაეკარგოს მოხუც მარინეს, ქვრივსა, ოხერს და გაჭირებულ ქალს... მარინემ მოიგონა ყველაფერი პეტოს შესახებ: ბავშობიდან — დღევანდლამდე.

ოთახის კარებზე ვილაცამ დააკაკუნა. მარინე თითქოს ელოდა: ენა ჩაუვარდა და ძლივს დაიძახა:

— ენა ხართ? მობრძანდით.

ვანო მახათაძემ შეაღო კარი. მარინემ ვერ იცნო თავდაპირველად სტუმარი, თმა გადიწია და სახეზე დააქერდა. გამშრალ და სისხლისგან დაწოკტილ ვანოს სახეზედ მან წაიკითხა ყველაფერი...

— რა ამბავია, შეილო?— აკანკალდა მოხუცი.

— მარინე... ზომ იცი მე და პეტო ამხანაგები ვართ... მე და პეტო ღარიბ-ღატაკთა, ხალხის საერთო საქმეს ვემსახურებით... პეტო იყო ჩვენთან... შამჭორში... პეტო...— ვანო ვეღარ ამბუნებდა ენას გამშრალს და უნერწყვო ხახაში. დედამ შეატყო. დაფეთებული, თეთრი თვალეზი ჩააჭრო, ვანოს მშვიდი სახე აჩვენა... გაამხნევა.

— სთქვი შეილო, რა უყოთ მერე... მე ვიცი ჩემი შეილი მჩავერელი ძალის წინააღმდეგ იბრძოდა... ყველაფერი მოსაყალია.

ვანოს იმედი მიეცა: დედა მაგრად დაუხვდა შეილის უბედურებისა და ყველაფერი უთხრა. მარინე სადაც იდგა იქავე დაეარდა. ვანო მივარდა, მაგრამ

წელში მოსერილი და მუხლებმისაყვებული დედა ფეხზედ ვერ წამოაყენა. გლოვით მოკლულმა დედამ კბილები მაგრად შეჭკრა, სახეზე მიცქროს და სიყვითლად და დაქალარა თავი უმწეოდ გადავარდა ვანოს მკლავზე. ვანომ ლოჯინზე დადგა. საყვლოზე ღილები შეუხსნა. წყალი ასხურა და შემდეგ მეზობლებს შეატყობინა. მოვიდნენ: სტეფანე შიმანსკი და მისი ცოლი მარგარიტა, ვარლო და მისი მოსამსახურე რუსი ქალი ანუშკა და სხვანი. მარინე მოსულიერდა და სიბოჯა ყველას წასულიყვნენ. როდესაც ოთახიდან ყველანი გამოვიდნენ, ანუშკა კარებთან დარჩა. არ გასულა ერთი წუთიც და იატაკზე დაეცა რაღაც მძიმე ნივთი. ანუშკა შევარდა. მარინე ამდგარა: ლოჯინზე ლეიბი გადაუძვრია და გაწიშვლებულ რკინის ლერძს სამჯერ დააჯახა გაქანებული თავი და სახე. მეოთხეჯერ ანუშკამ აღარ იცალა, ტანზედ შემოეხვია, მარინე საშინელი შესახედავი იყო. ანუშკა გაოცდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში შუბლი და ცხვირი გასივდა, ნაცემი ადგილი გაწავდა, სისხლი კანის შიგნით დაიღვარა, თვალის უბეებისკენ ჩამოიწრიტა, დაიკვეთა და კუბრივით ჩაუდგა.

გრეტხავი ქალის—მარინე ნატროშვილის გლოვას არ შეუტყობდა ესტატე მაჩაბელის ბინაზე საზეიმო სამზადისი.

XXI

ენოობა

ამ ღამით ტფილისს უფრო მეტი გამოცოცხლება ემჩნევა: დიდუბეში, ვერანზე, მამადავითზე და ყველგან გაისმის დანა-ჩანგლების, საინების ჩხრიალი, სიცილ-ბარბარი და მრავალ-ჟამიერი...

დღეს ნინობა!

დილიდანვე ულოცავდნენ ნეთესაყები, მეგობრები და ნაცნობები ესტატე მაჩაბელის ქალს ნინოს სახელობის დღეს. მოსდიოდა საჩუქრები: ნამცხვარი, ტორტი, შოკოლადი, ბომბონიერკა, თაივული და ყვავილები. ყვავილებით სავსე კალათებ შორის ყველაზედ უფრო იშვიათი იყო კორნელის კალათა, რომელიც ნინომ როიალზე შესდგა.

ესტატე გარდა იმისა, რომ ცნობილი ვეჭილია, მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე, ამავე დროს—სტუმართმოყვარე, დარბაისელი მოჭიფვე და განთქმული თამადაც. მას ძლიერ უყვარს ხელოვნება, ამ დარგში მუშაობს მფარველოზს და ეხმარება, იგი ცნობილი მეცენატია.

დარბაზი საესე იყო სტუმრებით. კაბინეტში სხედან: ესტატე, ვეჭილი გიორგი დარახველიძე, აღმასკომის ჯარისკაცთა სექციის წევრი პეტრე ქარელიძე, სასამართლო პალატის ყოფილი პროკურორი ანტონ ვლადიმირისძე რაიხ, ტომით ჩეხელი, გენერალი ნიფარაძე, როტმისტრი ჩოლოყაშვილი, ესტატეს შმა კაპიტანი ჯიბო მაჩაბელი და სხვანი.

პლატონ ცრუავა, პოეტი მიქელ ქანდარელი და ოპერის თეატრის მსახიობი სანდრო მგალობლიშვილი არათბდნენ მანდილოსნებს: ვარლო მაჩაბელს, პროკურორის რაიხის ცოლს მელანიას, მაყვალას და სხვას. პროკურორი რაიხი

მოსულა ცოლშვილით. მისი ვაჟი მიშა, მიხეილი იყო სტუდენტად, კორნელი კეცელიას ამხანაგი, ხოლო ვაღია ნინოსი, კორნელი, სანდრო, კესარი, შვილები და ვეჟილი გიორგი დარახველიძის ქალი თამარ იდგნენ როიალთან...

ესტატე მაჩაბელის კაბინეტში საუბარი შამქორის ამბების გარშემო ტრიალებდა.

ჯარისკაცთა სექციის წევრი ქარელიძე ნეტარის გულუბრყვილობით ჰკითხულობდა:

— ვინ ვასცა ნეტავ ვიცოდე, განკარგულება შტაბ-როტმისტრ აფხაზავას რაზმისა და ჯავშნიანი მატარებელის გაგზავნის შესახებ?

ამასვე ვაიძახოდა პროკურორი ანტონ რაიხი:

— ვისგან მიიღო ბრძანება პოლკოვნიკმა მაღალოვმა? თუ მაღალოვი მოქმედებდა დამოუკიდებლად, მაშინ უნდა აღძრულ იქნას საკითხი მისი სასამართლოში მიცემის შესახებ.

შორე სიარტილერიო ბრიგადის უფროსი გენერალი ნიყარაძე და კაპიტანი ჯიბო მაჩაბელი კარგად იცნობდნენ საჭმის ხამდვილ ვითარებას და შთავასარდალ გენერალ ლებედინსკისთან, პოლკოვნიკ დრაკენკო და გოტოვცევთან ერთად ისევ იწუნებდნენ ეშელონების განიარაღების გეგმას და შამქორში მომხდარ სიომარ ოპერაციას. მათი აზრით განიარაღება უნდა მომხდარიყო შთიანსა და ვიწრო ვასასვლელ ალაგს და არა აზერბეიჯანის გაშლილ ველებზედ... ის კი ვინც არ იყო საშეღდრო საჭმის მცოდნე, მაგრამ ვისი განკარგულების თანახმად აფხაზავამ, მაღალოვმა, ხან-ბეგების ბრბოებმა მოლაღატურად მახვილა ჩასცეს ზურგში ფრონტიდან მიმავალ ეშელონებს,— თავს იმართლებდა, ბრალი ტფილისის ოლქის უფროს გენერალზე გადაჰქონდა და ასე იბანდა ხალხის წინაშე სისხლში შესვრილ ხელს.

ესტატე მაჩაბელმა დაუძახა შამქორის „გასტროლიორებს“. კორნელი და სანდრო კაბინეტში შევიდნენ. გენერალმა ნიყარაძემ შეხედა მშვენიერად გამოწყობილ არტილერიისტებს, გაიღიმა და იფიქრა: „ამ მოსწავლე ახალგაზრდობიდან ჩვენ მგონი მართლაც ჩინებულ ჯარს შევქმნით!“ სანდრომ დაიწყო ფანტასტიური მოთხრობა შამქორის შესახებ.

სოტა ხნის შემდეგ ვარდომ მიიწვია სტუმრები ჩაიზე. მას ეცვა შავი ხავერდის კაბა, რომელიც მეტისმეტად შევნოდა მარმარილოს ქვასავით თეთრ გულმეგრდსა და შიშველ მკლავებს. მიუხედავად იმისა, რომ ვარდომ ორმოცი წლის ქალია და მის სახეს და სხეულს ოდნავი სიმსუქნე შეპარვია, იგი მაინც ახალგაზრდა და ლამაზი ქალის შთაბეჭდილებას სტოვებს. ნინო მისი უმცროსი და უფრო ეგონება კაცს ვიდრე მისი შვილი. ვარდომ შავ თმაში არც ერთი ქაღარა არ ურევია, მის პირის კანს ნაოკი არ გაჩენია და დიდრონ თვალებში ახალგაზრდული შუქი ჯერ კიდევ არ ჩამქალა. ეტყობა ამ ქალის ცხოვრება მუდამ მდიდრული, უნაკლო და სიუხეით სავსე ყოფილა ისე როგორც მაჩაბელთა სუფრა, რომელზედაც უხვად აწყვია ეხლა ნაირნაირი საჭმელი, შურაბა, ტორტი, კეკსი, ნამცხვარი და ტკბილეული.

მაგრამ სტუმართა ყურადღების მთავარი საგანი დღეს ვარდნილი ვერ იქნება, არამედ ნინო! იგი უკანასკნელი კლასის მოწაფეა, გასათხოვარებული და უკიდურესად მრავალ ახალგაზრდას და არა ახალგაზრდასაც უჭირავს თვალი. მოწაფის ტანსაცმელის ნაცვლად დღეს ნინოს მოზრდილი ქალის ტანსაცმელი ჩაუკვამს. იასამინის ფერი აბრეშუმის კაბის ქალაღია აინის ასულის მოღერძელს, წარმტაც მკერდს და ღამაში სურვის მშვენიერ ხაზებს. ალბათ ამიტომ აღარ აშორებს მას თვალს პლატონ ცრუავე? თვალის გუფა ფართოდ აღღია, ცხვირის ნესტოები სურვით თამაშობენ და მჭიდროდ შეკუმულ მის ბრძნულ ბაგეებს აღარ შორდება დიონისოს ღიმილი. ნინოს სიღამაზემ გული გაუკაწრა-პტიქრობდა: „სად შეიძლება ამდენხანს ეგ სამიწე თვალეები? ესტატეს ქალი მზეთუნახავი ყოფილა. მე კი ჯერ კიდევ ბავში მეგონა. ლუკმა გაეარდეს, ჯამში ჩაეარდესო რომ იტყვიან სწორედ ეგ არის“. ოქროპირი ამეტყველდა:

რა კარგი ხარო თქვენ დღეს მაჩაბელის ასულს! სურნელება კვდამოსილი თქვენი ტანისა არის ისეთი, ვით შვლის ნუკრბსა ან გაზაფხულზე გადატეხილი და გასრესილი ყლორტისა, კვირტის, რომელსაც ჩამოსდის რძე წებოსავით სქელი, რძე თავლივით ტკბილი.

კორნელიმ გაიგონა პლატონის სიტყვები, გულმა საშინელი ძგერა დაუწყო და პლატონს ბრახით გადახედა. ნინომ დაიჭირა ეს გახედვა, სახეზე სისხლივით გაწითლდა, მაგრამ გულის სიღრმეში მას ესიამოვნა მაინც ქათინაური და, როგორც მოწაფე თავის მასწავლებლის წინაშე, მორჩილი თვალით უცქერდა გვერდით მსხდომ ოქროპირს. ოქროპირი განაგრძობდა:

— არაფერი არ აკავშირებს აღიმიანს ბუნებასთან ქალის მკერდისა და ძუძუხედ უფრო! — პლატონმა გადახედა ნინო მაჩაბლის აკოკრილ მკერდს.

„რას ამბობს ეს უზრდელი, თავხედი?!“ — გაიფიქრა კორნელიმ და გულზე ცეცხლი მოედო. პლატონ ცრუავე სულსა და გულში უძებრებოდა ნინოს. კორნელი აცახცახდა, მაგრამ ოქროპირი კვლავ განაგრძობდა:

სრულქმნილი სახით ბუნებამ თავის სიღამაზე მხოლოდ ქალში განახორციელა! ტყვილა კი არ ადარებენ ქალს ლერწამს, საროს, შროშანს, ლოტოსს, გედსა და შველს! ეგვიპტელთა, ჰელენელთა და უძველეს ხალხთა სტრატეგების, ქანდაკების და ბარელიეფების საშუალებით მოცემულ მცენარეულ, ცხოველურ და ლეთიურ-ადამიანურ თვისებათა შეერთებას მხოლოდ აქ თუ მიწვდები და სავსებით გაიგებ: პანი და თხა, პაზიფია და ხარი, ლედა და გედი!

ნინო სულგანაბული უსმენდა პლატონ ცრუავეს. კორნელიმ შეურაცხველი იგრძნო. დაიწვარა, ვინაიდან ოქროპირის მსგავსი განსწავლული, ღამაში და ქარავიანი ლაპარაკი მას არ შეეძლო. კორნელი აღრენით უცქერდა სტუმრებს. პლატონი კი თავლავდა ნინოს, საუბარში ითრევედა და აცინებდა. ნინოს ხარხარი ეკალივით ესობოდა გულზე კორნელის, მაგრამ ესტატე და ვარდო სიამოვნებით უცქერდნენ თავის ქალთან მობაასე „დიდ მამულიშვილს, დიდათ მოშადებულ და დიდებულ მოლაპარაკე“ ოქროპირს. მელანია რაინმა გამოკითხა ვარდოს ოქროპირის ვინაობა; მოციხფრო ყუყუნა თვალეებზე ლორნეტი გაიკეთა, ჰაერში თითებზე წამოგებულ ბეჭდების თვალმარგალიტებმა გაიელვან და

მელანიამ ასე დასძინა: „ვეროპიელს ჰგავს, მეტად შეეფერებოდა გრეკუნებს, თქვენი ქალი და ის კაცი; სასურველი საქმეა!“ კორნელიმ გაიგონა მელანიას ქაიბის ზნიშნა. დედამ მზიარული თვალებით გადახედა ნინოს და პლატონს, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და კორნელის დიდხანს დააცქერდა. კორნელი საშინლად გაწითლდა და თავი ჩაჰკიდა: „ვარდომ მე და პლატონი სასწოროზე მოგვათავსა. ცხადია ის ამჯობინა, ვინაიდან აყვავებული თვალებით შესცქეროდა მას, მე კი ისე მიცქერდა თითქოს დიდილი შეილი გარდაცვლოდეს! ამ ბრწყინვალე და საზეიმო სუფრასთან საზიზღარი ვაქრობაა გამართული და მას ჩემს მეტი ვერაფერს შეეძლება!“ — ფიქრობდა კორნელი და გული ყელში ემტვინებოდა. ნინოს ბრახით გადახედა. წამოიჭრა, მარცხენა ხელით ასწია ხმალი და საჩქაროთ გავიდა თავის ოთახში. ნინოს ძღვერ გაუკვირდა კორნელის საქციელი.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს დიასახლისს და ჩაის შემდეგ ყველა დარბაზში გამოვიდა. ნინოს თავს დასტრიალებდნენ პლატონ ცრუავე, პოეტი მიქელ ჭანდარელი და მომღერალი სანდრო მგალობლიშვილი, რომელმაც ესტატე მაჩაბლის სტიპენდიით დაამთავრა კონსერვატორია. მისი ტენორი მაღალი ღირსების აღმოჩნდა და იგი ადესა-კიევის თეატრებში იმღეროდა. ვასტროლების შემდეგ სანდრო გავზახენილ იქნა ხმის გასაუმჯობესებლად და საბოლოო დაყენებისათვის იტალიაში. სახელგანთქმული მომღერალი გამოექცა რუსეთის რევოლუციას და ამჟამად იმღეროდა ტფილისის საოპერო თეატრში. პლატონ, მიქელ და სანდრო სთხოვდნენ ნინოს დაეკრა როიალზე რაიმე. ნინომ შეარჩია შუბერტის ერთ-ერთი ნაწარმოები, შემდეგ დარბაზში მიიხედ-მოიხედა: კორნელის ძებდა, ვინაიდან როიალზე დაკრის დროს რვეულის გადაფურცვლა მის მუდმივ მოვალეობას შეადგენდა და რომ ვერსად დაინახა წამსვე მოაგონდა კორნელის უკმაყოფილო სახე, მრისხანე თვლები და ყმაწვილის მიერ სუფრის დემონსტრაციული მიტოვება.

— ამ წუთას! — დაიძახა ნინომ და კორნელის ოთახისკენ გასწია.

არტილერიისტი იჯდა საგარძელში, ცალი ფეხის დეზს აფარუნებდა და კედელზე ამეგებულ წერტილს უიმედოთ შეჰყურებდა. მისი დიდრონი, უცნაური შავი თვლები, რომლებიც დღის სინათლისას ამეთვისტოსავით ანათებდნენ, იყვნენ სევდით სავსენი: „ყაზარმაში ტყავს გვაძრობენ, ათასგვარ გაქირვებას ვანიციდით, ფრონტზე სისხლს ვღვრით, აქ კი — ჩვენს ზურგს უკან, პლატონ ცრუავეს მსგავსი პირები არხეინად დაბრძანდებიან, საზოგადო საქმეზე და სამშობლოზე ლამაზად იმღერიან, ამილახვართა, ერისთავთა და მაჩაბელთა ასულებს თვალებს უხვევენ და თავის პირად საქმეს ჩარბავენ“. — ფიქრობდა კორნელი და მოაგონდა ნინოსადმი მიმართული პლატონის სიტყვები: „რა კარგი ხარო თქვენ დღეს, მაჩაბელის ასულო!“ კორნელი აენტო: „სწორედ ასეთივე სიტყვებით მივმართე მე ნინოს, როდესაც ერთმანეთს მალული ხვავიანი გაუმხილეთ. ესლა ვც სიტყვები პატივსაცემია, ვინაიდან ისინი წამოსროლილი არიან პლატონის მიერ სხვათა შორის და თავის გასართობად! ნინო პლატონს ხომ არ უყვარს, არამედ მასწონს ისე როგორც სხვა ათასი ლამაზი ქალი?! ჩემთვის კი ნინო ყველაფე-

რია: სიკვდილიც და სიცოცხლაც! — შამქორის „გმირი“ გაბრაზდა, ხმალის ტარს ცერი მიიბჯინა და ამოსწია; ალესილ პირს გააყოლა ყანჯიერე ფეხებისან თვალი, რომელიც ელავდა ფოლადზედ უფრო მეტად. სწორედ ამ უფროს შიშალო ოთახის კარი ნინომ. კორნელიმ ხმალი ქარქაშში ჩაავსო და კვლავ კედელზე აჩემებულ წერტილს დააკერდა.

— კორნელი, აქ რას აკეთებ?

— ვისვენებ.

— რა დაგემართა?

— თავი შტკიცა!

— ღმერთო ჩემო, რაღა მაინცადამაინც ეხლა აგტკიცდა?! წამოდი...

— უწემოდაც კარგი მზიარულება იქნება: პლატონ ცრუავე არ მოგაწყენთი?

— არც კი გრცხვენია?! რა დროს ეგ არის! დღეს ჩემი დღეობაა! — სთქვა

ნინომ და კორნელის მხარზე ჩამოაღო ხელი. კორნელი შემოტრიადა: თავდაპირველად მან დაინახა: თეთრი მკერდი და უბადლო სუფთა პერანგის მოქარგული აშია; შემდეგ: მკერდზე ოდნავ შესამჩნევი, მკრთალ მარმარილოს ჯავარივით გაზღარტული მოლურჯო ძარღვი. ნინოს აწითლებული პირის კანი იყო უნაზესი, და არა მარტო პირისკანი, — ყველაფერი მისში სუნთქავდა გულწრფელობით და მასთან ახლოს ყოფნით ალბათ ავაზაკი და სატანაც კი კეთილზრახვებით და უფრო იოლად იწყებდა სუნთქვას. გულწრფელობას და კეთილშობილებას ამთავრებდა ბავშურის გულუბრყვილობით შეტეხილი მისი ტუჩები, ნიკაპის ფოსო და ფიჭალ შუბლზე მერცხალივით გაფრენილი წარბები. „რა კარგი ხარ შენ მაჩაბელის ასულსო! — გაიფიქრა კორნელიმ და იმ წუთას პლატონ ცრუავე აღარ მოგონებია.

კორნელი დაცხრა. ნეტარის კვრეტით შეპყრებდა ნინოს. უკვირდა: ბრძოლის ველიდან, შამქორის უბედურებიდან ასეთი დიდი ბედნიერება რომ ჰხვდა წილად და პირზედ მოსული სიტყვა ველარ დაიმაგრა: „ძვირიფასო!“ — დაიძახა კორნელიმ, ფეხზე წამოდგა, ნინოს ხელი შეიპყრო და ზედ ხანგრძლივ აკოცა. კორნელის თავი ახლო დაურჩა ნინოს მკერდთან და დაითრო ასულის ტანის სურნელებით.

— წავიდეთ! — დაიძახა ნინომ და ხელი ჩასჭიდა.

სტუმრები უცდიდნენ მას.

სანდრო მგალობლიშვილი სამური ხმების მოლოდინში ღიმილით მიაწვა სავარძლის ზურგს და ღია წაბლისფერი თვალები ტკბილად განაბა, თითქოს პირში შაქრის ყინული ჩაუდევს და მას სწუწნისო. სანდროს შეთვისებული ჰქონდა იტალური სიმღერის ჩვევები და მისი ტკბილი, ღირიული ტენორიც უფრო შეეფერებოდა სანტიმენტალ მუსიკას. აშკარა იყო, რომ მომავალში ის გახდებოდა საუკეთესო შემსრულებელი: „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“ — სი.

პლატონს მეტად მდარე ყურთა სმენა ჰქონდა, მაგრამ მუსიკის შესახებ სანდრო მგალობლიშვილზე და კომპოზიტორებზე უფრო მეტს ლაპარაკობდა.

„პოეზიის და ლიტერატურის ნაცვლად მუსიკისთვის რომ მომკიდნა ხელი, ეხლა უთუოდ უდიდესი კომპოზიტორი ვიქნებოდი“. — ამბობდა პლატონი. ასევე უმოწყალოდ უმასპინძლდებოდა ის მხატვრებსაც, თუმცა უკანასკნელნი უმოწყობებს გამოსთქვამდნენ პლატონის რეცენზიის გამო, რომელშიაც ის იძლეოდა მათი სურათების შეფასებას და თავის მხატვრულ გაგებას: ნამდვილი შემოქმედების ნიმუშები დაწინებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო უნიკო სურათები კი გენიოსური. ასეთი შეცდომა გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ პლატონ ცრუვას არ ჰქონდა საკუთარი თვალთსაზრისი და გემოვნება, ხოლო ხელოვნების დარგში მომუშავეს ამის გარეშე არც დიდი ნაკითხობა და არც დიდი მწიგნობრობა უშველის, რაიც ღვთის წინაშე პლატონს არ აკლდა. არ აკლდა მას აგრეთვე თავის განდიდება, გრანდიოზობის მანია, ყალბი ნილაბი, სხვისი აზრის, სხვისი შეხედულების, სხვისი თქმისა და სახეების საკუთარ ნათქვამად გასაღება და ისეთის რიხითა, არტისტული პოზით და ბაქი-ბუქით, რომ წიგნში ჩახედულ კაცსაც კი დაეთარს აუბნედა. მაგრამ წიგნში ჩახედული და გადახედული კაცი ჩვენში, როდესაც იგი ევრობიდან მოვიდა, თითზე ჩამოსათვლელი იყო. ბედაურები დაიხოცნენ და, აი, უძალლო ქვეყანაში კატამ, ძალღვივთ კი არა ლომივით მორთო ღრიალი. ამ კატა-კაცუნას ღრიალი დიდხანს იქნება ჩვენში სანამ არ ჩამოხვევენ მას მსახიობის ყალბ ნილაბს რაიც, უკვე დაწყებულია. ყოველ შემთხვევაში ეს მომავლის საქმეა, ეხლა კი ესტატე მაჩაბლის დარბაზში მყოფ საზოგადოების თითოეული წევრი შესცქერის მას როგორც დიდ ავტორიტეტს, ხელოვანს და მუსიკოსს. ნიშნა მაჩაბელი როიალთან თუ გაფითრდა და თრთის ეს იმიტომ, რომ პლატონ ცრუვას მსჯავრისა და შეფასების ეშინია! პლატონ ცრუვა ბრძენივითა ზის დახატული წამებული ღმერთის დიონისოს სურათის მსგავსად. მრავალთათვის ის არის ნიკმეს ზეკაცივით უჩვეულო აღამიანი. ბრიოლინით გაკრიალებული და გვერდზედ გაყოფილი გიშრის ფერი თმა ვასვასებს. დღეს პლატონს ჩაუცვამს შავი ფრაკი, გულმოდგინეთ დაუთოვებული, ნაცრისფერი ზოლებიანი შალვარი, შავი ლაიკის ფეხსაცმელი და თეთრი პალსტუკი. თითქოს ტანსაცმელის მალაზიის მანეკენმა ვიტრინა გასტება და ესტატე მაჩაბლის საჯარძელში ჩასკუბდაო.

კორნელი და ნინო დარბაზში შემოვიდნენ. სტუმრები უცდიდნენ მათ. კორნელის ოთახში სიცივე იყო. ნინომ მაგრად შემოიხვია მხრებზედ კაშემირის ფერადი შალი და მით ხელსახები გახადა ლამაზი ტანის აღნაგობა და მოხაზულობა. პლატონის თვალებმა სრულიად გააშიშვლეს ასული. ქანდაკებით ჩამოსმულს და მალალ ფეხებზედ ირბეოდა საესებით მწიფე და ჯეირანივით აწვდილი სხეული. ირბეოდა ფეხებთან კაშემირის შალის ფოჩები და პლატონ ცრუვამ ასე გაიფიქრა: „თითქოს ჩვენ წინ გაატარეს უძვირფასესის გადასახურით მორთული, იშვიათი და ჯიშინი ცხენი, რომლის თბაფება და ვიწრო ჩლიტები თეთრ ბელთათმანშია გაბეჭული, ხოლო თითოეული მისი ძარღვი და კუნთი საესეა მისწრაფებით და უშრეტე ცეცხლით“.

ნინო დაჯდა როიალთან. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. თითებმა მორთეს ჯირითი კლავიშებზე. დარბაზი აღივსო შუბერტის მუსიკის მოქარგული მანკებით.

„ოგორ იტყვენ ეს შეგართი და წერილი თითები ესოდენ დაეკინაზეს, სვედას და სიხარულს?“ გაიფიქრა თვალკრემლიანმა მსახიობმა სანდრომ და ნინოს გადახედა. კლავიშებზე ჯირითობდნენ სანათურების შავი ნივთებით გაისრულნი, ფორთოხალანავით გამჭვირვალე; ვარდისფერი ბიწურები.

პლატონი სრულიად ველარ წედებოდა თუ რა შინაარსს და განცდას გვაწვდიან შუბერტის მუსიკის ჰანგები. მაგრამ რაც უფრო ვერ წედებოდა მას მით უფრო ბრძნულ და სერიოზულ სახის გამომეტყველებას იღებდა. სახის კუნთებს ბეთშოვენივით კუმშავდა, ღვთაებრივის ცეცხლით ანთებულ თვლებს ქერისკენ აღვრიალებდა, თითქოს შემხედეთ: მუსიკამ დამატკბო და იმ ქვეყნად გადაშისახლავს! პლატონი დაიღალა ამ ყალბი პოზით და მალე სრულიად გასწყვეტა კავშირი ჰანგებთან; ველარ ითვისებდა; გაუქმებულ ყურის ნაცვლად დარჩა თვალი, რომელიც ხედავდა ინსტრუმენტს, კლავიშებზე გასაოცარის სიჩქარით მარბენალ ნინოს თითებს—ტეხნიკურ მხარეს. „ნეტაე რათ უნდა კაცობრისას ასეთი ტანჯა-წვალება? ასეთი თავსატეხი ბელოვნება და ტეხნიკა?“—ჭეჭკობდა პლატონი და გული ღიმილმა გაუაყწრა; მაგრამ სახეზე არ დაიმჩნია. ეს ღიმილი მის სოფლიდან არგეთიდან მოდის. იგი არაფრით არ განსხვავდება გლეხის ნესტორიას ღიმილისგან. ერთხელ ნესტორია ტფილისში ჩამოვიდა. შორეულ ნათესავმა სამასხროდ ოპერის თეატრში შეიყვანა. კოლორატურულ სოპრანოს უსმენდა. საშინლად გაუკვირდა, სიძლერა კი არა, მისი შესრულება: ხმის ყელში ტრიალი, აწვე-დაწვევა და სხვა. შეეშინდა: „ნამდვილად მალორბენო“. წინ გადიხარა და მომღერალ ქალს სახეზე, ყელზე დააცქერდა: „ხომ არაფერი აქვს ყელში ჩადგმული ამ ქალს ბუღბუღივით ასე რომ უსტყენს? ჩვენში განთქმულ მოკრიმანჭულეს ტექვე ჩხარტიშვილს მიანც ვერ შეედრება!“—სთქვა ნესტორიამ და გულბრუვილო ბავშივით ჩაიხითხითა. გლეხი ნესტორიას ხითხითს და პლატონ ცრუავას გულში განვიღო ღიმილს ერთიდაიგივე ძირი აქვს: პლატონ ცრუავას მსგავს კაცს ახირებულად ვერ ენდობი, თუნდაც ფრაკით და კატელოკით იყოს: ძირი ათასი წლის მუხასავით ჯერ კიდევ სოფელში აქვს გადგმული, სოფელში, რომელიც კონსერვატორია, ცრუმორწმუნე, ტრადიციული და კარჩაეტილი: მაგრამ ჩვენთვის პლატონ ცრუავას მსგავს „არისტოკრატს“ და ნასწავლ კაცს, უსწავლელი გლეხი ნესტორია სჯობია: უცნასკნელს საკეთარი გემოვნება მიანც აქვს!

ნინომ გაათავა ძვირფასი ხმებით მოქარგული შუბერტის მუსიკა. დარბაზი ახმაურდა ტაშისცემით. პლატონი წამოიჭრა, ნინოსთან მივიარდა, ხელზედ აკოცა და დაიძახა:

— რა ყოფილა ეს ქალი? თქვენ ნამდვილი შემოქმედი ხართ! ევროპაში ბევრი მსოფლიო ვირტუოზებისათვის მომისმენია, მაგრამ ეს განუმეორებელი შესრულებაა შუბერტისა! ალბათ თქვენ ეს შესძელით ინტუიციის და შთაგონების წყალობით! მე ვამტკიცებ, რომ ეს განუმეორებელი ქმედითი სინთეზია!—ყვიროდა, ღრიალებდა პლატონ ცრუავა და ნინოს მშობლები შეტისმეტ სიამოვნებისგან შეჭარივით დნებოდენ.

ანტონ ვლადიმირისძე რაიზი კულტურული კაცია, პრაქტიკაში ნატროშეობები ჩები. თითონ გვარაიანად უკრავს როიალზე, შუბერტის მუსიკის შემსრულებელთა ფასი კარგად იცის და ამიტომ ძალზედ გაუყვირდა პლატონის „კონსერვატორი-თიური“ გამოხვევა: „რა დაემართა, კრაზანამ ხომ არ უქბინა ამ კაცს? — სუაქ-რობდა ის. ხოლო სანდრო მგალობლიშვილი დინჯსა და საფუძვლიან შენიშენებს აძლევდა ნინოს ზოგიერთი ადგილების, რიტმის და ნიუანსების შესახებ, რასაც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა კონსერვატორიის მოწიანისათვის, ვიდრე პლატონის უსაფუძვლო შექებას, რომელსაც არა ერთი და ორი ახალ-გაზრდა დაუღუპავს და აუცდენია სწორ გზიდან. მაგრამ პლატონ ცრუაჲ რას დაგიდევდით?!

— მე შინდა შევესვა თქვენი სადღერგდგელო სავესე ფიალით და გიპირათ ყველაფერი, რასაც თქვენს შესახებ ვფიქრობ.— უთხრა მან ნინოს.

— ესეც მალე იქნება!— დაამბედა ალელეებული პლატონი მიტელება.

სასადილო ოთახის კარები ღია იყო. სუფრას წლიდნენ: ვარდო, გამძვლეო მართა და მსახური ქალი, რუსი ანუშკა. სუფრას თავს დაანათოდა ელექტრო-ნის ლამფები: ბრწყინავენ ვერცხლის დანა-ჩანგლები, ფაიფურის საინები, მალა-ყელიანი ბროლის ქიქები და ღვინის ბოთლები. თითველ საინის გვერდით ძვეს წითელი ხის რაგოლში გაყრილი, მაჩაბელთა გვარის ვენჯელებით მოჭარგული და თოვლივით თეთრი ხელსახოცები... სწინს ესტატე მაჩაბელის ოჯახი საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს მრეცხაზე, თუმცა მარინე ნატროშვილი მაინც გაპიკრებულ-ლი სცხოვრობს ამ სახლის სართულების ქვეშ სარდაფში, ჯურღმულში, პირქვე დამხოზილი და ცრემლებით თვალამომწვარი.

ყველაფერს სიმდიდრისა და მალაღეგმოვნების ბეჭედი აზის. შინაპირიან ღარნაკებიდან ამოღერილან ზამბახნი და შროშანნი. ვაზებში აწყვიდა: ვანჯის ყურძენი, ზაფრანის ვაშლი, მსხალი გულაბი და ფორთოქლები, თბილი და ნუში. მაგიდა სავესეა იშვიათი საუზნით... საზეიმოდ გაშლილს, უხვსა და მდიდრულ სუფრის ვერცხლს, მინაქარს, ბროლსა და ფაიფურს დაპლადლადებენ ტერიდან გადმოკიდული და გაჩირაღდნებული კანკელის სანათურები. ესტატე მაჩაბელი ყოველთვის უხვი მასპინძელია. სამზარეულოში ტრიალებს სასახლეში ნამყოფი მზარეული და ბიჭი. ამ ბიჭს, ანუშკას და ნინოს გამძვლეს მოაქვთ ლანგარით საქმელები: ინდაური, ხობხები და ტყის ქათამები, დიდ ნივარებზე ფაფასავით ნამცხვარი და ტვინივით რბილი თევზის ხორცი. მარაოსავით გადაშლილი, პატარა სადესერტო დანები ჩარკობილია ვერცხლის შესადგავში. ბურგუნდიის ღვინისა და შამპანიურზედ უფრო საამურ კახურს, მუხრანის „ალი-კოტეს“ და მრავალნაირ ტკბილ სასმელების ჩარაზმულ ბოთლებს ცეცხლი გკიდება.

ცოტა ხნის შემდეგ სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ. ყველაფერი გარყვეულ წესრიგსა და ეტიკეტს დამორჩილა: სუფრის თავში ცარიელი სავარძელი უცდის თამადას. ერთ მხარეს ისხდნენ ანტონ რაიზი და მისი ცოლი მელანია, გიორგი დარაბევიძე, ვარდო და გენერალი ნივარაძე; ესტატე, სანდრო მგალობლიშვი-

ლი და მიქელ. მეორე მხარეს კი—ახალგაზრდები ჩარაზმულან დახატულებრით. გაკეთებულ კაცივით, მანკენივით იჯდა პლატონ ცრუავე. ყველაფერს მუხტავს ჩემად ლაპარაკობს... თავდაპირველად ყველაფერს თავდაპირველად მანკენივით ლობის ბეჭედი აზის. ნინო და კორნელი, სანდრო და ვალია, სიძე-დედოფალს ჰგვანან. ირველივ სისუფთავე, წესრიგი და სიმშვიდე სუფევს, მაგრამ ესტატე მარაბელმა ხმაშლია ვადიხარხარა. თითქოს ეს იყო ნიშანი:

— ბატონებო, თამადა დაახახელეთ, თამადა!—დაიძახეს აქა-იქ. ცოტახნის კოკმანის შემდეგ თამადათ არჩეულ იქნა პლატონ ცრუავე. იგი საეარძელში ჩასვს.

თამადათ არჩეული პლატონ ცრუავე სეამდა ჯიხვის რქით პირველ სადღერძელს:

— ბატონებო, ნება მიბოძეთ პირველი სასმისით დავლიო ესტატე მარაბელის ქალის ნინოს სადღერძელს! მოგილოცავთ, ქალბატონო, სახელობის დღეს! ეს დღე მეტად ღირსშესანიშნავია ქართველთათვის!.. თქვენი სახელი დაკავშირებულია იმ წმინდა ასულთან, რომელმაც პირველად იქადაგა და განავრცო ჩვენში ქრისტეს სჯული! ქრისტიანობა თავისებურად გადატყდა ქართლში: აქ ჩვენს ქრისტიანულს სარკოფაგზე, თუ ანტიური სახეიშო ქორწინება არა, თავისებური ქორწილი მაინც არის ვადახდელი ქრისტიანულსა და წარმართულს შორის. წმინდა ნინოს მიერ მოტანილი ჯვარი არ ნიშნავს ასეკრიზისს, წამებას, ცდუნებით სავსე ცხოვრების გზობას და გამოსასყიდელი სხეულის მიღებას. ჩვენ ჯვარს თან ახლავს ასულის კულულები, მისი თმის სითბო და თითონ იგი გამოჭრილია ვაზის ხისგან. ვაზის ხე კი სიმბოლოა დედამიწის სინოყიერისა, სიცოცხლის, თავდათობისა და დიონისურ გზნების მიწის სჯული და სიყვარული ამა ქვეყნისა მეტად ძლიერია ჩვენს ხალხში...—დაიწყო პლატონმა და ვადმოალავა თავისი ცოდნა ანტიური და ქრისტიანული კულტურისა. ოქრობირი განავრძობდა: „ქართველის დამოკიდებულება ღმერთისა, სულასა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისადმი არასოდეს არ ყოვილა აღსაქვე აღმოსავლეთის თუ დასავლეთის მისტურ ესტატალოგიურ მომენტით. ტრადიქია ჩვენ ხალხს აკავშირებს სააკაოს, მატერიალურ ყოუას, მიწას, ვენახებს. არსებითად ჩვენ მიწის მუშა ვეყავით „გეორგინები“. სიკვდილის შიშს თავს ვალწევდით ამქვეყნიურ სასიცოცხლო ძალთა სიუხვით. ეგ ძალთა სიუხვე ჩამარბულია ჩვენს სიმღერებში: საშროშო, სალხინო, და უმთავრესად კი ლაშქრულში, სადაც შოისმის მიწრაფება დროშებგაშლილი და ჯავშანში აღჭურვილ ხალხთა ცხენებს თქარუნთ...—კიდევ დიდხანს ილაპარაკა პლატონმა მთელი თავისი ტემპერამენტით, მთელი თავისი არტისტული ნიჭით და ბოლოს მოაგონდა ნინო.—„მე ვსევამ—გაათავა ქარაგმებით სავსე სადღერძელი პლატონმა—ქართველთა შვენიერი ხატის, მარადის ქალწულის, Evigveibliche—ჩაურთო ოქროპირმა—ნინო მარაბელის სადღერძელს!..“

სტუმრები აღტაცებით მიეგებნენ პლატონის სადღერძელს. წმინდა ნინო იღიმებოდა დიონისოს დღესასწაულისათვის ყვავილებით მორთულ ასულივით

და მას ფეხზე დგომით და ხელში თასით ულოცავდნენ ბრწყინვალე დღეს გადამთვრალი, ლამაზი ყმაწვილები - ეთებები; კორნელი, სანდრო, კეჭეკელი... ირემივით მოღვრილ ნინოს ყელს აღარ ამშვენებდა ლამაზი, წყვეტილი ნაწნავი. იგი იყო გაშლილი, ოსტატურად დაეარცხნილი და უკან შეგუნდული. თმის ბურძგვს იმაგრებდა სპილოს ძვლისგან თლილი მალაღი საეარცხალი, რომლის თვალმარგალიტებზედ უფრო მძაფრად კიაფობდნენ ასულის დიდრონი შავი თვალები. ნინოს ცინცხალი სახე ჰგავდა მისი სახელობის დღეს, ამ დღესასწაულისთვის გაკრიალებულ და თაიგულებით მორთულ ესტატე მაჩაბელის დარბაზს, საზეიმო სუფრას...

წამოვიდა ქეიფი... კახური მრავალგამიერი... სანდრო მგალობლიშვილს ჩინებულ მეორეს ეუბნება სანდრო ხოტივარი, ხოლო ორ სანდროს ხმას ფარავს ჯიბო მაჩაბელის მოხვერჩევით ძლიერი ბანი; ფანჯრის მინები ზანზარებენ...

მოვიდა კორნელის და სანდროს სადღერგძელოს ჯერიც. ესტატე მაჩაბელმა დაიძახა:

— გაუმარჯოს შამქორის მებრძოლო! - კორნელი და სანდრო ფეხზედ წამოდგნენ.

პლატონმა აქაც ვაღესა ენა:

— ბატონებო, ჩვენი ხალხის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვილოს ჯვარის და ხმალის სინთეზი. ნინოს ჯვარი და სააკაძის ხმალი ეს მთელი საქართველოა! თუ წინად ეთა სტიროდა:

„დაქანებულხარ, გორდაო,
და.ოაებია ქარვაი“...

ებლა ეს ხმალი ამოწვდილია და მზეზე ვაშკაშებს... ჩვენი ბიჭები იბრძვიან შამქორს...— კიდევ დიდბანს ილაპარაკა პლატონმა და ისევ გაიქეჭა მრავალგამიერი და ისევ წამოვიდა ლხინი და ასე დილაშდე იყო სიმღერა, ქეიფი, ცეკვოთამაში...

* *

ეს ღრიანცელი, მუსიკის ხმები, ცეკვოთამაში და ფეხების ბრაზუნი ეკალივით ერკობა გულზე მარინეს, სჯიჯგინიან მის სხეულს, თელავენ და დასცინიან მის ადამიანობას...

ქვედა სართულში, სარდაფში თავზე ნაცარგადაყრილი და გლოვიარე დედა სწეველის თავის განენის დღეს; სწეველის ღმერთსა და ქრისტე მაცხოვარს; სწეველის თავის ქორწილს და თავზედ დადგმულს გვირგვინს, თავის ძუძუებს, თავის კერას და ამ სახლის სარძაველს, შამქორს, კორნელის და სანდროს...

დილით ადრიან თავს უყრის შვილის ტანსაცმელს, ქმარს, ხმალსა და ბუბრის ქუდს. ჰყნოსავს და ესმის ღვიძლი შვილის ტანის სუნი, ლამაზი ვეკაცისა...

სახელდასახიზრებელი ზის ლოგინზე. თვალის უპეებში შაეი, დაკვეთილი და ჩაქცეული სისხლი აქვს ჩამდგარი; ქალარა თმა ფაფარივით გაქცეულია, უარწევს გლოვით ლოგინზე და იწყებს მოთქმას, შემდეგ თანდათან უმატებს ხმას, ქვიჩინებს და იძახის შვილის სახელს ბუნავში დაგდებულ, ხერხემალ გადატეხილ, დაქრილ და მოხუც ძუ ვეფხევივით:

— პეტო, შვილო! სადა ხარ ჩემო, ირემო ბიჭო! ირემო-ბიჭო!
 იძახის უიმედოთ, სხვის ქვეყანაში გადმოვარდნილი, ქვრივი-ოხერი და გაქვირებული დედა, მარინე!
 რამდენი დედა ატირდა შამჭორის შემდეგ ეინ იცის?

გატრელება შემდეგ ნომერში.

არსენა მარაგდელი

თ ა ვ ი მ ი ს ა მ ი

ცალთვალა დევი

ვატყავსა გული რკინისა, აბუჯარი უნდა ხისაო.

ხ ა ლ ხ უ რ ი.

ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება
«გოგო მე მამე, ბატონო, შენ კი არა წაგიხდება.

მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

მარაბდის ბოლოზე ახალგაზრდა მორჩილს შურემი შიპყავს. შორიანლოს ბერი მოუძღვის—მეტად მალალი, გამხდარი, ძელიანი და ოდნავ წელში მოხრილი. შავი თხელი წვერი და მოუსვენარი თვალები იმის სახის სიმკაცრეს ძლიერს ანელებენ. გაცვეთილი ფეხსაცმელი და კოჭებამდე დაშვებული გახუნებული ანაფორა მტკრით აქვს შეფერფლილი და ეტყობა, რომ შგზავრს მოზრდილი მანძილი უნდა ჰქონდეს გავლილი.

ბერმა სოფლის ბოლოს ეკლესიასთან სამჯერ გადაიწერა პირუჯარი, შერე ხნიერ დედაკაცს მოჰკრა თვალი და მიძახა:

— კურთხევა შენდა, დაო ჩემო, სად არს ამა სოფელსა შინა სახლი მამისა ჩვენისა აბრამ ბარნაველისა?

პასუბი მიიღო და სოფელში შეალაჯა, თანაც მსხვილი კეტი მოიმარჯვა, რადგან იცოდა, რომ ძაღლები ბურის ანაფორას, ბარტყულისა და გრძელ თმებს ძალიან ემტერებოდნენ. მიწურ სახლებს მოჟარა, ზოგ სახლს ბანზე გადაუარა, შემდეგ ერთ ალაგას შესდგა და გაიღიმა, რადგან დათუნა ბარნაველი იცნო, რომელიც ვიღაც მოსხლბეტილ გლეხს მოსდევდა.

ახალგაზრდა რიტორი ჯერაც ვერ გამოფხიზლებულიყო. ფიქრისა რომ გამოეცა, ჯერ ალგეთზე ჩავიდა და გაღმა ქოტისში აპირებდა გასვლას, მაგრამ მოდიდებულ წყალს წააწყდა და გამობრუნდა. შემდეგ უნებურად გაჩნდა პატარა ეკლესიასთან და ხერხეულიძეთა ცხრა ძმის ერთ-ერთ საფლავზე ჩამოჯდა.

ის დიდხანს თბებოდა გაზაფხულის მზეზე, სევდიანად გასცქეროდა მარაბდის მიდამოებს და უნდილად ჰფიქრობდა ფიქრისა ბედზე, თავის დაკარგულ მამაზე, ბუნდოვან მომავალზე და ახლად ატეხილ ომზე, რომელსაც მისთვის და საქართველოსთვისაც რაღაც დიდი ცვლილება უნდა მოეტანა.

აბას შირზა ერმოლოვს უებრად დამარცხებს და საქართველოს გაანთავისუფლებს.—ეგონა ბარნაველს.—ალექსანდრე ბატონიშვილი ტახტზე წველაფერს შესცვლის. საქართველოდან ყველაზე აღრე რუსპეტს წაასწმარათაშვილი გაიქცევა და ფიქრია დათუნას დარჩება.

„რა თქმა უნდა ალექსანდრე ისევ ბორჩალოზე წამოვა,—ჰფიქრობს დათუნა ან დმანის-ბოლნისის გზით დაეშება, ან კიდევ აგერ იმ ლელვარის ქედს გადმოლახავს და შულავერს მოადგება. ბატონიშვილი ამ მხარეს ვერ ასცდება, რადგან ბორჩალო უწინ მისი სახასო იყო, და აქ ათასობით იშოვის ერთგულ მოლაშქრეს. ეჭვი არ არის, რომ სომხების გარდა უმალვე ყველა მიუდგება. ბატონიშვილმა ეს ქვეყანა შარშანაც მოითარეშა. სპარსეთის ცხენოსანთა ტალა აღგეთასკ კი მოაწყდა და კინალამ ქალაქიც წააღო. მაშინ ქართველები გაინაზნენ, თათრები სიხარულით ცას მიეწივნენ, სომხებს კი შიშის ხარი დაეცათ. მაგრამ ზელიც არავის არ ახლეს, რადგან ალექსანდრეს მეუღლე ერეენელი სომეხია და, გარდა ამისა, მათ შორის მრავალი ჩუმი მიმდევარიც ჰყავს. სპარსელებმა მოლოდ ახლად გადმოსახლებული რატეენელი გერმანელები ამოეღიტეს, რადგან ბრძოლაში ჩაერივნენ და რუსების მხარე დაიჭირეს“.

რალაც ეჭვსიოდ თვის წინათ დათუნაც და ყველა „ნამდვილი ქართველიც სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. აბას შირზას ძლევა მოსილი დროშა არეზისა და ერეენის მთების გადმოღმა შემოიჭრა. რუსებს გზები მოუჭრეს და განჯა-ყარაბალში უთვალავი ამოხოცეს. ყველა გაქცეული და განდევნილი ხანები—ალექსანდრეს მოკავშირენი—უკანვე დაბრუნდნენ: გმირის ჯედადის შვილი უგურლუხანი განჯაში შემოიჭრა, სელიმის ძე ჰუსეინ ხანი—ნუბაში, შეიხალი ხანის შვილი—ყუბაში, შირზა ჰასან ხანი—ტალიშში, ჰუსეინ კული შირვანში შევარდა და ბაქოს მიადგა; დაუდგარი ლეკთა ბელადი სურხაი ყაზიყუმუხელი დალისტნისკენ შიიწვდა, ხოლო ერეკლეს მეფის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც მუსლიმანებმა ისკანდერ ხანი დაარქვეს, ისევ კახეთს უმიზნებდა. მაგრამ შემდეგში რალაც გაუგონარი რამ მოხდა: ცამეტ ენკენისთვეს (დათუნამ ეს დღე ძალიან კარგად დაიხსოვა) ჰასყეიჩი და აბას შირზა ერთმანეთს განჯაში დაეტაკნენ. დაეტაკნენ და (გაუგონარია, მაშ რა ჯანდაბაა!) რვა ათასმა რუსმა ორმოცი ათასი სპარსელი ისე დაიფრინა, „ვითარცა ლომმა კატები“.

მართლა საკვირველ ყოფილან საქმენი შენნი, ჰოი უფალო!

მაგრამ ომი ჯერ არ დასრულებულა. ვერა, ერეენს ვერ აიღებენ. რუსებს ერეკლეს ტოლი არა ჰყავთ: მან ერეენი ორი ათასი კაციით აიღო, ესენი კი ასი-ათასითაც ვერ შიერევიან.

ებლა თუმრე სპარსეთის მეგვიდრე აბას შირზა თავრიზში ასი-ათას ახალ მეომარს ამზადებს და გაზაფხულზე, დღეს ან ხვალ, ნიაღვარივით წამოვა და...

„და ამოიფხვრების ხსენება რუსისა მიწისა ჩვენისაგან ვითარცა ნისლი ღამისა, ამინ“.

და ბარნაველმა ნელი დღედუნით დაიწყო ახალი პანაშვიდური სიმღერა, რომელიც ის-იყო ახლად შემოდირადა და საიდუმლოდ ითქმებოდა:

მაშ ალექსანდრე ეხლაც ბორჩალოზე წამოვა. დათუნა მარაბდელებს წამოშლის, მცირე გუნდს შეჰკრავს და უმაღლე მიაშველებს. მაშ სწრაფად მარაბდელებს არსენაც დაითანხმა, მაშინ ალგეთის მთელი ხეობაც გამოვიდა. მაშ სწრაფად შალვა ბარათაშვილი იქნება. დათუნას მამა, ათი წლის უნახავი სენია, თავის შვილს უშველის და ალექსანდრე ბატონიშვილს ორიოდ სიტყვას მოასტენებს.

«დათუნა, შითხარი, რა გინდა?» — ჰკითხავს მეფედ ნაკურთხი ალექსანდრე. სენიას შვილს ათასი სათხოვარი აქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზე მეტი არაფერი არ უნდა: ფიქრის შეერთავს, სამხედრო საქმეს შეისწავლის, დარიალაში დასახლდება და იმ კარს ისე დაჰკეტავს, რომ არწივიც ვეღარ გადმოუფრინდეს. ან მეფის მდივანად დადგება, ან მსაჯულობას იკისრებს, ან კიდევ... ერთი სიტყვით, ათასნაირად შეუძლიან ემსახუროს საქართველოს. მაგრამ დათუნამ თავდაპირველად ამატობა უნდა მოიპოოს, საერთოდ ბატონ-ყმობაც უნდა მოიხპოს, თვითონ ალექსანდრემ უნდა მოხპოს, თორემ რუსის მომხრე თავდაზნაურები პირს შეჰკრავენ, ქვეყანას გაჰყიდონ (როგორც მრავალჯერ გაჰყიდეს) და მაშინ...

მაშინ საქართველო სამუდამოდ დაიღუპება.

და დათუნას თავში უწყესრიგოდ ირეოდა საქართველოს ბედი და საკუთარი მომავალი, აქ მყოფი რუსეთი და მომწვეი სპარსეთი, საბედოს გაყიდვის ხიფათი და მიმუღის ხვალისდელი დიდება. ხოლო ტუჩებზე ეხლაც ფიქრის წედანდელი კაცნა ერთი და ტანშიც მის მიერ ანადული სისხლი უჩქეფავდა.

დიდიხანია დათუნას თავის სულიერი ნათესავი და მფარველი შალვა ბარათაშვილი არ ენახა. ექვებს ის გაუფანტავს, აფორიაქებულ აზრებს ის დაუღაგებს, გაამხნეებს და ახალ ძალას და რწმენას ჩაუსხამს, რომელიც აფორიაქებულ ბარნაველს ეხლაც მუდამივით მოუღუნდა და დაუჭიკავდა.

თავალუნვით მომავალ რიტორს წედან უქნიდან არსენას რკინის ხელი მისწვდა, შეანჯღრია და მიიძახა:

— ჰა, დათუნი, ისევ ფიქრებში ხარ წასული? მოიშორე ეგ ტიული, თორემ კაცი კაცს აღარ ჰგეხარ.

— არსენ, ძმავ არსენ...

და ბარნაველმა მეტი ვეღარაფერი ვერ უთხრა.

არსენამ მეგობარს ღიმილით ჩახედა თვალებში და —

— გამაგებინე, — ჰკითხა რბილი ხმით, — უგზო-უყვლოდ რას დაბორილებ, რა დაგემართა?

— არაფერი... ფიქრია ხომ არ გინახავს?

არსენა მიუხვდა. არა, ფიქრია არ უნახავს, სამაგიეროდ მარინესაგან გაიგო ყველაფერი. მაგრამ შუა სოფელი საამისო ალაგად ვერ გამოდგება, ამიტომ უპასუხა:

— ჯერ არ მინახავს, მაგრამ მეც ვიცი. შენ არხეინად იყავი, გამაგრდი და, თუ საჭირო იყოს, მომეშველე... ფიქრის მაინც მიეშველე.

და ისე შეარყია ხელახლა, რომ ბარნაველს ფეხები გაეხლართა, როცა გასწორდა, დათუნამ მაღალი ბერი დაინახა, რომელიც ბედნიერ ღიმილით მოალაგებდა მისკენ.



მარაშველი
გაზეთი

— ძეო დათუნი! — შიძახა ბერმა და გრძელი ხელები საზღაბრო შვი ფრინველივით გაშალა.

— ძეო ფილადელოს!

ორივენი თითქმის გაიქცნენ ერთმანეთისკენ და მამაშვილივით ჩაებვივნენ. მერე ბერი განზე გადავა და შიძახა:

— შვიდობა შენდა დათუნა ბარნაელო!

— და სულისაცა შენისათანა, მამაო ჩემო! — მიუგო ნაშეგირდალმა.

და ერთხელ კიდევ გადაებვივნენ.

არსენაც მივიდა, ბერს ხელი გაუწოდა და ჰკითხა:

— ფილადო, ველარ მიცანი?

ბერს უცებ გაახსენდა:

— არსენა ხარ, არსენა ოძელაშვილი. გამარჯვება, ძეო არსენ!

და იმასაც გადაებვია.

სამი წლის წინად ზაალის ბრძანებით ოძელაშვილი საკალმასოდ მოაჩუქნა ბერს გაჰყვა და თრიალეთი და ბორჩალო მოატარა. მერე — მოგროვოლი ღვინო-ხორბალი და ყოველგვარი ნუზლი ხუთი ურმით ჩაუტანა გარეჯის უდაბნოში და სამაგიეროდ მერებისგან შთვალავი ლოცვა-კურთხევა წამოიღო. ბერმა მაშინ გაიცნო მარაბდელი არსენა და ეხლა უმალვე იცნო მისი ახოვანი ტანი, ნათელი სახე და ფოლადნარევი ხმა.

იქვე, შალვა ბარათაშვილის აივანზე, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები და თვითონ მასპინძელი გადმომდგარიყვნენ და ღიმილით დასცქეროდნენ ორ მეგობარს და ბერს, რომელნიც ასე გულიანად შეებდნენ ერთმანეთს.

შემდეგ ბერმა ამ აივნისკენ აიხუდა, სამივე თავადს ყურებადღე გაუღიმა, ხელები გაასავსავა და მათკენ გააღაჯა, თანაც შორიდანვე წელში იღუნებოდა და ეუბნებოდა:

— შვიდობა და კურთხევა ბატოსან თავადებს... ენიაზ გრიგოლს, შალვას და ალექსანდრეს... ჩემო მოწყალენო ხელმწიფენო... უფალნო მარაბდისა, კოდისა და ყოველთა ამა მიდამოთა.

— მობრძანდით ძეო ფილადელოს. — გადმოსძახა შალვამ და დაუმატა: — დათუნავ, არსენ, თქვენც მიწვიეთ. მცირე საქმე მაქვს და მოვილაპარაკოთ.

არსენა ისედაც შალვასთან მიდიოდა, მსურდა მისგან რევე-დახმარება მიეღო, და დათუნას და ბერს გამოჰყვა.

თავადს ბარათაშვილს მარაბდაში მარტო სახლ-კარი ედგა; მამული კი ზევით ალგეთის ხეობაში ჰქონდა.

რუსების შემოსვლის შემდეგ მისი მამა დუცალი ბირთვისის ციხეში შეიხიხნა და ეხლანდელ ზაალის პაპას — რუსეთუმე ზაალ მორდალს — მტრობა დაუწყო. მაშინ საქართველო „დიდად იყო აღრეული“. შეფედ ზოგს დავით მემკვიდრე უნდოდა, ზოგი იულონს მოითხოვდა. ერთნი დედოფალ დარეჯანს უდგებოდნენ, მეორენი კი იქამდე გაკადნიერდნენ, რომ ახალ მეფის ან „ფრანცი-კულ“ პრეზიდენტის არჩევასაც კი გაიძახოდნენ.

ამის გამო წარჩინებულთა ერთმა ჯგუფმა პროკლამაცია დასწერა და მთელ ქვეყანას მოსდო.

„ბატონო საქართველოს თავადნო და აზნაურნო!—სწერდნენ, ამ ემად ზოგიერთნი სხვანი და დუცალ ბარათაშვილიც შეგიყრიათ, და რესპუბლიკის თავად დაგიყენებიათ... ეს თქვენი კეთილშობილებისათვის დიდდღესს და სათაკილოა. თუმცაღა ჩვენ ქართველთა მეფე გვეყოლია, მაგრამ ოდესმე საბერძნეთის ყმანი ვყოვილვართ და ოდესმე სპარსეთისა. და ახლა მეფე თეიმურაზმან, მეფე ერეკლემ და მეფე გიორგიმ რუსეთის ხელშეიფეს მისცა“.

და ვანდგომილებს უჩრევდნენ რესპუბლიკაზე ხელი აეღოთ და რუსის ხელშეიფეს დამორჩილებოდნენ.

ამ მომართას ხელს აწერდნენ მეფის ძე იოანე, ეშიკალას-ბაში მაყაშვილი, მეითარი თარხნიშვილი, თელავის სემენარიის რექტორი დავითი, მორდალი დიდი ზაალ ბარათაშვილი და კიდევ რამდენიმე დიდკაცი და წარჩინებული.

დუცალი გოსტაშაბის ჩამონავალი იყო და კიდევ ამიტომ ებრძოდა რუსის ჯარის მიერ წულგამაგრებულ საამის ჩამონავალს ზაალს, და თავის ორი შვილის ტატოს და შალვას თანხლებით ყაჩაღებით დაძრწოდა თრიალეთ-ლორში.

ბოლოს დიდი ზაალი 1810 წელს ლორის საზღვარზე საკეთარ მამულში ახბატის გზაზე აქუწეს.

მთელ საქართველოში ხმა დაიზნა, ვითომ ახბატის სისხლიან საქმეში დუცალის ხელიც გამოჩენილიყო, ვითომ დამარცხებული დუცალი და მისი შვილი იმ დღეებში ახბატის მახლობლად ენაბოთ: ჯერ ახტალის მონასტერში ასულიყვნენ, ვერცხლის მალაროები დაეთვალერებინათ, რომელიც მარტო ზაალმა დაიჩემა, იქ ვილაც სომეხები და ბერძნები მოეკითხათ, შემდეგ ალაწერდში გადმოსულიყვნენ, სპილენძის შიტოვებული მადნებიც დაეელოსთ, აქაც ვილაცებთან რალაც ჩურჩული გაეშართათ და...

და მესამე დღეს იქვე მახლობლად ბერდუჯის წყლის გაღმა ახბატში ზაალის სისხლი დაქცეულიყო.

სასტიკი იყო ძიებაც და სასჯელიც: მკვლელებს გლეხებში ეძებდნენ და ახბატი დასწევს, ახტალა აიკლეს, აირუში დაარბიეს და კინალა მელიქიშვილების სადახლოც მიიყოლეს. მაგრამ ვერც მკვლელი აღმოაჩინეს და ვერც დუცალი დაიჭირეს. სამაგიეროდ გავარდნილი თავადი სიკვდილმა დაიჭირა: იმავე წელს დუცალი სამშვილდეს ციხეში გარდაიცვალა, მისი უფროსი ვატი ტატო კი ოსმალეთში გაიხიზნა.

რაკი მამები წავიდნენ და ქართლის ბედიც გადაწყდა, შვილებიც მალე შერიგდნენ და დაცხრნენ. უნტროსი შალვა ალგეთის ტყეებიდან ბარში ჩამოვიდა და პატარა ზაალის გვერდით დასახლდა.

მთავარბართებელმა ტორმასოვმა შალვას ერთგულების საბუთი მოსთხოვა და კიდევაც მიიღო: დუცალის შვილი ტორმასოვის ჯარს ახალციხეში გააქევა, იქ ოსმალების და საკუთარი სისხლი დაჰღვარა და მას შემდეგ ისე იქცეოდა, თითქო საქართველოში რუსი აღარ ყოფილიყო: აღარც ის იცნობდა მთავრობას და აღარც მთავრობა აწუხებდა მას.

შემდეგ ცოლი შეირთო, ოთხი ქალი გაიჩინა და რასაც ზემოდან გლეხები ჩამოუტანდნენ ხოლმე, მადლობით იღებდა და მკირვდითაც კმაყოფილდებოდა.

შალვამ თავიდანვე ადვილად მიაგნო უღარდელ ცხოვრების მიზეზს. ქალაქში ცხოვრება, რუსების მეგობრობა, რაუტები, ზეიმები და მშვილდების ახალნაირად აღზრდა უმარავ ფულს მოითხოვდა, მან კი სამივეზე ხელი აიღო და ლარიბ აზნაურს დაემგვანა. სამაგიეროდ მშვიდი ცხოვრება იპოვა და ყველა მოიმაღლიერა.

მაგრამ ამავე დროს იგი არც ამ ქვეყანას გაეთიშა საბოლოოდ. დროგამოშვებით ცხენზე შეჯდებოდა, სამიოდე საათში ქალაქში ჩავიდოდა, ზოგთან სტუმრად მივიდოდა და იქიდანაც სამაგიერო სტუმარი მოჰყავდა.

უკანასკნელ დროს დუცალის შვილს ერთი სენი დასწემდა: მეგობრებთან კარის ჩაქეტვას, განაპირებას და ჩურჩულს მიეჩვია.

— რა გემართება, კაცო? — ხშირად ეკითხებოდა მეუღლე მაიკო. — რა ჩემი საქმე გაიჩინე?

— საჩუმარი არაფერია. შენ არხეინად იყავი. — ამშვიდებდა ქმარი და ერთ ნაჩუმარ საქმეს კიდევ ახალ-ახალს უმატებდა.

ნამეტნავ მას შემდეგ მოუხშირა ქალაქში სიარულს და ჩურჩულს, რაც სიმონ მაჩაბელი, ფილადელფოს ბერი, ლეონ სავარსამიძე. ანდრო ლეონიძე, ალექსანდრე ორბელიანი, მოლლა ზამანი და მიხეილ, ესტატე და ქაიხოსრო ჯავახიშვილები დაიმეგობრა. ისინიც ხშირად დადიოდნენ ალგეთის ხეობაში და მარაბდაში. მაგრამ ბერი კარვა ხანია დაეკარვა და ეხლა რომ უკებ მარაბდაში დაინახა, ვახარებული შალვა კიბის თავზე გამოეგება, ხელი-ხელს გაუყარა და აივანზე გაიყვანა.

* * *

ბერმა, დათუნამ და არსენამ ქართულ-სპარსულად მორთული დარბაზი გაიარეს და განიერ აივანზე გავიდნენ, რომელიც ქვეით ზალამდინარეს დასცქეროდა და ზევით — ალგეთის ამაველს ხეობას გადაჰყურებდა. მასპინძელმა სამივენი გრძელ სკამზე მიიპატივა.

ორბელიანებმა მარტო ბერს ჩამოართვეს ხელი, ისიც შედიდურად, დათუნას და არსენას კი მხოლოდ წყალობის თვალით გაუღიმიეს. ფილადელფოსი ხუთიოდდეჯერ მოიხარა, სამთავ თავადს მრავალი ქათინაური, მოკითხვა და კურთხევა მიუძღვნა და მოკრძალებით ჩამოჯდა.

ბარნაველი შორი-ახლოს იტუზა. არსენა კედელს მიეყუდა და ჩვეულებრივ ფეხი-ფეხზე გადაიდო, ხანჯალი ლაჯებში ჩაიგდო, ორივე ხელი შავი ძელის ტარზე დაიწყო და სმენად გადაიქცა.

თუ მოსაუბრე გამოცდილი და ქვეიანი ვინმე იყო, ოძელაშვილი ყველაფრით მიუგდებდა ხოლმე ყურს: ფართე და სუფთა თვალებით, დაჭიმული და სწორი შუბლით, თხელი და ოდნავ კენიანი ცხვირით, მალა აყრილ კოკორა უღვაშებით და მსხვილი თეთრი კბილებით, რომელიც მხოლოდ მაშინ გაიღვებდა ხოლმე ორი მძივივით, როცა მას მოსაუბრის ნათქვამი მოეწონებოდა.

ასე უგდებდა ყურს მარაბდელი ყველას, ვისგანაც რაიმე სულიერ გამორჩენას ელოდებოდა: სენნია ბარნაველს, როცა გადახვეწილი მას ანბანს ასწავ-

ლიდა; პაპი მახარას, რომელიც ძველ ამბებს მოუთხრობდა; ქაქუცისძე-მეგობარს დათუნას, რომელმაც ვეფხის ტყაოსანი, საგმირო ამბები, ~~და „წიგნის კითხვა“~~ შეაყვარა; თავის მამას ლუისივარს, რომელმაც მას ვარსკვლავთა ბრუნვა, დარის გამოცნობა, ნადირთა ცხოვრება და საქონლის მოვლა-მკურნალობა ასწავლა, და აგრეთვე ზაალს, დავითს, ყველა ბატონებსა და სტუმრებსაც, რომელიც მარამბ-დაში და ნანეტნავ კი ქალაქში მრავლად მოდიოდა ხოლმე ბარათაშვილებთან.

არსენას თვალწინ ბავშობიდანვე ათასმა ნასწაველმა კაცმა გაიარა და მისმა ყურებმა უთვალავე რამ მოიხსინა, ხოლო გონებამ ყველაფერი უნაკლო ცბირო-ლივით გაეცხრილა: ნაკმაზი გადაჭყარა და სუფთა ხორბალი შეინახა.

— რა ამბავია ქვეყანაზე, ბერო? — ჰკითხა შალვამ.

— მშვილობა ცათა შინა და ურვა ქვეყანასა ზედა. — მიუგო ანაფორამ და ყურებამდე გაიღიმა.

არსენამ ბერის პასუხზე ფეხი მოინაცვლა, თვალებსა და კბილებზე კრიალ-მა გადაჰკრა. იქ რომ თავადები არ ყოფილიყვნენ, არსენა ფილადელფოს ბერს, რომელსაც ფილადო დაარქვა, ხელში ეცემოდა და მიამახებდა:

„ჰოი შენ კი გენაცვალე მაგ სიტყვაში, ფილადო!“

ეს სიტყვები გულში კიდევაც წამოიძახა, ხოლო ბერის ნათქვამი — „მშვი-ლობა ცათა შინა და ურვა ქვეყანასა ზედა“ — სადღაც უნეტულში ჩაიკედა.

— როგორ იმგზავრეთ რუსეთში, მამაო? — ჰკითხა გრიგოლმა და ხალიჩით დაგებულ ტახტზე ჩამოჯდა. თეთრი მწვერები ორივე მხრიდან მიუდგნენ მას და თავები მუხლებზე დაუწყეს.

— ისე დავიტანჯე და იმდენი თავგადასავალი გადაშდა, რომ სჯობდა ჯოჯოხეთში მემგზავრა, კნიაზო, ვიდრე იქ წაესულიყავი. — მიუგო ბერმა და „მდაბიო კართულით“ ალაპარაკდა.

მის საუბარში აღარ ისმოდა „გარნა“ და „გვამსა შინა თვისსა“, „მოლო-დებსა შინა“ და „იდიანი მალანი“, არც „ოდეს იხილნა მიწასა ზედა“ და არც „მისცა მუნ ავთრათი“, აღარც რიტორიკა, დიალექტიკა ანუ დოღმატიკიდან ამოკრედილი „მტილი მალალი“, რომელსაც უდაბნოელი ბერი მხოლოდ მიწერ-მოწერაში და მოსაუბრის ვასაბრლებლად ხმაურობდა ხოლმე.

არსენას მკლავ-ტუჩებით შეფიცებულნი და საშინელ ბიფათით აწვოთებუ-ლი მარინე სწრაფი ნაბიჯით ბრუნდებოდა შინისკენ. მომავალმა გაქცევამ თუ მოტაცებამ ქალი უარესად აღანძა და ააფორიაქა. წელან მგდანამ შეუშალა ხელი, თორემ დაწვრილებით გამოაკითხავდა არსენას: როდის, როგორ და საით წაიყვანდა მას ოძელაშვილი. ახლაც ამაზევე ჰფიქრობდა და ვერ მიხვედრილიყო. ოძელაშვილს ყველგან ჰყავდა დოსტი და ძმადნაფიცი: ქიზიყში — ნათლიმამ ფარსადან მირზაშვილი, თიანეთში — ანდრია ცისკარაშვილი, გაღმა ბორჩალოში — ანდრია ბურნაძე და ათიოდე თათარი, იმერეთში — ზესტაფონელი ლამბაშიძე-ხეობაში — ცხოვრებაძე, გოგიტაშვილები და სხვაგანაც ასი თუ ათასი მეგობარი და მოყვარე ეგულდებოდა.

სულ ერთია, სადაც უნლა წაიყვანოს მარინე არსენამ, თორემ კი ხვალვე ან ზევვე წაიყვანოს, თორემ დაიგვიანებს და ვეღარც ვაი უწმინდესი ვეღარც კეპა ქუბილი. წელან მარინემ ნარგიზებთან მომავალი რუსენი რომ დაიხანა, გაიფიქრა: ეს ხალხი მაიორმა ალბათ გასაცულებლად დაიბარაო.

— მე უძალო ქალი ვარ,—ჭფიქრობდა მარინე,—და ქვეყნის გზაკვალისა არაფერიც არ გამეგება, ამიტომ დიდ არსენას პატარა ხურჯინივით ავეკიდები და მჭვენდობი. შეწამათესავით იაროს და თოფრასავით მატაროს. რა კარგი იქნება*!

ჩუმად ჩაიკინა და ანაზლად თითქმის მკლავებში ჩაუვარდა კუჭატენლს.

— ვის უკინი, მარინე?—ლიმილით ჰკითხა გიორგი კუჭატენლმა, რომელიც ხელგაშლით გადაეღობა გზაზე.

ქალი შეკრთა და განზე გაიწია, მაგრამ გიორგიმ ისევ გზა მოუჭრა:

— ნუ ჩქარობ, ნუ გეშინია, არაფერს არ გავენებ.

კუჭატენლს ღვინის სუნი ასდიოდა.

— გზა მომეცი.—ხმა ამოიღო მარინემ.

— მოგცემ, მარა შითხარი,—და ხმას დაუმდაბლა,—შითხარი, რა ვიჩქენია, ჩემი ცოლობა თუ მაიორის ხასობა?

მარინე გაფითრდა და ერთ ხანს ხმა ვეღარ იპოვა. შემდეგ კი წყრომით მიახალა:

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი ბასილაქ!

— ქალო, ნუ ფიცხობ. მეტი გზა აღარა გაქვს. არსენა შენს თავს ვერ ეღირსება.

— შენ არავინ არ გვეკითხება. გზა მომეცი მეტქი.—და ისევ გვერდი აუხვია.

— მარინე, ყური მიგდე.—და კუჭატენლის ხმაში მუდარა მოისმა.—შენი თავი შენს ქალბატონს ვთხოვე, მარა პასუხი ვერ მომცა. ეხლა მინდა შენ მოგელაპარაკო საღამოზე. ალავი მიჩვენე სადმე... ნუ გეშინიან, არაფერს არ დაგიშავენ.

და მარინეს პაწაწა ხელი ჩაბლუჯა.

ქაღმა გაიწია, მაგრამ ხელი იტკინა. ისევ გაიწია და ბრაზით მიამახა:

— შე უნამუსოვ, რუსისგან ამაზე მეტი ვეღარაფერი ვერ ისწავლე?

— მარინე, ყური დამიგდე მეტქი.

— ყაჩაღივით შუა გზაზე მიხედები და... ხელი მეტქი!

გიორგის შერცხვა, შუბლი შეიკრა, სიტყვის ძებნა დაუწყო, მაგრამ ვეღარ მოასწრო: უცებ მთქაში სხვისი ხელი დასწვდა და მარწუხივით მოუჭირა. ვიღაც უცნობი კაცი მიწიდან ამომძვრალიყო და კუჭატენლს დინჯი ღმილით შეჭყურებდა.

— როსტომ, მიშველე.—მიამახა მარინემ და ხელი გაინთავისუფლა.

— ვინ ხარ შენ?—რისხვით ჰკითხა გიორგიმ, თან ორი ნიბიჯით დაიწია და უცნობი თავით-ფეხამდე გააწომა.

მის წინაშე გრუზა გაცი იღგა შუა ტანისა და ახალგაზრდა, მაგრამ სიგანით კუჭატენლივით განიერი და მკვრივი.

— შენა?—გულუბრველოდ იკითხა უცნობმა და არც ხმას აუწია.—შეინა ვარ? როსტომი ჯორჯიაშვილს მეძახიან. ჯერ არ გაგიგია ქვემო წახელი?

— მე შენ გეტყვი ერმოლოვის გვარისა ბრძანდები, რამე გამოგოც გაიცინა კუჭატნელმა.

როსტომმაც გაიცინა და დაუხვედრა:

— თუ ჯერ არ გაგიგია, მაშ ეხლა გაიგე და დაიხსომე. სხვაფრივ კი ერმოლოვიც ფეხებზე მკიდია და შენი ბატონიც. იცი რას გეტყვი? მე ღიღი გვარისა არა ვარ. ერთი ბოგველი ბიჭი ვახლავარ, აი ამ ქალის ძმა ვარ, მაგრამ ჩემ დას არავის არ დავებრიყვებინებ. ხომ გაიგე რაც ვითხარი?—მოსაუბრეს ისევ თვალბში უღიმიოდა და ისევ უწყინარი ხმით ეკითხებოდა:—გაიგე მეთქი რაც ვითხარი?

— მე არც ვაპირებდი მარინეს დაბრყვებას.—დაუწია ხმას კუჭატნელმაც.

— ჰო და მაცას რაღა სჯობია!—მოუწონა ჯორჯიაშვილმა.—მაინც გირჩევ ქალს შარა გზაზე ნუ დაუხვედები, თორემ ყველა ჩემსავით მომთმენი არ შეგხვდება.

— შენ მარინეს სხვები მოაშორე,—ურჩია გიორგიმ,—თვარა მე არაფერსაც არ ვაწვებ.

— აკი ვამბობდი, კუჭატნელი ავი კაცი არ არის მეთქი—კეთილი ღიმილით მოუბრუნდა დას როსტომი და მერე ისევ კუჭატნელს უთხრა:—კაი დარბეგბა მომეცი. ეხლა სხვებზე ვიუიქრებ. ოღონდ შენ გაიღეტი განზე და ნურავის ნუ მიეშველები. მაშ გამარჯვებით იყავი.

მარინე გვერდით ამოიყენა, გაალაჯა და ჰკითხა:

— გოგო, არ იცი არსენა სად იქნება?

— არ ვიცი.

როსტომი შესდგა.

— გაიტყეცი და თუ სადმე შეგხვდეს, უთხარი, როსტომი ქალაქიდან ამოვიდა, ცუდი ამბავი მოიტანა და გეტებსთქო, მეც აქ სადმე მოვებნე.

— ისევ ცუდი ამბავი?—ამოიკენესა შალის მოახლემ.—ერთი ხერიანი მაინც ვაეროოს. დღე არ გაევა, რომ ავი არაფერი არ გავიგოთ.

— ღმერთს ავი ამბავი და გლებკაცი ერთმანეთისთვის გაუჩნია. წადი, არსენა მოსძებნე მეთქი.—მოუგო ძმამ და მარინე გაატრიალა.

მარინე თითქმის მირბოდა, როსტომი კი მუხის კუნძავით იდგა შუა გზაზე და მიწას ჩასცქეროდა. ერთ ხანს შავ უღვანს აწვალებდა, შემდეგ გაბრუნდა და ჩარდახისკენ გაეშურა. იქ სოფლის დალაქს საბას ხელსაწყო გამოეტანა და მარაბდელებს წვერს ჰპარსავდა.

ხუთი წუთის შემდეგ მარინე მოახლეთა ოთახში შევარდა და ფიქრის მოეხვია.

— ფიქრია, ან ღმერთი თუ გვიშველის ან არსენა, თორემ მეტი მხსნელი აღარავინ არა გვყავს.

ფიქრიამ ნიკაბი აუწვია, თვალბში ჩახედა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— კიდევ გაიგე რამე?

— ბასილას ყმები მოჴვიდა. გავცკელიან.— შიშით შესჩივლა მარინემ, კარგა ხანს იდგნენ მდუმარენი და მოლუშულები. ორჯერს ერთმანეთის გულის ცემაკ კი ესმოდათ. შემდეგ ფიქრიაშ თავი დაიბრუნა და დაეძინა.

— არხეინად იყავი, არსენა გვიშველის.

მარინე თითის წვერებზე შესდგა და ფიქრიაშს ყურს რომ ვერ მისწვდა, მის ყელს ჩასჩურჩულა:

— შე ხვალ ან ზევ მომიტაცებს, მაგრამ შენ რაღას აპირებ, შენა?

— მე? მეც დათუნა მომიტაცებს, ან მე თითონვე მოვიტაცებ.

და ორივე ქალმა ისე გადიკისკისა, რომ მათი სიცილი მესამე ოთახშიც კი შეიჭრა, სადაც მაიორი იწვა და ტკივილისგან იღმიჭებოდა.

* * *

მუხათიდან მოყვანილმა დოსტაქარმა ზაქრო ბაჯიაშვილმა მაიორს მკლავი გაუსინჯა და ოდნავ მოსწია. ბასილა ისე აბღავდა, რომ მისი ხმა ალგეთის ნაპირზედაც კი გაიგეს. შემდეგ დამბაჩა იძრო და ფერწასულ ექიმს დაუბიზნა:

— მოგკლავ! გესერი, შენა...

და ხუთსართულიანი რუსული საცხონებელი მიაყოლა.

ზაქრო აივანზე გაეარდა და პატარა ბატონს დავეთს მიახალა:

— გიქია ეს ოხერი?! მადლობის მაგიერია?

დოსტაქარს ყოველ მხრივ მოეხვივნენ და მიაყარეს:

— რა მოხდა? რა იყო?

— გიქია მეთქი! დამბაჩას მიმიზნებს.

— ვეცო, ასეთი ამბავი გავგონილა!— გაიკვირა ზაალმა და ბაჯიაშვილს უთხრა:— ვეცო, სანამ არ უშველი, აქედან ვერ წახვალ. ნუ კი ეხუმრები, — და თითი მალლა ასწია, — რუს ხელმწიფის კაცია, ძალიან დიდი კაცია მეთქი!

იმ ოთახში ელიზბარმაკ შეიხედა, მაგრამ ისიც ყუმბარასავეთ გამოგარდა.

— მართლა გაგიყებულა! დასაბმელია!

— ჰეჴუაზე როდის იყო, რომ ეხლა გაგიყებულეყო?— იხუმრა ყაფლან ორბელიანმა.

ზაალმა, დავითმა და მათმა ნათესავმა სუმბათაშვილმა ჰაბუკს დაუბღვირეს და სიცილი აულაგმეს.

— ბატონო, — მიუბრუნდა ბაჯიაშვილი დავითს, — უბრძანეთ, ერთი ტიკტორა მომიტანონ.

— რად გინდა ბიჭო ტიკტორა?— ჰკითხეს დოსტაქარს აქე-იჭედან.

— მინდა. მომიტანონ და ნახავთ.

მეჩიბუზე გარსიაშ უმაღვე ამოიტანა ცარიელი ტიკტორა და ბაჯიაშვილს გადასცა. ზაქრომ ფრთხილად შეაღო კარი, ტიკტორა ბასილას მიუგდო და დავითს მიუბრუნდა:

— ბატონი, უთხარი ეს ტიკტორა ილღიაში შეიღოს.

ყველანი კარებთან და ფანჯარასთან შექუჩდნენ და ერთმანეთს თარჯიშა-ნობას ეცილებოდნენ. ბასილა ჯერ იბღვირებოდა, რადგან არაფერი არ ესმოდა, მერე ტიკტორას დასწვდა და კენესით ამოიღო ილღიაში.

— ესლა უთხარით ამ ტიკქორაში ნელ-ნელა ჩაპბეროს.

— ჩაპბერეთ! ჩაპბერეთ! *Дух! Дух!*—მიადახეს თავადებმე, *მეცხელე* ღვიბადრა. ტიკქორის ტუნი პირში ჩაიღო, ლოყები გამოიბუშტა, ჩაპბერეს! *განსძვია* და თვითონაც მყვარივით გასივდა,

— აგრე, აგრე!—სიცილით ეძახდნენ.—კიდევ, კიდევ!—დუი, დუი!

ტიკქორა თანდათან იესებოდა ჰაერით, მაიროვიით იბერებოდა და ამოვარდნილ მკლავს ზევით ეწეოდა. უცებ სამხრე შვალმა დაიჩაბუნა და ჯამში ჩაეარდა.

იქ მყოფთა ხარხარმა ოთახი გაავსო, ბასილამ კი დაღმეჯით ჩაიხითხითა და ტახტზე გაგორდა.

— ასეთი ჯადოსანი ვაგონილა?—სიცილით წამოიძახა ზაალმა. — მეტი რაღა გინდათ, ვეყო!—და მოლიმარე დოსქატარს ქების ნიშნად ყური აუწია.

სხეებმაც ვითომ ბაჯიაშვილის ოსტატობაზე გაიციინეს, ნამდვილად კი ზაალმა გაამხიარულა, რომელმაც ბავშობიდანვე „მეტი რა გინდა“ აიკვიატა და ზედმეტ სახელადაც მიეკერა.

თავადები და კენინები ისევ ზემო აივანზე გალაგდნენ. ფიქრია და მარინე თავიანთ ოთახში შეიკვიდნენ. ბაჯიაშვილმა კი მაიორს კისერზე აბრეშუმის ნაქერი შეება და ნაღრძობი ხელი ზედ ჩამოუყიდა. შემდეგ ისიც ქვეით ჩაივია და აზნაურებს შეუერთდა. ბასილა კი გულაღმა იწეა და მფიქრობდა, ვინ გაეციბირებინა, რამოდენი ჩამოეხჩო და ვინ დაეჯილდოვებინა.

ზაალის გარდა დასაჯილდოვებელი ჯერ ვერავენ ვერ გაიხსენა, დასასჯელი კი იმდენი ჰყავდა, რომ სათვალავიც აერია. თავდაპირველად შალვა ბარათაშვილი, დათუნა ბარნაველი და საავიტაციოდ ამოსული ბერი უნდა ჩამოეხჩო, რადგან ისინი აღექსანდრე ბატონიშვილთან რაღაც ძაფებით იყენერ გადახლართული.

შემდეგ ცალთვალა ღვთისაგარს მიაყოლებს, რომელმაც დღეს საქვეყნოდ სირცხვილი აჭამა მას. მერე არსენას, ჯორჯიაშვილს, კარპიას და ათიოდე სხვა გლეხსაც ჩამოჰკიდებს, რომელნიც მთავრობას ეურჩებიან, სამხედრო ბეგარას არ იხდიან და ორ ლამაზ ქალსაც ედავებიან.

მართლა, კინაღამ დაავიწყდა: ელიზბარსაც გააციმბირებს, რადგან ესეც წინ გადაეღობა: ზაალის ქალს დაროს თვალის დაადგა და გამუდმებით თავს ევლებდა. ვერა, მეფისა და მაიორის მტრებო, ორგულნო და მოლაღატენო, ვერაფერსაც ვერ გაიტანთ, თქვენ ჯერ არ იცნობთ მაიორ არღოვს და არც გირჩეეთ გაიცნოთ, თორემ იმ თავგებებით ინანებთ, რომელთაც კატის გაცნობა მოისურვეს.

უზარმაზარ ქანდრის ორ ტოტზე თითქმის მუდამ ქოქინა იყო გამბული. ბარათაანთ თარი, ლექსი და სიმღერა ყველგან განთქმულია. მათ ამ საქმეშიც მხოლოდ ორბელიანები ედავებიან, მაგრამ მთავარი მსაჯულები—აზნაურები და ყარაჩოხელნი—ბარათაანთ მხარეზე არიან და პირველობას არვის არ ანებებენ.

ზაალის შვილი დავეთი, დრაგუნთა მუნდირში ჩაქედლილი, ღრმად იყო დაჯერებული და სხეებსაც არწმუნებდა, რომ მწოლარე ზეზემდგომზე უფრო კარგად მღერისო, და ამიტომ, თუ ხელსაყრელი დარი იღვა, ქოქინაში ჩაწებო-

და ხოლმე და ლილინებდა, ან ტახტზე გაგორდებოდა, ზურგს ბალიშ-მუთაქებს მიაყუდებდა და თავის ხელოვნებას ხალხს ამგვარად აჩვენებდა. *მეტი*

ეხლაც აზნაურებისა და კნინების თხოვნა შეეწყურებინა, დაწესდა კოჭინაში ჩაწოლილიყო, სადაფით შექვილილ თარს აელარუნებდა და უნდოდად ლილინებდა. ახალგაზრდა თავადს წერილი, მაღალი, რახათ-ლუხუმით ტკბილი ხმა ჰქონდა და მისი ჰანგებიც და ლექსებიც ასეთივე რბილი, ტკბილი, კოჩორა და უნდოლი იყო:

მისი კილო სევდით იპრანჭებოდა, ქალაბიჭურად ქვეთინებდა და ნაძალადევად ჰკენესოდა, ხოლო ლექსი მთვარის, ვარდისა და ბულბულს შორის გახლართულიყო და კაკანათში გაბმულ ჩიტით უძალოდ ფართხალებდა. ყოველგვარი „მუხამბაზი“, „ჯანყუში“ და „ბაიათი“, „შიქასტა“ და „მუსტაზადი“, „გაფი“ და სპარსულ-ოსმალური ყაიდები მიღეულ სულის უღონო ამონაბერს და გალახულ ბაღის სლუკუნს ჰგავდა, რომელსაც მოთქმისა და ტიტინის მეტი აღარაფერი არ შეეძლო.

ახალ აღნაგო სულადა,
 ეფში ამოსულადა,
 ჩემს ეტლზე დანერგულადა,
 სიცოცხლეს შენგან მოველო,
 უკვდავება ხარ ცხოველი!

დავითი თვალების ბლექტით მღეროდა და მის ხმისა და თარის კენესა-ჩიფჩიფს სტუმრების ოხვრა მოსდევდა, ხოლო დროგამოშვებით აქეთ-იქიდან ჩუმი გადმონაგდებიც ისმოდა:

— ბულბულია მეთქი, ბულბული! — გაიძახოდა ელიზბარი.
 — შენ მერე ნახე, როცა ერთ ხელადას დასცილის. ბულბულსაც გაათასებს. — ამბობდა სუმბათაშვილი.

— ნამდვილი ჯადოსანია, ნამდვილი!

— თილისმა აქვს მეთქი, თილისმა.

ზაალი კი ვაკივით დააბოტებდა აივანზე და წარამარად იძახდა:

— მეტი რა გინდა, ვეყო!

მამაკაცებს თვალები და ცხვირი მიწაში ჩაებჯინათ, ხოლო აივანზე გადმოფენილ კნინებს თავი ხელისგულზე დაეყრდნოთ და სასიყვარულო ლანდებით სავსე თვალები ლაევარდ ცაში სიქსტინის მადონასავით აღებყროთ. მიზნედილი დავითი კი ისევ მომაკვდავივით ჰბოდავდა:

ორი კვირისა მთვარეო,
 ნათელ ბრწყინვალე არეო,
 ანგელოსთ მიწყო დარეო,
 სიცოცხლეს შენგან მოველო,
 უკვდავება ხარ ცხოველი.

— ჯან-ჯან! — მაღალი შეძახილით ამხნევეს დავითს ელიზბარი.

— ჰაი დაიწვას შენი დაშველი, დაიწვას! — ხშირად ისმის ჩუმი კენესა აზნაურთა შორისაც.

დროგამოშვებით მომღერალი სულს ითქვამს, ქება-დიდებათ გულს ილოკავს და ისეც ვარდს დასტირის, იადონს დაჰკენის და ჰადამკრავს მხარეს ჰყეფავს, ეზო კი დუნდება და უძალია ჰმუნვით საბალო ფაფასავით ლბუნა.

სივარულო, ძალსა შენსა,
ვინ არს, რომე არ მონებდეს?
შენგან მეფე მონას ჯმოსს,
შენგან ბრძენი ზელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის,
რომ შენ გამო ვარდს შეტყუდეს!

თავადების სუფრაზე სამ ხმაზე აღარ მღერიან: სამხმოვანი სიმღერა გლეხურიც, მდაბიურიც, ქართულიც, ხოლო ერთხმოვანი სპარსულ-ოსმალური გაფი და მუხამბაზი, შიქასტა და მუსტაზადი, ბაიათი და ყველა ყაიდა დიდებულთა სამღერალია, რადგან იგი მათი სისხლის გამოანაგონია.

ლექსი და სიმღერა ჯერ კიდევ სპარსულია, სამაგიეროდ ჰამა-სმის ტაში უკვე რუსულია. თავადების სადილი ივჯიანებს, გლეხის კუჭი კი დიდი ხანია გაჰკივის. დღეს მათ სამხარი არ უქამიათ და სადილობამდის ოდნავ უნდა დანაყრდნენ. მზარეულმა ლაცაბიძემ და მელვინემ ლაშქარა გოჩაშვილმა ეს კივილი შეისმინეს და თავაკებებს მცირე საუზმე გაუმართეს.

ლაშქარას მიწური ზაილის სასახლის გვერდით სდგას. ზურამ და ერეკლემ „ალსაჰკალებს“ ჟმალვე ამ მიწურში მოუყარეს თავი. სევასტიმ ზურას ხელით ერთი ხონჩა პური და ხორცით სავსე ჰატარა ქვაბი შემოაპარა, ლაშქარამ კი ერეკლეს ორი საღვინე გამოატანა.

თავაკების კრებულს თავიც უნდა გამოეზას, ხოლო ალგეთის ხეობაში ასეთ ოთვად „ცალთვილა დევი“ ლეთისავარ ოძელაშვილი ითვლება. ვინც საერთო რასმეს დაიწყებს, ლეთისავარს უნდა მიადგეს. ყველა საქვეყნო საქმეს ის ნათლავს, ისა ზრდის, ჰყვებას, მისდევს და ნიუძღვება.

შუაეკიცი ის არის და წინამძღოლიც, მომრიგებელიც და მსაჯულიც, გლეხის მოსარჩლეც და კირისუფალიც, მრჩეველიც და ქვეყნის გზირიც და მისი კამეზური კისერი და მართლა დევური ბეჭები ყველაფერს ერთვულად ეზიდება.

მთელი თრიალეთი, კახეთი და არაგვიც კი მღეროდა არსენას მამაზე:

ცალი თვალი აქვს ლეთისავარს,
ორით ნეტა რას იქმნოდა?!
ეშმაკა ხარკი მიჰქონდა,
დევი დაფრთხალით ნირბოდა.

ლეთისავარმა ცალი თვალი ნიაზურას ბრძოლაში „დასთესა“, ხოლო მეორეს სად გამოსთხრიან, ჯერ არავეინ იცის, მაგრამ ის კი იცინა, რომ საქვეყნო საქმე ოდესმე ამასაც მოსთხოვს და ისიც დამპალ ჰანტასავით მიუგდება.

ხორცი უკვე გაცივდა, მაგრამ თავაკები ლეთისავარის მოლოდინში არიან და ჯერ ტაბლას არც კი მისხდომიან. ბოლოს ცალთვალაც მოვიდა, ბოდიში მოიხადა, მცირე სუფრა აკურთხა, სამფეხაზე ჩამოჯდა და მახომელას შოთი შუაზე გადასტეხა. მერე სთქვა:



— ხვალ პირველი გუთანი უნდა გაიტანოთ. ყველანი შხათა ხართ?
 — შხათა ვართ, შხათა.— უპასუხეს ყოველ მხრივ.
 ღვთისაგარმაც იმიტომ დაიგვიანა, რომ გუთანს მართავდა და ესო უკანასკ-
 ნელად უნდა მოესვა.

— შხათა ვართ,— დაუდასტურა ნასყიდამაც,— მაგრამ რას შოერევა სამი გუთახი!

— ჰაი-ჰაი, რომ ვერ შოერევა.— ჩაურთეს აჭეთ-იჭიდან.— უწინ მარაბდს ცხრა გუთნეული ჰყვანდა, ეხლა კი სამივე ძლივს მოვაგროვეო.

— საჭონელი ვაგვიწვევითეს...

— გასწვევითს ღმერთმა ასეთი ბატონი და ასეთი ხელმწიფეც.

— მათი გამწვევები ჯერ არ მინახავს,— სთქვა ცალთვალამ,— წყველა დია-
 ცებს დაეანებოთ, ჩვენ კი ამ დალოცვილის გემო ვნახოთ. დაიასბი, ერეკლე!

— დაგვისხი ზურა, თორე ყელში გოლვა ჩაგვიდგა.

ცოცხლები ადღეგრძელეს, მკვდრებიც გაიხსენეს და ნელნელა შეხურდნენ. ზურა და ერეკლე თავზე ადგნენ და ღვინოს უსხამდნენ.

მასპინძელი ლაშქარა მკირე ხნით შემოვიდა, მახარის კალთიდან ერთი სა-
 ღვინეც გამოიღო, სტუმრები სავსე ჯამით ადღეგრძელა და ისევ გაიქცა.

შემდეგ კარები სევასტის წვერმა დააბნელა. ლაცაბიძემ სამი მწვადი შემო-
 იტანი, სუფრაზე ჩაუთალა, იგივე ჯამი დასცალა, თრიოდ სიტყვა ძლივს გაი-
 მეტა, კუპრივით შავს წვერ-ულვაშში თეთრი ეშვები გააკრიალა და უმაღლე
 გავიდა.

გლეხებმა თითო ჯამი კიდევ მოიყუდეს, და სწორედ იმ დროს, როცა ჰან-
 დრის ქვეშ „ბულბულ-ვარდი ბადრი მთვარე“ ჩიფჩიფებდა, მიწურიდან ღვთისა-
 ვარის ქუხილი ამოვარდა:

შენ ბიჭო გუდარბეგელო-ო!

და ეს შენაძახი უმაღლე ოკოოდ გლეხმა მოიტაცა და მძლავრი გუგუნით
 გაჰყვა ბელადს, რომელმაც ფოლად-ვერცხლის ზარივით ჩამოასხა:

შენ ბიჭო გუდარბეგელო!

შენი ხმა ჩამოდიოდა.

შეხი ნახოცი ლეკები

აღგეწი გამოდიოდა.

სუფრა ორ გუნდად გაიყო და თითო გუნდში ორი მოსალმუნე გამოეყო.
 ერთი რომ შაირს ასრულებდა, მეორე მას ბურთსავით იტაცებდა.

სოფლის ჰონმა პაპუნა ილაჯაშვილმა ღვთისაგარის ვაჟკაცურს ფიცხლად
 გუთნურ-მიწური მიუყენა:

შენი ჰირიმე გუთანო,

გათლილო წმინდის ხისაო,

შენ აქმეე პურაა გლენჯაცსა,

დამმარხველი ხარ მტრისაო.

სუფრის ბოლოდან თემურხანიაანთ ნასყიდამ, ფეიქარ-ოსტატმა, სწორედ
დროზე გამოსტაცა:

ლეთისავარ, ბირთვის გაზრდილო,
ზმალს როდის მივიშვებდა?
თმში შეჩვეულ და გამოხვეალ,
გული არ შევიშინებდა.

და მეორე გუნდს გადაუტლო:

— პეი, ბერუაფ, შენი ჯერია!

ნაბდის მთელაემა ბერუამაც მაშინვე ჩამოართვა!

მთელი აზნაურისა
ადლი და ნაბეარია,
საწახლი გლეხი კაცისა
არც მისი ნაბეარია-ა-ა.

და სუფრის თავს გადასძახა:

— ლეთისავარ, მიშველე.

ლეთისავარს გახსენება არ სჭირდება:

თქვენი რიგია, ბიჭებო,
ხელის დადება ზმალზედა,
ფორნები ლემით ძლებიან
მამების წაოშარხება-ა-ა.

და მჭექარე ხმით გადაიკლო:

— პაპუნაფ, ნუ დაგძინებია.

ღმერთო, ნუ მოწლი გლეხისთვის
ლბინა და გაზარებასა,
ჭაღების გათხოვებასა,
ვაფების გამრავლებასა,
ბატონის სახლში—კუბონა,
კრემლსა და მწუხარებასა.

და მოქიშპეს მიიძახა:

— ნასყიდაფ, პირიდან ფაფა გამოილე!

ნასყიდამ უკბილო პირიდან უმაღლე გამოილო „ფაფა“.

შეე ლუდსა, წითელ ღვინოსა,
განა ერთფერად სმა უნდა?!
გნაზე მომდგარ სიტყვასა
განა სუფველას თქმა უნდა?!

ბერუამ ხარის მადლი გაიხსენა და გუნდრუკი შეუტყია:

ორშაბათობით გაშენდა
ციხე-ჭალაქი მთაზედა.
ადამიანის ეოდებო
კერაუნ იღო თავზედა.
აღვა ხარი, მოახსენა:
„შე დამაწერეთ ქედზედა“.

აინთა წვედი სანთელი,
მოიკრა ორთაე რქაზედა.
ვინც კვარა-უქმეს შემაბას,
როსტა მიადგეს ვარზედა.



ლეთისავარმა ბრუტიანი თვალი ბედს გაუსწორა და გაიწვია:

ბედო, დამაგრე, არ ვტირი —
ტირილა დიადე წესია.
ბერჯუბრ ვყოფილვარ ამ დღემი,
მაგრამ არ დამიკუნესია.
მაკადე, ვრათი გავმართო
ჩახმაზი, ცეცხლის კვსია,
სულ ერთად მოგამკვიწრო
რაც გლეშებ დაგიოესია.

და როცა ერთხელ კიდევ მოვიდა მისი რიგი, ახალი ნაკადი ჩაურია:

ღმერთო, წვიმა მოყვანე,
ღარი დარზე მიაბიო,
ახალური ამოწვეტიც,
მკედარი მკედარზე დაბიო,
გლეხი კაცი მოამრადლე,
სახლი სახლზე მიადგიო,
მეფე მეფეს გადააკიდე,
თავადს თუხი დაადგიო...

და ეხლა—ლა შეაშინია, რომ ღვრიანი გაქუმებულისყო და ბანააც გუგუნო შეენელებინა.

ცალთვალას ბრუტიანი თვალი კარებისაკენ ჰქონდა და ახალმოსული გიგოლა ვერ დაინახა. და როცა თავი მოიბრუნა და გაიქმდა, მიწურში მართლა მიწური დღმილი ჩამოწვა; ხოლო ხაალის ნაბიჭვარს, უგვარო გიგოლას მოეჩვენა, თითქო ლეთისავარს მისთვის თვალის მაგიერ ხანჯლის წვერი მიებჯინოს.

— შენ ჰეი, ნაბიჭვარო, აქ მო!— დაიბარა ბოლოს ცალთვალამ შემოპარული მოენე.

გიგოლა სხვა ვინმეს „ნაბიჭვარისთვის“ ქვას ესროდა ან კეტს დაარტყამდა, ცალთვალას კი ქლესურად გაუღიმა, წირპლიანი თვალეხი მოარბდა და გაუბედავად მიუახლოვდა.

— რას აცაკუნებ მაგ თვალეხს ხაფანგში გაბმულ თაგვივით, შე ბატონის თესლო, შენა!— შეუტია ცალთვალამ.— ახლო მოდი მეთქი!

გიგოლამ ორჯერ კიდევ წაიფურხილა.

— ეხლა მითხარი, არსენა სად არის?— ჰკითხა ლეთისავარმა.

— მე რა ვიცი?— ვითომ იწყინა ნაბიჭვარმა და ყავის-ფერი კბილეხი გამოაჩინა.

— ძალიან კარგად იცი, სხვამ რომ არ იცოდეს, შენ მაინც გეცოდინებო— სთქვი მეთქი!

გიგოლა შეეყოყმანდა. მერე გატყდა და წაილულულა:

— წელან ბარნაველთან შევიდა. იქ მაგდანას მეტი შინ არავინ არ იყო. მერე კი... — უცებ დაიხარა და ღვთისაგარს უფრში ჩასწორდა: — მაშინვე მოვიდა. არსენის მამამ თავი კედლისკენ მიიბრუნა, რადგან ცნობის გიგორას პირის სიმყარე ეცა, და ცივად მოუჭრა:

— მე მაგას არ გვევითებები. ეხლა სად არის მეთქი?

— შალვა ბატონთან. — დარცხვენით წაიღულღულა ბასილას ჯამუშა. — დათუნაც იქ არის, გრიგოლ ორბელიანიც, ალექსანდრეც და კიდევ ვიღაც ბერი მოვიდა. მგონი ფილადელფოსი ჰქვიან. შარშანაც იყო მარაბდაში. საქალმასოდ მოვიდა.

— აკი ვითხარი, იცი მეთქი. ეხლა ყური მიგდე...

— ხელი... — უცებ ამოიქნა ელა ნაბიჭვარმა. — ხელი გამიშვი, მტკივა...

ცალთვალამ ეხლა-ღა შეიმჩნია, რომ მის შარვევან ხელს გიგოლას მაჯა ჩაებლუჯა და მის დამსხვრევას ლამობდა. შენიშნა და თვითონვე გაუყვირა, რომ ამ გომბეშოს მიეკარა, გაუკვირდა და ისე გაღაისნა მუხლზე ხელი, თითქოს იგი წაებილწა და გაიწმინდაო.

მიწურში ისევ ღუმილი იდგა.

— ყური მიგდე მეთქი, გიგოლი. — ისეთი ხმით უთხრა ღვთისაგარმა, რომ კედლებმაც კი სტკვიტეს ყურები, და ცალი თვალი შანთივით ჩაუყარა თვალბსა და გულში. — იცოდე, რაც წელან გაიგე, ეთომც არ გაგიგონია, და რაც არ გაგიგია, ეხლავე გაიგებ და დღესვე „იქ“ აიტან. გაიგე რა ვითხარი?

— გავიგე. — ძლივს ამოისუნთქა გიგოლამ და აღარ იცოდა, ამ კაცის ცალი თვალი თავის გულიდან როგორ ამოედო.

— აგრე. — დაუკრა კვერი ღვთისაგარმა და სუფრას მიუბრუნდა: — მებო, დავლიეთ თუ არა წელან ხემწიფის სადღეგრძელო?

— ჰაი ჰაი, დავლიეთ. — დაუბეჭდეს გლეხებმა.

— დავლიეთ თუ არა რუსის სალდათის გამარჯვებისა?

— მაშ, მაშა, დავლიეთ!

— დავლიეთ თუ არა ზაალისა და ყველა ბატონების სადღეგრძელო?

— დავლიეთ, დავლიეთ!

— მაშ გიგოლი, — მიუბრუნდა ღვთისაგარი ნაბიჭვარს, — წელანდელი დივიწყე, ეხლანდელი დაიხსოვე და დღესვე მოახსენე, რომ ჩვენ მეფისა და ბატონის სადღეგრძელო დავლიეთ. ხომ გაიგე მეთქი?

— გავიგე. არხეინად იყავით. ეხლავე მოვახსენებ.

და ჯამუშა პატიოსან სიტყვის ნიშნად უღვაშზე ხელი დაიდო და წასვლელად გაბრუნდა.

— დაიცა. — შეაჩერა ცალთვალამ. — ჯერ დაველოცე. — და საფსე ჯამი მიაწოდა.

გიგოლა გრძლად და სხაპუნით დაილოცა, ჯამი დასცალა, ღვთისაგარს დაუბრუნა და გარეთ გაეარდა.

ღვთისაგარმა ცალი თვალი გააყოლა, მერე ხელში-ნაკერ ჯამს ჩააშტერდა. მცირე ხანს იყუნა, შემდეგ ის ჯამი ოიქნია და უმბარასავით სთხლიშა კედელს, თანაც დააყოლა:

— ძია ღვთისაგარ, — უთხრა როსტომმა, — დრო იხელეთე კვიქვიქვილი გადამალე საღმე.

— იყურე, ბალო, რომ მოვასწრო კიდევაც, ქვეყანას რაღა პირით შეეხედო? ესეც რომ არ იყოს, დამალვა ვერას გვიშველის. იმოდენა ჯარი რომ დავაწევა და მოგვთხოვს, მოიტაო, ქვესკნელშიც ვიპოვით, ცოლშვილსაც კი გავყიდით და მოვუტანთ. შენ ჯერ ჯველი ხარ და არ იცი. ნურავის ნუ ეტყვი მეთქი. დღეს ნამცეცობაა. ხალხი მშვიერია და ნუ ჩაამწარებ, ავარ ქეთარაც მოდის. შულაგრიდან ჩაფრების წამოსვლის ამბავი მაგან მოიტანა. თქვენ გაიარ-გამოიარეთ და ზაილის კარზე დამიხედით. არსენასაც იქ მოვიყვან.

როსტომს მოშორდა და ჩაიბუტბუტა:

— ლმერთო, გვიშველე!

ფილადელფოს ბერი წრეულს ოცდაათისა შესრულდა. ქაბუკობაში გელათის მონასტერში იყო მორჩილად, მაგრამ ვინ გაუძღვებდა ეგზარხოს ფეოფილქტეს (ჯოჯობეთის მოციქული და ანტიქრისტე იყო)? ქართული ეკლესია მოსპო, მღვდელმთავრები აცემინა, რუსეთში გადაასახლა, მონასტრები და ეკლესიები დაცარცვა და სიონის ტაძარშიც კი აკრძალა ქართული წირვა. როგორ შეეძლო მაშინ ფილადელფოსს არ აჯანყებულიყო! ფილადელფოს ბერი ღრმად იყო დაჯერებული, რომ იესო ქრისტემ მხოლოდ ორი ენა იცოდა — ქართული და ებრაული. მაგრამ რადგან ებრაელებმა არ შეიწყნარეს ქრისტე, მან ებრაული დაივიწყა და ებლა მხოლოდ ქართულს ლაპარაკობსო, და ამავე დროს გააფთრებით ამტკიცებდა, რომ მეორედ მოსვლის დროს მამა-ღმერთი ცოლველთა და მართალთა განსჯასაც ქართულად მოახდენსო. ბერს თავის-თავი ცოცხალთა შორის პირველ ქართველად მიაჩნდა და ამიტომ ჯვარი მარცხენა ხელში გადიდო, მარჯვენაში კი მახვილი ჩაიღო და ქუთაისში წამოვიდა.

„რუსი ღენერლები იმერეთშიც ასპიტ ყაჩაღებევით შემოიჭრნენ. — ხშირად იტყოდა ხოლმე შემდეგ ფილადელფოსი. — ხოცეს, ანგრიეს, სწვეს, სძარცვეს და სამშობლოს ერთგულები ათასობით გააციმბარეს. განა შახბაბის ამაზე უარესი უქნია?! თქვენც არ მომიკვდეთ, არ უქნია. თათარი მტრად მაინც მოდიოდა, ავინი კი შეგობრებდად მოგვევლინენ და ჩვენებურ სახარების ქვეშ ჩვენივე დასაქლავი დანა მოიტანეს“.

ამიტომ ისმოდა იმ ხანებში გელათსა და სხვაგანაც წყველი-კრულვა ლოცვის ნაცვლად და წირვის მაგიერ ურვა და ვალალი იღვა. ბერები ხატების ნაცვლად იარაღს სქედავდნენ და სეფისკერის მაგიერ თოფის წამალს ამზადებდენ. სასოების და მორჩილების მახურნი გამძვინებით სთესავდნენ აჯანყებას და სხვებთან ერთად რუსის მთავრობას მალე ისეთი მძულვარება და შფოთი მოუშვეს, რომ ეხლაც კი, თითქმის ათი წლის შემდეგ, ქვეყანა შურისძიებისა და უსაზღვრო ზიზღის ბურანში იყო გახვეული.

არა, გელათელ მორჩილს კიკნაველიძეს არ შეეძლო მაშინ ქუთაისში არ ჩაპარულიყო და ჯანყი არ ებნია, ეხლაც ახსოვს რა ზღვა ხალხი მოგროვდა ერთ

დღეს რიონის ნაპირზე. იმ ხანებში ფილადელფოსი ქადაგად იყო დაეარდნილი, ხოლო იმ დღეს აქაურობას ნავთსავით წაუქიდა ცეცხლი და ინგლისელები იმერლობა თოვის წამალივით ააფეთქა. დაულაღვი ბერი ანატორის ფრიალით გამწარებულ არწივივით, დაჰქროდა რომელსაც მართებენ მოსტაცეს, ხოლო მისი მძლავრი ხმა დილით-დილაშდ სქექდა.

„დააგროვეთ სატევარი, ლეკური, ფიშტო! ღმერთი ჩვენთან არს და საქმე ჩვენი ქრისტეს მიერ არის ნაკურთხი“.

და მალე რიონ-ყვრილას ნაპირებზე სიკვდილმა უხვი მოსამკალი იშოვა. რუსები დაფრთხენ და ბარგი ჩაილაგეს, მაგრამ ერთმა მომაკვდავმა დაკოდილმა ტყვემ შეფიცულთა მოთავენი გასცა და აჯანყების კვანძები გააზილა. რუსებმა მოასწრეს, დაიჭირეს, ათი მეთაური საჯაროდ ჩამოახჩეს და მრავალი ათასი დააღპეს და გააციმბირეს.

სისხლიანი მოსავლელი მოვიდა და ისევ წავიდა, სამაგიეროდ მძლავრად დარჩა ქვრივ-ობოლი, კრემლის გუმბ, ცეცხლის ბოლი, გასრესილი ოჯახი, მათხოვარი და გიჟი, პანაშვიდი და ქადაგად დაეარდნილი, გარდახვეწილი და ყაჩაღად ვივარდნილი.

„დაემარცხდით,—ხშირად ამბობდა ფილადო, მარა უსისხლოდ ვის მოუპოვებია თავისუფლება? თუ ერთხელ მაინც არ მოგივიდა მარცხი, გამარჯვებას რაეა ისწავლი?“

და იმ დღიდან დაულაღვად სწავლობდა გამარჯვებას, თანაც მტკიცე რწმენას უნერგავდა ყველას, რომ ოდესმე (მალე, ძალიან მალე!) რუსის აღსასრულის დღე დადგებოდა და საქართველო გაუსხლტებოდა ნიკოლოზ პირველის (და უნანა-სენელის) ჩექმას.

დეკემბრის აჯანყების ამბავი რომ გაიგო, სიარულის მაგიერ სირბილი დაიწყო და ჩურჩულად გადაიქცა, თანაც ჯურღმულებში ძრობას მოუბშირა, მაგრამ მისი იმედი ჩალასავით ჩაიწვა და ბერი ისევ ხან სპარსეთის იმედით ცხოვრობდა, ხან ოსმალეთს შეჰკურებდა, ზოგჯერ ინგლისის მოსვლას ელოდებოდა და ზოგჯერ საფრანგეთსაც ებღალუებოდა და ყველას ეფიცებოდა, თითქოს მათ საგანგებო ხალხი ჰყოლოდეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მიჩენილი: საფრანგეთს ვინმე ლეტელი, ინგლისს კი ვინმე სემინო, რომელნიც ამისთვის თურმე ახალ ლაშქარს აგროვებდნენ და ახალ შეთქმულებას ამზადებდნენ.

იმერეთის დამარცხების შემდეგ მორჩილი კიკნაველიძე იმერეთში გადმოიპარა და აზნაურ კიკნაძედ გადაიქცა. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა. მას ჯერ მფარველი არა ჰყავდა. დიდხანს დაძრწოდა უპატრონოდ და ბოლოს სოფელ ხირსაში, კახეთში, დიაკვნობა იშოვა. შემდეგ გალობის ცოდნამ და კრინის ხმამ უშველა: მგალობელთა გუნდი შეადგინა და ალავერდობას თავის უხელოვნება ანტონ კათალიკოსს უჩვენა.

ფილადელფოსი მაღალი კაცი იყო. სამაგიეროდ დაბლა თავის-დაჯერა და საშად მოხრა ემარჯვებოდა. ღიმილი ჯადოსნური ჰქონდა, სიტყვა-პასუხი ტემბილი და საქმეებით გაეყენთილი, სიარული—შემპარავი, ხოლო ჭკუა-გონება—დაბინდული, შირონცხებული, მკითხაური და ამავე დროს შთაგონებული, მოქნილი და ჩათხრობილი.

კათალიკოსმა მალე დაიხლოვა. შემდეგ ჩოხა უკუბრუნდა და დიდ წარმატებაში შეჰყავდა, მაგრამ ბერს ბედმა უმტყუნა: ანტონი რუსეთში დაბრუნდა და მთავარ ეპისკოპოსად გაამწესეს ნიჟნი ნოვგოროდში.

ანტონმა უკიჟნაოდ ითმინა, ველარ მოითმინა და ფილადელფოსი დაიბარა. ბერმა ერთი თვე იარა, ძლივს ჩავიდა, იქ ვილაც კიციანოვის კრიმანჭულებს წააწყდა, დააბეზლა, მერე თვითონვე შეეშინდა, გამობრუნდა და მოსკოვში ივანე ხელაშვილი მოსძებნა.

ბერი ხელაშვილი ფრიად ნასწაველი კაცი იყო. სასულიერო აკადემია დაესრულებინა და გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს კარის მოძღვრად ახლდა. როცა ნაპოლეონი მოსკოვს მიუახლოვდა, იქაურმა ქართველობამ სულ აღვილად დააჯერა თავის თავი, ვითომ დიდ ბონაპარტეს თათრების მიერ მოტაცებული ქართველი ქალი ჰყოლოდეს დედად, რომელსაც შვილისთვის აღოქმე ჩამოერთმის, რომ ის თავის დედის სამშობლოს უბეველად გაანთავისუფლებდა. და მეორე ურყევი საბუთიც ჰქონდათ: ტყუილად კი არ აირჩია ნაპოლეონმა თავის ერთგულ მხლებლად ქართველი როსტომი, რუსტემად გადანათლული.

დაიჯერეს გარდახვეწილებმა და აფორიაქდნენ. ამის გამო რუსებმა გადასახლებულნი აჰყარეს და პეტერბურღში გადასახლეს, შემდეგ კი, როცა სიზმარი გაიბნა, ზოგიერთება ისევ მოსკოვში დააბრუნეს.

ხელაშვილი დროებით იყო ჩამოსული მოსკოვს და ფილადელფოსს შეხვდა, ახალგაზრდა ბერი მოიწონა, აიკიდა და პეტერბურღში წაიყვანა, თანაც დიდი პატივი დასდო და ნდობაც მიუძღვნა: ყველა გადასახლებულ ბატონიშვილებს გააცნო, შეაბარალებინა, შესაწირავე მოაკრმინა, უბვი პოლიტიკური ნაჩურჩულევი აჰკიდა და საქართველოში გამოისტუმრა.

ფილადელფოსი სამშობლოში შარშან იანვარში ძლივს ჩამოჩანჩაღდა. მათხოვრობა ჩვეულებად ჰქონდა და გზაშიც არ იშლიდა, იქაც და აქაც ყველას ცხარე ცრემლით სწერდა წერილებს და შუამთის მონასტრის აღდგენას ლამობდა.

ჯერ კახელ თავადებს შეესია და ნამეტნავ შუამთის ბატონებს ქვაბულაშვილებს მიაწვა, მაგრამ 1812 წლის აჯანყებით გატეხილი კახეთი ჯერაც ვერ წამომდგარიყო, ამიტომ ფილადელფოსმა შორი გზა და ორი კურდღელი აირჩია: ქიზიყი ჩამოიარა, გარე კახეთიც მოაფათურა და ეხლა საბარათიანოში გამოვიდა. ბერი გზა-და-გზა კალმასობდა, ესე იგი მათხოვრობდა, მონასტრისათვის შესაწირავს აგროვებდა და თანაც ჩუმ-ჩუმად ქადაგებდა. ბერს ყველაზე მეტი იმედი თრიალეთ-ბორჩალოსი ჰქონდა, რადგან აქაური შემამულენი ძალიან ღონივრად იყვნენ და, გარდა ამისა, ომის გამო ამ გზებზე უამრავი ჯარი და ხალხი დადიოდა, რომელიც უთვალავ ფულს ხარჯავდა, ამიტომ ამ კუთხეში მოსამკალიც მეტი უნდა ყოფილიყო.

— გვიამბეთ, მამაო, როგორი ქვეყანაა რუსეთი.—ჰკითხა ბოლოს შალვა ბარათაშვილმა.

— ქვეყანა?— და ბერმა გრძელი ხელი ჩაიქნია.—ქვეყანა კი არა, ცივი უდაბნო ყოფილა. არც თავი აქვს და არც ბოლო.

— ხალხი როგორია?—ჰკითხა აღექსანდრე ორბელიანმა.



— ხალხი? ხალხი გასაღოსებულია, ყველანი ღეთის კაცები არიან, არაყი და როზგი უყვართ.

— როზგიც უყვართ?—თავისთვის ჩაიჩურჩულა არსენამ და ფეხი მოინაცვლა.

— ძალიან უყვართ—ღრმა რწმენით მიუგო ბერმა.

ყველამ გაიღიმა, გრიგოლ ორბელიანმა კი ხმაიანად გაიცინა, ჩექმის ყელზე მათრახი დაიკრა და სთქვა:

— შარშანწინ დეკაბრისტებიც ალბათ იმისთვის აჯანყდნენ, რომ ხალხისთვის უფრო მეტად შეეყვარებოდათ როზგი, არა მამაო!

არსენამ თავი ჩაიქნია და ზელახლა მოინაცვლა ფეხი, ბერმა კი თვალეში გააცეცა, ალბათ ნათქვამი ვერ გაიგო და ისე გაიღიმა, თითქოს გრიგოლი ახლავდა დაინახაო, და გახარებულმა მიჰპარათა:

— ბატონიშვილებმა შიზრძანეს, ყველა ჩვენს ნათესავსა და ერთგულს მოკითხვა მოახსენეთო.

არსენამ ორბელიანებს გადახედა, რომელნიც ბაგრატიონებს ნათესავად ერგებოდნენ, ერგულე მეფის შვილის-შვილები იყვნენ, და შეაქნია, რომ ალექსანდრე ორბელიანს შიშის იერმა გადაჰკრა, რადგან ბერმა სიტყვა „ერთგული“ მდაბიო არსენას და ბარნაველსაც გაავონა.

— მამაო,—ოდნავ ცივად უპასუხა გრიგოლმა,—ერთ წელიწადზე მეტია ჩამობრძანებულხართ და ახლავა გაგახსენდით?

ბერი წამოვიარდა, წელში მოიღუნა და მოიბოდიშა:

— შენინდეთ თავადო, შეშინდეთ კადნიერება ჩემი. მრავალჯერ მოვიკითხეთ, მაგრამ მუდამ ომში ბრძანდებოდით: ხან სიმონჩთან, ხან მადათოვთან, ხან განჯაში და ხანაც შამქორში. შეგცოდეთ და შეშინდეთ.

— ვინ და ვინ ინახულე მამაო?—ჰკითხა ალექსანდრემ და თვალი უყო არსენასზე და დათუნაზე.

— ყველანი, ბატონო ჩემო, ყველანი.

— მაინც?

— ბატონიშვილები ოქროპირი, ბაგრატი, თამარი, ფარნაოზი, თეიმურაზი შიხელი და მრავალნი სხვანიც ყოველად ღირსეულნი და მარად ნეტარნი.

— კიდევ რა დავაბარეს, მამაო?—ჰკითხა შალვამ.

ფილადელფოსი შეიშმუნა, ყველას რიგ-რიგად აველო თვალი, ხელები მოიფშენიდა, ერთხანს იუჟია და შემდეგ იღუპალი ხმით დაიწყო:

— მარად ჩვენთან არიან გულათაც და სულითაც... საოცარ არს რწმენა მათი. ძნელ არს მოლოდინი, მაგრამ არა არს-რა რაიმე ამა ქვეყნისა ზედა რომელ დასასრული არა ჰქონდეს. ოღონდ აქტი გონიერი გვიქადაგებს: ჯერ არს, რათა მეგობარმან მეგობრისათვის სული თვისი დასდევს, რათა ყოველთვის მზა იყოს მეორედ მოსვლისათვის ცოდვილთა განსჯისა და წამებულთა აღდგომისათვის.

ბერმა ორიოდუ გასაგები სიტყვა ჩაურთო და ისევ ქარაგმულ ქართულზე გადაუხვია.

„აღბათ მე მიმალავს“ — გაიფიქრა არსენამ და აღარ იცოდა, წასტლიყო თუ დარჩენილიყო. მარაბდელი მუდამ ერიდებოდა ისეთ ხალხს, რო-
მელიც მის თავს თაკილობდა, და ასეც იმიტომ იღვა იმ „ჩაჭაჭაჭა“ მალ-
ვას და მას ერთმანეთთან მცირე რამ საქმე ჰქონდათ.

„რას მერიდებმა ეს ბერი! — გაწყრა ბოლოს ოძელაშვილი. — შარშანწინ რომ აქაურობა დავატარე, არაფერი არ დაუშალია, ახლა კი რაღაც ირიბულს ჩმა-
ხავს, თვითონაც წვალობს და ამ ხალხსაც აწვალებს“.

ფილადეფოსი მართლა წვალობდა, სხეებსაც აწვალებდა და ხშირად იმე-
ორებდა:

— მერე მოგახსენებთ... ცალკე მოგახსენებთ. — და უცებ ვადმოავლო: — ამ-
ბობენ ალექსანდრე ბატონიშვილი ამ მიდამოში უნდა იყოსო. — და შავი ხელი
ვანივრად შემოხაზა ჰაერში.

არსენამ გაიღიმა და გაიფიქრა:

„ახლა კი ცხადია რაც ვაწვალებს, ფილადო“.

ეს ამბავი თუ ჭორი ყველას ადრევე ჰქონდა გაგებული.

ბარნაველმა ყურები სცკეიტა, ორბელიანებმა კი ისე ჩაძლუნეს თავი, თით-
ქო მისზე ადგილ-სამყოფელიც კი იცოდნენო.

აივანზე ხაზუში სირუმე ჩამოვარდა.

— ვინ მოგახსენათ, მამაო? — ჰკითხა ალექსანდრე ორბელიანმა.

ბერი აირობა:

— ისე ვთქვი... ასე ამბობენ... აღბათ ჭორი იქნება, მაგრამ... თათრები
ამბობენ... ხალხს სულს უმღვრევენ და...

და გაჩუმდა.

— იმასაც ამბობენ, — ჩაურთო უცებ არსენამ, — რომ მალე ძალიან ბევრი
ხალხი უნდა დაიჭირონ და ვააციმბირონო.

ამ სიტყვებმა ჩუმი ფორიატი გამოიწვია.

— ვინ ვითხრა?.. ვისგან გაიგე? — ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

არსენა ვერ ეტყოდა, რომ ეს ჩუმი ამბავი ზაალის შვიბუხე გარსიამ, ფიქ-
რიამ და მარინემ შეატყობინეს, ამიტომ ყოყმანის შემდეგ უპასუხა:

— მეც თათრებისგან ვაგიგე.

— თათრებმა ყველაფერი იციან. — სთქვა პარათაშვილმა.

ფილადაის ყურები დაცკვეტილი გვირა, თვალებიც დაკვეტილი და პირიც
დაღებული ჰქონდა.

— კიდევ რას ამბობენ შენი ღოსტები, არსენ? — ჰკითხა ალექსანდრემ და
თვითონვე შეეშინდა.

— კიდევ იმას ამბობენ, ახას მირზა მალე ქალაქს მოადგება და ხონთა-
რიც მიეშველებათ.

— მერე? მერე? — მოსთმენლად წამოიძახა ბერმა.

— მერე არაფერი. — მოსჭრა ოძელაშვილმა და დადუმდა, თავისთვის კი
გაიფიქრა: „რაკი შენ მიმალავ, მეც დაგიმალავო“.

იფიანზე, სიჩუმე ჩამოვიარდა. ყველა ჰგონობდა, რომ ამ კრებულში აშკარად ვერ იტყოდა სათქმელს და ერთნაირი აზრიც რომ ჰქონდათ. მაგრამ სთქვამდნენ, რადგან მათ შორის რაღაც იდუმალი კედლები იყო აღმართული. გაუქმებულ ტახტის ნათესავეებს, რომელნიც რუსის დროშის ქვეშ იბრძოდნენ: ხელაღებულს ნაგლებარ ბერს, რომელიც გადასახლებულ ბატონიშვილთან აბამდა ძაფებს და „აქტსა გონიერსა“ ჰქადაგებდა; უსაქმო რიტორის ბარნაევს, ნახევრად ყმას და ნახევრად თავისუფალს, ორ წყალ-შუა გახირულსა. და მუდამ მღუმარეს; თითქმის გაკოტრებულს და ბუნდოვან შორეულიდან შველის მომლოდინე თავადს; და მარჯვე ბიჭს, მაგრამ მაინც გლეხს, ყმას, სათვალავში ჩაუგდებელ არსენას, რომელსაც არაფერი არა ჰქონდარა საკუთარი: არც თავის თავი, არც ცოლი და არც შვილი, არც მიწა და საქონელი, არც აზრი და ნება, რადგან „მისი ყველა ბატონის არის“—ამ ხუთეულს დღუდაბად ვერაფერი ვერ ეპოვა ურთიერთისათვის, გულის სარკმელი ვერ გაესწათ, და სწორედ იმ დროს, როცა მათი ქვეყნის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, სათქმელის შეასვდიც კი ვერ ეთქვათ და ერთმანეთს მოსისხლესაგით ებაღებოდნენ.

არსენამ ამ კედლის სიცივე იგრძნო და უცებ სურვილმა ჩაღრბინა: იმ უჩინარ კედელს მიაწვეს, გაანკრიოს, ბატონებს მიაღვეს და თავის სულის ნაგუბარი მოახსენოს. და შეტოკდა კიდევაც, მაგრამ უმალვე აღვირი ამოიღო, ღრმად ამოიხენწეა, რამდენჯერმე მოინაცვლა ფეხი და კედელს ისევ კედელივით მიეყრდნო.

ბერმა უცებ გაიღიმა და ახალ კალამოტში გადახტა:

— იფანე ხელაშვილის ამბავი მეცინება. ჩიოდა, იფანე ბატონიშვილს რაღაც წიგნი დაუწერია და მე, ხელაშვილი, საკალმასოდ წაუყვანივარო. თურმე ისეთ ალაგებში დაუტარებია, რომ ის ალაგები სიზმარშიც კი არ მინახავს, და ისეთი რამ უთქმევინებია ჩემი სახელით, რომ არც ოდესე მოთქვამს და არც მკოდნიაო. ფრიად გაოცებულია ბატონისანი მოხუცი.

— მეც წავაკითხე ვე წიგნი, — მიუგო ვრიგოლ ორბელიანმა, — და დასაძრახისი ვერა ეპოვერა.

— კარგა ხანია მეც წავაკითხე. — მიუგო ბერმა. — დავით რექტორმა შირჩია და წიგნიც მათხოვა. მართალი უნდა მოგახსენოთ, მეც ძალიან მეწყინება, რომ ახლა ან ოდესმე ეინმე მწიგნობარმა მეც მარაბდაში მომიყვანოს, მაკალმასოს და მალაპარაკოს.

— ხომ მართლა ბრძანდებით მარაბდაში? — ჰკითხა ორბელიანმა. — ხომ კიდევაც კალმასობთ და ლაპარაკობთ?

— კი ბატონო, მარა...

— მაშ საწყენიც არაფერი არ ყოფილა.

და საუბარი მწიგნობრობაზე გადაიტანეს.

ბერმა კი ხელახლა გადაუხვია და ზოგიერთები ფრთხილი ქარაგმებით გაჰკილა.

„დღეს ვერაფერს ვერ გავარიგებ. — გაიფიქრა არსენამ და ჩუმიად გამობრუნდა, თანაც გულში ამბობდა: — აქედან რუსი გვაწვება, იქიდან ყენი და სა-

ცაა ხონთქარიც შემოგვიტევეს. ბატონი კი ისევ ბატონობს, სატონივესავე გვეყიდის, ლამის სულიც კი ამოგვართვას და თანაც ცდილობს ჩვენს შიგნით ჩაგვითრიოს. არა შეილოსან, თქვენ თქვენი გზით იარეთ, ჩვენ კი ჯერ ჩვენ თავს ვუშველით და დანაარჩენზე მერე ვიფიქრებთ. გინდათ მარინე გაიყიდოთ? ფიქრიაც მომტაცოთ? იქნება ზეკუციაც ჩამიყენოთ და სისხლიც დამალერეინოთ? არა შეილოსან, რაც არ იქნების, არ იქნების. არ შეგერგებათ. თქვენ თქვენთვისა და ჩვენც ჩვენთვისა, შორისა დავათავდა!

გრიგოლ ორბელიანი გულდასმით ათვალერებდა არსენას. აღრევიც კარგად იცნობდა, რადგან მისი მეზობელი იყო და მუდამ გატაცებით უყვარდა ჯიშინი ძალი, გაწვრთნილი მიმინო, ბედაური ცხენი და რჩეული მოჭიდავე, რომელსაც თავის კარის ფალავნად იჩემებდა ხოლმე. დღეს კი საბოლოოდ დაადგა თვალი ოძელაშვილს და გადასჭრა თავის ამაღა ამ ბიჭითაც დეიშვენებინა.

მერე ტახტიდან წამოდგა, ოძელაშვილს ზედ მიადგა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— ბიჭო არსენ, ბატონის გამოცვლა არ გინდა?

— ვისზე უნდა გავცვალო ბატონი?—ჰკითხა არსენამ.

— ჩემზე.

არსენამ გულიანად გაიღიმა და უპასუხა:

— ძალიან კეთილი ბატონი ბრძანდები, შენი კენესამე. შენზე ქების მეტი არა გამიგიარა, მაგრამ ზაალი არ იყაბულეს.

— რატომ, ბიჭო?

— აბა რა ვიცი, შენი კენესა მე ერთი უბრალო ტლუ ბიჭივ ვარ, მაგრამ ზაალი თავიდან არ მიშორებს. ამას წინათ ელიზბარ ბატონმაც სთხოვა ჩენი თავი, მაგრამ ზაალმა არ დაანება, შეიდ კაცად დამაფასა.

— შეიდ კაცად?—გაოცდა ორბელიანი.—რას ამბობ, ბიჭო! შეიდ კაცად თუნდაც ტარიელის შვილს მიხეილ ლორის მელიქს ვიყიდო.—აქაც უკბინა თავის მეტოქეს ორბელიანმა და დაუმატა:—უზურში მიყოლიე და რაც გითხრა კარგად შეინახე. ახლა ერევანში მივდივარ და როცა დაებრუნდები, ზაალს მოველაპარაკებ.

— აგრე შენი კენესა მე, ოლონდ...—და არსენამ აღარ დაასრულა.

— ოლონდ რა?—ჰკითხა პოეტმა.

— ოლონდ ისა, შენი ჭირი მე, რომა... ოჯახს ნუ დამინგრევე და ნათესავებს ნუ დავგიფანტავ, თუ წაგვიყვან მთელი ოჯახი წაგვიყვანე.

— აგრე იყოს. მაგ პირობას შეგისრულებ.—უპასუხა ორბელიანმა და გაბრუნდა.

არსენაც გამობრუნდა და ქვეით ჩამოვიდა.

— შეილო—გამოათხიზლა თავჩაღუნებით მომავალი არსენა ღვთისაგვარმა და მკლავში ხელი წაავლო.—შეილო, ზაალთან უნდა წავიდეთ.

— ზაალთან რა გინდა, მამა?

— იქ ქალების საქმე უნდა გავათავოთ.

— ვინ ქალებსია?



— ფიქრიასი და მარინესი.
 არსენას ალმა გაჰკრა, იყუა და ჩუმად ჰკითხა:

— მარინეს საქმე მე რას შევითხება?

— იყუე, ბალო. მე რა დამემალება!

„ამ ცალთვალას მართლა ირაფერი არ დაემალება“, გაიფიქრა არსენამ და უთხრა:

— რაღა დღეს უნდა გავეთათოთ?

— ბატონი კარგ გუნებაზეა. დღეს ნარგიზებში ვითხრა, რაც გინდა მოხვეო. თუ მოვტეხეთ და დავითანსმეთ, შენ ეხლავე იაღლუჯაში დაბრუნდები. საჭირო ხარ. სარქალმა დაგიბარა.

ღვთისაგარს რაღაც მოუსვენრობა ეტყობა. თითქო შემკრთალიც არის, ამიტომ არსენას არა სჯერა, რომ სარქალს დაემალება.

ვერც მარინეს და ფიქრიას საქმის აჩქარებას მიხვედრილა. ბატონთან მოსვლას ხვალ აპირებდა. ეხლა ზაალს არ ეცლება. სტუმრები ჰყავს და შეიძლება კიდევაც გაუწყრეს.

მამამ თითქო ფიქრი გაუგო და მოუკრა:

— ბატონის სტუმრებისა ნუ გეფიქრება. სტუმრებმა იჩნება კიდევაც გვიშველონ. აჩქარდი, თორემ სუფრაზე დასხდებიან და გვიანლა იქნება.

და შეილი თითქმის ძალით გაიტაცა:

* * *

ქოქინაში ეხლა ელიზბარ მაღალაშვილი უმღერის დაროს, რომელიც აივანზე გადმოყუდებულია და ხვადის კენესას თვალშიბნედილია უგდებს ყურს.

კაკობსა ვარდას ნარგიზმან
 აკურა ცრემლი, ანამა,
 სჯობს, რომ არ გვეანდეს მიჯნური,
 ან მოჰყლას ამოსთან-მან.

— ჯან, ჯაან!—წელანდელის სამაგიეროს უბდის დავითი და ჰკივის:— დაიწვას შენი დამწველი, დაიწვას!

მელიტონ ბარათაშვილს და სუმბათაშვილს ზურგზე ხელები დაუწყვიათ მოშორებით დადიან და საუბრობენ:

— შეიდი წელიწადი ვაჯერებდი და ძლივს დავაჯერე, ძლივს ავადებიხეი, — ცხარობს მუდამივით მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე მელიტონი-რუსის დაჯერება მართლა ადვილი საქმე არ იყო. რვა წლის წინად ხმა გავარდა, ზოგმა თავად-ახნაურმა ყალბი სიგელი წარმოადგინაო.

— წარმოადგენდა, მაშ რა იქნებოდა!—გაიძახის მელიტონი.—ჩემს ახლანდელ გვარს სათავე სამასი წლის წინათ დაუდო ჭავთარ ჩიქობაძის შეილმა ბარათამ, ნამდვილად კი ლიბარიტ ორბელიანზედაც ადრე ვარსებობდით. ალა კირუსები ჩავცივიებთან, დაამტკიცეთ, რომ თავადები ხართო. ვანა სასაცილო არ არის?

— სასაცილოა.—დაუდასტურა ქვიშეთის მფლობელმა.

— საბარათიანო ასჯერ მიინც აუკლიათ და სიგელები, კაქონეუკეუცხალი ხალხიც კი იწოდა და იკარგებოდა, მაშ ქალაღდის ნაგლეჯი იწოდა და იკარგებოდა! ჰო-და, აქაო-და რამდენიმე ყალბი საბუთი არ შემოგვაბარონო; დროებით ყველა თავად-აზნაურს უფლება წაართვითო. შეიდი წელიწადი გლეხებთან ვიყავით გათანაბრებული. განა უსამართლობა არ არის?

— უსამართლობაა. — გულგრილად ამბობს სუმბათაშვილიც.

— ათი-ათას თავად-აზნაურს აღარც ჩინი ეძლეოდა, არც პრივილეღია. შეიღს ვეღარც სამსახურში მიამარებდა და ვერც სკოლაში მისცემდა. ხალხი შეიღ წელიწადს აწვალეს და ბოლოს ათი-ათას საბუთში მარტო თითხმეტი ყალბი საბუთი აღმოაჩინეს. განა სასაცილო არ არის?

— სასაცილოა.

— კიდევ კარგი, რომ ჩვენ, ბარათოველებმა, ჩვენი თავადობა აღრვევ დავამტკიცეთ.

მელიტონმა ის კი აღარ დაუმატა, რომ ზაალ ბარათაშვილიც კი იძულებიყო ვილაცათვის თეიმურაზ მეფის ყალბი სიგელი შეეთნობლებინა და მეწინავე დროშის სარდლის თავადობა სწორედ ამ რიგად დავამტკიცებინა.

— შეიღ წელიწადს ვაჯერებდი და ძლივს დავაჯერე. — დაასრულა მადლობის მოლოდინით მელიტონმა.

მაგრამ სუმბათაშვილმა მადლობა დაივიწყა და ხარბი თავლები შალვა ბარათაშვილის ცოლზე ეწინა მიიკოზე გადაიტანა, რომელსაც აიენის მოაჯირზე საესე მკერდი გადმოედო და ეღიზიარს უცინოდა.

გარსია-ბიჭი, მელიტონის ვაგი ტატე და გრიგოლის ძმა ილიკო კედლის ძირში ცოდვილობდნენ. ზაალი საქანელა სკამზე გაშლართულიყო, იჭაურობას კვამლით აესებდა და ომში მიმავალ ყაფლანსა და ზაქარიას რჩევა-დარიგებით ჰბერავდა.

მოურავი ამირზანაშვილი ისევ ეზოში დარბოდა, განგებ ჰყვიროდა და ყველას ზელს უშლიდა, მაგრამ მხარეულს ლაცაბიძეს მიინც შორს უფლიდა, რადგან იმის ვეება წვერ-ულვაშში ჩაყრილ ეშვებისა ეშინოდა. შემოხიზნული სევასტი ახლაც არბტინად სდგას შუა ეზოში. მისი ვინაობა ვერც სუმბათაშვილმა გაიხსენა და ვერც მათორმა მოიგონა.

როცა იმერეთის აჯანყება დასრულდა, სევასტიმ თავის ძმა სოფელ ქვიშხეთში წამოიყვანა და ზაალის ნათესავს ალექსანდრე სუმბათაშვილს შეეჩინა, რომელიც დღეს მარაბდაში ამოსულიყო ანაზად. ქვიშხეთის ბატონს იქვე თელუთშიც ჰქონდა დედის მამული. მარაბდაში აღრვევაც იყო ნავალი და ლაცაბიძე აღრვევაც ენახა, მაგრამ ლტოლვილი ნაყნევი ვეღარ ვცნო.

სევასტისათვის საწერეთლოს საზღვარზე დარჩენა მეტად სახიფათო იყო, ამიტომ თავის ძმა იქ დასტოვია, რადგან მას ხიფათი არ მოელოდა, და თვითონ კი არსენას მამას გამოჰყვია, რომელიც ქვიშხეთში თავის ნათესავ გოგიტაშვილებთან იყო ამოსული.

გრძელწვერა იმერული მათორსაც ერიდებოდა, რადგან ოდესღაც როცა მათორი კვირილას წყალს ჰღებავდა წითლად, ლაცაბიძე ერთი დღით იმის ტყვედ



ვადიქცა, მაგრამ იმავე ღამეს წაუვიდა და სასისხლოდ დამკლავებულ არ-
ლოვი კინალამ ბოლმით გახეთქა.

ახლა კი შეიდი წლის შემდეგ, ორიენტი პირისპირ რომ მდებარეობდა-
ნეთს, მაიორი გაოცებული შესდგა. სევასტი აირია და გაიფიქრა: „ვილუპები“.
მაიორი კი, დონჯ-შემოყრილი იდგა და ბუტბუტებდა:

— Однако! Ну и борода! ты брат настоящий фот Али Шах.

და როცა სევასტის მკერდზე ჩაშლილს შავ მინდილს მისწვდა და სიამით
მისწ-მოსწია და ზაალმა კი მაიორის სიტყვები იქ-მყოფა გადაუთარგმნა, ლა-
ცაბიძე დამშვიდდა და ისევ ფერზე მოვიდა, სხეებმა კი წამოიძახეს:

— მართლა, ნამდვილი ბაბა ხანია.

— ვეყო, აქამდე როგორ არავის არ გაახსენდა!

— ზედ გამოჭრილია!

და იმ დღიდან ფეტ ალი შახი დაარქვეს, რადგან გლეხებმაც კი იცოდნენ,
რომ სპარსეთის შახის წვერულვაში მთელ „დუნიაზე“ იყო განთქმული.

რუსი კარბაზა ვერ ისვენებს: ეზოს ცალი ფეხით ჰბარავს, მზეუჭვრიტას
აწკაბუნებს და, სადაც სამ გლეხს ღინახავს, უმაღლე შუაში დაერტობა და დარ-
ავდარზნედაც კი საიღუმლო იერით და ფიცხად ესაუბრება.

გიგოლა გველაძუასავით დატყრება, მაგრამ სადაც კი მივა, იქ უმაღლე
მკედარი სიზუმე და ზიზლი ჩამოწვება ხოლმე.

აბრამ ბარნაგელი ადრე მოსულა და განამირობულა: კუნძუც სთვლემავს და
აღბათ ერეკლეს დროში ან ერეკნის სახანოში გადასახლებულა, სადაც ამ გა-
მად აღექსანდრე ბატონიშვილთან ერთად თავის შვილი სესნიაც ევლუკება.

— ვეყო, ასე დაგვიანება გავანილა! — წამოიძახა ზაალმა და წამოდგა, —
თუ მოდიან, მოვიდნენ და გაათავონ.

— ვის ელოდებით, ძია? — ჰკითხა ყაფლანმა.

ბატონმა უკმაყოფილოდ შეჰკრა შეუბლი და წაიბუხლუნა:

— ვისა და მერე ნახავ.

აივანზე გარსია ამოვარდა, რომელსაც ჩიბუხის მირთმევისა და ჩამორთმე-
ვის დრო წამოებით ჰქონდა ნანგარიშვეი. ბატონი კიბუზე დაეშვა და ბიჭიც გა-
მოჰყვა. ზაალი მარტო არასოდეს არ დადის, დასასაქმებლად ან ყმის დასაძა-
ხებლად მუდამ ვინმე უნდა დასდევდეს.

ჯერ მელვინე ლაშქარა მიეგება. ზაალმა მისი ჭურჭლის ჯარი შეათვალი-
ერა და შესძახა:

— ამაზე მეტი რა გინდა, ვეყო!

ეზომ გაიღიმა. ზოგან ხითხითამაც ჩაირბინა, ზაალმა კი მელვინეს ჰკითხა:

— თავი ლენო სად შეინახე, ლაშქარ?

— ალგეთზე, შენი კენესა მე. წყაროში ჩავდგი.

მოურავი მოვარდა და ბატონს თვალუბის ცუცუბით აედევნა. ზაალმა თვა-
ლით გაზომა თავადებისა და გლეხების სუფრების შუა დარჩენილი მანძილი და
ეცოტავა.

ოდესღაც, რუსობამდე, ანგვარ ნადიმზე ეს მანძილი ერთ გოგონაც არ უღრიდა. ასეთი იყო ძველი ადათი, და ცხოვრული დიდი ზანაძის მანძილი კი უცვლელად იცავდა, როცა ყმა და ბატონი ერთმანეთს შეხატულნი არ ზოგავდა. მაგრამ მას შემდეგ ათასი რაზე შეიცვალა და მათ შორის მანძილიც თანდათან გაიზარდა.

ახლაც აგონდება მარაბდის ბატონს: ოცი წლის წინათ თავად-აზნაურობამ ახლად დანიშნულ მთავარმართებელს ტორმასოვს სასახლის ბაღში დიდი ნადიმი გაუმართა. იქაურობა სუფერებით იყო აპრულებული. ღენერალი სასახლიდან გამოვიდა ბაღში და სტუმარ-მასპინძლები დაათვალიერა, ერთი სუფრის იერი გაუკვირდა და მარშალს ორბელიანს ჰკითხა:

— ესენი ვილა არიან, კნიაზო?

— გლეხები გახლავან, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ახლო-მახლო სოფლების თავი კაცები არიან.

მთავარმართებელი უარესად განცვიფრდა:

— მერე, აქ რა უნდათ?—იკითხა.

— ასეთია ქართული ადათი, — იმართლა თავი ორბელიანმა.

— დროა სულელური ადათები მოსპოთ, — სიტყვა და სასახლეშივე შებრუნდა.

გლეხები აპყარეს და დისციპლინის მონა ღენერალი მხოლოდ ამის შემდეგ და გამობრუნდა. გამობრუნდა და სუფრას რომ მიუჯდა, ქართველ თავადიშვილებს სახელმწიფოებრივ აზროვნების პირველი გაკვეთილი მისცა:

— დიდებულნი და წარჩინებულნი!—მოახსენა, — თქვენი სამეფო უფრო პატრიარქატს ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფოს. თქვენი ერეკლე განთქმული ბელადი და სახელოვანი მეთმარი ყოფილა, მაგრამ მეფობისა და სახელმწიფოსი არა გავგებოდა რა. ნაზღვილი მეფე და სახელმწიფო მოღვაწე ან ხალხში სულ არ გავა, ან იშვიათად დაენახებმა. თქვენი მეფეები კი თურმე გლეხებს თვითონვე აძლევდნენ სამართალს, შეილებსაც უნათლავდნენ და ზოგჯერ მათთან სტუმრალაც კი მიდიოდნენ. თქვენ ვერობიულ ცივილიზაციას ეპოტინებით, მაგრამ იგი სულაც არა ჰგავს სასადილო დარბაზს, სადაც გლეხისთვისაც და თავადისთვისაც ერთი სუფრაა გაშლილი. ამა რა საკადრისია თავადისა და გლეხის დამშობილება და ლაზღანდარობა! ბატონებო, გთხოვთ დაიხსოვოთ, რომ რამდენადაც უფრო მეტია მანძილი დიდებულთა და მდაბიოთა შორის, იმდენადვე უფრო ძლიერია სახელმწიფოც და კულტურაც, ზოლო სადაც ეს მანძილი მოკლეა, იქ არც სახელმწიფოა და არც ცივილიზაცია, არამედ ანარქიაა და შინაურობა. ბატონებო, გთხოვთ ჩემი ნათქვამი დაიხსოვოთ და შეასრულოთ.

იქ ნამყოფმა ზაალმაც დაიხსოვა და შეასრულა, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნახევრად შეასრულა, მეორე ნახევარი კი ძველ ადათს დაუტოვა მსხვერპლად.

„ალბათ მაიორიც ტორმასოვივით მოიქცევა“. — ეშინიან ზაალს და თანაც აზნაურებისა რცხვენინან, რომელნიც სოფელს ვერ გასცილებიან და ჯერ დისციპლინას ვერ შესთვისებინან.

— ეს სუფრა ათ ალაბზე დასწიეთ. — უჩვენა ზაალმა მოურავს გლეხთა სუფრაზე და საჯინბოსკენ წამოვიდა.

ლეთისავარმა შორიდანვე აუღო გეზი და სწორედ იქ დაუხვდა ვაჭრდით არსენა ედგა, რომელსაც ამ საჯინბოში მრავალი წელიწადს გაატარებდა. მაშას ქული ხელში ეჭირა, შეილი კი გაუხვდავე კვიცივით თავხედობდა.

— რა გინდა, ლეთისავარ? — შორიდანვე ჰკითხა ბატონმა.

— ბატონის სიცოცხლეს და ოჯახის გახარება, შენი კირი მე.

— მაინც? სთქვი, თორემ არა მცალიან.

— ამ ბიქს გოგო უნდა მისცე, შენი კენესა მე. — მოკლედ მოუჭრა მედრო-შემ და არსენას თითი ატაკა.

— ვინ გოგო, ვეო?

— მარინე, შენი კენესა მე.

ზაალმა პირი ააქცია ცუნა, თითი მალლა ასწია და წამოიძახა:

— ვეო, ასეთი ამბავი გაგონილა!

არსენას საქმე ილუპება. რალა ახლა მოუნდა ამ ოხერ მაიორს ზაალის ნახვამ ხელი ხელაბანდზე ჩამოუკიდია და ოდნავი კოკლობით მოაბიჯებს. აი მოვიდა კიდევ და ზაალს გვერდით ამოუდგა.

ბატონს მისი მოსვლა თითქო გაეხარდა. მიუბრუნდა და რაღაც უთხრა რუსულად.

ბასილამ მიკალო ცხვირი აიბზიკა და ისე გადმოხედა არსენას, თითქო გახლჩას უბირებდაო. ვინა გდია ეს ტეტია, რომ ყველგან წინ ელობება?! ჩამოვიდა თუ არა მაიორი მარაბდაში, ეს რევენი უშალვე გადაელობა კედელივით. აჭაური ბელადია. გლენებს აშფოთებს, ხელმწიფეს ეურჩება, ბატონსაც უბღვერის.

არლოვს დღეს ფალავანი წაუქცია. არც დროშა დაანება. მერე გაკადნიერდა და დოღშიც კი გაბყვა. ეს კიდევ არაფერი: გაუსწრო და ცხენიდანაც გადმოაგდო. ახლა კი მეტის-მეტად თავს გასულა: ქალსაც შეეცილა და საცაა აქ მოსვლასაც აუკრძალავს.

„ის გოგო უნდა წამართვას?!“ — ბრაზს იგუბებს ზაალიც და საბერველივით ხენწის.

„იმ ქალს ეს მუეიკი შეცილებმა?“ — ბოღმით ივსება ბასილაც და ჯიგარივით წითლდება. მერე ზაალს ეუბნება:

— ერთი მავ მოხუცს ჰკითხე, წელან თავადებზე რასა მღეროდა?

— რასა მღეროდი თავადებზე, ლეთისავარ? — შეუტია ზაალმა.

„გიგოლას ნახელავია“. — გაიფიქრა ლეთისავარმა, თანაც ცალი თვალთ გაიღიმა და არა უპასუხარა.

— რასა მღეროდი შეთქი ლეთისავარ?! — დაიჭექა ზაალმა და მთელი ეზო აბურძგნა.

ყველამ იქით წიხედა და იგრძნო, რომ ჰაერი მებით იტენებოდა.

ელიზბარმა სიმღერა მაღალ კილოზე მოსხიბა და ჭოკინიდან წამოვარდა, რადგან მისი საყვარელი სეირი იწყებოდა. სუმბათაშვილმა და მელიტონმაც შესწვეიტეს ბასი და საჯინბოსაკენ წამოვიდნენ.

სევასტი ლაქაბიძემ ქაქუჩირი დაიგდო და ეშვები ჩამოუშვა მღვდელი ბარნაველი შეკრთა და გამოუხიზლდა. სასახლის ერთი სარკმელი გაიღო და ორი მოახლის თავი გამოჩნდა. ჩორთით მიმავალი კარპიჩა ცალ ქუსლზე მოტრიალდა და ძაღლივით აიძირიზა, რომელსაც სახრე მოუღირეს.

გიგოლა უმაღლვე მაიორთან დაერჭო, დუჭი ჩამოუშვა და წირპლიანი თვლები აახაჩხამა.

ლექი გამზათი მიწიდან ამოტერა, ისიც მაიორს ამოუდგა და ოდნავ ამოსწია ხანჯალი.

დავითიც დაიძრა და წამოვიდა.

— ხმას ამოიღებ თუ არა, ქოთაკო?!—დაიკვივლა ზაალმა და თავის თანამებრძოლ ცალთვალას უღვაწში მიეტანა.

არსენას თვალთ დაუბნელდა და მისი ხელი თავისთავად მისწვდა ზაალის მაჯას, მამისა და ბატონის შუა ჩაღვა და—

— ბატონო, მე შაპატიე.—უთხრა.—მე ვმღეროდი „ზნაური ამოწყვეტე, მკედარი მკედარზე მიაბიო“.

ზაალი დაიბნა. როგორ გაჰბედა ამ რეგვენმა ამ სიტყვების განმეორება?! თვლებში ჩააშტერდა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— შენა მღეროდი?

— დიალ, ბატონო, მე ვმღეროდი. მამა ჩემს კი ნურაფერს ნუ აკადრებ, შენი კენესა მე. გამიგონია, ლეთისავარს შენი სიცოცხლე გადაურჩენიაო.

ზაალი ჯერ ვერ მოსულიყო გონს და ბურტყუნებდა:

— სიცოცხლე?.. ჩემი სიცოცხლე?..

არსენამ დრო იხელთა და სანამ ბატონი კიდევ ერთხელ აფეთქდებოდა, ზედი-ზედ მიაყარა:

— შენი ერთგული ყმები ვართ, შენი ჳირი მე. ნუ გაგვიშეტებ. კიდევ გამოვადგებით. წელანაც გასახელე დი მუდამაც მიმსახურე. ნარგიზებში დამპირდი, რაც გინდოდეს მოხოვეო. მარინეს თავსა გთხოვ და ოციოდე თუმანსაც მოგართმევ.—და ზაალის გაოცება რომ შენიშნა, დაუმატა: —ოცდახუთსაც მოგიხერხებ, შენი კენესა მე.

— ოცდახუთ თუმანს?—უფრო გაოცდა ბატონი.—შენ გადამიხდი ოცდახუთ თუმანს? ვეჭო, შენ ვინ მოგცა მაგოდენა ფული?

— ნათესავეები მყავს, შენი კენესა მე. დამპირდენ, გასესებებთო, თორე მარტო მე რას გაეხდებოდი.

დავითმა და ზაალმა ერთმანეთს გადახედეს. ოცდახუთი თუმანი ბატონისთვის სწორედ მისწრება იყო.

— ქალაღდით თუ ვერცხლით?—შეეკითხა დავითი.

— ვერცხლს სად ვიშოვი, შენი კენესა მე. ან მაგოდენა ფული ვინ მომცა. მართლა სად იშოვიდა არსენა ამოდენა ვერცხლს, რომელიც ქალაღდის ფულზე სამჯერ უფრო ძვირად ფასობდა.

— რას ამბობს?—ჰკითხა დავითს მაიორმა.

და როცა გადაუთარგმნეს, მამა-შვილს მტკიცედ მოუკრა ხელი.

— ჩვენ საქმე გათავებული გვაქვს. თავადიშვილი ვერცას თქმისთვის ვასტეხავს სიტყვას, და თუ ძალიან გჭირდებათ ფული...

მამა-შვილმა უშალვე გაიგო მაიორის დაპირება, არსენამ კი უდროოდ განიმეორა:

— დღეს ნარგიზებში დაპირდი, შენი კენესა მე...

და მაშინვე სინანულმა ჩაურბინა გულში, რადგან ზაალის ხასიათი იცოდა, მაგრამ სიტყვას ველარ დაიბრუნებდა. იცოდა, რომ მარაბდელ ბატონს ვალისა და დაპირების გახსენება ბრაზის ტრეოლას ჰგვრიდა ხოლმე.

— მიჭარავ, შე წუპაკო, შენა!—ერთხელ კიდევ დაიქუხა ბატონმა და ნელსოფას ფერი დაედო.—მიჭარავ მეტიქი! გაეთრიე! დამეკარგე, თორემ პაპა ზაალის სული ნუ წამიწყდება...

მთელი სოფლის სტუმრებისა და მარინეს თვალი არსენაზე იყო მიბჯენილი, რომელიც უკერ გაფითრდა, მერე გაწითლდა და ხელახლა გაფითრდა.

— ბატონო,—ამოიხრიალა და მისი ხმა ვერც სხვამ იცნო და ველარც თვითონ.

— ბატონო, შენი კენესა მე, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ... რომ ცხოვრებულმა პაპა თქვენმა ოძელაშვილებს... აზატობა გეიწყალობა, გავგათარბანა და..

და აღარ დაასრულა. ისევ გვიანლა იყო გაფრენილ სიტყვის დაბრუნება არსენამ ბატონს მეორეჯელაც მტკიცეულ ადგილზე დააბიჯა.

მართლაც მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ დიდმა ზაალმა მახარა და ღვთისავარ ოძელაშვილებს, რომელთაც ნიახურას მინდორზე პატარა ზაალი სიკვდილს გადაარჩინეს, სამუდამოთ გაახთავისუფლა და სიგელიც უბოძა. შემდეგ ლეკებმა ერთხელ კიდევ მოითარეშეს მარაბდა და სიგელიც მაშინ დაიკარგა. დიდი ზაალი რომ „ცხოვნდა“, პატარა დიდ უარზე შესდგა და ამ სიგელის გახსენებაზე მუდამ ყალბზე იწევდა ხოლმე.

ახლაც აცახცახდა, პირი ააცმაკუნა, თურაშაულის ფერი დაიდო, გარსიას ჰიბუხი გამოსტაცა, ზე აღმართა და...

და ისევ ნელა დაუშვა. ისე დაუშვა, თითქო ხელი მოუღუნდაო.

ახალი კოლხიდა

სუბტროპიკული პოემა

წიგნი „ახალი კოლხიდა“ არ არის დასრულებული ნაწარმოები. პოემა ც ამ ნარკვევების წიგნს პირობითად ეწოდება. ავტორი ყოველ შემთხვევაში სკდო-ლობდა მიეცა ამ პოემის ახალ ფორმისთვის ერთგვარი დაკანონება. ძველი პოე-ტიკისაგან ამ ეპოპეიაში რჩება მთავარი მომქმედი გმირი, ეს არის სოციალის-ტურ შემოქმედების ზრუნატელით აცვანილი მწრომელი კლასის ავანგარდი, რო-მელმაც შექმნა შრომის ახალი ფორმა და ლეკმა ზურისთვის დაწვევლილი ოფ-ლით შრომა აქცია— „გვირობის, პატიოსნების საქმედ“ (სტალინი).

როცა შევუდებო წიგნის პირველ მოსაზრებას მე ვგრძობდი ერთ შინაგან გეგმას, მაგრამ ამჟამად არ შემეძლო ამ გეგმის საესებით განხორციელება. იარი თვე, რომელიც მე დავყავი შვაი ზღვის სანაპიროებზე, სრულიად არ იყო საკმა-რისი დამეწერა ისეთი წიგნი თანამედროვე კოლხიდაზე, რომელიც ამოსწუ-რავდა ამ პრობლემას.

განახლებული კოლხიდის თემა ჩემში შეუგნებლად სცხოვრობდა შემოქმე-დების პირველ დღიდანვე, მხატვრული გაფორმება მან რამოდენიმეთ მიიღო პოემა „რიონ-პორტი“-ში, სადაც მოცემულია წინათგრძნობითი ყველა ის მომენტი, რომელიც ებლა მომწვედულია ზუთწლედის აწ უკვე ისტორიულ და ფოლადის ჩარჩოებში.

ამ პოემას მე ვუძღვნი ჩემ ორპირის შეზობლებს და ფანტასტიურ ინეენერს ვასილი ავდევეს, რომელიც იყო უდიდესი ენტუზიასტი კოლხიდის დაბლობის ამოსრობისა და რომელმაც პირველად ჩამოასხა „რიონ-პორტი“-ს პროექტი.

ზუთი წელია ინეენერ ავდევეისაგან არ არის ცნობა, მხოლოდ ერთხელ მო-ვიდა მოსკოვიდან მისთვის ჩვეულებრივი დეპეშის სტილის დეკლარაცია, რომელიც აგაედა დასალუპავათ გამზადებულ გემისაგან მიღებულ რადიოს:

— SoS.

ამ წერილიდან კაცი ბევრს ვერაფერს გაარჩევდა. მხოლოდ ვინც გაცნო-ბია ინეენერ ავდევეის ნაწერებს და გეგმებს, უმთავრესად კავკასიის საუღელ-ტეხილო გზისა და თათონ რიონ-პორტის პროექტებს, ვისაც ჰქონია მასთან პირადი კავშირი, მან იცის რომ ამ ადამიანში იწოდა გენია, რაც არ ვუარ-ყვიათ არასდროს მის ყველაზე უფრო ფხიზელ პროფესიით ამხანაგებს.

მხოლოდ უცნაურობა უშლიდა ამ იშვიათ ენტუზიასტს ბოლომდე მიეყვანა დაწვებული საქმე.

როგორც ბოლო დროს გავიგე, ინგ. ავდევი მოსკოვში კიდევ განაგრძობს თავის შემოქმედებას, სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეფორმების კონკრეტულ ტემპში ალბათ მეტ სტიმულს მისცემდა მის აღფრთოვანებას.

ამ წიგნის დაწერის დროს მე ყოველთვის ვგრძობდი მის მწუხარე და ნაპრალებივით დანაკლებულ სახეს, რომელსაც შემოქმედების ცეცხლი დაუზოგავად ნთქავდა, ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ერთად მოვიგონებდით ათი წლის წინანდელ უძილო ღამეების საუბარს, საქართველოს ამ სუბტროპიკულ სამოთხის ალორძინებაზე—მასთან უშუალო საუბარს შეეძლო უფრო ნაყოფიერათ ექცია ეს პოემა.

რაც შეეხება ჩემ მეზობლებს—რომელთაც აგრეთვე მინდა მივეძღვნა ეს წიგნი, ბავშობიდან ვფიქრობდი მათზე დამეწერა წიგნი: პიროვნულად ყველა მათგანზე, რომელთადაც მე გამიტარებია ახალგაზრდობა და რომელთა სახიერება აქამდე ჩამეკდილია ჩემ ხსოვნაში მინდოდა შუკიდან შუკაში გადაესულიყავი, ეზოდან ეზოში და ამეწერა ამ ხალხის ბედი და უბედობა—და ზოგიერთი უჩვეულო თავგადასავალიც.

მე მათგან მაქვს ზღაპრების სურნელება დარჩენილი, მათგან ვისწავლე არსენას ლექსების კითხვა და რიონში ცურვა, აქამდე გამომყვა რძია-რძიისა და ლაფანის სინედლე—რომელიც ერთად ერთი ატრიალებს ლირიკის წისქვილს.

მაგრამ, ბევრი რამ გადალაგდა სამყაროში ამ ათიოდ წელში, გადალაგდა წიგნების ვეგმაც და წერის მანერაც.

ეხლა მე ნაკლებათ საინტერესოთ მიმაჩნია საკუთარი პირადი განცდა და ჩემი მეზობლების რომანტიულ ცხოვრებასაც ნისლი გადაეფარა.

ეხლა მე მინდა ვუღებო იმ საქმეს, რომელიც საერთოა, ჩემთვის, ჩემი მეზობლებისა, ყველა ქართველისა, და ასე ყველა მშრომელისათვის მთელ მსოფლიოში, სადაც გაწედება კომინტერნის მერიდიანი.

ამ საქმეს ჩემი მეზობლები დიდიდან პატარამდე პიონერიდან, მოხუცებამდე, კოლმეურნეობაში, თუ ქარხანაში—ბარითა, ნიჩაბითა, თოხითა, თუ სხვა იარაღით გულდაგულ ემსახურებიან, მეც მინდა ჩემი წარმოების იარაღი, რომელიც წინად ბატის ფრთა იყო, ეხლა კი ოთხ ოკიან თოხზე უფრო დამძიმებულა, ამ საქმეს მოუსადაგო და ჩემ მეზობლებთან ერთად გავიტანო სერელი ახალ სოციალისტურ ყანაში, სადაც ბოლო დროს ყველაფერი დაითვლება, როცა გავიტანთ ლელოს...

გრანდიოზული პერსპექტივა, რომელსაც იძლევა სუბტროპიკული კულტურის განვითარება დასავლეთ საქართველოში, ჯერ სპეციალურ ლიტერატურაში შეუსწავლელია, რამდენადაც მე საშუალება მქონდა გავცნობოდი ამ ლიტერატურას, და რამდენადაც არა სპეციალისტს შეუძლია გავრკეიოს ასეთ რთულ საკითხში.

მე მგონია, ჯერ კიდევ შორს არა ის დრო, როცა საბოლოოთ ამოწურული იქნება კოლხიდის პრობლემა.

ჩემ მოგზაურობის დროს ხშირად მინახავს გაფითრებული სპეციალისტი, ზოგჯერ ხეთწლედის რომელიმე სექტორის გემის ავტორი, რომელიც ძირიანათ შერყეულა ახლათ გადაშლილ შესაძლებლობით.

აქ ერთი ძვირფასი მცენარე სცვლის მეორეს—უმთავრესად ჩვენი ქვეყანაში რამდენადაა ამას მისდევს კიდევ სხვა ახალი სახის მცენარეს კულტურაზე დასრულებული გვევლინება ჰექტარები ხელმოკრედ ლავდებიან და საგრძნობლად იცვლება რაოდენობა, მიწის ნაჭერებისა მათ გამოსაყენებლათ.

ერთი პიღრო-ელექტრონის სადგურის პროექტი სცვლის მეორეს, სხვა ვარიანტი უფრო ძლიერი, იათი და ადვილია და მათი შესაძლებლობის შედარებით სიმრავლე იძლევა ამ ვარიანტების შეჯიბრებას.

უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს ფართობის სივრცის გადიდება, აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სრულიად ახალი პერსპექტივა ჩნდება და წინა დანახვით და ჭაობიანი ადგილები ემზადებიან ახალი კულტურის მიღებისთვის.

და კოლხიდის აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის რადიუსი თანდათან ფართოვდება, და მთელ დასავლეთ საქართველოს იტევს.

ათი წლის წინათ ვინ იფიქრებდა, რომ საკავშირო მიწათ-მოქმედების კომისიარის ამხ. იაკოვლევის ტეზისი სიმინდის კულტურის მოსპობისა დღის წესრიგში დადგებოდა მთელ იმერეთში.

შესაძლებელია წინათაც იყო ზოგიერთი გამჭრიახი სპეციალისტი, რომელსაც შეეძლო ასე გაბედულად შეეხედა კოლხიდის მომავალისთვის, მაგრამ რეალურათ ეს საკითხი დადგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს და ისიც უკანასკნელ ხანს, როცა წამოიჭრა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხი, როცა უმთავრესად ფართო მასებს მოედვა თვითმოქმედების მძლავრი ტალღა.

ეს სოციალისტური მშენებლობისათვის დაძაბული, რკინის ენერჯია მოკრეფილი მშრომელი მასა—მთავარი ელემენტია ახალ კოლხიდის პრობლემაში.

ეს მასების აქტიუობა არის უმთავრესი მოქმედი ძალა, ეს აძლევს ფუძეს, საძირკველს, სტიმულს და დულაბს აქ წარმოებულ მუშაობას.

ამ ხნის განმავლობაში, რაც მე პირველად ვნახე შავი ზღვის სანაპიროები მასების აქტიუობა უფრო იზრდება: თავს იჩენს სამრეწველო-საფინანსო და შემხვედრ გეგმისთვის გამაფრებელი ბრძოლა, სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა დამკვრელ ბრიგადებს მეტი ენტუზიაზმი შეაქვთ ამ საქმეში.

ოქტომბრის გრივალში და ცეცხლში ნაწრთობი თაობა უკანასკნელ იერიშებზე გადადის სამეურნეო ფრონტზე.

ახალ კოლხიდის აწერის დროს უმთავრესად უნდა იიწეროს ის კლასი, რომელიც აწარმოებს ამ იერისს.

ეს უძლიერესი კოლექტივი მაინც ნაწილებისაგან შედგება, სანამ გასწორდებოდნენ ბრძოლის ხაზი და ერთი პირით გამოვიდოდნენ გამარჯვებული მთელი ხალხი, ეს ხალხი მაინც გაბნეულია სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ქარხნებში და წარმოებებში.

მართალია, საერთოა მათი სოციალისტური შეტევის ფრონტი, მაგრამ სხვადასხვა სექტორებიც აქვს.

ჩაქვში, ოჩიგვარში, ოზურგეთში, ჩაის პლანტაციებზე და ჩაის ქარხნებში, ბზიბისა და ენგურის ტყეებში.



ქალაქი ქუთაისი
გაზეთი

ან ტყეარჩელის ქვანახშირის მალარობში.

ზოგი ბათუმის აზნაუთის უზარმაზარ ქარხანაში, კალაქში და მალაქში, კალაქის საირიგაციო ბუნქტებში.

შამგონის და საქილაოს ხე-ტყის ქარხნებში.

ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის აბრეშუმის ქარხნებში, დედოფნის ქარხნებში და თამბაქოს პლანტაციებზე. სამანქანო სატრაქტორო ან კლიმატიურ სადგურებზე, კოლმეურნეობათა ან როგორც უბრალოთ ეძახიან კოლექტივების ყანებშია გაფანტული, და ვინ მოთვლის კიდევ რამდენია და სად გაფანტული მუშათა რაზმები, რომელნიც ერთად შეერთებული ჰქნებიან ახალ კოლხიდის საფუძველს.

საქიროა სათითაოდ ყველა მათგანის გაცნობა, მათი სულისკვეთებით გაისკვალა, მათთან შეზრდა და შესისხლხორცება, რომ დაიწეროს ის ეპოპეია, რომელსაც ეწოდება ამიერიდან „ახალი კოლხიდა“, და რომელიც უთუოდ უფრო რომანტიულია და ყოველ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი და უფრო ხსნის მომავლის სახეს, ვიდრე ათასი წლებით გადმოცემული ლეგენდა, თუ ძველი ბერძნული მითოსი არგონავტელთა ლაშქრობაზე კოლხიდაში ოქროს ვერძის მოსატაცებლად.

მართალია ამ ლეგენდამ იმიტომ გაძლო აქამდე, რომ ეს მითოსი გამოსახავდა მაშინდელ განათლებულ ქვეყნის ამ შემთხვევაში საბერძნეთის აგრესიას წინა აზიაში, და ემორჩილებოდა ერთ განსაზღვრულ ეკონომიურ ტენდენციას, არა ნაკლებ კიდევ რასაკვირველია, იმიტომაც, რომ ამის შესახებ თავიანთ უკვდავ ლექსებში სთქვენს:

ჰომეროსმა,
აპოლონ როდოსელმა
და სხვათა.

მართალია დღეს მუშათა კლასს არ ყავს ოსტატი, რომელიც შეედრება ამ არგონავტელების ავტორებს.

მართალია არგონავტელთა ოქროს ტირიგმაზე იჯდა უტკბილესი მგოსანი, ორთეოსი, რომელიც მოშობილავ ხმით ზღვის ტალღებს აძინებდა.

მართალია იმ სამუშაოებზე, სადაც გაბნეული არიან სოციალისტურ მშენებლობისთვის ასე თავგამოდებული, მუშათა რაზმები ჯერ კიდევ:

ბაყაყები
და გომბეშოები

მწუხარე ხმით აღუნებენ მათ ნებისყოფას და ორთეოსის მაგიერობას ეწვივიან.

მართალია ოქროს ვერძს აეტის სამეფოში სდარაჯობდა მხოლოდ ერთი გულშემაზრავი და დაუძინებელი, მაგრამ მაინც ერთი დრაკონი, რომელიც მელეას შხამმა და საწამლაემ დააძინა.

ახალ კოლხიდის სანაპიროებს კი უდარაჯობენ: ყველა ჯურისა და ქვეყნის იმპერიალისტები, ფაშისტები და ინტერვენტები, — უთვალავი ზედრედნოუტებითა და — უთვალავი ცეპელინების ესკადრილიებით.

— დრაკონის კბილებზე უფრო მაგარია ფოლადის ტანკები და უფრო განმანადგურებელი მხაროლავი გაზები და შეიძლება ვერ კიდევ უნდა შემოიღონ საწამლავები.

და ეს ხალხი სასტიკათ გაწაფულია ინდო-ჩინეთში, პალესტინაში, არაბეთში, ინდოეთში და სხვაგან, მოაწყონ დამრბვეი ექსპედიციები.

მოლაღატე შედეგ მართო ერთი ამზადებდა შხამს და საწამლაეს. მუხანათობით და გაკუმით არ ინდობდა თავის საშვობლო ქვეყანას და ძმის სისხლში გაისყარა ხელი.

და, რა დასამაღია, დღეს კიდევ ბევრი იღესაეს გულში საწამლაეს და ეწევა ჩუმსა და ამყარა მუნებლობას, როცა ერთი კაცი აქცევს და ანადგურებს ათასის გაკეთებულს, როცა ხელის აუკანალებლათ შიშვილით და რბევით ემუქრება ოფელში გაწურულ მშრომელთა მასებს.

— მაგრამ, ამ მაგრამსაც აქვს თავისი მაგარი მაგრამი...

არგონავტელები იყვენ ერთი მუქა ავანტიურისტები, მართალია გულადი და რაინდი, მაგრამ მარცხ ერთი მუქა ავანტიურისტები და თავგადასავალის მადიებელი.

აქ კი ახალ კოლხიდის ლაშქრობაში ჩაბმულია მშრომელი კლასი, მშრომელი ხალხი, რომელიც აქ ამ ფორტზეც მილიონებია, ისე კი მთელ ქვეყანაზე თავის მოკავშირეებს ასი მილიონობით ითვლის.

ეს ხალხი იბრძვის ახალი სოციალისტური კულტურისათვის, მას უნდა საუკუნო ბნელეთიდან გამოსკლა, ადამიანური ცხოვრების პირობების შექმნა, შრომის ექსპლოატაციის მოსპობა. ის იბრძვის ადამიანის ბუნებრივ უფლებისათვის და ამ ბრძოლაში დაუნდობელია და მკაცრი კლასიურ მტერის წინააღმდეგ.

აქ ვინც მას ხელს უშლის — თავის საკუთარ საფლავს ითხრის, ორივე თვალს იცხებს.

— ენგური უკან არ დაბრუნდება!

— იალბუზს ტანკა ვერ გადაუარს!

ამიტომ არის ეს ხალხი თავისი მოიმედე, შრომით, ოფლით მებრძოლი მუშათა მასსა წინდაწინ გრძნობს გამარჯვებას და ეს არის მისი აღფრთოვანება.

და რაც უნდა პირამდე არ იყოს შეიარაღებული ინტერვენციის ლაშქარი, რაც უნდა დოგმატიკის მალაყიებს არ გადადიოდენ მათი დამქაშები, რაც უნდა განიარაღებაზე ლაყბობით არ აპირებდენ ომის უცბად დანთებას, მათი რიცხვი მაინც განსაზღვრულია, ისინი ერთი მუქა ავანტიურისტები არიან მშრომელ მასებთან შედარებით.

აი ეს არის რევოლიუციის უბრალო არითმეტიკა და ოქროს ვერძის ლეგენდის თანამედროვე ქარაგმა.

შეუძლებელია ჩვენი თაობის კაცს არ ჰქონდეს იმედი, რომ ვახდეს ამ მშრომელი ხალხის ჰომეროსი, ან აპოლონ როდოსელი. ორფეოსის მომხიბლავი მუსიკის შრიალი არისტოკრატიული კასტის შთაგონება იყო

და გრივადივით მოვარდება მილიონების შთაგონება.



- ჯერ სანამ იბრძვის წერაჭეი
- სანამ მალაროგებში ბნელა
- სანამ ჭაობებში ხალხი მუხლამდე ეფლობა
- სანამ ფაცებში კიდევ კვარი ანთია.
- სანამ ომის აწრდილი ტრადიციულ სიყვდილის ცელით სდგას
- და მუხანათურად მხოლოდ დროს ელის დაცემისა და განადგურების-თვის.

მარტო ტკბილ ამბებისთვის ვერ მოიცილის ადამიანი, რომელიც შეერთებულია თავისი ბედით ამ მილიონებთან, სამაგიეროთ იზადება ახალი ადამიანი, ახალი სოციალისტური კულტურით შთაგონებული ორგანიზულად არის დაკავშირებული ხალხთან.

ეს ახალი ადამიანი გამოდის იმ კლასიდან, რომელიც უშუალოდ იბრძვის ამ ახალ კულტურისთვის. მითქვამს და ისევ ვავიწეორებ ამ ახალ კაცზე:

— აღბათ სადღაცა ზის ესახელი
 იქნებ ნიფხაეი ჯერ არც კი ვეცას.
 მაგრამ გაშლილი აქვს მას საყელო,
 ღია თვალებით უყურებს ზეცას.
 მის მაგიერად რამდენი მკლავი
 შრომობს, ირეგბა და ოფლს იწურავს.
 ხუთკლხობიანი მისი ვარსკვლავი
 სამშობლო ცაზე სხვაგვარად სცურავს.
 — ეცვას პერანგი დღეს ნარშიანი,
 ის მაინც სხვაა ადამიანი.
 ოქტომბრის ჭარი ზუსტით ზრდიდა,
 არ მოვარდნილა ფეკრად ცოდან.

 გამოიჭედა ეს საჭართელო
 ფოლადის, რკინის ახალ ჯავშანში.
 გატანილია იმისი ლელა,
 არ დაიწოზა ჩვენსაკით ფშანში.

ახალი კოლხიდა სწორედ ამ ფშანის ამოშრობაა: ეს არ არის ფიგურული თქმა, და ამ კოლხიდის ფშანების ამოშრობაზე და სუბტროპიკული კულტურის განვითარებაზე არის დაწერილი ეს პოემა.

ორი თვე არ არის საქმარისი, რომ გაეცნო ამ უზარმაზარ გეგმას, რომელსაც ხუთწლედი ისახავს კოლხიდის ალორძინებისათვის. მით უმეტეს, არ არის საქმარისი სუბტროპიკული კულტურის სავესებით გაცნობისთვის.

მე მხოლოდ ერთი თვალთ შევხედე ამ უზარმაზარ პრობლემას. ძალიანაც ვეიცი რომ საჭირო იყო ახლოს გაცნობა იმ ხალხის, რომელიც უშუალოდ ჩაბმულია ამ სამუშაოში.

საჭიროა შესწავლა და შესრულა წარმოებაში და იქ ჩაბმული ხალხის სულისკვეთების გადმოცემა.

მერე რამდენია ახალ წამოწყებული წარმოება!..

თან ყველაფერი ეს ხდება ისეთ მძაფრ პერიოდში, როგორც არის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა და მის ბაზაზე კულტურის კლასის, ლიკეიდაცია.

როცა დედაბუდიანად იცვლება ძველი ყოფა-ცხოვრება და მიწის ძვრის ტემპით იზადება ახალი სამყარო.

ბუნებრივია, რომ ამ წიგნს არა აქვს პრეტენზია ამ დიდი ამბების დამტყვი და მემარტიანე იყოს.

და თუ მინც ვაქვეყნებ ამ წიგნს—მე მივმართავ პირველ ყოვლისა იერიშზე გადასულ პროლეტარიატს, რომ ვსთქვა:

— პირდაპირ, გულდაგულ, მთელი ხმითა და კაცურ კაცობის შეგნებით.

— მხოლოდ მტერი უყურებს შორიდან ზე-ადამიანურ ეპოპეას, რომელსაც ჰქვია სოციალისტური ქვეყნის შენება.

რომ არ არის განსხვავება ჩემსა და ჩემს მეზობელთა შორის, რომ მეც მინდა ვიყო ბარისა და ნიჩაბის დამკვრელი, და რომ სოციალიზმის პერიოდში გადასულამ გაათანასწორა:

— დამკვრელი მუშა და მწერალი.

არ შეიძლება რომ აქაც არ იყოს ლირიკის რეციდივი, ძალიან დიდხანს იყო ამ წისქვილის ქვაზე მიგდებული წყალი.

მართალია მე ხშირად ვცდებოდი.

მაგრამ არასოდეს არ ეყოფილვარ მარტო „დადაისტი“ და ყოველთვის მაწვალებდა ჩემი ქვეყნის ბედი.

პოეზიაში მე დავიწყებ „ქალდას ქალაქებით“, საიდანაც მცემდა დამწვარ ქალაქებისა და გადასულ კულტურათა ჩამქრალი ცეცხლის ბოლი და კვამლი.

ქალდეა მაშინ ჩემთვის პირველი ბუდე იყო ძველი საქართველოსი.

ებლა მე ვხედავ ამომავალ მშრომელი კლასის სოციალისტურ ქალაქებს.

მისი ერთი პლაცდარშია „ახალი კოლხიდა“, ახალი საქართველო, და რაც მსოფლიოში შორს გაიწეეს ამ ქალაქების რადიუსი.

მით უკეთესი საქართველოსთვის და მისი პოეტებისთვის.

ჩემ მოძმე პოეტებსაც უნდა მივმართო ასეთი ბოლო სიტყვით:

— როცა შავი ზღვის სანაპიროებზე მოგზაურობის დროს ჩვენ ავტომობილით სოხუმიდან მივდიოდით გავრავში, ახალ ათონთან შემოგვალამდა. გზა ტყეში ისე იგრძობოდა, როგორც ალავერდის გუმბათის შესავალ კარების ღვიშეში. ავტომობილის პროექტორი ძლიერს ანათებდა უზარმაზარი ხეების შუატანს.

უცებ ჩვენ თვალწინ ვადიშალა ვეებერთელა კოცონი, ბზიბის ტყეს ცეცხლი ედებოდა და ნახევარი ცა აღმზრში იყო გახვეული, ჩვენი შოფერი ავსტრიელი-გერმანელი გვეუბნება, ისეთი ცეცხლი აქ თურმე მთელი თევობით გრძელდება.

გარსია ვენტურა კალდერონის პერუს ლანშაფტია.

ცეცხლი ანადგურებდა ბზიბის ტყეს და კვამლი ღრუბლების რგოლებად იღბა ცაზე.

— როცა ბათომიდან ჩაქვში მივდიოდით ციხისძირში, რომელიც წინად გურიის მთავრების ციხე-გალავანი იყო, და ებლა ჩაის პლანტაციებზე მოფენილია, ჩვენი ურადლება მიიპყრო მძლავრმა ლალუმის ცემამ, მართალია, ეს მთავორიანი ადგილია, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ ლალუმები მინდორზე სკდებოდა.

— აქაც მოფერმა აქარელმა აგვიხსნა: ამ მინდორებს ამზადებენ ჩაის დასარგავად, მიწიდან ლალუმებით ხეების ძირებს გლეჯენ და მართლაც მალე ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ყუმბარებით თხრიდენ განეხილ ასწლიან ხეების ძირებს და მთელი ველი მოფენილი იყო ამ გარუჯული კუნძებით.

— ეს ამბავი თუ იგავი აქ იმიტომ გავიხსენეთ,—

— ბზიბის ტყის ხანძარმა და ცეცხლმა უნდა დაცხრილოს და გადაბანოს ახალი სული.

— ციხისძირის ხის კუნძებზე და ლალუმებით უნდა ამოითხაროს და ამოიბუგოს წარსულის უკულმართობა.

რომ თანამედროვე მწერალი გამოდგეს მოერიშეთ სოციალისტურ ქვეყნისათვის ლაშქრობაში.

მკრი მკრიმტაცია

კოლხიდის პრობლემა—ერთა რგოლია საერთო სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე. ჩვენთვის ბევრი იქნებოდა გაუგებარი სოციალიზმის ფუნდამენტის აშენებისთვის, თუ თავიდანვე არ გავერკვეოდით ზოგიერთ საკითხებში, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის პრობლემისთვის.

რაც უნდა მძაფრი არ იყოს შენების ტემპი, რაც უნდა სახე არ იცვალოს კოლხიდან სუბტროპიკული კულტურის გაშენების შემდეგ—მთავარია ვინ ეწევა ამ აღმშენებლობას და რა ძალა ხელმძღვანელობს მასების მოძრაობას.

აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ორიენტაციის გარკვევას. ჩვენთვის, მით უმეტეს, საინტერესოა ამ საკითხზე შეჩერება, რომ კოლხიდა იმ თავითვე მთავარი პუნქტი იყო, საიდანაც იწყებოდა ორიენტაციის სახსრების გამართვა.

შემდეგ თავებში ჩვენ შეგვხვებით რა გეოგრაფიული საფუძველი აქვს ბერძნულ მითოსს ოქროს ვერძის შესახებ, რა ამოძრავებდა ძველ სამბერძნეთს და რომს, როცა ასეთი ექსპანსიით მოემართებოდა კოლხიდაში. აგრეთვე, როგორ წარმოედგინა შავი ზღვის სანაპიროები რუსეთის ბიუროკრატის რევოლუციამდე და რა ზომებს იღებდა, რომ ეს მხარე გაეხადა თავისი კოლონიზატორულ პოლიტიკის დასაყრდენათ.

აგრეთვე რა როლი ითამაშა ბათომმა უკანასკნელად რევოლუციის შემდეგ. როცა სამი წელი აქ თარეშობდნენ ინგლისის საოკუპაციო ჯარები.

ამისთვის ჩვენ დაგვიჩრდება ზოგიერთი ისტორიული ფაქტების მოგონება, მათი ანალიზი თანამედროვე პოლიტიკის მიხედვით, უამისოთ არ იქნებოდა კოლხიდის პრობლემა მთელი სისრულით წარმოდგენილი.

საერთოდ, კოლხიდასთან დაკავშირებულია ერთი მეტად ჩვენ დღეებშიც ბევრის მიქმელი ისტორიული მოგონება ორიენტაციის საკითხის გარკვევისთვის.

ბევრად ადრე სანამ პროფ. ზ. ავალიშვილი დასწერდა თავის წიგნს „საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო პოლიტიკის 1918-1921 წელს“, და ამ წიგნის შესავალში მოიგონებდა იმ აზრს, რომ სპირიტუალური სიკვდილის გამო კოლხიდელები არკვევენ თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციას სპარსეთსა და საბერძნეთს შორის, მე ჩემ წერილში „წინა აზრად“, რომელიც დაიბეჭდა 1918 წელს დამოუკიდებლად ვიგონებდი ამ ანალოგიას, როცა მაშინდელი საქართველო არკვედა თავის ორიენტაციას ევროპასა და ოქტომბრის რევოლუციის შორის.

ჩემი ფორმულა ასეთი იყო:

— ერთი მხრივ დგას რევოლუცია და მესამე ინტერნაციონალი.

— მეორე მხრივ—ანტანტა და მოკავშირენი.

— როდესაც ასეთი დაპირისპირებაა ძალების, შეუძლებელია ნეიტრალიტეტის დაცვა, არც იქით და არც აქეთ. მაშინდელი გავრცელებული დემოკრატიული შთაფრობის პოლიტიკური ფორმულა მე სირაქლეზის თავის მოტყუებათ შეჩვენებოდა და მალე მართლაც საბოლოოდ გამოირკვა, ვის მხარეზე უნდა დამდგარიყო საქართველო.

არა ნაკლები სიმწვაფით მდგარა ეს საკითხი ისტორიულადაც კოლხიდაში. ამის შესახებ ჯერ კიდევ 554 წელს კამათობდნენ ლაზები და კოლხიდელები. ბიზანტიელი მხიბვლელი Agathuas-ი ასე გადმოგვცემს ამ აზრს:

— „კოლხიდელების საქმე იმ დროს აშლილი იყო და თავი და ბოლო არ უჩანდა. მთავრებმაკ კი არ იცოდნენ რა მოელოდათ კოლხიდელებს და ან ვისთვის მიემართათ. ამისათვის კოლხიდელებმა კავკასიის რომელიღაც ხეობაში საიდუმლოთ მოუწოდეს დიდძალ ხალხს ისე კი რომ ბერძნებს არ გაეგოთ, რასაც დააპირებდნენ.

იქ დაიწყეს სჯა, რა სჯობია, სპარსელებს მიეცხროთ, თუ ისევ ბერძნების მომხრენი ვიყოთო.

ამ საგანში ცხარე ბაასი და დიდი კამათი ასტება.

ერთნი ამბობდნენ, სპარსელებისკენ გადავიდეთო, მეორენი — ისევ ბერძნებისკენ ვიყვნეთო. შემდეგ ატყდა საერთო ყაყანი, აირია ლაპარაკი და კაცი ვერ გაარჩევდა ვინ რას ამბობდა, მაშინ უფროსები ჩაერივნენ და უბრძანეს კრებას გაჩუმებულიყვენ.

უფროსებმა განკარგულება მოახდინეს, ვისაც უნდა რიგიანი რამ სთქვას გამოდგეს წინ და დალაგებით და წესიერათ ილაპარაკოსო. სულ ერთია ვინც უნდა იყოს ლაპარაკის მსურველიო.

მაშინ გამოვიდა წინ ერთი წარჩინებული კაცი სახელად აიგტი, რომელიც ყველაზე უფრო უკმაყოფილო იყო კოლხიდის საქმეთა გამო და რომელსაც სძაგდა ყოველივე ბერძნული და მუდამ სპარსეთისკენ ჰქონდა გული.

აიგტიმ დრო იპოვა და უფრო გააზვიადა, რაც მოხდა კოლხიდაში. დაიწყო ლაპარაკი რომ სჯა და თათბირი არც კია საჭირო, ეხლავე უნდა ავლგეთ და გამოცხადებით მიეცხროთ სპარსელებსო.

შემდეგ მოყვანილი ამ დარბაისელი და ენაწულიანი ორატორის სიტყვა, რომელიც ჩაითვლება კლასიკურ ნიმუშად, თუ როგორ შეიძლება შეფუძნებულია კაცმა მოთხაროს და გაათახსიროს მოპირდაპირე, თუ მისთვის აქვს გულში.

აეტი ათას გაიძვერობაში, გაუტანლობაში, ღალატში და მუხანათობაში სდებს ბრალს ბერძნებს და მკვეთრად იძლევა შემდეგ ფორმულას:

— ჩემი სურვალი და ნატვრა ის არის, კოლხიდელების სამეფო ისევ ყოველად ძლიერი იყოს, როგორც წინად ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოეთიდან არ ეკირვებოდეს და რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობას, ისე ომიანობის დროს. მაგრამ რა კი დროთა ბრუნვის გამო, ანუ ბედის დაუდგრომლობის, ანუ შესაძლოა ამ ორთავე მიზეზით ერთათ, ისე დავეძღურდით და ჩაუვარდით ხელში სხვებს, გონიერება უფრო ის იქნება იმათ ხელში ვერძიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერები და მართალის მოყვარენი არიან, და უფრო გატანა იციან თავიანთ მომხრეების...

აეტი დაეუფლა ყრილობას.

მთელმა კრებამ, — განაგრძობს აგატიასი, ალტაკებით მოისმინა ეს სიტყვები და დაეთანხმა კიდევ და კოლხიდელებს, თუმცა არ იყვენ მოლაპარაკებული, იმ დღესვე უნდოდათ გადასვლა სპარსელების წაარგზე.

აქ შემოტიანე დაუმალავი ირონიით შენიშნავს.

— ასეთი ჩქარი გადაწყვეტილება სჩვევია საზოგადოთ დიდ კრებულს, და ბრბოს რომელიც მუდამ ეტანება ახალ-ახალსა და სიხარული ეგებება ახალ ცვლილებას.

მხოლოდ ამ შემთხვევაში კოლხიდელები ჩვეულებრივზე მეტად აღელდნენ. არა იმიტომ რომ მარბაროსები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ჯერ იყო ვინმე ბედნიერი მართალი ვართ ამ საქმეშიო და აეტის ლაპარაკმა მოხიზლა და გაიტაცა...

როცა ამ გვარად ჩოჩოლი შეუდგათ, დაიწყო ლაპარაკი ერთმა, სახელად ფარტაცმა, კაცმა დიად გონიერმა, დარბაისელმა და თავდაქერილმა, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა განთქმული და დიდ პატივს ცემდნენ კოლხიდელები.

— დაიწყო ლაპარაკი, ამშვიდებდა კრებას და ევედრებოდა, დაწყნარდით ნუ აყვებით გულის თქმასა და ნურას დაიწყებთ, ისე რომ ჩემიც არ მოისმინოთო. ძლივს მოახერხა და-დაჯერა რომ გააწუმებულყო, ესეც იმიტომ რომ დიდ პატივს ცემდნენ და ხათრი ვერ გაუტეხეს.

გამოვიდა ფარტაცი დადგა შუაში და წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც სრულიად გააბათილა აეტის მოსაზრებანი, მართლაც რომ იშვიათი სიღამაზით არის ამენებული ეს რიტორიული ტირადა, გრძელი რომ არ იყოს შეიძლებოდა წაყენა და მოყვანა კიდევ.

უმთავრესად ფარტაცი ლაპარაკობდა რომაელების საერთო ძლიერებაზე და შეჩვეულ ჰქონს ამჯობინებდა შეუჩვეულ საეჭუო ბედნიერებას.

მთავარი არგუმენტი იყო მაინც სარწმუნოების ერთიანობა და ამით გაიმარჯვა კიდევ.

ფარტასის სიტყვის მოსმენის შემდეგ კოლხიდელებმა სულ სხვა კლოზე დაიწყეს ლაპარაკი, ვაი თუ მართლმადიდებელი სარწმუნოებმწიფე მწიფე თუ სპარსელებს მიუღწევთო. ვაიმარჯვა ფარტაციის აზრმა ამოიჩინეს, სწინსკიტურო დარბაისელი და დიდებული კაცი იყო კოლხიდელებმა და გაუგზავნეს დესპანებათ იმპერატორ იუსტინიანეს, დაუდევს თითქოს რაღაც პირობა, მაგრამ საერთოდ მაინც აირჩიეს ბიზანტიის ორიენტაცია...

ეს ამბავი იმისთვის არის მოსატანი, რომ შემდეგშიც ორიენტაციის საკითხი საქართველოში ყოველთვის მწვავედ იდგა. მისი ისტორიული ანალიზი შორს წაგვიყვანდა, მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში დაკავშირებით, შეუძლებელია უახლოესი ეტაპების არ მოგონება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ასეთი ორიენტაციის საკითხი ახალი სიმწვავეთ დადგა.

სანი წელი, რომელთაც საქართველო ჩამორჩება ოქტომბრის რევოლუციას საკმარისი იყო რომ კავკასიაზე კვლავ გაჩენილიყვენ იმპერიალისტური სკავეები და თავიანთი ყრბი მოეხოვათ.

ჯერ იყო გერმანია და მისი მოკავშირენი: ვოლფ-სკელი, ენვერი, ვესბი და სხვა ფაშები, შემდეგ ინგლისელები: ტომსონი, კორი, სტოქსი და კუკოლისი.

აქაც სწორედ შავი ზღვის სანაპიროები გახდა იმპერიალისტების ზრუნვის საგანად.

განსაკუთრებით ბათოში იპყრობდა მათ ყურადღებას.

ჯერ იყო თათრებმა ჩაიგდეს ხელში, მერე კიდევ ინგლისელებმა გამოაცხადეს თავის ბაზად და ჩამოჭრეს საქართველოს.

ინგლისელების დროს იქ თარეშობდნენ რუსეთის ცარიზმის ნაშთები, რომელთაც დარიგებული ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროზე აღვილები და ასე იოლად არ თმობდნენ თავიანთ უფლებას.

მერე კიდევ ოსმალები—მართალია უკანასკნელნი ოფიციალურად იდეენებოდნენ ინგლისელებისაგან, მაგრამ ისე მაგრად ჰქონდათ აქ კრაზანის ბუდე დაბურდული. თავიანთი ბანდიტი ემისრების საშუალებით, როგორც იყო სერვერგბეი და კისკინ-ზადე. რომ... დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარე ევედრებოდა ინგლისელების საოკუპაციო მთავრობას—მოკავშირეთ სერვერგ-ბეიო, რომელსაც დეიარსებია ყარსის რესპუბლიკა.

გენერალი კორი პირდება ჩამოეახრჩობ, ამ ავაზაკსო, ნამდვილად კი სერვერგ-ბეი ნამდვილ ომს აწარმოებდა ახალციხეში.

და შოტლანდიელები, ინგლისელების და მათი ფერადი ჯარების ჯორები უწყალოდ ხრავდნენ ბათომის სანაპიროებზე წლობით გაშენებულ პალმებსა და სხვა ძვირფას მკენარეთ.

ავატიასზე არანაკლები ბიზანტიური ქრონიკის დამაჯვრლობით, მოყოლილია პროფ. ზ. ავალიშვილის ჩვენგან უკვე ნახსენებ წიგნში, ბათომის ამბები ქართულ დიპლომატიურ დელეგაციის კანოსას დროს ევროპაში.

სანრემოს კონფერენციის წინ მოკავშირეთა მთავარი საბჭო სკდილობს აკავასის რესპუბლიკების მთავრობათა მორიგებას ბათომის წინააღმდეგ. ამ შედეგის როლში გამოდის ვინმე მისტერ რობერტ ვანსიტრატის და დაქინებით უჩივებს სამივე რესპუბლიკას მორიგდენ, რომ ერთი ფრონტი გაშალონ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

და ეს მოლაპარაკება ჩაშალა ბათომის საკითხმა. სომხეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდენ ნუბარ-ფაშა და ავეტიკ-აგარონიანი მოითხოვდა შვ-ზღვაზე გასაღას სომხეთისათვის ჯერ ლაზისტანში და მერე ბათომში.

ბათომი სიერთოდ ცხადდებოდა პორტო-ფრანკოთ, ნამდვილად კი უნდა ყოფილიყო ინგლისელების გიბრალტარი კავასის ნავთის საბუღობისთვის.

ეს იყო ის დრო, როდესაც გამარჯვებული ანტანტა თვალთმაქცურად აწაფებდა ეხლა ყველასათვის სამარცხვინო სერვის ხელშეკრულებას, რომელსაც უნდა დაენგრია ოსმალეთი, ნამდვილად კი ეს ხელშეკრულება გახდა უამრავ პროვოკაციის ქსელად.

ქართულ დელეგაციას არაფერი ქონდა საწინააღმდეგო, ბათომი ინგლისელების ხელში ყოფილიყო, მხოლოდ ვერ მოეწეებოდა, რომ სომხეთს უნდა გაეყვანათ რკინის გზა ყარსიდან არღივანით ბათომამდე, თანაც უარყოფდა საქართველოს სუვერენიტეტს ამ ოლქზე.

ამ ფანტასტიურ რკინის გზის პროექტს კიდევ შეურიგდა ქართული დელეგაცია, მაგრამ ამ გამწვავება გამოიწვია ფორმულამ, რომ ეს რკინის გზა უნდა ყოფილიყო „სომხეთის სრული საკუთრება“...

აზერბაიჯანის დელეგაციასაც ქამის დროს შადა გაეღვიძა და ბათომზე განაცხადა თავისი პრეტენზია, ჯერ ერთი მოინდომა ჩამოყოლოდა ბაქოს ნავთს და მის ნავთსადენს შვე ზღვამდე და მერე წაეპოტინა ეტნიურ პრინციპს და აკარა, როგორც სამუსულმანო პროვინცია, თავის გაელენის ქვეშ დააყენა.

მართლაც, ეშმაკი ფეხს მოიტეხდა ასეთ სიტუაციაში, ბათომში რაღაც მოჯადოებული წრე გაიხლართა და გულუბრყვილო ბავშვივით კარლო ჩხეიძეს, ქართულ დელეგაციის თავმჯდომარეს ვერ გაეგო რაში იყო საქმე და, მიუხედავად ყელზე მიჭერად დანისა, მინც ეწინააღმდეგებოდა რობერტ ვანსიტრატს, რომელიც წამებს ითვლიდა და ცდილობდა შეურიგებელის შერიგებას.

ოსმალეთის დიპლომატიაში კუთა დაქნილი სომხები ეგვიპტელი ნუბარ-ფაშა და გაბრიელ ეფენდი ნურადიანი, არანაკლებ ყიზილ-ბაში ალი ტომბიბაშევი და მეორე ინტერნაციონალის დოგმატიკურ კარსეტში ვადიპლომატებული კარლო ჩხეიძე, ამ რობერტ ვანსიტრატის ხელში მართლა რომ იშვიათ სანახაობას წარმოადგენდა.

მაგრამ ეს იყო ფინალი იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა მაშინდელი მთავრობა.

ერთი მხრივ იღვა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია, ინგლისის მეთაურობით.

მეორე მხრივ საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ლაპარაკობდა ლენინისა და რევოლიუციის ვნით.



ბურჯანაძის სახელობის
საზოგადოებრივი

აქ უნდა მომხდარიყო არჩევანი.

ან პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო ან ბურჟუაზიული სახელმწიფოთა კოალიცია.

ორი გზა არ იყო.

ფორმულა არც აქვთ, არც იქვთ, თანდათან ჰკარგავდა თავის აზრს.

ფაქტების ლოლიკა თავის თავად ლაპარაკობდა, თუმცა დაგვიანებული მაგრამ მაინც დასრულებული, მკრეული და მკვეთრი ფორმულა ამ ეპოქას მისცა მაშინდელმა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. როცა სამუდამოთ დასწყველა „პარზაროსი“ და „ფანატიკოსი“ ბოლშევიკები, და აიჩია „ცივილიზატორი“ კაპიტალისტების გზა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ დემოკრატიულ პრინციპებზე აღზრდილი და რუსეთის სოციალდემოკრატიულ კომპრომისიტილი ხალხი იძლეოდა ასეთ ფორმულას, რას იტყოდნენ ყველა ჯურის ნაციონალისტური პარტიების ერემიები.

უგმველია აქ ზედაპირზე გაიმარჯვა პირველმა ორიენტაციამ და თუმცა მორცხვით, მაგრამ მაინც დაიწყო საქის მოტრიალება.

მხოლოდ იმ დროს ხალხის მასებში სხვა ორიენტაცია უიღვანდა ფესვებს. ეს იყო კომუნისტურ პარტიის ორიენტაცია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. რომელმაც გაიმარჯვა.

ეს საკითხი ეხლა ათი წლის პრაქტიკით გადაჭრილია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხის გარშემო ეხლაც არ იყოს ძველი დავა. ეხლაც უცხოეთში გადატანილი დემოკრატიული რესპუბლიკის შტაბი იცავს თავის ძველ ტეზისს.

მაგრამ ყოველი დღე ძირს უთხრის მის რეალურ შესაძლებლობას.

აღმოსავლეთის ხალხებში იზრდება ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ ეროვნულ განთავისუფლებისთვის..

არამბები პალესტინაში, ინდოელები და ჩინელები და სხვა ერთ ჩაუშქრალ აჯანყების ცეცხლში ტრიალებენ.

მაგრამ სხვის მაგალითზე ძნელია კუთხის სწავლა.

ახალი კოლხიდის პრობლემა სწორეთ ამ პოლიტიკის ასპექტში ჰკარგავს ლოკალურ მნიშვნელობას და უკავშირდება სოციალიზმის აშენების პერიოდს. მშრომელი მისა გააღმასებული ენერჯითა შეესია ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ხელაართული ომია გაჩაღებული.

აქ კოლხიდა მხოლოდ ერთი ცოცხალი უჯრედი საბჭოების სოციალისტურ ფრონტზე.

აქ არ იქნება ისეთი დავა, რომელიც გამართული ჰქონდათ მისტერ რომერტ ვანსიტრატის კაბინეტში კავკასიის ცრუ გოგი მაგოვებს.

აქ არ იქნება დავა სუვერენიტეტზე, რადგან სუვერენიტეტი ეკუთვნის მშრომელ ხალხს და ყველა ინაწილებს აღმშენებლობის შრომას.

მიტოსის დიალექტიკა

როცა საქმე ძველ კოლხიდას ეხება, არც ისე იოლია ისტორიის ჩამოშორება, თუნდაც ზოგიერთის ისტორიისში გადაჭარბებული მოეჩვენოს.

კოლხიდის ისტორია შორიდან იწყება, მისი ძირი იკარგება ბერძნულ მიტოსებში, მაგრამ ამ მიტოსებს აქვს თავისი დიალექტიკა.

დიუბუა დემონსტრაციის აზრით, რომელმაც იმოგზაურა კავკასიაში — თუ დაეფუტებოდა ბერძენების ისტორიკოსებს, ბერძენებმა დაარსეს უძველესი დროიდან შავი ზღვის ალმოსავლეთ ნაპირას ორი ახალშენი (საკოლონიები... მშენებლობა) აქედან და ჰენიჭებებისა, დაარსეს სწორედ იმ ხანში, როცა აქეთ იქეთ გასვლის წყურვილი არ აძლევდა ბერძენებს მოსვენებას და ამიტომ ადვილად მიემგზავრებოდნენ შორეულ ქვეყნებისაკენ: ტროადას, კაიროს და კოლხიდისაკენ.

ბეჯითად ვიცით, რომ როდესაც შილენი ბრძანებლობდნენ შავ ზღვაზე, ისინი ამ ზღვის ნაპირას ბლომათ აფუძნებდნენ ახალშენებს და არ ტოვებდნენ უფურადღებოთ არც ერთ კუთხეს, რომელიც კი გამოსადეგი იყო მათის შრეწველობისა და აღებ-მიცემისთვის.

ყოველ დიდ მდინარის ბოლოში, ყოველ მოხერხებულ ზღვის ყურეში, ყოველ სავაჭრო ადგილზე დიდ ქალაქებს აფუძნებდნენ.

როცა ამისთანა ქალაქი გამდიდრდებოდა, მაშინ ქალაქი თავის გარშემო პატარა ქალაქებს დაარსებდა და თვითველი მათგანი დიდათ სარგებლობდა, როგორც მიწის ნაწარმოებით, ისე მცხოვრებლების ნიჭიერებით.

ამისთანა ქალაქები იყო: ფანაგორია, რომლის მდებარეობა მდ. ყუბანის ბოლოში ძალიან მოხერხებული იყო: აქ მოდიოდნენ სავაჭროთ აზიელნი, ბოსფორელნი, მეოტელნი და ყველა თესლი კავკასიისა.

ველენჯიკისა და სუჯუკ-კალეს (აწინდელი ნოვოროსიისკი) ზღვის ყურეში იყო ქალაქები: ტორაქოსი და ბატა.

შუგენიერი აბხაზეთის გულში იყო დიოსკურია (აწინდელი სოხუმის მახლობლად), რომელიც ახლო მცხოვრებს მთიელებს ტყაებზე და სხვა ნაწარმოებზე უცვლიდა პანტიკაპეიდან (აწინდელი ქერჩი) მოტანილ მარხის. დიოსკურიის შემდეგ უმთავრესი ახალშენები ბერძენებისა იყო: გენოსი ანუ აწინდელი დგვანისი, რომელიც მდებარეობს მარკულას მდ. ნაპირას, ილორი, ბედიი, პერკელა ანუ აწინდელი ანაკლია.

ამ ახალშენებს ძალიან ეწინიდათ გარშემო მოსახლე ხალხებისა, რომელთა შორის ყველა მამაცი იყვნენ სენები და კორაქსელები ანუ აწინდელი წებულ-დელები.

ეს უძველესი ახალშენები ბერძენებისა და იპსორო მირტიდატმა და მირტიდატის სიკედილის შემდეგ დაიმორჩილეს რომაელებმა.

რომაელებმა თავიანთი მეციხოვნენი დააყენეს ყველა ქალაქებში.

პლინის დროს (74 წ. ქრ. დ.) დიოსკურია, სადაც ცოტა წინად რომაელებს ას ოცდა ათი თარჯიმანი ყავდათ, თავის სავაჭრო საქმეებისათვის, წარმოადგენდა მხოლოდ უბრალო ციხეს. და დღეს კი არაფერი არ გვაგონებს დიოსკურიას, ასე რომ მოგზაურნი ვერც კი პოულობენ იმ ადგილს, სადაც ის არსებობდა...

შავი ზღვის ნაპირას ფაზისის (აწინდელი რიონი) მდინარის ბოლოს იყო ფაზის ქალაქი (აწინდელი ფოთი). ეს ქალაქი იყო კოლხიდელების სავაჭრო ადგილი, საიდანაც გაჰქონდათ: სელი, კანაფი, ცვილი, კუბრი, ტილო, საშენებელი

ხე-ტყე და თაფლი. ყველა ეს ახალშენები ახლა დაარსეს მილიზიელებმა ანდა განაახლეს.

შავი ზღვა გვიმალავს ძველ დროთა წყვედიადში იმიტომ, რომეღოც მოგვითხრობს ამ ახალშენების დაფუძნებას, ეკუთვნის ბევრად უფრო ძველ დროს, ვიდრე მილიზიელები გამოჩნდებოდნენ და თვით ამ მითითურ აღწერაობების ქვეშ დაფარულია ცოტათ თუ ბევრად ცნობილი ისტორიული ფაქტები.

ვინც კი წაიკითხავს ჰომეროსს, ვინც კი შეისწავლის თქმულების არგონავტებისა, ფრიქსისა და ჰელასასას და წაიკითხავს ევროპის მოტაცების ამბავს ჰეროდოტეს წიგნში და სხვ. ის ხშირად ასეთ აზრს დაადგება და დარწმუნდება, რომ ბერძნებმა ბევრად თუ ცოტათ მიიღეს განათლება იმ ერებისაგან, რომელთა ისინი ბარბაროსებს უწოდებდნენ.

თვით მეფე, რომელმაც არგონავტები, ტირიელები, ტროადელები და სხვა მიიღო და თვით მისი ერიც განათლებით უფრო მაღლა იდგა, იმ ავანტიურისტებზე და იმ ჯარებზე, რომელიც ესტუმრენ მას იმისავე გასაძარცვავად და სტუმარ-მასპინძლობის წესის დასარღვევად.

თითქმის ყველა უძველეს პოეტებს და ისტორიკოსებს თავიანთ გმირების საარაკო საქმეების ასპარეზად შავი ზღვა აურჩევიათ. მათის მოთხრობით ეს გმირები მიიზიდებიან აღმოსავლეთისაკენ, რომელიც გამოხატულია „განათლებისა და სიმდიდრის წყაროთ.

როცა „ოდისეაში“ ვკითხულობ ულისის ამბავს, ჩვენ ადვილად ვცნობთ კოლხიდას და მის აღწერილობას. მართლა და ვინ არ მიხვდება, რომ აქ კოლხიდაზე ლაპარაკი, როცა იხსენება იგი ფართო მდინარე, რომელშიაც შესულა ულისის ხომალდები, ის ვება ტყე, რომელიც მოდებულა ზღვის ნაპირზე, ის ირმები აქ რომ ბლომათ შეჩიხულან და ის სასახლე, რომელიც ტყით დაბურულია.

ადვილი გამოსაცნობია ამ აწერილობით აწინდელი ნაქალაქევი. ღვინო და თაფლი აქ დღესაც ისევ ჩინებულია და ქალები დღესაც ისე ხელსაქმობენ ქარგაზე, როგორც ჰომეროსის დროსო.

კოლხიდიის ორგანიზაცია

ძველ საბერძნეთისა და რომის კლასიკურ მწერლობაში კოლხიდას აქვს ორნაირი რეპუტაცია, ორივე შემთხვევაში შოთხლით რეპუტაცია, რადგან რომი და საბერძნეთი მათი წარმოდგენით ამოწურავდნენ მაშინდელ განათლებულ შოთხლიას.

კარლოს რიხტერი თავის წიგნში „მიწათმფლობელობის ისტორია“ ამის შესახებ სწერს:

უძველეს დროიდან არგონავტებიდან დაწყებული ბერძნებს კოლხიდასაკენ ჰქონდათ მიქცეული ყურადღება და ეძებდნენ იქ ოქროს მატყლოვან ვერძს.

შოლოდ ბერძნების მითითურ და ზეპირ გადმოცემას ოქროს მატყლოვან ვერძის შესახებ საფუძვლად უდევს ნამდვილი ფაქტის ხსოვნა. საბერძნეთის და მდიდარ აღმოსავლეთის შორის სავაჭრო მისვლა-მოსვლა უმოკლესი გზით.

ბერძნები კოლხიდელებს, როგორც ბევრ სხვა ერსაც უწოდებდნენ ჩრდილოეთის ბარბაროსებს თუმცა, ისინი სრულიად ბარბაროსები არ არიან, არამედ როგორც ყველაფრიდან სჩანს კოლხიდელები ძველის-ძველად განათლებული ერი იყო. ბერძნები შეტადრე მილეთელები არგონავტების გალაშქრების დროდანვე სცდილობდნენ დამკვიდრებულიყვენ კოლხიდელების მიწა-წყალზე ფაზისის ნამიჩებზე.

აპოლონი როდოსელის აღწერილობა არგონავტების გალაშქრებისა და სხოლიასტის განმარტება ამ ამბისა გვარწმუნებს, რომ კარტოგრაფიულის ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს.

იგი უფრო ადრე უყოფილა ხმარებაში კოლხიდელ მოგზაურ ვაჭართა შორის. ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის ისტორიისთვის, რომელშიაც ჯერ კიდევ ბევრი რამ გაუგებარი და საარაკო არის დარჩენილი.

აპოლონი როდოსელის (Argonaut IV 280 და შემდეგი) და მისი სხოლიასტის სიტყვით კოლხიდელებს ჯერ კიდევ ძველიდანვე ჰქონდათ წინაპართაგან დასწავილილი ზღვისა და ხნელეთის გზების ფირფიტაზე გამოხატვა თავიანთ სამგზავროთ, ეს ფირფიტები ჯერ ხისა იყო შემდეგ ქვისა.

მათ ეწოდებოდათ კურბისი, იგივე სახელი, რომელიც ერატოსთენმა უწოდა ათინელთა კანონების ძველ ფიცრებს.

უძველია ეს ფირფიტები ნასახია ლანდქარტებისა და ადვილად საფიქრებელია, რომ პეროდოტეს თვალწინ ქონდა ამისთანა ფირფიტები, როცა ჩამოსთვალა ჩრდილოეთის ერთა სავაჭრო გზები ბორის თენისა და პონტის მიდამოებში.

კოლხიდელები ჩვენი აზრით უკიდურესი კალონიაა, პეროდოტოზე ბევრად ადრე გამოსული ზემო ინდოეთიდან ანუ ბაქტერიიდან, ძველთა სერთა ქვეყნიდან და გავრცელებული ოქსუსის სათავიდან კასპის ზღვისა, რახსისა და მტკვარისაკენ ფაზისისა და შეზღვამდე...

აქ იყო უმთავრესი სავაჭრო გზები, სადაც მიდიოდნენ სკვითის ტომები. სკვითები მოდიოდნენ კოლხიდაში თავიანთი ბორბლიანი ურმებით მეოტიის ზღვის ყინულებზე.

აქ შეკრიბა პეროდოტემ ყველა თავისი ცნობანი შუა ვულისა და ზემო აზიის შესახებ და სხვაგან არსად შეეძლო ამ ცნობების შეკრება.

ტრამიული მადეა

ჩვენი ნარკვევისთვის არ იქნებოდა ინტერეს მოკლებული, მოგვეყვანა მითოსი არგონავტებთა ლაშქრობისა კოლხიდაზე, მაგრამ ვვულისხმობთ რომ ეს მითოსი ყველასათვის ცნობალია.

კოლხიდის პირველი ბუნება, რომელიც წყაროა სიმდიდრისა და კეთილდღეობის აქ დიდებულად არის ვადმოცემული, მაგრამ აქვეა ავრეთვე მოცემული კოლხიდის მეორე ბუნებაც, რომელიც დამლუბველია და თავის თავშივე ატარებს საკუთარ განადგურებას.

რუსეთის გამოჩენილმა პოეტმა და კლასიკურ ფილოლოგიის დოქტორმა მკვლევარმა ინოკენტი ანენსკიმ მიაგნო სწორედ მედიაში ამჟამად მოქმედებს მისი ევრიპიდეს „მედეას“ რუსულ თარგმანის წინასიტყვაობა ამის საუკეთესო დასაბუთება.

მედეა, რომელიც ჯადოქარია და საწამლავის ოსტატი, თავის ბუნებაში ატარებს სიკვდილს და აქ მისი საწამლავი უკვე სიმბოლოს სახეს იღებს.

მედეა თითონ კოლხიდაა—ულამაზესი და ამაყი, მას უოველოვის გააქვს თავის გულის ნაღები და გალაღებულია, მაგრამ მის ბუნებაში მოცემულია იმ თავითვე მეორე ბუნება, რომელიც ებრძვის პირველს და ამარცხებს კიდევ.

მედეას საწამლავი ეს არის კოლხიდის მალარიის ობ-შივარი, ტროპიკული ციების კანკალი.

აქ წინდაწინ მოცემულია მედეას შეილებს დაღუპვა.

შეიძლება მატერიალური სისწორით ანალოგიის გაყვანა.

ზოგიერთი სუბტროპიკების მკვლევარი მედეას საწამლავში ეძებს წამლების მკურნალების კულტურის ჩანასახს ძველ კოლხიდაში, მაგრამ არაფერს არ მოსვლია თავში, რომ თვითონ მედეა თავისი საბედისწერო ცხოვრებით—სახეა სწორედ კოლხიდის ბუნებისა.

პიპოკრაბას დიაგნოზი

თუ მედეას ტრაგიული ბედი კიდევ არ არის დამაჯერებელი, რომ ის პოეტური ისახეა კოლხიდის ორმაგი ბუნებისა, სამაგიეროდ არავითარ გეგმს არ იწვევს ანტიური შედიცინისა და საერთოდ შედიცინის მამამთავრის პიპოკრაბტეს შკაკრი დიაგნოზი, იმ სენისა, რომელიც კოლხიდან შესრს ავლებს და რომელსაც ეწოდება მალარია.

„ქვეყანა რომელსაც ჩაუღის ფაზის მდინარე არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით.

მაელი წლის განმავლობაში აქ დიდი წვიმები მოდის.

იქაურნი მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობებში, წყალში იშენებენ სახლებს ხისას ანუ წნელისას.

გარეთ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში ან ბაზარში უნდათ წაივინდნ. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შავ უღვიათ მთლიან ხისაგან გაკეთებული ნავეები და ამ ნავეებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულებს.

ხმარობენ წვიმის წყალს, რომელიც არის თბილი, მდორე და აუროლებული სიციხისაგან.

ფაზის ყველა მდინარეებზე უფრო მდორე და ნელი მიმდინარეობა აქვს.

ამ ქვეყნის ხილი ცუდი თვისებისაა, უგემური, და წყლის სიუხვის გამო არასდროს არა მწიფდება.

წყალისაგან რომ ნისლი აღის, მუდამ გარს არტყია ამ ქვეყანას, ამ მიზეზს უნდა მიეწეროს რომ აქაური მკოვრებლები ცერე განირჩევიან ყველა სხვა ერთაგან.

ისინი ტანით მაღალი არიან, მაგრამ იმოღენათ სუქნები, რომ არ უჩახთ არც სახსრები და არც ძარღვები.

ფერია აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქოს სიყვითლით არჩინო ავსათ. ხმა სხვებზე უფრო გაუთულელი აქვთ, რადგან სუნთქამენ უწმინდურ და სველ ჰაერს ღინღლსავით სქელს.

ყველაფერს ერიდებიან, რაც კი დალღის.

ამ ქვეყანაში ზამთარს და ზაფხულს შორის დიდი გარჩევა არ არის სითბო-სიცივის მხრივ.

იციის ქარი, რომელიც არის ფრიალ ძლიერი, ცხელი და უსიამოვნო, ამ ქარს ეძახიან კებრონს“. და ასე.

ეკვი არ არის რომ ეს არის მალარიისა და მისი გავლენის აწერა.

უიკველია ეს სიტყვები დაფაზე უნდა ეწეროს და ეკიდოს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტებში.

პატარონის მოლოდინში

ასეთი ორმაგი გავლენის ქვეშ იდგა ყოველთვის კოლხიდა. და დასაბამიდან თანდაყოლილი გაორება ბორკავდა მის კეთილდღეობას. მარტო ისტორიული უკუღმართობის ბრალი არ იყო, კოლხიდის კულტურის ჩაქრობა და ოდესღაც მდიდარი ქვეყნის გაჩანაგება.

ისტორიული ბედი მაინც არ იყო ყოველთვის ღმობიერი.

თავისი მდებარეობით კოლხიდა ყოველთვის პლაცდარში იყო ახალ კულტურათა შეჯახებისა.

ყოველი წელ-მომავრებული დამპყრობელი აქეთეენ მოისწრაფოდა, მითიურ არგონაუტებს მოსდევდენ მირტადატისა და შერე რომის ლეგიონერები, არაბები, სელჯუკები, ოსმალები, გენუელები, რევოლიუციამდე კიდევ ისი წელი რუსი იმპერატორების ჯარები.

Их ведет грозя очами

Генерал седой...

და სწორედ ეს ბებერი გენერლები კიდევ სკდილობდენ შავი ზღვის სანაპიროების თავის ზღვის კურორტებათ გარდაქმნის.

ფრანგი მოგზაური და შვეიცარი დიუბუა, დემონსპერო, რომელიც ჩერქეზეთში იმყოფებოდა და ჯერ არ ენახა დასავლეთი საქართველო, ასე სწერდა:

— მინდა ჩემი თვალთ ენახო ის ძლიერი ვრი, რომელსაც ისტორიის დასაბამიდან პირდაპირ დამოკიდებულება ჰქონია ყველა დანარჩენ ერებთან და თუმცა არ მიუტოვებია განგებისაგან მისთვის მიჩენილი მიწა-წყალი, მაგრამ რაც კი სადმე აზიისა და ევროპაში ცვლილება მომხდარა, ყველა გამოუვლია და შეუთვისებია კიდევ.

მე ამას ვამბობ დიდებულ ქართველ ხალხზე, რომელსაც უძველეს დროდან უჭირავს კავკასიის ყელი და შავისა და კასპიის ზღვის ნაპირები.

ეს ერი როგორც გრძელ ტოტებიანი დიდი ხნის ხეზე გასული ვაზი ხშირად გაუტაცნია, შეურყევია და აუკლია ქარიშხალს, მაგრამ ნიადაგიდან ამოვლევდა მისი კი ვერ შესძლებია.

— ამ დიდმნიშვნელოვან ნანგრევებს,— განაგრძობს ძველქვეყნულ დიდებთან ალტაცებული და მისი თანამედროვე კოლხიდის განადგურებულ ადამიანთა ავტორი, ფარავს მშვენიერი ტყე, რომელშიაც აქა იქ გაფანტულია აფხაზეთის სოფლები.

ეს შეუვალი ტყე და ეს მდინარეს უდაბნო ნაპირები კაცმა რომ ნახოს განა შეიძლება იფიქროს, რომ ეს ის ადგილია, სადაც ისტორია დაწყებულია? რომ ეს უძველეს ზღაპრების და მითოსების ქვეყანაა?

რომ ეს ის ადგილია, საიდანაც გავრცელებულა კულტურა?

რა მდგომარეობაში-ღა დარჩენილა ეხლა ის ხალხი, რომელიც ტკებობდა ამ სამოთხის მზგავს ქვეყნის ნეტარებით.

დღეს თითქოს მიტოვებულია ადამიანისაგან ეს მშვენიერი ქვეყანა.

ვინ იცის, [იქნებ განგება, ისე ასვენებდეს სამეფოებსაც, როგორც კაცი საყანებს...]

ამ ტირადის გულამომჯდარი ფრანგი მეცნიერი ნახევარ საუკუნის წინად ამოობდა, როცა ცარიზმი ახრჩობდა ყოველივე ხალხის შემოქმედების წამოწყებას.

თუ სულ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მოგზაურს, თითქო განგება ასვენებდეს ქვეყანას, როგორც კაცი საყანეს, ერთი მაინც ახლა ამ წინასწარმეტყველებიდან.

დიღხანს იყო კოლხიდა გავერანებული, მაგრამ მოვიდა კაცი მზნელი და მთესველი და დაეპატრონა ამ ქვეყანას, თავისი მასიური ნებისყოფით, რომ ჩაყაროს სოციალიზმის საფუძველი.

შეიძლება არც ის იყოს მოკლებული ერთგვარ წინაგრძნობას, რასაც ვივიან დე სენტ მარტენი ამტკიცებს კოლხიდელთა სახელწოდების წარმოშობის შესახებ.

— „მეცნიერებს ძალიან გაუჭირდათ კოლხიდელების სახელწოდების წარმოშობის ახსნა, თუმცა ჩვენთვის ცხადია, მისი წარმოშობა, თუ ვიხეილმძღვანელებთან ადგილობრივი ენით.

სიტყვაში „კოლხი“, რომელსაც ბერძნები უწოდებენ ფაზის ნაპირების მცხოვრებთ ისმის ქართული სიტყვა „ხალხი“, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სპარსულ და არაბულ „ხალხის“ ებრაულ „ქაალს“ (კრება-ყრილობა) ბერძნულ „ოხლოს“, გერმანულ Volk და ლათინურ vulgus, მართლაც ამ ხალხის სახელწოდება ნიშნავს ხალხს და ასე...

ყოველ შემთხვევაში ერთი ფაქტია, კოლხიდის აღორძინება სწორედ სახალხო საქმეთ იქცა და მისი ბედი ხალხის ერთი მთლიანი კოლექტივის ხელშია...

განგრძობა შემდეგ ნომერში.

გათა ქმჩია

რომანი 1)

9

მის თათარ მაშასთან, თამშულ დანელიასთან, რა გამივილოდა? მან ქვესკნელში რა ხდებოდა ის იცოდა.

ის ჯიქებში იყო გახრდილი მორღესთან თათრულ რჯულზე; ღორის ხორცი დასანახავად სძულდა და ღვინოს წაშლად არ ეკარებოდა.

სამართებლით მოხანტალეული თავი კიტრივით ჰქონდა წაგრძელებული და ამიტომ ოდიშში ზედმეტ სახელად თამშულია კინტირიას ეძახდნენ. ისეთი უკუღმართი და ღვთის პირიდან გადაეარდნილი რამ იყო რომ, ამბობდნენ, მის გახრულ ძვალს ძალღი არ ჰკიდებდა პირს.

ფეხზე იწვიათად იდგა და კიდევ უფრო იწვიათად დადიოდა. ცეცხლის პირას, კერისთან, ჯორჯას მაგიერ, ერთი ძველი უნაგირი ეგდო, ან იმაზე იჯდა, ანდა ცხენზე. შეკასმულსა და უბელო ცხენს ერთნაირად აქენებდა და, რომ მიჰქონდა, — ქარს ჰგავდა ყიჟინად გავარდნილს.

ტანად კათანდარა და ყვარით ვამხარი. როცა იჯდა, მუჭის ოდნად იყო მოკუმშული. წამოდგომას რომ დაიწყებდა, იხრდებოდა, იხრდებოდა და ასე გრძელდებოდა კუდის რიქზე შენართულ გველივით. წელში რომ გაიშართებოდა, იმშიაღლე იყო, რომ თვალს ვერ შეუწყდენდი და შალსა, სადღაც დასაკარგავში, ეკიდა მისი კიტრივით წაგრძელებული თავი.

მარცხენა თვალი მახენჯობაზე, ტყეში ღამით ბოდილის დროს, წაქრილ შტოზე შეებია და ზედ თეთრი ლიბრი გადაჰქროდა. მეორე თვალიც ისე ჰქონდა გაწყალეებული, რომ კაცი ვერ გაარჩევდა რომელი იყო ამ ორ თვალში სალი და რომელი დავსებული. მარცხენა თვალს რომ მოხუშავდა, მაშინ მიხედებოდი, რომ სწორედ ეს იყო სალი და, ამ ცალ თვალს სადგისივით რომ გაგიყრიდა, კარგი ვაჟაკობა გინდოდა, არ შემდრკალიყავ, თვალი შეგემართა და არ გენატრა: რატომ ეს მეორე თვალიც არ დავსოვო, მისი სკვარამი შემოხედვა ქვას ხეთქდა შუაში, კამბენს ღუნავდა წელში და საცოდავს შავ დღეზე დაბადებულივით აბღავლებდა.

ყავივით თეთრი, იწითა და თუთუნის კვამლში შეყვითლებული თხელი წვერ-ულვაში, ვაცის წვერივით ეკიდა ნიკაპზე და ასე, ბაწარით ვიწრო და გრძელი, წელამდე ჰქონდა დაცემული. ზედ რომ ხელს ჩამოისვამდა და ასე, წარ-

1) გაგრძელება, იხ. „შათობი“ №№ 10 და 11—12, 1960 წ.

ბებ შეხუშული, მოგანგრდებოდა, უნდა გცოდნოდა, რომ გყიდდა და ასი ფული, ასი ყური უნდა გამოგება, კიდეც მეტი გამჭირიანობა უნდა გეხმარებოდა მისი უჩინარი კლანჭებისაგან თავი გეხსნა.

მიწაზე თევზივით მოუხმარი იყო და უმწეო, ჩერიებზე გრძელი ფეხები ისე მჭონდა სალტებივით მოღუნული, რომ შიგ უღლიანი ღორი გავრდებოდა. სიარულის დროს ორივე ფეხს შიგნით უქცევდა და ისე დადიოდა, თითქოს მიწაზე კი არა, ეკლებზე ადგამს ფეხებსო. სამაგიეროდ, უნაგირს რომ მოახტებოდა და ერთს ჯიქურად რალაც უცნაურს დასჭყვივლებდა, ცხენი, მკვდარიც რომ ყოფილიყო, ქარად იქცეოდა და ორივე, ცხენი და კაცი, ერთარსებად იყვნენ ქცეულნი. ამიტომ, კინტრიას გარდა, მას ოდიშში ცხენკაციასაც ეძახდენ.

ამბობდენ, როცა ის მამამ ჯიქეთში გასაზრდელად გააბარა, მორდუმ მას წურბლებით ადამიანის სისხლი უქანასკნელ წვეთამდე გამოსწურა და მის მაგიერ ძარღვებში ჩერქეზული ულაყი ცხენის სისხლი შეუშვა, სახეც ცხენისპირიანი, შუბლი და ლაწეები ხვანჯრის ქსელივით წვრილნაოქიანი, პირის კანი ყვითელი და ისე თხელი და გამჭვირვალე, რომ ცხვირის ნესტოებში სინათლე ატანდა.

არ იყო ქვეყანაზე კაცი, რომ ის გაღივებული ენახა. ერთი აჯამი რამ იყო და ყოვლად გაუცინარი.

ამბობდენ კიდეც: ერთადერთი, რომელსაც ის სახეგაბრწყინებელი ენახა, ეს ცხენის უსაშველო ქურდი ბასაია ჩანბა იყო. როცა მან ერთ ღამით უბიხებიდან გამოტაცებული კვიცი მოუყვანა, თამშულ დანელიამ შეხედა კვიცს და მიხედა რომ ის შუმი არაბული იყო. აღტაცებულმა ცალი თვალი ბასაიას ფინთიხივით ჰკრა, თვალში სატევარივით გაუყარა და თვითონაც კვიცივით გაიცინა. საცოდავი ჩანბა შიშით ერთ წუთში ბამბასავით გათეთრდა, ჯერ კივი ჰირის ოფლი დაასხა, მერე შეაცხელა, მოკვდა კაცი, გაწრა ზეზეულად და მას მერე ის ქურდობაზე წასული არაგის უნახავს.

ამ დღიდან ჩამოხმა ბასაია ჩანბა, ჩამოდნა სანთელივით, დასნეულდა და, სიკვდილის პირას რომ მიდგა, სთქვა რომ თამშულ დანელია მას დაკაცებულ ცხენად გამოეცხადა, რომ ის ცხენის სულივით აიმართა მის წინ აქიხვინებული და წაახდინა კაციშვილი, მოშალა კაცობაში. ახლა კედება და დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ბერსა და ახალგაზდას ცოდვით უბარებს აპატიონ მას ყველა შეცოდებანი.

როცა კვლებოდა, ცხენის ხატი მას კვიცივით აქიხვინებდა:

— ზეიგუთ!.. ზეიგუთ!.. ზეიგუთ!..— და ასე ჭიხეინში და ბორგვაში აღმოხედა ცოდვილი სული.

მის ტირილზე თამაშულ დანელიამ შუბლში ხელი წაიწინა, მივიდა კუმბოსთან და ვილაც საბაია დაიტერა. როცა გაახსენეს რომ მიცვალებულს საბაია კი არა, ბასაია ერქვა, ხალხს ცალი თვალით რისხვით ახედა, თითქოს ეს სულ ერთი არ იყოსო, და მერე ბასაია დაიტერა. ტირილს რომ მორჩა, ჰირისუფლებს გადასახურავად ერთი ახალი შიგრიმის უნაგირი და ერთი გაუხედნავი კვიცი შესწირა, — ფული ვერ გაიმეტა.

მთელი დღეები ძელ სკამზე ჩულივით ეგდო და ყუბაქივით ერთხილად ეძინა. მისი შვილები, სიდუ და სალომე, მამის გაღვიძების შესწრაფებამდე ვერ სუნთქავდნენ. იქვე, სასთუნალთან, თუჯის გარუჯულ ნიგით თაფლის ოსნებო, თუთუნის ქესა და რუსული ტამბახა „კაზიონი ვითოჯირი ბერლინ-გერმანია“ ეწყო. ჯორკო, რომელსედაც ქესა და ტამბახა იდო, თუთუნის ღემების დაბაფანების გამო ბასრი დანით სულ წერილად იყო დაკრილი და დახაოებული.

შელამების ხანს, გაიღვიძებდა თუ არა, ტყის ნადირივით გაუზმორებლად წამოეფარდებოდა, დამურთხალი თვლით ფაცხაში მიიხედ-მოიხედავდა და, როცა დარწმუნდებოდა რომ ოჯახში შვეილობაა, მაშინვე გარეთ ვავიდოდა. ჯერ ცხენებსა და ხედავს დახედავდა, სიმიწსა და თივას თავისი ხელით მისცემდა, წყალს დაალევიებდა. საქმეებს რომ მოათავებდა, სახლში შემობრუნდებოდა და იქვე, კერასთან, პირზე წყალს შეისხამდა. ქალიშვილები პატარა სუფრით ხმელ სულგუნს, ცხელ ღოსს და დანაყულ სუნელს მოართმევდნენ. სკამდა ცოტას და კატასავით აზიზად, წახეშების შემდეგ, ხელს ისევ გადიბანდა, ღრმა ამოხენწვით წელში გაიმართებოდა და ასე, სათათრეთისკენ პირშექცეული, ლოკულობდა სასოებით რაღაც გაუგებარ ენაზე. ქალიშვილები, სანამ ის ლოკვას გაათავებდა, წიკარში უცდიდნენ, და ვაი მათი ცოდვის დღეს, თუ ლოკვის მოსრულების შემდეგ მაშინვე სამოსს არ მოართმევდნენ. ხმის ამოუღებლად, ისე, თითქოს რაღაც დიდ საქმეს აკეთებდნენ, წულებსა და საცვეთებს ჩაიცვამდა, სარტყელს შემოიკირებდა, ჩოხა-ახალუხის ყველა ღილებს კილოებზე გულდაგულ აიბნევდა, წვერზე ხელს ჩამოსივამდა და იჯდა მერე ასე მამლის ყვილაზე. თუ კალიონს არ აპოლებდა, ხანჯლით ჯოხს სთლიდა და ასე ჯოხის თლაში ან ყალიონის წვევაში აჭარებდა ღამეებს. ცეცხლზე ნიგით წყალი იყო მიდგმული და შიგ აგურისებური ნოღაური მშვანე ჩაი დღუდა. და ასე, ჩხირის თლაში და მკონარეობაში, ისე ატარებდა უძილო ღამეებს, რომ მეორე დღით მის ქალიშვილებს კერიიდან ერთი ვოდორი ნაცარი და ამდენივე ჩხირის ნათალი უნდა გამოეხვეტათ.

ასე იჯდა ეს კუბაკი ბერიკაცი მთელი ღამე ხისგან გამოჩონილ გაუცინარი კერპივით გაუნძრევლად და ელოდა სადანელიოდ წასულ ცხენის ქურდებს აფხაზეთიდან, ოსეთიდან, იმერეთიდან, სამურზაყანოდან, გურია-აჭარიდან. ყველგან თავისი კაცები ჰყავდა ყონალები, ფიც-ვერცხლ ნაქაში ძმობილები, მაგრამ ბათიამის მახლობელ სოფელ ადლიეილი მახაჯირი აფხაზი ოსმან ყაიტამბა მაინც ქვეყანას ერჩია. მისთვის სულს არ დაშურავდა, ცეცხლში შვეილოდა და, თუ დაიღუპებოდა, — არ სჩიოდა.

ყაიტამბას რომ ეთქვა, სახლ-კარს გააპარტახებდა, ცის ქვეშ დარჩებოდა და ძმობილის სიყვარულს შეეფერებოდა.

კაცმა არ იცოდა რით მოიგო ამ აფხაზმა მისი აჯამი გული. ეს მახაჯირი მას სიძედ უნდოდა, მაგრამ სულწაწყმედილი იმ წელიწადს მოდიდებულ კინტრიშის წყალზე ნააპრაჯალ ცხენების გადაყვანის დროს დაირჩო და, რომ გაახსენდებოდა, შობლში ხელს გაირტყამდა და აღმოხდებოდა:

— ავია, ჯიმა ლურიელი!... — და ასე ღრმა ამოგენწვით ცალ თვალს სხვენში სასოებით აღაპურობდა.

სახლი სოფელ ბანძის განაპირას ედგა დიდ გზა-ჯვარედინზე. აქვე ტყე იყო, იქით საისლე და მერე ისევ ტყე. და ასე, ქვეყნისაგან გარეშდებულ მოშორებულმა, მაინც იცოდა, მიწის მგელივით გუმანს იკრავდა ვის როგორი ცხები ჰყავდა, სად აბინაებდა ან სად აძოვებდა. ვისი ცხენი სად უკეთ გასაღდებოდა: აქუშში, ყულევში, ხონში თუ ქობულეთში. სად უკეთესი მაზანდა იყო და ნაღდი მუშტარი. ჭიანჭველა რას აკეთებდა ქვესკნელში და რას ფიქრობდა ის იცოდა და ცხენის ამბავი რას გამოეპარებოდა? ალბათ მაშამისმა დედალი ეშმაკი თუ დააგრილა თავის თესლით და მერე ამ თესლის ნაყოფი ჯიქურ ფაშატს წიაჭიძავა, თორემ რამ გამოიყვანა ასე ხელმაცვარანცი და ლუთის პირისაგან გადადარდნილი ეს ლუთისგან წყეული?

ის რომ გზებზე დადიოდა, იმაზე, ვაკი კი არა, ეშმაკი მოიტეხდა კისერს, და ვინ იყო ისეთი შემართებული და გულფიცხი, რომ მისი კვიმატი და დაწყეულილი გზების ასავალ-დასავალი გაეგო?

რაც მოხუცდა, წელში მოტყდა, სულ კერძისთან იჯდა, არსად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ამბები მაინც კაკალ-კაკალ იცოდა. ცალთვალა იყო და ვერაფერს გამოაპარებდი. ვერც ერთი ცხენის ქურდი, ჭრისტეს ძვლის მტკვერელიც რომ ყოფილიყო, ჯანდაც ცხენს ვერ შეაპარებდა. ცხენს, თვითონ ცხენის შექნილ-შობილი, ერთის შეხედვით იცნობდა. მაშინვე მიუხედებოდა, გუმანს იკრავდა, თუ რა ნაკლი ჰქონდა, რა სტკიოდა, რა ვაკის ნაყოლი იყო, როგორი ნაბედნი, რა დედამამის შვილი და პირუტყვს, გამომცდელი თვალთ რომ დააჩერებოდა, საცოდავს შეციებულს კაცოვით ააკანკალებდა.

ჭრისტეანი იყო წყეული და ხატი და გკლესია არ დაენახებოდა, ვაკი იყო და გულის მაგიერ ჰვა ედო მერედ ქვეშ, მოხუცებული იყო და სააბრაგო საქმეებზე გული ისევ ისე ახალგაზღვრათ ერჩეოდა და, ამდენ სიიფესთან ერთად, კრიყანგი იყო უსაშველო და ოქროს მოყვარული.

ცხენში შვილს გასცვლიდა, ცხენს ოქროში და ოქროს სტუმარს ანაცვალეებდა. თუ მისი სტუმარი იყავ, ვაგლახად ბუზიც ვერ გაგეპარებოდა, ზედ გადაგყვებოდა, თავს შემოგვევლებოდა, ყველაფერს შენ განაცვალეებდა. თუ სავაჭროდ იყავ მოსულბ, — იცოცხლე, იმან ვაჭრობა იცოდა! ვაჭრობდა ჟრისასვით და, თუ რის გაჭირებებითა და ვაიფვაღებით როგორმე მოურიგდებოდი და მისგან ცხენს ან ხვადავს იყიდდი, ხვანჯარიში ჩასვენილი აბრეშუმის ჭრულ ქისას თავს მოუხსნიდა, საკუთარ ფულს ხელზე სასოებით გადმოჰყრიდა, რომ ახალ ნავაჭრში არ შერეულიყო და ანგარიში არ შეშლოდა, გადმოყრილ ფულს გიბეში ჩაიჭრივალეებდა და მერე ყოველ ფარას, რომელსაც სასყიდელში აძლევდი, სათითაოდ სთვლიდა და ისე ჰყრიდა ცარიელ ქესაში. თუ ოქრო იყო, ხელის გულზე დაიდებდა და ისე არწყედა ხელში, თითქო წონაში ამოწმებდა, მერე ცეცხლის ან მზის სინათლეზე გახედავდა, კბილით გასინჯავდა და, ყველაფერი მოთავებული რომ გეგონა, სახეზე უცერად ფერს გადაჰკრავდა და, შეიმჩნეული, ქესაში ჩათვლილ ფულს საჩქაროდ უკანვე გადმოჰყრიდა და ახლა ისევ თავიდან დაგიწყებდა ვაჭრობას. თუ გაჯიუტდებოდი და ერთხელ გადაწყვეტილ ფასიდან ღებს არ მოიცვლიდი, ლიბრით გადაჰკრული ბრმა თვალი ცრემლით ავესე-

ბოდა, ერთს ავადმყოფ ნადირივით ამოიგენეწებდა, თავს სინანულით გაჩქევდა და ცალი თვალიდან შოლოდ ერთი ღერი ცრემლი გადმოეარტყა მის წინა დაეცემოდა და ასე ცრემლიანი ხელით სთვლიდა და აკანკალებული ფეხის ქვრახე აწეივდა.

ამ დროს, სახეში რომ შეგეხედა, ის ისე გადაფითრებული იყო და გამყვირვალე, რომ კაცი კი არა, ადამიანის შესავსად შეხუთული პერი გეგონებოდა. ყოველ ფარას ყოველ გროშს კერიის ქვაზე აჩქამებდა და ყურს სულგანაბული უგდებდა; ტყებოდა მისი წყარუნით. მერე, თელას რომ შესწყვეტდა, თავს მაღლა აიღებდა და, სახეზე სინათლე მოფენილი, იტყუადა:

— მიყვარს, ნავარი, ძანიალი მიყვარს... ორი რამეა კაი ამ ქვეყანაზე; ფარისა და ნალის წყარუნი. ცხენი? ცხენი სხვაა, ცხენი დიდი რამეა, ბაბა! ცხენი და კაცი ერთი ფერცხალიდანაა გამოღებული. ცხენს რომ ენა მიცა, კაცი იქნებოდა. ოქრო ფერო მეთია. ოქრო ყველაფერს იყიდის: დიდებას, სიყვარულს, სამართალს. ოქრო ბატონია, ოქრო სისხლია. ზედავ?—შეგეკითხებოდა იგი, ფულს ისევ აჩქამებდა კერიის ქვაზე და ასე თავდახრილი და სულგანაბული ყურს უგდებდა მის წყარუნს.

თუ შენგან რამეს ყიდულობდა, დილიდან დაღამებამდე გევაჭრებოდა, და ბოლოს, როცა რის ვაივაგლახით მოურიგდებოდი, ვაი შენი ბრალი, თუ მიღებულ ფულს კარგა არ დასთვლიდი, მაშინვე პირს გიტებდა და მერე ოხრის ფასდაც რომ მიგეცა, საქონელს მაინც არ იყიდიდა.

— ფარა სისხლია, სისხლია... ჰაუუ, ვინ ყოფილხარ შენ?—გაიკვირებდა იგი აშეთიებული.—ფარა სისხლით ირწყება და სისხლი წმინდაა. ვინც ფარის ყაირათი არ იცოს, ის არამია და არამი კაცი სისხლს ვერ დააფასებს, ამიტომ მისი ფულიც ოხერია.

საქმეს რომ მოათავებდი და ნაყიდ ცხენს მოახტებოდი, პირველ მათრახს თვითონ შემოარტყამდა და მოგაძახებდა:

— შედილობაში!—მერე უეცრად მოიღუშებოდა, დასკვარამდებოდა და ასე, მოღუშული და კუშტი, ქალიშვილებს გოროხად მოუბრუნდებოდა:

— სტუმარს ჰიშვარი გაუღუთ!—და ამ სიტყვებს შემდეგ შენ უკვე აღარ არსებობდი მისთვის. ამერიდან შენ ცხების ბატრონი იყავ და ყოველი ცხენის ბატრონი მისთვის მსხვერპლი იყო, თუ გინდა, მტერიც, რომელსაც ეს ცხენი, რათაც არ უნდა დავიჯდეს, უნდა მოჰპარო და მშრალზე დასტყო. ამის შემდეგ მას შენთან საქმე არ ჰქონდა და, თუ საქმე არ ჰქონდა, ლაპარაკიც არ ღირდა შენთან.

— მწვილობის გზა გქონდეს!—შუბლთან მიტანილი ხელით დაგილოცავდა გზას და, წელში ოთხად მოღუნული, თავს მდებლად დაგიკრავდა. სახლისკენ რომ შებრუნდებოდა, წელში შოლოდ მაშინ გაიმართებოდა და ფაცხისკენ ამაყად გაემართებოდა მერე კერიასთან თავის ძველ უნაგირზე ჩამოჯდებოდა და ერთგულ ყალიონს გულმოდგინეთ ააბოლებდა. იჯდა მერე ის ასე სკვარამი კულუმბურივით და ცეცხლში ერთადერთი თვალით ჩაშტერებული ფექობდა უკლმართ ფეჭრებს თავის კვიპატსა და ყოვლად მაკვარანცხ საქმეებზე.

ახალხის ჯიბეში ნაპარავი ცხენის ოთხი აყრილი ნალი მეგდო, სანამ სიბას შევადგენდი, ერთი ამოვიღე და შუა ეზოში ვისროლე. ნალი პარხლად გაგორდა კოლინდარში და ძაღლები ყუფითა და ორომტრიალით გასოხდნენ მას. მე დრო ვიხელთე და ეზოში ჩაველ, მაგრამ ძაღლებმა, გაღრღნეს თუ არა ნალი, შემობრუნდნენ და ისევ შემომიტიეს.

— გადმომიღებენ ეს რჯულძაღლები, ნამდვილად გადმომიღებენ ამ ცხენიდან და ცოცხლად გამაფრთხილებენ! დამახებაც რომ არ იქნება! ქვეყანას ხომ ვერ შევყრი?—გავიფიქრე მე და ახლა მეორე ნალი ვისროლე. ძაღლები ისევ გამოენთენ და, სანამ წამოეწვიოდნენ, მე უკვე შუა ეზომდე მიველ. ამ გასაკვირში რომ ვიყავ, ფაცხის კარიც გაიღო, ზღურბლს დანეღიას გრძელი ლანდი მოადგა (სიმაღლით ვიცან) და დამბაჩა მომიზნებულმა მომამხა:

— რომელი ხარ? ვინ ხარ?

— სტუმარი ვარ, სტუმარი და მომხედეთ!..—გავძახე მე.

პატრონის დანახვაზე ძაღლები კიდევ უფრო გადირიგნენ და ერთი ორად შემომიტიეს, მაგრამ მე მაინც არ დავიბენი და ახლა მესამე ნალი ვისროლე ეზოში.

— მომხედეთ, ვინაა მაინცელი!—დავიძახე მე უკვე გაპირებულად. ლანდი გაჰქრა და ახლა დირეზე ვილაც ქალის ჩრდილი გამოჩნდა.

— იქნებ სიღუა?—გამიელვა თავში და გულმა ყელში დამიწყო ბარძგალი. ჩრდილი ზღურბლზე გადმოვიდა და ჩქარი ნაბიჯით ჩემკენ გამოემართა. რომ მომიახლოვდა, ვიცან ტანადობით, გულს ცეცხლი შემომენტო, წელი მომწყდა და უცერად ისე დავესტდი რომ კინალამ ცხენიდან გადმოვარდი. ახლა აღარ ვნოიდი, თუ ცოცხლად გამფატრავდნენ ეს ძაღლები, სად მქონდა მაგისი თავი?

— სიღუ, სიღულია!..—ძლივს მოვაბრუნე ენა პირში და ელულულეები უფროდ რაღაც სისულელეს, მე თვითონ არ ვიცი რას, აღბათ, ვერც მან გაიგო, მაგრამ მიხედა და თავი დაბლა დახარა. მე რე გაიშართა შემოტევილი ძაღლები აქეთ-იქით დაირგვა და ხმაშიბნედილი მომესალმა:

— ღამე მშვიდობისა, პატონი!—კამის კალთა გაისწორა და თავი კიდევ უფრო შორიდებულად დამიკრა. მთვარის სხივებზე, დახრილ თავს რომ დაეხედე, მისი წაბლისფერი თმები ჭაღებდად აბზინდა.

მე, როგორც იქნა, მოვისაზრე, უბელო ცხენიდან საჩქაროდ ჩამოვიქერი და მკლავში ხელი შევავლე, მაგრამ ის უკან დაიწია და სადავე უსიტყვოდ ჩამომართვა.

— სიღუ!.. სიღულია!..—აღმომხედა მე ისევ, მაგრამ მან ყურიც არ მათხოვა, შებრუნდა და პირდაპირ სახლისკენ გაემართა. მეც რა ძალა მქონდა? ავდექი და გავყვე უკან და, კი არ მივდივარ, მივეცურავ ამ ლორთქო კოლინდარში, მივეცურავ და მივლულულეებ ისევ რაღაც სისულელეს ჩემ სიყვარულზე. ის თითქოს ყურს არ მიგდებს და ასე ხმის ამოუღებლად მიდის წინ მოკრძალებულად თავდახრილი.

წიკარს რომ მივადექით, კრაქი მოგვინათეს. მე, ფაცხაში შესვლისთანავე, ქუდი მოწიწებით მოვიხადე, მასპინძელს თავი მდაბლად დაუყარ და მივესალმე:



— აქა კი გამარჯობა!

— გამარჯობა ნუ მოვიშალოს უფალმა! — მომიგო მასმძებლმა მამაკებნა ხელი, ნიშნად ღრმა პატივესცემისა, გულზე სასოებით მიიღო ჩემი სახელი და მით დამიკრა.

ამ ოჯახში პირველად ვიყავ და ამიტომ გავილოცე:

— ჯვარი აქაურობას, კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახში!

— მაღლობ, სტუმარო, დიდი მაღლობა სტუმარს!... — სიტყვა ისევე ისე მასპინძელმა ოდნავ მთის კილოთი და თავი ისე დაბლა დახარა რომ მე მის სამართებლით მოფხვიელ თავზე მარცხენა ყურის ძირიდან მოყოლებული საფეთქლამდე წასული მორჩენილი კრილობის შაშრა დავიანახე.

— მობრძანდი, დაბრძანდი, სტუმარი ღეთისა! — და ამ სიტყვებით კერიასთან მიმიწვია, მაგრამ მე, ადათის მიხედვით, ცოტა კიდევ გავპატივდი. მასპინძელი გაკვირვებული თვალებით მიცქერის, ეტყობა, ვერ მიცნო და არ იცის როგორ მიმიღოს, ისე, როგორც უბრალო სტუმარი, თუ მახენჯი? უხერხულ მღვთმარეობისაგან რომ მეხსნა, გამოვემცნაურე:

— მე ბათა ვარ, პატონი, ბათა ქექია!

მან ხმა მაინც არ გამცა, მიცქერის და ფიქრობს. ეტყობა, მაინც ვერ მიმიგონა, მერე უეცრად გაახსენდა და აღმოხდა:

— აა, ბათურია ხომ? აღმასხან ქექიას შვილი?

— დიახ, პატონი, აღმასხან ქექიას შვილი ვახლავარ.

— დი, დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი რამხელი ვახდილხარ? — სიტყვა მან გაოცებით და ხმოს კვანჩა გადაფენილი ჯოჯო კიდევ უფრო ახლოს მომიწია. როცა დავუქეტი, ისიც უნაგირზე ჩამოჯდა და ცეცხლთან ახლოს მიიჩრდა.

— ვახდას რა ქეუა აქვს? — ნიუვე მე დავვიანებით. — ვახდალი აღისხეც არის, მარა რა ქეუა აქვს?

— რატომ, რატომ? — არ დამეთანხმა იგი თავაზიანად.

მერე დაიწყო ჩვეულებრივი კითხვა-მოკითხვა.

ასე ვისხედით ჩვენ კერიასთან და ვლაპარაკობდით ამ მთისას, იმ მთისას. მას ქალაქის ამბების ვაგება უნდოდა და მეც უამბობდი ათას მომხდარსა და გაგონილ ამბებს. ის ჩუმად იჯდა, ხმის ამოუღებლად ყურს მიგდებდა. ხანდახან თუ შემეკითხებოდა რამეს, ანდა თავს უკმაყოფილოდ აკანჩურებდა კისერზე.

— წახდა ქოყანა, წახდა!... — სიტყვა მან, როცა მე ქალაქელებზე სიტყვა ჩამომივიარდა.

და ჩვენ რომ ასე ვიყავით ბაასში გართული, ქალები რალაცას საქმიანობდნენ, ფუსფუსებდნენ. სალომე ჩემ ცხენს აბინავებდა, სილუ ვახშამს აშხადებდა და მე ხანდახან თვალს მისკენ ვაგაპარებდი ხოლმე.

ისე უკვე დაქალებულიყო, გულ-მკერდი აშლოდა და, რომ გაიარდა, მისი მაღალი და განიერი თემობის რხევა თვალს მიბნელებდა. ფეხზე მეშის წითელი მაშაია ეცვა და ფაცხაში დადიოდა კატასავით მოქნილი და ლბილი. წელში ისეთი წვრილი იყო რომ ჯვარსაწერ ბეჭედში გაეტეოდა. ტანში გორდა ხმალივით იზნიქებოდა და თვალები... თვალები კაცის დამღუბავად უბრწყინავდა.

— კაია, კაი, ბაბა!...—ამბობს წარბების ცბიერი შებუშვით მასპინძელი, როცა სიღუს ცქერაში მე ლაპარაკი დამებნა და თავი ვერაფერა მხრეზე.

— დიდებულია, კოჩი, დიდებული!—და ამ სიტყვებში მამასც კაილო თავი და თავისი ერთად ერთი ჩხია თვალი თვალში სადგისივით გამოყარა. ერთხანს ასე მიცქეროდა, მერე უეცრად ლაპარაკის გეზი შესცვალა:

ამბობენ, გამდიდრებულხარ?

— ყა, პატონი, ვინ მოგახსენა? რას არ იტყვის ავი ნაგარი კაცის ენა, სოფელი რას არ გამოიგონებს!—წამოვიძახე მე.—რა გამამდიდრებდა? იმ დასაქმვე ქალაქიდან, ჩამოველ თუ არა, მაშინვე უბედურება წამომიწვია. გაგეგონება უბედო კაცის საქმე? საითაც გავიქეცე, იქით წავიქეციო, —ჩემი საქმეც სწორედ ასეა.

— ჰაიტ, იაბიხეცა!—აღმოხდა მის აფხაზურად და ორივე ხელები მუხლის თავებზე დაირტყა. მერე გრძელი ინძგილის ტარიანი მოქუარის ყალიონი გულდაგულ გატენა და ზედ მუგუზალი დაადო.

სიღუს ჩამოღებულ კარდალი წუთით ხელში შერჩა, მერე ჩართზე დადგა და სუთით ლომის ზელას შეუდგა. ზელს ლომს და თან ყურს ვეიგდებს თუ რას ვლაპარაკობთ ჩვენ, მამაკაცები.

— მაინც რა დაგემაართა, ბაბა?—შემგეითხა მასპინძელი მზრუნველობით, როცა ყალიონს ცეცხლი კარგა მოუკიდა.

მე ერთი სული მქონდა, სანამ გავიგებდი ისევ უყვარდი სიღუს თუ არა, ამიტომ თვალი მას მივაციე და ისე დავიწყე:

— წყეულმა მძღია, ნაგარი, წყეულმა, და ახლა არ ვიცი რას ვეწიო!—და თვალდათვალ ვხედავ როგორ გველნაკენივით შეკრთა სიღულია ამ სიტყვებზე. სახე აელეწა, სუთი ქებას ააცდინა და კინაღამ ნაცარში ჩაჰკრა. მღელვარება რომ დაემალა, თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა და, ხელის კანკალი რომ არ დამჩნეოდა, ლომს ნელას გულმოდგინებით დაუწყო ზელა, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდიოდა.

მე გული ამიართოლდა ტანში მოვეშვი. უეცრად გამახსენდა ყველაფერი: ჩემი ბაღნობა, გამოთხოვება, მისი ავგაროზი, ახლაც გულზე რომ შანად მტკიდა, მოკლედ რომ მოეკრათ, წავხდი ვაგაკი, ისე მოეტყდი რომ მხად ვიყავ მივსულიყავ მასთან და მეთქვა, რომ ტყუილია ყველაფერი ეს, რომ არავის ქვეყანაზე არ დაუძლევიარ და ჩემი დამძღვეი და სულის გამლადრავე მხოლოდ ის არის და მის მეტს არავის შეუძლია მისი მოშუშება, მაგრამ ვაგაკისათვის სიყვარულის საჯაროდ დამწვევა რა საკადრისია, ისიც მამასთან? და მეც თავი შევიკავე. ზმის კანკალზე თუ შემატყობდა კაცი რამეს და მივხვდი რომ დავიღუპე. მის სულბალ მამას რას გამოვაპარებდი? გულმა მიაზრა, ვიგრძენ რომ თავიანფებიანად ვაეები მახეში, მაგრამ უღუტს მაინც არ ვიტებ.

— წყეულს რომ არ დავედლიე, რა მიქირდა?—განვაგრძობ დაწყებულ ამბაეს და ვხედავ რომ სიღუს ცალი ყური ჩემკენ აქვს მოყურადებული.

— რაფა, კაშინა თუ შეგებდა?—მეკითხება მასპინძელი ისე თარსულად, თითქოს არაფერს ხედავდეს.

მე თავი მაღლა ავიღე და ხატანგში გაბმულ ნადირივით მის ერთხედერთ თვალს შევიაცივდი და, შიგ რომ ჩაეხედე, ხელის გულივით დავინახე იციან, კარგად იციან სულდაღმა რომ არავეითარი კაშინა მე არ შემხედვინია? სიც კარგად იციან, — ტურაია, რას გამოაპარებ? — თუ რა კაშინამ მძლია მე და მიდაღეს გულს, მაგრამ პირში ხომ არ მეცენა? რა კაცობაა, ან რა საყადროსია, კაცმა, რაც იცი, ყველაფერი სთქვა და ადამიანს პირში უკმეხად მიიხალო? ამიტომ დანელიაც თავს ისე მაჩვენებს, თითქოს სჯერა ყველაფერი, ალაღად იღებს ყველა ჩემ ნათქვამს, იმიტომ რომ წესი და ადამთი ასეა: სტუმარს უნდა დაუფეროთ, სტუმარმაც უნდა ილაპარაკოს რამე უცნაური და საიასალო, რომ მასპინძელს აამოს. მერე რა უყოთ რომ ორივემ კარგად იციან, იციან რომ ყველაფერი ტყუილია და გამოგონილი? სულ მართალი მტერმა ილაპარაკა! ხანდახან უნდა იტროს კიდევ. ეს ენა მართო იმიტომ კი არ გვაბია, რომ მუდამ მართალი იტიტინოს, ხანდახან მართალიც უნდა დამალოს და ზედ ზღუდესავით აეფაროს. ენამ ზშირად სინათლეს ჩრდილიც უნდა მიიყენოს, დააბნელოს, იმიტომ რომ ბნელში ძილი უკეთესია და ხანდახან კეთსაც ისევე უნდა დაძინება, როგორც ადამიანიშვილს. ეს ორივემ, სტუმარმაც და მასპინძელმაც, კარგად ვიცით, ადამთი ასეთია და ადამთს ვინ გადააბიჯებს? მე ვიცო, იმანაც იციან, რომ ჩვენ ერთი სიტყვა არ გვეჯერა ერთი მეორის, მაგრამ ისე ვიქცევით, თითქოს დანგით დანგამდე გვეჯერა ყველაფერი და ასე, ლაპარაკში გართულნი, არ გვეფიცება, მაგრამ მაინც ვფიცავთ ერთი მეორის თავს, ვყვირობთ, ვწუხვართ, ვაქებუბთ ერთმანერთს და აღწვთობებისაგან მუხლებზე ხელებს ვიცემთ. მაშ სხვა რა უნდა ვქნათ ამ შუალამით, როცა ეს-ეს არის ახლა გავიცანით ერთი მეორე? ამიტომ მეც გულდაგულ განვაგრძობ დაწყებულ ამბავს:

— შეხვდა, ამა! შეხვდა წყეული! — და ვხედავ როგორ გარინდდა უეცრად ამ სიტყვებზე სიღუს ხელში სჯთი და როგორ იფშუქება კარხანაში ორთქლად ამღარი ღომი. რას იზამ, ქალს მოკლე ქეუა აქვს და ყველაფერი ალაღი გულით სჯერა. სიღუს ქალი იყო, ნამეტანი ქალი და ამიტომ მასაც ყველაფერი სჯეროდა. ამიტომ მეც ეს გული იმედინად ამიძგერდა, ბუდეში აღარ მეტევა და გადაეწყვიტე რომ სიღუ ჩემია და ცა და ქვეყანა რომ ჩამომეგრეს თავზე, მის თავს ცოცხალი თავით არავის დაეანებებ. სიხარულით გული პირამდე ამეცსოდა, კიდევ უფრო აღზნებული, განვაგრძობ ამბავს:

— ამ წინაზე შეხვდა მთვარიან ღამეში, ნოღელასთან რომ საბახტარი-სქუების დაქცეული დოხორეა, ვხედავ, ჩამოქცეულ ბუხართან, ბარდში და ჯიჯ-ლაყაში, წყეულს სუფრა გაუშლია, სუფრაზე სანთელი უნთია, წინ სარკე დაუდგამს და მიწაზე ზინივით დაყრილ ოქროს თმას ივარცხნის, ივარცხნის და თან ტბილად მღერის.

— ყვია პეჩი! — აღმოხდა თამშულ დანელიას გაოცებისაგან, ვაცის წვერზე ხელი ჩამოისვა და მიცქერის ესე გამომცდელი თვალთ შებლ ქვემოდან. და მე ახლა კიდევ უფრო ვატყობ, — ამას რა დიდი შეტყობა უნდა? — არცერთი სიტყვა მას ჩემი არ სჯერა. ეს არც შედის ჩემს ანგარიშში. მე მინდა რომ სიღუს სჯეროდეს, სხვა წყალსა და მეწყერს წაუღია და ამ გადაწყვეტილებით

თვალი მისკენ რომ გავაპარე, ხისი მომუდარე თვალები ვარსკვლავებზედ შემომასკდა და წამილო, დამკარგა სადღაც ჯანდაბაში, მერე თქვი: „შენი ცხეა, აილანდა და ასე აღუწილმა თავი დაბლა დახარა.“

თამაშულ დანელიამ თვალი შეგვესწრო, მაგრამ არაფერი უთქვამს. წარბები შეიხუშა შხოლოდ, ერთხელ კიდევ ჩამოისვა თხის წვერზე ხელი და თავისთვის რაღაც გაიანგარიშა (მოხუშულ წარბებზე შევატყე), მაგრამ ამხავი მაინც უცხო იყო, მოსასმენად სააშო და მაქვებს რომ განვავარძო, თან საყვედურის კილოთი მეუბნება:

— მაშინვე ილორის წმინდა გიორგი უნდა გეტხენებია, ოჯო!

— ვერ მოვახერხე. ისე ტკბილად მღეროდა წყეული, რომ გამაბრუნა... მეგონა, თმას რომ ივარცხნის, ეს თმა კი არაა, სიმღერაა, სიყვარული და ცუცბლის შემონთება-მეთქი. სილამაზემ თვალები დამთხარა, სიმღერამ წელი მომწყვიტა, კაცობა გამინახევრა და გვერდი ვერაფრით აუარე. დამინახა თუ არა, ერთი ისეთი შეჭვივლა რომ თმის ძირები გამიცივდა, ტანში ბუჭი გამიღვა და წამახდინა კაციშვილი, გამაფუჭა ვაკეკაცი. მერე წამოღვა და ასე ნაზი ღიღინით გამოემართა ჩემკენ, მოღიოდა ნელა და თმების სიმძიმით თავი ოღნავ უკან პქონდა გადაწეული და, არ ვიცი, ამ მის თვალის მომპურელ სახეს, მთვარე იყო რომ ანათებდა, თუ თვითონ იყო ასე ნათელი?

— მერე, მერე?—მეკითხება სულის წასწრებით მასპინძელი.—რა გითხრა მერე?

— ხმა არ ამოუღია. რომ მომიახლოვდა, ცხენზე ზევით ამომხედა, ორივე ხელი გაშალა და ათი თითი მაჩვენა,—ათ წელიწადს თუ იცხოვრებ ჩემთანო?

— მერე შენ რა უთხარი?—მეკითხება მასპინძელი გულგადაღებული და მეც განვავარძობ ამბავს. რა უყოთ რომ მართალი არაა, სამაგიეროდ ისეთია, რომ მართალს სჯობია.

— ათ წელიწადს მასთან რა მაცხოვრებდა? თავი გაეიქნე, უარი უთხარი.

— ხმა ხომ არ გაგიცია?

— ხმას რაეა გავცემდი? ჭკუაზე ვადამიქანებდი!

— მერე?

— მერე ცხრა თითი მაჩვენა,—მე მაინც უარზე დავედქი.

— ყვეი, კაია, კაია!..—მაქვებს დანელია.—მერე?

— მერე ყოველ უარზე ისე აკლებდა თითო წელიწადს, და ბოლოს, საქმე ცალ თითზე რომ მიღვა, შემეშინდა, უარი ვერ შევებდე და დავეყბუდი.

— აჟუ!—აღმოხდა დანელიას,—გლახა გიქნია, ბაბა, ძანიალ გლახა! კილო კი რომ ცოლი არ გყავს! მარა რა გიჭირს, კაცმა რომ თქვას? ვაგაკეთებს, დავასახლებს, ძალას მოგცემს და ღონეს, ქონებით ყელამდის ავაგებებს,—ცხენი, კამბეჩი, თხა და ძროხა უთვალავი გეყოლება და ისე შეგეწევა რომ მიწაზე დაბადებული კაცი მახენჯობას ვერ შეგიტყობს, მარა, რათ გინდა?—ერთი წლის მერე, ყავლს რომ მოასრულებ, მოგცილდება, და ვაი იმ მოცილებას, ჯირკვიით მოგაქცევს, გაგაფუჭებს კაციშვილს, მოგშლის სადგამურად, ყველა-

ფერზე გული აგივარდება და, ჰეჰ, მაშინ გმართებს კაცობა, თუკი რომ არ მოიკლა და მთლად არ გამოწყდეს ცხოვრებაში! შემცდარებაზე უფრო მძინარეა! — მარტებს იგი ჰკუთხე ისე, თითქოს მართლა სჯეროდეს და ჰგონია ამბავი მოვასრულე, მაგრამ მე ისევ განვაგრძობ:

— მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ახლა, აქეთ რომ მოვდიოდი, გზაში მთვარე წამომესწრო. კაკაია ღამე დღესავე იყო განათებული, მეც სამშვიდობოს ვიყავ გამოსული და მოვდიოდი გულდაიმედებული. ნოჯიხეთთან რომ მატახერიების ნაწიკვილარია, იქ დამიხედა, კაღზედ იყო ჩამოაშდარი, პირს იბანდა და ისე კისკისებდა, მეგონა, სიცილი წყალს მიაქვს და პეშვით იქერსო. მინდორი, შენც იცი, ა, ამ ხელის გულივითაა მოტიალებული, ერთი ხე არსადაა! საცხა დასაკარგავში, ლოლობა რომ მარჯენივ უქცევს, იმ ადგილას ერთად ერთი ასი წლის მუხა დგას, რაეა არ გახსოვს, შარშანწინ რომ ზედ წმინდანიანი ჯდებოდა?

— მახსოვს, მერე?

— მერე, დამინახა თუ არა, ერთი ისეთი დაიწვილა, გამხერტდა მეგონა, დაწვილება და ჩემკენ გამოქანება ერთი ქნა. სიყვარული თუ აწივლებდა უწმინდურს?

— ალბათ! — შეთანხმება მასპინძელი და ყურს გაფაციცებით მივლებს.

— ქვეყანა დააქტია წივილით, ცა და ქვეყანას გლეჯდა, სიყვარულს მოხვდა, გული შამცირა ხეწუნა-მუდარით. მისი შეკვილება და ცხენის გაქენება ერთი ვქენ, მაინც არ მომეშვა, წივილით უკან გამომინთო და, რომ მოვიხედე, მეგონა დანთებული ცეცხლი მომდევსო. მთლად ტიტველი იყო საძალღე, ამბობენ, კაშინას ხორცი ცივი აქვსო, ტყულია, არ დაიჯერო! ტანი სიყვარულით უზურდა, ვნება საწერელივით შემონთებოდა და ხორცს სტკვერდა. სიმინდის კაკლისფერი თმები მიწაზე დაეყარა და, რომ მომდევდა, თმებით მინდორს მოხვეტდა და ნაპერწყლები ჩინჩხლებად სცვიოდა. ბევრი მდია, მუხლი მგლის თუ ჰქონდა ოხრად დასარჩენს? ცხენი სანაქებო მყავდა, ჩემი ქება რათ უნდა, შენც ნახე, მაგრამ ვერც ამან მიშველა. უბელოზე ვიგეტი და მეტი გაქენება ვერ მოვახერხე.

— მარილი რომ გქონოდა, არაფერი გიჭირდა! მეუბნება იგი. — ვაყვაცსა მარილი მუდამ თან უნდა ჰონდეს!

— მარილი რათ მინდოდა?

— სახეში შეაყრიდი, ილორის წმინდა გიორგის ახსენებდი და მოგცილებოდა.

— არ ვიცოდი. აწი მეცოდინება! — მიუღე მე და ისევ დაწყებულ ამბავს მოუბრუნდი.

— რომ წამომეწია ცხენზე ძუ ფოცხვერით შემომიხტა, გახურებული თმები ცეცხლის ალივით შემომახვია და სული შემეხუთა, ალხში და თაკარაში სუნთქვა გამიჩერდა. შეხუტებოდა, მკოცნიდა, ახალთხის ღილის შეხსნა უნდოდა, სიჩქარეში რომ ვერ მოახერხა, ატირდა სასოწარკვეთილი, მერე გინიანი სიცილი

დაიწყო, იცინოდა, კენესოდა, მეზუტებოდა და მემუდარებოდა, მარა მარც არ მოეცუდი, არ დაენებდი.

— კილო კაი რომ აზრი არ დაგიკარგავს!—ამბობს დანელა: *მარა მარც არ მოეცუდი*

— აზრს რავე დაეკარგავდი? ცხენს ქუსლი შემოგვარ და ასე უბრად პირდაპირ იმ ასი წლის მუხას მივაშურე. ცხენი გადირია, მიწას მწვევარით გაეგრა. მუხის ძირში, ჩეროს ქვეშ, რომ შემავდო, წყეულს თავი უსიტყვოდ

გადღწივ და ცას შევახედე. მთვარე რომ ვერ დაინახა, იფიქრა ჩასულაო, კვილით მიწაზე გადავარდა, დაკოდილ ნადირით კნავილით, კენესითა და მოთქმა - ტირილით, მუხის ძირთან რომ მიფორთხდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავი ხეს წაუშინა. მე დრო ვიხელთე, ცხენს ქუსლი შემოგვარ და აქეთ გამოვქარდი. მთვარით განათებული დამინახა თუ არა, მიხედა რომ მოვატყუე, ისევ გამომენთო, მაგრამ შორს ვიყავ და რას დამეწეოდა? ვერც ის მობრბოდა უწინდებურად, ხეზე ნაცემს, თავი თუ ჰქონდა გაბრუებული? ვული სამშვიდობის რომ დავიგულე, უკან მოვიხედე და ვხედავ წყეული თმებს ცაში ცეცხლის ალივით იქნედა, წიოდა და ამ კაკაჩია დამეწი ცეცხლწიკიდებულ ხესავით იწყოდა.

— ბარაქალა, ბარაქალა, შენს ვაგვაცობას!..— აღმოხდა მასპინძელს და ცოტა ხნის დღმილის შემდეგ კმაყოფილებით სიტყვა:— ყოჩაღ, ძალიან გივარგია! იცი, მარჯვე ბიჭი ყოფილხარ, შენს!..— და თვალაღზნებული მიცქერის გვერდიდან ისე, როგორც მიმინომ იცის ხოლმე, ღაჟოს რომ უფეთქებენ.

— სხვა რა გზა მქონდა? ბაღნობიდან ქალი მიყვარს და ზომ არ ულატებდი?— მოუქტრ მე სიტყვა და თვალი ისევ სიდუსკენ გაეპარე. ჩემ თვალთან ერთად მასპინძლის თვალიც გამოსრიალდა გველის წიწილივით. სიდუმ თავი აიღო და მადლით სავსე თვალები შემომანათა, მაგრამ უფერად მამის თვალს მოჰქრა თვალი, აღუნჩა, აიღეწა და თავი დაბლა დახარა.

უხერხულ მდგომარეობიდან რომ გამოვსულიყავ, სიტყვა ისევ განეაგრძე:

— ბაღნობის სიყვარული ძნელი საქმე ყოფილა.

— ოო, ეგ სხვა საქმეა!..— დამემოწმა დანელია მნიშვნელოვანი ხმის აწევით და თვალი ისევ სიდუსკენ გააპარა.

მე ეს მაინც არაფრად მივიჩნიე და ვთქვი:

— ვაგვაციისათვის ლალატი რა საკადრისია?

— რატომ?— არ დამეთანხმა იგი. — ლალატი ხანდახან ვაგვაცობაზე მეტია.

— ქალის ლალატი კაცს არ შერჩება, — ცოდვია! — არ დაეყაბულდი მე.

მაშინ დანელიამ თვალი სადგისივით გამიყარა, ზურგს უკან რომ ჰაერი იყო, ზედ ლურსმანივით მიმაჭედა და ისე შემეკითხა:

— ცოლის თხოვას ზომ არ ფიქრობ?

— რატომაც არა? მეც კაცი მქვია, ერთ ქალს მეც შევიინახავ.

— ხომ იცი, რომ ქალი მეოჯახე უნდა იყოს?

— ვიცი, აბა ხელუქნარი რის მაქნისია?

— ისიც ხომ იცი, რომ ქალს სილამაზე ისე არ მოეთხოვება, როგორც ქმრის ერთგულება და პატიოსნება? — მეუბნება იგი.

მე ვფიქრობ და ვერაფრით მივმხედარავარ, სიღუფე მელაპარაკება, თუ, მახეჯობის გარდა, მაქანკლობაც დაიწყო და სხვა ვინმე უნდა გამიჩივოს?

— ვიცი! — უპასუხე მე დავვიანებით.

— ქალმა წერა-კითხვა, საჩოხე, საბაშლაყე შალისა და ხამის ქსოვა და ქარგვა უნდა იცოდეს, თოფ-იარაღის სამკაულისა და ჭრელი საბნების კერვის გარდა, მესტებსა და საცვეთებსაც უნდა ჰქერავდეს. ცხენსა და ხვადავს უნდა უვლიდეს, ქმარ-შვილს პატრონობდეს და კაი მეოჯახე უნდა იყოს?

— ვიცი!

— ისიც ხომ იცი, რომ ქალმა ცეკვაში ოთხი ვაჟაკი უნდა დაღალოს? ხანჯლისა და ქამანდის ხმარება, სტუმრის მიღება და ჩონგურზე სავაჟაკო სიმღერების დამღერება უნდა იცოდეს და ქმარს ვაჟაკურ საქმეებზე აქეზებდეს. ენაც უნდა უჭრიდეს და სამართალში, საქმემ თუ შოიტანა, სიტყვის თქმაც უნდა შეეძლოს. ურა ცხენს უბელოდ უნდა ერთავდეს, ოჯახში ქმრის მოშიშარი და პატივისმცემელი უნდა იყოს და საქურდალზე და სააბრაგო საქმეებზე ქმარს კაი ვაჟაკივით უნდა დაყუებოდეს. ქალი მორცხვი უნდა იყოს და თავმდაბალი, მაგრამ ცეცხლიც უნდა იყოს და შემმართებელი!

— ვიცი!

— ისიც ხომ იცი, — მაინც არ მეშვება სულადლი. მე ვფიქრობ და აზრზე ვერ მოვიდვარ, ვის აქებს ასე? — რომ საცოლო ბიჭი ვაჟაკი უნდა იყოს, ძმა-კაცი მტერს ხელში, მკვდარიც რომ იყოს, არ უნდა შეატოვოს? ცხენი და თოფ-იარაღი მუდამ მოვლილი უნდა ჰქონდეს. ფეხსაცმელები, საცვალი და ბაშლაყი ახალი და სუფთა უნდა ეცვას, ახალი და მთელი ჩოხა-ახალოხი ვაჟაკისთვის რა საკადრისია? თუ ჩოხა-ახალოხი დაბეული არ გაკვია, რის ვაჟაკი ხარ!

— ესეც ვიცი!

— იცი თუ არა, რომ ცოლი ცხენივითაა, უნდა მოუარო, დაუყვავო და ხედნო კიდევ? ისე ცხენი გაგიურავდება და ცოლი გაგიბოზდება. დღისით ცოლის აღერსი და თვალის შემართვა ვაჟაკის უღვაშის შერცხვენია და დაძაბუნება?

— ვიცი!

— დიდებულაია, დიდებული, კოჩი! — აღმოხდა მას კმაყოფილებით, ვაცის წვერზე ხელი სასოებით ჩამოისევა და შერი, თითქოს ახლა გაახსენდაო, ისე შემეკითხა: — საცოლე ბიჭმა ხელობაც უნდა იცოდეს, — რა ხელობას ეწვევი?

— ვდანელიობ, პატონი! — მიუგე მე.

— ყვეი, კაია, კაი! ვაჟაკი ყოფილხარ!.. ეს მომწონს! მეგონა, საქართუოში წახდებოდი. კაია, კაი დავემართოს! — მეუბნება იგი და ყალიონს კიდევ უფრო მეტის კმაყოფილებით უპლაკუნებს.

ასე ვიბაასეთ ჩვენ შუალამემდე. ბოლოს ვივანშვით და ნავახშვევს, მცირე მობოდიშების შემდეგ, კონახში შემიპატიყეს. დაწოლის წინ სიღუფე ფეხი დამბანა და ლოვინში დაღალული მივწყექ, მაგრამ არ მიძინებოდა. დავბუჟავდი თვალებს,

სიღუ მელანდებოდა. ან რა ჯანდაბა დამაძინებდა, როცა მე ის ასე ახლოს შეგულვებოდა? დაძინების იმედი რომ დავკარგე, ლოგინში შეგაჩუქეთ შენ წამოწევი და ბუხარში დადგმულ ჭრახის სინათლეს მივაჩერდი. ჭკპრავდეს ცნობა ტაილო და ზღურბლზე სიღუ გამოჩნდა, ხელში ჩონგური ეჭირა.

— არ გეძინება, პატონი?— შეშეკითხა იგი შემკრთალი ხმით.

— არა, პატონი!— მიუგე მე და უზრდელობა რომ არ შეეწამებინა, დაუმატე:— ალბათ, უჩვევ ადგილას რომ ვწვევარ იმიტომ.

ამ სიტყვებზე სიღუმე კარი უკანიდან მოიგდო და თებაკრეთით ჩემკენ წამოვიდა. რომ მომიახლოვდა, იქვე იატაკზე დაფენილ ფარდაზე დაჯდა და, წამოწოლილ ვაჟკაცისათვის პირდაპირ რომ არ ეცქირა, ზურვით ლოგინს მოეყრდნო. კარგა რომ მოეწყო, სიმებს თითები გაჰკრა და ტკბილი ძილისპირი დაიწყო. მე მის თავს უკანიდან დავცქერ და თმის ძირებში აწლილი ატმის ბუსუსი და თმის სტრანელემა მითრობს, მახრულებს. ეს მისი წკრიალა ხმაც ჩელი რძის წვეთებივით ესხურება ჩემ თვალებს და გონებას მიბლუვებს! მაგრამ ახლა მით უფრო არ შეძინებოდა, ბურანში წაველ მხოლოდ. ამ ხმასა და ჩონგურს მივყავარ სადღაც ცაში და, მგონია, ეს ჩონგური კი არაა, კალთაში რომ უღვეს სიღუს და აელერებს, ეს ჩონგური მე ვარ და ეს ხმები ჩემი სიყვარულია, თათლია და სიტკბო, ძარღვებში გრუნტელად რომ მივლის.

არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავ მე ასე წასული ბურანში, მგონია, მთელი სიცოცხლე. ალბათ, მიძინებული თუ ვეგონე, ამიტომ ერთი უკანასკნელად აუწია ხმა ძილისპირი, გაჩუმდა და წისასელელად მოემზადა. ამ სიჩუმემ გამომარკვია მე ბურანიდან, თვალები გაეახილე და უეცრად მოვისაზრე: ან ახლა, ან არასოდეს! უკანიდან მზრებში ხელი მოვკიდე და, წამოდგომა რომ გააპირა, ნება არ მივეც, ისევ დავსვი ფარდაზე.

— სიღუ... სიღულია...— აღმომხდა მე სიტყვა კი არა, — სუნთქვა, ცხელი ლაღარი და ჩემმა ლველფივით სუნთქვამ მე თვითონ ამანთო. მეტი არაფერი მითქვამს, კისერში ხელი შემოვხვიე და თავი ჩემკენ გადმოწვიე. მის ალღწილ სახესა და ირემივით გადმოწვეულ ყელს რომ დავხედე, მთლად გადავირიე კაცი-შვილი. ბეჭებიდან ილიებში ხელები ნელა შეუპარე. აეწიე და ლოგინზე აზიზად ჩამოესვი. წამოწოლილი რას მოვერეოდ, მაგრამ თვითონაც მომცა შეღავათი და, ჩემ ხელს ნებაზე რომ აპყვა, მივხვდი რომ ჩემი იყო და დაყოვნება არ იქნებოდა, ამიტომ გულში გაბედულად მივიკარ და ყურში ჩაეჩურჩულე:

— სიღულია, თოლიგე!

— სიღულიას ნუ მეძახი!— მისაყვედურა მან ოდნაეი ჩურჩულით და გრძნობამორეულს სუნთქვა გაუძნელდა. — მე შენ გემდური.

— რატომ, სიღულია, სამდურავს რას შემართლები?— კი არ შევეკითხე, შევევედრე, — სამდურავი რა დავგოავე, პეჩი?..

— მე!... მე!...— დაიწყო მან ბუტბუტი, მეტი ვერ შესძლო და უცებ ამოიკენესა: — მე რვა წელიწადი გიცადე და შენი...— თვალები ცრემლებით ავესო.

— არა, სიღულია, არა! რა ექნა რომ არ შემეძლო?— მაგრამ, როცა არც ამან გასკრა, მე პერანგის საყინძე სახელდახელოდ შევიხსენ, ხელი უბეში ჩავი-

ყავ და კისერზე აბრეშუმის ძაფით დაკიდებული მისი ნაჩუქარი ავეჯთონი ამოვიღე და ვაჩვენე.

— ა, შეხედე!..

სიღუმ დახედა და თვალები მადლით, სურვილებითა და მოჩრჩილი ნდობით აღევსო, ეს თვალები შემოვიდა ჩემში, დასხდნენ ჩემ გულში და ვიგრძენ რომ დავიღუპე, რომ მე უამთვალეობად სიცოცხლე აღარ შემიძლია, ენა ძვალვივით გამეხირა ყელში, მაგრამ მაინც მოვახერხე:

— ხომ ჩემი ხარ, სიღუმლია?

— მამაჩემს ჰკითხე.— მიპასუხა მან დარცხვენით, ხმა მიზნედილად. ამ სიტყვებს შემდეგ მე უკვე აღარაფერი შექონდა საკითხავი და არც მახსოვს, როგორ მოხდა, მხოლოდ მაშინ გამოვერკვე, როცა ის ტურებზე მომწყდა და გულამოვარდნილი გარეთ გაიჭრა.

ამ ამბის შემდეგ მე რა შავი ქვა დამაძინებდა? შიშლი ღამე თეთრად გაეტეხე და, ინათა თუ არა, ფეხზე ვიდექი. გარეთ რომ გამოველ, მასპინძლებიც ამდგარიყვნენ. სიღუმ ქის თაფზე ქებას რეცხდა და, რომ შევხედე, გამოიკირდა, რა უნდოდა მას აქ, როცა ის ჩემი იყო და, თუ ჩემი იყო, ჩემ სახლში უნდა ყოფილიყო.

ეზოში ცხენები დაჯირითობდნენ და, რომ გავხედე, ვიციან ზოვი მათგანი, ეს ჩემი მეზობლების იყო, მაგრამ არ დავიმიჩნიე, ისევ სახლში შეველ და, როცა დანელიამ ცხენები და ხეადგები ანგვარში ისე დააბინავე რომ უტხო თვალი არ მოხვედროდა, ისევ გამოველ, შემოგებებულ მასპინძელს დილამშვიდობისა უსურვე და, სალამ-ქალამის შემდეგ, დავიწყე:

— ყველა ზიტმა თავისი ბუდე იცის და კაცმა შინა! მეც კაცი ვარ, სახლი მაქვს, კარი, საქმის ყიორიც მეზარება. საქმეს იმიტომ ჰქვია საქმე, რომ დროზე უნდა მოთაყვება.

— მართალია!— დამიდასტურა დანელიამ კმაყოფილებით. შევატყე, მოეწონა ჩემი საქმიანი კილო, მაგრამ უეტრად გაახსენდა, რომ ის მასპინძელი იყო და შემეპატივა;— რა გეტქარება, ოჯო? ერთი ორი ღამე ჩემს ქოხშიც შეიძლება კაცმა გაათოს. სტუმარი ოჯახის ხეავია და ბარაქა!

მე მისი სიტყვები განზე დავიქირე და, კარგა ძალი გაპატივებისა და მობოდიშების შემდეგ, ჩემს მასპინძელს, როგორც შევატყე, მოსწყინდა ამდენი ფაზიარი, უეტრად სახეში შეიცვალა, შუბლზე კოხები შეიჭრა და, არც მაცალა, ისე დაიწყა:

— ცხენი ვნახე,— კაია! ქება რათ უნდა? ავ თვალს არ დაენახება. პირდაპირ მითხარ, რას მთხოვ?

— მე ეზოს გავხედე და, ჩემ ცხენთან მეორე კავშა ცხენი რომ ბალახობდა, იმაზე მიუთითე.

— ის ცხენი აქაური ხომ არაა?

— არა, ოსეთიდანაა!

— მაშ იმ ცხენს თავისი უნაგირით და თუთხმეტ მანათს ფულად.

ამის გაგონებაზე დანელიამ შუბლში ხელი იტკვლიცა და დაიძახა:



— აუუ, დამკალი და ესაა! წყალში გადასაყარი ფარა მე ვინ მომკა? ცხენის და ანანგირის თანახმა ვარ, ფარად ხუთ მანათს მოგცემ, თუ გინდა.

— თუთხმეტი!—დაუჩემე მე.

— ხუთი მანათი!

— მაშ ყიდვა არ გდომია. შეხედე რა ცხენია!—შევახედე მე კიდევ ერთხელ ცხენს.

— ვითხარი, ცხენს ქება არ უნდა მეთქი! ხუთი მანათი, მოიტა ხელი!

— თუთხმეტი!—არ ვიშლი მე ჩემსას.

— აუუ, ჯინაგარი ყოფილხარ, ოჯო! ხუთმანათნახევარი გინდა?—აუწია, როგორც იქნა, მაზანდას დანელიამ, მაგრამ მე მაინც არ დავეყბუდი.

— ვინც ფასი იცის, იმას სამი მაგდენი უღირს.

— ე, ბაბა, ხედავ იმ ჩიტს, ეგერ ხეზე რომ შემოჯდა?—შემეკითხა ის და ხეზე შემომჯდარ სკეინჩას შემახედა.

— ვხედავ, მერე?

— ერთ ფარად მოგცემ, თუ გინდა.

— რა ვა?—გაკვიკვირე მე.

— რა ვა და შენი ცხენიც იმ ჩიტივითაა. სანამ ენგურზე არ გამოიყვანია, არაფერი ღირს. თევზს წყალში როდის აფასებენ?

— აბა კაი, რომ არ დავეგვიანდე ის ცხენი ახლავე შეაკახშიც და ფარაში მერე მოვრიგდეთ.

მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ სალომემ შეკახშული ცხენი მომგვარა და სიღუ კიშკრის გასაღებად გაემართა. მე სალომეს ცხენი ჩამოვართვი და უნაგირს სინჯვა დაუწყე. დანელიამ ეს იწყინა, შემაჩერა და საყვედურით მითხრა:

— მე ცხენოსანი ვარ და ანანგირს სინჯვა არ უნდა. ჩემ სახლში გლახა ანანგირს ვერავინ შემოიტანს.—სალომემ, როცა შეატყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ მოვრიგებულვართ, გვერდზე გადაა და იღვა ასე, მოშორებით ბრძანების მოლოდინში.

უნაგირს მართლაც წუნი არ დაედებოდა, ბოდისი მოვიხადე და უთხარი:

— კეთილი, თუმანი მაინც მომეცი, ოჯო!

— ხუთმანათნახევარი, მეტი არ მიღირს! ისიც შენი ხათრისთენიაა!—შეჯდა ჯორზე ეს სულწაწყმედილი და ფეხს არ იცვლის. მე გადაწყვეტილი მქონდა, რათაც არ უნდა დამჯდომოდა, დროზე მომეთავებინა ეს საქმე. ფული რა შავი კირად მინდოდა, როცა მე სიღუსთვის ვიყავი აქ? ვაჭრობაში წაფთამამდიხელი მისკენ გავიშვირე და შევეკითხე:

— ის ქალი რაა შენი?

დანელია ერთხანს ვერ მიხვდა რა ქალზე ველაპარაკებოდი. მოხუშულ წარბიდან ცალი თვალით იქით გაიხედა და შემეკითხა:

— რომელი?

— ე, ის, კიშკარი რომ გაუღია და ჩემს წასვლას უცდის?

— რა უნდა იყოს? ქალია ჩემი!

— მაშ არიფერი მინდა შენგან!—მოუჭერ მე მოკლედ, ცხენს მოვაბტი და ახალ უნაგირზე წელში გავიშართე.

— მე ჯერ უფროსი მყავს!—მომიჭრა მან სიტყვა.

— უფროსს მისი პატრონი მონახავს! შეიღობით!—გადავძახე და პასუხს აღარც დაუცადე, ისე შემოვკარ ცხენს მათრახი და გავქანდი ჭიშკრისაკენ.

სიღუს რომ ჩაუქროლე, გადავიხარე და ჩაენურჩულე:

— სიღულია, თოლიგე!

ქალმა თავი მორცხვად დახარა, მაღლიერი თვალები შუბლქვემოდან სიყვარულით შემომანათა და სიბა მომახურა.

— ჰაჰაიტ, ფეიიტ!—დაესქყიფლე ახლად შეძენილ ცხენს და ასე, სიღუსგან გულდაიმედებული, წაველ და წაველ.

სახლში მიველ თუ არა, მაქანკლად ერთი გულუხეთელი ბასკან უჩარდია გავიჩინე. ერთი ხატის გამტეხელი და ყოველად უპირული ვინმე იყო. ეშმაკს სად ეძინა ის იცოდა და მის მეტი ვინ მომიწყობდა ამ საქმეს? მაგრამ მოვტყუედი. თურმე იმ სულძალღს, სიღუხე გული თვითონ შევიარდნოდა და მე რა ვიცოდი?

მე რომ სიღუსთან ვგზავნიდი, ის ჩემი ცოდვით სავსე, თურმე მის სულძალღ მამასთან მიდიოდა და ამბავს თავიდან ბოლომდე წვლილად უკაკლავდა სხვა გზა რომ არ იქნა და ნებით არ შეძლებდა, გადავწყვიტე ძალით გამეტაცა. ერთ დაყარყუმებულ ღამით მის ფაცხაში შევიპარე და ნაბიღში გახვეული ქალი ერთი ვაივაგლახით, სროლითა და უბედურებით გამოეიტაცე. ეკლესიაში საბაღლისთან ჯვარის გადასაწერად შევიყვანე და სიყვარულით აკახკლებულმა დაეღას ნაბაღი რომ შემოვხადე, შენს მტერს, მე რომ გულს შემომახდა! იმ ცალთვალა შეღას, სიღუს მაგიერ, უფროსი ქალიშვილი შემოგპარებინა. ავარდი, დავარდი, ხეს ვეცი, მიწას დაეასკდი, გადავირიე კაკიშვილი, მაგრამ რას ვიზამდი, გამოტაცებულ ქალს უკან ხომ არ გაეაბრუნებდი? თუ მიწაზე ღოღვა მინდოდა, ბედს უნდა შევირიგებოდი, ავღმეტი და მეც შევირიგდი, ცოლს კი არა,—ბედს.

როცა ზაფრით გონება არეული მაქანკალს ვეცი, მან უღვაშებში ჩაიციხა და განწურად მიპასუხა:

— რა ვქნა, ჯიმა აჯამი, ბევრი ვეწვალე შენთვის, მარა ძლივს მოვახერხე ჩემთვის.

ამ სულძალღმაც რომ ცეცხლზე ნავთი დამისხა! მე ხანჯალ ამოღებული გავქანდი მისკენ ბენდელივით, მაგრამ არ დამანებეს ერთი მისი უწმინდური სისხლი დამელია და გული მომიოხებინა.

მეტი რა უნდა მექნა, ან რა ძალა მქონდა? ბედის განაჩენს დაეყაბულდი. ასე ყოფილა ეს ცხოვრება მოწყობილი და მე რას გავაწყობდი? თურმე მწიფეს რომ ესერი, შვეახე სცივია. მე უფრო იღბლიანი გამოვდგი: შვეახეს ვესროლე და მწიფე ჩამოვარდა, ნამეტანი მწიფე, დაუმწიფდა მამამისს ის კინტირია თავი! როდის ყოფილა რომ კაცს ფაფა გენატროს და ბედს ქვა არ ჩამოგდოს? მეც გადავყლაპე ეს ქვა, იმატომ რომ შემეშინდა, ქვის შემდეგ უარესი არ დამცემოდა თავში. მართალია, ვერ მოვიწილე, მაგრამ მაინც შევირგე.

სიყვარული, ბაბა, მაშინ არის კარგი, როცა სიყვარულისთვის გინდა, ცოლად სულ ერთია ვინც იქნება. შეილებს ყველა ერთნაირად, ნეტქნენ და ერთ ზომაზე სვამს. ქალი სულ სხვაა. ქალსა და ცოლს შუა ისეთივე განსხვავებაა, როგორც ჩიტსა და ქათამს შორის. ყველა ჩიტს ჩიტი ბჭვია და ქათამში, რაც უნდა აფათქუნოს ფრთები, მაინც ქათამია. ქალი ნაირნაირია და ცოლები ყველა ერთნაირი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთი ნელა ამოვხდის სულს და მეორე უცებ მოგიღებს ბოლოს. ეს მაშინაა ასე, როცა შენ ცოლზეა ლაპარაკი. სხვისი ცოლები ყველა კარგია, და რას იზამ, როცა კარგი ყველას უყვარს. ალბათ, ჩემი ცოლი არაფრის მაქნისი იყო, რომ არავის შერჩა მასზე თვალი და არც არავინ შემომდავებია მის სიყვარულში? ეგებ, ვნანობ, ვნანობ რომ ასე არ მოხდა! თორემ, რომ მომხდარიყო, სახლის კარებს ჩემი ხელით გაუღებდი და ჩემს ძვირფას მეუღლეს ხელში შევტაცებდი და მერე, მოგცათ ლხენა, მე გაეფრინდებოდი! მაგრამ ვაი, რომ ასე არ მოხდა! რას იზამ, კაცი ბუნებით ისე ავი გაჩენილა და რომ ჩემ მდგომარეობაში არავინ შევიდა, არავის არ შეეხარბა იგი და არც არავინ გაიზიარა ჩემი ბედი. მე კი პირიქით ვიქცეოდი, მე მუდამ სხვის ცოლებზე მექირა თვალი. ახლა რა უნდა მექნა მე, როცა ასე განუკითხავად შემომატოვეს ეს ჩემი ცოდვის დღეზე დაბადებული ცოლი ხელში?

ხომ ასე დამემართა? ხომ ასე სულელი თავივით გავები მახეში და მარცვალი არ შემარჩინა იმ ჩემმა საყვარელმა თანამეცხედრემ—საყვედური მაინც არ მითქვამს. ხომ შეიძლებოდა,—უკეთესი მინდოდა და უარესი შემზედროდა? ასე ვინუგეშე მე მაშინ თავი და ამ ნუგეშში, როგორც ციხე-სიმაგრეში ისე ჩავიკეტე ჩემივე საყვედურებისა და სინანულისაგან, მაგრამ ეს ნაგარი სიღუს სიყვარული, ახლაც რომ გამახსენდება, ხომ დავბერდი, ხომ ოთხმოცი წლისა ვარ?—მაინც შემომეჭირება გულზე რალაც ცხელი სალტესავით და სუნთქვა მიძიმს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.



ათი წელი საჭიროა გენდირების საკითხებში

ათი წელი შესრულდა საქართველოს გასაბჭოების დღიდან. ათი წელი არ არის დიდი დრო ჩვეულებრივი ისტორიული თვალსაზრისით. მაგრამ ეს ათი წელი ხომ სოციალისტური რევოლუციის წლებია. რევოლუცია კი, როგორც ამბობს მარქსი— „ისტორიის ლოკომოტივია“. ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა ისტორიის ძველი ღერძის გარდატეხა და კაცობრიობა გააქანა გიგანტიურის ნაბიჯებით მსოფლიოს სოციალისტურ გარდაქმნის გზაზე. კაცობრიობის ერთი შექცეული, რომელიც უპირაეს საბჭოთა კავშირს—მშრომელთა მასის უდიდესი ენტელზიზმით აშენებს სოციალიზმს.

სოციალისტური ფორმაციის ცხოველყოფილობა და უპირატესობა კაპიტალისტურ ფორმაციაზე ყოველდღიურ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით მტკიცდება. იქ, კაპიტალისტურ ქვეყანაში, ღრმადება კრიზისი, დღითიდღე ეკემა მრეწველობის პროდუქციის საერთო ჯამი, იზრდება უმუშევრობა (გასული წლის განმავლობაში გაიზარდა 17 მილიონით), აქ კი, საბჭოთა კავშირში, ჩვენ ვვაქვს ისტორიაში ჯერ არ ნახული ზრდა მრეწველობისა და მისი პროდუქციის, ისპობა უმუშევრობა და ხდება არა მარტო ჭალაქის, არამედ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. მარქსი ამბობდა, რომ „ახალმა ფორმაციამ თუ არ დაამტკიცა თავისი უპირატესობა წარსულ ფორმაციის მიმართ, ისე ის ვერ გაიმარჯვებს“-ო განა ჩვენი კავშირის საწარმოო ძალების ასეთი გიგანტიური ზრდა არ ამტკიცებს სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმზე! განა ის ტემპები მშენებლობისა, ის ზრდა მრეწველობის პროდუქციისა და აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა უდიდესი მაჩვენებელი არ არის სოციალიზმის უპირატესობისა კაპიტალიზმზე. როცა ჩვენმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი „დაწევა და გასწრება კაპიტალისტურ ქვეყნებზე“, ბერს ამის შესაძლებლობა არ სჯეროდა; მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალისტური ფორმაცია 7-8-ჯერ უფრო სწრაფად აწვითარებს საწარმოო ძალებს, ვიდრე დაწინაურებული კაპიტალისტური ქვეყანა ამერიკა—განა ეს დამამტკიცებელი არ არის მისი, რომ ჩვენ დავეწვეით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს... მართალი იყო ჩვენი პარტიის ბელადი სტალინი, როცა მან მრეწველობის მუშაკთა კონფერენციაზე განაცხადა:—მართალია ჩვენ ჩამორჩენილი ვართ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს 50-100 წლით, მაგრამ ისტორიის ამ მანძილს ჩვენ 10 წლის განმავლობაში გავირბენთო.



ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა ჩვენ არა მარტო ეს შესაძლებლობანი, ოქტომბრის რევოლუცია მოველინა განმანათლებელად და განვითარებელად ეროვნებებს. ფეოდალურ-კაპიტალისტური რუსეთი სკდილობდა სისხლში ჩახრჩო უოველგვარი ნაციონალური ტენდენციები რუსეთში შეშავალ ნაციონალურ-ეკონომიურებს;—მეფის რუსეთი არ აძლევდა მათ არც ეკონომიურ, არც კულტურულ ზრდა-განვითარების საშუალებებს; ოქტომბრის რევოლუციამ კი მიანიჭა რა ნაციონალურ უმცარესობებს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, მისცა მათ, როგორც ეკონომიური ისე კულტურული განვითარების უდიდესი შესაძლებლობანი. ოქტომბრის რევოლუციის წყალობით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში რამოდენიმე ათეული ნაციონალურ-ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ პერიოდში პატარა ერების ადგილობრივმა ბურჟუაზიამ შეეცადა ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპი გაეყალბებინა და ნაციონალური მოძრაობანი—ბურჟუაზიულ ნაციონალისტური გზებით მიემართა; რევოლუციის პირველ პერიოდში მათ ეს კიდევ შესძლეს და ძველი რუსეთის სხვადასხვა პერიფერიებში კიდევ ჩამოაყალიბეს ასეთი კონტრრევოლუციონური ნაციონალური რესპუბლიკები. პროლეტარული რევოლუციის პრინციპი შინაარსით ინტერნაციონალური, ფორმით კი ნაციონალური კულტურა, მათ ფორმითაც და შინაარსითაც ნაციონალისტური კულტურად შესცვალეს და მით ნაციონალური მოძრაობა ყალბ ბურჟუაზიულ გზაზე დააყენეს. ამან კი ხელი შეუშალა როგორც ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობას, ისე თვით ნაციონალურ კულტურის ზრდას და გაფორმებასაც. ოქტომბრის რევოლუცია იძლეოდა უდიდეს საშუალებებს ნაციონალურ კულტურის ზრდა-განვითარებისა, ხოლო ნაციონალურ მოძრაობათა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ გზით მიმართება სპობდა ყველა ამ საშუალებებს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს მენშევიკური მთავრობის ისტორია, რომელმაც ხელი შეუშალა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და არ მისცა საქართველოს საშუალება 1921 წლამდე ესარგებლა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრით. თუ თვალს გადავაყვებთ საქართველოს მენშევიკურ მთავრობის ისტორიას 1921 წლამდე—ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად არა თუ ზრდას განიცდის, არამედ დეგრადაციის გზაზე ექანება. ეკონომიკაში საშინელი კრიზისი, იდეოლოგიაში—ზოოლოგიური კაცია-ქამია ნაციონალიზმი—აი რა ახასიათებს იმ დროის მენშევიკურ საქართველოს. თუ გადავაყვებთ ჩვენ თვალს კულტურულ ფრონტს, განსაკუთრებით კი მეცნიერებას, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ კვლევებივას არ ქონია ადგილი. არა თუ კვლევა-ძიებას, არამედ პროგრესიულ-მეცნიერულ ძალებსაც არ აძლევდნენ საშუალებას აქ ჩამოსვლისა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ მეცნიერთა მიერ ნ. მარის წინააღმდეგ კამპანიის წარმოება და თითქმის ბოიკოტის გამოცხადებაც კი. მეცნიერებას საქარ-

თველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი (იე. ჯანაშიაძე იმ მოსახრებით, რომ დემოკრატია სომხეთ-საქართველოს ომის ნაშრომებშია, წიგნსაც სწერს: „საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული საზღვრები“). მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალისტური სულის განმტკიცებას—დევნილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები თავის თავს მარქსისტად აცხადებდნენ, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მარქსისტული წიგნი არ გამოსულა ამ დროს საქართველოში. არც თარგმნილი და არც ორიგინალური, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბოლშევიკურ არა ლეგალურ ლიტერატურას. მენშევიკები თავის თავად დიდ დამსახურებად თვლიდნენ საქ. უნივერსიტეტის დაარსებას, მაგრამ ეს არა მათ დამსახურებას უნდა მიეწეროს, არამედ ოქტომბრის რევოლუციის პრინციპებს, რადგან მხოლოდ ოქტომბერმა მისცა საშუალება ერებს თავის ენაზე მეცნიერების განვითარებისა. ვინ იცის რა კატასტროფამდე მიიყვანდა მენშევიკები საქართველოს, როგორც ეკონომიურად ისე კულტურულად, რომ საქართველოს პროლეტარიატს და მშრომელ გლეხკაცობას არ მოეცილებინა მათი ბატონობა. 1921 წლის 25 თებერვალი—საქართველოს ოქტომბერია. აქედან იწყება ოქტომბრის რევოლუცია საქართველოში. ათი წელია, რაც საბჭოთა საქართველო დაეწაფა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა რეალიზაციას. ათი წელია რაც ჩვენი ქვეყანა თავდაუხრელად განუწყვეტლივ ეწევა სოციალისტურ შინაგაბრძოლას. ამ ათ წელში უდიდეს მიღწევებს ქონდა ადვილი. ჩვენი წერილის მიზანია გააშუქოს მიღწევები კულტურული ფრონტის ერთი დიდი დარგის—მეცნიერებათა მდგომარეობა ათი წლის თავზე საქართველოში. მართლაც, თუ ჩვენ მოკლედ გადავხედავთ ამ ათი წლის ისტორიულ მანძილს ჩვენ, დავინახავთ—როგორც ეკონომიური ფრონტი ისე კულტურული ფრონტი გვიჩვენებს უდიდესი ზრდის ტემპებს. მართლაც და შეადარეთ—მენშევიკურ საქართველოში დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს იქნა დაარსებული ერთი უმაღლესი სასწავლებელი, დღეს კი, საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე ჩვენ გვაქვს თოთხმეტი უმაღლესი სასწავლებელი, თოთხმეტი ათასზედ მეტი სტუდენტობით. მენშევიკურ საქართველოში ძლივს თუ აღმოაჩენდით სადმე ერთ-ორ მეცნიერულ დაწესებულებებს. დღეს საქართველოში კი ითვლება არა ნაკლებ 123 სხვადასხვა მეცნიერულ ხასიათის დაწესებულებებისა.

ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა მეცნიერებას აქვს უდიდესი მიღწევები. მიღწევებთან ერთად ხაზი უნდა გაუსვით აგრეთვე იმ დეფექტებსაც, რაც ხელს უშლის საბჭოთა მეცნიერების შემდეგ განვითარებას. ამიტომ ჩვენ დარგების მიხედვით განვიხილავთ რა მიღწევებს, შევეცდებით იქვე გაავსუქოთ დეფექტებიც.

ბუნებათ-მეცნიერებანი

ბუნებათ მეცნიერებებს საქართველოში განსაკუთრებით არ ჰქონია დიდი ისტორიული ტრადიციები. არც საქართველოს უნივერსიტეტის შემდეგ ჩაპყრია

მას მკვიდრი საფუძველი. მენშევიკურ საქართველოში მას სრულიად არ ექცეოდა ყურადღება. მართალია, უნივერსიტეტის დაარსებამ თავისი წარმატებით ბევრ ბუნებისმეტყველთ, რომლებიც უწინ რუსეთში მუშაობდნენ, მაგრამ მათ არ ქონდათ ის მატერიალური ბაზა, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა ბუნებისმეტყველების განვითარება და მეცნიერულ კვლევა-ძიების წარმატებით მიმართება. ქართველი ბუნებისმეტყველი მეცნიერნი უმთავრესად რუსეთის უნივერსიტეტში მუშაობდნენ და თავიანთ ნაწარმოებსაც რუსულ ენაზე აქვეყნებდნენ. მენშევიკების დროს ბუნებისმეტყველებას არ გადაუღვამს არავითარი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ. მენშევიკებს მათთვის არ ეცალათ. ისინი უმთავრესად მფარველობდნენ ისეთ მეცნიერთ საზოგადოებრივ დისციპლინებში, რომლებიც ნაციონალიზმის ცეცხლს დაანთებდნენ საქართველოში. ბუნებისმეტყველნი კი ასეთ საქმეში გამოუსადეგარნი იყვნენ. საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც თეორეტიულ ბუნებისმეტყველებას ისე პრაქტიკულს. არსდება სათანადო კათედრები უმაღლეს სასწავლებლებში, არსდება აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებები, სამეცნიერო-საედილი სადგურები, ლაბორატორიები და სხვა; იცემა სათანადო სახელმძღვანელოები, ცალკე გამოკვლევები მეცნიერული ხასიათისა. ტფილისში თავს იყრიან ისეთი ძალები, რომ ის ცხადდება ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად საბჭოთა მეცნიერებისა. ალსანიშნავია ამ მხრივ მიღწევები მათემატიკის დარგში, განსაკუთრებით განსვენებულ პროფ. ა. რაზმაძის საუკეთესო ნაშრომი „ვარიაციონულ აღრიცხვაში“ და სხვა (იხ. ამის შესახებ კრებული „Десять лет советской науки“, გვ. 49-50), აგრეთვე ნ. მუსხელიშვილის ნაშრომები და სხვ.

ქართველი მათემატიკოსები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათემატიკების საკავშირო და საერთაშორისო ყრილობებზე და მათემატიკურ მეცნიერებების განვითარებაში თავისი ღვაწლი შეაქვთ.

ბუნებათმეცნიერების განვითარება საქართველოში მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობასთან. ამიტომ შესწავლა საქართველოს ძალზე მდიდარი ბუნებისა, არის პირველი პირობა სოციალისტური მშენებლობის წარმატებით ჩასატარებლად. ამ მხრივ შეიძლება ხაზი გაუსვიათ საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტის მუშაობას. აღნიშნული ინსტიტუტი არის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. ის დაარსებულ იქნა 1925 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ კათედრასთან. აქ თავმოყრილია გეოლოგიის დარგში მომუშავე ყველა მეცნიერული ძალები და შეძლების დაგვარად ისინი მონაწილეობას იღებენ ჩვენ სამეურნეო მშენებლობაში. გამოყენებითსა და საკვლევო დარგში ჩატარებულთა სხვადასხვა სამეურნეო ორგანოების დავალებით ოცდახუთამდე სამუშაო. ჩატარებულ სავსე მუშაობას თან ახლდა მასალის კამერული დამუშავება გეოლოგიურ ინსტიტუტში. შედეგები გამოყენებულ იქნა შესაფერ ორგანიზაციების მიერ—ხოლო თვით ინსტიტუტში მათ მოჰყვა სამეცნიერო ხასიათის ორმოცდასამი საჯარო მოხსენება. და-

საბჭოდათ დამზადებულა ხუთი ნაშრომი, მზადდება დასაბჭოდათ ოთხი. გასაბჭოებამდე არც ერთი ნაშრომი არ ქონიათ გავრცელებული გეოლოგიურ ინსტიტუტის თანამშრომლებს—გასაბჭოების შემდეგ კარგად გავრცელებულია მარტო ალ. ჯანელიძის მიერ თუთხმეტამდე ნაშრომი, ხოლო სხვა თანამშრომლების მიერ კიდევ ამდენივე. ამ ნაწარმოებს აქვს არა მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა, არამედ თეორეტიულიც.

არა ნაკლები მნიშვნელობისა არის აგრეთვე გეოგრაფიის კათედრისა და კარტოგრაფიული ინსტიტუტის მუშაობა, რომელიც დაარსებულ იქნა 1923 წელს და რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. ალ. ჯავახიშვილი. გეოგრაფიული მეცნიერება ჩვენში ძალზე ჩამორჩენილი იყო საქართველოს გასაბჭოებამდე. განსაკუთრებით ქართულ კარტოგრაფიის საქმე. პრ. ა. ჯავახიშვილმა მოგვცა პირველი მეცნიერული საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. უდიდესი მიღწევები აქვს მის აგრეთვე ქართული კარტოგრაფიის საქმეში. დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი ახალი საქართველოს რუკა რაიონების მიხედვით, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა ვაუწიოს მიღწევების მხრივ თვით ლენინგრადის და სხვა კარტოგრაფიის ცენტრებს.

ყურადღების ღირსია ბოტანიკის და მინერალოგიის კათედრის მუშაობა.

სათანადოთ მიმდინარეობს მუშაობა ქიმიკშიც. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მუშაობა პისარევესკის. მის მიერ დაარსებულ იქნა ქიმიური ინსტიტუტი, რომელიც თანდათან შლის მუშაობას ამ დარგში. მოკოკლებს მუშაობა ბიოლოგიაში. ამ დარგში გარდა პოპულიარული ლიტერატურისა ჯერ-ჯერობით არაფერი არ მოგვემოება. ასეთივე მდგომარეობაა ფიზიკაში, არა თუ ორიგინალური ნაწარმოები, არამედ სახემძღვანელოც კი ვერ გამოგვიცია ჯერ-ჯერობით. აქ არ გვყავს სათანადო კადრები. და ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. შემდეგში ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პროფ. ი. ბერიტაშვილის მიერ წარმოებული მუშაობა ფიზიოლოგიასა და ქცევით-მეცნიერების დარგში. მართალია, კათედრა დაარსდა 1919 წელს, მაგრამ 1921 წლამდე ამ კათედრამ ვერ შესძლო მუშაობის გაშლა. დაწყებული 1921 წლიდან ეს კათედრები აწარმოებენ დიდათ ნაყოფიერ მუშაობას, როგორც სწავლების საქმის დაყენებაში, ისე მეცნიერულ მუშაობის დარგში. საბჭოთა საქართველოს მეცნიერებას შეუძლია იამაყოს პროფ. ი. ბერიტაშვილის მეცნიერულ მუშაობათა შედეგებით. საუცხოვოდ არის ი. ბერიტაშვილის მიერ მოწყობილი ფიზიოლოგიური ლაბორატორია და ლაბორატორიული ბიბლიოთეკა. აქ თავმოყრილია ძალზე მდიდარი ლიტერატურა უცხო ენაზე. ი. ბერიტაშვილს კავშირი აქვს მსოფლიოს ყველა ფიზიოლოგიურ ინსტიტუტებთან და აღნიშულ ინსტიტუტებიდან ღებულობს მათ ნაშრომებს, როგორც გაცვლის საშუალებით, ისე შესუიღვითაც. თუ ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში და სხვა ჩვენ გაქვს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებისაგან დიდი ჩამორჩენა, სამაგიეროთ ფიზიოლოგიასა და ქცევით-მეცნიერებაში ჩვენ ედგევართ პირველ რიგში. მსოფლიო მეცნიერთა შორის ი. ბერიტაშვილმა გამოსცა,

როგორც სახელმძღვანელოება, ისე მრავალი მეცნიერული ნაკვლები. მისი ნაშრომები გამოცემულია რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებში. მისი ლოგიკის კათედრას ამ ათი წლის განმავლობაში პროფ. ი. ბეჩქაძის მსყმანის უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გამოაქვეყნდა ოთხი ნაშრომი, რომელშიაც თვით ბერიტაშვილს ეკუთვნის ოცდაათი ნაშრომი. ქვეყანა-მეცნიერების კათედრას კი ოცდაცხრა ნაშრომი, რომლისაგან ოცი ეკუთვნის ბერიტაშვილს. პროფ. ბერიტაშვილი არ არის ბრმა მიმდევარი ბავლოვის და ბებტერევის შკოლის, მას ახსიათებს თავისი საკუთარი შეხედულებები და საკუთარი მეთოდი. მის მეცნიერულ კვლევა-ძიებას დამოუკიდებელი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ყველა ბუნებათ-მეცნიერთ შორის ბერიტაშვილი პირველია, რომელმაც შეიგნო დიალექტიკური მეთოდის, დიალექტიკური მატერიალიზმის უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. მან არა თუ მარტო ოფიციალურად აღიარა ამ მეთოდის უდიდესი მნიშვნელობა, და იცნო მარქსიზმის უპირატესობა, არამედ პრაქტიკულადაც გადასდგა ნაბიჯი დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის მოხმარების საქმეში. მართალია, მის ამ ცდას ჯერჯერობით ზერულე ხასიათი აქვს, დიალექტიკის ბუნება ავტორს ორგანიულად ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია, ამიტომ შეცდომებსაც იდენს. მაგ. საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაში ბიოლოგიური გადახრა და სხვა. მაგრამ მისი ნაბიჯი მართლაც, რომ მისალმების ღირსია. მართლაც და რა არის ძირითადი დეფექტი ჩვენი ბუნებათ-მეცნიერთა—ეს არის მეთოდოლოგიის და მსოფლმხედველობის ჩამორჩენილობა—მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის კრიზისი. ისინი ვერ გასცილებიან ჯერ კიდევ მექანიკურ მსოფლმხედველობას და მეთოდოლოგიას. ფაქტიურ მასალების დაგროვებას ისინი მიჰყავს ძველი მექანიკური მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიის კრიზისადმე. ბუნების მეტყველნი სტიქიურად უახლოვდებიან დიალექტიურ მატერიალიზმს, მაგრამ შეგნებულად ის არ მიუღიათ. ამიტომ განიცდიან ისინი კრიზისს. ჩვენი დიალექტიური-მატერიალისტების უპირველესი ამოცანაა გაუწიოთ დახმარება ჩვენს ბუნებისმეტყველთ და შევამარალოთ ისინი დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდით. ამიტომ ი. ბერიტაშვილის ცდა ღირსია მისალმების. მან პირველად შეიგნო მატერიალისტური დიალექტიკის უდიდესი როლი და შეეცადა მისი კონკრეტიზაცია მოეცა. მაგრამ მისი ეს ცდა არ არის საკმარისი. დიალექტიკას ესაჭიროება უფრო ღრმად შესწავლა. მარტო ენგელსის „ნატურ-დიალექტიკისიკის“ წაკითხვა არ არის საკმარისი. არ არის საკმარისი დიალექტიკის მარტო მაგალითებზე გაშლა—საჭიროა თვით ბიოლოგიაში. თვით ქვეყანა-მეცნიერებაში, ფიზიოლოგიაში და სხვა შინაგანი დიალექტიკურ პროცესის აღმოჩენა და მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტიზაცია ბუნებათ-მეცნიერებებში. ბერიტაშვილს შეუძლია უდიდეს შედეგებს მიაღ-

წიოს თუ ის მართლა შეიარაღდება დიალექტიურ-მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობით. ბერიტაშვილს ეს შეგნებული აქვს, მაგრამ სხვათაგან არ შეუგნიათ. ხშირად ჩვენი ბუნებისმეტყველი მარქსიზმს მტრულად ან ლოიალურად უყურებს—„რათ გეინდა მარქსიზმი“, რა კავშირი აქვს მარქსიზმს ბუნებისმეტყველებასთანო და სხვა“. ასეთების წინააღმდეგ უნდა იქნას გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლა. ამას მოითხოვს როგორც სოციალისტური მშენებლობის ინტერესები, ისე თვით სპეციალ-მეცნიერებათა შინაგანი განვითარებაც. ბევრმა ეს შეიგნა და სცილილობს შეიგნოს დიალექტიურ-მატერიალიზმი. დღეს უკვე ჩამოყალიბებულია ფილისოფიური წრე მათემატიკებს შორის, მარქსიზმ-ლენინიზმის წრე, ბუნებათმეცნიერთათვის და სხვა. თუ ჩვენი ბუნებათმეცნიერი მართლაც სერიოზულად დაეწაფებიან მარქსიზმის შესწავლას, მაშინ მათი მეცნიერული მიღწევები ერთი ორად უფრო გაიზრდება და აღარ ექნება ადგილი ჩამორჩენილობას სოციალისტურ მშენებლობის ტემპებისაგან და მეცნიერებათა განვითარებისგან. ათი წელი საბჭოთა საქართველოში ბუნების მეცნიერებათა განვითარებას უდიდესი მიღწევები ჰქონდა. ეს მიღწევები შედგება საბჭოთა მთავრობის უდიდესი ყურადღებისა. მაგრამ თუ ბუნებათ-მეცნიერი დიალექტიკურ მატერიალისტურ მეთოდოლოგიით შეიარაღდებიან, თავს დაიხვევენ პოზიტივისტურ-მექანიკურ მეთოდოლოგიას, მაშინ მათი მიღწევები კიდევ უფრო გაიზრდება და ისინი მართლაც შესძლებენ იმ ამოცანების შესრულებას, რასაც მათ წინაშე აყენებს სოციალისტური მშენებლობის დღევანდელი ტემპები.

საზოგადოებათ-მეცნიერება

არ შეეჩრდებით ჩვენი მუწუფების, ბიბლიოთეკების და სხვა დაბასიათებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ათი წლის განმავლობაში აქაც უდიდესი მიღწევები ჰქონდა ადგილი. გადავალ ეხლა უშუალოდ საზოგადოებათ მეცნიერების განვითარებაზე საქართველოში ამ ათი წლის განმავლობაში.

თუ ბუნებათ მეცნიერებაში კლასობრივი ბრძოლის მომენტები უფრო დაფარულ ფორმებში გვევლინება უმთავრესად მეთოდოლოგიურ მსოფლმხედველობის საკითხებში, საზოგადოებათ მეცნიერება ეს ხომ პირდაპირი იდეოლოგიური არენაა კლასთა ბრძოლის. საზოგადოებათ მეცნიერებებს უფრო მეტი ისტორიული ტრადიცია აქვს საქართველოში. ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გვხვდება ქართული მეცნიერული ნაკვლები. მენშევიკურ მთავრობის დროსაც ვხვდებით ასეთებს. უმთავრესად ქართული საზოგადოებათ მკვლევართა ვითარებობა საქართველოს გასაბჭოებაამდე საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საფუძველზე. ქართული ნაციონალისტურ ინტელიგენციას მიზნათ დასახული ჰქონდა ძველი საქართველოს იდეალიზაცია მოეხდინა და ამით ნა-

ციონალისტური სული ჩაენერგა ხალხში. მაგრამ დიქტანტსა-ნიშნავ მეცნიერულ მიღწევებს საქართველოს გასაბჭოებამდე არ ქონია ადგილი. ეს აიხსნება უმთავრესად მით, რომ ნაციონალიზმით დამ-თვრალი ქართული ინტელიგენცია ვერ ამჩნევდა მეცნიერებათა ახალ მიღ-წევებს, რომელნიც განსაკუთრებით მოჰყვა მარქსისტულ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმს საქართველოში კარგი დი-დი ხნის ისტორია აქვს, ქართველი პროფესორები და მეცნიერნი, რომელნიც უმთავრესად გამოსულნი იყვნენ გაბატონებული კლასის წრეებიდან, ვერ ამჩ-ნევდნენ მას. ეს ნაციონალისტური ტენდენციები საზღვადოცხათ მეცნიერებაში ნაწილობრივ ვადმოვიდა და განაგრძობდა არსებობას საქართველოს გასაბჭო-ების შემდეგაც. უმთავრესად კი ეს შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის შკოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმცოდ-ნეობას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფური, ჩიქობავა და სხვა).

ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოდავე ემპირისტია და ანტი-მარქსისტია. ვანზოგადოებას და სინთეტიურ აზროვნებას ის გა-ურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხედებით სინთეტიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზ-როვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწი-ლობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნები იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემოწმების-გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და შეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. ივ. ჯავა-ხიშვილს, თუ მცა ჩვენ არ უარვეყოფთ, რომ ფაქტების შეგრო-ვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი—მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის ის-ტორია არ არის ისტორია როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერულ ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის-პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიადიზაციას ქრონოლო-გიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე-18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმო-ადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ი. ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა. მაგრამ წინმსეულებობა მეთოდოლო-გიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკის სრულიად არა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვი-ლის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ივ. ჯავახიშვილის მონოპოლია ისტორიოგრაფიის დარგში შეირყა. ჯერ კიდევ არა მარქსისტულ წინააღმდეგობა მისი მეთოდოლოგიის წინააღმდეგ გალაშქრება და სრულიად სხვა მეთოდით იწერება ისტორია ს. კაკაბაძის მიერ. მართალია, ფაქტიური მასალების გამოკრევის შირივ კაკაბაძეს აქვს ბევრი შეცდომები, მაგრამ მეთოდოლოგიურად ის უფრო მაღლა სდგას ჯავახიშვილის მხოხავე-ემპირისტულ მეთოდოლოგიაზე. მარქსისტულ ხასიათის ნაშრომებს სწერს გ. ნათაძე დას. ცეროპის საშუალო საუკუნოების ბენეფიციების და იმუნიტეტის შესახებ, იკვლევს ნაპოლეონის გაძლიერების მიზეზებს და ხსნის მათ ეკონომიური თვალსაზრისით. ბოლოს 1930 წ. ის სწერს წიგნს „საზოგადოებათ მკოდნეობის მეთოდოლოგია“. ავტორი თავის თავს მარქსისტად აღიარებს და სცილილობს მარქსისტული მეთოდოლოგია მოიხმაროს ისტორიის შემეცნების დარგში. მართალია მას აქვს შეცდომებებიც, მაგალითად, ხშირად ის ხმარობს ისტორიულ მატერიალიზმის მაგივრად ეკონომიურ მატერიალიზმს, რაც, რა თქმა უნდა, მარქსიზმის არასწორ გაგებას წარმოადგენს, მაგრამ მაინც ის ახლო სდგას მარქსიზმის სწორ შეთვისებასთან.

ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია თანდათან ყალიბდება. ისმება საკითხი საზოგადოებრივ ეკონომიური ფორმაციის, არის ცდები საქართველოს ახალი პერიოდიზაციის მოცემისა ფორმაციების მიხედვით (გ. ნათაძე), რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიის მარქსისტული გაშუქება და სხვა. მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი. საქართველოს ისტორია ჯერ-ჯერობით წინა ისტორიას წარმოადგენს, საჭიროა საქართველოს მეცნიერული ისტორია. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ამათი წლის განმავლობაში ისტორიულმა აზროვნებამ საქართველოში საკმაოდ წინ წაიწია, იგი ძველნიდადაგს შორდება, მაგრამ საჭიროა უფრო გაბედული კრიტიკა ძველი მეთოდოლოგიის, უფრო გაბედული წინმსვლელი მარქსისტული მეთოდოლოგიის განმტკიცებისათვის მეცნიერების ამ დარგში.

ალსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ქართველ ისტორიკოსების მიერ განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა რუსეთის ისტორიის დამუშავებას. მართალია რუსეთში მარქსისტული ტრადიციები მ. ნ. პოკროვსკიმ დიდი ხანია განამტკიცა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ახალგაზრდობას არაფერი არ აქვს რუსეთის ისტორიიდან ნათარგმნი, ანდა ორიგინალური ნაწარმოები. ეს რუსეთის ისტორიის კათედრის სუსტი მუშაობის ნაყოფად უნდა ჩითვალოს. რუსეთის ისტორიას არ ექცევა სათანადო ყურადღება. მხოლოდ 1930 წელს რუსეთის ისტორიის კათედრამ პედაგოგიურ ინსტიტუტში გადასწავლა გამოუშვა რუსეთის ისტორიის მარქსისტულ ნაწარმოებთა თარგმანი. ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან რუსეთის ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

ყურადღების ღირსია ძველი ისტორიის კათედრის მუშაობაც. ამ კათედრის ხელმძღვანელმა ალ. წერეთელმა ამ ათი წლის განმავლობაში გამოუშვა თორმეტი წიგნი. წიგნები უმთავრესად საბელმძღვანელო ნაშრომებად იქნა გამოკლავნი. მაგრამ არის აგრეთვე ცალკე გამოკლავნიც. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მარქსისტი არ არის, მის შრომებს აქვს მანაც თავისებური მნიშვნელობა და შეუძლია სარგებლობა მოუტანოს მკითხველს. საერთოდ კი უნდა ვაღიაროთ, რომ ისტორიის ფრონტი საქართველოში მეთოდოლოგიის მხრივ ძალზე მოიკოკლებს და ჩვენი ახალგაზრდა მარქსისტ-ლენინელთა კადრების ყურადღება გადაუდებელიც უნდა იქნეს აქეთკენ მიმართული.

მეფის დროის საქართველოში, როცა დევნილი იყო ქართული ენა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ჩვენი მწერლობის ისტორიის შესწავლას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. უმთავრესად თუ რაიმე იწერებოდა, იწერებოდა რუსეთში უნივერსიტეტების სათანადო კათედრებთან. ცნობილია ამ მხრივ ალ. ხახანაშვილი (მისი ოთხტომიანი „Очерки по истории Грузинской словесности“), მენშევიკურ საქართველოს დროს ლიტერატურის კრიტიკასა და ისტორიაში თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. გააღებული მუშაობა ამ მხრივ იწყება სწორედ 1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტთან „სიძველეთა მუზეუმი“-ს სახით გაერთიანებულ იქნა ჩვენში არსებული ხელნაწერთა კოლექციები, საბჭოთა მთავრობის ინიციატივით, რუსეთიდან დაბრუნებულ იქნა შევის დროს აქედან გატანილ ძვირფასი მონუსკრიპტები, ხელნაწერთა კოლექციების კონცერტაციისა და მათზე უშუალო ინტენსიური მუშაობის შედეგი იყო პროფ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ორ ტომად, რომელიც გამოვიდა 1923 და 24 წლებში. მეცნიერული გამოცემა მე-17 საუკუნის პოემის „შვიდი მთიების“ (1931 წ.) და სხვა წერილი წერილები პერიოდულ ორგანოებში დაბეჭდილი. კ. კეკელიძე თავის კაბიტალურ ნაშრომში მეთოდოლოგიურად დიდათ არ განსხვავდება ივ. ჯავახიშვილისაგან. მისი წიგნი ფაქტურ მასალათა გროვას წარმოადგენს და მეთოდოლოგიურად ის მიუღებელია, მაგრამ გვამღვეს ფაქტურად ძალზე დიდ მასალას და ერთად ერთი წყაროა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად „შვიდი მთიების“ („ბარამ-გურში“) კეკელაძე განვითარებას გვიჩვენებს მარქსიზმისაკენ, რამდენად ის შესავალში სკდილობს კლასობრივი ანალიზი გაუკეთოს „შვიდი მთიების“ („ბარამ-გურს“). კ. კეკელაძემ დიპლუმზე პედაგოგიურ ინსტიტუტში აღიარა მარქსიზმის უპირატესობა და იცნო დიალექტიურ მატერიალიზმის მონოპოლია.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებით ფეხი ჰქონდა მოკიდებული ნაციონალიზმს—ამის საუკეთესო გამომატველია ვ. კოტეტიშვილის სამ ტომიანი ქართული ლიტერატურის ისტორია. ეს წიგნი დაწერილია ძველ ქართველ ნაციონალისტურ ინტელიგენციის სტილის მიხედვით და როგორც მეთოდოლოგიურად ისე იდეოლოგიურად მიუღებელია. ავტორი არც კი სცნობს ღირსად წყნრდეს მარქსისტულ მეთოდის დახასიათებაზე, აღიარებს მეთოდო-

ლოგიურ პლიურალიზმს, აურაცხელ მეთოდებს ეხება და მარქსის მიერ შეგნებულად გამოტოვებულია. ვ. კოტეტიშვილს აქვს აგრეთვე სწავლული მუშაობები, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები ყველას ახსიათებს.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი დაწერილა, მაგრამ მათი მნიშვნელობა უმთავრესად ამოიწურება ისტორიული მასალების გამოკრებით და არა მეთოდოლოგიური მნიშვნელობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერული მუშაობანი „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო. აგრეთვე ს. ხუნდაძის მუშაობა მასალების გამოშვების მხრივ ლიტერატურის ისტორიაში.

მარქსისტული ისტორია ქართული ლიტერატურისა ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამხ. ფ. შახარაძის მონოგრაფიას „დ. ჭონჭაძე და მისი დრო“. ამ ათი წლის განმავლობაში უმთავრესად ვითარდებოდა ქართული მარქსისტული კრიტიკა და დისკუსიის ცენტრში იდგა მეთოდოლოგიური საკითხები. ამ მხრივ ურადლების ღირსია შ. რადიანის და ბ. ბუაჩიძის ნაწარმოებნი. აგრეთვე პლენაროვის თარგმანი და სხვა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მარქსისტული ლიტერატურის მცოდნეობა მოიხსუსტებს და საჭიროა განსაკუთრებულად ყურადღება მიექცეს ამ დარგს.

რაც შეეხება საბერძნეთის და რომის ლიტერატურის ისტორიას—უნდა აღინიშნოს, რომ აქ სრულიად არ არის საქმე დამაკმაყოფილებლად. ამ ათი წლის განმავლობაში გამოვიდა რამოდენიმე ნაშრომი პროფ. გრიგ. წერეთლისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნი „საბერძნეთის ლიტერატურის ისტორია“. აღნიშნულ შრომაში ავტორი თავის ანტი-მარქსისტულ-იდეალისტურ-რელიგიურ მსოფლმხედველობას რეალიზაციას უკეთებს და გასაკვირია ის, თუ რატომ გამოუშვა ეს წიგნი ყოფ. სახ. უნივერსიტეტმა. ამ წიგნს ზიანის მოტანის მეტი არაფერი არ შეუძლია. ასეთი უყურადღებობა ანტიური ქვეყნების ლიტერატურის შესწავლისადმი მიუტყევებელი დანაშაულია ქართველ მარქსისტ-ლიტერატურის მცოდნეთათვის.

ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩათვალოს საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში აღმოსავლეთ-ენათა და ლიტერატურის კათედრის ჩამოყალიბება 1930 წელს. საქართველოს პირდაპირი მოვალეობაა მეზობელ ხალხების ენის და ლიტერატურის შესწავლას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. აქ უმთავრესი ყურადღება ექცევა სომხური ენის და ლიტერატურის, სპარსული ენის და ლიტერატურის, თურქული და არაბული ენის და ლიტერატურის შესწავლას.

1921—30 წ. მოწყობილ იქნა აღმოსავლეთ მცოდნეობის დარგში თოთხმეტი ექსპედიცია, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ლ. მელიქსეძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი, ს. ჯიქია, ი. აბულაძე. დამბედილი იქნა ოცდაათი ნაშრომი.

საჭიროა განსაკუთრებით შეეჩერდეთ აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების მკვლევარების მეცნიერულ მუშაობაზე. ეს კატეგორიის წარმომადგენლებს და თავის მეცნიერულ მუშაობას აწარმოებენ, როგორც ახალი, ისე ძველი ქართული ენის შეხწავლის დარგში მოსახლერე ერების ენების შესწავლასთან დაკავშირებით. მათ ამ დარგში აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები. კათედრამ საგანგებო ექსპედიციის საშუალებით შეკრიბა ძვირფასი დიპლომატიური მასალები რაქაში, ზემო და ქვემო იმერეთში, აქარაში, გურიაში, ქიზიყში და აგრეთვე თერგის ოლქში მცხოვრებ ქართველ ყაზახებს შორის; შესწავლილი იქნა აგრეთვე ფერეიდანული კილო. გამოშვებულ იქნა მრავალი შრომები. ჩვენმა ენათ-მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა ყველა ღირსშესანიშნავ კონგრესებზე, როგორც მსოფლიოს ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. კათედრა აგრძელებს მასალებს ვრცელი ქართული ლექსიკონისათვის, რომელიც რამოდენიმე ტომი გამოვა.

ზოგადი ენათმეცნიერების დარგში ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. მოწყობილ იქნა ხუთი სამეცნიერო ექსპედიცია სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთში, მოწყობილ იქნა პედაგოგიკის ფონეტიკის ლაბორატორია, სადაც თანდათან იშლება მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა. დაიბეჭდა ცხრამეტი სხვადასხვა ნაშრომი, მათ შორის საენათმეცნიერო ტერმინოლოგია, უცხო-სიტყვათა ლექსიკონი და იბეჭდება რუსულ-ქართული დიდი ლექსიკონი.

მართალია, ქართული ენის და ზოგადი ენათმეცნიერების დარგში სწარმოებს მეტად ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც აქვს უაღრესად მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ აქვე საჭიროა მივანიშნო შეეჩერდეთ უმთავრეს დიპლომატებზე და შეცდომებზე. უნდა აშკარად ვაღიაროთ, რომ დღემდე ორივე კათედრის შემადგენელი მეცნიერული მომუშავენი იდგნენ ანტიიარქაული მეთოდოლოგიის თვალსაზრისზე, ისინი მტრულად უყურებდნენ მარტის მუშაობის უდიდეს მიღწევებს ენათ-მეცნიერების მეთოდოლოგიის დარგში. ამას იგი დიპლომატებთან განსაკუთრებით აკ. შანიძის ნაციონალისტურ მიმართულებას, რომელიც ჯავახიშვილის მოწაფეთ ითვლება, და მათ ფორმალისტურ მეთოდს ქართული ენათ-მეცნიერების შესწავლის დარგში, მაშინ აშკარად გახდება ჩვენთვის ის უდიდესი საფრთხე, რომელიც მოულის ამ მეცნიერებათა განვითარებას თუ არ შეიცვალა მათი მეთოდოლოგია.

თუ ქართული ენათ-მეცნიერების კათედრა ვიწრო ნაციონალიზმის და ფორმალისტურ მეთოდის გავლენის ქვეშაა, ზოგადი ენათ-მეცნიერება ინდო-ევროპული თეორიის ვერ ვასცილებდა და აწარმოებს იარქოლოლოგიის კრიტიკას მარჯვნიდან. მართალია ზოგადი ენათ-მეცნიერების კათედრის გამგე პროფ. გ. ახვლედიანმა დაჰგმო თავისი წარსული და აღიარა, რომ ის „იმუშავებს მომავალში კომუნისტურ აკადემიის ხელმძღვანელობით“, მაგრამ ჯერ-ჯერობით წარსული შრომის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია მეთოდოლოგიური კრიტიკა არ გაუწიოთ მას.

უნდა იცოდეს უფროდღმა მეცნიერმა, რომ საბჭოთა საქართველოს ათმა წელმა მოგვცა ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი და წარმატებები: ჩვენი ურბების ყველა დარგში და მომავალში არაღის არ მივცემთ ნებას ანტი-მარქსისტული, ნაციონალისტური შეხედულებების შემდეგი პროპაგანდისა. ვინც არ განიარაღდება, ვინც არ იბრუნებს პირს ჩვენსკენ და არ იცნობს მარქსიზმის მონოპოლიას--გარიყული დარჩება ჩვენი საბჭოთა სინამდვილიდან.

საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ფსიქოლოგიის და პედოლოგიის მეცნიერულ კათედრების მუშაობაზე. უმთავრესს აქ წარმოადგენს დ. უზნაძის მუშაობა. ის ხელმძღვანელობს ამ დარგში მუშაობას. ის აწარმოებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას ფსიქოლოგიისა და პედოლოგიის დარგში, აქვს მოწყობილი სპეციალური ლაბორატორია. მიღწევებით ის არ ჩამოუვარდება თანამედროვე დასავლეთ ევროპის მეცნიერთ. ის აწარმოებს ნაყოფიერ მუშაობას, მაგრამ მარქსისტულ მეთოდოლოგიას ის ჯერ-ჯერობით არ ღებულობს. არა თუ მიღებას--მარქსიზმის გაყალბებას სცდილობს, დისპუტზე საქ. სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში მან თავის ბიოსფერიული ნახევრად ვიტალისტური-ექლექტიური შრომა მარქსისტულ შრომად გამოაცხადა და მით მოინდომა თავის მართლება.

ასეთივე მდგომარეობაა ჯერ-ჯერობით პედოლოგიის დარგშიც. მართალია, უზნაძის ლაბორატორიის გარდა არსებობს ცალკე პედოლოგიური სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელი მარქსისტია, მაგრამ ჯერ ამ ახალ ინსტიტუტს თავისი საკუთარი მარქსისტული წარმოებნი პედოლოგიის დარგში არ გამოუქვეყნებია.

ცოტა უკეთ ვაქვს საქმე მარქსისტულ პედაგოგიკის დარგში. აქ ჩვენ მოგვეპოვება როგორც ორიგინალური ლიტერატურა მარქსისტული ხასიათის, ისე თარგმნილია ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოებნი რუსეთის მარქსისტულ-პედაგოგიურ ლიტერატურიდან. საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე უკვე დაარსებულ იქნა საქართველოს პედაგოგ-მარქსისტთა საზოგადოება, რომლის დაარსება უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს მარქსისტულ პედაგოგიკის განვითარების საქმეში.

არ არის დამაკმაყოფილებლად საქმე იფრიდიულ მეცნიერებათა დარგში-- აქ მხოლოდ 1930 წელში დაიწყო საქართველოში არსებულ ანტი-მარქსისტულ მიმართულებით კრიტიკა.

ამ ათი წლის განმავლობაში მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჩვენში მარქსისტულ-პოლიტიკურ ეკონომიას. ერთი ნაწილი ორიგინალურ ეკონომიური ლიტერატურისა არ არის მარქსისტული, ამათ ეკუთვნის უმთავრესად გეტმანის ნაწარმოებნი, აგრეთვე ქოიავას და სხვების. მათ გასაყალი ქონდათ უმთავრესად პირველ ხანებში, უკანასკნელ დროს კი უმთავრესად ახალგაზრდა სამეცნიერო ძალების შეოხებით საფუძველი ეყრება ტართულ ორიგინალურ მარქსისტულ ეკონომიურ ლიტერატურას. აქედან აღსანიშნავია უმთავრესად კ. ორაგვე-

ლ რ ძ ის ნაწროში, განსაკუთრებით: „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში“, „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“ და სხვა თეორიულ-მეცნიერული ნაშრომების წერილები გარდამავალ პერიოდის ეკონომიკის, აბსოლუტური რენტის შესახებ, აგრარული საკითხი და სხვა.

საჭიროა აღვნიშნათ აგრეთვე ამა. გ. დევდარიანის წიგნი „იმპერიალიზმი და პროლეტარული რევოლუცია“.

განსაკუთრებით დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ თარგმნილი ეკონომიური ლიტერატურის გამოცემის საქმეში. აქ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ლენინის სრულ თხზულებათა და კ. მარქსის „კაპიტალი“-ს გამოცემა. პირველი მამია ორაბელაშვილის, მეორე მალაქია ტოროშელიძის რედაქტორობით. ლენინის თხზულებათა უკვე გამოსულ ტომებს შორის არის მისი ეკონომიური ეტაჟდები და წერილები 1894—99 წ.წ. (2 ტ.) და მისი კლასიკური ეკონომიური ნაწარმი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ (3 ტ.), ლენინის ეკონომიურ ნაწერებიდან ამის გარდა ცალკე გამოცემად არის, სხვათა შორის, გამოსული „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“.

უდიდეს ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მარქსის „კაპიტალი“-ს გამოცემა. „კაპიტალი“-ს გამოსულა ქართულ საზოგადოებათ-მეცნიერებაში მთელ ეპოქას ჰქმნის. „კაპიტალი“ არ არის მარტო ეკონომიური ნაწარმოები, ის სოციოლოგიურ-ფილოსოფიური ნაწარმოებიც არის. „კაპიტალი“ გამოცემულია 15.000 ეგზემპლიარათ, რაც თითქმის უკვე გასაღებულია. ჩვენთანაა პატარა ჭეყნისათვის ეს სარეკორდო რიცხვად უნდა ჩაითვალოს, გეგმით გათვალისწინებული მარქსის და ენგელსის ყველა თხზულებათა გამოცემა, დასაბეჭდათ დამზადებულია მარქსის „ფილოსოფიის სინტაქსი“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. მარქსის წერილი ეკონომ. ნაწერებიდან გამოსულია კ. ორაგველიძის რედაქტორობით „საქირავო შრომა და კაპიტალი“, „შესავალი პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

გამოცემულია მრავალი საბელმძღვანელოები და მონოგრაფიები ძირითად ეკონომიურ დისციპლინებში. ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა ყოველ ეკონომიურ დისციპლინაში საბელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის სათარგმნელად და გამოსაცემად. შეგვიძლია თამაშად ვსთქვათ, რომ ამ ათი წლის განმავლობაში ყველა ეკონომიურ დისციპლინებში მარქსიზმშია მოიპოვა მონოპოლია და თავის კონტროლის ქვეშ დააყენა ყოველგვარი მუშაობა ამ დარგში. ეს უნდა ჩაითვალოს უდიდეს მიღწევად საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე.

ქარგ მდგომარეობაშია აგრეთვე მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის საქმე. თუ გასაბჭოების პირველ წლებში ჩვენში დიდი ვასავალი ჰქონდა შ. ნუცუბიძის ეკლექტიკურ მებრძოლ-იდეალისტურ ფილოსოფიას, თუ ჩვენში საღებოდა ს. დანელიას იდეალისტური ფილოსოფიის ნაწარმოებანი მატერიალისტურ სამოსელში გახვეული და ეს უფურადღებოთ და უკრძკოდ რჩებოდა, დღეს მათ ფილოსოფიას გასავალი აღარ აქვს.

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიამ მკვიდრი საფუძველი მოიპოვა ჩვენში, როგორც ორგინალურ ისე თარგმნილ ლიტერატურის საშეაღწეობა მარქსისტულ-ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიო-კრიტიციზმის“ ქართულ თარგმნაშუაგამოცემა უღრის მთელ ეპოქის ქართულ მარქსისტულ ფილოსოფიის განვითარებაში. თარგმნილია პლენარების ძირითადი ფილოსოფიური ნაწარმოებები, თარგმნილია ენგელსის „ლიფტობაში“. გამოცემულია მ. გოგიბერიძის მიერ ქრესტომატია ისტორიულ მატერიალიზმში და სხვა.

ათი წლის თავზე საქართველოს ვასაბჭოებისა ჩვენ უკვე გვყავს ახალგაზრდა კადრები მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში, რომლებსაც შესწევს უნარი მარქსისტულ იდეოლოგიის კონტროლის ქვეშ დააყენოს, როგორც ბუნების მეტყველება, ისე მთელი რიგი საზოგადოებათ-მეცნიერება.

მარქსისტულ-ლენინურ თეორიის ახალი კადრების ზრდამ ათი წლის თავზე მოგვცა ჩვენ შესაძლებლობა დაგვეარსებინა მარქსიზმ-ლენინიზმის საკვლევი ინსტიტუტი, რომლის საზეიმო გახსნა 25 თებერვალს მოხდა. ეს უდიდეს ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეცნიერებათა და აზროვნების ისტორიის განვითარებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი გახდება საქართველოს მეცნიერებათა განვითარების უდიდეს ცენტრად. მისი მიზანია თავი მოუყაროს საქართველოს მეცნიერებათა ყველა დარგს და მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის კონტროლის და ხელმძღვანელობის ქვეშ წარმართოს ის.

ამიერიდან ჩვენი მეცნიერება აღწევს რა თავს ძველ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის და მეთოდოლოგიის გაელენას სდგება მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლმხედველობის და მეთოდოლოგიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მარქსი ამბობდა, „გაბატონებული კლასის იდეოლოგია უნდა გადაიქცეს გაბატონებულ იდეოლოგიათ“-ო, და აიღღეს, როდესაც ეკონომიკაში ჩვენ გვაქვს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი, როცა ჩვენ ვამთავრებთ სოციალიზმის საძირკველის აგებას, ღღეს, როცა კლასთა ბრძოლის გამწვავებამ ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღოსწორედ რომ დადგა დრო მარქსისტული იდეოლოგიის სრულიად გაბატონებისა.

ამიერიდან ჩვენი მეცნიერების არც ერთ დარგში არ დაუშვებთ ძველი გაბატონებული კლასების იდეოლოგიის არსებობას. ან მარქსიზმის, დიალექტიკური-მატერიალიზმის ცნობა და მით ხელმძღვანელობა, ან მეცნიერების ფრონტიდან სრულიად გაქრობა—აი, ასე არის ისტორიის მიერ საკითხი დასმული. ამას მოითხოვს არა მარტო კლასობრივი ბრძოლის ინტერესები, არამედ ამას მოითხოვს თვით მეცნიერებათა განვითარების შინაგანი ბუნებაც. მეცნიერებათა შემდეგი წინმსვლელია მკვიდროდ არის დამოკიდებული ამ ქვეშარბიტების შეცნობაზე.

ქართული მწერლობის ათი წელი

ამ ათი წლის განმავლობაში ქართულ მხატვრულ ლიტერატურამ განიცადა ისეთი ძლიერი ცვალებადობა და გარდატეხა, რომლის მსგავსიც იშვიათად თუ შეიძლება ვნახოთ რომელიმე სხვა ისტორიულ პერიოდში დროს ასეთივე მანძილზე.

რასი გამოიხატა ეს ცვალებადობა და გარდატეხა?

საქართველოს ოქტომბერმა დაარღვია ქართული ლიტერატურის ძველი გზით განვითარების შესაძლებლობანი. პროლეტარიატის დიქტატურამ ძველი მწერლობის ერთი ნაწილი—რეაქციონერი ფრთა დასცა და მისი განვითარების შესაძლებლობანი შეზღუდა, სამაგიეროთ უფრო მოქმედი, სასიცოცხლო და პროგრესული ნაწილი კი წაიყვანა ახალ იდეურ და შემოქმედებითი მაღლობებისაკენ. იცვლება ჩვენი ლიტერატურის ძირითადი კადრებიც. პროლეტარული მწერლობა ლიტერატურული ცხოვრების ძირთად მოძრაობად ხდება. მწერლობის შინაარსი და თემატიკა რადიკალურად სხვა ხასიათს ღებულობს. „ვარდ-ბულბულიანის“ და პატრიოტიზმის მოტივს უკვე აღარ აქვს გასავალი. ისინი არქეოლოგიურ მოვლენად იქცევიან. მათი ადგილი დაიჭირა ოქტომბრის რევოლუციის თემატიკამ, სოციალისტურმა აღმშენებლობამ, შრომამ და ბრძოლამ. ფორმის სფეროშიაც ადგილი აქვს ახალ ძიებებს.

ასეთია ზოგადად ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების სახე ამ ათი წლის განმავლობაში, მაგრამ რომ უფრო ნათელი და არსებითი წარმოდგენა გვქონდეს ჩვენი ლიტერატურის განვითარების შესახებ 1921 წლიდან დღევანდელამდე, ამისათვის საჭიროა მხატვრული ცხოვრების ფაქტიურ მასალების შესახებ ვრცლად საუბარი.



საქართველოს ოქტომბერმა ძირეული გარდატეხა მოახდინა ჩვენს მწერლობაში. მან გამოიწვია ძალთა გადაჯგუფება ლიტერატურაში. ბურჟუაზიულ-თავად-აზნაურულ-მესაჩანურ წრეების გამოშხატეული მწერლობა პროლეტარულ რევოლუციის მოწინააღმდეგე ბანაკში მოექცა და იქედან ყოველნაირად უპირისპირდებოდა ახალ ცხოვრებას.

გასაბჭოების პირველ წლებში მწერლების მწამენლოვანი ნაწილი (გარდა პროლეტარული მწერლებისა და ზოგიერთ სხვებისა) შეკავშირდა ერთ მთლიან ანტი-საბჭოთა ფრონტად და იგი შეიქმნა რეაქციონერი საზოგადოებრივი აზრის ბელადი. არსებითად მაშინდელი ქართული მწერლობა (პროლეტარული მწერ-

ლობის და ზოგიერთი სხვების გამოკლებით) წარმოადგენდა „შენეგან“ ემიგრაციას“.)

რეაქციონური ფრთის მწერლობა—მსგავსად ზოშენკოს ერთ-ერთი მოთხოვნის ვიორის—მონტიორისა, რომელიც ფიქრობდა რომ ის არის მთავარი თბერაში—თავი წარმოედგინა ჩვენი ლიტერატურის მამოძრავებელ ძალად. მათი შეხედულებით თითქოს ისინი იყვენ ჩვენი კლასიკური მწერლობის შემეციდრეები, თითქოს ისინი იყვენ ჩვენი ქვეყნის მხატვრული ცხოვრების „მარილი“ და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის, კაპიტალიზმის განვითარების სისუსტისა და ფეოდალიზმის ნარჩენების სიძლიერის გამო—1921 წლისათვის ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ფეოდალურ და წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის გავლენა, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს ინტელიგენცია მოექცა რეაქციის სათავეში.

პროლეტარიატის დიქტატურას საერთოდ ჩვენი მწერლობის ნაწილი ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებაზე ხედებოდა მტრულად. 1917 წელს პეტროგრადსა (ლენინგრადსა) და მოსკოვში ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშის აფრიალებას „დემოკრატიული“ პოეტმა ვ. რუხაძემ შემდეგი ლექსი „მიუძღვნა“.

მე შენ ხაზზე წაგივითხე სევდის ამახვი;
მე შენი ვნით მოვისწინე მწარე მოთხოვნა,
და მეც შენსავეთ შევიტნი სევდა-ნაჭარავი,
და მეც შენსავეთ მტარეალთაში აღმოშდა გზობა.
ჩვენ ზომ „ერთობას“ ვეძახოდით, ქვეყნის მანა ვესურდა,
მაგრამ ქვეყანა ჩავეარდა სისხლისმსმელ „გმირებს“,
თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით ეკლავ დაგვიბრუნდა,
თავისუფლების თბილ საფლავს ვინ დაიტორება?

ასეთი რეაქციონური განწყობილებით მომხადებული შეხედა ქართული მწერლობა საქართველოს ოქტომბერს. ასეთი შეხედულების შემუშავებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა მაშინდელი „დემოკრატიული“ საქართველოს პრესა: „ერთობა“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“ და ს. დედარიანის ტიპის „მოგზაურები“, რომლებიც სწორედ წიგნებს „როგორ ცხოვრობენ საბჭოთა რუსეთში“ და რომელშიაც დემაგოგიურ და ვანზრახ შეთხზულ ცნობებს იძლეოდნენ საბჭოთა რუსეთის ცხოვრების შესახებ.

რეაქციონური მწერლობის ბრძოლის ხერხები პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ საქართველოში მრავალგვარი იყო. ერთი ნაწილი პირდაპირ და აქტიურად იბრძოდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, მეორე ნაწილი პა-

1) რასაკვირველია, ჩვენი ნაქცავი იცვ არ უნდა იქნას გაგებელი, თითქოს მთელი ინტელიგენცია გადავიდა პროლეტარული რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ანა რეაქციის მხარეზე გადავიდა ინტელიგენციის ერთი ნაწილი—სახელდობრ ბურჟუაზიულ-თავიდანაწიურული წრეებთან დაკავშირებული ინტელიგენცია, ხოლო რევოლუციის მხარეზეკი მეორე ნაწილი—მშრომელი ინტელიგენცია. ინტელიგენციის საუკეთესო მოწინავე და მომჭეკი ნაწილი ყველა სფეროებში პროლეტარული რევოლუციის მხარეზე იყო.

სიურ ლიტერატურულ მენებლობის გზას დაადგა, ხოლო მესამე ნაწილში კი სულ აიღო ხელი ლიტერატურულ მუშაობაზე, მიუხედავად, რომელიც არ გამხდარან ლიტ-ოპონენტებათ.

როდესაც შესწავლილ იქნება პროლეტარული რევოლუციის პირველი წლების მხატვრული პრესის ისტორია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიქონიოთ ნათელი, უფრო მთლიანი წარმოდგენა იმ დამოკიდებულების შესახებ, რომლითაც შეხედენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში ძველი თავად-აზნაურულ და ბურჟუაზიული ლიტერატურის წარმომადგენლები. მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, მოხსენებებს და სხვას ყველაფერს გაუეთა მობილიზაცია რევოლუციის საწინააღმდეგოთ ბრძოლისათვის. თვით ისეთი პოეტებიც კი, რომლებიც წინაღ ფიქრობდენ, რომ დაბადებული არიან მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის“, გადაიქცენ პუბლიცისტებათ და პოლიტიკოსებათ, ისინი სტოვებენ ოცნებათა სამეფოს და ამქვეყნიურობას ჭბრუნდებიან.

საქმარისია ჩამოვთვალოთ ისეთი ანტი-საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოები როგორც იყო: „ილიონი“, „ლაშარი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ხომალდი“, „ლომისი“, „ქართული სიტყვა“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“ და სხვ. რომ წარმოვიდგინოთ პროლეტარული რევოლუციის მოწინააღმდეგე ფრონტის მწერლობის სახე და ხასიათი.

თავიანთ ბეკედითი ორგანოებში რეაქციონური მწერლები არა მარტო ლექსებით გამოდიოდენ მტრულად საბჭოთა ხელისუფლებიდან, არამედ მხირად შეხედდობდით მათ ორგანოებში აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის უბადრუკ პამფლეტებსაც. 1923 წ. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ გამოცემულ „პოეზიის დღეში“ მოთავსებულ მოწინავეში ვკითხულობთ: „უზმად, ურეკლამოდ დღესასწაულობს ქართული მწერლობა თავის პოეზიის დღეს. დღესასწაულობს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მაღალი თებლი დასერილია მწუხარების ნაოქებით. მაგრამ რა უშავს? მწუხარება და ტანჯვა ხომ იმთავითვე მისი განუწორებელი თანამგზავნი იყვნენ! ცხოვრების სუსხიანმა ხელებმა შენობარცხეს მას იმედების ძოწეული, დაუთრთვილეს ოცნებათა ყვავილნარი და ნარ-ეკლით მოუფინეს სავალი გზა. შურის და მტრობის ქარი-შალმა არა ერთხელ დაქროლა მის დროშას, მოკპორტნა ნაწიბურები, მაგრამ ვერ მოდრიკა მისი ძლიერი ბუნება, ვერ მოსწყვეტა ალაში, ვერ გამოგლიჯა იგი კირში ნაცად მედროშეთა ხელიდან...“ (კ. მაყაშვილი „პოეზიის დღე“).

1924 წ. ჟურნ. „კავკასიონი“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავდა ამ ანტი-რევოლუციონურ, ანტი-პროლეტარულ და რეაქციონურ მისწრაფებებს. აღნიშნული ჟურნალი შემდეგნაირად განსაზღვრავდა თავის ამოცანას: „ერთადერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ შარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა სდგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობასა“ და „მემარცხენეობაზე“ შარადი ხელოვნებისა, რომელიც არას დროს არ ბერდება“ („კავკასიონი“ 1924 წ. № 1—2). ეს სიტყვები მთელი სამოქმედო პროგრამა იყო პროლეტარულ რევოლუციისადმი მტრულად

განწყობილ მწერლებს, რომლებიც ამ დებულების ლოლიკურად განხილვით იძლეოდნენ ძველი საქართველოს იდეალიზაციას, დაცემულობას და რეაქციონერ განწყობილებებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ დროის ანტისაბჭოთა, რეაქციონერი მხატვრული პრესა მეტად შესაბრალის შთაბეჭდილებას სტოეებდა. უპირველეს ყოვლისა, იგი ღარიბი იყო აზროვნებით, შეხედულებებით. ყველაფერი აქ უსუსური და გამოფიტული იყო. ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგები მოვლენაა.

ოქტომბრის რევოლიუციამდე ქართული მწერლობის უმეტესობის შემოქმედების მთავარ მოტივს წარმოადგენდა პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი. ოქტომბერმა კი ეს მოტივი გამოაცალა მათ, რადგანაც ახალ ურთიერთობის ნიადაგზე აღარსად იყო საძებნი სამშობლო. რაკი მწერლობის ერთ ნაწილს გამოეღია საზრდო, მაშინ იგი დაჩუმდა, გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით, ხალხ მეორე ნაწილმა კი შინაც განაგრძო სამშობლოს ძიება (!) და რეაქციის დროშით იბრძოდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

ე. წ. „დემოკრატიული“ მწერლები ამ პერიოდის ანტისაბჭოთა მწერლობის იდეური ჰეგემონები და ხელმძღვანელები იყვნენ. როგორც ცნობილია, ამ ჯგუფის მწერლები აღზრდილი იყვნენ ძველ, უკვე გაკოტრებულ საზოგადოებრივ ტრადიციებზე. ამან კი ისინი პროლეტარულ რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოაქცია. თუ როგორ აფასებდა საქართველოს გასაბჭოებას „დემოკრატიული“ მწერლები, ამის საილიუსტრაციოთ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების მახლობელ ხანებში ალ. აბაშელი — ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პოეტი „დემოკრატიული“ მწერლობიდან სწერს ლექს „შორეული ნაპირი“. ამ ლექსში აბაშელი დაუფარავათ ამჟღავნებდა თავის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. იგი „შეეფრთხიან გველებს“ უწოდებდა კომუნისტებს და სწერდა:

მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით,
დასწვავთა ცაში ხველა სიმები,
გარდაიცვალა ძველი ზღაპარი
და გადაფრინდნენ სურათები,
სიერცე დაეთმო შავ-ფრთიან გველებს,
ცაში ავარდა რკინის აფრები,
და პროპელერმა მწუხრის აწველვას
მოულოდნელად მოსწვავთა ფრთები.

აბაშელი მისტიკის ფრთამოწყვეტილ „მწუხრის ანგელოზს“, „დემოკრატიულ“-მენშევიკურ საქართველოს. იგი არ ჰყარავს იმედს, ეინაიდან „ვილაც“ ჩურჩულებს:—არ არის მკვდარი:

ცეცხლში უფროა გადასხვადურდა
ძველი ფაქრები და იმედები,
და ილევება ბოროკლითან ერთად
წარსულ დიდების თეთრი სვეტები...
და ერის ტანჯვის გამოშხატველი



იზრდება გულში ერთი ნაღველის ორი მწვერვალი: ერთი კრწანისის ველი და თებერვალი...
 და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება.
 ვილაყ ჭურჭლებს არ არის მცდარი...
 დროთა მიჯნაზე საღამაყდება,
 საღლაყ ჭკუითინებს მწუხარე თარი...

კრწანისის ველზე ალა-მამაღ-ხანმა დაამარცხა საქართველოს მეფე და დაიპყრო ტფილისი, 1921 წლის თებერვალში კი ჩვენში დანყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. აბაშელისათვის ორივე ეს ფაქტი ერთნაირად მწუხარების მომგვრელია.

1922 წელს „პოეზიის დღეში“ აბაშელი ათავსებს ლექსს „თეთრი კოშკი“. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ აბაშელის—მიერ ეს ლექსი დაწერილია საქართველოს გასაბჭოების მეოხებით შექმნილ განწყობილების საფუძველზე. რის შესახებ გველაპარაკება ამ ლექსში აბაშელის?—შესახებ იმისა, რომ „საქართველო კვლავ მოისხამს ნათელ შარაყანდს, სიზმარში სული ძველ სამშობლოს უცებ მიაგნებს,— ძველი კოლხეთის გაბრწყინდება ამაყი ღერბი“, „ზღვაში გემები გაანათებს ცისფერ იალქნებს და ძველ ნაპირზე ამალდება მრისხანე კერპი“, „აიტანს ცაში საყმეველი სულის ხარებას და აყვავდება სითნოება ნინოს ჯვარისა“, „ანათებს ხაყერდს ძველი დროში ფერ-გადასული“, „მოსჩანს შორიდან დარკინული ციხე თამარის და დარიალი ბროლის ჯაჭვით გადარაზული“ და სხვ. ამ სიტყვებით აბაშელი გარკვეულად გველაპარაკებოდა პოლიტიკურ ამბებს. ცისაყენ და მთისაყენ მლტოლველი აბაშელი კვლავ ჩვენს დედამიწას უბრუნდებოდა და უკვე სხვა განწყობილებებით და მოსაზრებებით თანამედროვეობისათვის დასაპირდაპირებლად გაიძახოდა „შარაყანდელის“, „ამაყი ღერბის“, „ფერგადასული ძველი დროშის“, „თამარის დარკინული ციხის“ და სხვა ასეთების შესახებ, რომელსაყ იგი ასყენიდა:

სიზმრით დაბინდულ მოყნებას შევმინდება
 რაყა იღვლებს დანგრეული ვედლის თალები,
 ციხეს დასწავენ გამყენლები და ყაჩაღები
 და დათაღბული თეთრი კოშკი აჭვითინდება...

ვის არ ახსოვს აბაშელის „ცნობილი“ ლექსი „წერილი ნოე ჩხიყვადეს“, რომელშიაყ იგი აცხადებდა „რომ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი—დაეცა ლოყვა და პოეზია“, რომ „მოყვდა ბრწყინვალე ძველი შორი და ახალს ჩრდილი შემოესია“ და სხვ.

გავიყვირდება: ლექსს რათ არ მშველის,—
 რომ კვლავ ამალღდეს ჩჩვეულ ხარისხად,—
 ციდან ჭუბილი ბართათაშვილის,
 შთიდან ყვირილი ვყვას ხარისა!
 ახლა ჭუბილი არ ისტამბება,
 ხარი არ ყვირის მალღ მთებიდან,
 ლექსი დააჩრხო წყვითლმა ამბებმა,
 ამონაწერმა გაუთებიდან.

ებლაბან აბაშელმა გამოსცა ლექსების წიგნი „გაბზარული სარკე“. ამ წიგნში მთელი თავისი სისრულით მოსჩანს გასაბჭოების შემდეგი ფრთხილდობა-შელის გზა აავეისი რეაქციონერა-მენშევიკურა განწყობილებების: „საქართველო სარკეში“ აბაშელს უმთავრესად შეტანილი აქვს 1921 წლიდან დაწერილი ლექსები. და რომელი ლექსიც არ უნდა გაიცინოთ აღნიშნულ წიგნში, ყველაგან ერთი და იგივე იდეა მოსჩანს: ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, ვალაშქრება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის წინააღმდეგ და დაცვა ყველაფრის ძველის, წარსულის.¹⁾

საერთოდ აბაშელი ყველაზე უფრო თანამიმდევარი, პირდაპირი, ორგანიზული და მტკიცე რეაქციონერი პოეტია. მისი გზა ძველი ქვეყნისაქენაა.

აბაშელის მებრძოლ-რეაქციონერ განწყობილებას არც სხვა „დემოკრატიული“ მწერლები ჩამორჩენ, მათშიაც მძლავრად გაისმოდა ხმა სამართიდან, ძახილი ძველი ქვეყნიდან. ისე მაგ. სოლომონ თავაძე (იბოლი მუში) 1924 წელს გამოცემულ ლექსების კრებულ „შორი ნათელში“ შემდეგ განწყობილებებს ამჟღავნებდა:

„... უკვე დაიბნა ხმა ბედითი და უსახელო:
ლაშა, ლამე ყველა გზები მოკვეთილია,
დაიმსხრა ფრთები... და დროშები დაფლეთილია,
და მოდის იგი რომ სისხლის ზღვა გადმოახველოს.
ყველა დაეძებს თავწესაფარს და წაუთადგურებს.
და ხატები აირყვა კთხვის ნიშნებად...
ასე გაფხდებით უბაროტეს ღამის ხიზნებად
როდესაც სხაეი რწუნების ტაიარს გაანადგურებს.

(„მწუხრის ბიზნები“)

თავაძე მისტიკის 1921 წლის გარდაცვალებას. ეს წელი საბედისწერო იყო მენშევიკური პარტიისათვის, რომელიც საქართველოს მშრომელი ხალხის უფლებებს ყოველ ნაბიჯზე სთელავდა, მაგრამ რომელსაც ჰყოფნიდა უტიფრობა მოწინავე მშრომელი ხალხის სახელით ელაპარაკა. საქართველოს მშრომელმა ხალხმა არ მისცა ნება დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ამ ავენტებს დიდხანს ებატონათ საქართველოში. ეს მოუვლენა კი მწუხარებაში ავდებს ს. თავაძეს და ამიტომ იგი გაიძახოდა:

საფეხნეთა მთელმა ცოდუენმა
ჩვენს ჭეხზე უღეთოდ გადაიარა.
და გულ გაჩნდილ ერის გოდება
სელმა წამებით გაიხიარა.

¹⁾ სხვათა შორის, გამსაკუთრებელი უფრადლება უნდა მიეძღვნა აბაშელის პოეზიის არქიტექტონიკასაც. ის ერთნაირია თითქმის ყველა მისი ლექსისათვის, აბაშელი უკეთველს აწოდებს ღრმა რეაქციონერ იდეას, მაგრამ რომლის პირდაპირი გამოთქმა არ შეუძლია, ამიტომ იგი იძულებულია თავისი ლექსები განსაკუთრებული ზერზით განაეითაროს. მისი ლექსები ორ პლანზეა აშენებული, რაც გულისბობს იმას, რომ გარყვან ერთი შექმნილი პოეტო თითქოს „უწყინარ“, „უბრალო“, „ჩვეულებრივ“ საკითხზე ლაპარაკობს, მაგრამ თუ დაუცვირდებით, ღრმად ჩავსწვდებით ნაწარმოება, შევნიშნავთ, დავინახავთ მის რეაქციონერ შინაარს.



ჩვენ სიკბანუკვ არ გვღირსებია,
 ადრე დაგზავდა ყველა ბუღითმა.
 ჩვენი სიცილით აივსებთან
 თუ ვეღარ შესძლეს წლებმა წეტი თქმა.
 და გვეძახოდა ხმა შორეული,
 როგორც ოცნების ნახი ღიმილი.
 და დაგვრჩა მხოლოდ ღამე წყველი,
 ვოდების გლოვა და სამიზილი.

(1921 წლის გარდაცვალებზე).

რეაქციონერ ელემენტებმა თავიანთი ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ დაიწყეს უმთავრესად პატრიოტიზმის დროშით (შემდეგში მას სხვა მოტივებიც მიუმატეს). ისინი ყოველნაირად სცდილობდნენ მიეღოთ სამშობლოს, ქართველი ხალხის „დამცველის“ პოზია. ეს „დიდი“ „პატრიოტები“ საქართველოს იცავდნენ ისევ საქართველოს მშრომელი მასებისაგან, ხოლო ამავე დროს ისინი შესაძლებლად სცნობდნენ საქართველოში ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ სახელმწიფოების (ინგლისის და სხვ.) პატრონობას, მათ კოლონიად გახდომას.

არსებითად ანტი-საბჭოთა ელემენტების პატრიოტიზმმა იმდენად კარიკატურული სახე მიიღო, რომ თვით ი. გრიშაშვილიც კი მოგვეცლინა ამ მოტივის მომღერლად საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რას წარმოადგენდა 1921 წლამდე გრიშაშვილის პოეზია? რა იყო მისი შემოქმედების მოტივი? — გრიშაშვილი გამოვიდა პოეზიაში, როგორც წვრილ-ბურჟუაზიის, მესჩანობის გულის შესაიდუმლე. მან სრულიად განდევნა პოეზიიდან სამოქალაქო მოტივები. ხელოვნება გრიშაშვილმა თვითმიზნად გახადა. მან ეს თვითმიზანი ხელოვნებისა გამოხატა ეროტიკაში, ფუქსავატურ სიყვარულში. მთელი მისი პოეზია — ეს არის „ოქროს ფეხი“ და „კაცია“. გრიშაშვილი ჩვენს ლიტერატურაში თამაშად ასრულებდა თემატურად იმავე როლს, რასაც რუსეთში — ვერბიკაია თავისი სალონურ-პარფიუმერული და პოპნოვარაფიული რომანებით. გრიშაშვილის პოეზიაში ადგილი ჰქონდა სექსობრივ გრძნობების ჰიპერტროფიას. იგი ხშირად ტრივიულობამდე დადიოდა. უკანასკნელად გრიშაშვილის პოეზიის ძირითად მოტივს — ეროტიკას — მიემატა ახალ მოტივი — ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიშაშვილის პოეზიას, იყო შეძლებული მესჩანის და ოპიატელის განწყობილების გამოვლენება. საქართველოს გასაბჭოება ამ ფენების მდგომარეობა შეარხია, მის არსებობას გამოაცალა საფუძველი. აქედან მათში წარმოიშვა შეურყევლობა ახლისადმი, საბჭოთა წყობილებისადმი. მათ ეს განწყობილება სამშობლოსა და პატრიოტიზმის საიოსში გაასიყეს. ამის შემდეგ გრიშაშვილის პოეზიას ახალი თემაც გამოუჩნდა:

ბრწაშ საუბლები; თამარ, რუსუდან,
 ღამა გიორგიმ ფრთა გადამწევა, —
 დამაცოხნივე რძე წაგ ეფუძღან,
 ოი, ტფილისის დედაო შიწავს..

(„ტფილისის მიწა“).

გრიშაშვილი ბრძოლისათვისაც ემზადება. მას სურს ბებუთით შეებრძოლოს მტერს, რომელშიაც იგი გულისხმობდა პროლეტარიატს:

აღმოსავლეთმა ეს ბებუთი შამით შემოსა.

სისხლი დასწურა საქართველოს ტახტზე საწინააღმდეგო

მიზნებს: ტფილისში რას იზილა მტრების შემოსვლა—

იბრძოლე ახერხის დაცეცამდე ბებუთით ზელში..

რა ვენა! ანდროთა წინაპართა ვერ დაეფასე.

უმოქმედობა შემომგვლო როგორც ღრუბელი.

რა იქნებოდა: ამ ბებუთით კუბოს დაფაზე

გამეცრა მიინც ერთი მტერი დასაღუბელი.

(„ბებუთი მაგიდაზე“).

მაგრამ გრიშაშვილი ვერ გამოდგა „მებრძოლი“. მან წინაპართა ანდერძი ვერ დააფასა და ვერ შესძლო პირდაპირი ბრძოლა პროლეტარიატის წინააღმდეგ. იგი მიინც არ ჰკარგავდა იმედს, მას სჯეროდა რომ

და ესთქვი: თუმცა ხეცას ნელ-ნელ აკლდება

მზე, თბიერება და ნაპერწკალი—

ტფილისი ისევ გაირაკლდება

და ნაგებარში ჩადგება წყალი.

(„მოლა მინარეთზე“).

დღეს გრიშაშვილი დასტირის ტფილისის ძველ ქუჩებს, სირაჩხანას, რუმბებს, კრივს, დუდუკს, კიანურზე დაკრულ ჩარგს და საერთოდ სიძველის, არქეოლოგიის ყოველ მოვლენას („დუდუკის საარი აღარ მოაქვს ქარს“).

საერთოდ გრიშაშვილის პოეზიის და მსოფლმხედველობის პრიმიტიულ-რეაქციონური სახე დღეს შეტად ნათელია. როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი იგი ამოიწურა.

ფეოდალურ-არისტოკრატიულ ლიტერატურის უკანასკნელი მაგიკანი კ. მაცაშვილიც რეაქციონური განწყობილებით გაიმსჯვალა. ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგები მოვლენაა. მაცაშვილი თავის ლექსში თუ წერიალში, რომელსაც ის ათავსებდა ანტი-საბჭოთა გამოცემებში, ძირითადად ერთი და იმავე შინაარსისა იყო: გამოემეღებება მტრული დამოკიდებულება საბჭოთა საქართველოსადმი:

ცრემლი... არა სისხლი მდის..

ტიანი კვწვის, გული ჰგლოვობს,

სედა აყრის მათ რუბ ლოდებს,

ცივად მოსთქვამს სითა მთის..

ცაზე მხოლოდ ღამე ერთის,

ვევბ სასვენს მიწის მცოდნედა!

ეფიქრობ მძიმედ ერთად-ერთზე:

მოკვდა მთვარე, მოკვდა მზე!

გეორგიუსს ამკობს ძვალთა ბზე..

(„დევიზა“).

ანტისაბჭოთა, რეაქციონერთა, პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლათა ლაშქარი მარტო აბაშელით, თავაძით, გრიშაშვილით და მაცაშვილით არ ამოიწურებოდა. მათ გვერდს უშეგენებდა სხვა დიდი თუ პატარა პოეტი, მწერალი, რომელთა ხმაც მოგვაგონებდა მკვდრების საუბარს. ისინი ერთფე-

როგინად ერთდა იმავეს გააკვირდნენ, მაგრამ მათდა სამწუხაროდ მათ განეწონეთა რიცხვი თანდათან მცირეებოდა, სამაგიეროდ იზრდებოდა პროლეტარულ რევოლიუციის მოკავშირეთა რიცხვი...

1921-24 წლებთან შედარებით მომდევნო წლებში რეაქციონურ მწერლობის მოქმედების ასპარეზი თანდათან მცირდება, მაგრამ ის მაინც არსებობს, სოციალისტური ელემენტების ზრდა ასუსტებს რეაქციონურ მწერლობის მოქმედების რადიუსს. უკანასკნელ წლებში კლასიური ბრძოლის გამწვავების პირობებში რეაქციონური მწერლობა თავის კლასთან ერთად გადმოდის შეტევაზე პროლეტარიატის წინააღმდეგ.

რეაქციონურ მწერლებში დღეს ძლიერია მისწრაფება, გაეცქერნ რევოლიუციონურ სინამდვილეს შორეულ საუკუნოებში, წარსულ ქვეყნებში. თანამედროვეობა მათთვის საესეა მწუხარებით და ამიტომ განსაკუთრებული ვატაცებით ეფლობიან ისტორიაში, სადაც ისინი პოულობენ თავდავიწყებას პროლეტარული რევოლიუციისაგან. რომ ეს სწორედ ასეა ამას ამტკიცებს „არიფიონი“-ს ასოციაციის და სხვა მწერლების გამოხვლა.

რა შინაარსის პროგრამა წამოაყენა „არიფიონმა“?

„არიფიონი“ 1928 წელს დიდი პრეტენზიებით და სამოქმედო პროგრამით გამოვიდა. „არიფიონის“ ასოციაციის მწერლები დიდის რიხით აცხადებდნენ, რომ გრძნობენ თანამედროვე ეპოქას სხვანაირი ესთეტიური გემოვნება და შეგრძნობა აქვს, ვინემ ამაჯარ-კოშკების ხანას ჰქონდა. გამომდინარე აქედან ისინი აღიარებდნენ რომ, თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, შორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ასოციაცია „არიფიონის“ მიზანს შეადგენს—ეს სახე განაცხადოს ლიტერატურაში.—სურვილი მეტად სიშატიური და მისასალმებელი, დაპირება დიდი და რთული. ასეთი დიდი პრეტენზიებით გამოვიდა „არიფიონი“. ამ სიტყვებში ყველაფერი სწორად და მისაღებდ არის გამოთქმული. მაგრამ... ეს მხოლოდ დაპირება, ლამაზი სიტყვები იყო და მეტი არაფერი. იქვე, იმავე „სალიტერატურო განცხადების“ რამოდენიმე სტრიქონით ქვევით „არიფიონის“ ასოციაცია უკვე სხვას ამბობს.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ „არიფიონი“-ს დეკლარაციას ახასიათებდა მეტის-მეტი ბუნდოვანება და წინააღმდეგობანი. მაგალითად ერთ ადგილას დეკლარაცია ეხებოდა მხატვრულ შემოქმედების პროცესს, მწერლის შემოქმედების ხასიათს და აცხადებდა: „შემოქმედების პროცესი უალრესად ინტიმიურია და პიროვნული... მხატვრის თვალი და ალლო თავისუფალია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილის დაკვირვებებიდან გამოდის“. როგორც ვხედავთ აქ „არიფიონი“ ცდილობდა შემთანხმებლის როლში გამოსულიყო მას სურდა შეერიგებია იდეალისტური („მხატვრის თვალი და ალლო თავისუფალია“) და მატერიალისტური („მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წვენით საზრდოობს და სინამდვილის დაკვირვებებიდან გამო-

დის“) მსოფლმხედველობა. ერთის მხრივ ამ დებულების მიხედვით „არიფიონი“ იზიარებდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ხოლო მეორე მხრივ — ებრძოდა სხვა გზასაც... მაგრამ ცდა ერთია და მისი არსებობის შესახებ კი მეორე. ამ შემთხვევაში „არიფიონი“ სინამდვილეში ისევ იდეალისტურ შეხედულებათა საფუძველზე რჩებოდა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. გარკვევით, პირდაპირობით და თანამიმდევრობით „არიფიონი“-ს იდეოლოგია გადმოგვიშალა გერ. ქიქოძემ თავის წერილში „არიფიონი მერეთში“ (იხილეთ კრებული „არიფიონი“ გვ. 357—376). ამ წერილში გერონტი ქიქოძემ მოგვცა ის, რაც დამახასიათებელი იყო საერთოდ და არსებითად „არიფიონი“-ს ასოციაციისათვის. რა სთქვა ამ წერილში გ. ქიქოძემ? — მას სურდა თანამედროვე ეპოქა გამოეყენებია იმისათვის რომ გაეცოცხლებია დრომოკმული, უცვლელ მოძველებული ნაციონალისტური იდეები. იგი დაუფარავად აცხადებდა, რომ კომუნისმის ეპოქამ მასში გააღვიძა წარსული საუკუნოების მოგონებანი. წარსულის ეს მოგონება მას სურს იმისათვის, რომ ერთგვარი ძაფი გააბნას ძველსა და ახალს ეპოქას შორის. იგი დიდ მსგავსებას ხედავდა თემობრივ-პატრიარქალურ და ახალ, თანამედროვე საქართველოს შორის. მისი აზრით კომუნისმაც ახასიათებს „თემობრივი გრძნობა“, მსგავსად ძველ საქართველოსი. ეს გრძნობა კი გ. ქიქოძისათვის მეტად მიწიერი და ძვირფასია, იმიტომ რომ „თემობრივმა გრძნობამ დაიცვა ქართველი ხალხი გადაგვარებისა და გადაშენებისაგან. უამისოდ ჩვენი წინაპრები ვერ გაუძლებდნენ უცხო ნათესავის შემოსევას, შეურყვანელ ომებს, სილატაკებს, ვერ აიტანდნენ მსოფლიო იმპერიების სიმძიმეს, ვერ გაუმკლავდებოდნენ ბიზანტიის იმპერიალისტებს, შონგოლ დამპყრობელებს, სპარსეთის შაჰებს, რუსების შეფევებს. თემის ინტოგესი და თემის ბრძანება ქართველ კაცისათვის უზენაესი იყო“... როგორც ვხედავთ გ. ქიქოძის გაგების თანახმად „თემობრივმა გრძნობამ დაიცვა ქართველი ხალხი გადაგვარებისა და გადაშენებისაგან“. გამომდინარე აქედან ჩვენი ეპოქაც, კომუნისმიც მისთვის მისაღები და გამართლებულია იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს გადაგვარებისაგან და გადაშენებისაგან თავის დასაღწევ საშუალებას.)

აქვე გ. ქიქოძე აყენებს მოსაზრებას, რომ ახალი პროლეტარული კულტურა წარმოადგენს კულტურული ტრადიციების გაქვის შეუწყვეტლობას.

*) გ. ქიქოძე ერთ-ერთ თავის წერილში (იხ. „ქართველი მწერლობა“ № 1, 1922 წ. „ილია გავცავამ და აკაკი წერეთელი“) პათეთიურად აცხადებდა, რომ სოციალიზმს, როგორც ავტორიტარულ მოძღვრებას უფრო მეტი საერთო აქვს ფეოდალიზმთან, ვიდრე კაპიტალიზმთანო: „სოციალიზმს, როგორც ავტორიტეტულ აზროვნებას, შეიძლება მეტი ჰქონდეს საერთო არისტოკრატის იდეოლოგიასთან, ვიდრე ლიბერალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატისთან. ყოველ შემთხვევაში ცხოვრების განვითარების დიალექტიკა დღეს აცოცხლებს ისეთ კულტურულ იდეოლოგიებს, რომელნიც სამუდამოდ სკედარი გველია ფეოდალურ საზოგადოებისაგან“. ესა დაბნეული რომანტიკოსი — გ. ქიქოძე ისე შირს შიდს თავის გატაცებით წარსულისადმი, რომ ცდილობს ისტორიული სინამდვილედ, მოედინათა რეალური სახე დაამაბიწოს...

წმინდეგ ვერონტი ქიქოძე რომანტიკოსის პოზას ღებულად აქედნ უჭილდა-წყვეტილი მისტიროდა წარსულს, ენანებოდა მისი დაღუბვა, სამაშტანსტანსტიკი მიანდა უფრო მრავალფეროვან და მიმზიდველ მოვლენად. იგი სწერდა: „დღეს ძნელი იმ სულიერი კატასტროფის, იმ ძველ ღირებულებათა გადაფასების და ჩაშვავების გაგება, რომელიც ეგრედწოდებულმა მეცნიერულმა სოციალიზმმა მოახდინა საქართველოში... ამ ფიზიკური აზროვნების წყალობით გაქრა საუცხოველ ნორმებთანავე ქვეყანა, რომელიც ქრისტიანობამ და ბუნების რელიგიამ შექმნა, ჩვენ დაგვარგეთ რწმენა ღმერთების, ეშმაკების და კუდიანების, დაგვარგეთ რწმენა რომ გარდაცვლილ მეგობრებს შევხვდებით სხვაგან, უნისლო ქვეყანაში. ეს სოფელი დაკალიერდა და საშინელ სიზმრის ხილვას დაემსგავსა, რალაც მთვარის ლანშავტს, სადაც არც მწვანეა, არც ჰაერი და არც წყალი, სადაც მხოლოდ თეთრი, ჰირდაღებული, ჩამქრალი ეულკანებია. კომენტარიების გარეშეც კარგად ვხედავთ ამ სიტყვებში თუ რამდენად მტრულად, ზიზლით შეპყრებს თანამედროვეობას და რამდენად აიღვალებს წარსულს. აწმყოში არაფერია, წარსულში კი ყველაფერი—აი გ. ქიქოძის გაგება მოვლენათა მხელელობის.

გ. ქიქოძე უფრო ძვირფას „მარგალიტებს“ თავის წერილში ქვევით იძლევა. იგი სწერდა: „... ჩვენ ველოდით კრიტიკული პერიოდი გათავებდებოდა და ორგანიზული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ან უკეთ ვსთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ერთი რომ აღთქმული მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლიუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა და შემდეგ რა დაუბრისპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია. ამ გზით არ შეიძლება ევროპის და ამერიკის დამარცხება და გადახალისება. ეს ყოველივე იქ უკეთ არის მოწყობილი“... ამ სიტყვებში რეაქციონურ, ანტისაბუთოთა განწყობილებების და შეხედულებების მთელი წყებაა წამოყენებული. გ. ქიქოძისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ელექტროფიკაციას, ინდუსტრიალიზაციას და კოოპერაციას. მისი აზრით, ისინი არ გამოდგებიან ევროპა-ამერიკასთან საბრძოლველად. იგი მათ არ სთვლის სოციალისტურ მშენებლობის ძირითად დასაყრდენ ძალებათ. იგი ვერ ნახულობს განსხვავებას ჩვენსა და ევროპა-ამერიკის ელექტროფიკაციას, ინდუსტრიალიზაციას და კოოპერაციას შორის. ყველაფერი ვათავდა, აშობს გ. ქიქოძე, უნდა დაგვაროთ იარალი, თავი უნდა დავანებოთ ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

ყველა თავის დებულებებს დასკვნათ გ. ქიქოძე უკეთებს იმას, რომ მას უფრო მონუმენტალურ და სრულყოფილ მოვლენათ მიანია მხატვრულად პრიმიტიული კულტურის ნაშთი—ჯვარის მონასტერი, უიღრე მტკვრის ჰირად აგებული ინდუსტრიალური ზაქსი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი დასრულებული მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც წარსულის მასალის საფუძველზე მოცემული იყოს თანამედროვეობისადმი დაპირისპირება, თითქმის არა გვაქვს, გარდა შალვა და დია-

ნის ხუთას გვერდიან რომანის — „უბედური რუსი“ — სა. ამ რომანს გვიღვებელი გადაყავს თამარ მეფის ეპოქაში; ეს რომანი თამარის ეპოქის უკიდურეს წერამოდგენს (მოცემულს გარკვეულ კლასიურ ასპექტში). ამ ქრონიკულ-ისტორიულ დაწერილია ნათელი, ძლიერი ფერადებით და „დარბაისლური“ ტონით, შ. დადიანი ცდილობს გააცოცხლოს „შორეული ხანა“.

„უბედური რუსი“ გარკვეული მიზნით არის დაწერილი: ავტორს სურს ყოველნაირად მოახდინოს თამარის ეპოქის იდეალიზაცია, იგი წარმოგვადგინოს მეტად მიმზიდველ და განუმეორებელ ხანად თავისი ბრწინვალებით, განცხრომით და ძლიერებით. შ. დადიანი ორგანიულათ არის შესული თამარის ეპოქაში. მკითხველს ხშირად ამ რომანის კითხვის დროს ეჭვიც კი ებადება, რომ თამარის ეპოქის შესახებ სწერს არა თანამედროვე; მეოცე საუკუნის მწერალი, არამედ ამავე თამარის ეპოქის მწერალი.

„უბედური რუსი“ მკითხველის წინაშე გაიღის თამარის დროის პირების მთელი ვალერეია: თვით თამარ მეფე, რუსულად თამარის მამიდა, თავადი აბულასანი, ზანქან ზორაბაბელი — ტფილისელი სოცდაგარი, ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი — იური-გიორგი, შახურათხუცესი ვარდან დადიანი, თავადი მშეკაბუჯ ფანჯარიანი, რატი სურამელი, თავადი ზვიადი სავარსამიძე, ზაქარია მხარგრძელი, აბულასანის ტალი — უტანდარი, დავით სოსლანი და მრავალი სხვა. ყველა ისინი რომანში გარკვეული თვისებებით და ბრწინვალებით არიან მოცემული.

ძველი, მაგრამ მოხერხებული გამოთქმა, რომ ვინმაროა „უბედური რუსი“ — ს პათოსი უმოაერესად მოსჩანს იქ, სადაც შ. დადიანი გვიხატავს სასახლეების მორთულობას, დღესასწაულებს და სამეფო ცერემონიებს. ამიტომ არსებითად „უბედური რუსი“ არის კლასიური, ფეოდალური ცხოვრების ეპოქა.

შ. დადიანი ცდილობს „უბედური რუსიში“ დაეაროს თამარის ეპოქაში არსებული უკიდურესი წოდებრივი განსხვავება და შესლა-შემოხლა. მისი წარმოდგენით თამარის წინაშე ყველანი ერთი კარებით შეჰყავდათ, წოდებრივ განსხვავებას აქ მხედველობაში არ ლებულობდენ, ამის ილიუსტრაციას იძლევა რომანის ერთ-ერთი გმირი ზანქან ზორაბაბელი. იგი უცქაყთა სატახტო ქალაქში თამარ მეფისათვის საქმროს საძებნელად. შიღის სასახლეში, მაგრამ სასახლის შინა-ყმებს მთავარი შესავლიდან კი არ შეჰყავთ, არამედ იმ პაწია კარებიდან, საიდანაც არ შეიძლება დაუბრელი შესვლა. ზანქანი ფიქრობს: „ვითომ მეფესთან წელ-გამართული შესვლა არავინ გაბედოსო... ასე არ არის საქართველოში. იქ მეფის კარი ფართოა, მაღალი. ყველანი ერთი კარებით შეჰყავთ, თითქოს შემსვლელიც და დამხვედრიც ლაღია და თავისუფალი... მას შემდეგ მაინც, რაც თამარმა ახალი სასახლეები ააგო. თავისუფლად სუნთქავ იქ კაცი, სული აღარ გეხუთება... ამისთანა კარები ისევე ზოგიერთ წერილ მთავრებსა და ერისთავებს თუ აქვთ: გაძალბენ, „თავი მოიხარეო“... (ქრსივი ჩვენია, შ. რ.).

„უბედური რუსი“ — ს ძირითად თემატიურ მაგისტრალს წარმოადგენს თამარ მეფის ვათხოვება, მისი დაქორწინება იური — გიორგი რუსზე და ამ ნიადაგზე შექმნილი შეჯახება.



შ. დადიანი ცდილობს „ობიექტიური“ მწერლის პოზიციას შეინარჩუნოს და გზა-დაგზა გეიჩვენებს იმ უარყოფით, მაბინჯ მოვლენებსაც, რომლებსაც მასდებილი ჰქონდა თამარ მეფის ეპოქაში. მაგრამ ისე დამსკრებული და დაპატარავებული სახით იძლევა ყველაფერს ამას იგია, რომ ამ მოვლენათა შინაარსი და ეფექტები სრულიად ჰქრება რომანის განვითარების მანძილზე. ამგვარათ, კლასიური მოსახრების გამო შ. დადიანი ცდილობს სინამდვილე შეფერადებული და დამაბინჯებული სახით წარმოგიდგინოს.

არის შემთხვევები, როდესაც ნაწარმოებში ავტორის აზრსა, მოფიქრებას და იდეას შორის არ არის ერთიანობა, შესატყვისობა. ასე დაემართა მაგ. ლიბედინსკის თავის „გვირის დაბადება“-ში. მაგრამ ასეთ მოვლენას არ აქვს ადგილი „უბედურ რუსში“. აქ მწერლის აზრსა, მოფიქრებას და იდეას შორის სრული შესატყვისობაა.

მოთხრობა „ათე“-ში, რომელიც კრებულ „არაფიონში“ იყო მოთავსებული, შ. დადიანი მეშვიდე საუკუნის კვლევებიდან მონაბერი იერით არის აღფრთოვანებული.

ჯვარას მონასტრის შესასწავლათ, გასაზიზიან, გადასაღებათ და გასაახლებლათ გაემგზავრა ორი ახალგაზრდა ხუროთ-მოძღვარი — მიხო და დიტო. მათ გზაზე გაეცნობა ზაქესში მიმავალი კომკავშირელი ქალი ელო მინდიაშვილი. მათი გაეცნობა და დამეგობრება თავდაპირველად ხდება სტესობრივ მისწრაფებათა ერთიანობის საფუძველზე: „მატარებლის ვიწროობაში ერთმა სხელმა მეორე მიკეცა“. შემდეგში ელო ქედს იხრის მიხოს და დიტოს, როგორც ძველი კულტურის რესტავრატორების წინაშე. ელო მიხოს ცოლი ხდება. მიხო ელოში ხედავს არა მარტო ახალ ქალს, არამედ ძველ ქალ-ღმერთსაც: „...მან (ე. ი. მიხომ შ. რ.). იგრძნო, რომ უფლოთ აღარ ედგომებოდა. მის თავში საოცარი სამეფული იხატებოდა: აფროდიტე, თემესტია და ელო. იმ საკვირველ შთის კონცხზე ნახული და გაგონილი — თეთრი ეშმაკეული, მონახენათ შემდგარი სახიერაბა და დღეინდელი მოწინავე გოგონა, როდესაც მამში მიდიოდენ, მიხო ელოს ყურში ჩასრურტულბდა: — შენ ათე ხარ, ათე, ჩემო — ჩემო ...აფროდიტე, თემესტია, ელო, ხომ... — თეთრი ეშმაკეული! არა? — ეშმაკობდა ელოც... — არა, ანანებს შევაბრუნებ, თუ გინდა: ათე კი არა თეა ხარ, ღმერთი ქალი...“ ამ სახით ხდება ძველი და ახალი სახელის, ძველი და ახალი განცდების და შეხედულებების შედუღება. შ. დადიანი პრიმატს ამ ორ ძალაში, ამ ორ ქვეყანაში ისევე ძველს აკუთვნებს, რადგანაც მისთვის მას მეტი ნიშნიდველობა და მაგიერი ძალა აქვს...

ეს ორი ნაწარმოები — „უბედური რუსი“ და „ათე“ განსახლურავს არსებული შ. დადიანის შემოქმედების ძირითად ხასიათს და იდეას. შ. დადიანის შემოქმედებაში „გაცხოველებული“ და „გასულიერებული“ სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე ძველი, უკვე შორეული საუკუნოები, მწერალი წარსულის სიმალეებიდან გადმოჰყურებს ახალ ქვეყანას. არქეოლოგიის სამყაროდან ებრძვის შ. დადიანი თანამედროვეობას.

ბურჟუაზიულ-რეაქციონერ ლიტერატურის ძირითადი ტენდენციაა დაუპირისპიროს კოლექტივის პიროვნება, და ეს უკანასკნელი დააყენოს შალა, მის-

ეს ყალბი განმარტება საბჭოთა სახელმწიფოებრივობის ძირითადი პრინციპებს და პროცესებს, დამახინჯებულად წარმოგვიდგინოს პროლეტარიატის მემკვიდრეობითი ძალა, დაგვიხატოს საბჭოთა წყობილება, როგორც განდაღობა, გვიჩვენოს თითქოს მუშათა კლასის მტრები თავგანწირული და იდეალური მებრძოლებია, პირველ რიგში შეფერადებულ-გამუქებული სახით დააყენოს აღამიანის ტუნების ცხოველური ინსტიქტები და სხვ. ასეთი ტენდენციის მრავალსახეობას ჩვენ ვხვდებით შიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

მართალია, შიხ. ჯავახიშვილმა სამწერლო მუშაობა დაიწყო რამდენიმე ათეული წლის წინად, მაგრამ მან დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე, როგორც მწერალმა, მიიღო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ—1924—25 წლებიდან. თურ. „დროშა“-ს ფურცლებზე დაიწყო მისი დიდი მოცულობის რომანის „კვაკი კვაკანტირაძე“-ს ბეჭდვა.

„ჯაყოს ხიხნები“ შიხ. ჯავახიშვილმა გვიჩვენა დაცემა და დაღუპვა რევოლუციის მეოხებით ფეოდალური არისტოკრატის ნაშთის—თეიმურაზ ხევისთავის და თანამედროვე კულაკის, მზეცივით გაუმადლარი, გაიძვერა და შეტრიალებული ჯაყოსი.

თეიმურაზ ხევისთავი ერთ დროს იყო მემამულე, საზოგადო მოღვაწე და სხვა, მაგრამ რევოლუციის მეოხებით უკვე დაცემა, დაქარგვა ყოველივე, რა კი მას ცხოვრების ჩვეულებრივი პირობები აღარ ჰქონდა, იგი უკვე მცონარე და პასიური შეიქნა. მას არ შეუძლია შეეგუოს არსებულ პროლეტარულ წყობილებას. იგი შუა გზაზე რჩება, ბოლოს იბუღებულა თავის ყოფილ მოურავთან—ჯაყოსთან შეადაროს თავი. ეს უკანასკნელი გაიძვერა, გაუმადლარი და მომქმედი აღამიანია. მან თეიმურაზის საგვარეულო ადგილ-მამული, სახლი და საოჯახო ქონება საესებით ჩაიგდო ხელში.

შიხ. ჯავახიშვილმა თეიმურაზის სახით მოგვცა ჩვენი ინტელიგენციის ერთი ფენის—ურაქათო და უნჩაიო ქართველი ინტელიგენტის სახე.

შიხ. ჯავახიშვილი ღრმით თანაუგრძნობს თეიმურაზ ხევისთავს. იგი ცდილობს ასეთივე თანაგრძნობა გამოიწვიოს მკითხველში.

„ჯაყოს ხიხნები“ ჯავახიშვილისათვის იყო დასაწყისი ეტაპი მისი შემოქმედების საქართველოს ოქტომბრის შემდეგ. „ჯაყოს ხიხნებს“ მოჰყვა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიაც ჯავახიშვილი გარკვეულად უპირისპირდებოდა ჩვენს თანამედროვეობას. „ჯაყოს ხიხნების“ შემდეგ ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ამკარი რეაქციონური „თეთრი საყელო“, „დამპატივე“, „გივი შადური“ და სხვ.

„დამპატივე“ მთელ პასკილს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურაზე. მასში მოცემულია პარაზიტი—სახელად დამპატივე. მას ეხმარება ვიღაც სამოქტო დაწესებულებაში („იქ“) რომ ზის. დამპატივე ავიწროებს პროლეტარული რევოლუციის მიერ განთავისუფლებულ მშრომელ და ღარიბ გლეხს თვედორეს. დამპატივე თვედორეს ნაოფლარს ისაკუთრებს. შიხ. ჯავახიშვილი ისე გვიხატავს, თითქოს ღარიბი გლეხი ვერ ნახულობს სამართალს, მას არავინ ეხმარება და არ თანაუგრძნობს, იგი ისევე იზავრება, როგორც რევოლუციამდე: „ზამთარია. ხან წვიმა მოდის, ხან თოვლი, ზოგჯერ ცივა და ზოგჯერაც ქარი

უბრაეს, დამპატივეც ამიტომ არ მოდის ბალში. ქალაქის ნაჭერსეც ხელსაყრელი იქცა იუსადრისა. თვედორე და მაკრინე კი შეტყუვლები არიან. მაკრინეც კი ცხადს და სიცივეც თანაბარია. და რადგან საზამთრო საქმე ისე ზამთარში უნდა გაეთდეს, ხოლო შრომას ორივენი ისე არიან შეტყუვლნი როგორც დამპატივე წელის ტკივილს, ამიტომ მათი ოცდაპირველი ზამთარიც ისე გავიდა, როგორც პირველი წელიწადი: ეძებენ და ვერ უპოვიან, სთხრიან და ვერ გაუთხრიან. ჰლობავენ და ვერ შემოუღობიან, კენჭებს ჰკრეფავენ და ვერ აუკრეფიან. ოფელს იწმენდავენ და ვეღარ მოუწმენდიან.

საერთოდ მის. ჯავახიშვილის შემოქმედების „ფილოსოფიაც“ თანამედროვეობის მიმართ „დამპატივე“-ში უნდა ვეძიოთ. ეს მოთხრობა არის მისი გამოსავალი წერტილი პროლეტარიატის დიქტატურის ცხოვრების გაგებისა და გამორკვევის საქმეში.

სხვა ნაწარმოებებში მის. ჯავახიშვილი იძლევა ნაკაცარების, ყოფილი ადამიანების მთელ გაღვრვიას. აქ არის გ. შადურის, პეტრე შევარდნაძე—სოკოლოვი და სხვ. მათ ნაკაცარათ ვახდომის უმთავრეს მიზეზათ მის. ჯავახიშვილი ყოველთვის ასახელებს საბჭოთა წყობილებას, პროლეტარულ რევოლიუციას. მის. ჯავახიშვილს მეტად ებრალება ეს ნაკაცარები, ეს დაცემული და გამოიჭრებულნი ხალხი.

გრ. რობაქიძეც მთლიანი და ჩამოყალიბებული სახის ბურჟუაზიული მწერალია. მის შემოქმედებაში თავიდანვე პირველ პლანზე ორი მოტივი მოსჩანდა: უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომლისთვისაც „უცხო“ იყო რაიმე კავშირი საზოგადოებრივ-სოციალურ ყოფასთან და ერატიზმი, რომელიც აყვანილი იყო ცხოვრების დედა-აზრში.

საქართველოს ვასაბჭოების შემდეგ გრ. რობაქიძემ გამოაჭყვეუნა რამოდენიმე ნაწარმოები („გველის პერანგი“, „ფალესტრა“, „უღვევა“, „მალშტრემი“ და სხვ.). ყველა ამ ნაწარმოების იდეოლოგიური საყრდენი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობაა. „გველის პერანგი“-ს გამარჯვება ბურჟუაზიულ გერმანიაში შემთხვევითი მოვლენა არ არის, კლასიური კანონზომიერება მოქმედობს აქ უსათუოდ.

დამახასიათებელია რობაქიძის მიერ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ყოფის სტილის გაგება. იგი „ფალესტრა“-ში სწერს: „ეპოქის სტილი სექტუალობაშია და სექტუალობა—სიტუტელეში“. ასეთი გაგება ცხოვრების სტილისა არ არის მართალი, ის სინამდვილის დამახინჯებაა. მხოლოდ მომაცდევ ბურჟუაზიის სტილია სექტუალობა და სიტუტელე. საერთო-საზოგადოებრივი სტილი კი დღეს არის უაღრესად, უკიდურესად გამწვავებული კლასიური ბრძოლა.

გრ. რობაქიძის შემოქმედება არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმიითაც ბურჟუაზიულია. მის შემოქმედებას ახასიათებს არქაიზმი, ე. ი. აცოცხლებს ისეთ სიტყვებს ან, სიტყვათა შეერთებას, რომელიც წინად იზმარებოდნენ ძველს ქართულში, მაგრამ შემდეგ გამოვიდნენ ხმარებიდან. ასეთი „ამაღლებული“ სტილის ხმარებით გრ. რობაქიძის მხატვრული ფაქტი არაფერს არ იგებს, პირიქით, ჰქმნის რაღაც ხელოვნურ, უსიციოცხლო შთაბეჭდილებას, საზღვარს დებს თანამედროვე მკითხველის პრაქტიკულ ენასა და „გველის პერანგს“ შორის (მაგ. იმის

საქართველოს მხატვრული კულტურა ათი წლის თავზე

საქართველოს მხატვრული კულტურა ვასაბჭოების მე-10 წლის თავზე აღწევს უმაღლესს განვითარებას და თავის შინაგან შესაძლებლობის ყოველ მხრივ გაშლას. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ლენინიზმის პრინციპების ერთგული დარჩა, შექმნა მტკიცე პირობები მეცნიერული და სახატვრო კულტურის პროგრესული განვითარებისათვის. ამ. სტალინის ცნობილი დიალექტიკური ფორმულა ეროვნულ კულტურაზე სახელდობრ — რომეს „კულტურა თავისი შინაარსით უნდა იყოს ინტერნაციონალური და ფორმით ნაციონალური“, ხდება ბრძოლის მეთოდოლოგიურ ღონისძიებად ქართული მხატვრობისა და მწერლობის შემოქმედებითი პრაქტიკაში. ამ ფორმულის შემოქმედებითი გატარება ცხოვრებაში, ე. ი. მხატვრული კულტურის პრაქტიკული მშენებლობა ამ მეთოდოლოგიურ მიზნების საფუძველზე, მოითხოვდა ბრძოლას ახალ თემისათვის ბრძოლას, ნაციონალისტურ რეციდივებისა და პეტრეაზიულ ტენდენციების წინააღმდეგ. ახალი თემატიკის იდეური განწყობა ძირითადად განსაზღვრავს ახალ ფორმალურ გამოსახევას საშუალებათა ხასიათს. ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის დიალექტიური ქცევადობა პრინციპალურად ეწინააღმდეგება ამ პრობლემის მექანიკურ გაცემას, სახელდობრ, ახალი ფორმისა და ახალი შინაარსის ერთდროულად განვითარების აღიარებას და მით ფაქტიურად ხელოვნების მკოდნობის ამ ორ, განუყვეთელ მთლიანობაში შეიფ. კატეგორიის გაიგივებას. ამიტომ სრულებით კანონზომიერათ უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ საბჭოთა პირველ პერიოდში ქართული ხელოვნება და ლიტერატურა იბრძოდნენ ახალ თემატიკისათვის, იბრძოდნენ კლასიკრათ მტრულ მსოფლშეგრძნების წინააღმდეგ, რომ მით შემოქმედებით განმტკიცებით რევოლუციის პათოსისა და ენტუზიაზმის იდეოლოგიური განწყობა.

ამ პერიოდში, რომელიც არსებითად წარმოადგენს ქართული კულტურის აღდგენითი პერიოდს, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მხატვრული პროდუქციის ფორმალურ გამოხატულებათა საშუალებებს. და ეს სრულებით ბუნებრივია: საჭირო იყო ორგანიულად შეთვისება ახალი სოციალისტური სინამდვილის, რომ გამორკვეულიყო ახალი გამოსახვის საშუალებათა ხასიათი, რომელიც საუსებით უპასუხებდა ახალ შემოქმედებითი ობიექტს. არა მზა მზარეული ფორმალურ სტრუქტურით მისულა ახალ შინაარსთან, არამედ ამ უკანასკნელით კანონზომიერი განსაზღვრა პირველის, ასეთია მეთოდოლოგიური საფუძველი შემოქმედებითი პრაქტიკისა და თეორიის — ახალ შინაარსის განვითარების შემდგომ ეტაპში



არა თუ არ შემცირებულა, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა მხატვრული ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მსოფლ-მხედველობას წინააღმდეგ, და როდესაც რევოლუციის ბრძოლის და გამარჯვების თემატიკამ თავის ძირითად მომენტებში განამტკიცა თავის თავი საბჭოთა ხელოვნებაში, ეს უკანასკნელი შედის თავის განვითარების მეორე პერიოდში: რეკონსტრუქციის პერიოდში (1928—29 წელი). აქ მთელი თავისი სიგრძე სიგანით სდგება პრობლემა, ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდის შესახებ, რომელიც უნდა გამოვლინებულიყო დიალექტიური მეთოდოლოგიის პრაქტიკულად გამოყენებაში პროლეტარული კულტურის ახალი სტილის, როგორც აზრობრივ და ფორმალურ მომენტების ორგანიულ ერთიანობის, შექმნის პროცესებში.

ამ კანონზომიერმა მოძრაობამ განსაზღვრა თვისობრივი სახე და არსი ქართული ხელოვნებისა ყველა დარგების საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავზე.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიღწევები ქართულ თეატრის სფეროში. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართულმა თეატრმა ფართოდ გაშალა თავისი შინაგანი შესაძლებლობა და მიაღწია განვითარების იმ ფორმებს, რაც გაუგონარია ქართული თეატრის ისტორიაში და აბსოლიუტურად შეუძლებელი იყო მენშევიკების დროს. ამ ფაქტის საილიუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო რუსთაველის სახელობის თეატრის (რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორი ა. ვ. ახმეტელი) ბრწყინვალე გამარჯვება მოსკოვში საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე. ამ გამარჯვების შედეგია რუსთაველის თეატრის საგასტროლოდ მიწვევა ევროპასა და ამერიკაში, რამაც ქართულ საბჭოთა თეატრს მსოფლიო რეზონანსი შეუქმნა; საზოგადოთ, საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თეატრალურ კულტურის განვითარებას; საქართველოში არ არის არც ერთი კუთხე, სადაც არ იყოს თეატრი არტისტების, რეჟისორების და მხატვრების მტკიცე კადრებით. თვით ტფილისში, ეროვნულ უმცირესობათა თეატრებთან ერთად მუშაობს ორი ქართული სახელმწიფო თეატრი: რუსთაველის თეატრი (ხელმძღვანელია ა. ვ. ახმეტელი) და ქართული დრამის მეორე თეატრი (ხელმძღვანელია კ. მარჯანიშვილი). საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მენშევიკებისაგან თეატრი ფეოდალურ არისტოკრატიულ რეპერტუარით და თეატრალურ ხელოვნების ძველთა ძველი, ცრუ კლასიკური ფორმებით. მენშევიკების დროს იყო ერთი სახელმწიფო თეატრი ქართულ ენაზე, მაგრამ ქართული თეატრი არ ყოფილა.

საბჭოთა თეატრულმა საზოგადოებრივობამ ბრძოლა გამოუცხადა როგორც ძველ თემებს, ისე სცენურ ხელოვნების ყველა გამოხატულების საშვალეებს, რომელიც ახასიათებს პასიურ-მკერეტელობისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მსოფლ-შეგრძნობას. ვადალახა რა ნაციონალისტური თემატიკა და ექსპრესიონისტული დრამატურგიის გავლენა, რუსთაველის თეატრი შედის სოციალ მშენებლობაში და ხდება შემოქმედებითი ორგანიზატორი სოციალისტურ ურთიერთობის ძირითადი მომენტების („ყამირი“, „პროტესტი“, „26 კომუნარი“, „ანზორი“, „საპე მარცხნივ“, „არღვევა“ და სხვ.) საბჭოთა თემებზე.

ორიგენტაციამ ძირველად განსაზღვრა ფორმალურ ძიებათა გზებიც. რუსთაველის თეატრმა გადალახა გაფერადებულ ტილოების ტრადიციონალური წესები, თეატრალურ შემოქმედებიდან განდევნა მშრალი ფოტოგრაფიული და მხიტილი სინამდვილის პრობლემასთან, რომლის კონკრეტი გაშლა ნიშნავდა სინამდვილის არა მხოლოდ ასახვას, არამედ უმთავრესად გამოსახვას. ამიტომ რუსთაველის თეატრი მიდის სინამდვილესთან კონსტრუქციის მეთოდებით, ვინაიდან რეალობის კონსტრუქცია თეატრს მისცემს შესაძლებლობას გვიჩვენოს ის ძირითადი, რაც შეიცავს მოვლენის მთლიან დახასიათებას. ამით თეატრი გაურბის „ფსიქოლოგიურ წვრილიწინებს“ და ზედმიტ დეტალებს. თეატრის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს სრულიად თანამედროვე გადაჭრა ახალი ადამიანისა და მისთან დაკავშირებით მასიურ სცენების პრობლემისა. რევოლუციონური მასსა რუსთაველის თეატრში არ არის მარტო რეცხობრივი კატეგორია, მასა იქ ჩნდება როგორც მთელი კოლექტივი, რომელიც ცხოვრობს რევოლუციონური აღფრთოვანებით და რევოლუციონური ყოველდღიურობით. ყოველი პარტნიორი თავის ინდივიდუალობის სრული შენარჩუნებით გრძნობს მეორეს, რის შედეგადაც ვლევულობთ „მასიურ ინდივიდუალობას“ და „ინდივიდუალურ მასიურობას“ და ბელადი, რომელსაც მიჰყავს ეს მასსა ცხოვრობს ამ კოლექტივის ფიქიკით და ამავე დროს ათანწყობებს მის ნებას და განწყობილებას. რუსთაველის თეატრმა წარმატებით გადასჭრა პრობლემა ინდივიდუალობის და კოლექტიურის დიალექტიური შეთავსებისა და ამით დარჩა ერთგული ახალ ადამიანის ლენინურ გაგებისა. ამის ბრწყინვალე ილუსტრაციის წარმოადგენს „ანზორი“-ს დადგმა, რომელშიაც მხატვრული ისტატობით დაქერილია ახალი რიტომ, რომლის ფონზე სიერციხე-მთეთმთიკური სიზუსტე დაცულია მაქაიმუმამდე, რის შედეგად ვლევულობთ სწორ, მთლიან ერთეულს ორგანიზულად შეკავშირებულ ანსაბლს, რომელიც სწორად გადმოგვცემს და გვიშლის მასის ფსიქოლოგიას. თუ რიტმის გამოხატულებას წარმოადგენს მოძრაობა, მაშინ რიტმი ყოფილა ის ენა, რომლითაც გველაპარაკება კოლექტივი „ანზორში“ და გადმოგვცემს თავის რევოლუციონურ ნების სწრაფვას. „ანზორის“ დადგმის სრულებით შეიფერება ამხ. სტალინის დიალექტიური ფორმულა ნაციონალურ ფორმასა და ინტერნაციონალურ შინაარსზე: „ანზორი“ — ეს არის ნამდვილი ქართული წარმოდგენა ინტერნაციონალურ თემახე. ანალოგიურ ხაზებში დადგმულია ამ თეატრში „რღვევა“-ც.

რუსთაველის თეატრი აწარმოებს ბრძოლას მკენე მინორულ მოტივთა და ინტიმურ ხლართების წინააღმდეგ, რომლებიც ახასიათებდნ წინა ეპოქების თეატრებს.

მასები, რომელთა კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ქმნიან ისტორიას. და მუშებისა და გლეხების მოძრაობის პათოსი შეიცავს ერთი მხრივ ძლიერ ზიზლს ყოველგვარ სიმახინჯისადმი, ყოველგვარ ბურჟუაზიულობისადმი და მეორეს მხრივ შეუღრვეულ ნების-ყოფით ბრძოლას კაპობრიობის საუკეთესო მომავლისათვის. ოქტობრის რევოლუციამ მისპო ისტორიული ნიღაბები დამუსოვების, მოლჩალინების, ხლესტაკოვების, როგორც საზოგადოებრივობის



გაბატონებული სახეები. საბჭოთა დრამატურგიაში მისა გამოყენებულია აქტიური, მოვლენათა შემქმნელი კატეგორია. მისი შემოქმედება და რევოლუციონური სიმტიცე ამ მასის ინდივიდუალური სახეი. ანგარია რუსთაველის თეატრის გაგებითი მასის პრობლემის („ზაგმუის“, „ქართა ქალაქის“, „ანზორის“, „რღვევის“, „საქე მარცხნივ“ და სხვ. დადგმები) და ამ გაგებას სრულებით ახლად დასვა თეატრის ფორმალურ-შემოქმედებითი პრობლემა. თეატრის ზღვამდევანელი ა. ვ. ახმეტელი ესწრაფვის ამოცანას მოაწყოს სცენის სივრცე იმ გვარად, რომ მსახიობს სრული შესაძლებლობა ჰქონდეს თავის ტანით ხავესებით ისარგებლოს. ეს არის ძირითადი ამოცანა და გამოსავალი პუნქტი სივრცის ახალი ორგანიზაციის. ამისათვის ახმეტელი ეძებს ქართული თეატრის სპეციფიურ რიტმს რომ განამტკიცოს ახალი რევოლუციონურ-ნაციონალური ფორმა და სისტემაში მოიყვანოს ახალი თეატრალური მსოფლ-შეგრძობა; ამ მიზნით რუსთაველის თეატრმა შეუტია „წითელ ტილოების“ ტრადიციებით განსაზღვრულ ორ განზომილების მხატვრულ კონსტრუქციებს, რომელთაც ბრწყინვალეში ეჭირათ მსახიობის ტანი. ხელს უშლიდა მის მოძრაობას, ჰბოქვდა მის თავისუფლებას და მით მის მხატვრულ შესაძლებლობას. მსახიობის შემოქმედებითი ნების-ყოფისათვის ტანის სრული დამორჩილება მოითხოვდა მის მოძრაობის გაშლას სამ განზომილებაში რაც ნიშნავდა თავის თავად სივრცის, ძველი მხატვრული დახასიათების მეთოდების განდევნას. თავის მხრივ ამ გზან თეატრი მიიყვანა რეალობის კონსტრუქციის აუცილებლობამდე, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას სამ, განზომილების სივრცეზე. ამ ფორმალურა მიმენტებით ძირითადად განსაზღვრავს თეატრი მსახიობის გარეშე ტენიკას, რაც შეეხება შინაგან ტენიკას, აქ თეატრი გამოდის შემოქმედებითი სახის გამსაყურებულ გაგებიდან, სახე—პროექციაა კლასიური ფსიქიკისა, ფსიქოლოგიურად ვახსნა სახისა ნიშნავს განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩვენებას. ამ საზოგადოებრივ ურთიერთობის დასაცავად თუ საწინააღმდეგოდ უშეალო ბრძოლაში (რევოლუცია, სამოქალაქო ომი), სურვილი და ცული იქნეს არსებული საზოგადოებრივი ყოფა ან მოსპობილი, რომ იგი შეიცვალოს სრულებით ახალით, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს. ამ ხასიათის ფსიქოლოგიის საჩვენებლად რუსთაველის თეატრი შლის სახეს წინააღმდეგობითი მთლიანობის ხაზებში და იძლევა საბოლოო ანგარიშში ამ წინააღმდეგობის მოხსნას, უფრო სწორათ, გადაქრას. აქ ფსიქოლოგიური რეალიზმი გაშლილია დიალექტიურ ხაზზე და მით მიღწეულია ფსიხიკის სოკიალურ-გაველენათა კომპლექსში გახსნა. აქედან თეატრმა სახის პრობლემაში უარყო დისტოციკის გზა. როგორც გზა. „ფსიხოლოგიური თვითმხიკედელაობისა“ და აგრეთვე ჩხოვშინა, როგორც პაიურ მჭერტელოობის მათელ-შეგრძობის დახასიათება.

ასეთია რუსთაველის თეატრის მხატვრულ-იდეოლოგიური ორიენტაცია. მთელ რივ წინააღმდეგობათა თემატიურ დამარცხებათა და ექსპერიმენტების გზით თეატრი მივიდა ცნობილ გამარჯვებამდე. ამგვარ თეატრი მუშაობს ძველ ქართულ სახალხო თეატრალურ ფორმათა პრობლემებზე, რომლის ძირითადი

ელემენტები თეატრს უნდა დიალექტიურად გამოიყენოს თეატრალურ კულტურის ახალი პროლეტარული სტილის შესაქმნელად.

მეორე ქართულმა სახელმწიფო თეატრმა, რომელიც მუშაობს ტფილისში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, ამოირჩია ესთეტიურ სტილიზაციის გზა, ესთეტიზმში თეატრი მივიდა, სძლია რა ძველი თეატრის სულიერი ნატურალიზმის შემოქმედებითი ორიენტაცია. თეატრი სცდილობს თავის შემოქმედებაში გამოიყენოს ტენიციის და შეცნიერების ყველა მიღწევები, რადიოთი და კინოთი წარმატებით სარგებლობს თეატრი „სახე-ნიეთის“ დისახასიათებლად. ამ მხრივ თვალსაჩინო ილიუსტრაციას წარმოადგენდა 'ტოლერის პიესის დადგმა „პოპლა ჩვენ ვეოცხლობთ“ და ნაწილობრივ კ. კალაძის პიესები „როგორ“ და „ხატიჯე“, თეატრი კლასიურ პიესებსაც დგამს. აქ თეატრი სარგებლობს იმ გარემოებით, რომ კლასიკურ ნაწარმოებში ფორმა სტრუქტურული ელემენტია შინაარსის, რის გამოც თეატრი ავტორის „ტრაქსტოკის“ იქით არ მიდის: ის რჩება ავტორის დრამატიული ტრაქტოკის სფეროში. ამ მხრივ ყურადსაღებია „ურიელ აკოსტა“-ს დადგმა. უმთავრესი ამოცანა, რომელიც იდგა თეატრის წინაშე—ეს იყო გაეშვილებინა რაბინის სახე და ცხვენებინა თავისებური ფსიქოლოგიური წინააღმდეგობითი აღსავსე ბრძოლა ურიელ აკოსტასი. ამ ამოცანის გადასაჭრელად თეატრმა მიმართა პირობითად კონსტრუქტიულ დეკორაციებს, რომელიც მოცემულია შავ და ყვითელ ტონებით შეღებულ ფარდებში. ხან და ხან ეს ფარდები გამოდის არა როგორც ფონი, არამედ როგორც დეკორატიული ელემენტი. თვით კონსტრუქტიული აგება იძლევა არა მარტო „მოგონებას“ სავანზე, არამედ სრულს ილიუზიას მაგრამ ეს სრულებით არ ვნებს წარმოდგენის საერთო სტილს, პირიქით იგი ხელს უწყობს და აწიშვლებს ამ სტილს. ტანსაცმელში დამაჯერებლად გადმოცემულია განწყობილება და სტილი ებრაელთა არისტოკრატიულ ზედაფენებისა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის საგრძნობი გამარჯვება, რომელიც ერგო მასიურ სცენებს. აქ მარჯანიშვილი სათანადო ოსტატობით გამოლა ებრაელ ფანტიკოსების კოლექტიური ფსიქოლოგია და გვიჩვენა ებრაელების ამ ნაწილის მთელი შინაგანი სახე.—ამ წარმოდგენიდან იწყება თეატრის მობრუნების ცდა თეატრალურ ქმედობის აზრობრივი მომენტის გააქცევის მხრივ; ეს კი თხოვლობს ესთეტიზმის უარყოფას, რომლის გავლენა თეატრში მეტისმეტათ საგრძნობია; ესთეტიზმის მეთოდებით კი თეატრი ვერ შესძლებს ძლიერი დაჯერებით ასახოს რევოლუციის სინამდვილე, და მით გასდეს შემოქმედებითი თანამგზავრი ახალი კულტურის.

ეს ორი თეატრი სხვადასხვა გზებით მართავენ უმთავრესად საქართველოს თეატრალურ კულტურას, აღიზარდა ახალი კადრი მახიობებისა და რეჟისორებისა.

ამ თეატრის გარდა ტფილისში მუშაობენ სომხური და თურქული დრამის სახელმწიფო თეატრები, წითელი არმიისა და მთელი რიგი თვითმომქმედი თეატრებისა, აგრეთვე სახელმწიფო თეატრები: ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სუხუმში და სხვა ქალაქებში.



მხოლოდ საბჭოთა მთავრობისა და მთელი მუშათა საშოკადიერების განსაკუთრებული დახმარებით უნდა აეკნათ ის უჩვეულო პარტოზური თეატრისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ საქართველოს გასამართლებელ მსჯელობის დღის თავზე. საქართველოში თეატრი თან და თან ხდება ახალი ადგილისა და სოციალიზმის ძლიერ აგიტატორად და პროპაგანდისტად.

ქართულმა მუსიკამაც იპოვა საბჭოთა საქართველოში ნოყიერი ნიადაგი თავის კანონზომიერ განვითარებისათვის. არსებობს თორმეტობა ორიგინალური ოპერა ქართველი კომპოზიტორებისა. საბჭოთა ხელისუფლება ფრთხილად ინახავს ხალხურ ეოკალურ შემოქმედების ძველ მემკვიდრეობას. ნაწილობრივ ამ მემკვიდრეობით სარგებლობენ ეროვნულ-მუსიკალურ შემოქმედების ახალ ფორმათა გამოსაწვევად, რის გამოც ხდება მისი საფუძვლიანი პარმონიზაცია, ნაწილი კი ინახება თავის უშუალო სახით ქართული სიმღერის სტრუქტურისა და მის ისტორიულ ევოლიუციის შესასწავლად.

თავის შემოქმედებისათვის ზოგი ქართველი კომპოზიტორი (მ. ბალანჩივიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები გ. პ. ფალიაშვილი, დ. ი. არაქიშვილი და სხვ.) სარგებლობენ ისტორიულ თემებით („თამარ ციხერი“, „აბნასლომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და სხვ.) და შტამპიანი მუსიკალურ ფორმებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება სავსებით ინახავს და ხელს უწყობს ისეთ შემოქმედებას, რადგანაც იგი დარწმუნებულია რომ ამ ძველ ფორმებზე სწავლით და მათი დიალექტიური გადაღებით შეიძლება გადავიყვანოთ მუსიკალური შემოქმედება სულ ახალ რონებზე, რაც შექმნის შესაძლებლობას, რომ შექმნას სრულებით ახალ პრინციპებზე თანამედროვეობის აქტურებული კომპოზიცია. კომპოზიტორმა ე. დოლიძემ, ერთადერთი კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“-ს ავტორმა, დასწერა რატეოლიუციონური ოპერა „ციხანა“ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავისათვის ჩვენმა კომპოზიტორმა კ. მღვდინეთ-უხუცესმა დასწერა ოპერა „რაზმელები“. კომპოზიტორების დიფერენციაცია შემოქმედებითი ნიშნის მიხედვით ხდება სახალხო სიმღერების ოპერულ შემოქმედების საქმეში გამოყენების პრობლემის ირგვლივ. უდაოა, რომ ეს პრობლემა ლოდიურად გამომდინარეობს ძველი წერის მეთოდების უარყოფის საკითხიდან.

ახალგაზრდა კომპოზიტორებიდან განირჩევიან: ი. ტუსკია, გ. გოკიცილი, ვილაძე, ასლანიშვილი და სხ. ამ ჯგუფმა ბრძოლა გამოუცხადა ძველ წერის მანერას და მუსიკალურ შემოქმედების კანონებს. ამ ფორმებს არ რაღვით გამოხატონ და დაიჭირონ სოციალისტური ინდუსტრიის რიტმი და ამიტომ რომ ააბგერონ თანამედროვეობა, სიჭიროა წერის ახალი სტრუქტურა და მასწავლებელ სათანადო მუსიკალური ენა. ასეთი არის ამ ნიჭიერ ახალგაზრდობის შეხედულება ახალი მუსიკის გზებზე. ისინი თავის ყოველ პროდუქციაში ხატავენ ამ აზრებს და ამით სახევენ ეროვნულ მუსიკის ნათელ პერსპექტივებს. აკადემიური სწავლება ხდება სახელმწიფო კონსერვატორიაში და საშუალო და დაბალ მუსიკალურ სასწავლებლებში, მუშააკებში, რომელთა რიცხვი მათე წლის თავზე 15-მდე აღწევს, სადაც უმთავრესად სწავლობენ მუშათა და გლეხთა

ბავშვები. მუსიკის ხელოვნების (როგორც სიმფონიურის, აგრეთვე გოკალტურის) პროპაგანდას ეწევა სახელმწიფო საოპერო თეატრი და საგანმანათლებლო-მეცნიერო შტაბიანი სახელმწიფო ოპერაში. ქართულ და ევროპულ ოპერებს განსაკუთრებით ოპერები ქართულ ენაზე (მაგ. ოპერა „ქარშენი“, „ჯამბაზები“ და სხვ.).

თეატრალურ კულტურის განვითარება როგორც დრამატის (მთლიანად) ისე საოპეროსი (ნაწილობრივ) წინ მიდის ძველი მხატვრული მსოფლშეგრძნობის გეზის პრინციპიალური გადაღახვით. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფება ქართული ხაზებისა და ფერების ხელოვნება, — მხატვრობა. განსაკუთრებული სიურთხილით იხახავს საბჭოთა მთავრობა საქართველოს საშუალო სასკოლეთა მხატვრობას, რომლის გამოდგენაც მოწყობილი იყო 1930 წელს ევროპის ყველა დიდ ცენტრებში და რომელსაც დიდი გამარჯვება ხვდა წილად. მხატვრობის გენიოსად აღიარებული ნიკო ფიროსმანიშვილი, რომლის შემოქმედებაც გადასძახის მთელი ქვეყნის მხატვართა ძიებას, პირდაპირ საბჭოთა ხელისუფლების აღმოჩენაა. ფიროსმანიშვილი მოკვდა მემკვიცემების ბატონობის დროს სილატაქესა და სიმშილში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში ჰქრებენ მის სურათებს, ეროვნულ გაღვრებაში ეწყობა მისი შემოქმედების საგანგებო დარბაზი, ეწყობა მისი სურათების გამოფენა მთელ საბჭოთა კავშირში და აპირებენ ევროპაშიაც მოაწონ. უშვებენ სამ ენაზე (ქართულ, რუსულ, ფრანგულ) დასურათებულ მონოგრაფიას ფიროსმანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ამჟამად შეკრებილია 150-ზე მეტი მისი სურათი.

თანამედროვე საქართველოს საბჭოთა მხატვრობა ვითარდება ნაწილობრივ როგორც მიზანტიულ-სპარსული მოდერნიზაციის, ისე „პერდუვიანეების“ ტრადიციების აღდგენის გზით; ნაწილობრივ კი თანამედროვე თემებში ეძებს გამოხატულების ახალ ფორმებს. შეათე წლის თანისათვის ჰეენ გვაქვს მხატვრული ახალვაზრობის ძლიერი ორგანიზაცია „სარმა“ და „რევმასი“. მათ შორის სწარმოებენ შემოქმედებითი ბრძოლა: როგორი უნდა იყოს მხატვრობის შემოქმედებითი მეთოდი, რა ადგილი უნდა დაიკავოს ნატიურ-მორტუელმა შემოქმედებამ სოციალიზმის შენების ეპოქაში, როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ ხაზებმა და ფერადებმა ყოფის სოციალისტურად გარდაქმნის პირობებში და სხვა? აი კითხვათა რიგი, რომელთა სხვადასხვა ვაგებამ და სხვადასხვა გეარმა გადაჭრამ შექმნეს ეს მხატვრული დაჯგუფებანი. „რევმასი“ აღადგენს რევოლუციონურ თემებზე ძველ „პერდუვიანეებს“ და სარგებლობს ფოტოგრაფიულ ანარქელობის მეთოდით, რევმასი არ უარყოფს მხატვრობის ეტიულობას და სრულიად შესაძლებლად და საჭიროდ მიიჩნია პეიზაჟურ ნატიურ-მორტული ხატვა სოც. მშენებლობის სინამდვილეში. „სარმა“ პრინციპიალურად წინააღმდეგია ფოტოგრაფიის გზისა. მხატვრობამ პასიურად კი არ უნდა ასახოს ცხოვრება, არამედ მან აქტიურად უნდა გამოსახოს იგი და ამით შესცვალოს ის. ცხოვრების გამოსახატავით არ არის საჭირო ფოტოგრაფიული სისწორე, ის მოითხოვს შინაგან გაშიშვლებას და ამით მის შინაარსის გახსნას. ფერებმა და

ხაზმა უნდა მოგვეცეს ისეთი კომპოზიცია, სადაც იქნება გვერდობა არა პასიურად ასახული ცხოვრება. შემოქმედებითი ბრძოლა ამჟამად უკვე მხოლოდ წინ სწევს მხატვრულ კულტურას, რომელაც სათანადო გავლენას ახდენს თეატრისა და კინემატოგრაფიის განვითარებაზე. მხატვართა შორის ცნობილი არიან: ლ. გუდიაშვილი, სანაძე, ი. თოიძე, რ. თავაძე (მოქანდაკე) აბაკელია, ლემენჯავა, ქობულაძე, შაინაშვილი და სხვ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევებთან ერთად თეატრალური კულტურის, და ლიტერატურულ შემოქმედების დარგში, და საერთოდ მხატვრულ კულტურის ამღლეების საქმეში, საბჭოთა საქართველოში ათი წლის თავისათვის ჩვენ გვაქვს ფრიად ხელშესახები ზრდა ქართული კინემატოგრაფიისა. ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოს კინო-მრეწველობა მიდიოდა ბუმბერაზულ ნაბიჯით, თუ 1921—22 წლებში საქარ. სახელმწიფო კინო-მრეწველობამ შესძლო მხოლოდ ორი მხატვრული და ოთხამდე კულტ-ფაღმის გამოშვება, შემდეგ წლებში ეს რიცხვი გადიდა თითქმის გეომეტრიულ პროგრესით. 1930 საოპერაციო წლის განმავლობაში სახელ. კინო-მრეწველობამ გამოუშვა 15 მხატვრული და 25-ამდე კულტურული ფილმი. საქართველოს კინო-ფაბრიკას აქვს დიდი ატელიე, რომელსაც ქავშირში მეორე ადგილი უჭირავს და სათანადო ტექნიკური ბაზა. ამჟამად შეუდგენ რამოდენიმე კინო-თეატრის მოწყობას მეტყველი კინოსათვის.

სახელმწიფო კინო-მრეწველობის შემოქმედებითი გზა სხვადასხვა გვარი იყო: დაწყებული ბურჟუაზიული ფორმალიზმის თანდათან დაძლევით. ქართული კინემატოგრაფია პრაქტიკულად მიდის, თუმცა ნელის ნაბიჯით, იმ აზრამდის, რომ საჭიროა მასალის შემოქმედებითი ორგანიზაციის პროცესის დამორჩილება დიალექტიურ მეთოდოლოგიისათვის. ამ მიმართულებით ჩატარებულ იქნა მთელი რიგი საინტერესო ექსპერიმენტებისა, რომლებიც ყოველთვის დიდ თვისობრივ ეფექტს იძლეოდა.

საერთოდ, გზა ტექნიკური ექსპერიმენტების გაბატონებულ მნიშვნელობისა კინო-ფილმში საბ. კინო-მრეწველობის მიერ უარყოფილია. ტექნიკურ ექსპერიმენტებს საგანის სოციალურ-მხატვრულ განმარტებაში დამხმარე ელემენტის მნიშვნელობა აქვს. ტექნიკური ექსპერიმენტები, რომელიც მოვლენებს არ ხსნიან, კარგავენ თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას და შით თავის ქმედითი როლს „ემოციურ-აქცენტირებულ“ სახის შექმნაში. და კინო სახის ვახსნა აქ ნიშნავს წინააღმდეგობათა მოღიანობის ჩვენებას. ამ წინააღმდეგობათა ხასიათის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია ამ სახის (სოციალურ-მხატვრული სახის) იმ განმარტებისაგან, რომელსაც იძლევა ავტორი—რეჟისორი. აქედან საკითხი რეჟისორის კადრის მომზადებისა ამ მხრივადაც არ ჰკარგავს თავის აქტუალობას და მნიშვნელობას.

საბ. კინო-მრეწველობის საუკეთესო ფილმად ცნობილია „სამი სიცოცხლე“, „წითელი ეშაქნები“, „ელისო“ (რომელმაც მიიღო პირველი კატეგორია ავტ. ნ. შენგელაია), „ამერიკანკა“ (მიიღო მეორე კატეგორია. ავტორი ესაკია), „სვან-

სოლი“ (1 კატეგ. ავტორი კალატოზიშვილი), „საბა“ (მიიღონ მუხრანელი), ავტორი კიაურელი), „ტანკა ომში“ (რეჟისორ ბერიშვილი), „ახალგაზრდა ენტუზიასტები“ (რეჟ. თაყაიშვილი), „უღუბზიარა“ (რეჟისორი რონდელი), „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, „დამკვრელები“ (რეჟისორი ველოვანი) და სხვ.

საზოგადოებრივ კონტროლს სახ. კინო-მრეწველობას უწევს რევოლუციონერ კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია, საბჭოთა კინემატოგრაფიის გამგეობათა საზოგადოება და სამხატვრო პოლიტიკური საბჭო.

კინო-მრეწველობის მეტი დაკავშირებისათვის რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან, ხდება პოლიტ-განმანათლებელ კულტურფილმების და აგრეთვე ვიწრო სპეციალურ-სამეცნიერო ფილმების პროპარციის ზრდა სამხატვრო ფილმებთან. ასეთი განწყობა ჰქმნის სულ სხვა პირობებს კომერციული ეკრანისათვის, ე. ი. კომერციული ეკრანი ჰკარგავს თავის გეგმონიურ მდგომარეობას და ის გამოიყენება როგორც ერთ ერთი საზე ეკრანის მრავალი ფორმების.

ასეთია ზოგად ხაზებში მხატვრული კულტურის შემოქმედებითი მსვლელობა და მიხწევები საქართველოს გასაბჭოების შეათე წლის თავზე.



ბიბლიობრაფია

ს. ზორბაძე: „ქართული ლექსი“ (ლექსწყობის გამოკვლევა) 1930. სახელგამი.

ცნობილია: ვერ კიდევ გასულ საუკუნეში, ანტიურ მეტრიკის ანალოგიით, ახალი ენების რიტმულ ნორმების შესწავლას შეეცადნენ. ცნობილია ისიც, რომ მეტრულ სისტემაში პოეტური მეტრულების ის რიტმული თავისებურება იფლუნისებოდა, რომელსაც „ნამღერობა“ განსაზღვრავდა და რომლის რეიტატივებამ ასრულებდა ტაქტებამ ანუ ტერეებამ დაყოფანი იწინადა თავს. ინტონაციურ რიტმის კვლევას ამ სისტემის კანონებით ედილობდნენ. ამან გამოიწვია ის სექსპატიკში, რომელიც ე. წ. „ტრადიციულ მეტრიკს“ დანახასიათებელ ნიშნად არის მიჩნეული.

„ტრადიციული მეტრიკა“ პირველყოფის მეტრიკისა და რიტმის ცნებებს აიგივებდა: რიტმი შეისწავლებოდა მეტრიკის ფონზე და მხედველობიდან გაშვებული იყო ამ უკანასკნელის პირობითობა. სიტყვა ბელოენურად იყოფოდა ტერეებად, ტაქტი ნებლებად, კოლონებად და სხვ. სკანდირების („სკანდირუნდენ“) მომენტი სიტყვას, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს არ ითვალისწინებს. ამ აზრის ნათესასყოფად ავიღოთ პუშკინის პოემის დასაწყისი, რომელიც წვეულებრივ „ოთხტერეოვან იამბად“ არის მიჩნეული: ტრადიციული მეტრიკის თანამედ იამბის მეტრიკული სტემა ა-ა-ა-ა-ა-ა) სტრიქონის ასეთ დაყოფას მოითხოვს:

Мой дядя самых честных права

მეტრული სტემა ეესრუების (დახანების) ასეთ განაწილებას თხოვლობს. გვედღევა ფაქტი: ჩვენი მეტრეელები თითქოს სიტყვებს ისეთ ხომითა და საბით გამოყოფდნენ, როგორც აქ აბის ნაჩვენები („мой дядя“ — „дядя“ და სხვა) და რომელსაც აზრითი (სემანტიკური) ნიშნები დაკარგული აქვს.

ტრადიციული მეტრიკა ასეთი ნომენკლატურისა და კლასიფიკაციის გზით მიდიოდა, რუსეთში ა. ბელი („სიმბოლოზმი“-ს ხანა 1910 წ.) შედგადა ამ სექსპატიკშიდან გამოსვლას და ლექსის რიტმული ბუნების კვლევა მეტრულ და-

ყოფით კი არ დაიწყო, არამედ მისგან გადახვევების ჩვენებით. მაგრამ ამით ტრადიციული მეტრიკის ტყვეობიდან გასვლა მაინც ვერ მოხერხდა: რიტმი მის მიერ მეტრიკის ფონზე ისწავლებოდა, რომლის ცნადყოფად მეტრიკის წიგნით სხვა მეტრულ ერთეულების (მაგ. იამბურ მეტრში პირობითობისა და პეონების) დაწვევა იყო მიჩნეული. ეს თორავა ტერფთა კანონზომიერ ურთიერთკვლის პრინციპი საკითხს ვერ სწევდეს, რადგან სექსპატიკის თაფიდან აკლდების პირობად მეტრიკისავე წიდადაცხე დაჩრგნა ვერ გამოდგება.

ტაქში „Напоминать мне это“ ა. ბელის აზრით მეოთხე პეონისა და იამბების კომბინაცია გვაქვს. მაგრამ იგივე ტაქტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი პირობისა (ა-ა) და სამი იამბური ტერფის შეერთება. ასნისათვის ტრადიციული მეტრიკა ამ მხრივ გამოსავალს არ იძლევა და ანალიტური პრინციპი მეოთხელოვანის სიმტკიცესა მოკლებული. მეორე მხრივ: როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სიტყვა „Напоминать“ უნდა დაიყოს ტერეებად, რომელსაც ედუხალი წარმოთქმა არ იცნობს და ამრიგად ტერფთა იზოტრონიზი (ფროის ერთეულთა თანაბრობა) მხოლოდ გრაფიკულ წარმოდენად რჩება.

1905-10 წლიდან ტრადიციული მეტრიკის ასამარებენ გერმანეთში—ედ. ზივერსის (Ed. Sievers) „სემნითი ფილოლოგიის“ სკოლა, ხოლო საფრანგეთში—აბბატ რუსლოს „ექსპერიმენტული ფონეტიკის“ სკოლიდან გამოსული მეცნიერები (დანდრი, ვერი და სხვები). განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. სარანის (F. Saran) შრომა „გერმანული ლექსწყობა“ (Deutsche Verslehre, Muenchen, 1907), რომლის პირველ პარაკრაფებში ტრადიციული მეტრიკის სასტიკი ერთკუთხეა მოცემული. რუსეთში ეს საქმე შესრულდეს: ბ. ტომასევიკიმ („რუსული ლექსთწყობა“ 1924; „ლექსის შესახებ“ 1929); ვ. გორბუნსკიმ („მეტ-



იციეს შესავალი, 1925), ა. ბელნი („სოციალ. როგორც დიდუბეტიკა“, 1929) ვ. ზენგლომ („ტრაქტატი რუსული ლექსის შესახებ“ 1923), ა. ჰემოვიცემ და სხვებმა.

მეტრო გაგებულა როგორც ტაქთა ის ტიპი, რომელიც ტაქტის ნორმას—ეკსპირატორულ ენეოგიათა (მანვილებს) გარყვეულ წესრიგს აჩვენებს. რიტმი კი როგორც რეალური ბგერადობა ლექსის. ამ ორი ძირითადი ფუნქციების ირგვლივ იშლება ის მეოთხედილოცური და კვლევითი სხვადასხვაობანი, რომელთაც ადგილი აქვს ზემოდ ჩამოთვლილ ავტორების შრომებში. მოუხედავად ამისა ც. ი. ახრთა სხვადასხვაობისა) ტრადიციული მეტრიკის სქემატიზმი და მისი იმიტაციითაიდან ამორბებულია.


ამ იმიტაციის დაგვიანებულ ცხადყოფას იძლევა განსვენებული ს. გორგაძის თქანასწინელი შრომა: „ქართული ლექსი“.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ყოველი ტაქტის შინაგანი აგებულება, მიერლი მასი მეტრი და რიტმი, დამყარებულია ერთ ძირითად პრინციპზე, რომელსაც მსჯავსი ერთეულეების განმეორება ეწოდება“ (გვ. 81. კერძოთი ავტორისაა) უფრო კვეთით: მაგრამ ეს პრინციპი (მსჯავსი ერთეულების განმეორებისა) მართო ტაქტით არ თავდება: ის უფრო შორს შეიძინს და თანაბრად სწუდება როგორც სტროფებს (მანებებს) ისე მთელ საღვეტსო ნაწარმოებებსაც (იქვე. კურსითი ჩვენი—ა. ვ.).

ამრიგად ლექსის რიტმი გაგებულა, როგორც ავტორმატური სარეკლა. ამ თვალსაზრისს არ ცვლის ის გარემოებაც, რომ ს. გორგაძეს ტაქტის განმარტებისას „ლოგაედრობის“ ცნება შემოატეს: ლოგაედიც გაგებულა; როგორც გარკვეული მეტრი და უნდა ვიყარადლოთ, რომ თავის შრიც ისიც „თანაბრად სწუდება“ სტროფებს და „მთელ საღვეტსო ნაწარმოებს“.

რამდენად მართალია ეს?


აეილოთ მეტრი, ს. გორგაძის კლასიფიკაციის მიხედვით „დაქტილური დიმიტრი“-ს ლოგაედო, რომელიც „ვეტების ტეპოსინის“ ძირითადი ნაწილის დასაწყისის (პირველი სტროფის) მეტრულ სქემის წარმოადგენს:



ამლა ვნამოთ თვითონ სტროფი (ჩვენ არ ესაუბრობთ „საღვეტსო ნაწარმოებზე“ (!) მთლიანად)

სოფლი მეტრული სქემის, რომლისაც ჩვენ აქ ცოდვეთი:

მეტრიკული



კომენტარიები აქ შეუძებტა*) როგორც თვითონ ს. გორგაძის პრისოდული შენიშვნები (ქართული მახვილის შესახებ), ისე დეკლამაციურ პაუზათა განაწილების სისწორე სტროფის ხედივ მოყვანილ გარდოყულ სიმუნელატორას თხოვლობს. თუ ასეა, მაშინ (რიტმის კვლევისას) მეტრის ტრადიციული გაგება და მისი პრიმატი რეალურ ბგერადობაზე მოყლებულია ყოველგვარ სადებეულს.

მეტრი, როგორც სქემა არ უნდა იქნას არეული მეტრის, როგორც ლექსის რეალურ ბგერადობის მთავარი კომპონენტის (მაგრამ მაინც ერთეულის) ცნებაში. პირველ შემთხვევაში ის არის ტაქტის აბსტრაქტული სახე, რომლის კლასიფიკაცია მეტრიკის საქმეა, მეორე შემთხვევაში ის წარმოადგენს იმავე ტაქტს და რიტმიც მას ეფუნქციონალთობის მხრივ განიბილავს.

ს. გორგაძის შრომაში ტრადიციული მეტრიკის ეს მთავარი შეცდომა დაშვებული, რაიც

*) ატვილებულია მხოლოდ ზემდევის ანიშნა: იცის თუ არა საერთოდ „დაქტილურ დიმიტრინა“ ტერფის ისეთი ანტიპოდი, როგორიცაა პირველი და მეორე პეონი (—ააა და —აა) და რომელთაც ადგილი აქვთ ზემოდ მოყვანილ სტროფის შესამე და მეოთხე სტრიკინში? უფრო მეტი: იხილეთ თუ არა ს. გორგაძის სისტემატიკა ასეთი მოღვენებს ტემპის თვალსაზრისით? (შესამე ტაქტში ხელი მახვილი გებულება, მეომხეში კი—ოთი). რასაკვირველია, რაიმე აშგვარს შრომაში ადგილი არ აქვს და ეს კიდევ უფრო ამტკიცებს იმას, რომ ავტორი არ იყო განცნობილი ვახლეს შრომებს რიტმიკით. როგორც ბალო სიტყვაშიც ანიშნავს—თვით ა. ბელნი „სიმბოლიზმი“-ც იმ დეკლანკიით ჩაეარდნია ხელში.



ბიუჯეტი მისი კვლევის სისტემატიკის ექსპერტ-
ლად ხდის.

ამ თვალსაზრისით განიხილა ჩვენთან ყველაში
კლასიფიკაციის შემოწმებას თხოულობს, რომელ-
საც შრომაში ვხვდებით. ცხადია, ეს შორის წი-
გოყვანდა.

გამოკვლევაში მართლაც არის გადაჭრული
პრობასა და ლექსის შორის განსხვავების საკითხი.
თი შეიძლება ითქვას, რომ ამ შორის ს. გორგა-
ძის შენიშვნები არაფერს ამბობენ. სესტადია
წარმოდგენილი რითმის ანალიზიც.

ყველაფერი ამის მიზეზია ისეთი ტექსტი და
ინავე დროს უცხო ენობრივ სისტემათა კვლევით
განსახლებულ საბელშინდელს გამოყენება,
როგორცაა ი. დენისოვის შრომა: „Основания
метрии у древних греков и римлян“
(1888). ბირთავში „ქართული ლექსი“ ამ წიგ-
ნის სისტემატიკას მისდევს.

ლიტერატურის მარცხებულში დასახელებულ,
დაბლეს გამოკვლევათა მიუღ რიგს კი, ავტორი-
სავე მოწმობით, მის შრომასვე გაუღება არ მოუ-
ღებია: ისინი ს. გორგაძეს გვიან ჩაუარდნია
ხელთ.

ზიგერსის, ზარანის, მიწორის და სხვათა შრო-
მები კი დასახელებულიც არაა. არსებითად კი
რიტმიკაში მათი გაკეთების გარეშე ახლის თქმა
შეუძლებელია.

ტექნიკურ თუ სხვა მიზეზების გამო შრომა

რღმუ დაძვლებული აღმოვაჩინა. ამხნა-
ფიცოლებულია, თუმცა ამას არ შეუძლია რადი-
ლი შიადნის მეფეეარსარმადწმუნის ჩვენს
ფილოლოგიურ-ისტორიკტტაშეწყობისში.

დასასრულ ფაქტორი შეკვომების შეახებ—
მათგან ჩვენ შოლოდ ორს გამოყოფთ:

1) ს. გორგაძე ანიშნავს, რომ ლექსის სინტაქსური
მოვლენა, ე. წ. „გადატანა“ ანუ enjambement
სიტყვის ისეთ გაყოფას წარმოადგენს, როცა
ერთი ნაბეზით დაეფება ტაბები, ხოლო მეორე
ნაბეზარით მიმდევნო ტაბები იწყება (გვ. 100).
ნამდვილად კი ეს განმარტება ვიწროა და მცდა-
რო: „გადატანა“ ებება თვითონ ტაბესაც, როცა
მისი ექანასკენელი სიტყვა მიმდევნო ტაბთან
მეიდროდ (სინტაქსურად) არის დაეკშირებელი.

2) წერილით, მაგრამ დამახასიათებელი: მკვლ-
ვარის აზრით, გერმანულად „ტერფსი“ (Terzium)
აღინიშნება საბელშოდებით „Versfuss“ (გვ. 10).
ნამდვილად კი „ტერფსი“ ეწოდება შოლოდ
„Fuss“. „Versfuss“ კი აღნიშნავს „საღმგის
ტერფს“ ანუ ისეთ ერთეულს, რომელიც მეტრულ-
ლო „ტერფსის“ სახდერებში ვერ ეკვება (ანა-
ლოგიურია ედ. ზიგერსის ტერმინი „Sprachta-
kte“). ეს ექანასკენელიც ამტკიცებს იმას, რომ ლე-
ქსის რეალურ ბგერადობის რიტმული ბუნება
ს. გორგაძისათვის მეტრის ცნებით ამოიწურე-
ბოდა.

8. 2.

ფრიდონ ნაროუშვილი — „კომპანი“, სახელგამო.

ეპიური პოეზია ბელოცენების სხვა დარგთა შო-
რის ყველაზე უფრო რთული ეანია. ისტორიის
გრძელ მანძილზე ეპოსი ზესტად და ღრმად
გვაძლევდა ამა თუ იმ მოწინავე იდეებს. მხატ-
ურული ლიტერატურის ეს ეანრი ყოველთვის
ჟაკშირდებოდა კლასის ეკონომიჭრ და ეულ-
ტურულ აყვავების პერიოდებს. დეგრადაკაქმნილ
კლასის შწრლობას ძლიერ ძნელად ემარჯვება
ეპოსი, თავის ფსიკო-ფილოლოგიურ მხარის მხა-
ტერულ სრულფადისათვის; ეს ბუნებრივიცაა,
რადგანაც ეპიური ეანრი ვერ იტანს დაქვის
განწყობილობებს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქმის ეანრს შე-
უძლია წამებაი რალი ითამაშის იდეების მხა-
ტერულად გამოხატვის საქმში, მაგრამ არსები-
თად ეპოსი სხვა დარგთა შორის ყველაზე უმალ-
ღესი ფორმა სიტყვიერი ბელოცენების.
განივარების პირველ ეტაპზე პროლეტარულ-
მა შწრლობამ გარემოების „დახტერა“ ლირი-
კული პოეზიით დაიწყო ეს ასეც უნდა ეყოლი-
ყო, რადგანაც ამომავალი კლასი (ამ შემთხვე-
ვაში პროლეტარიატი) თავის გამარჯვებას ქე-
ყანას ამქონებს რეულიეკონომიჭრ ლირიზმით
ეჭობად—ის ფაქტი, რომ რელიოეკის შემდეგ

ღარიღელი პოეზია ლექსებიდან ამაღლდა რევოლუციამდე. იყო ვაბუღული ნაბიჯი რევოლუციონერი ხელოვნების სასარგებლოდ.

თუ ღარიკას აქამდე ამოკედებდა მითოსი და მითიდან გამოჰყავდა შემხედრი ხახები აწმუგსა და მომაკვლი შორის, რევოლუციის გამაფრებამ არამე თუ ვახვბო, არამედ შელონანად მოწაღა მითის კვლტი ხელოვნებაში. ამის შემდეგ რევოლუცია ადამიანის თავში შევიდა არა როგორც გარედან მოსული ძალა, არამედ როგორც მისი ორგანიზული ნაწილი. რევოლუციონერმა შეგნებამ მწერლის ინტიმობა დასძრა გაფინულ წერტილიდან და დაღუბლიყა რეალურ მოვლენებს.

მწერლის ინტიმური უწყალობა გარემო წრესთან ბუნებრივად იწყვეს ღარიკაში, ეს იტყვის ყრძოდ რევოლუციის გამაფრების წლებში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაწმენდილი ლიტერატურული საკითხები... გაეფა დრო და ხელოვნებამ მოიგნა თავისი ადგილი. საკითხები დაწმინდნ. კოსმიზმის სიმაღლეებიდან მწერლობა დაეფა მიწიერ საკითხებამდე, მის კონკრეტობამდე... და აქ გამოჩნდა ნამდვილი სიძულე: მიწიერი საკითხები ძნელად დაემოკრება მხატვრულ დამუშავებას. ეს სიძულე კვლავი მწავლდ ღარიკამ იგრძნა.

სამუშაო ეპოქების და რევოლუციონერი იდეების ევოლუციამ გარკვეული კატეგორიული მოთხოვნილება წაუყენა მწერლობას... ამ პირობებში აღარ ეძიოდა მწერლის შხოდოდ ინტიმური მხარეს ჩვენება, საჭირო იყო მხატვრული გადმოცემა იმის, რასაც აზროვნებდნ, გრძობდნ და განიცდიდნ სხვები. აქ კი წინა პლანზე გამოდის ეპოსი, როგორც სიტყვიერი ხელოვნების უმაღლესი ფორმა.

პროლეტარული ლიტერატურის განვითარების მეორე ეტაპი—იყო დასაწყისი ეპოქური პოეზიის განვითარების. ყრძოდ, სარკუენზიო წიგნში მოთხვენებელი პოემები გადაძლენ ნათელ წარმოდგენას—პროლეტარულ ეპოურ პოეზიის განვითარების განვლილ საფეხურებზე.

სარკუენზიო წიგნის ავტორს თავის შემოქმედების მანძილზე ეპოსით მოჰყავს იდეურ და მხატვრულ წესრიგში ყველა ის საკითხები, რომელიც დასვა განვლილ სოციალისტურმა მშენებლობამ—მიმდინარე ეტაპზე.

წიგნში მოთავსებული ყველა პოემები ჩვენი ცხოვრების მტკიცეულ საკითხებს ეხება; ანტიკომ

არის საყურადღებო და ანტიკომუნისტური მხელი შემოქმედებების სერიისა. მართალი საკითხი, რაც აქვე უნდა იქნეს გარკვეული მდგომარეობის იმასი, რომ თემატიკური მასალა, რომელსაც სარკუენზიო წიგნის ავტორი ამუშავებს, არ არის შემოხდული ვიწრო, შეკლური საღტებით. პოეტის თემატიკური სახეურები: ძლიერ ფართია, და ამაშია მისი გამარჯვების საფუძვლები.

რევოლუციამ საერთოდ და მიმდინარე სოციალისტურმა მშენებლობამ ყრძოდ—ძირითადი გარდატეხა (და არა მარტო გარდატეხა) მთავრია როგორც მუშის, ისე გლეხის ცხოვრებაში. ეს ცვლილებები მთელ სიღრმით შეიჭრა მათ ფსიქოლოში.

ბრძოლა მიმე ინდუსტრიის განვითარებისთვის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისთვის—ამ ძირითადი საკითხები, რომლის მხატვრული ანტიტორი შეიქმნა ნაოუწეული.

მასალის იმანესტური ბუნება და თავისებური კლასიციტი გაუღენს ახდენს მის მხატვრულ დამუშავებაზე; მაგრამ სარკუენზიო წიგნის ავტორი გარკვეულ თემას იღებს არა როგორც აბსტრაქციულ მოუღენს, არამედ როგორც სხვა მასალასთან ორგანიზულ კავშირში მოფა, რომელიც სოციალისტური მწერლობის ერთ-ერთი ფუნქციონირი დანიშნულების მატარებელს.

გრამდოიზული სოციალისტური მშენებლობა სრულიად ახალ ყაიდაზე ჰქმნის გლეხურ ცხოვრებას და მის წერილ-ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას. მისი ყრძო საკუთრებისადმი მისწრაფების ინსტიქტი თანდათან ქრება, რადგანაც ისტორიული განვითარების ობიექტური პირობები ბორკავს ინდივიდუალიზმს, როგორც ბავროსა და დამონების ობიექტს. მშრომელი გლეხობის მრავალმოდოლიონანამ არიამ პირი იბრუნა კოლმურნობისადენ და შეუღდა საკუთარ ცხოვრების სოციალისტურად მოწყობას.

თავისთავად ის ფაქტია, რომ გლეხური მასა ძირითადი შემოტრიალდა სოციალისტისადენ—არის ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა. ლიტერატურის ენაზე ეს ფაქტი—ბოლშევეფერი თემაა, რომლის მხატვრული დამუშავება აამაღლებს მწერალს შეგნებისა და მოკალუების უდიდეს სიმაღლეზე.

იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური გარდაქმნა გლეხობის უზარმაზარი მასის, რომელიც თავისში იტყვეს უდიდეს სიხარულს, აღფრთოვანებას,

და ზოგჯერ გარდაქმნის სიძნელესაც—არის უმაღლესი ფრთხილ და მსლავრი ბიჭი სიტყვიერი ზღაპრების განვიარებისასთვის.

მ. წარუქმეილის შემოქმედების ერთი მხარე ამ გრანდიოზულ მნიშვნელობის მოვლენებს ეხება, რაც მთელი სიმბაფრით გამოაშვარავებულია სარეცენზიო წიგნში. პოეტის ეპიური სიდიდით ჰქონის საინტერესო მხატვრულ ტილოებს („ივანეს ცხოვრება“, „ხოლტი ეწვეა აგიტაციას“, „მას შეიბრალებს ვინმე შერალი ვინმე მეძველე“, „ქალაქი იფოზოვოში“, „წროვის ერთიანობა“).

შემოქმედების ეს მხარე შეიძლება სარეცენზიო წიგნის ავტორის სიტყვებით დახასიათდეს:

„მე უმღერ გღებებს

არა გღებურად,

გღებურ ბუნების

ვარმყოფელი.

წარუქმეილის შემოქმედების დამახასიათებელ მხარედ ითვლება—სიტყვიერი მასალის ღრმა სოციალური აზრით დატვირთვა. კონკრეტულ მასალაში ავტორი პირველ რიგში აქცენტებს შინაგან წინააღმდეგობათა დიალექტიკურ მთლიანობას. მისთვის კერძობით მოუღონა საშუალება—ზოგად მოუღონის მხატვრულ სრულყოფისათვის. ამის სასტყვესო ილიესტრაციას იძლევა ლექსი „ხოლტი ეწვეა აგიტაციას“.

ლექსში—ხოლტი თვითმისამი კ არ არის შედგის მისაწვინად, არამედ საშუალებაა ზოგადი დასკვნის გამოტანისათვის. აქ ზოგადი—მიჯნასთან ბრძოლის ამოცანაა. თუ იგავე ზოლტი კაპიტალისტურ ქვეყნებში დაპირების, დაზარების სიმბოლოა, სამაგიეროდ საბჭოთა კავშირში კომუნისტების ჯანსაღი აგიტატორია. ხოლტი ებრძვის ყოველგვარ სიძველეს: კაცს, მიჯნას, კერძო საყურებებს, რომელიც ღრმად არის ჩასობილი გლებში.

„ძირს საყურებმა, ძირს ეზოებში
ასე გღებუნებს ეს მოქალაქე...
ვისაც ეკუთვნის, ვინც მას განაგებს

ხოლტი მის ენით ილაპარაკებს.

პროლეტარულ შერაღს შევძლია ნივთის ამტკიცებლბა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ვება ფნაველას ბუნებრივი იდილია, სოციალურ ფრთხილებს და პერსპექტივას მოკლებული მოუღონა. ამ შემოტყევაში ხოლტი, როგორც გარყვეული ნივთის, მოძებნილხ აქვს ფუნქციონალური დანიშნულება.

სარეცენზიო წიგნში შექმნილ მხატვრულ ტილოებს იტყვის: „ქალაქი იფოზოვოში მისი სხვადასხვა საკითხებზე“, „ტუბანი“, საყოფაცხოვრებო პირველი პოემა „შევა ცხოვია“, „დადეწიოთ და გაუსწროთ“ და სხვა.

წარუქმეილის შემოქმედების მეორე მხარე საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ეს არის მისი საწარმოთა ფონი, რომელზედაც იწლება უფრო დიდი და გრანდიოზული მნიშვნელობის თემები. ამ გამზრით სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია: „შოფიოი“, „პოემა სხვადასხვა საკითხებზე“, „დადეწიოთ და გაუსწროთ“, „ხოლტი“ და რაც მოთავარი—პოემა „ორი მისამართი“.

„ორ მისამართი“ დასმული პრობლემა ჩვენი პარტიის და ხელისუფლების ყურადღების ცენტრში სდგას და მისი დღის წყაროის აქტუალური საკითხია. ბრძოლა ორ მისამართიან ყოფის წინააღმდეგ—წარმოებაში, ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო ამოცანაა მიმდინარე ეტაპზე, თუ ჩვენი მეურნეობის აღდგენითი პერიოდი ითმინდა ორ მისამართიან მეშვება, რეკონსტრუქციის პერიოდში ეს შეუძლებელი გახდა. მისი ინდუსტრიის სწრაფი ტემპით განვითარებამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ—ორ მისამართიან მეშვება წინაშე რადიკალურად დასვასაკითხი: ან წარმოება ან დასაქვითი მეურნეობა სოფელში. ესადა, ორ მისამართიანი მეშვები—მეშვებისვე აშხანაგერი ხედმოქმედებით ბოლშევიკურად სწვევტიენ ამ საკითხს, მაგრამ არიან გამონაკლისები, რომლებიც ისე სოფლის სინაწინაზე და კერძო მეურნეობის აყვავებაზე ფიქრობენ.

„ორი მისამართი“-ს მთლიან კომპოზიციანი დამორჩილებულია ტიპების მოხაზვის სტრუქტურა. წარმოებათა იდეალისტური მხარე ხელსადა არის შეფარდებული მასალის დიალექტიკურ განვითარებასთან. ეს სოციალური პოემა მთელ მომქმედ მანილზე ეთარდება ძველი და ახალი ინსტიტუტების შეჯახების დონზე. პოემაში დასმული საკითხები არ არის მოკლებული პოლიტიკურ პერსპექტივას.

წარმოების მთავარი გმირი—დარაწვლიძე ქაიხინის მშვია, რომელსაც ჯერ კიდევ კავშირი არ გაუწყვეტია „სოფლის სიმშენესთან“. გმირის წინაშე იწლება ორი გზა: სოფელი, ან და ქალაქი. დარაწვლიძე ორივეს ითმენს და აღბადა ამიტომ მის „სოფლიერ სამაგროში“ სდება ძველი

„ინსტიტუტების ჯანიერ“, ამ ნიადაგზე დარაშედივე უშვებს მიუღო რიც პოლიტიკურ შეცდომებს, რაც მის წარაღებურებაზედ მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. პოემაში დარაშედივის ანტი-პოდს წარმოსადგენს ძველი მუშა—გრიგორივეი, ბოხოღების ცეცხლში გაკაცებული ბოლშევიკი. პოემა სრულდება დარაშედივის პერმანენტური მერყეობით. კონკრეტულად პლანით საკითხი

ლიად რჩება, იატორიულდ მსოფლმხედველს უკლ-სახრისით პოემაში საკონკრეტო მსოფლმხედველის ერთ-ერთ მისამართის დატოვებით.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ პოემების წიგნით ავტორი მკითხველის წინაშე წარსდგა, — როგორც იდეოლოგიურად გამობრძანებული და მხატვრულად მომწიფებული პოეტი.

დ. ზენაშვილი.

საკრედიტო კოლეგია:

- ი. ვაშაშვილი
- გ. ლეშაძე
- ს. ეული
- შ. კახიანი
- გალ. ტაბიძე
- ტ. ტაბიძე
- ს. ჩიქოვანი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ჯ ი ა

- | | |
|--|----|
| 1. სიმონ ჩიკოვანი—პოეტის სიტყვა | 3 |
| 2. ნ. ზომლეთელი—საბჭოთა საქართველო | 5 |
| 3. გიორგი ლეონიძე—შემკეთებელ ქარზანაში—სტალინის სახელობისა | 7 |
| 4. რაუდენ გვეტაძე—მერკვილადის დები | 9 |
| 5. გალაქტიონ ტაბიძე—რევოლუციონერ საქართველოს (დასასრული). | 13 |

პ რ ო ჯ ა

- | | |
|--|-----|
| 6. კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ძირს სიმინდის რესპუბლიკა | 25 |
| 7. ალ. ქუთათელი—განთიადის წინ | 106 |
| 8. მახ. ჯგავახიშვილი—არსენა მარაბდელი | 132 |
| 9. ტიციან ტაბიძე—ახალი კოლხიდა | 164 |
| 10. დემნა შენგელაია—ბათა ქექია | 183 |

პ რ ი ბ ი მ ა, პ ო ზ ლ ი ც ი ს ბ ი მ ა და მ ე მ ნ ი ე რ ბ ა

- | | |
|---|-----|
| 11. ი. ვაშაყმაძე—ათი წელი საბჭოთა მეცნიერებისა საქართველოში | |
| 12. შალვა რადიანი—ქართული მწერლობის ათი წელი | 217 |
| 13. შ. დუდუჩავა—საქართ. მხატვრული კულტურა ათი წლის თავზე | 234 |

გ ი ზ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

- | | |
|---|-----|
| 15. გ. ა.—ს. გორგაძე: „ქართული ლექსი“ | 243 |
| 14. დ. ბენაშვილი—ფრიდონ ნაროუშვილი: „პოემები“ | 245 |